ზაურ ბაბუნაშვილი, თეიმურაზ ნოზაძე

ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲡᲐᲕᲐᲜᲔ

(ᲓᲘᲓᲣᲑᲘᲡ ᲞᲐᲜᲗᲔᲝᲜᲘ)

წიგნის სპონსორები: ასლან აბაშიძის ფონდი სრულიად საქართველოს ალორძინების კავშირი

სერვანტესის საზოგადოება
გამომცემლობა „ირმისა“

თ ბ ი ლ ი ს ი
1994

71 (2 ს) Г
ბ 135

საგამომცემლო საბჭო:
ჯემალ აჯიაშვილი
შალიმან ბინაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
თეა გვასალია
ვაჟა შუგითიძე
როსტომ ჩხეიძე
თამაზ ჩხენკელი

წიგნში გადმოცემულია ლიდუბის ეკლესიისა და მისი პანთეონის მოკლე ისტორია, მოთხრობილია იქ დასაფლავებული პიროვნებების განელილი ცხოვრების გზა, მათი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი მომენტები. ნაშრომები ეძღვნება მათ ნათელ ხსოვნას.

რედაქტორი პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე

მხატვარი ჯემალ ზენაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი ვაჟა შუგითიძე

გამომშვები შალიმან ბინაძე

„არ დავიწყება მოყვრისა

მნახველებს. და მართლაც, თუ 1929 წელს ალექსანდრე გრიბოედოვის დაღუპვის 100 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით თბილისში ოფიციალურად გაიხსნა მთაწმინდის პანთეონი, დიდუბის პანთეონს ბევრად არა მაგრამ, მაინც უფრო ადრეული ისტორია გააჩნია. იგი ჯერ კიდევ 1915—1916 წწ. დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ინიციატივით.

მართალია, აქ აღარ განისვენებენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, მაგრამ ამით დიდუბის პანთეონს თავისი მნიშვნელობა მაინც არ დაუკარგავს. მისი მიწა ინახავს მრავალ სათაყვანებელ მოღვაწეს; რომელი ერთი ჩამოვთვალოთ — დიდი ექვთიმე თაყაიშვილი თუ ლადო მესხიშვილი, დავით კაკაბაძე თუ უშანგი ჩხეიძე, მიხეილ თამარაშვილი თუ პავლე ინგოროყვა...

დღესდღეობით პანთეონის ტერიტორია მნიშვნელოვნად გაიზარდა პირვანდელთან შედარებით. აღმოსავლეთის შესასვლელიდან დასავლეთის კედლამდე 94 მეტრია, ხოლო განი დღეისათვის 66 აღწევს. მაგრამ, სამწუხაროდ იგი გამუდმებით ფართოვდება და მის ზრდასთან ერთად იცვლება სასაფლაოს პერიმეტრიც.

ვიდრე საკუთრივ დიდუბის პანთეონის მოკლე ისტორიას შევეხებოდეთ, საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას თბილისის ამ უძველეს უბანზე — დიდუბეზე და მის საზღვრებზე.

დიდუბის საზღვრები სხვადასხვა დროს სხვადასხვაა. უძველესი წყაროებით ესაა ადგილი მტკვრის ჩრდილოეთით და ლოკალიზებული არაა. XIX საუკუნეში გერმანელთა ახალშენი, სოფელი ალექსანდერსდორფი, იყო ახლანდელი სამტრედიის ქუჩის მიდამოებში და ესეც დიდუბედ ითვლებოდა. დაახლოებით ამავე პერიოდში ამ დიდ ტერიტორიაზე ყოფილა სოფელი დიდუბე. 1872 წელს თბილისი — ფოთის რკინიგზის გაყვანამ დიდუბე ორ ნაწილად გაჰყო. ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს ნაძალადევი (რუსულად „ნახალოვკა“) ეწოდა,[1] ხოლო რკინიგზასა და მუშტაიდს შორის დარჩენილი ადგილი დარჩა დიდუბედ.[2] დაახლოებით ამ უკანასკნელ საზღვრებშია მოქცეული დიდუბე XIX საუკუნის ბოლოსათვის[3].

არქეოლოგიური მონაცემებით დიდუბის მიდამოებში ნამოსახლარი ჩნდება ენეოლითის ხანიდან (ძვ. წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის ბოლო) გათხრების შედეგად მოძიებული მდიდარი ინვენტარი ამტკიცებს, რომ აქ ცხოვრობდა თვითმყოფადი კულტუ-

---

[1] ქართული ენციკლოპედია, ტ. 111, თბ., 1978 წ. გვ. 543.

[2] „დროება“, 1878 წ. № 160.

[3] „ივერია“, 1898 წ. № 35.

რისა და ერთი მოდგმის მობინადრე მიწათმოქმედი და მესაქონლე მოსახლეობა, რომლის მეურნეობაში, როგორც ჩანს, დიდი ადგილი ეკავა აგრეთვე მონადირეობას და მეთევზეობას, ...დიდუბის მოსახლეობას სცოდნია აგრეთვე სუფთად დართული ძაფით ქსოვა[1].

ადრეულ შუა საუკუნეებში (V ს.), ქართული წყაროების მიხედვით ამ ადგილის სახელწოდება ჩნდება „ცხენის ტერფი"[2]. ეს ტოპონიმი შემდეგში გვხვდება ვახუშტისთან: „ტფილისის ჩრდილოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა „ცხენის ტერფი"[3] რაც შეეხება „დიდუბეს" ეს ტოპონიმი XI—XII საუკუნეების წყაროებში გაჩნდა და ნიშნავს „დიდ დუბეს", ანუ ვაკეს, დაბლობ ადგილს. იგი შემდეგში, გვიან საუკუნეებამდე საკუთარი სახელის მნიშვნელობით აღარ გვხვდება. სიგელ-გუჯრებში იხსენიება მხოლოდ დუბედ (დაბალ ადგილად)[4].

„ქართლის ცხოვრების" თანახმად, დიდუბეში იყო მეფის საზაფხულო რეზიდენცია,[5] სწორედ აქ 1188 წელს იქორწინა მეფეთა-მეფე თამარმა, დავით-სოსლან ჯადარონის ძე, ბაგრატიონ ეფრემისძეზე[6].

დიდუბის სამეფო სასახლის ადგილმდებარეობა დღეისათვის უცნობია. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გაზეთ „ივერიაში" 1888 წელს გამოქვეყნებული ერთი ცნობა. „...შუშტაიდის ზემოთ, დიდუბეში საცა ლორთქიფანიძის ტრამვაი, ალმოსავლეთისაკენ, წვიმას ჩაუხრამავს" და ამის შემდეგ აქ გაჩენილა ხვრელები ხალხი ჩასულა ფანრებით, უნახავთ გასასვლელები და ოთახები. ერთი გასასვლელი მიდიოდა თურმე დიდ ოთახში, რომელსაც თაღი და იატაკი აგურისა ჰქონია. როგორც ჩანს ამ ნაგებობას დიდძალი ხალხი მიუზიდავს და წესრიგის დასაცავად პოლიციაც კი დაუყენებიათ, რათა აღეკვეთად ამ ნაგებობაში შესვლა. ეს არის და ეს. ამის შემდეგ ამ ნანგრევების შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება და არც არავინ იცის თუ რა ნაგებობის ნაშთი იყო ეს. არც ჩვენ გაგვაჩნია სავარაუდოდ მატერიალური ან წერილობითი წყაროები, მაგრამ ვინ იცის, ოდესმე იქნებ მიკვლეულ იქნას ამ ნაგებობის ნაშთები და სწორედ ეს აღმოჩნდეს სამეფო რეზიდენცია. მითუმეტეს, რომ დიდუბე მშენებარე რაიონია და სამშენებლო სა-

---

[1] დ. ქორიძე. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. 1, 1955 წ. გვ. 75.

[2] თ. ბერიძე. „...და ალმოცენდა თბილისი". 1977 წ. გვ. 211.

[3] „ქართლის ცხოვრება". ტ. IV, 1973 წ. გვ. 338.

[4] თ. ბერიძის დას. ნაშრომი, გვ. 211—212.

[5] „ქართლის ცხოვრება", ტ. II, 1959, გვ. 122.

[6] ლიკარდ ტუხაშვილი. ფარაონთა და ხალიფთა ტახტების მფლობელნი, 1992 წ.. გვ. 68.

მუშაობისას არა ერთი ისტორიული აღმოჩენის მოწმენი გავხდარვართ.

საქართველოში მონღოლების შემოსევიდან დაიწყო ჩვენი ხალხის ისტორიაში ბობოქარი, დრამატული კოლიზიებით აღსავსე პერიოდი. ერთი მხრივ გარეშე მტრების გამუდმებულმა შემოსევებმა, ხოლო, მეორეს მხრივ, ფეოდალურმა დაქუცმაცებულობამ და შინაურმა აღრევებმა, ქვეყანა განადგურების პირამდე მიიყვანა.

პოლიტიკურად და ეკონომიკურად ქვეყნის ასეთი დაკნინების პირობებში, ქართველი ხალხის არსებობას საფრთხე შეექმნა. კატასტროფულად შემცირდა მოსახლეობა. მაგალითად XVIII საუკუნის ბოლოსათვის თბილისში დაახლოებით 4000 კომლი, ანუ 20 ათასი მოსახლე ცხოვრობდა. დიდუბე გაუკაცრიელდა და „გაუდაბურდა.

მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგიდან, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ შეიმჩნევა ამ რაიონში მოსახლეობის ზრდა, როდესაც შეიქმნა არსებობისათვის აუცილებელი მშვიდობიანი პირობები, რომელმაც ხელი შეუწყვეს სამეურნეო ცხოვრების განვითარებას.

გაზეთ „ივერიის“ ცნობით XX საუკუნის დასაწყისში „დიდუბე წარმოადგენს ოთხკუთხ ალაგს ანუ საბალოსნო სკოლის ადგილიდან ვიდრე დიდუბის ეკლესიამდე და შემდეგ კოლონიამდე — ეს სულ შეიცავს სამ ვერს სიგრძეს, სიგანეს კი — დიდუბის ქუჩიდან, სადაც დიტრიხის ლუდხანია, ვიდრე რკინისგზის ლიანდაგამდე ერთ ვერსს. ეს კვადრატი იყოფა სამ ქუჩად: 1) მუშტაიდის გასასვლელი, განაპირა ალაგი მტკვრის მხრივ; 2) ელისაბედისა, რომელიც შუა ჰყოფს დიდუბეს; 3) ანდრეევისა, რკინიგზის ლიანდაგის მახლობლად“.[1] 1867 და 1910 წლების ქალაქის გეგმის მიხედვით დიდუბის მთავარი გასასვლელი ქუჩა ელისაბედის სახელობისაა, რომელსაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეწოდა ბრძოლის ქუჩა, ხოლო ქალაქის საბჭოს 1958 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით — აკაკი წერეთლის სახელობის პროსპექტი.

1817 — 1818 წწ. რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის ფავორიტის ბარონესა კრუდნერის აქტიური მონაწილეობით და მფარველობით საქართველოში 500-ზე მეტი ვიურტემბერგელი და ბადენელი ოჯახი ჩამოასახლეს. შეიქმნა გერმანელთა შვიდი ახალშენი. ნაწილი ამ მოახალშენეებისა დასახლდა თბილისის მაშინდელ განაპირა რაიონებში — კუკიაზე, დღევანდელი დავით ალმაშენებლის პროსპექტისა და მარჯანიშვილის ქუჩის მიდამოებში,

[1] „ივერია“, 1903, № 267.

ნაწილს კი დიდუბეში დაეთმოთ სახაზინო მიწები, სადაც შეიქმნა გერმანელთა კიდევ ერთი დასახლება, რომელსაც ალექსანდრე პირველის საპატივცემულოდ ალექსანდერსდორფი ეწოდა.

თავდაპირველად გერმანელები გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ სულ მოკლე ხანში დიდი შრომის წყალობით წარმატებას მიაღწიეს. გერმანელები ძირითადად მისდევდნენ სოფლის მეურნეობას და მათ თანდათანობით „დაიპყრეს" თბილისის ბაზრები ხილით, მწვანილით, ძეხვეულით, ხორბლით, პურპროდუქტებით, რძის ნაწარმით. თუ საფრანგეთის კონსულს გამბას დავუჯერებთ, სწორედ გერმანელებს შემოუტანიათ საქართველოში კარტოფილის კულტურა. ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად კოლონისტებმა გააცხოველეს კულტურული ცხოვრებაც. დაარსეს სასწავლებელი, ეკლესია და სხვ.

დიდუბეში მოსახლეობის ზრდას დიდად შეუწყო ხელი 1872 წელს თბილისი — ფოთის რკინიგზის გახსნამ და მოგვიანებით, 1882 წელს, ხაშურიდან თბილისში დეპოსა და რკინიგზის სახელოსნოების გადმოტანამ.[1] ახალდასახლებული მოსახლეობის დიდი ნაწილი რკინიგზის მუშებმა და მოსამსახურეებმა შეადგინა. საუკუნის ბოლოსათვის სულ უფრო და უფრო მატულობს ქართველი მოსახლეობა, ხოლო დიდუბეში იმ დროისათვის ათასი სახლი ყოფილა ათი ათასი მცხოვრებით.[2]

დიდუბის გაშლილი ველები ოდითგანვე გამოიყენებოდა ცხენოსნობისათვის. XIX საუკუნეში აქ ხშირად იმართებოდა ჯირითი, სხვადასხვა აღლუმები. ერთ-ერთ ასეთ ზეიმს 1837 წელს დასწრებია იმპერატორი ნიკოლოზ პირველი. 1848 წელს დიდუბეში გაიმართა პირველი ოფიციალური შეჯიბრი დოღში. ხოლო 80-იან წლებში, ამ ადგილებში აშენდა იპოდრომი. ეს იპოდრომი მოწმე იყო 1910 წლის ნოემბერში ცნობილი რუსი მფრინავის ს. უტოჩკინის საჩვენებელი გაფრენისა მისი გასტროლების დროს. იგი აფრინდა ამ იპოდრომიდან, შემოუარა თბილისს და აქვე დაეშვა.

დიდუბის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც ამშვენებდა აქაურობას უძველესი დროიდან. თუმცა აქვე უნდა ითქვას, ესაა ფაქტობრივად ახალი ნაგებობა. მისი განახლება დაიწყო 1872 წელს და დამთავრდა 1884 წელს. იგი მაღალი პროფესიული ოსტატობით ნაშენი რენესანსულ-ბაროკოული სტილის ნაგებობა.[3] ეს განახლება მომხდარა თბილისის საზოგადოების შეწირულობით და ინიციატივით.

---

[1] „დროება", 1882, № 39.

[2] „ივერია", 1898, № 53.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V., თბ., 1970, გვ. 824.

...კვირას, 23 სექტემბერს, — ნათქვამია გაზეთ „დროების“ კორესპონდენტის ცნობაში, — აკურთხეს დიდუბის ეკლესია. ეს ეკლესია იმ ძველ ნაშთთაგანია ყამთა-ვითარებას ნახევრობით დანგრეულ-დაქცეული, რომ დაუტოვებია. აქ უკურთხებიათ მეფედ ქართველთა სათაყვანებელი თამარი. ეკლესია აკურთხა ეგზარხოსმა და წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც, სხვათა შორის თამარ დედოფლის სახელიც იყო მოხსენიებული... ეკლესია აღშენებულა სხვადასხვა პირთა შემწირველთა საშუალებითა და საფასით. ხოლო და გულის მოდგინება ყოფილა დეკანოზის იმნაძისა, მღვ. ზედგენიძისა და აზ. გიორგი ქართველიშვილისა.“[1]

XIX საუკუნის ბოლოს აუცილებელი შეიქმნა აგრეთვე ეკლესიის კანკელის შეკეთება. 1897 წლის 6 იულისს „საქართველოს ეგზარხოსმა ელადიმერმა, არქიმანდიტრ ლეონიდისა, დეკანოზ სოლომონ შოშიაშვილისა და სხვათა თანამწირველობით აკურთხა დიდუბის ახლად შეკეთებული კანკელი. შემდეგ ასხურა წმ. წყლით მთელი ეკლესია და წირვა გადაიხადა. წირვის დროს მღვდელმა კალისტრატე ცინცაძემ სიტყვა წარმოსთქვა“.[2]

თავდაპირველად ეს მოკრძალებული სასაფლაო არსებობდა ეკლესიასთან და არაფრით გამოირჩეოდა სხვა ასეთი სასაფლაოებისაგან. 1893 წლის აპრილში, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გადაწყვეტილებით ქალაქ განჯიდან გადმოასვენეს და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი, რომელიც ჩვენი ხალხის ეროვნული გლოვის დღედ იქცა. საფიქრებელია, შემთხვევით არ აურჩევია წერა-კითხვის საზოგადოებას ქალაქის განაპირა სასაფლაო მაშინ, როდესაც თბილისის ცენტრში ან მის ახლო შემოგარენში მრავლად იყო ტრადიციული და მისადგომადაც უფრო ხელსაყრელი სასაფლაოები.

მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმას, რომ ამ დროისათვის არის დიდუბის სასაფლაო და არა პანთეონი. არის მოსაზრება, თითქოს დიდუბის სასაფლაოს პანთეონად გადაკეთება მოხდა გასული საუკუნის 90-იან წლებში, რაც სწორი არ უნდა იყოს მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი შეხედულებით XIX საუკუნის დამლევისათვის უკვე გამოიკვეთა თბილისში პანთეონის შექმნის აუცილებლობა. ამ საზოგადოებრივი აზრის დაჩქარებას ხელი შეუწყო გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსის ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებამ. როგორც ცნობილია, 1893 წლის 10 დეკემ-

[1] „დროება“, 1884 წ. № 207.

[2] „ივერია“, 1897 წ. № 136.

ბერს, თბილისში გარდაიცვალა ალ. ყაზბეგი, აქვე შედგა პანაშვიდი და შემდეგ, გაასვენეს მწერლის მშობლიურ სტეფანწმინდაში. ამასთან დაკავშირებით ცნობილი პუბლიცისტი კოტე მესხი ქუთაისიდან გამოგზავნილ წერილში გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ასეთი პიროვნებისა და ერისკაცის დედაქალაქში არდასაფლავება დიდი ცოდვაა, რადგან ასეთი ადამიანები არც თავის ოჯახს და არც თავის სოფელს არ ეკუთვნიანო. „...თუ ასეა, რატომ დედა-ქალაქში, სადაც ჩვენი ერის მაჯა სცემს, სადაც სძგერს მისი გული, სადაც წარსულის ჩვენი დიდების ნაშთი სხვაც ბევრი გვაქვს — არ გაგვაჩნია ჩვენდა შესაფერისი პანთეონი ან მამადავითისა და ან დიდუბის ეკლესიის ზღუდეთა შორის? ნუთუ სასარგებლო არ იქნება მშვენიერი ქანდაკებით მორთული სამშობლო მოღვაწეთა სასაფლაო ყოველთვის თვალ-წინ გვქონდეს სამაგალითოდ ჩვენ და ჩვენს შემდეგ თაობას?“.[1]

საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფონდში არსებული მასალებით ირკვევა, რომ დიდუბის სასაფლაოს პანთეონად გადაკეთება უფრო გვიან მომხდარა. 1915 წლის 26 მაისს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გამოაქვს განჩინება დიდუბის ეკლესიის გალავანში პანთეონის მოწყობის შესახებ. მ. დედაბრიშვილსა და ი. გიორგობიანს დაევალათ პანთეონის შემოღობვის საქმის მოწესრიგება.[2] განჩინების 23-ე გვერდზე, გამგეობა მოახსენებს საზოგადოების საერთო კრებას დიდუბის ეკლესიის გალავანში ქართველ მოღვაწეთა პანთეონის დაარსების შესახებ და ამას ასაბუთებს შემდეგი აუცილებლობით: „პრინციპულად დროის შესაფერისად აღიარებულ იქნას ქართველ მოღვაწეთა სავანე — მოწყობა დიდუბის ეკლესიის გალავანში. 2. გადაიდოს ათას-ათასი (1000) მანეთი ხუთი წლის განმავლობაში შეძენილ და უკვე შემოღობილ ადგილის შესასყიდლად და დამტკიცებულ იქნას შემოღობვაზე გაწეული ხარჯი 205 მანეთი, რომელიც დაიფაროს 1915 წლის შემოსავლის ნაშთიდან. 3. მიენდოს გამგეობას შეადგინოს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს როგორც არქიტექტურული გეგმა. აგრეთვე ხარჯთაღრიცხვა პანთეონის მოწყობისა და ინსტრუქცია ქონების მართვა-გამგებლობისა“. ზემო მოყვანილი დოკუმენტი უთარიღოა, მაგრამ სხვა საარქივო მასალებთან შეჯერების საფუძველზე, სავარაუდოა, რომ ეს კრება უნდა შემდგარიყო 1915 წლის 21 ნოემბერს. იმავე

---

[1] „ივერია“, 1893, № 272.

[2] საქართველოს სახელმწიფო არქივი. ფ. 481, საქმე 1552, გვ. 12.

წლის 22 დეკემბერს გამგეობას გამოაქვს გადწყვეტილება პანთეონის გეგმის შესამუშავებლად კომისიის არჩევისა. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: გიორგი ყაზბეგი, გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, ანატოლი კალგინი და იაკობ ნიკოლაძე.

1918 წლის 2 ივლისს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ განიხილა საკითხი „ქართველ მოღვაწეთა სავანის მარმარა-გამგებლობის „ნაკაზის“ (გარიგების) პროექტი“, რომელშიც ნათქვამია: „...პანთეონში დაიკრძალება მეცნიერების, ხელოვნების და საზოგადოებრივ სარბიელზე გამოჩენილ მოღვაწეთა ნეშტნი, აგრეთვე იმ ქველმოქმედ პირთა ნეშტნიც, რომელნიც შესწირავენ ეროვნულ საქმეს არა ნაკლებ 10,000 მანეთისა, და აღიმართება ძეგლი იმ ქართველ მეომართა. სახსოვრად, რომელნიც დაიღუპნენ ბრძოლის ველზე განმანთავისუფლებელი ომის 1914 წ. განმავლობაში. უფლება პანთეონში. დაკრძალვისა ეკუთვნის მხოლოდ იმ მოღვაწეთ, რომლებიც აკმაყოფილებენ „ნაკაზის“ პირველი მუხლის მოთხოვნილებას. ამასთან საკითხს სწყვეტს მთავარი გამგეობის, პანთეონის სექცია და თბილისში არსებულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენლობის შეერთებული კრება. პანთეონის ლირსების დასაცავად შეერთებული კრების წევრები ვალდებულნი არიან პირუთვნელად დააფასონ გამსვენებულის ღვაწლი სამშობლოს ერის წინაშე და საკითხი გადაჭრან ფარული კენჭის ყრით, რისთვისაც საჭიროა დამსწრე წევრთა უპირატესობის სურვილი, ვინაიდან პანთეონში ყველა ადგილები საპატიოდ ითვლებიან, ამიტომ პანთეონის მთლიანობის დასაცავად სასაფლაო ადგილები ერთნაირის წესის მიხედვითა და განსაზღვრული ზომით უნდა მიეცეთ“.[1] პანთეონის მარმარა-გამგებლობისათვის შემუშავდა აგრეთვე ინსტრუქციაც, რომელშიაც შენიშვნის სახით ნათქვამია: „სავანეში შეიძლება დაკრძალვა პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწის ნეშტისაც, თუ მას პოლიტიკური მოღვაწეობის გარდა რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის საზოგადოებრივ სარბიელზე, როგორც პუბლიცისტს, მწერალსა ან მეცნიერს“.[2]

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას საგანგებო მოწოდებითაც მიუმართავს ქართველი საზოგადოებისათვის. ეს მოწოდება შეუდგენიათ ქართულ და რუსულ ენებზე. საქართველოს სახელმწიფო არქივში ინახება მანქანაზე დაბეჭდილი მოწოდების ორი ვარიანტი, რომელშიაც ნათქვამია: „დღევანდელი

---

[1] საქართველოს სახელმწიფო არქივი. ფ. 481, საქმე 1667, გვ. 103—104.

[2] საქართველოს სახელმწიფო არქივი. ფონდი 481, საქმე 1667, გვ. 104.

ომის დროს საერთო სამშობლოს დასაცავად ჩვენი პატარა საქართველო გზავნის ბრძოლის ველზე ათასობით და ათიათასობით თავის შვილებს... დიდება გმირთ, რომლებიც გადაურჩებიან ამ საშინელ ომს, მათ ყოფაცხოვრებაზე რასაკვირველია მთავრობა იზრუნვებს. მაგრამ დიდება მათაც, რომელთაც გმირულად დასდვეს თავი სამშობლოს კეთილდღეობისათვის. მათი ნეშტნი მოგვიხმობენ ჩვენ და დაბეჯითებით მოითხოვენ საზოგადოების ყურადღებას... მშობელ — ნათესავ — მეგობართა ქვითინი და ცრემლთა ნაკადულით მოირწყო მათი საფლავი, მაგრამ მრავალ ბრძოლის ველზე დაღუპულ გმირთ ვერ ეღირსათ ეს უკანასკნელი ნუგეში. მათი ძვლები გაფანტულია სპარსეთისა და ოსმალეთის კლდე-ღრეებში, პოლონეთ — ლიტვის მინდვრებზე და კარპატის მთებში, მათი სახელი უნდა აღინიშნოს ჩვენს ისტორიაში. ჩვენ ვალდებულნი ვართ საუკუნო ხსენება შეუთვალოთ მათ.

ქართველნო! ნუ აუხვევთ მამა-პაპათაგან ნაანდერძევ კეთილშობილურ გზას, შეეერთდეთ ერთის გრძნობით, რათა ღირსეულად აღვნიშნოთ სახელი ჩვენი ძმების: რომელთაც დაღვარეს სისხლი სამშობლოსათვის, დაუდგათ მათ ძეგლი, რომელიც გაახსენებს ჩვენს შვილებს, რომ თანამედროვენი აფასებენ თანამოქალაქე — მოძმეთა და მათ დიდებაზე აშენებენ მომავალ ბედნიერებას. პანთეონის მოწყობის გარეგნულ მხარეს შეიმუშავებენ ჩვენი სპეციალისტები, ხოლო განზრახული პანთეონის სიდიდე დამოკიდებულია იმ საშუალებებზე, რომელიც შეგროვდება თანამგრძნობთა მიერ შემოწირვით"[1].

„მოწოდების" ორივე ვარიანტი უთარიღოა. მაგრამ რუსულ ტექსტს გაკრული ხელით აქვს რეზოლუცია, რომლის მიხედვით მიახლოებით მაინც შეიძლება დავადგინოთ თარიღი 1916 წლის 21 მარტი. რუსულსავე ვარიანტს ბოლოში აქვს ორი ასო „Г. К.": როგორც ჩანს გიორგი ყაზბეგი, რომელიც ამ დროს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობის თავმჯდომარე იყო.

ქართველი საზოგადოებრიობა ფართოდ გამოეხმაურა ამ მოწოდებას. გამოგზავნეს შემოწირულები თბილისიდან, ქუთაისიდან, თელავიდან, რაჭის რაიონებიდან. იმავე წლის 3 მარტს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ მოიწვია სხდომა, სადაც აირჩიეს კომისია, რომელიც შეიმუშავებდა ქართველ მოღვაწეთა პანთეონის არქიტექტურულ გეგმას და შეადგენდა ხარჯთაღრიცხვას. პანთეონში მხატვრულ-არქიტექტურული კომპოზიციის

[1] საქართველოს სახელმწიფო არქივი. ფონდი 481, საქმე 1552, ფვ. 9.

შემუშავების მიზნით შეიქმნა ჟიური, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სვ. კლდიაშვილი, გ. ნეპრინცევი და სხვები. გამოქვეყნდა აგრეთვე კონკურსის პროგრამა და პირობები.

1916 წლის 2 ივნისს ჩატარდა კონკურსი, რომელშიც წარმოდგენილი იყო სამი პროექტი — დევიზით: „გრიფონი", „ჩორნი კრუგი" და „კრასნი კრესტი". პირველი ორი პროექტი უფრო ახლოს იყო თემასთან. ხოლო „კრასნი კრესტი" ჟიურიმ დაიწუნა იმის გამო, რომ იგი კომპოზიციურად საეკლესიო ნაგებობას წააგავდა და არა განსასვენებელს, გადატვირთული იყო რთული და არაფრისმთქმელი დეტალებისაგან და მოიხსნა განხილვისაგან. რაც შეეხება „გრიფონს", მისი საერთო კომპოზიცია ჟიურიმ მოიწონა, მაგრამ აღნიშნა, რომ პროექტის პერსპექტიულ გეგმაში არ იგრძნობოდა ძეგლის ძირითადი მიზანი და დანიშნულება, ე. ი. არ იყო გამოკვეთილი ომში დაღუპულ ქართველთა მეომრის სახე. მეორე ძეგლის პროექტიც უამრავი შენიშვნებით დამაკმაყოფილებლად შეაფასეს. ამგვარად, პირველი პრემია მიენიჭა „გრიფონს", რომლის ავტორები იყვნენ ჰ. თ. პრინევსკი და ა. ნ. კალგინი, მეორე პრემია არქიტექტორ ნ. მადათოვს მიენიჭა „ჩორნი კრუგისათვის".[1]

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომელიც თავგამოდებით იბრძოდა პანთეონის ორგანიზაციისათვის, ასევე ერთიანი მხატვრული კომპოზიციის შექმნისათვის, ყოველნაირად ცდილობდა ჩაება ამ საშვილიშვილო საქმეში ქართული კულტურის უფართოესი წრეები. საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცული უამრავი მიმოწერა როგორც ქართველ ხელოვანთა საზოგადოებასთან, ასევე ქალაქის ინტელიგენციასთან ამის მაუწყებელია. ერთ-ერთი ასეთი თხოვნის პასუხად „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება" მისი თავმჯდომარის ამხანაგის დიმიტრი შევარდნაძის სახელით ატყობინებს, რომ საზოგადოებამ რამდენჯერმე განიხილა პანთეონის გეგმები, მაგრამ თავისი აზრი ვერ გამოიტანა ამ საკითხის შესახებ. თურმე ყველა იმას გაიძახოდა „რა დროს ეგ არისო"[2].

პირველი მსოფლიო ომისა და მისი შედეგებისაგან გამოწვეული მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური ფითარების მიუხედავად „ქართველთა შორს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" ერთი წუთითაც არ შეუნელებია პანთეონისადმი ყურადღება. პირიქით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში უფრო თავგამოდებით იბრძვიან თითოეული „საქენი" მიწისათვის.

---

[1] საქართველოს სახელმწიფო არქივი. ფ. 481, საქმე 1552, გვ. 50.

[2] საქართველოს სახელმწიფო არქივი. ფ. 481, საქმე 1552. გვ. 75.

საშუალოდ, მძიმე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ საზოგადოებამ ბოლომდე ვერ გააროთვა თავი მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

კომუნისტური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ეროვნული კულტურისადმი არსებითად შეიცვალა დამოკიდებულება. განადგურდა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლები, იშვიათი ხელნაწერები, ქართული ხუროთმოძღვრების შედევრები, ოქრო-ვერცხლისაგან ნაჭედი ხატები, ჯვრები, ფაქიზი ხელით ნაქარგი ქსოვილები და სხვ. უმკაცრესი ბრძოლა გამოეცხადა თავისუფალ აზროვნებას, საფუძველი ჩაეყარა პარტიული დოგმებისადმი მონურ მორჩილებას. ხშირი იყო იმის შემთხვევებიც როცა რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს შემთხვევითი ადამიანები ხელმძღვანელობდნენ, ხელაღებით უარყოფდნენ ქვეყნის კლასიკურ მემკვიდრეობას და მოითხოვდნენ ახალი ქართული კულტურის „არარაობიდან" შექმნას. სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას ის, რომ თბილისის საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმმა 1928 წლის 9 მაისის დადგენილებით „საფლავებისათვის ადგილების უქონლობის გამო" დახურა რამოდენიმე სასაფლაო, მათ შორის მთაწმინდისა და დიდუბის სასაფლაოები. (დადგენილებაში სწორედ ასეა მოხსენებულნი)[1].

1935 წლის 5 თებერვალს მთაწმინდის პანთეონის მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ქალაქის საბჭო იძულებული გახდა გამოეყო სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პროფესორი სერგი დანელია, მხატვარი დავით კაკაბაძე და მწერალი დავით სულიაშვილი. კომისიამ დაადგინა: „უპირველეს ყოვლისა დიდუბის სასაფლაოდან ნ. ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველასა და გიორგი წერეთლის ნეშტთა გადასვენების შესახებ".[2]

ქალაქის საბჭოს იმდროინდელი მესვეურები ვერ გაერკვნენ, თუ რა პოლიტიკური და ალმზრდელობითი მნიშვნელობა გააჩნია თუნდაც იმ სავანეებს, სადაც განისვენებენ ერის გამოჩენილი ადამიანები და დიდუბის პანთეონი ლიკვიდაციამდე მიიყვანეს. ჯერ ვაკეში გადაასვენეს დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე, შემდეგ ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი პოტო, გრიგოლ ვეშაპელი და სხვ. ამის შემდეგ კი ქალაქის საბჭომ 1938 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით საერთოდ გააუქმა დიდუბის პანთეონი.[3]

---

[1] თბილისის ქალაქის სახელმწიფო არქივი. ფ. 1, საქმე 573, გვ. 30.
[2] თბილისის ქალაქის სახელმწიფო არქივი. ფ. 2, საქმე 445, გვ. 1.
[3] თბილისის ქალაქის სახელმწიფო არქივი. ფ. 1, საქმე 1506, გვ. 3.

თბილისის მესვეურთა ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია ქართველი ინტელიგენციის უკმაყოფილება და სამართლიანი პროტესტი. დიდუბის პანთეონის არსებობის აუცილებლობა კატეგორიული ფორმით მოითხოვეს აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, შალვა დადიანმა, გიორგი ლეონიძემ და სხვ. ჩვენი ეროვნული კულტურის საამაყო შვილების ამ გულისტკივილმა შედეგი გამოიღო. ქალაქის ხელმძღვანელები იძულებულნი გახდნენ, თავი შეეკავებინათ ამ უსაფუძვლო გადაწყვეტილებისაგან, ახალ „შესაძლებლობათა გამონახვამდე". ასე გადაურჩა სრულ მოსპობასა და განადგურებას ერის ღირსეულ შვილთა საფანე.

1945 წელს საქართველოს მთავრობასთან დაარსდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კომიტეტი. რესპუბლიკაში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთელი ქსელი დაექვემდებარა ახლადშექმნილ რესპუბლიკურ კომიტეტს. ქალაქის საბჭოს 1946 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით დიდუბის პანთეონს მიემატა 750 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი, ხოლო „თბილქალაქპროექტს" დაევალა პანთეონის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტის შემუშავება. თითქმის ორი წლის შემდეგ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონები მთაწმინდასა და დიდუბეში გადაეცათ ქალაქის საბჭოს კულტურის განყოფილებას, რომელიც მეტი პასუხისმგებლობით შეუდგა მათი კეთილმოწყობის საქმეს. სულ მოკლე ხანში დიდუბის პანთეონში ჩატარდა დიდი სარემონტო სამუშაოები. აშენდა აგურის ღობე, წესრიგში მოიყვანეს საფლავები, თითოეულ მათგანს გაუკეთდა მარმარილოს დაფები სათანადო წარწერებით, გაიყვანეს შიდა გზები, წყალსადენი და სხვ.

გავიდა დრო, საბჭოთა კავშირში ბევრი რამ შეიცვალა, მოხდა უმნიშვნელო ლიბერალიზაცია, გაჩნდა საშუალება ზოგიერთი საკულტო ნაგებობის შეკეთების თუ რესტავრაციისა. სწორედ ამ დროს საქართველოს სახალხო მხატვარმა ალექსანდრე ბანძელაძემ 1979 წ. აგვისტოში დაიწყო და 1991 წ. დაამთავრა დიდუბის ეკლესიის მოხატვა, რითაც ახალი სული შთაბერა ამ ტაძარს. მადლიერების ნიშნად, მხატვრის გარდაცვალების (14. VI. 1991) შემდეგ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, იგი დაიკრძალა ეკლესიის გალავანში.

...ასეთია მოკლედ დიდუბის ეკლესიისა და „ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა პანთეონის" მოკლე ისტორია.

ორიოდე სიტყვა ჩვენს მიერ გაწეული შრომის შესახებ. წიგნზე ვმუშაობდით თერთმეტი წლის განმავლობაში და დიდძალი მასალა

მოვიძიეთ არქივებში, ბიბლიოთეკებში თუ კერძო ოჯახებში. თუმც, ზოგიერთმა ჩვენთვის გაუგებარი გულგრილობა გამოიჩინა. ხელისშემშლელი პირობები სხვაც ბევრი იყო. ამას დაემატა ჩვენი შეჭირვებული დროის პრობლემები და, საბოლოოდ, ნაშრომი ჩვენთვის სასურველი ფორმით ვერ მივაწოდეთ მკითხველს. კერძოდ, ვერ მოხერხდა ფოტოების (თუნდაც ნაწილის), სასაფლაოს ძველი და ჩვენს მიერ შედგენილი გრაფიკული გეგმის ჩართვა წიგნში და სხვ. აუცილებლად მიგვაჩნია ვაუწყოთ მკითხველს შემდეგიც: დღეის გადასახედიდან ზოგს შეიძლება ეხამუშოს ბევრი რამ, თუნდაც ტერმინოლოგია, ან რაიმე ფაქტი, ან როლმელიმე ბიოგრაფიული მომენტი, ან საბჭოთა ჯილდოების საგულდაგულო ჩამოთვლა და სხვ. ჩვენ ვერც იმის მსაჯულად გამოვდგებით თუ ვინ იყო ღირსი და ვინ არა აქ დასაფლავებისა. ჩვენ დავაფიქსირეთ მხოლოდ არსებული მდგომარეობა. რა გაეწყობა? ასეთია რეალობ ადა ის უნდა მივიღოთ ისე, როგორიც ის არის. ერთი კია — ჩვენ თავი ავარიდეთ მშრალ „ენციკლოპედიურობას“ და ვეცადეთ უფრო მიმზიდველი გაგვეხადა მკითხველისათვის ისე, რომ ფაქტობრივი მხარე არ დაზიანებულიყო.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ასეთი ხასიათის ნაშრომი არაა დაზღვეული ხარვეზებისაგან, რისთვისაც წინასწარ პატიებას ვთხოვთ პატივცემულ მკითხველს, ხოლო ყველა საქმიან შენიშვნას მივიღებთ მადლიერების გრძნობით.

დასასრულ, მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ გამომცემლობა „ხელოვნების“ ყოფილი მთავარი რედაქტორი, აწ განსვენებული პროფესორი ოთარ კასრაძე, რომელმაც შთაგვინერგა ამ წიგნის შექმნის იდეა.

ა ვ ტ ო რ ე ბ ი.

16. XII. 94.

ა ბ ა კ ე ლ ი ა თამარ გრიგოლის ასული. 19. VIII. 1905, დაბადება — 14. V. 1953, თბილისი.

მოქანდაკე, გრაფიკოსი და სცენოგრაფი. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, სადაც მისი ხელმძღვანელები იყვნენ ქართული რეალისტური ქანდაკების ორი დედაბოძი — ი. ნიკოლაძე და ნ. კანდელაკი.

ნიჭიერმა მოქანდაკემ სტუდენტობაშივე მიიქცია ყურადღება. 1927 წლიდან მონაწილეობდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენებში. მის ქმნილებებში მონუმენტურობასა და გმირულ სულთან ერთად იგრძნობა საოცარი ლირიზმი, რაც უფრო ემოციურს ხდის ნაწარმოებს. ამას მოწმობს მოქანდაკის ცნობილი ნამუშევარი, რელიეფური ფრიზი ყოფილი მაქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის ფრონტონზე. იგი ხუთი ძირითადი ნაწილისაგან შედგება და ოსტატურადაა ასახული ხალხის რევოლუციური ბრძოლისა და შრომის რომანტიკული სურათები. აქ ყველაზე უფრო სრულიად გამოჩნდა თამარ აბაკელიას ეპიკური ნიჭი და ჰეროიკული სტილისადმი ლტოლვა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მის მიერ ომის თემაზე შექმნილი კომპოზიციები და მოქანდაკის უკანასკნელი ნამუშევარი ლესია უკრაინკას პორტრეტი, რომელიც სურამში დგას.

თამარ აბაკელია ოსტატურად ფლობდა, როგორც საქრეთელს, ისე ფუნჯსა და ყალამს. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია გრაფიკას. მან შექმნა „ვეფხისტყაოსნის“, „დავით სასუნცის“, ვაჟასა და დავით გურამიშვილის ნაწარმოებთა შესანიშნავი ილუსტრაციები, რომლებშიაც იგრძნობა მხატვრის ხალასი ნიჭი, კოლორისტის რომანტიკული ხელწერა.

თ. აბაკელიას თვალსაჩინო შემოქმედებითი მიღწევები ჰქონდა როგორც სცენოგრაფს. წარმატებით მუშაობდა რუსთაველის, მარჯანიშვილის, ფალიაშვილის სახელობის თეატრებში, იყო ავტორი კოსტუმების ესკიზებისა კინოფილმებისათვის — „არსენა“, „გიორგი საკაძე“, „დავით გურამიშვილი.“.

თ. აბაკელიას საინტერესო შემოქმედების შეფასებისას გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, რთული ისტორიული პირობები, რომელშიაც მოქანდაკეს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, მეორე მხრივ ის გარემოება, რომ იგი ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან და არ დასცალდა სრულად გამოევლინებინა თავისი ხალასი ნიჭი. 1942

წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ა ბ ა შ ე ლ ი (ჩოჩია) ალექსანდრე (ისაკ) ბესარიონის ძე. 15. VIII. 1884, სოფ. საჩოჩიო (ახლანდელი აბაშისპირი) — 27. IX. 1954, თბილისი.

პოეტი. დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში. სწავლობდა აბაშის ორკლასიან სასწავლებელში. ადრე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც 1906 წელს გადაასახლეს სოლვიჩეგოდსკში. 1908 წელს დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობდა „კავკაზისა" და „ნოვაია რეჩის" რედაქციებში. ამ გაზეთებში გამოქვეყნდა პოეტის პირველი ლექსები რუსულ ენაზე. 1910 წელს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში" დაიბეჭდა მისი ლექსები ქართულად. 1913 წელს ალექსანდრე აბაშელმა გამოაქვეყნა პირველი წიგნი „მზის სიცილი", სადაც აისახა 1905—1907 წწ რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული სევდა და ოპტიმისტური იმედები. '20-იანი წლების დასაწყისისათვის პოეტის შემოქმედებაში იგრძნობა დეკადენტური მოტივები. მაგრამ, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარმა ისტორიულმა ძვრებმა, უდიდესი გავლენა მოახდინა პოეტის შემოქმედებაზე. გამოქვეყნდა მისი შესანიშნავი პოეტური ქმნილებები: „თბილისი", „ოქტომბრის ქუხილი", „უკვდავება", „სამშობლოსადმი"; კრებულები: „გაბზარული სარკე", „მზე და სამშობლო" და სხვ. პატრიოტული ლირიკის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ლექსი „ახალ საქართველოს". საბრძოლო მოწოდებათ იქცა ომის პირველსავე დღეს დაწერილი პოეტის შესანიშნავი სიტყვები: „კალამო, მხოლოდ შემუსვრა მტერთა! გადაივიწყე სხვა ყველაფერი!". ა. აბაშელის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, შრომისა და მშვიდობის თემას. მის კალამს ეკუთვნის კრიტიკული წერილები და მცირე ზომის პროზაული ნაწარმოებები. აღსანიშნავია პოეტის, როგორც ტექსტოლოგის ღვაწლი ქართული კლასიკური ლიტერატურული ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკულ შესწავლაში. განსაკუთრებით ეს ითქმის ვაჟა-ფშაველას თხზულებათა პირველი სრული კრებულის მომზადებაში, რომლის რედაქტორიც თვითონ იყო.

ა. აბაშელს ახასიათებდა ჭეშმარიტი ინტელიგენტის ყველა მაღალი თვისება. იგი იყო სანდომიანი გარეგნობისა და ვაჟკაცური სულის ადამიანი. კარგად თქვა პოეტზე მისმა უახლოესმა მეგობარმა კ. გამსახურდიამ: „ამგვარი უაღრესად ჰარმონიული და ფაქიზი

ბუნების ადამიანთა გამო უთქვამს ალბათ რუსთაველს: „სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაქედისაო“.

ალექსანდრე აბაშელი ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი შრომისათვის დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით.

ა ბ ა შ ი ძ ე — ა მ ი რ ა ჯ ი ბ ი ქეთევან ჯიბრაილის ასული.

1877, სოფელი ცხრამუხა, გორის რაიონი — 1969, თბილისი,

პროფესორ კონსტანტინე ამირაჯიბის მეუღლე. დაამთავრა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი. თავის მეუღლესთან ერთად წლების მანძილზე ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სოფელ აკლევში. აქ საკუთარი სახსრებით დარსებულ ხელსაქმის სკოლას ედგა სათავეში. 1902 წლის 24 აგვისტოს სალეწი მანქანის გამოცდის დროს დაკარგა მარჯვენა ფეხი.

1918 წელს ოჯახის თბილისში გადმოსვლის შემდეგ ქეთევან აბაშიძე მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციებში. სამამულო ომის დროს აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა ჰოსპიტლებში, რისთვისაც მან მთავრობის მედლები და მადლობები დაიმსახურა.

ა ბ ა შ ი ძ ე დავით (დოდო) ივანეს-ძე. 1. V. 1924, თბილისი — 27. I. 1990, თბილისი.

კინომსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა ქართული თეატრის ცნობილი მსახიობების ვანიკო აბაშიძისა და ნინო ანდრონიკაშვილის ოჯახში. ამ გარემოებამ იმთავითვე განსაზღვრა მისი მომავალი. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1949 წელს გახდა რუსთაველის თეატრის მსახიობი. წარმატებული დასაწყისის მიუხედავად (ითამაშა გოდუნი „რღვევაში“, გიორგი „ოთარაანთ ქვრივში“, როლერი „უაჩალებში“) დოდომ „უღალატა“ მშობლიურ თეატრს და 1956 წლიდან სამუდამოდ ქართული კინოს მსახური გახდა.

გამოჩენილმა ხელოვანმა ორმოცდაათამდე საუცხოო ეკრანული სახე შექმნა — ბიჭიკო „ჭრიჭინაში“, სოსანა „დიდ მწვანე ველში“, ალექსანდრე „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, აბდუშაჰილი „ბაში-აჩუკში“, ქართული ფეხბურთის პიონერი იასონი „პირველ მერცხალში“, პოლიციის უფროსი „ვერის უბნის შელოდიებში“, ალუდა „ხევსურულ ბალადაში“, დღვერია „თეთრ ქარავანში“, მამამზე ერისთავი „დიდოსტატის მარჯვენაში“, სეთური „დათა თუთაშხიაში“, ყვარყვარე „ყვარყვარე თუთაბერი“ და სხვები.

დ. აბაშიძე თანაბარი ოსტატობით ასახიერებდა სხვადასხვა ჟანრის როლებს. იგი ერთნაირად ძლიერი იყო დრამატიული, კომე-

დიური თუ გროტესკული როლების შესრულებაში. ამის დასტურია არაერთი გამარჯვება საკავშირო კინოფესტივალებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ განსახიერებული როლები ფილმებში „დიდი მწვანე ველი“ და „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, აგრეთვე დიდი პრიზი — „ოქროს ჯიხვი“ იასონის როლისათვის „პირველ მერცხალში“ თეირანის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

დიდებული მოქალაქე და შესანიშნავი აქტიორი მაყურებელს ხიბლავდა ალალი, ხალისიანი ბუნებით, ადამიანური მიმზიდველობით. ამითაც აიხსნება უალრესად დიდი პოპულარობა მშობლიურ ქვეყანაში. უკურნებელმა სენმა, ეს დევკაცი ლოგინს მიაჯაჭვა და ჩამოაცილა საყვარელ საქმეს. გარდაცვალებამდე ზუსტად ერთი წლით ადრე მიცემულ ინტერვიუში, კითხვაზე, რომელი როლი გიყვართ ყველაზე მეტადო, დაფიქრდა და თქვა: ასეთი როლი ჯერ წინ არისო. მაგრამ მის ოპტიმიზმს ასრულება არ ეწერა, იგი ნაადრევად წავიდა ამ წუთისოფლიდან.

ა ბ ა შ ი ძ ე ირაკლი ბესარიონის ძე. 10. XI. 1909, დაბა ხონი — 14. I. 1992, თბილისი.

პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ჟურნალ „ოქტომბრელში“, რედაქტორობდა ჟურნალებს „პიონერი“, „მნათობი“, „ჩვენი თაობა“, სათავეში ედგა გამომცემლობა „სახელგამს“ და საქართველოს მწერალთა კავშირს. 1966 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო მის მიერ დაარსებული ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი.

ი. აბაშიძის ლიტერატურული დებიუტი შედგა 1928 წელს და უკვე მაშინ გამოვლინდა მისი პოეტური ნიჭიერების დამახასიათებელი თავისებურებანი — მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი, მომხიბვლელი ლირიზმი, გამახვილებული პოეტური სმენა, დახვეწილი გემოვნება. უშუალობა, — რომელიც მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა პოეტს. როდესაც ვეხებით მწერლის პირველ ქმნილებებს უნებურად გვახსენდება ჰაინეს სიტყვები: „ჰეშმარიტი ტალანტი პირველადვე ლომის ბოკვერსა შობს და არა კატის კნუტსაო“.

განსაკუთრებულ ცხოველმყოფელობასა და პოპულარობას მიაღწია ი. აბაშიძის პოეზიამ მეორე მსოფლიო ომის წლებში. მის მიერ შექმნილი „კაპიტანი ბუხაიძე“ გადაიქცა ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების ეროვნულ ჰიმნად, მისი ტკივილებისა და სიხარუ-

ლის სიმბოლოდ. პოეტის შემოქმედების ახალი ეტაპია 1960 წელს იერუსალიმში სამეცნიერო მოგზაურობის შედეგად შექმნილი ლექსების ციკლი, რომელიც აისახა წიგნებში „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „პალესტინა, პალესტინა“ (ეს უკანასკნელი აღინიშნა რუსთაველის პრემიით 1966 წელს). ამ ნაწარმოებებმა ახალი ფერებით გაამდიდრა არა მარტო ი. აბაშიძის შემოქმედება, არამედ მთელი ქართული პოეზიაც.

აღსანიშნავია ი. აბაშიძის წვლილი საყმაწვილო ლიტერატურაში. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ლიტერატურულ-კრიტიკული, პუბლიცისტური წერილებისა და მხატვრული ნარკვევების წიგნები. იგი წარმატებით მუშაობდა მხატვრული თარგმნის დარგში. მან მშობლიურ ენაზე ააღერა ა. პუშკინის, ა. მიცკევიჩის, ტ. შევჩენკოს, ლ. უკრაინკას, ი. ვაზოვის, ვ. მაიაკოვსკის, ა. ისაკიანის, კ. ჩუკოვსკის და სხვათა პოეზიის საუკეთესო ნიმუშები.

ირაკლი აბაშიძე დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი წლების განმავლობაში იყო რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე. ცალკე უნდა ითქვას იმ წვლილზე, რომელიც მას მიუძღვის შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს მოწყობაში 1966 წელს უმძიმეს საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში. სწორედ მისმა ავტორიტეტმა შესძლო იმ დაძაბულობის გარღვევა და დიდი ქართველი პოეტის კიდევ ერთხელ საერთაშორისო აღიარება. ეს თავისებური გაგრძელება იყო იმ სამეცნიერო ექსპედიციისა, რომელიც მისი ინიციატივით (აკადემიკოსებთან აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელთან ერთად) შედგა პალესტინის მიწაზე, იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში.

წლების მანძილზე ირ. აბაშიძე მუდამ ღირსეულად წარმოაჩენდა საქართველოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. იგი იყო ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემიის ლაურეატი. მისი ლექსები ნათარგმნი იყო მრავალ უცხოურ ენაზე.

სამშობლომ ღირსეულად დაუფასა გამოჩენილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ღვაწლი. დაჯილდოვებული იყო ლენინის სამი ორდენით ორი შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით, მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ირაკლი აბაშიძის პოეტური ხმა მკაფიოდ გამოირჩეოდა ქართულ პოეზიაში. მან სიცოცხლეშივე დაიკავიდრა საპატიო ადგილი დიდი ქართველი პოეტების გვერდით.

ა ბ ა შ ი ძ ე კიტა (ივანე) გიორგის ძე. 16. I. 1870, სოფელი ლესა, ლანჩხუთის რაიონი — 17. XII, 1917, თბილისი.

პუბლიცისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1889 წელს გაემგზავრა პარიზს, სადაც ისმენდა ლექციებს ფილოსოფიასა და ხელოვნების თეორიაში. 1890—1894 წლებში სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

საშობლოში რომ დაბრუნდა მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე — ჯერ თბილისში, შემდეგ რაჭაში და, ბოლოს ჭიათურაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ — ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრი და ამიერკავკასიის განათლების კომისარია.

როგორც იმდროინდელი ბევრი მამულიშვილი, კიტა აბაშიძეც ადრევე ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი დაუშრეტელი ენერგია ყველაფერს სწვდებოდა. აქტიურად მონაწილეობდა ბანკის საკითხებსა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“, ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას, სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში, როგორც პუბლიცისტი და ლიტერატურის თეორეტიკოსი.

კ. აბაშიძის ესთეტიკური და პოლიტიკური მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ იდეების საფუძველზე. მისმა ლიტერატურულ-კრიტიკულმა მოღვაწეობამ სათავე დაუდო ქართული კრიტიკული აზროვნების ახალ ეტაპს. თავისი ღვაწლით მან ღრმა კვალი დაჩნია შშობლიური ლიტერატურის განვითარებას და საფუძველი ჩაუყარა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის მეცნიერულ შესწავლას. კიტა აბაშიძემ შექმნა ქართული ლიტერატურის პირველი სისტემატური კურსი XIX და XX საუკუნეების ქართული ლიტერატურის განვითარების გზების შესახებ. მანვე შემოიტანა და გაარკვია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის არსებისა და გენეზისის საკითხები.

ცარდა შშობლიურისა, კ. აბაშიძის კვლევის საგანი იყო რუსული და ევროპული ლიტერატურის განვითარების საკითხებიც. ქართულად თარგმნა ფრანგი მწერლების ნაწარმოებები. იგი ავტორია აგრეთვე რუსულ ენციკლოპედიებში შესული სტატიებისა ქართულ ლიტერატურაზე.

სამწუხაროდ ადრე შეწყდა ამ შესანიშნავი კრიტიკოსის, დიდი ერუდიტისა და გულანთებული მამულიშვილის სიცოცხლე.

ა ბ ა შ ი ძ ე ლევან გიორგის ძე. 22. V. 1963, თბილისი — 7. IX. 1992, სოფელი ეშერა, სოხუმის რაიონი.

მსახიობი. აღიზარდა შეცნიერ მუშაკთა ოჯახში. 1980 წელს, თბილისის პირველი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობო ფაკულტეტზე. იგი ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც მას მიანდეს თბილისის კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ლევანის შიერ განსახიერებული მთავარი გმირის როლი ტ. უაილდერის პიესაში „ჩვენი პატარა ქალაქი".

ლ. აბაშიძის კინოდებიუტი შედგა ლ. ღოღობერიძის ფილმში „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", სადაც 14 წლისამ მთავარი გმირის ვაჟიშვილის როლი განახორციელა. ხოლო მთავარი როლი ეკრანზე შეასრულა 1984 წელს გ. შენგელაიას ფილმში „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა", რომელმაც ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე ერთ-ერთი მთავარი პრიზი — „ვერცხლის დათვი" დაიმსახურა. მას შემდეგ ახალგაზრდა მსახიობმა ორ ათეულამდე კინოფილმში მიიღო მონაწილეობა და არაერთი საინტერესო მხატვრული სახე შექმნა. მათ შორის აღსანიშნავია ა. რეხვიაშვილის „საფეხური" (1975 წ.), ტ. კოტეტიშვილის „ანემია" (1988 წ. კიევის საერთაშორისო კინო-ფესტივალზე ლ. აბაშიძე საუკეთესო აქტიორული ნამუშევრისათვის დაჯილდოვდა მთავარი პრიზით) და „ქალაქის ცხოვრება" (1990 წ.), ლ. ღოღობერიძის „ორომტრიალი" (1986 წ.), გ. მგელაძის „ფესვები" (1987 წ.), ტ. კალატოზიშვილის „სკაპენის ოინები" (1985 წ.), კაიდანოვსკის „სტუმარი" (ლენფილმი, 1987 წ.) და სხვ.

სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ლევან აბაშიძე უაღრესად ინტენსიური შემოქმედებითი აღმავლობით ცხოვრობდა. იგი თავისი ნიჭით, ტემპერამენტით, სიყვარულის უნარითა და კაცური სინდისით ნათელი ცხოვრების განსახიერებას წარმოადგენდა. მაგრამ როდესაც აფხაზეთის ავბედითი ტრაგედია დატრიალდა, იგი მისთვის დამახასიათებელი დაუოკებლობით მოხალისედ წავიდა ბრძოლის ველზე საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლების დასაცავად. ლევან აბაშიძე თავის მეგობარ თანამებრძოლებთან ერთად გმირულად შეეწირა სამშობლოს სოფელ ეშერის მისადგომებთან.

ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი გულისტკივილით დაიტირა თავისი საყვარელი მსახიობი, რომელსაც, ახალგაზრდობის მიუხედავად, უკვე ჰქონდა მოხვეჭილი საყოველთაო პოპულარობა თავისი მაღალი პროფესიონალიზმის, დახვეწილი ოსტატობის, უაღრესად ვაქკაცური ბუნებისა და იშვიათი ნიჭიერების წყალობით.

ა ბ ა შ ი ძ ე ტასო (ანასტასია) ვასილის ასული. 17. III. 1881 თბილისი — 15. IX. 1958, თბილისი.

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. პატარა ტასო პირველად მისმა დიდებულმა მშობლებმა მაკო საფაროვამ და ვასო აბაშიძემ აზიარეს სცენას და აქედან მოყოლებული ნახევარი საუკუნის მანძილზე არ მოსცილებია მისი ელვარე ნიჭი ქართულ თეატრს. დაუვიწყარი სახეები შექმნა ქართულ, რუსულ და ევროპულ დრამატურგიაში.

ტასო აბაშიძემ პროფესიული განათლება მიიღო პარიზში. ორი წლის განმავლობაში იგი სწავლობდა ედ. შავანიას სამუსიკო და დეკლამაციის სასწავლებელში. 1899 წელს დამწყები მსახიობი თბილისის დრამატიულ დასში ჩაირიცხა. მისი პარტნიორები იყვნენ ქართული თეატრის კორიფეები: ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, ეფემია მესხი, ვალერიან გუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვანი. ტასომ ბედნიერი თეატრალური ცხოვრებით იცხოვრა. შესრულებული აქვს ასამდე როლი: გაიანე (ა. სუმბათაშვილის „ლალატი“), ნუცა (ვ. გუნიას „აღლუმი“), ბეატრიჩე (უ. შექსპირის „აურზაური არაფრის გამო“), დორინა (მოლიერის „ტარტიუფი“), ეოზეფი (ბაირისა და ვანდერბურხის „პარიზელი ბიჭი“) და სხვ. იგი 1921—1925 წწ მოღვაწეობდა შ. რუსთაველის სახელობის თეატრში, 1926—1927 წწ. ჰიათურის თეატრში, 1933—1948 წწ. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

ტ. აბაშიძე ფართო დიაპაზონის მსახიობი იყო. მონაწილეობდა ოპერეტებსა და საოპერო სპექტაკლებში. მღეროდა კარმენს (ბიზეს „კარმენი“), ქერუბინოს (მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“), ბეტინას (ოდრანის „მასკოტა“), პერიკოლას (ოფენბახის „პერიკოლა“) და სხვ. მისი ყოველი გამოჩენა სცენაზე თავისებური ზეიმი იყო. მსახიობი ამას აღწევდა დიდი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით. ქართული თეატრის აღდგენის ასი წლის თავზე 1950 წელს ტასო აბაშიძე წერდა: „მე ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი ჩემი მშობლიური ქართული თეატრის აღდგენის ასი წლისთავს. მით უფრო, რომ მამაჩემმა ვასო აბაშიძემ — 60 წელი, დედამ მაკო საფაროვა-აბაშიძისამ — 40 წელი და მეც — 50 წელი შევწირეთ ქართული თეატრის კეთილდღეობას“. მართლაც, დედამ, მამამ და შვილმა საუკუნენახევარი „დაჰყვეს“ სცენაზე და უკვდავი სახელი მოიპოვეს ქართული თეატრის ისტორიაში.

ა ბ ა შ ი ძ ე ჰაიდარ ალის ძე. 15. VIII. 1893, ბათუმი — 30. XII. 1965, ბათუმი.

პუბლიცისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. დაწყებითი გა-

ნათლება მიიღო ბათუმში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლაში. 1905—1908 წლებში, სწავლობდა თურქეთში. შემდეგ დაბრუნდა ბათუმში, 1912 წელს დაამთავრა საქალაქო სასწავლებელი და შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ჰაიდარ აბაშიძე მაშინ გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, როცა ილიასა და აკაკის მიერ გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები მკვიდრდებოდა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში.

1913 წლის 17 თებერვალს „ბათუმის გაზეთში“ დაიბეჭდა პატრიოტი ჭაბუკის პირველი წერილი „ხმა მოძმეებს“, სადაც ავტორი ერთიანობისაკენ მოუწოდებდა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს. მისი პუბლიცისტური წერილები ოსმალთა მიერ ძალით გამაჰმადიანებელ ქართველებში აღვივებდა ეროვნულ თვითშეგნებას, ილაშქრებდა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის წინააღმდეგ. ჰაიდარ აბაშიძე, სხვა მამულიშვილებთან ერთად, თაეგამოდებით ებრძოდა ყველა ჯურის გამთიშველებს.

1915 წელს, როდესაც ოსმალეთის ჯარებმა ააწიოკეს აჭარა, მან მამართა სრულიად საქართველოს ხელი გაეწოდებინა ღვიძლი ძმების — აჭარლებისათვის. ამ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურა მთელი საზოგადოებრიობა.

რეაქციულმა ძალებმა იგრძნეს ჰაიდარ აბაშიძის მოღვაწეობის საშიშროება და 1916 წელს აიძულეს იგი დაეტოვებინა აჭარა. ამას სათანადოდ გამოეხმაურა ქართული პრესა. ჰ. აბაშიძეს ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია და მეტი ენერგიით იბრძოდა არა მარტო აჭარის, არამედ სამხრეთ საქართველოს, მთელი სამუსლიმანო საქართველოს დედა სამშობლოსთან შემოერთება-შემომტკიცებისათვის.

„დადგა დრო, — წერდა იგი მოგვიანებით „განახლებულ მესხეთში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „სამუსლიმანო საქართველოს ხალხთა მიმართ“ — ჩვენმა ქართველ მუსლიმანთა მშრომელმა ხალხმაც გამოიღვიძოს, შეიგნოს ეს ყოველივე, მისი ბედი მანვე აიღოს ხელში და საქრისტიანო საქართველოს მშრომელ ხალხთან ძმობა-ერთობით, ხელი-ხელ ჩაკიდებული გასწიონ წინ ტანჯულთა, მაშვრალთა ბედნიერების მოსაპოვებლად.“ ამ სიტყვებში გამოხატულია ჰ. აბაშიძის არა მარტო საზოგადოებრივი მოღვაწეობის, არამედ მთელი ცხოვრების მრწამსი. მან დიდი ენერგია შეალია აჭარაში ქართული სკოლების, ქართული პერიოდიკისა და ქართული წიგნების გამოცემის საქმეს.

საქართველოს არც ადრე აკლდა ასეთი საღი ორიენტაციის მოღვაწეები, მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ ჰ. აბაშიძე

იყო ამ კუთხის წიაღიდან გამოსული და ამიტომ მის სიტყვასა და საქმეს სხვა ფასი ედო. ჰაიდარ აბაშიძემ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა შორის, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა მისმა უახლოესმა ნათესავმა და დიდმა მამულიშვილმა მემედ აბაშიძემ. სწორედ ამიტომ იგი ერთნაირად დაიტირა ბათუმმა, თბილისმა, საქართველომ, და ღირსეულ შვილთა სავანეში მიუჩინა საუკუნო განსასვენებელი.

ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი — ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე ანასტასია დავითის ასული. 29. X. 1883, ქუთაისი — 5. IX. 1968, თბილისი.

პიანისტი, პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი. პირველდაწყებული მუსიკალური განათლება მიიღო ქუთაისში. 1909 წელს დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია. აქედან მოყოლებული დაიწყო მისი ნაყოფიერი საშემსრულებლო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

ა. ვირსალაძე იყო პირველი ქართველი პროფესიონალი პიანისტი ქალი. მისმა უზადო საშემსრულებლო ხელოვნებამ ფართო საზოგადოებრივი აღიარება პოვა. 1926 წელს შემოქმედებითი მივლინებით იყო ბერლინში, სადაც ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას. მან უდიდესი ამაგი დასდო ქართულ პიანისტურ სკოლას, როგორც ამ სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა. ნახევარსაუკუნოვანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე თბილისის კონსერვატორიასა და ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში პროფესორმა ა. ვირსალაძემ მუსიკოს-შემსრულებელთა მრავალი თაობა აღზარდა. მისმა საუკეთესო მოწაფეებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. საკმარისია დავასახელოთ ისეთი ცნობილი პიანისტები, როგორიცაა დიმიტრი ბაშკიროვი, ლევ ვლასენკო, თავისი შვილიშვილი ელეონორა და სხვ.

ა. ვირსალაძე იყო პიანისტთა მრავალი საკავშირო კონკურსის ჟიურის წევრი. მისი თავდადებული მოღვაწეობა ეროვნული მუსიკალური კულტურის საქმეში აღინიშნა ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

ა ბ უ ლ ა ძ ე ბიძინა ვლადიმერის ძე. 15. IV. 1907 წ. ზედა საქარა (ზესტაფონის რაიონი), — 13. III. 1964 წ. თბილისი.

ცნობილი ქართველი ლიტერატორი, მთარგმნელი. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ადრევე გაიტაცა ლიტერატურულმა საქმიანობამ, რამაც მიიყვანა პერიოდიკაში სამუშაოდ. მოგვიანებით ლიტერატურულ საქმიანობას უთავსებდა ჟურნალისტურ მუშაობას. თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესაში, ხელმძღვანელობ-

და ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებებს სხვადასხვა გამომცემლობაში. ზედმიწევნით იცოდა მშობლიური და რუსული ლიტერატურა, რაც აისახა კიდეც მის მთარგმნელობით საქმიანობაში. მას თარგმნილი აქვს რუსი, უკრაინელი, სომეხი და სხვა მწერლები, აგრეთვე რუსულად თარგმნა გრიგოლ ჩიქოვანის, რეზო ინანიშვილის, ედიშერ ყიფიანის, აკაკი ბელიაშვილის, სერგი ჭილაიას ნაწარმოებები. აღსანიშნავია, რომ მანვე რუს მკითხველს გააცნო უშანგი ჩხეიძის მოგონებები კოტე მარჯანიშვილზე და სხვ. ბ. აბულაძემ თარგმნა ძველი ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლები „სიბრძნე ბალავარისა", „ამირან-დარეჯანიანი". იგი იყო ობიექტური და მკაცრი თეატრული კრიტიკოსიც. მას ეკუთვნის მონოგრაფიები კოტე მარჯანიშვილისა და ქუთაისის ლადო ნესხიშვილის სახელობის თეატრებზე.

აბულაძე, თენგიზ ევგენის ძე. 31. I. 1924, ქუთაისი, — 5. III. 1994, თბილისი.

კინორეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ლენინური პრემიის ლაურეატი. დაიბადა ცნობილი ექიმის ოჯახში. 1943—1946 წწ. სწავლობდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. 1953 წელს დაამთავრა მოსკოვში საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (ს. იუტკევიჩის კლასი).

ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა 1943 წელს მშობლიურ 27-ე საშუალო სკოლაში დადგა ვალერიან გუნიას პიესა „და-ძმა". სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა ასევე ახალგაზრდა ხელოვანმა გიორგი ცაბაძემ. დადგმამ საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. იგი რამოდენიმეჯერ უჩვენეს პიონერთა სასახლის სცენაზე, რაც უჩვეულო იყო იმ დროისათვის. ასე დაიწყო შემდგომში გამოჩენილი რეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის პირველი მორიდებული ნაბიჯი დიდი და შინაარსიანი ცხოვრების გზაზე.

თენგიზ აბულაძის სადიპლომო ნამუშევარი იყო კინონარკვევი დიმიტრი არაყიშვილზე. 1953—1955 წწ. რევაზ ჩხეიძესთან ერთად გადაიღო კინონარკვევები: „ჩვენი სასახლე", „ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი" და მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა", რომელმაც 1956 წელს კანის IX საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზი — „ოქროს შტო" დაიმსახურა, ხოლო ედინბურგის საერთაშორისო კინოფესტივალზე პირველი პრემია.

ნიშანდობლივია ის, რომ „მაგდანას ლურჯათი“ დაიწყო ქართული კინოს საერთაშორისო ალიარების ახალი ეტაპი.

1958 წელს მაყურებელმა იხილა თენგიზ აბულაძის „სხვისი შვილები“. ამ ფილმმა იტალიის, ლონდონის, ტაშკენტის, და ჰელსინკის საერთაშორისო კინოფესტივალებზე დიდი გამარჯვება მოიპოვა. 1962 წელს ბრატისლავას საერთაშორისო კინოფესტივალზე პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ამავე პერიოდს მიეკუთვნება რეჟისორის მეტად კოლორიტულ ფერებში გადაწყვეტილი ფილმი „სამკაული ჩემი სატრფოსათვის“.

1974 წლიდან იწყება თენგიზ აბულაძის შემოქმედებაში ახალი ეტაპი. „ვედრება“ იყო კინოტრილოგიის პირველი ფილმი, რამაც უკვდავყო რეჟისორი სამარადისოდ („ვედრებამ“ სან-რემოს საერთაშორისო კინოფესტივალზე 1974 წელს პირველი პრემია დაისაკუთრა). ამას მოჰყვა შეუდარებელი „ნატვრის ხე“ და „მონანიება“, რომლითაც საფუძველი ჩაუყარა ტოტალიტარიზმის სინდრომისაგან საზოგადოების განწმენდის აუცილებლობას, ადამიანის ჩაგვრის ყოველგვარ გამოვლინებასთან ბრძოლას.

დიდმა ხელოვანმა თავისი შეუდარებელი ფილმებით მსოფლიოს გააცნო ქართველი ხალხის კულტურა, ყოფა და ინტელექტი, შეძლო ჩვენს ცხოვრებაში ყოველგვარი მანკიერების არა მარტო აკიცვა, არამედ მისთვის განაჩენის გამოტანაც. სწორედ ამაშია, მისი როგორც შემოქმედისა და მოაზროვნის მარადიული არსებობისათვის დასასრულიც და დასაწყისიც.

ა ბ უ ლ ა ძ ე ილია ვლადიმერის ძე. 24. XI. 1901 წ. ზემო საქარა, ზესტაფონის რაიონი — 9. X. 1968 წ. თბილისი.

მეცნიერი, არმენოლოგი, პალეოგრაფი და ლექსიკოგრაფი, რუსთველოლოგი, ძველი ქართული ენისა და მწერლობის მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა მასწავლებლის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის პირველ გიმნაზიაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრებს შემდეგ, დატოვებულ იქნა ასპირანტურაში სომხურ — ქართულ ფილოლოგიის განხრით. 1933 წელს დაიწყო სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი ასზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართლის ცხოვრების“ უძველესი სომხური თარგმანის გამოცემა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ძეგლის ქართული ტექსტის დადგენისათვის. ჩვენი ეროვნული მეცნიერების შენაძენია აგრეთვე მისი ნაშრომი

„ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი IX—XI საუკუნეებში“. ილია აბულაძემ გამოსცა ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლები: „სიბრძნე ბალავარისა“, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, „საქმე მოციქულთა“, „მამათა სწავლანი“. იოანე მოსხის „ლიმონარი“, ბასილ დიდისა და სხვათა ნაწარმოებები, სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის ორ ტომიანი ტექსტი. მისივე ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოქვეყნდა ქართული ხელნაწერების აღწერილობის 15 ტომი.

ილია აბულაძე ასევე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა რუსთველოლოგიაში. წლების მანძილზე იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი. დიდი ღვაწლი მიუძღვის აზერბაიჯანელთა წინაპრების, ძველი ალბანელების, ანბანს აღმოჩენასა და გამოცემაში. ამ ანბანს მან მიაკვლია 1937 წელს ეჩმიაძინის XV საუკუნის ერთ სომხურ ხელნაწერში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ილია აბულაძის ღვაწლი ძველი ქართული ხელნაწერების მოვლა-პატრონობის, დაცვისა და შესწავლის საქმეში. იგი ამ საქმიანობას შეუდგა ჯერ აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, როდესაც ის განაგებდა ხელნაწერთა განყოფილებას. ნიადაგ ზრუნავდა ამ ფონდების გაზრდა-შემომატებისათვის. მისი მეცადინეობით და უშუალო ხელმძღვანელობით ამ განყოფილების ბაზაზე 1958 წელს ჩამოყალიბდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომელსაც გარდაცვალებამდე თვითონ ხელმძღვანელობდა.

ილია აბულაძე მდიდარ მეცნიერულ გამოცდილებას უშურველად გადასცემდა ახალგაზრდა თაობას; წლების მანძილზე თავაკაცობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტს. 1961 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ნაყოფიერი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიანიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ა ბ უ ლ ა ძ ე იუსტინე ირაკლის ძე. 5. IV. 1874 წ. სოფ. როკითი, ბალდადის რაიონი — 1. VI. 1962 წ. თბილისი.

პროფესორი, მთარგმნელი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, ქართულ — სომხურ — სპარსული ფილოლოგიის გაყოფილებით. 1900 წელს უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა. თბილისში უნივერსიტეტის გახს-

ნისთანავე მიიწვიეს სპარსული ენის ლექტორად, 1932 წელს კი აირჩიეს პროფესორად.

იუსტინე აბულაძე თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე უმწიკვლოდ ემსახურებოდა ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარებას. მოამზადა და გამოსცა სპარსული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლების შაჰნამესა და ვისრამიანის ქართული ვერსიები ლექსიკონებით, ორჯერ — „ვეფხისტყაოსანი" ვრცელი შესავლითა და ლექსიკონით, იგი ქართულ ენაზე სპარსული ენის პირველი სახელმძღვანელოს ავტორია. მის კალამს ეკუთვნის 150 სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც განხილულია ქართული და ირანული კულტურის საკვანძო საკითხები.

იუსტინე აბულაძე კანონზომიერად ითვლება ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ტრადიციული სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

ა გ ა ბ ა ბ ი ა ნ ი რუბენ იაკობის ძე. 30. X. 1911, თბილისი — 6. XII. 1970, თბილისი.

ხუროთმოძღვარი, პოეტი. დაიბადა ცნობილი პედაგოგისა და პოეტის იაკობ აგაბაბის ოჯახში. 1928 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ცნობილი ქართველი მწერლის ნინო ნაკაშიძის ხელშეწყობით განაგრძო სწავლა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე. აკადემიის დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. იგი გარდაცვალებამდე იყო არქიტექტურის კათედრის პროფესორი. 1949 წელს სამეცნიერო შრომისათვის „საქართველოსა და სომხეთის ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობათა კომპოზიცია", მიენიჭა არქიტექტურის დოქტორის სამეცნიერო წოდება.

რ. აგაბაბიანი მეტად ნაყოფიერი მეცნიერი იყო. ამას მოწმობს მისი ოთხი მონოგრაფია და ასზე მეტი მეცნიერული ნაშრომი. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ფუნდამენტური გამოკვლევა „გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება არქიტექტურულ გეგმარებაში", რომელსაც ავტორმა რამდენიმე წელი შეალია. ნაშრომს დიდი გამოხმაურება ქონდა ჩვენშიც და უცხოეთშიც. მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად იგი პრაქტიკოსი ხუროთმოძღვარი იყო — მისი პროექტების უმრავლესობა ხორცშესხმულია.

ცალკე უნდა აღინიშნოს რ. აგაბაბიანის ლიტერატურული მოღვაწეობა. იგი ოთხი პოეტური კრებულის ავტორია. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის სომხურ სექციას.

ა გ ა ბ ე კ ო ვ ა — გ ო ძ ი ა შ ვ ი ლ ი ევგენია სამსონის ასული. 1919, თბილისი — 25. III. 1973, თბილისი.

პიანისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. მუსიკალური განათლება მიიღო თბილისში. დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორია. ერთ ხანს მუშაობდა მოსკოვის კონსერვატორიაში. ომი რომ დაიწყო დაბრუნდა თბილისს და მოღვაწეობდა ამიერკავკასიის ფრონტის წითელი არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში პიანისტ-კონცერტმაისტერად. ამ ანსამბლთან ერთად მოიარა ფრონტისპირა და ზურგში მდგომი შენაერთები, ჰოსპიტლები.

ომის დამთავრების შემდეგ ე. აგაბეკოვა — გოძიაშვილი მუშაობს ჯერ სომხეთის ხოლო 1948 წლიდან საქართველოს ფილარმონიაში, სადაც ყოველმხრივ გამოვლინდა მუსიკოსის მრავალმხრივი ნიჭი.

ქართული ესტრადის მოყვარულთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ე. აგაბეკოვასა და ვასო გოძიაშვილის საესტრადო დუეტი, სადაც იგი მეუღლეს აკომპონიატორობას უწევდა.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ე. აგაბეკოვა პიანისტ-კონცერმაისტერია კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა — თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მეორე სამუსიკო სასწავლებელში. დაჯილდოებული იყო მედლებით.

ა გ ი ა შ ვ ი ლ ი ნიკოლოზ (ნიკა) დიმიტრის ძე. 1. IX. 1903, სოფელი დიხაშხო, ვანის რაიონი — 27, XI, 1984, თბილისი.

მწერალი. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნ. აგიაშვილმა შრომითი საქმიანობა ადრე დაიწყო, ხოლო 1925 წლიდან მოყოლებული მუშაობდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“, ქუთაისის გაზეთ „მუშა და კოლმეურნის“, ჟურნალ „ჩვენი თაობის“ და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციებში პასუხსაგებ თანამშრომლობებზე.

1942—1945 წლებში მწერალი მოქმედ არმიაშია, საფრონტო გაზეთის რედაქციაში მოღვაწეობს, ამავე დროს გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტის მოვალეობასაც ასრულებს.

ომისშემდგომ წლებში ნ. აგიაშვილი მუშაობდა ჯერ „მნათობში“, ხოლო 1963 წლიდან გამომცემლობა „მერანში“ თარგმნილი ლიტერატურის რედაქციის გამგედ.

ლიტერატურული მოღვაწეობა ადრე დაიწყო. 1928 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა მის მიერ თარგმ-

ნილი შანდორ პეტეფის ლექსი. აქედან მოყოლებული ნ. აგიაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, ორიგინალური თუ თარგმნილი ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პეიოდიკაში და გამოდიოდა ცალკეული გამოცემებით.

ქართველმა მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო ნ. აგიაშვილის ბიოგრაფიული რომანი „სერვანტესის ცხოვრება", მონოგრაფია „ალექსანდრე მაკედონელი" და სხვა, ლ. ტოლსტოის, მ. სერვანტესის, ჯეკ ლონდონის, ჟან-ჟაკ რუსოს, კორნეი ჩუკოვსკის და სხვათა მისეული მშვენიერი თარგმანები, მაგრამ მწერლის ცხოვრების მთავარ წიგნად მაინც დარჩა „ჭაბუკებად დარჩნენ მარად" სადაც დიდი სიყვარულით არის გადმოცემული ომისწინანდელი „ჩვენი თაობელები", რომელთა შორის ბევრი სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე, ზოგი კი ჩვენი ცხოვრების უკულმართობამ შეიწირა.

ა გ ლ ა ძ ე (ა ღ ლ ა ძ ე) ილია სიმონის ძე. 1872, თბილისი — 15. VII. 1948, წაღვერი, ბორჯომის რ-ნი.

პუბლიცისტი, მთარგმნელი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ ვერ დაამთავრა — გარიცხეს „მგლის ბილეთით", როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. ახალგაზრდობის მიუხედავად, იგი საკმაოდ მომზადებული შეხვდა ცხოვრების სიძნელეებს. 1894 წლიდან თანამშრომლობს ქართულ პრესაში. ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით 1902 წლამდე მოღვაწეობდა „ივერიაში". შემდეგ მუშაობდა „ცნობის ფურცელში" და სხვადასხვა გაზეთებში. 1908 — 1910 წწ. „დროებისა" და მისი სურათებიანი დამატების რედაქტორია. 1910 წელს დაპატიმრეს და გადაასახლეს, სადაც დაჰყო 1917 წლამდე.

თავადაც კარგი მწერალი, იგი ნიადაგ ზრუნავდა ქართული ლიტერატურის მომავალზე. მისი მზრუნველობით აიდგეს ფეხი მწერლობაში ს. შანშიაშვილმა, გ. ქიქოძემ, ს. ფაშალიშვილმა, მ. გარიყულმა და სხვ.

ილია აგლაძე ფართო დიაპაზონის მოღვაწე იყო. მისი ენერგია ყველა კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას ყოფნიდა. მოღვაწეობდა სახალხო თეატრში, იყო ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრი, მუშაობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში" და სხვ. საბჭოთა პერიოდში ი. აგლაძე გაზეთების „კომუნისტისა" და „ლიტერატურული საქართველოს" თანამშრომელია. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე პარალელურად ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. მან გააცნო ქართველ მკითხველს პუშკინის, ტურგენევის, ჩეხოვის, გორკის მთე-

ლი რიგი ნაწარმოებები. აღსანიშნავია მის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილი ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“.

ნახევარი საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ი. აგლაძე თავდადებულად ემსახურა მშობლიური კულტურისა და მწერლობის განვითარების საქმეს.

აგლაძე რაფიელ ილიას ძე. 29. XII. 1911, თბილისი — 18. IV. 1989, თბილისი.

ელექტროქიმიკოსი და ელექტრომეტალურგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია აგლაძის ოჯახში. სკოლა დაამთავრა თბილისში, ხოლო 1934 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მოგვიანებით მოსკოვის დ. მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურა. აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1939—1941 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის დოცენტი და პარალელურად გადიოდა დოქტორანტურის კურსს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში, სადაც 1944 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

სამამულო ომის დაწყებისთანავე რ. აგლაძე ჩაერთო სამხედრო-სტრატეგიული პრობლემების კვლევის საქმეში. კერძოდ მას დიდი წვლილი მიუძღვის წყალხსნარის ელექტროლიზით წმინდა ლითონური მანგანუმის მიღების ტექნოლოგიის შემუშავებაში, რისთვისაც მეცნიერს 1943 წელს სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

სხვადასხვა დროს გამოჩენილი სწავლული განაგებდა ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიის კათედრას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის დამაარსებელი და პირველი დირექტორი, გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.

რ. აგლაძე 300 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მასვე ეკუთვნის 60-ზე მეტი გამოგონება, რომელთაგან 10-ზე მეტი დაპატენტებულია საზღვარგარეთ. მრავალ საზოგადოებრივ და სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად აღსანიშნავია მისი აქტიური მონაწილეობა რუსულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის დამუშავების, დადგენისა და გამოცემის საქმეში.

მეცნიერის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. დაჯილდოვებული იყო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით.

ადამია ალიო კონსტანტინეს ძე. 20. V. 1914, ბათუმი — 19. X. 1980, თბილისი.

მწერალი, საზოგადო მოღვაწე. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 30-იანი წლების დასაწყისში, როცა დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები, ბალადები, პოემები. 1936 წელს გამოვიდა პოეტის ლექსების კრებული, რომელმაც უმალ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. პირველ წარმატებებს მოჰყვა პოეტური, დრამატული და პროზაული თხზულებები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პოეტური კრებულები: „ქორწილი კოლხიდაში", „მესხეთის გაზაფხული", „სიყვარულისა და სიკვდილის ბალადა". ალიო ადამიას კალამს ეკუთვნის აგრეთვე პროზაული კრებულებიც. მის ნაწარმოებებში მკითხველი ეცნობა საქართველოს ყველა კუთხეს თავისი ჭირითა და ლხინით, გაჭირვებითა და სიხარულით, თვალწინ ცოცხლდება მესხეთის მყუდრო პეიზაჟი, და სვანეთის პირქუში კლდეები, კოლხეთის ლამაზი სანახები და თრიალეთის ეგზოტიკა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მწერლის ბოლოდროინდელი ნაწარმოებები, რომანები: „დიდი და პატარა ეკატერინე", „სიკვდილი ერთი ღღით ადრე".

ალიო ადამიას, როგორც პოეტსა და პროზაიკოსს ახასიათებს მგზნებარე პათოსი და სინამდვილის ზუსტი ცოდნა, პრობლემურობა და მაღალი ლიტერატურული გემოვნება. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ა. ადამია ჩვენში საგამომცემლო საქმის თვალსაჩინო მუშაკად ითვლებოდა, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა გაზ. „კომუნისტის" ლიტერატურულ ნაწილს, გამომცემლობა „ხელოვნებას", გამომცემლობა „მერანის" ქართული ლიტერატურის რედაქციას, გარდაცვალებამდე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში" იყო მთავარ რედაქტორად.

ალიო ადამია ქართველი საზოგადოების მეხსიერებაში დარჩა როგორც მაღალი ზნეობის ადამიანი, გულისხმიერი და სათნო ხასიათის ინტელიგენტი, ახალგაზრდა შემოქმედთა გზის გამკვლევი და დამლოცავი, ბუნებით ხალისიანი და მაღალი გემოვნების მწერალი და ლიტერატორი.

ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე. XII. 1874[1] — 21. V. 1944, შვანდორფი (გერმანია).

იურისტი, ისტორიკოსი, დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე. ზ. ავალიშვილის მამა იყო სამხედრო მოსამსახურე. თადარიგში გასვ-

[1] სხვა ცნობებით დაბადებულია 1875 და 1876 წლებში.

ლის შემდეგ ერთხანს განაგებდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკს. დედა — ეროვნებით შვედი ცნობილი ექიმის ედუარდ პოლმბლატის ქალიშვილი იყო. 1895 წელს დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია და ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1900 წელს I ხარისხის დიპლომით დაამთავრა, ხოლო სადიპლომო ნაშრომისათვის ოქროს მედალი დაიმსახურა. ნიჭიერი ახალგაზრდა, დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად, შეურჩიეს სადისერტაციო თემა და 3 წლით პარიზში მიავლინეს. 1904 წელს ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, შემდეგ მუშაობდა პროფესორად და იურისკონსულტის უფროსის თანაშემწედ იმპერიის ფინანსთა სამინისტროში. იგი ხშირად ჩამოდიოდა სამშობლოში და მისმა დიდმა პრაქტიკულმა მოღვაწეობამ (შეიძინა რამდენიმე მილიონი მანეთის ობლიგაცია) ხელი შეუწყო კახეთის რკინიგზის მშენებლობის დამთავრებას. პეტერბურგში იგი დარჩა რევოლუციამდე. აქტიურად მონაწილეობდა იმ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი ეწეოდა თბილისის უნივერსიტეტის გახსნისათვის. აქვე მიიღო დიდი ივანეს მიწვევა დაეკავებინა პროფესორის თანამდებობა ახლადგახსნილ უნივერსიტეტში. მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა კორექტივი შეიტანა მის ცხოვრებაში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ზ. ავალიშვილი დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩევლის თანამდებობაზე. იგი უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში. 1918 წლის გაზაფხულზე ნიკო ნიკოლაძესთან ერთად ევროპაში მიავლინეს. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ინტერესებმა მისი დიპლომატიური მისია გაახანგრძლივა. 1921 წლის თებერვალში, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი ემიგრაციაში დარჩა, ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას და ეწეოდა მეცნიერულ მოღვაწეობას, კერძოდ გამოიკვლია და დაამუშავა საქართველოს არაერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა. არასოდეს შეუწყვეტია ურთიერთობა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ადამიანებთან. მიმოწერა ჰქონდა ივანე ჯავახიშვილთან, ცდილობდა ამერიკელი მეცნიერების დაინტერესებას არქეოლოგიური გათხრებით საქართველოში და სხვ. ემიგრაციაში ქართულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე გამოიცა მისი წიგნები „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“, „ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი)“, „თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ და სხვ. ევროპული ენების ბრწყინვალე ცოდნა ხელს

უწყობდა მას ეთანამშრომლა ამ ქვეყნების პრესტიჟულ სამეცნიერო ორგანოებში და გამოექვეყნებინა ნაშრომები და სტატიები ჩვენი ქვეყნის ისტორიის კარდინალურ საკითხებზე. ამავე დროს სათანადო კონსულტაციებს უწევდა საქართველოს ცხოვრებით დაინტერესებულ დამიანებს.

ზ. ავალიშვილს ცოლად ჰყავდა მარია ფოგტი, ცნობილი ნორვეგიელი ქართველოლოგის ჰანს ფოგტის ნათესავი, რომელიც 1936 წელს გარდაიცვალა. შემდეგ არც მას უცოცხლია დიდ ხანს. სული დალია პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის ხელში. იგი მიაბარეს ბავარიის მიწას, მაგრამ მადლიერმა ქართველობამ (განსაკუთრებით გერმანიაში მცხოვრები ემიგრანტის ქრისტეფორე კირკიტაძის დიდი მოწადინებით) საბოლოო ძვალშესალაგი მიუჩინა მას სამშობლოში — ზუსტად 49 წლის შემდეგ 1993 წლის 25 მაისს, სამშაბათს, მრავალბარეს ზურაბ ავალიშვილის ნეშტი სანუკვარი დიდების მიწას.

ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი შალვა ილიას ძე. 25. XII. 1902, თბილისი — 17. V. 1957, თბილისი.

დირიჟორი, კომპოზიტორი. 1930 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია ერთდროულად სამი განხრით — საორკესტრო (პროფესორ ა. ილინსკის კლასი), საკომპოზიციო (პროფესორ ს. ბარხუდარიანის კლასი) და სადირიჟორო (პროფესორ მ. ბაგრინოვსკის კლასი), ხოლო 1933 წელს ასპირანტურის სადირიჟორო განყოფილება ეეგენი მიქელაძისა და პროფესორ ალექსანდრე გაუკის ხელმძღვანელობით.

შ. აზმაიფარაშვილმა შემოქმედებითი მოღვაწეობა 1923 წელს დაიწყო. უკრავდა ჯერ სასულე, ხოლო შემდეგ სიმფონიურ ორკესტრში. 1932 წლიდან იყო ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი, 1938 წლიდან 1952 წლამდე მთავარი დირიჟორი. 1943—1953 წწ. სათავეში ედგა საქართველოს რადიოკომიტეტის სიმფონიურ ორკესტრს, ხოლო 1957 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიურ ოკესტრს. შ. აზმაიფარაშვილი იყო მრავალი ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების ინტერპრეტატორი და შემსრულებელი. მისი ხელმძღვანელობით დაიდგა მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“ (1947 წელს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია), ი. გოკიელის „პატარა კახი“, დ. თორაძის „მთების ძახილი“ და სხვ. პარალელურად ეწეოდა ნაყოფიერ საკომპოზიციო შეუშაობას. მას ეკუთვნის ოპერა „ხევისბერი გოჩა“, სიმფონიური პოემა „ყვარლის მთებს“, სიმფონიური სუიტა „ძველი თბილისის

ხურათები", მუსიკალური კომედიები „რაც გინახავს, ველარ ნახავ" და „ნანატრი საქმრო", მცირე და დიდი ფორმის ნაწარმოებები.

ეროვნული მუსიკის ვანვითარების საქმეში გაწეული განსაკუთრებული წვლილისათვის გამოჩენილ დირიჟორსა და კომპოზიტორს 1951 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის, „სპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

ალექსი—მესხიშვილი ვლადიმერ (ლადო) სარდიონის ძე. 16. II. 1857, თბილისი — 24. XI. 1920, თბილისი.

მსახიობი და რეჟისორი. ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიაში ალექსი-მესხიშვილების გვარს განსაკუთრებული ადგილი უჭავია. XIII—XIX საუკუნეების საქართველოში ცნობილი იყვნენ როგორც პოეტები, ბიბლიოფილები, კალიგრაფ-გადამწერები. საისტორიო წყაროებით, მესხიშვილების საგვარეულოს ისტორია ანჩისხატის ეკლესიასთან არის დაკავშირებული. მესხეთიდან გადმოსვენებულ ხატს თბილისში ცოლ-შვილიანათ გამოჰყოლია თავისივე მომველელ-მსახური მღვდელი, რომელსაც სახელად პეტრე რქმევია. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ანჩისხატის ეღვდელ-მსახურის სადაურობამ დაკარგა თავისი პირდაპირი მნიშვნელობა და მისი შთამომავლების გვარსახელი გახდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამავე ეკლესიის დეკანოზის ალექსი მესხიშვილის დამსახურება როგორც მეცნიერისა, „მწერალი ხუცურისა და მხედრულისა", აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის თქმით, იგი შეიძლება ჩაითვალოს XVIII საუკუნის ქართული ნუსხური ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატად.

ალექსი მესხიშვილს ისეთი დიდი აღიარებისათვის მიუღწევია, რომ ერეკლე მეორის თანხმობით მისი სახელი შთამომავლობას გვარად გაუხდია. ამ შესანიშნავი მწერალ-მწიგნობრის შემდეგ იხსენიებიან მესხიშვილები ალექსი-მესხიშვილებად.

ლადოს მამამ სარდიონმა, 1831 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და 1832 წელს რუსეთის სამედიცინო ქირურგიული აკადემიის მოსკოვის განყოფილებაში ჩააბარა მისაღები გამოცდები. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. 1848 წელს წარადგინა სადისერტაციო ნაშრომი და მიანიჭეს შტაბ-დოქტორის წოდება.

სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ითვლებოდა შესანიშნავ ქირურგ-დოსტაქარად, ამასთანავე ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ-მთარგმნელობით მოღვაწეობას. პატარა ლადო თავდაპირველად სწავლობდა თბილისში „კანონიჩის ფრანგულ პანსიონში", შემდეგ

ლეზენდორფის გერმანულ პანსიონში. მშობლების გარდაცვალების შემდეგ იგი ერთხანს კიევის კადეტთა კორპუსის მსმენელია. ორი წლის შემდეგ ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. სამწუხაროდ ავადმყოფობის გამო უნივერსიტეტი ვერ დაამთავრა, სამშობლოში დაბრუნდა და ეწეოდა მასწავლებლობას. პარალელურად მონაწილეობდა რუს სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში.

ლადო მესხიშვილის ნათლობა მშობლიურ სცენაზე 1881 წლის 10 ოქტომბერს მოხდა მანსფელდის პიესაში „შეშლილია". რამდენიმე თვის შემდეგ, 1882 წლის 20 იანვარს ქართული თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა დ. ერისთავის „სამშობლო", რომელშიც ლადო პიესის ავტორის სურვილის თანახმად ლევან ხიმშიაშვილის როლს ასრულებდა. ამ გმირის განსახიერებით მან სამუდამოდ უკვდავყო თავისი სახელი ქართული თეატრის ისტორიაში. 1887 — 1890 წწ. იგი რუსულ სცენაზე გამოდიოდა. 1890 წლიდან 1906 წლამდე ხელმძღვანელობდა ჯერ თბილისის, ხოლო შემდეგ ქუთაისის ქართულ დრამატულ დასებს.

შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად ლადო მესხიშვილი ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი როლი რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში. იგი როგორც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ტრიბუნი ქუთაისის ინტელიგენციას, მოსწავლე-ახალგაზრდობას მოუწოდებდა ცარიზმის დამხობისა და საქართველოს განთავისუფლებისათვის, იბრძოდა ბარიკადებზე ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ჯარების წინააღმდეგ.

1906—1910, 1915—1920 წწ. ლ. მესხიშვილი რუსულ სცენაზე მოღვაწეობდა, ერთხანს მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობია. მართალია მისი დებიუტი კინოში გვიან დაიწყო, მაგრამ ბოლო ხანში შეძლო ოცდაათ ფილმში მონაწილეობის მიღება. მიუხედავად ამ დიდი პოპულარობისა, რომელიც მან მოიხვეჭა რუსეთში, ლადო მესხიშვილის ძირითად ნატვრას მაინც მშობლიური ხელოვნების განვითარება წარმოადგენდა. იგი 40 წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურა ქართულ კულტურას. დადგა 100-ზე მეტი პიესა, ამდენივე განასახიერა კიდეც სცენაზე. იყო ფართოდ ვანათლებული, ხალვერდოვანი ხმით დაჯილდოვებული, უნიჭიერესი ხელოვანი. 1930 წელს, მსახიობს გარდაცვალებიდან 10 წლის თავთან დაკავშირებით მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, ხოლო 1940 წელს ქუთაისის დრამატულ თეატრს მისი სახელი.

ა ლ ე ქ ს ი ძ ე დიმიტრი (დოდო) ალექსანდრეს ძე. 23. II. 1910, თბილისი, — 4. XII. 1984 წ. თბილისი.

რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე და პედაგოგი, სსრკ სახალხო არტისტი, ტარას შევჩენკოს სახელობის პრემიის ლაურეატი. თბილისში დაამთავრა ქორეოგრაფიული სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტში, რომელიც დაასრულა 1934 წელს და მუშაობა დაიწყო რუსთაველის სახელობის თეატრში რეჟისორად. 1959—1964 წწ. იყო ამავე თეატრის მთავარი რეჟისორი. 1964—1970 წწ. მოღვაწეობდა კიევში. ჯერ ივანე ფრანკოს სახელობის თეატრს, ხოლო შემდეგ ლესია უკრაინკას სახელობის რუსულ თეატრს ხელმძღვანელობს. 1970 წელს დ. ალექსიძე საშობლოში ბრუნდება და მუშაობას იწყებს ჯერ კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, ხოლო შემდეგ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ ირჩევენ; რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა.

აღსანიშნავია დოდო ალექსიძის დიდი პოდაგოგიური მოღვაწეობა. 1939 წლიდან მოყოლებული იგი ჯერ შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რეჟისურისა და აქტიორული ხელოვნების კათედრის გამგეა (1950—1951 წწ. ინსტიტუტის დირექტორიც იყო), ხოლო 1966 წლიდან მისი კიევში მოღვაწეობის ბოლომდე კიევის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორია და თეატრალური სტუდიის ხელმძღვანელია.

დოდო ალექსიძე მჩქეფარე ტემპერამენტის ადამიანი, დიდ ხელოვნებაში სანდრო ახმეტელის გვერდით დაწყებული მისი შემოქმედებითი ცხოვრება სავსე იყო ლტოლვით ძიებისა და პროფესიული ოსტატობის სრულყოფისაკენ. მას ხელეწიფებოდა დაედგა როგორც ხალისიანი კომედიები, ფსიქოლოგიური სიმართლისა და რომანტიკული ზეშთაგონების სპექტაკლები, ასევე ღრმა ფსიქოლოგიზმით გაჯერებული დრამები და ტრაგედიები. მის მიერ სხვადასხვა თეატრებში დადგმული სპექტაკლების მარტო ჩამოთვლაც ბევრის მთქმელია: გ. მდივნის „ალკაზარი“ და „საშობლო“, ს. მთვარაძის „გზა-ჯვარედინზე“, ს. ვოლფის „პროფესორი მამლოკი“, სკრიბის „ჭიქა წყალი“, ლოპე დე ვეგას „სხვისთვის სულელი, თავისთვის ქკვიანი“, გოლდონის „საპატარძლო აფიშით“, გ. სუნდუკიანის „პეპო“, დიუმანუასა და დენერის „დონ სეზარ დე ბაზანი“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, მ. მრევლიშვილის „ბარათაშვილი“, ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვა“, ა. პოპოვის „ოჯახი“, დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“ (ვაჟა-ფშაველას მიხედვით), შილერის „დონ კარლოსი“, ა. კორნეიჩუკის „ხსოვნა გულისა“, გო-

გოლის „ქორწინება“, ა. ოსტროვსკის „ტალანტები და თაყვანისმცემლები“, სოფოკლეს „ანტიგონე“ და სხვ. ჭეშმარიტად სალტაპო სპექტაკლად იქცა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, რომელიც რეჟისორმა 1955 წელს რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში დადგა. სპექტაკლში კიდევ ერთხელ გაიბრწყინეს აკაკი ხოროვას, სერგო ზაქარიაძის, აკაკი ვასაძისა და ახალგაზრდა ეროსი მანჯგალაძის ნიჭიერებით გამოძერწილმა ოთხმა ოიდიპოსმა. დ. ალექსიძემ თავისი შეშფოთებებითი ცხოვრების მანძილზე ასორმოცდაათამდე სპექტაკლი დადგა თბილისის, კიევის, ლენინგრადის, ტაშკენტისა და ერევნის სცენებზე. მას, როგორც ჭეშმარიტ ინტერნაციონალისტს დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისში მეგობრობის თეატრის დაარსებაში, ხოლო უკრაინის თეატრალურ ხელოვნებაში გაწეული ღვაწლისათვის 1969 წელს უკრაინის სსრ სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. მასვე ეკუთვნის თეორიული ხასიათის ნაშრომები: „მსახიობის აღზრდის საკითხისათვის“ და „რეჟისორის მეშაობა სპექტაკლზე“.

დოდო ალექსიძე იყო საოცარი პიროვნება, ბრწყინვალე რეჟისორი, მსახიობთა და რეჟისორთა მრავალი თაობის აღმზრდელი, თავმდაბალი, ღირსებით მოსილი ადამიანი, ხალისით, იუმორით აღსავსე, დაუზარელი ენთუზიასტი, თავისი ქვეყნისა და დროის დიდი პატრიოტი.

ალექსიშვილი ნათე მიხეილის ძე. 1910, სოფელი ვეჯინი, გურჯაანის რაიონი 6. XII. 1970, თბილისი.

ისტორიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი. 1930 წელს დაამთავრა სიღნაღის პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო 1933 წელს თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი. ერთხანს მუშაობდა ბაკურციხის სკოლის დირექტორად, შემდეგ ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. ხოლო 1938 წლიდან სწავლა განაგრძო მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1939 წელს გახდა მეცნიერებათა კანდიდატი, ხოლო 1944 წლიდან, სიცოცხლის ბოლომდე სათავეში ედგა თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრას. 1968 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ერთ ხანს იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანი.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად მათე ალექსიშვილი ნაყოფიერ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. იკვლევდა ძველი ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას — სოციალურ-ეკონომიკურსა და მონათმფლობელური იდეოლოგიის საკითხებს. მის კალამს ეკუთვნის მონუმენტური გამოკვლევა „მონობა

და მონათმფლობელური იდეოლოგია ანტიკურ სამყაროში". ფარ-თო სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე, ნაშ-რომში ახლებურად არის გაშუქებული ეპოქის მთელი რიგი საკვან-ძო პრობლემები.

მეცნიერისა და პედაგოგის ღვაწლი აღინიშნა მთავრობის ორ-დენებითა და მედლებით.

ამილახვარი — ეაჩეიშვილი მარიამ გიორგის ასული. 1. IV. 1898. — 21. I. 1979, თბილისი.

პროფესორ ალექსანდრე ეაჩეიშვილის მეუღლე. დაიბადა რუ-სეთ-იაპონიის ომის მონაწილის, პოლკის უფროსის გიორგი დავი-თის ძე ამილახვარის ოჯახში. 1915 წელს დაამთავრა ამიერკავკასი-ის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. 1940—1942 წლებში სწავ-ლობდა უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ოჯახისად-მი მისმა მუდმივმა ზრუნვამ, დიდმა განათლებამ, მშობლიური, რუ-სული და ფრანგული ენების ღრმა ცოდნამ განაპირობა ის, რომ იგი იყო ამ კეთილშობილური, ინტელექტუალური ოჯახის დედაბოძი.

ამირანაშვილი პეტრე ვარლამის ძე. 16. XI. 1907, სო-ფელი ნიგოითი, ლანჩხუთის რაიონი — 26. XI. 1976, თბილისი.

მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი, სსრკ სახალხო არტისტი, სომხეთის სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო და ზ. ფა-ლიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი.

1930 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის (პროფ. ო. ბახუტაშვილ-შულგინას კლასი) დამთავრების შემდეგ მიიწვიეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში სოლისტად. აქედან მოყოლებული თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მო-უღლელად იღვწოდა მშობლიური თეატრის სცენაზე. პ. ამირანა-შვილი ფლობდა საუცხოო ტემბრის ბარიტონს, იყო მეტად სცენი-ური და იშვიათი შრომისმოყვარე. იმისათვის, რომ შექმნა „კომპო-ზიტორის იდეათა შესატყვისი სახე, საკმარისი არ არის შეიცვალო მხოლოდ გარეგნულად, როლთან დაკავშირებით გაიკეთო გრიმი, ჩა-იცვა კოსტიუმი, საჭიროა შინაგანი გარდასახვა, რადგან მხოლოდ გარეგნული გარდასახვა ბუნებრივად ამეღავნებს ტემბრულ ინტო-ნაციურ სალებავების მკვეთრად შეზღუდულ ფორმას. ასეთი მსახი-ობები მოსაწყენი, ერთფეროვანი და ინტერესმოკლებულნი არიან". ამ დებულებით ხელმძღვანელობდა მომღერალი მთელი თავისი ხან-გრძლივი შემოქმედების მანძილზე. მას მიუძღვის დიდი წვლილი ქართული საოპერო ხელოვნების განვითარებაში. იგი იყო თვითმ-ყობადი, მგზნებარე ტემპერამენტის მომღერალი. აღსანიშნაია მის

ზიერ შესრულებული პარტიები ქართველ კომპოზიტორთა ოპერებში: ქაკო (ა. ანდრიაშვილის „ქაკო ყაჩაღი“), ავთანდილი (შ. შველიძის „ამბავი ტარიელისა“, სსრკ სახელმწიფო პრემია, 1947 წ.), გოჩა (შ. აზმაიფარაშვილის „ხევისბერი გოჩა“) და განსაკუთრებით ჩალხია (ო. თაქთაქიშვილის „მინდია“).

პეტრე ამირანაშვილმა შექმნა კიაზოსა და მურმანის დაუვიწყარი სახეები (ზ. ფალიაშვილის „დაისი“ და „აბესალომ და ეთერი“). მაღალი არტისტიზმით და პროფესიული ოსტატობით ასრულებდა დასავლეთ ევროპულ და რუსულ კლასიკურ ოპერებში ისეთ პარტიებს როგორიცაა: ევგენი ონეგინი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), გრიაზნოი (რიმსკი — კორსაკოვის „მეფის საცოლე“), ამონასრო (ვერდის „აიდა“), რიგოლეტო (ვერდის „რიგოლეტო), იაგო (ვერდის „ოტელო“), ფიგარო (როსინის „სევილიელი დალაქი“), ტონიო (ლეონკოვალოს „ჯამბაზები“), სკარპია (პუჩინის „ტოსკა“), და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი წვლილი, რომელიც მომღერალს მიუძღვის 1937 და 1958 წწ. მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადების წარმატებაში. იგი ხშირად გამოდიოდა ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ერევნის, ასევე ირანისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საოპერო სცენებზე.

პეტრე ამირანაშვილი დაჯილდოვებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის სამი ორდენით და მედლებით.

ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი შალვა იასონის ძე. 26. III. 1899, ონში — 9. II. 1957. თბილისი.

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

1917 წელს ფოთის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა ახლად გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ივანე ჯავახიშვილის ექვთიმე თაყაიშვილისა და გიორგი ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით შეუდგა ხელოვნებათმცოდნეობის შესწავლას, განსაკუთრებით დაინტერესდა კედლის მხატვრობით, რომელიც შემდეგ აისახა მის შემაჯამებელ ნაშრომში „ქართული კედლის მხატვრობის ისტორია“. გარდა ამისა მეცნიერმა საყურადღებო გამოკვლევები მიუძღვნა ქართული ოქრომჭედლობის, დასურათებული ხელნაწერების, ტიხრული მინანქრების საკითხებს. შალვა ამირანაშვილის მრავალმხრივი და დაუცხრომელი მეცნიერული

კვლევის შედეგია ჭეშმარიტად კაპიტალური ნაშრომი „ქართული ხელოვნების ისტორია“. მონოგრაფიაში პირველად არის გადმოცემული ქართული კულტურის განვითარების მთლიანი სურათი უძველესი დროიდან მეოცე საუკუნემდე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეცნიერის პედაგოგიური მოღვაწეობა. წლების მანძილზე იგი სათავეში ედგა ხელოვნებათმცოდნეობის კათედრებს ჯერ სამხატვრო აკადემიაში, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შალვა ამირანაშვილმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, რომლის უცვლელი დირექტორი 1939 წლიდან იყო. მისი უშუალო მეცადინეობით მუზეუმს შეემატა მრავალი ექსპონატი, რომლებიც ქართველი ხალხის უძველეს კულტურულ მემკვიდრეობაზე მეტყველებს. როგორც გამოცდილ სამუზეუმო მუშაკსა და აღიარებულ მეცნიერს, მას ერგო პატივი 1945 წელს საბჭოთა მთავრობის მიერ წარგზავნილ ყოფილიყო საფრანგეთში და ჩამოეტანა საშობლოში ბენშევიკების მიერ გატანილი ეროვნული განძი. შალვა ამირანაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს ურთულესი მისია წარმატებით შეასრულა. არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი არაერთხელ იყო არჩეული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მისი ღვაწლი სამშობლოსა და მეცნიერების წინაშე აღინიშნა ლენინის, ორი შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებით და მედლებით.

ამირაჯიბი ბარბარე კონსტანტინეს ასული. 1896—1965 თბილისი.

პროფესორ კონსტანტინე ამირაჯიბის უფროსი ქალიშვილი. იყო თეატრალური მოღვაწე. მუშაობდა ავლევის სცენისმოყვარეთა თეატრში რეჟისორად.

ამირაჯიბი ბარბარე მიხეილის ასული. 1872—1939.

პროფესორ კონსტანტინე ამირაჯიბის და. დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია. დიდხანს მუშაობდა თბილისის კონსერვატორიაში. ითვლებოდა საუკეთესო პედაგოგად, ეწეოდა საკომპოზიციო მოღვაწეობასაც

ბარბარე ამირაჯიბის უმცროსი და ანასტასია იყო გამოჩენილი მხატვრის ვალენტინ სეროვის მოწაფე. ამიტომ ვ. სეროვი მათი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. დიდ ფერმწერს დაუხატავს ტილო „ვარვარა როიალთან“, რომელსაც ერთ-ერთ პრესტიჟულ გამოფენაზე მედალიც დაუმსახურებია.

ა მ ი რ ა ჯ ი ბ ი კონსტანტინე (კოსტა) მიხეილის ძე. 18. XII. 1869, თბილისი — 14. VII. 1948, თბილისი.

მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე. 1894 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დამთავრა ნოვოროსიის (ოდესის) საიმპერატორო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება და დატოვეს ქიმიურ-ტექნიკური კათედრის ასისტენტად პროფესორ ვასილ პეტრიაშვილთან. იმავე წელს მიავლინეს ჯერ პარიზის ეროვნულ აგრონომიულ ინსტიტუტში, შემდეგ ბონში. უცხოეთში მან ორიოდე წელი დაჰყო, რის შემდეგაც დაბრუნდა სამშობლოში და დასახლდა თავის მშობლიურ სოფელ ავლევში (გორის რაიონი). აქვე მოაწყო მეცნიერულ აგრონომიაზე დაფუძნებული სანიმუშო მეურნეობა. მისი ინიციატივით ავლევში დაარსდა სხვადასხვა ამბანაგობა. მანქანების გამქირავებელი პუნქტი, სარემონტო სახელოსნო და სხვა, ხოლო 1907 წელს კ. ამირაჯიბის ინიციატივით გაიხსნა კაბინეტ-ლაბორატორიებით, საცდელ-საჩვენებელი მინდვრებით, ხეხილის ბაღით, ვენახით და ფერმით მოწყობილი ავლევის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, სადაც ახალგაზრდობა განათლებას იძენდა.

ასეთი საქმის წამოწყება მაშინ ადვილი როდი იყო, მაგრამ საქმისა და სამშობლოს სიყვარულმა ყველა სიძნელე დააძლევინა მეცნიერს და სულ მოკლე ხანში ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ მთელი საზოგადოება აალაპარაკა. სწორედ ამიტომ მიიწვია იგი ივანე ჯავახიშვილმა ახლადდარსებულ უნივერსიტეტში, სადაც ნოვატორი — მეცნიერი სათავეში ჩაუდგა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმცოდნეობის კათედრას. მოგვიანებით, 1921 წელს მისი თაოსნობით გაიხსნა აგრონომიული ფაკულტეტი, რომელსაც დიდი ამაგი დასდო. ამავე ხანებში მშობლიურ ენაზე გამოიცა კ. ამირაჯიბის მიერ დამუშავებული ლექციების კურსი სასოფლო-სამეურნეო მექანიკაში.

1927 წელს მეცნიერმა ჩამოაყალიბა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საცდელი სადგური, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩვენში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარების დარგში. 1931 წელს ამ სადგურის ბაზაზე შეიქმნა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კვლევითი ინსტიტუტი, დღეს იგი მის სახელს ატარებს.

1927 წელს კონსტანტინე ამირაჯიბს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1929 წელს, როდესაც უნივერსიტეტს გამოეყო და შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ღვაწლმოსილი მეცნიერი სათავეში ჩაუდგა კათედრას. მას დიდი ამაგი მიუძღვის საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი ტექნიკური რეკონსტრუქციის საქმეში. პროფესორ ა. დიდებულიძესთან ერთად შექმნა

და გამოსცადა ელექტროტრაქტორი, იყო სხვა ბევრი ნოვატორული იღვის ავტორი.

ამავდარ მეცნიერს მინიჭებული ჰქონდა საპატიო აგრონომის, შრომის გმირის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებები, დაჯილდოვებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი რიჩარდ ოლივერის ძე. 10. XII. 1924, თბილისი — 6. VI. 1980, თბილისი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1948 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტში. შემდეგ ხელმძღვანელობდა კლინიკურ-ფუნქციონალურ ლაბორატორიას ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის ინსტიტუტში, 1972 წლიდან კი ქირურგიის ინსტიტუტშია. 1972 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ავტორია 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა.

რიჩარდ ამირეჯიბი იყო თავის დარგის ჩინებული მცოდნე ექიმი და ანგარიშგასაწევი სპეციალისტი, მაღალი რანგის ინტელიგენტი, მრავალი საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მონაწილე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სამედიცინო საზოგადოებაში, გამოირჩეოდა პრინციპულობით, გულისხმიერებით და კეთილშობილებით.

ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი ეკატერინე (ცაცა) გიორგის ასული. 22. II. 1889, თბილისი — 16. XI. 1975, თბილისი.

მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი. სწავლობდა თბილისის ეპარქიულ სასწავლებელში. შემდეგ მოსკოვის ს. ვ. ხალიუტინას თეატრალურ სტუდიაში. 1911 წელს დაბრუნდა სამშობლოში. ლადო მესხიშვილმა და ვალერიან გუნიამ მიიწვიეს ქართულ თეატრში, სადაც შედგა მისი დებიუტი — ა. სუმბათაშვილის „ღალატში“. შესანიშნავად განასახიერა ზეინაბის ფსიქოლოგიურად მეტად რთული, ტრაგიკული როლი. ამას მოჰყვა ასევე შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი სახეები: ლედი მაკბეტი („მაკბეტი“), კრუჩინინა („უდანაშაულო დამნაშავენი“) ქეთევანი (დ. ჭრისთავის „ხამშობლო“) და სხვ. ფართო იყო მსახიობის შემოქმედებითი გეოგრაფია. სხვადასხვა დროს იღვწოდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ბაქოს თეატრების სცენებზე და ყველგან დიდი წარმატება ჰქონდა.

1931 წელს ცაცა ამირეჯიბი და მისი მეუღლე ვასო არაბიძე კი-

ნოსტუდიაში მიიწვიეს, სადაც მსახიობმა შეჰქმნა სახეთა მთელი გალერეა ფილმებში: „არშაულა“, „ნახვამდის“, „არსენა“, „ფატიმა“, და სხვა. ამასთან ერთად იგი მხატვრული კითხვის ერთ-ერთი პიონერი იყო საქართველოში. სამსახიობო კარიერის პარალელურად ცაცა ამირეჯიბი, მთელი ოცი წლის მანძილზე დაუცხრომლად მეცადინეობდა რადიოშიც. ამასთანავე იგი წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, სხვადასხვა სტუდიებში ასწავლიდა მხატვრულ მეტყველებას. დაჯილდოვებული იყო მთავრობის ჯილდოებით და საპატიო სიგელებით.

ამირეჯიბი — ქიქოძე ანასტასია (ტასო) გიორგის ასული. 22. XII. 1885, სოფელი ხურვალეთი, გორის რაიონი — 11. X. 1968, თბილისი.

გერონტი ქიქოძის მეუღლე. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი და სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეში აქტიური მონაწილე. კარგად ხატავდა, სწავლობდა მ. თოიძის სამხატვრო სკოლაში. ნიჭიერ მოსწავლეს ფულისხმიერმა აღმზრდელმა მოუხერხა სტიპენდია უმაღლესში სწავლის გასაგრძელებლად. მაგრამ ტასომ იმ მიზეზით, ვაითუ მოლოდინი ვერ გავამართლოო, უარი თქვა დახმარებაზე. შემდეგ თვითონ შეაგროვა ცოტაოდენი თანხა და წავიდა მოსკოვს სტროგანოვების სასწავლებელში, მაგრამ აქ მხოლოდ ერთი წელი დაჰყო, დაბრუნდა სამშობლოში და ხატვას ასწავლიდა თბილისის პირველ საშუალო სკოლაში.

მოგვიანებით მხატვრად მუშაობდა სამედიცინო ინსტიტუტში, პარალელურად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში იღებდა ძველი ხელნაწერების ასლებს.

ამისულაშვილი შალვა ზაქარიას ძე. 15. IV. 1915[1], თელავი — 27, V. 1981, თბილისი.

პოეტი, ბელეტრისტი. 1940 წელს დაამთავრა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი და აქედან მოყოლებული ორმოცი წლის მანძილზე ხელიდან არ გაუგდია კალამი — პატიოსნად ემსახურებოდა მშობლიურ ლიტერატურას. ქართველი მკითხველი კარგად იცნობს მის პოეტურ კრებულებს: „პირველი წიგნი“, „თალარი“, „ძმადნაფიცები“, „ქართული მიწა“, „პოემები“, „წყურვილი“, „ბალადები“ და სხვ. მან საჩინო კვალი დატოვა და ღირსეული სიტყვა თქვა თანამედროვე ქართულ

[1] სხვა მონაცემებით დაბადებულია 14. IV. 1916.

პოეზიაში. სიცოცხლის ბოლო წლებში შალვა ამისულაშვილმა თავია პოეტურ ქმნილებებს ფურცლში ამოუყენა საგულისხმო ბელეტრისტული ნაწარმოებები — პოეტური მოთხრობა „შავი ბუშამბა“ (ფიროსმანზე), ფრონტული მოგონებები და მოთხრობები.

დიდათ დასაფასებელია შ. ამისულაშვილის როგორც გაზ. „კომუნისტისა“ და „ლიტერატურული საქართველოს“ ფანყოფილების ფამგის ღვაწლი. წლების მანძილზე ასევე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა სხვადასხვა ფამომცემლობებში, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში და სახელმწიფო წიგნის პალატაში. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ფამგეობის წევრი. შალვა ამისულაშვილის როგორც ომგადახდილის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ღვაწლი ბევრი ორდენითა და მედლით აღნიშნა.

ა ნ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი — შ ა ვ ი შ ვ ი ლ ი ეთერი ესტატეს ასული. 1907, თბილისი — 16. II. 1988, თბილისი.

ხუროთმოძღვარ მიხეილ შავიშვილის მეუღლე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ეკონომიკის ფაკულტეტები. წლების განმავლობაში მოღვაწეობდა საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოში, შემდეგ იყო დიასახალისი.

ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი — ა ბ ა შ ი ძ ე ნინო დავითის ასული. 15. VI. 1900, გურჯაანი — 21. X. 1983, თბილისი.

მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი. მსახიობების ვანო (ვანიკო) აბაშიძის (1896—1937 წწ.) მეუღლე და დავით (დოდო) აბაშიძის (1924—1990 წწ.) დედა.

დაიბადა ცნობილი კახელი თავადის დავით ანდრონიკაშვილის ოჯახში. დავითს თეთრ დათას უძახდნენ (მისი ბიძაშვილის შავი დათას საპირისპიროდ, რომელიც გამოირჩეოდა გლეხებთან ურთიერთობაში განსაკუთრებული სისასტიკით). ნინოს დედა ჭავჭავაძის ქალი იყო. ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა დიდ ილიასთან. ერთხელ გოგონა სტუმრად ჰყოლიათ პოეტთან მშობლიურ ყვარელში. ბავშვობა და ახალგაზრდობა გურჯაანის უმშვენიერეს გარემოში გაატარა, სამ ძმასთან ერთად ლაღად იზრდებოდა. მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ ნატო ვაჩნაძე, თამარ ჭავჭავაძე, კირა ანდრონიკაშვილი და ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

ნინო ანდრონიკაშვილმა 1931 წელს დაამთავრა აკაკი ფალავას თეატრალური სტუდია და რუსთაველის თეატრში ჩაირიცხა. ჭეშმარიტი წარმატება მოუტანა ფატი მაჩუტაძის როლმა შალვა დადი-

ანის პიესაში „ნაპერწკლიდან“. გარემოს ძირფესვიანმა ცოდნამ, ბუნებრივმა არისტოკრატიზმმა, გარეგნულმა მომხიბვლელობამ და დახვეწილმა მანერებმა, რომელიც უშუალობაში იყო გმირის დაფარულ ანგარებასთან და ცივ ეგოიზმთან სრულყოფილად გამოხატა დრამატურგის ჩანაფიქრი.

ვანიკო აბაშიძის რუსთაველის თეატრიდან იძულებითი წასვლის შემდეგ, მსახიობს მოუხდა ლანჩხუთის დრამატულ თეატრში მოღვაწეობა. შემდეგ კი თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში მოღშაობდა, სადაც 20-მდე როლი შეასრულა. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ფილარმონიის საკონცერტო ჯგუფს. დიდი სამამულო ომის წლებში სათავეში ედგა საშეფო ბრიგადას. კონცერტებს მართავდა ჰოსპიტლებში, ჯარის ნაწილებში, ფაბრიკა-ქარხნებში, რისთვისაც მთავრობის ჯილდოები დაიმსახურა.

ნინო ანდრონიკაშვილმა დიდი, ლამაზი, ამასთანავე მწუხარებით აღსავსე გზა განვლო. იგი ქართველი საზოგადოების მეხსიერებაში დარჩა, როგორც სამაგალითო დედა, მეუღლე, რძალი, სილამაზითა და პატიოსნებით შემკული პიროვნება.

ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ელეფთერ ლუარსაბის ძე. 12. XII. 1910, პეტერბურგი — 9. IX. 1989, თბილისი.

ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა ცნობილი ქართველი ოურისტისა და საზოგადო მოღვაწის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ოჯახში. ერთხანს ძმები ელეფთერი და ირაკლი, შემდგომ ცნობილი მწერალი, მეცნიერი და მსახიობი, სწავლობდნენ თბილისში. ოჯახის პეტერბურგში გადასვლის შემდეგ 1932 წელს ელეფთერმა დაამთავრა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკა-მექანიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო აეროჰიდროდინამიკის ინსტიტუტში. მალე გადმოვიდა თბლისის უნივერსიტეტში და სათავეში ჩაუდგა ექსპერიმენტალური ფიზიკის კათედრას, ხოლო 1951 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორია. ე. ანდრონიკაშვილისათვის როგორც ექსპერიმენტატორი ფიზიკოსისათვის, მეტად ნაყოფიერი გამოდგა ის ოთხოდე წელი (1945—1949 წწ.), როცა იგი კვლევით სამუშაოს ეწეოდა მსოფლიოში სახელგანთქმული ფიზიკოსის ა. ლ. კაპიცას ხელმძღვანელობით. სწორედ აქ ქართველმა მეცნიერმა განახორციელა კლასიკური ექსპერიმენტები ჰელიუმის ზედენადობის უნიკალურ თვისებათა დადგენის მიზნით, რამაც მას საყოველთაო აღიარება მოუხვეჭა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ე. ანდრონიკაშვილმა საფუძველი ჩაუყარა დაბალი ტემპერატურების ფიზიკის შესწავლის საქ-

ბეს. მისი დიდი ძალისხმევით ბიძგი მიეცა ჩვენში კოსმოსური სხეულების ექსპერიმენტულ გამოკვლევათა განვითარებას. ეკანუზრომელია მეცნიერის წვლილი აგრეთვე მყარი სხეულის რადიაციული ფიზიკის პრობლემების დამუშავებაში. ბოლო წლებში გამოჩენილი მკვლევარი ინტენსიურად და წარმატებით მუშაობდა ბიოლოგიური სისტემების თვისებათა კვლევისათვის ფიზიკური მეთოდების გამოყენების პრობლემებზე.

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის დაუცხრომელი და დიდად ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა აღინიშნა სსრ კავშირის ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობით; ლენინის, სამი შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებითა და მრავალი სხვა ჯილდოთი.

ანდრონიკაშვილი ლუარსაბ ნიკოლოზის ძე: 14, II. 1872, სოფ. ოქიო, ახლანდელი ახმეტის რაიონი — 19, XIII, 1939, თბილისი.

იურისტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში იურიდიული განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი, პროფესორი.

თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1892 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად. 1894 წელს დატოვა პეტერბურგი და ცოდნის გასაღრმავებლად გაემგზავრა გერმანიაში — ფილოსოფიის კურსს ისმენდა ჯერ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში კუნო ფიშერთან, ხოლო შემდეგ სტრასბურგის უნივერსიტეტის ვილჰელმ ვინდელბანდთან. პარალელურად ესწრებოდა გამოჩენილი გერმანელი იურისტების ელინეკისა და ლაბანდის ლექციებს სახელმწიფო სამართალში.

1897 წელს ლ. ანდრონიკაშვილი უბრუნდება პეტერბურგს და ორი წლის შემდეგ წარჩინებით ამთავრებს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს. მისი ნიჭი და ფართო განათლება მას საშუალებას აძლევდა აქვე დარჩენილიყო და სპეციალისტად მომზადებულიყო, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია. იგი ჩაეწერა პეტერბურგის ადვოკატურაში და სულ მალე სახელი გაითქვა პეტერბურგში და არა მარტო იმპერიის დედაქალაქში, როგორც ერთ-ერთმა საუკეთესო პოლიტიკურმა ადვოკატმა. თავის კარიერის მანძილზე იყო მონაწილეობდა ისტორიული მნიშვნელობის 100-ზე მეტ პოლიტიკურ სასამართლო პროცესში. მათ შორის აღსანიშნავია ბათუმის დემონსტრაციის საქმე, ლეიტენანტ შმიდტის მეთაურობით აჯანყებულ შავი ზღვის მეზღვაურთა სევასტოპოლის, პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს პროცესები, „ნოვოროსიისკის რესპუბლიკის“,

გრაფ იგნატიევის მკვლელობის, ნიკოლოზ მეორის მკვლელობის მომზადების, ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს“ რედაქტორის ვ. კოროლენკოს საქმეები და სხვ.

ლ. ანდრონიკაშვილი იყო „პოლიტიკური საქმეების დამცველთა ჯგუფის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი, რომელიც დაუღალავ ბრძოლას ეწეოდა მეფის რეაქციულ სასამართლოსთან. იურიატის მაღალმა პროფესიულმა უნარმა მრავალი პოლიტიკური ბრალდებული იხსნა ჯალათის ყულფისა თუ დევნისაგან.

1906 წელს ლ. ანდრონიკაშვილი აირჩიეს და 12 წლის განძილზე ხელმძღვანელობდა პეტერბურგის ახალგაზრდა ვექილთა თანაშემწეების თეორიულ კონფერენციებს.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ გამოჩენილი ადვოკატის ა. ფ. კონის თავმჯდომარეობით შეიქმნა კომისია, რომელსაც ევალებოდა 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების დამუშავება. კომისიაში შედიოდნენ ცნობილი მეცნიერები: ა. ჟიჟილენკო, ნ. ტაგანცევი და ლ. ანდრონიკაშვილი. მათ დაევალათ პოლიტიკურ და რელიგიურ დანაშაულთა თავების გადამუშავება.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა — კითხულობდა ახალი ფილოსოფიის კურსს ტულის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სახალხო-ამართლო მეწერმეტყველებას მოსკოვის სიტყვის სახელმწიფო ინსტიტუტში. 1921 წლის ბოლოს იგი ოჯახით ბრუნდება საქართველოში და მოღვაწეობას იწყებს თბილისის უნივერსიტეტში. მან სათავე დაუდო რესპუბლიკაში იურიდიული განათლების საქმეს. თავდაპირველად მხოლოდ მას უხდებოდა ყველა იურიდიული კურსის წაკითხვა. ფართო განათლება და პრაქტიკული გამოცდილება საშუალებას აძლევდა თავი გაერთვა ამ რთული და სპეციალური ამოცანისათვის. ამასთანავე იგი მონაწილეობდა ჩვენში უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების მომზადებაშიც. 1930—1931 წწ. ლ. ანდრონიკაშვილი მიავლინეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰარიმანის კონცესიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა.

სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია გამოჩენილი იურისტის ბრწყინვალე სიტყვებს სასამართლოში ან მისი თეორიული ხასიათის ნაშრომებს. შემონახულია მხოლოდ მის მიერ რუსულად თარგმნილი კუნო ფიშერის „დეკარტე“ და ნათარგმნის მეცნიერული რედაქცია, დარჩენილია ლ. ანდრონიკაშვილის ძირითად იდეათა მხოლოდ მოკლე ჩანაწერები, ლექციების კურსი დანაშაულის ფსიქოლოგიაზე და სიტყვის კულტურაზე. მის დაკრძალვაზე ივანე ჯავახიშვილს უთქვამს: „ლუარსაბ, შენ წახვედი როგორც შესანიშნავი მომ-

ღერალი; წახვედი თან წაიტანე მთელი შენი სიმდიდრე და მომხიბვლელობა“.

ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე დავით იასონის ძე. 3. X. 1895, სოფელი ბახვი, ოზურგეთის რაიონი — 19. XI. 1973, თბილისი.

მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი, სსრკ სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო და ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი.

დავით ანდღულაძემ 1925 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია პროფესორ ე. ვრონსკის კლასი. 1926 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე მოეწყო მისი დებიუტი ვერდის ოპერა „ბალ-მასკარადში“. 1927—1929 წწ. მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის მუსიკალური თეატრის სცენაზე წარმატებით მღეროდა ლევკოს (რიმსკი — კორსაკოვის „მაისის ღამე“), რუდოლფის (პუჩინის „ბოჰემა“), გრიგორის (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“) და სხვ. 1929—1933 წწ. დ. ანდღულაძე მშობლიური თეატრის სცენაზე ასრულებს ქართველი, რუსი და დასავლეთევროპელი კომპოზიტორების ოპერებში ყველა წამყვან პარტიებს. 1933—1935 წწ. მომღერალი დიდი თეატრის დასშია, სადაც განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ განსახიერებული მანრიკო და რადამესი (ვერდის „ტრაბადური“ და „აიდა“), რაული (მეიერბერის „ჰუგენოტები“) ხოზე (ბიზეს „კარმენი“). „დღესაც მესმის ცნობილი სტრეტა „ტრუბადურიდან“ დავით ანდღულაძის შესრულებით“, — წერდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. პეტროვი, 1971 წლის 30 დეკემბერს გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში“. თუმცა დ. ანდღულაძის მოღვაწეობა მოსკოვში ხანმოკლე იყო, მაგრამ მან მაინც თვალსაჩინო კვალი დატოვა დიდი თეატრის ისტორიაში.

1935 წლიდან იგი კვლავ თბილისშია. განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ანდღულაძის წვლილი ქართული ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში 1937 წელს, რომელმაც აბესალომის როლის ბრწყინვალე შესრულებით მსმენელთა ერთსულოვანი აღიარება მოიპოვა. დ. ანდღულაძის პარტნიორი, რსფსრ და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვერა დავიდოვა აღნიშნავს: „ეროვნულ, ქართულ ოპერებს დ. ანდღულაძე მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მღეროდა და ეს ჭეშმარიტად გიგანტური შრომა ოქროს ფურცლად ჩაიწერა ქართული კლასიკური საოპერო ხელოვნების განვითარების ისტორიაში“. 1947 წელს ტარიელის პარტიის (შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“) შესრულებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

დავით ანდღულაძეს ჰქონდა ფართო დიაპაზონის, ძლიერი, ლა-

მაზი ტემპრის დრამატული ტენორი, აქტიორული ნიჭი და მეტად მომხიბლავი სცენური გარეგნობა. მაღალი შინაგანი კულტურა ხელს უწყობდა გმირის განზოგადებული სახის შექმნაში.

ალსანიშნავია დავით ანდღულაძის პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც 1946 წლიდან ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ეწეოდა. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საბჭოთა ვოკალისტ პედაგოგთა შორის. მან აღზარდა მრავალი გამოჩენილი მომღერალი, მათ შორის ზურაბ ანჯაფარიძე, ზურაბ სოტკილავა, ნოდარ ანდღულაძე, ელდარ გეწაძე და სხვ. „ვიცნობ დავით ანდღულაძეს მისი ბრწყინვალე პედაგოგიური მოღწეევებით, მოწაფეებით, რომელთაც სახელი მოუხვეჭეს თავიანთ მასწავლებელსაც და მის პედაგოგიურ მეთოდებსაც. ეს — „ლეგენდარული პროფესორია“, — წერდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ირინა არხიპოვა.

დავით ანადღულაძე დაჯილდოვებული იყო ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ა ნ თ ა ძ ე დოდო კონსტანტინეს ძე. 11. X. 1898, სოფელი ვარძია, ხარაგოულის რაიონი — 19. IV. 1978, თბილისი.

რეჟისორი და თეატრალური ხელოვნების მოღვაწე, კ. მარჯანიშვილის მოწაფე, საქართველოს სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

1919—1920 წწ. სწავლობდა თბილისში ა. ჯაბადარის დრამატიულ სტუდიაში. 1920—1925 წწ. რეჟისორის თანაშემწეა, ხოლო 1925 წლიდან შ. რუსთაველის სახელობის თეატრის რეჟისორია. 1927—1928 წწ. მოღვაწეობს თბილისის მუშათა თეატრში, ხოლო შემდეგ ხელმძღვანელობს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრს. 1928—1933 წწ. დოდო ანთაძე ქუთაისში კოტე მარჯანიშვილის მიერ დაარსებულ თეატრშია, რომელთანაც ერთად არა ერთი საინტერესო სპექტაკლი დადგა. 1933—1938 წწ. მუშაობდა თბილისის კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში. 1938 წელს დაინიშნა ქუთაისის თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად, რომელმაც სულ მოკლე ხანში შეძლო დასის დაკომპლექტება და სეზონისათვის რეპერტუარის მომზადება. 15 წლის მანძილზე ედგა იგი ამ თეატრს სათავეში. აქ მან განახორციელა არა ერთი საეტაპო მნიშვნელობის სპექტაკლის დადგმა. როგორიც იყო: შექსპირის „მეფე ლირი“, მ. გორკის „მტრები“, გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ლადო კეცხოველი“, ვ. დარასელის „კიკვიძე“ და სხვ. აქვე ჩაუყარა საფუძველი ქუთაისის თოჯინების თეატრს.

1952—1957 წწ. დ. ანთაძე ა. გრიბოედოვის თეატრს ხელმძღვანელობს, 1957—1962 წწ. შ. რუსთაველის სახ. თეატრის დირექტორია, სადაც დაიწყო მისი დიდი თეატრალური მოღვაწეობა. 1962 წელს აირჩიეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ. 12 წელი ხელმძღვანელობდა იგი ამ მეტად საპატიო ორგანიზაციას, უანგაროდ ემსახურებოდა ქართული ხელოვნების განვითარების საქმეს.

დ. ანთაძის რეჟისორული ხელოვნება მკაფიო იდეური მიმართულებებითა და მხატვრული ჩანაფიქრის მთლიანობით ხასიათდება. მის სარეჟისორო შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი თანამედროვეობის ამსახველ სპექტაკლებს ეჭირა, დიდ ყურადღებას ანიჭებდა ქართული ორიგინალური პიესების დადგმას.

1962—1966 წწ. დოდო ანთაძემ გამოაქვეყნა ორ ტომად შემუავრები „დღენი ახლო წარსულისა". წიგნში საინტერესოდ არის გადმოცემული ოციანი წლებიდან მოყოლებული ქართული თეატრალური ცხოვრების ძირითადი მომენტები, მისი უანგარო სამსახური ეროვნული ხალხის წინაშე.

ანთაძე — ნაკაშიძე ნინო იოსების-ასული. 14. I. 1872, სოფელი ბახვი, ოზურგეთის რაიონი — 2. VII. 1963, თბილისი.

მწერალი და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა თბილისის საბებიო ინსტიტუტი და მალე თავის მეუღლესთან, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა და პუბლიცისტთან ილია ნაკაშიძესთან ერთად მოსკოვს გადავიდა საცხოვრებლად. აქ მათ დაჰყვეს 1903 წლამდე. ამ პერიოდში გამოქვეყნდა ახალგაზრდა მწერლის პირველი ნაწარმოებები.

1904 წელს მარიამ დემურიამ და ნინო ნაკაშიძემ საბავშვო ჟურნალის „ნაკადულის" გამოცემა ითავეს. ამ ჟურნალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გაამართლა მოწინავე ქართველი საზოგადოების მოლოდინი და იჭცა ქართველი ბავშვების ცოდნისა და განათლების წყაროდ. სწორედ აქ მუშაობისას დაინტერესდა ნ. ნაკაშიძე საყმაწვილო ლიტერატურით და პირველი ნაბიჯებიც აქვე გადადგა. იგი მთელი თავისი შემოქმედებით ებრძოდა ყოველივეს, რაც ნორჩი თაობის სულს ამახინჯებდა, იზიარებდა ლ. ტოლსტოის პედაგოგიურ შეხედულებებს, რომელსაც პირადად იცნობდა და ეს ნაცნობობა ასახა კიდეც მოგონებებში დიდ მწერალზე.

ნინო ნაკაშიძის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პიესაც. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვინ არის დამნაშავე?". ამაგდარი მოღვაწე ქართული საბავშვო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელია.

მწერალი ქალის დამსახურება აღინიშნა ორდენებითა და მედ-

ლებით. მაგრამ უმთავრესი და წარუშლელია ის ნათელი ხსოვნა და დიდი სიყვარულია რაც მან ხალხში თავისი ღვაწლითა და ხალასი შემოქმედებით დატოვა.

ანთელავა ნიკოლოზ ვარდენის ძე. 11. IX. 1893, ზუგდიდი — 25. IV. 1970, თბილისი.

გულმკერდის ქირურგიის ფუძემდებელი საქართველოში. 1920 წელს დაამთავრა დონის როსტოვის უნივერსიტეტი და მუშაობა დაიწყო ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში, რომელსაც საქართველოში მეცნიერული ქირურგიის ფუძემდებელი პროფესორი გ. მუხაძე ხელმძღვანელობდა. ერთ ხანს ზუგდიდში მუშაობდა. ქირურგიული მკურნალობის ახალი მეთოდების შესასწავლად ერთი წლით გერმანიაში იყო მიელინებული. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნ. ანთელავა ისევ ზუგდიდშია და განაგრძობს ნაყოფიერ პრაქტიკულ საქმიანობას, პარალელურად ეწევა მეცნიერულ კვლევა-ძიებას. შემდეგ ისევ მიავლინეს ლენინგრადში, პროფესორ ვ. ნ. შევკუნენკოსთან. 1939—1941 წწ. სათავეში ედგა დაღესტნის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრას. 1941 წელს ბრუნდება და საბოლოოდ მკვიდრდება თბილისში, სადაც აგრძელებს პრაქტიკულ-საორგანიზაციო, მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ნიკოლოზ ანთელავა, როგორც პრაქტიკოსი ქირურგი მეტად პოპულარული იყო. მის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი მეცნიერული შრომა და 13 მონოგრაფია. მათში ძირითადად განხილულია ფილტვის ტუბერკულიოზისა და ბრუცელოზის ქირურგიული მკურნალობის საკითხები. მეცნიერმა დაამუშავა ექსტრაპლევრული თორაკოპლასტიკის ახალი მეთოდი, მის ნაშრომს „ფილტვებისა და პლევრის ქირურგია“, ცნობილი ქირურგის ს. ფიოდოროვის სახელობის პრემია მიენიჭა; ნაშრომი „გულმკერდის ორგანოთა ქირურგია“ გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე. მეცნიერის პრაქტიკულ-თეორიული მოღვაწეობის მწვერვალად მიჩნეულია „ფილტვების დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის მეთოდების დამუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვისათვის“. ნაშრომმა დაიმსახურა ლენინური პრემია.

ნ. ანთელავა იყო ქირურგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრი, ქირურგთა საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილი წევრი, პიემონტის (იტალია) ქირურგიული საზოგადოების საპატიო წევრი, ჩეხოსლოვაკიის პურკინიეს სახელობის საზოგადოების საპატიო წევრი, ჟურნალების — „ხირურგია“, „გრუდნაია ხირურგია“ და „სოვეტსკაია მედიცინის“ სარედაქციო საბჭოების წევრი. იგი

1962 წლიდან იყო სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 1957 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. დაჯილდოვებული იყო ლენინისა და წითელი დროშის ორდენებით.

ა ნ თ ე ლ ა ვ ა ჯიმშერ (ჯიმი) ნიკოლოზის ძე. 3. VI. 1928, თბილისი — 5. XII. 1987, თბილისი.

ოფთალმოლოგი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, ხოლო ასპირანტურის კურსი მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში გაიარა, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და აქვე დარჩა სამუშაოდ რამოდენიმე ხანს.

1958 წელს გადმოვიდა თბილისში, მალე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1972 წლიდან სათავეში ჩაუდგა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრას. მისი ინიციატივით აშენდა ახალი რესპუბლიკური თვალის სნეულებათა საავადმყოფო, რომლის ბაზაზე შეიქმნა რესპუბლიკის ოფთალმოლოგიური ცენტრი.

ჯ. ანთელავას კალამს ეკუთვნის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი ოფთალმოლოგიის საკითხებზე, მათ შორის 3 ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევაა.

ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღზრდილი, დახვეწილი ინტელიგენტი, მშობლიური ერის უსაზღვროდ მოსიყვარულე, გარდაიცვალა შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში.

ა ნ თ ი ძ ე — მ ე ლ ი ა ვ ა მანანა ვასილის ასული. 23. VIII, 1933 ჭიათურა — 19. II. 1994, თბილისი.

კინორეჟისორ თამაზ მელიავას მეუღლე. თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 25 წლის მანძილზე აქვე ასწავლიდა არქიტექტურის საფუძვლებს. იყო ამავე აკადემიის დოცენტი.

ა ნ ფ ი მ ო ვ ი იაკობ ათანასეს ძე. 29. X. 1852, ქ. სევსკი, ორიოლის გუბერნია — 11. II. 1930, თბილისი.

ნევროპათოლოგი და ფსიქიატრი, დამსახურებული პროფესორი. დაიბადა მღვდლის ოჯახში. სწავლობდა სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგს. და 1873 წელს ჩააბარა უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. მასთან ერთად სწავლობდა მომავალში ცნობილი ფიზიოლოგი ი. პავლოვი. ისინი უსმენდნენ ისეთ ცნობილ პროფესორების ლექციებს,

როგორებიც იყვნენ ი. სეჩენოვი, დ. მენდელეევი, ა. ბუტლეროვი და სხვანი.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დანიშნეს ბუნებისმეტყველების მასწავლებლად ორენბურგში. მაგრამ აქ მომხდარმა ერთმა უსიამოვნო შემთხვევამ აიძულა ახალგაზრდა მასწავლებელი დაეტოვებინა აქაურობა და დაბრუნებულიყო პეტერბურგში სადაც იგი მიიღეს სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის მესამე კურსზე. აკადემიის დამთავრების შემდეგ ი. ანფიმოვს ნიშნავენ თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში ორდინატორად. 1885—1892 წწ. პეტერბურგშია, სამხედრო ფსიქიატრიისა და ნერვიულ სნეულებათა კათედრაზე ჯერ იყო ორდინატორად და ასისტენტად, ხოლო სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ პრივატ დოცენტად. 1892—1894 წწ. განაგებდა ტომსკის უნივერსიტეტის ნერვიულ სნეულებათა და ფსიქიატრიის კათედრას, 1894 წლიდან კი 25 წლის მანძილზე ხარკოვის უნივერსიტეტის ნევროპათოლოგიისა და ფსიქიატრიის კათედრის ხელმძღვანელია.

1920 წელს ი. ანფიმოვი აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნერვიულ სნეულებათა კათედრის გამგედ, სადაც მან დაჰყო 1925 წლამდე. როგორც ყოველთვის, იგი აქაც მუშაობდა მუყაითად და დიდი ენერგიით. მაგრამ აქ გამოვლინდა დიდი მეცნიერის მაღალი კეთილშობილური თვისებები. 1925 წლის სექტემბერში განცხადებით მიმართა უნივერსიტეტის რექტორს გადადგომის შესახებ და ადგილი დაუთმო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ს. ნ. ყიფშიძეს. ამ თავის კეთილშობილურ გადაწყვეტილებას ასაბუთებდა იმით, რომ ქართველ სტუდენტებს მშობლიურ ენაზე მოესმინათ ლექციები ნევროპათოლოგიაში. სამკურნალო ფაკულტეტმა დაკმაყოფილა ი. ანფიმოვის თხოვნა, გადაუხადეს დიდი მადლობა და ნება დართეს წაეკითხა ლექციები საკვანძო საკითხებზე, შეუნარჩუნეს ადრინდელი ხელფასი.

პროფესორ ი. ანფიმოვის კალამს ეკუთვნის 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. იგი იკვლევდა თავის ტვინის ტრავმებს, ვეგეტატიური ნერვიული სისტემის დაავადებებს. მან გაამდიდრა ნევროპათოლოგია და ფსიქიატრია რიგი ახალი აღმოჩენებით.

თბილისში მოღვაწეობის დროს მეცნიერმა 10 შრომა გამოაქვეყნა, აქედან ერთი ქართულად, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენს მეცნიერებაში". იგი იყო კავკასიის სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარე, ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის წევრი და სხვ.

ი. ანფიმოვისადმი დიდი პატივისცემის დამადასტურებელია ისიც, რომ 1952 წელს ქართველმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა

მეცნიერის დაბადებიდან 100 წლისთავი. სიტყვებით და გულთბილი მოგონებებით გამოვიდნენ მისი მოსწავლეები და უმცროსი კოლეგები, აკადემიკოსები: ა. ნათიშვილი, პ. ქავთარაძე, პ. სარაჯიშვილი და სხვები.

იმ სახელოვან რუს მოღვაწეთა შორის, ვინც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან და ღვაწლიც დასდეს მას, ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უკავია იაკობ ათანასეს ძე ანფიმოვსაც.

ა რ ა ბ ი ძ ე ვასილ (ვასო) ოქროპირის ძე. 21. II. 1881, ზესტაფონი — 8. III. 1951, თბილისი.

თეატრისა და კინოს მსახიობი, რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. სრულიად ახალგაზრდა ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. 1902 წელს გადაასახლეს. საიდანაც გაიქცა და მოხვდა მოსკოვში. მან აქ შეადგინა ქართველ მებრძოლთა რაზმი, რომელიც აქტიურად იბრძოდა 1905 წლის რევოლუციის ბარიკადებზე. ამ დროს დაუახლოვდა სახელგანთქმულ რუს მომღერალს თ. შალიაპინს.

ვ. არაბიძე 1908 წლიდან მუშაობდა ქართულ პროფესიულ თეატრში. მისი ამპლუა იყო სახასიათო და დრამატული როლები — ჯიბო (შ. დადიანის „გუშინდელნი“), მოხუცი მოორი (შილერის „ყაჩაღები“), დარისპანი (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“), და სხვ.

დიდი ვასო არაბიძისა და მისი მეუღლის ცაცა ამირეჯიბის ღვაწლი ქართული თეატრისა და კინოს წინაშე. იგი მონაწილეობდა პირველ ქართულ მხატვრულ ფილმ „ქრისტინეში“, სადაც მამის ხაინტერესო სახე შეჰქმნა. მოგვიანებით კი ითამაშა კინო-ფილმებში: „სურამის ციხე“, „მამის მკვლელი“, „ბელა“, „უცანასკნელი ჯვაროსნები“, „დავით გურამიშვილი“ და სხვ.

საგანგებოდ აღსანიშნავია არაბიძეების ოჯახის წვლილი ზესტაფონის თეატრალურ ცხოვრებაში. აქ ეზიარნენ საყვარელ ხელოვნებას და გადადგეს პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები შემდგომში ქართული თეატრისა და კინოს ისეთმა კორიფეებმა, როგორებიც იყვნენ უშანგი ჩხეიძე, სერგო ზაქარიაძე, დოდო ანთაძე.

ა რ ა გ ვ ი ს პ ი რ ე ლ ი (დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი) შიო ზაქარიას ძე. 4. XII. 1867, სოფელი ქაისხევი დუშეთის რაიონი — 2. I. 1926, თბილისი.

მწერალი. სწავლობდა ჯერ დუშეთის, შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებელში. უკიდურესად გაჭირვებულმა მაინც მოახერხა 1890 წელს შესულიყო ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში.

აქ იგი აქტიურად ჩაება ქართველ სტუდენტთა მიერ დაარსებულ „საქართველოს განთავისუფლების ლიგაში“, რომელშიც მონაწილეობაც მას ძვირი დაუჯდა — იგი დაპატიმრეს და 9 თვე გაატარა ჯერ ვარშავის, შემდეგ ქუთაისის ციხეებში. 1895 წელს დაამთავრა და საშუბლოში დაბრუნდა როგორც ბეითალი.

მწერლობაში პირველი ნაბიჯები მან პიესებით დაიწყო, ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლისას, როცა დაწერა კომედიები. 1990 წელს ჟურნალმა „ჯეჯილმა“ დაბეჭდა მისი მოთხრობა „ჩემო შვინდაე“. ამის შემდეგ „ივერია“, „მოამბე“, „სახალხო ფურცელი“ და სხვა ქართული პერიოდული გამოცემები, ხშირად აქვეყნებენ მწერლის ნაწარმოებებს.

შიო არაგვისპირელმა ქართული პროზა აიყვანა ახალ საფეხურზე. მან დაამკვიდრა ჩვენს მწერლობაში მცირე ფორმის პროზაული ჟანრები — ფსიქოლოგიური ნოველა, ეტიუდი, ესკიზი, სურათი. აკაკი წერეთელმა შ. არაგვისპირელს „ახალი სკოლის მეთაური“ უწოდა. მის კალამს ეკუთვნის რომანი „გაბზარული გული“.

მწერლის შემოქმედება მრავალპლანიანია — მოიცავს როგორც პატრიოტულ („ჩემი საშობლო ჩემი გულია...“, „მიწაა!!!“), ისე, სოციალურ მოტივებს („სამარცხვინო ბოძთან“, „მიჯაჭვული ამირანი“, „ჩემი ბრალი არ არის ღმერთო!..“, „ჩემო შვინდაე!“ და სხვ).

ა რ ა ყ ი შ ვ ი ლ ი დიმიტრი ეგნატეს ძე. 11. II. 1873 წ., ელადიკაეკაზი — 13. VIII. 1953 წ., თბილისი.

კომპოზიტორი, ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, იგი მუსიკის ისტორიაში შეეიდა არა მარტო როგორც დიდი მასშტაბის მუსიკოსი, არამედ როგორც გამოჩენილი მუსიკათმცოდნე და ეთნოგრაფი, ეროვნული საოპერო და სიმფონიური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, შესანიშნავი პედაგოგ-აღმზრდელი, მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე და თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა ქართული პროფესიული მუსიკის ფუძემდებელთა შორის.

ხიჭაბუკის წლები დ. არაყიშვილმა ჩრდილოეთ კავკასიაში გაატარა. აქ მან 1890 წ. მოუსმინა ლ. ალნიაშვილის ქართული ხალხური სიმღერების გუნდს (ხელმძღვანელი ი. რატილი), რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. დაახლოებით ამ პერიოდში დაწერა მან თავისი პირველი მუსიკალური ნაწარმოებები: რომანსი „ჩემო მკვლელო, ვიცი, ვიცი“ (ლექსი ი. უბეკავაძე) და ქართული ცეკვა ფორტეპიანოსათვის.

1897 წ. „ივერიაში“ დაიბეჭდა მისი პირველი წერილი ქართულ პერიოდიკაში: „როგორ მოვუაროთ ხალხურ სიმღერებს“. 1894 — 1901 წწ. დ. არაყიშვილი სწავლობდა მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო-დრამატულ სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა ა. ილინსკის (კომპოზიცია), ს. კრუგლიკოვის (თეორიული საგნები) და ვ. კესის (დირიჟორობა) ხელმძღვანელობით. მოსკოვშივე, რიგორც უნივერსიტეტის ეთნოგრაფიული საზოგადოების სამუსიკო-ეთნოგრაფიული კომისიის წევრი, ფართო პროპაგანდას უწევდა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს. ამ ხაზით იგი აწყობს ექსპედიციებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში და ფონოგრაფზე იწერს 500-ზე მეტ ხალხურ სიმღერას, რომელიც 3 დიდ კრებულად გამოსცა ვრცელი კომენტარებითა და გამოკვლევით. ამით მან გადაარჩინა და თაობებს შემოუნახა გაქრობის პირას მისული ხალხური საუნჯე.

დ. არაყიშვილმა 1917 წ. დაამთავრა მოსკოვის არქეოლოგიური ინსტიტუტი, ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია, რისთვისაც მიენიჭა სწავლული არქეოლოგის ხარისხი და ოქროს მედალი. მისი მოსკოვში მოღვაწეობა სხვა მხრივაცაა აღსანიშნავი — იგი აქ ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მუშაობას; რუს მუსიკოსებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა „სახალხო კონსერვატორიას“, სადაც თვითონაც ასწავლიდა. 1908 წ. არბატის ულარიბეს მოსწავლეთათვის დააარსა მუსიკალური კურსები. ამავე წელს მისი პირადი თაოსნობითა და ღვაწლით გამოდის პროგრესული ჟურნალი „მუზიკა ი ჟიზნ“ (წლების განმავლობაში დ. არაყიშვილი იყო ამ ჟურნალის რედაქტორი). პარალელურად იგი აქტიური წევრია ა. სუმბათაშვილ — იუჟინის თაოსნობით დაარსებული „მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქართული საზოგადოებისა“. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ს. ტანეევთან, მ. იპოლიტოვ — ივანოვთან, მ. პიატნიცკისთან და სხვ. მოუხედავად ასეთი მრავალმხრივი და დაძაბული საქმიანობისა დ. არაყიშვილი არ ივიწყებს შემოქმედებით შრომასაც — ამ პერიოდში შექმნა მან 20-ზე მეტი რომანსი, სიმფონიური სურათი, საგუნდო ნაწარმოები, ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. 1904 წელს შექმნილი ეს ოპერა, 1919 წლის 5 თებერვალს დაიდგა თბილისის საოპერო სცენაზე და ამ ნაწარმოებით იწყება ქართული ეროვნული ოპერის სცენური ისტორია.

1918 წელს დ. არაყიშვილი საქართველოში დაბრუნდა. იგი მთელი ენერგიით ჩაება ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა კადრების აღზრდის საქმეში. 1921 წელს მან თბილისში დაარსა მეორე კონსერვატორია, რომელთანაც ჩამოაყალიბა საგუნდო კლასი, სიმებიანი კვარტეტი, საოპერო სტუდია. 1923 წელს თბილისში არსებული ორი-

ვე კონსერვატორია გაერთიანდა. 1926—1930 წწ. იყო კონსერვატორიის დირექტორი, კათედრის გამგე, საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანი. 1932 წ. სათავეში ჩაუდგა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს. გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში დ. არაყიშვილი წერდა: „დადგება დრო, როცა ქართული მუსიკა მოქალაქეობრივ უფლებას მოიპოვებს, როცა ქართული ხალხური მუსიკალური კულტურით დაინტერესდება მთელი მსოფლიო". უნდა ითქვას, ამისათვის დიდ მამულიშვილს არ დაუზოგავს არც თავისი ნიჭი და არც თავისი შემოქმედებითი ტემპერამენტი. ყველაფერი ეს უშურველად გაიღო მან თავისი სამშობლოსათვის.

ა რ ღ უ თ ი ნ ს კ ა ი ა — დ ო ლ გ ო რ უ კ ო ვ ა — ა მ ი რ ა ჯ ი ბ ი სოფიო ვასილის ასული. 1. X. 1847, თბილისი — 14. X. 1906, მოსკოვი.

მთარგმნელი, ქველმოქმედი, პროფესორ კონსტანტინე ამირაჯიბის დედა. დაიბადა წარჩინებული თბილისელი სომხის, ვასილ არღუთინსკის ოჯახში. ამ ძირძველ ქალაქელებს, თავადობაც ქართველთაგან ჰქონდათ მიღებული და ამიტომ არღუთაშვილებად იწოდებოდნენ.

სოფიო ამირაჯიბი სწავლობდა ფაბრის პანსიონში, მაგრამ მამამისის ახირების გამო წლინახევრის შემდეგ სასწავლებლიდან გამოიყვანეს და იძულებული შეიქმნა თვითგანათლებას დასწაფებოდა. სოფიო ადრე გაათხოვეს გენერალ მიხეილ ამირაჯიბზე, რომელიც მეტად პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება იყო. თავგამოდებით იბრძოდა ჩვენში სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოტანაზე, მიწის რაციონალურ დამუშავებაზე და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. საინტერესოა, რომ ამირაჯიბების ოჯახში სამი ბავშვი აღიზარდა: ანასტასია, ბარბარე და კონსტანტინე. სამივემ მეტნაკლებად საპატიო ადგილი დაიჭირა ქართული კულტურის ისტორიაში.

მართალია, სოფიო ამირაჯიბს კლასიკური განათლება არ მიუღია, მაგრამ სიბეჯითემ და წიგნის სიყვარულმა თავისი გაიტანა — იგი მშვენივრად დაეუფლა ქართულ, რუსულ, ფრანგულ და სხვა ენებს, დაეწაფა მსოფლიო ლიტერატურას. მან დიდი შრომა და ენერგია შეალია XIX საუკუნის ქართველი პოეტების შედევრების რუსულ ენაზე თარგმნას. წიგნი გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1909 წელს.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები სოფიო ამირაჯიბმა მოსკოვში გაატარა. მის სახლში არბატზე ხშირად იყრიდნენ თავს ხელოვნე-

ბისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები. მათ შორის, პეტრე ჩაიკოვსკის ძმა მოდესტი, რუსული თეატრის მშვენება მარია ერმოლოვა, ანასტასია ამირაჯიბის პედაგოგი ხატვაში ვალენტინ სეროვი და სხვები.

სოფიო ამირაჯიბი იყო დიდი ქველმოქმედი. იგი გარდაცვალებამდე ნივთიერად ეხმარებოდა ნიჭიერ ახალგაზრდებს, ხელს უწყობდა მათ უმაღლესი განათლების მიღების საქმეში. გულწრფელი პატივისცემით სარგებლობდა ქართველ პროგრესულ საზოგადოებაშიც. ამ სიმპათიებს კარგად გამოხატავს დიდი აკაკის ლექსი, რომლითაც იგი დასტირის ქალბატონი სოფიოს საფლავს: „ვნახე საფლავი გულმოსაკლავი... მშვიდობით, დაო, მკვდარო, უკვდავო... კურთხეულ იყოს შენი ხსენება, და მოგენიჭოს, როგორც უბიწოს, აწ საუკუნო აქ განსვენება“.

ა რ ს ე ნ ი შ ვ ი ლ ი კონსტანტინე იერონიმეს ძე. 4. IX. 1907, ქუთაისი — 17. VII. 1968, თბილისი.

ჰიდროტექნიკოსი, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი. დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია და 1930 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. შემდეგ სწავლობდა მოსკოვის კუიბიშევის სახელობის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის ასპირანტურაში.

კ. არსენიშვილი ჯერ კიდევ სტუდენტობისას ჩაება შრომით საქმიანობაში. მუშაობდა წყალთა მეურნეობის სისტემაში. მოგვიანებით იგი სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც ხელმძღვანელობდა ჯერ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა, ხოლო შემდეგ წყალმომარაგების განყოფილებებს. იგი იყო 41 შრომის ავტორი. მისი ნაშრომები განზოგადებულია მონოგრაფიაში: „მგორავი ტალღების ზემოქმედება ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე“. შრომის ღირებულებაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი თარგმნილია რუსულად და ინგლისურად. მისი მეცნიერული მეთოდებით აიგო ჰიდროტექნიკური ნაგებობები საქართველოში (ტყიბული, იგოეთი) და ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. მეცნიერის მიერ დაშუშავებული არხების პროფილები შეტანილია ამერიკის შეერთებული შტატების ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაპროექტების სტანდარტებში.

კონსტანტინე არსენიშვილი წლების მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას — სათაოეში ედგა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კათედრას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო

ინსტიტუტში. 1967 წელს მიენიჭა მეცნიერის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ასათიანი გურამ ლევანის ძე. 12. VIII. 1928, თბილისი — 29. VI. 1982, თბილისი.

კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. მამის, ცნობილი მწერლის ლევან ასათიანის ოჯახში იზრდებოდა. ამან ღრმა კვალი დააჩნია მის ინდივიდუალობას. იგი იყო ფართო გაქანების მრავალმხრივი შემოქმედი. ათეული წლების მანძილზე იდგა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში, თავდადებულად ემსახურებოდა ჩვენი ერის მხატვრული კულტურის, ახალი ქართული კრიტიკული აზროვნების გამდიდრება-განვითარების საქმეს.

გურამ ასათიანი სწავლობდა თბილისის, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც ასპირანტურაც დაამთავრა და 1956 წელს საქართველოში დაბრუნდა. ამ დროიდან იწყება მისი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა. თუმცა ჩვენი საზოგადოება უკვე 1950 წლიდან იცნობდა, როგორც ნიჭიერ შემოქმედს. იყო „ლიტერატურნაია გაზეტას“ საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენო განყოფილების გამგე, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების გამგე. ხოლო 1977 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი. 1977 წელს მონოგრაფიისათვის „ვეფხისტყაოსნიდან“ „ბახტრიონამდე“ მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. სხვადასხვა დროს იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, ჟურნალების „ლიტერატურნოე ობოზრენიეს“, „ცისკრის“, ალმანახ „კრიტიკის“, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედკოლეგიების წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული აფხაზური ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარე, სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული კრიტიკის საბჭოს წევრი.

ასეთი საზოგადოებრივი დატვირთვის მიუხედავად, გურამ ასათიანს არ ულალატია თავისი ძირითადი, მწერლური მოწოდებისათვის თუმცა ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი. იგი ერთნაირი ინტერესით იკვლევდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის მიმართულებებს და ამ მიმართულებათა შემოქმედ კლასიკოსთა ცხოვრებას, აგრეთვე მისი თანამედროვე ძველი და ახალი თაობის მწერალთა ნაღვაწს.

კრიტიკის სფეროში გ. ასათიანის გამჭრიახ თვალს და მაღალ გე-

მოვნებას არ გამოჰპარვია რაიმე ახალი, მნიშვნელოვანი, ღირებული. ამასთან, იყო პირუთვნელი, თავისუფალი ყოველგვარი სიმპათია-ანტიპათიისაგან.

ბოლო წლებში კრიტიკოსი გაიტაცა ქართული ეროვნული სულისა და ხასიათის ამოცნობის კვლევამ, რაც აისახა მის უკანასკნელ წიგნში „სათავეებთან". ავტორი იხმობს დიდძალ ისტორიულ, ლიტერატურულ და ფოლკლორულ მასალას და მისი გამოყენებით არკვევს, თუ რა ძალამ შეუნარჩუნა ქართველ კაცს „მეობა", რა ძალამ გადარჩინა იგი და რამ შეაძლებინა ჯიუტად ეშენებინა ის, რაც ათასგზის მოსრა მტერმა.

„სათავეები" როგორც ამგვარად პრობლემის დაყენებისა და კვლევის პირველი ცდა, სადავო საკითხებისაგან არ იქნება დაზღვეული, მაგრამ ერთი ცხადია, ესაა ფართო ერუდიციის მქონე შემოქმედის მიერ მასშტაბურად აღქმული ჩვენი წარსული.

ასათიანი ლადო (ვლადიმერ) მელქისედეკის ძე. 14. I. 1917, ქუთაისი — 23. VII. 1943, თბილისი.

პოეტი. დაიბადა პედაგოგების ოჯახში. საშუალო განათლება მშობლიურ სოფელ ბარდნალაში მიიღო. შემდეგ წარმატებით დაამთავრა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და გახდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი. თუმცა ლადო კარგ მოსწავლედ ითვლებოდა, მაგრამ გული მაინც ჰუმანიტარული დისციპლინებისაკენ მიუწევდა, განსაკუთრებული ინტერესით ისმენდა გ. ახვლედიანის, კ. კეკელიძის, დ. უზნაძის, ს. ყაუხჩიშვილის, ვ. კოტეტიშვილის, მ. გოგიბერიძის, შ. ნუცუბიძის, ს. დანელიას, ნ. ბერძენიშვილის, ა. შანიძის, ვ. თოფურიას ლექციებს. განსაკუთრებით ემადლიერებოდა ამ უკანასკნელს.

ინსტიტუტი ლადომ 1938 წელს დიდი წვალებით დაამთავრა (რაც გამოწვეული იყო დედის უკანონო დაპატიმრებითა და სამუდამო დაკარგვით) და თბილისში გადმოსახლდა. პოეტმა ლექსების წერა ჯერ კიდევ ათიოდე წლისამ დაიწყო, ხოლო მისი პირველი ლექსი კი დაიბეჭდა ქუთაისის გაზეთ „სტალინელში".

უკვე მისი შემოქმედების გარიჟრაჟზე ნათელი გახდა, რომ ჩვენს მწერლობაში მოვიდა კლასიკური ქართული ლიტერატურის ტრადიციებზე აღზრდილი, და ამ ტრადიციების გამგრძელებელი, ორიგინალური და ხალასი ნიჭის პოეტი.

ყოველივე ამის გამო ლ. ასათიანს არ გასჭირვებია თბილისის პოეტურ სამყაროში ჩართვა, მისი პოპულარობა სულ უფრო იზრდებოდა. იგი რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების („ნორჩი ლენი-

ნელი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ჩვენი თაობა“, „მნათობი“) აქტიური თანამშრომელია.

1939 წელს პოეტი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, მაგრამ ავადმყოფობის გამო ჯარიდან მალე დაითხოვეს. 1940 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი წიგნი, — სულ 38 ლექსით. 1941 წელს ჯანმრთელობის გაუარესების გამო, იგი აბასთუმანში მკურნალობს. ამან დიდად იმოქმედა მის სულიერ განწყობილებაზე, თუმცა პოეტის შემოქმედებას უიმედობის ჟანგი არ მოჰკიდებია. ლადოს ჯანმრთელობა სულ უფრო უარესდებოდა და მისი დაჟინებით თბილისში ჩამოიყვანეს, სადაც მალე გარდაიცვალა.

ლადო ასათიანს სულ ასიოდე ლექსისა და ორი პოემის დაწერა დასცალდა, მაგრამ მისი „სალალობო“, „კრწანისის ყაყაჩოები“, „ბარდნალა“, „ფიროსმანის დუქანი“, „გულბაათ ჭავჭავაძე“, „სასაფლაო“ და ბევრი სხვა სამუდამოდ დამკვიდრდა ქართული პოეზიის ოქროს ფონდში. ლადო ასათიანის შემოქმედება ეს ერთი სიყვარულითა და სიცოცხლით სავსე სიმღერაა სამშობლოზე, მის წარსულზე, მის ბუნებასა და ადამიანებზე. სწორედ ამიტომ მადლიერმა შთამომავლობამ და მისი დიდი პოეზიის თაყვანისმცემლებმა პოეტის ნეშტი 1968 წლის 24 აპრილს ვაკის სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში გადმოასვენა.

ასათიანი ლევან ნიკიფორეს ძე. 12. VII. 1900, თბილისი — 14. V. 1955, თბილისი.

მწერალი, ქართული ლიტერატურის მკვლევარი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 20-იან წლებში აქტიურად ჩაება ლიტერატურულ ცხოვრებაში და უმალ მიიქცია სამწერლო საზოგადოებრიობისა და მკითხველთა ფართო წრეების ყურადღება. მისი სახით ქართულ კულტურას მოევლინა ფრიად ნიჭიერი და განათლებული მოღვაწე. იმვიათია ჩვენი ერის ცხოვრებაში რაიმე მოვლენა, რომ ლ. ასათიანი ცხოველი ინტერესით არ მოჰკიდებოდეს და აქტიურად არ გამოხმაურებოდეს მათ. იგი განსაკვირვებლად მრავალმხრივი და ღრმა მოაზროვნე იყო. აღსანიშნავია მისი საყურადღებო ნაშრომები: „ვოლტერიანობა საქართველოში“, „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“, „პუშკინი და ქართული კულტურა“, „მაიაკოვსკი და საქართველო“ და სხვ. მწერლის მონოგრაფია „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, სამართლიანად ითვლება ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ საუკეთესო გამოკვლევად. აღსანიშნავია ისიც, რომ ლევან ასათიანის რედაქციით გამოცემულია ქართველ კლასიკოსთა თხზულებანი ქარ-

თულ, რუსულ, უკრაინულ და სომხურ ენებზე. მისი ინტერესების გარეთ არ დარჩენილა არც ქართული თეატრი, კინო და მხატვრობა. სხვადასხვა დროს მუშაობდა „მნათობის“ პასუხისმგებელ მდივნად. რუსთაველის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგედ, კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების გამგედ, მოგვიანებით რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, უფრო მეცნიერ თანამშრომლად. იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ჟურნალისტიკის კურსს.

ასათიანი მამია ვასილის ძე. 11. III. 1907, ქუთაისი — 5. III. 1970, თბილისი.

მწერალი. მშობლიურ ქუთაისში დაამთავრა პედაგოგიური ტექნიკუმი და სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მუშაობდა ქუთაისში საშუალო სკოლის დირექტორად, განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარედ და სხვ. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1929 წელს, პირველი წიგნი „ხუთი ნოველა“ 1936 წელს. ამას მოჰყვა კრებულები: „მოთხრობები“, „კავკასიის კალთებზე“, „მიაგულის სიყვარული“, „შიშველი ხმალი“, „მთის ლეგენდები“, „გეგუთის ძელქვები“ და სხვა, რომლებშიც მწერალი ქადაგებს გმირობის, სიყვარულის, მეგობრობის, სამშობლოსათვის თავდაბების იდეებს.

მამია ასათიანი იყო მრავალ განსაცდელგადახდილი მწერალი, რომელსაც ბოლომდე ჰქონდა შენარჩუნებული სულიერი სიფაქიზე, კეთილშობილება და ადამიანებისადმი სიყვარული. მან ქართულ ენაზე თარგმნა მ. შოლოხოვის ნაწარმოებები, მ. ლაკერბაის მოთხრობები, ი. თარბას რომანი „ნაცნობი კაცი“. დაგვიტოვა საგულისხმო მოგონებები ქართველი ხალხის ისეთ საამაყო შვილებზე, როგორიც არიან კოტე მარჯანიშვილი, უშანგი ჩხეიძე, გალაკტიონი, პაოლო იაშვილი, გიორგი შავგულიძე, შალვა ღამბაშიძე, დია ჩიანელი. მასვე ეკუთვნის წიგნი დოდო ანთაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

აფხაიძე ემანუილ ელისეს ძე. 17. VIII. 1899, ქუთაისი — 8. XI. 1970, თბილისი.

მსახიობი. დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი. 1920 წელს დაიწყო მუშაობა მოკარნახედ ქუთაისის თეატრში. მალე იგი მსახიობად იწყებს მუშაობას ჯერ ბათუმის, შემდეგ ქუთაისის თეატრებში, 1924 წლიდან რუსთაველის სახელობის თეატრშია, ამ-

ჯერადაც მოკარნახედ და პარალელურად სწავლობს აკაკი ფალავას დრამატულ სტუდიაში. 1926 წელს დაამთავრა სასწავლებელი და ჩაირიცხა რუსთაველის თეატრის დასში.

ახალბედამ პირველივე ეპიზოდური როლებით მიიპყრო ყურადღება და დიდი რუდუნებით და სიბეჯითით ეძებდა საკუთარ გზას. ამ თვისებებმა და ხალასმა ნიჭმა, საბოლოდ იგი გახადა რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი. ამ სცენაზე მან ითამაშა ასამდე როლი და ყველა მათგანი გამოირჩეოდა შესრულების მრავალფეროვნებით, სილაღით, ემოციურობით, სათუთი, ადამიანური გრძნობების გამოვლენით, რასაც მაყურებელი გადაჰყავდა აფხაიძისეულ აქტიორულ სამყაროში. განსაკუთრებით აღსანიშნავია გონჯა (ს. შანშიაშვილის „არსენა"), ნესტორი (შ. დადიანის „ნაპერწკლიდან"), მისაი (შ. დადიანის „თეთნულდი"), ბესო (ა. სუმბათაშვილის „ღალატი"), დუდკინი (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი") მირზა (ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები", ამ როლისათვის მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია 1951 წელს), პანდოლფო (კ. გოლდონის „საპატარძლო აფიშით"), დიეგო (კ. ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი") და სხვა.

მრავალი როლი განასახიერა ე. აფხაიძემ ქართულ კინოში და აქაც დასამახსოვრებელი სახეებით გაამდიდრა ეროვნული კინემატოგრაფია. მონაწილეობდა ფილმებში: „სურამის ციხე", „ნარინჯის ველი", „დაკარგული სამოთხე", „ფიცი", „გიორგი საკაძე", „ჭრიჭინა", „მაია წყნეთელი", „განაჩენი", „დღე უკანასკნელი, დღე პირველი" და სხვ.

დიდი დამსახურება მოუძღვის მსახიობს ქართული ესტრადის შექმნა-განვითარებაში. წერდა საკუთარ იუმორისტულ ლექსებს, რომელთაც თვითონვე დიდი წარმატებით ასრულებდა ესტრადაზე. დაჯილდოვებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

ა ფ ხ ა ი ძ ე შალვა ნიკოლოზის ძე. 20. VII. 1894, სოფ. ძუკნური, ტყიბულის რაიონი, — 19. 11. 1968, თბილისი.

პოეტი და ლიტერატურათმცოდნე. დაიბადა ოკრიბის ერთ მიყრუებულ სოფელში. ადრე დაობლებული ბაბუამ გაზარდა. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და წავიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ისმენდა ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილისა და სხვა გამოჩენილ მეცნიერთა ლექციებს. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ 1917 წელს დაბრუნდა სამშობლოში. მისი პირველი ნაწარმოებები — სონეტე-

ბი 1918 წელს გამოქვეყნდა ქუთაისის გაზეთ „მეგობრობაში“. აქედან მოყოლებული, იგი „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის აქტიური წევრია. მას იტაცებდა აქ გაერთიანებული ახალგაზრდა პოეტების იშვიათი მეგობრული სულისკვეთება, ლტოლვა სიკეთისა და სილამაზის სამყაროსაკენ, მაღალი პატრიოტული გრძნობა და მარჯვე პოეტური სიტყვა.

შალვა აფხაიძე მრავალი პოეტური კრებულის ავტორია. მისი შემოქმედებისათვის უპირველესად დამახასიათებელია ბუნებისა და ისტორიის ჰუმანისტური აღქმა, ხოლო პოეტური ხილვისა და მოქმედების არედ აღებულია მთელი საქართველო.

თავად პოეტი საკუთარ შემოქმედებას მოკრძალებით აფასებდა, მაგრამ სინამდვილეში მან დაგვიტოვა წრფელი და ღვაწლიანი ლირიკული პოეტურ ქმნილებათა ნიმუშები, მონოგრაფიები ანდრო ახმეტელზე, აკაკი ხორავასა და ვერიკო ანჯაფარიძეზე; შესანიშნავი ლიტერატურული ეტიუდები გიორგი ლეონიძეზე, სიმონ ჩიქოვანზე, ირაკლი აბაშიძეზე; მოგონებები პაოლო იაშვილზე და ტიციან ტაბიძეზე; თარგმნა მ. გორკის, დ. ფურმანოვისა და სხვათა ნაწარმოებები; შეადგინა „აფხაზური პოეზიის ანთოლოგია“ და კიდევ რამდენი რამ.

შალვა აფხაიძე წლების განმავლობაში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარი კოსმოპოლიტანტი, რომლის ხელდებითაც ქართულ პოეზიაში აღიზარდა მთელი თაობები.

ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწის ნაყოფიერი და საზოგადოებრივი მუშაობა აღინიშნა „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

ალსაბაძე შოთა რევაზის ძე. 10. XII. 1896, თბილისი — 6. VII. 1966, თბილისი.

რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. სწავლობდა თბილისში. ა. ჯაბადარის დრამატულ სტუდიაში. შემდეგ მუშაობდა თბილისის სახალხო სახლში მსახიობად. 1923 წელს შევიდა მოსკოვის საშხატვრო თეატრში რეჟისორ ვახტანგ მჭედლიშვილის მიერ დაარსებულ ქართულ დრამატულ სტუდიაში, რომლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საშობლოში; 1927 წელს თბილისის მუშათა თეატრში პირველად დადგა გ. ერისთავის „გაყრა“. სპექტაკლმა თეატრალური საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა. ნიჭიერი რეჟისორი მალე მიიწვიეს შ. რუსთაველის თეატრში, სადაც ათი წელი მოღვაწეობდა. აქ მისი რეჟისორობით დადგმული სპექტაკლები მეოცე მოწონებით სარგებლობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს“, ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრე-

ჩეტი“, ფ. შილერის „ყაჩაღები“ (ა. ახმეტელთან ერთად), უ. შექსპირის „ოტელო“ და სხვ.

1943 წლიდან 1949 წლამდე შ. აღსაბაძე ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრშია, სადაც განახორციელა „აბესალომ და ეთერის“, ნ. რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლისა“. ა. კერესელიძის „ბაში-აჩუკის“ დადგმები. რეჟისორს ხშირად იწვევდნენ რესპუბლიკის გარეთ, აღიარებულ თეატრალურ ცენტრებში — მოსკოესა და ლენინგრადში, აგრეთვე ბაქოში და სხვ.

შალვა აღსაბაძე 1928 წლიდან პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ჯერ იყო რუსთაველის თეატრთან არსებულ დრამატიულ სტუდიაში მასწავლებელი, შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში პროფესორი. 1943 წელს მისი თაოსნობით ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაარსდა საოპერო სტუდია.

შ. აღსაბაძე ოპერების „ლადო კეცხოველი“ (კომპოზიტორი გ. კილაძე) და „პატარა კახი“ (კომპოზიტორი ვ. გოკიელი) ლიბრეტოს ავტორია.

დაუცხრომელი მოღვაწე და შემოქმედი, დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ახალაძე — ბახტურიძე ელენე სიმონის ასული. 1903, სოფელი კორნახი, ჩოხატაურის რაიონი — 12. III. 1989, თბილისი.

პეტრე ბახტურიძის მეუღლე, დიასახლისი.

ახვლედიანი ელენე, დიმიტრის ასული. 5. IV. 1901, თელავი — 30. XII. 1975, თბილისი, მხატვარი. დაიბადა მოწინავე ქართველი ინტელიგენტის ოჯახში. თელავმა, კახეთის ულამაზესმა ბუნებამ, თბილმა ოჯახურმა გარემომ, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს პატარა ელენეზე და ბავშვმა იმთავითვე შეისისხლხორცა ბუნების, ჩვენი ხალხის, ქართული ხუროთმოძღვრების სიყვარული.

შემდეგ თბილისი, ქალთა მეორე გიმნაზია, პირველი კერძო გაკვეთილები ნ. სკლიფასოვსკის კლასში.

1916 წელს ელენე ამთავრებს გიმნაზიას და მხატვრობით გატაცება თანდათან სერიოზული და ერთადერთი ხდება.

1919 წელს თბილისში ეწყობა ქართველ მხატვართა გამოფენა, რომელშიც აღიარებულ ოსტატთა გვერდით საზოგადოებას წარუდგა ახალგაზრდებიც: დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, შ. ქიქოძე, მათ შორის იყო ე. ახვლედიანიც.

1922 წელს ე. ახვლედიანი შედის თბილისის სამხატვრო აკადე-

მიაში და ცოტა ხანში, როგორც აკადემიის სტიპენდიანტი, მიემგზავრება საზღვარგარეთ.

...პარიზი, კოლაროსის აკადემია. აქ სხვადასხვა დროს სწავლობდნენ საქვეყნოდ ცნობილი მხატვრები: გოგენი, სეროვი, გრაბარი და სხვა მრავალი. ახალგაზრდა ელენესათვის ეს კარგი სკოლა იყო.

ცოტა ხნის შემდეგ ე. ახვლედიანი თავის მეუღლესთან, აგრონომ აპოლონ კაკაბაძესთან ერთად, მიემგზავრება იტალიას.

ევროპის კულტურულ ცენტრებში გატარებული წლები, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, მეტად ნაყოფიერი გამოდგა შემოქმედისათვის. მხატვარმა მიიღო მონაწილეობა მრავალ გამოფენაში. პარიზში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა მისი ნაწარმოებები გაიყიდა და მოხვდა ცნობილ კოლექციებში, მათ შორის ამერიკაშიც. ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებას დიდად აფასებდნენ ცნობილი კრიტიკოსები, გუსტავ კონე და მორის რეინალი.

ყველაფერი ეს მომხიბლავ პერსპექტივებს უშლიდა ახალგაზრდა შემოქმედს ევროპის აღიარებულ კულტურულ ცენტრში, მაგრამ... 1927 წელს იგი ბრუნდება სამშობლოში და აქტიურად ებმება კულტურულ ცხოვრებაში. იგი მიიწვია კ. მარჯანიშვილმა. აქედან მოყოლებული ე. ახვლედიანმა თითქმის ВО სპექტაკლი გააფორმა თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის და საქართველოს პერიფერიის თეატრებში.

აღსანიშნავია, რომ მხატვარი მუშაობდა მხატვრობის მრავალ ჟანრში, მაგრამ იგი მაინც ბოლომდე დარჩა აღიარებულ პეიზაჟისტად და საფუძველი ჩაუყარა (ალ. ციმაკურიძესა და დ. კაკაბაძესთან ერთად) დღევანდელი ქართული პეიზაჟური ფერწერის განვითარებას. მის მიერ შესრულებული ძველი თბილისის ხედები სამუდამოდ შევიდა ქართული და საბჭოთა მხატვრობის ოქროს ფონდში.

ე. ახვლედიანის შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი აქტივობის წყალობით, იგი იყო გამორჩეული საზოგადო მოღვაწეც, ამ სიტყვის მაღალი და წმინდა გაგებით. საყოველთაოდ ცნობილია ქალბატონი ელენეს სახელოსნოში მოწყობილი შემოქმედებითი საღამოები და გამოფენები. სწორედ ამ გამოფენებმა დაულოცეს გზა მრავალ ახალგაზრდა მხატვარს შემოქმედებაში.

ლეგენდადაა ქცეული ე. ახვლედიანის ხელგაშლილობა და ქველმოქმედება, მისი განუზომელი სიყვარული ბავშვებისა და ახალგაზრდობისადმი. ამ თვისებების გამო შეიყვარა იგი მისმა მშობლიურმა ხალხმა და არგუნა კიდეც ყველა ქართველისათვის სასახელო

და საპატიო ჯილდო — რუსთაველის პრემია. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება.

1938 წელს, დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით, მხატვრის საფლავზე დაიდგა ბრინჯაოს ორიგინალური კომპოზიცია, რომლის ავტორებია მოქანდაკე თემურ ცხრაკბილაშვილი და არქიტექტორი გიეი ჯაფარიძე. კომპოზიციაში კარგადაა გადმოცემული ე. ახვლედიანის, როგორც შემოქმედის ისე პიროვნების ხასიათი და შინაგანი სამყარო.

ا ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ქეთევანი. (ცნობები ვერ მოვიძიეთ).

ا ხ ო ბ ا ძ ე ვლადიმერ ბესარიონის ძე. 1918, სამტრედია — 1. XI. 1971, თბილისი.

მუსიკათმცოდნე, კონსერვატორიის პროფესორი. 1938 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, მაგრამ სამამულო ომმა სწავლა გადაადებინა და უმაღლესი სასწავლებელი მხოლოდ 1947 წელს დაასრულა. 1950 წლიდან იწყება ვ. ახობაძის ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობა კონსერვატორიის მუსიკის თეორიის კათედრაზე. იგი იკვლევდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის ნაკლებად შესწავლილ საკითხებს. ჭის საგულისხმო ნაშრომებს ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს.

ნაყოფიერი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ვ. ახობაძეს მინიჭებული ქონდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ბ ა ი რ ა მ ა შ ვ ი ლ ი — ვ ა ს ი ლ ი ე ვ ა ვარვარა აბელის ასული. 16. I. 1888, თბილისი — 21. VIII. 1982, თბილისი.

ინჟინერ ა. ვასილიევის მეუღლე. დაამთავრა საეპარქიო სასწავლებელი და ჩაირიცხა პეტერბურგის ქალთა პოლიტექნიკური ინსტიტუტში. ახალგაზრდა ინჟინერ-მექანიკოსი მეუღლესთან ერთად მუშაობდა ხარკოვში, 1920 წელს ჩამოვიდა სამშობლოში და აქტიურად მონაწილეობდა ხრამჰესის დაპროექტებაზე. შემდეგ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისისა და სხვა ქალაქების ელექტროფიცირების პროექტების შედგენის საქმეში. 1945—1948 წწ. ხელმძღვანელობდა საკონსტრუქტორო ბიუროს, რომელიც შექმნილი იყო ლატვიის ელექტრომეურნეობის აღდგენის მიზნით. 1950—1960 წლებში მუშაობდა ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის ელექტროსისტემის გაერთიანების პრობლემებზე.

ვარვარა ბაირამაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი ქალი ენერგე-

ტიკოსი არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც. 1963 წელს ღვაწლმოსილ მოქალაქესა და ფართო ჰორიზონტის სპეციალისტს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

ბ ა ლ ა ნ ჩ ი ვ ა ძ ე ანდრია მელიტონის ძე. 19. V 1906, სანქტ-პეტერბურგი — 26. IV. 1992, თბილისი.

კომპოზიტორი, საქართველოსა და სსრკ სახალხო არტისტი. სწავლა დაიწყო 1918 წელს ქუთაისში, მამამისის, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის მიერ დაარსებულ მუსიკალურ სასწავლებელში. 1926 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ფორტეპიანოსა (პროფესორ ი. ბისბერგის კლასი) და კომპოზიციის (პროფესორ მ. იპოლიტოვ-ივანოვის კლასი) სპეციალობით. 1927—1931 წლებში მიავლინეს ლენინგრადის კონსერვატორიაში, სადაც სრულყოფდა თავის ოსტატობას. ა. ჟიტომირსკის (კომპოზიცია) და მ. იუდინას (ფორტეპიანო) ხელმძღვანელობით. ლენინგრადიდან დაბრუნებული აქტიურად ებმება შემოქმედებით და საზოგადოებრივ მუშაობაში. პირველ რიგში ქმნის სხვადასხვა ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებებს, ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ა. ბალანჩივაძე იყო ეროვნული საფორტეპიანო მუსიკის ფუძემდებელი მან პირველმა პროფესიულად, ხარისხობრივად განამტკიცა ქართულ მუსიკაში ამ ჟანრის, როგორც კამერული ასევე დიდი საკონცერტო სახეობანი, მაგრამ განსაკუთრებული წვლილი კომპოზიტორმა სიმფონიური მუსიკის აღმავლობაში შეიტანა. ა. ბალანჩივაძე იყო მეტად პროდუქტიული შემოქმედი. იგი ხუთი სიმფონიის ავტორია, მის კალამს ეკუთვნის ხუთი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, სამი ბალეტი — „მთების გული", „ცხოვრების ფურცლები", „მწირი". ბალეტი „მთების გული" კომპოზიტორმა შექმნა ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად. ამით სათავე დაუდო ქართულ საბალეტო ხელოვნებას. იგი 1936 წელს დაიდგა ჯერ თბილისში, ხოლო 1938 წელს ლენინგრადში. „მთების გული" მიჩნეულია მუსიკალური ქორეოგრაფიული ხელოვნების ნოვატორულ, საეტაპო ნაწარმოებად, რომლის საფუძველი ეროვნული ხალხური ცეკვისა და კლასიკური ქორეოგრაფიის სინთეზია. მან ასევე დიდი როლი შეასრულა აფხაზეთისა და შუა აზიის რესპუბლიკების ეროვნული ბალეტის შექმნის საქმეში. ანდრია ბალანჩივაძეს ეკუთვნის ოპერები: „არსენა" (დაუმთავრებელი), „მზია", „ოქროს ქორწილი". კომპოზიტორმა გააფორმა სამასამდე დრამატული სპექტაკლი. იგი

პირველი ქართული ხმოვანი ფილმის „არშაღლას“ მუსიკის ავტორია.

ანდრია ბალანჩივაძემ განმსაზღვრელი როლი შეასრულა ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფორმირებასა და ჩამოყალიბებაზე. 1937 წლიდან ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საკომპოზიციო კლასს, 1940 წლიდან იყო ამავე კონსერვატორიის პროფესორი. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდნენ შემდგომში ქართული მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები რ. ლალიძე, ნ. დავითაშვილი. ა. ჩიმაკაძე, შ. მილორავა, ა. შავერზაშვილი, ო. თევდორაძე, ბ. კვერნაძე და მრავალი სხვა. 1953—1961 წწ. და 1968 — 1973 წწ. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეა, ხოლო 1973 წლიდან საპატიო თავმჯდომარე.

ეს მაღალი ზნეობრივი მოქალაქეობით აღჭურვილი პიროვნება, ალალ-მართალი, დახვეწილი ინტელიგენტი, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი და ჭეშმარიტი მამულიშვილი, ახალგაზრდა კოლეგებისათვის მაგალითის მიმცემი, ამასთანავე იყო შეუვალი, დაუთმობელი და მოურიდებელი ყოველგვარი უხეში ძალისა და ძალმომრეობის მიმართ. საყოველთაოდ ცნობილია თუ რა თანადგომა გაუწია ბორის პასტერნაკს, როცა იგი დევნილი იყო.

თავისი მოქალაქეობრივი მტკიცე პოზიციის მიუხედავად, ნომენკლატურა იძულებული იყო აღიარებდა ანდრია ბალანჩივაძისადმი ხალხის სიყვარულს და იძულებული იყო პატივი მიეგო დიდი შემოქმედებისათვის. მინიჭებული ჰქონდა შოთა რუსთაველისა და სსრკ სახელმწიფო პრემიების ლაურეატის საპატიო წოდება, დაჯილდოვებული იყო მთავრობის ორდენებითა და მედლებით.

ბ ა რ ბ ა ქ ა ძ ე — ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ევგენია პეტრეს ასული. 2. XII. 1905, ხაშური — 23. XI. 1966, თბილისი.

დრამატურგ მიხეილ ჯაფარიძ-ს მეუღლე. ხაშურში მიიღო საშუალო განათლება. მოგვიანებით თბილისში დამთავრა თეატრალური სტუდია. 1928 წელს რეჟისორმა ალექსანდრე თაყაიშვილმა მიიწვია მის მიერ დაარსებულ ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში. იყო ამ თეატრის წამყვანი მსახიობი და ერთ-ერთი დამაარსებელი. ევგენია ბარბაქაძეს ასევე დიდი ამაგი მიუძღვის თოჯინების თეატრის შექმნასა და ჩამოყალიბებაში. 1936—1941 წწ. რუსთაველის თეატრის მსახიობია. სამამულო ომის წლებში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატმა მტერზე გამარჯვების საქმეში. იგი სისტემატურად გამოდიოდა მობილიზებულთა გასაწვევ პუნქტებში, ჰოსპიტლებსა და სამხედრო ნაწი-

ლებში, ამაღლებდა მათში ვაჟკაცურ სულისკვეთებას, ნათელ ოპტიმიზმს. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო ნაადრევად ჩამოშორდა საყვარელ საქმეს, თუმცა პერიოდულად გამოდიოდა საქართველოს რადიოში, სადაც 1927 წლიდან თანამშრომლობდა.

ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვერა ვარდენის ასული. 17. IX. 1899, თბილისი — 23. X. 1970, თბილისი.

მეცნიერი, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. თბილისის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. 1928—1931 წლებში სწავლობდა ლენინგრადში მატერიალური კულტურის აკადემიის ასპირანტურაში ნიკო მარის ხელმძღვანელობით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობს ენიმკის ინსტიტუტში და პარალელურად, თბილისის უნივერსიტეტში, მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციებში.

1965 წლიდან გარდაცვალებამდე ვ. ბარდაველიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებას.

ვერა ბარდაველიძის მეცნიერული ინტერესები ქართველი ხალხის ადრინდელ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისა და სულიერი კულტურის პრობლემების ფართო წრეს მოიცავდა. იგი იკვლევდა ხალხურ საკულტო ძეგლებს, ასტრალურ რწმენა-წარმოდგენებს, ნაყოფიერება — გამრავლებასთან დაკავშირებულ კულტებსა და რიტუალებს, ქართული დღეობების კალენდარს, ხალხურ ორნამენტს, საწესო გრაფიკულ ხელოვნებას. მისი მეცნიერული დებულებები სამართლიანადაა მიჩნეული დიდი მნიშვნელობის აღმოჩენებად. ისინი უკუაგდებენ მცდარ შეხედულებებს მთიელთა იზოლაციისა და სოციალ-ეკონომიკური განვითარების მუდმივი და განსაკუთრებული ისტორიული ჩამორჩენილობის შესახებ. რაც თითქოს განაპირობებდა გვაროვნული წყობილების გახანგრძლივებულ და უცვლელ არსებობას.

ვ. ბარდაველიძე ასზე მეტი ნაშრომის ავტორია. მრავალი მისი გამოკვლევა დაბეჭდილია რუსულ და უცხოურ ენებზეც. ქართული მეცნიერების წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის 1963 წელს ივანიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოვებული იყო ლენინის ორდენით და მედლებით.

ბ ა ქ რ ა ძ ე — ბ ო ცვ ა ძ ე ნინო იოსების ძე. 1883, თბილისი — 5. IX. 1971, თბილისი.

პედაგოგი — საზოგადო მოღვაწე. 1904 წელს წარმატებით დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და ჩაირიცხა პეტერბურგის სამედიცინო ინსტიტუტში. მაგრამ მასწავლებლობის სიყვარულმა გადაძლია და შეავიდა ბესტუჟევის ქალთა კურსებზე. ქვეყანაში რევოლუციური სიტუაციის გამწვავებამ, ახალგაზრდობის საპროტესტო მოძრაობამ, მთავრობა აიძულა დაეხურა უმაღლესი სასწავლებლები და ნინო სამშობლოში დაბრუნდა. ხალხისა და ქვეყნის სამსახურისათვის შემართული ქალიშვილი გრძნობდა, რომ ასეთი ცოდნით შორს ვერ წავიდოდა. ამიტომ საფუძვლიანი განათლების მისაღებად შვეიცარიაში გაემგზავრა, სადაც ჩაირიცხა ციურიხის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ფულმოდგინე შრომამ შრავალი სიძნელე გადაალახვინა და ერთ-ერთი მოწინავე სტუდენტი გახდა. მაგრამ არდადეგებზე დაბრუნებული ნინო ოჯახური მდგომარეობის გამო ევროპაში ველარ წავიდა. უმაღლესი დაამთავრა ახლადგახსნილ თბილისის უნივერსიტეტში. 1908 წელს პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიერ დაარსებულ სკოლაში. შემდეგ ასწავლიდა თბილისის გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში, სადაც იგი მოსწავლეებს უნერგავდა მშობლიური ენის სიყვარულსა და პატივისცემას.

ამ საქმეში მას გვერდით ედგა მეუღლე, ცნობილი ქართველი პედაგოგი, ჟურნალ „განათლების“ რედაქტორი ლუარსაბ ბოცვაძე. განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ნინო ბოცვაძეს სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში. თავის დასთან, ეკატერინე ბურჯანაძესთან ერთად გამოსცა „დედა ენა“ და „მშობლიური ენა“, რომლებიც ი. გოგებაშვილის პრინციპებზე იყო აგებული. ეს სახელმძღვანელოები მთელი 25 წლის მანძილზე ემსახურებოდა ქართულ სკოლას. არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს პედაგოგი დების მიერ ოცდაათიან წლებში გამოცემული სახელმძღვანელოები, „ბუნებისმეტყველება“ და „საზოგადოებათმცოდნეობა“. ნინო ბოცვაძის მიერ, სახალხო განათლების საქმეში გაწეული დიდი ღვაწლი, აღინიშნა ორი ლენინის ორდენით, იაკობ გოგებაშვილის მედლით და სხვა ჯილდოებით. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

ბ ა ქ რ ა ძ ე — ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე ეკატერინე იოსების ასული. 24. XI. 1885, თბილისი — 17. II. 1972. თბილისი.

პედაგოგი, „დედა ენის“ ახალ გამოცემათა თანაავტორი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

1905 წელს დაამთავრა თბილისის ქალთა პირველი გიმნაზია და,

აქედან მოყოლებული, თითქმის სამოცი წელი დაუცხრომლად ემსახურა ჩვენს სკოლას.

ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფემ მეგობრებთან ერთად დააარსა მოსწავლეთა ჟურნალი „ცდა", სადაც მოათავსა როგორც თარგმნილი ასევე საკუთარი ნაწარმოებები. ეს გამოცდილება მან მოგვიანებით გამოიყენა ჟურნალ „ნაკადულში". აქ იგი კოლეგიის წევრად მიიღო ჟურნალის დამაარსებელმა მარიამ დემურიამ (კატო ამ ჟურნალის წევრი იყო ნინო ნაკაშიძის დროსაც). აქ დაიბეჭდა მისი როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნილი საყმაწვილო თხზულებანი. ეკატერინე ბურჯანაძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგაც აქტიურად თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალებში, „ოქტომბრელში" და „დილაში". მაგრამ მისი მოწოდება მაინც პედაგოგობა იყო და იგი მთელი არსებით ემსახურებოდა ბავშვებს, მშობლიური ენის სიყვარულს უღვივებდა მათ. მდიდარი პრაქტიკა საშუალებას აძლევდა შეექმნა თეორიული სახის ნაშრომები თუ ცალკეული სტატიები ქართული პედაგოგიკის საკითხებზე. პარალელურად აქვეყნებდა ორიგინალურ ნაწარმოებებს. მისი საბავშვო პიესები იდგმებოდა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ გააკეთა ამ დიდებულმა ადამიანმა. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი თავის დასთან ნინო ბოცვაძესთან ერთად თორმეტი სხვადასხვა სახელმძღვანელოსი, მათ შორის „დედა ენის" ავტორია. ი. გოგებაშვილის „დედა ენის" საფუძველზე შექმნილმა ამ წიგნმა ათეულ წლებს გაუძლო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკატერინე ბაქრაძეს პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში გვერდში ედგა მისი მეუღლე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ვარლამ ბურჯანაძე.

მშობლიური სკოლის წინაშე თავდადებული საქმიანობისათვის, მომავალ თაობათა აღზრდაში გაწეული ამაგისათვის მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, დაჯილდოვებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის ორდენებით და ი. გოგებაშვილის სახელობის მედლით.

ბ ა ქ რ ა ძ ე დიმიტრი ზაქარიას ძე. 26. X. 1826,[1] სოფ. ხაშმი, საგარეჯოს რაიონი — 10, II. 1890. თბილისი.

ისტორიკოსი, წყაროთმცოდნე. დაიბადა მღვდლის ოჯახში. მამა

---

[1] ქართულ ისტორიოგრაფიაში დ. ბაქრაძის დაბადების ზუსტი დრო არაა დადგენილი. სხვადასხვა საბუთი განსხვავებულ თარიღსა და დაბადების ადგილს აღნიშნავს: 1826 წლის 26 ოქტომბერი, სოფ. ხაშმი. 1827 წლის 8 აპრილი სოფ. უჯარმა. ერთერთ ცნობაში კი დაბადების თარიღად ფიქსირებულია 1828 წელი.

მას სასულიერო მოღვაწედ ამზადებდა. დაწყებითი განათლება სოფლად მიიღო და სოლვთო წიგნებსაც მაშინ გაეცნო.

1841 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქედან, როგორც კარგი მოსწავლე გააგზავნეს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1850 წელს. მაგრამ მან უარი თქვა სასულიერო მოღვაწის ფართო ასპარეზზე და თავისი ცოდნა სამშობლოს კეთილდღეობას მოახმარა. ხელი აიღო საეკლესიო კარიერაზე, ამოირიცხა სასულიერო წოდებიდან, ჩადგა სამოქალაქო სამსახურში და აქედან მოკიდებული მთელი ცოდნა და ენერგია საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევას შეალია. ერთ ხანს გორში მასწავლებლობდა, 1858 წელს კი დაინიშნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მოხელედ. 1861 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. სადაც უნდა ემუშავნა, მას არ ავიწყდებოდა თავისი მთავარი მოწოდება და მიზანი — ქართული კულტურის ძეგლების კვლევა-გამომზეურება. ასე, მაგალითად ქუთაისის გუბერნატორის დავალებით იგი შეუდგა სვანეთის სტატისტიკურ ისტორიულ და არქეოლოგიურ აღწერას. მოიძია მდიდარი ეპიგრაფიკული და ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ცალკე წიგნად გამოსცა. 1887 წელს ასევე მთავარმართებლის დავალებით დ. ბაქრაძე სტამბულში მიავლინეს იმ საარქივო მასალების შესამოწმებლად, რომლებიც ეხებოდა ბათუმისა და ყარსის ოლქების მიწათმფლობელობის ფორმების. აღნიშნული მასალების შესწავლის საფუძველზე გამოსცა საყურადღებო ნაშრომი მიწათმფლობელობის თურქული სისტემის შესახებ, რომელსაც დღესაც შერჩა მეცნიერული ღირებულება.

თურქეთში ყოფნის დროს დ. ბაქრაძემ მოახერხა წასულიყო საბერძნეთში და ათონის მთაზე ქართული მონასტრის მონახულება. მან შეადგინა ამ მთის გეგმა მონასტრებით და გადმოიღო რამდენიმე ქართული წარწერა.

აღსანიშნავია მეცნიერული მიზნით დ. ბაქრაძის მოგზაურობები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში: აჭარა, გურია, შავშეთი, არტაანი, კლარჯეთი, აფხაზეთი, თრიალეთი და სხვ., რასაც მოჰყვა სათანადო გამოკვლევები.

დიმიტრი ბაქრაძე იყო დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე. დიმიტრი ყიფიანთან და ილია ჭავჭავაძესთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნაში; მისი ინიციატივით თბილისში დაარსებულმა საეკლესიო მუზეუმმა დიდი როლი შეასრულა ქართულ სიძველეთა თავმოყრისა და დაცვის საქმეში. 1881 წელს დიმიტრი ბაქრაძის თა-

ოსნობით თბილისში გაიმართა სრულიად რუსეთის IV არქეოლოგიური ყრილობა, რომლის მუშაობაში უცხოელი მეცნიერებით მონაწილეობდნენ. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

დიმიტრი ბაქრაძე, უწინარეს ყოვლისა იყო მეტად ნაყოფიერი და კომპეტენტური მეცნიერი. სწორედ ამიტომ 1879 წელს იგი აირჩევს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ბ ა ქ რ ა ძ ე კონსტანტინე (კოტე) სპირიდონის ძე. 24. XI. 1898, თბილისი — 23. X. 1970, თბილისი.

ფილოსოფოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1918 წელს დაამთავრა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია და ჩაირიცხა ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში, სადაც ერთდროულად ეუფლებოდა სიბრძნისმეტყველებასა და მათემატიკას. იგი იმ თაობას ეკუთვნის, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება ყოფილიყვნენ ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის პირველი სტუდენტები, პირველი კურსდამთავრებულები და სიცოცხლის ბოლომდე ამავე უნივერსიტეტის უანგარო მსახურნი. მათ ბედმა არგუნა ესმინათ ისეთ მეცნიერთათვის, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, ანდრია რაზმაძე, გრიგოლ წერეთელი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და სხვ. ჩვენი ხალხის ამ დიდი მოღვაწეების ლექციებს ისმენდა კ. ბაქრაძეც, მომავალში მათი ღირსეული შემცველელი და მრავალი მათგანის კოლეგა.

1922 წელს კ. ბაქრაძემ დაამთავრა უნივერსიტეტი და სამეცნიერო საბჭომ იგი დატოვა საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1923—1925 წლებში მივლინებული იყო გერმანიაში, სადაც მუშაობდა XX საუკუნის გამოჩენილ ფილოსოფოსებთან ჰუსერლთან, რიკერტთან, ჰაიდეგერთან. უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე თავის აღმზრდელ უნივერსიტეტში სათავეში ედგა მისივე თაოსნობით გახსნილ ფილოსოფიის ფაკულტეტს, განაგებდა ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკის კათედრას, თავმჯდომარეობდა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს. პარალელურად მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, ლექციებს კითხულობდა რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს საწავლებელში.

კ. ბაქრაძე იყო ალიარებული სპეციალისტი ფილოსოფიის ისტორიის, თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და ლოგიკის დარგებში. მას ღრმად ჰქონდა შესწავლილი გერმანული კლასიკური ფილოსოფია, იყო ნეოკანტიანელობის, ფენომენოლოგიის, პრაგ-

მატერიალიზმის, ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიური სკოლების გამოჩენილი მკვლევარი. მან სიცხადე შეიტანა ფილოსოფიის ბევრი ძირითადი ცნებისა და თეორიის გაგებაში, პირველმა დასვა და თავისებურად გადაწყვიტა ფორმალურ და დიალექტიკურ ლოგიკას შორის დამოკიდებულების პრობლემა, დაუპირისპირდა გაბატონებულ შეხედულებას, რომელიც უარყოფდა ფორმალურ ლოგიკას. იგი იყო შესანიშნავი პოლემისტი და ჭეშმარიტების მტკიცე დამცველი, რაც ხშირად მისგან მოქალაქეობრივ მამაცობას მოითხოვდა. იგი არასოდეს არ წასულა კომპრომისზე საკუთარ მეცნიერულ სინდისთან და სიმართლისათვის არ ულალატნია.

ხალასი ნიჭისა და ფართო ერუდიციის წყალობით, პროფესორ კოტე ბაქრაძეს დიდი წვლილი შეჰქონდა ფილოსოფიის ყველაზე აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში. მისი შრომები გამოირჩევიან სიღრმით, ნათელი და მკაცრი არგუმენტაციით, რითაც დამსახურებულად მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. ამასთან იგი იყო ბრწყინვალე პედაგოგი. ჰქონდა უნარი ურთულესი ფილოსოფიური პრობლემები ჩამოეყალიბებინა მარტივად და ყველასათვის გასაგები ენით.

ღვაწლმოსილი მეცნიერი დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ბ ა ღ ა შ ვ ი ლ ი სპარტაკ ლევანის ძე. 7. XII. 1912, თბილისი — 1. II. 1977, თბილისი.

კინომსახიობი. დაიბადა თბილისელი მუშა-მოსამსახურის ოჯახში. აქტიორული ხელოვნება მისთვის უცხო არ იყო. მაგრამ თავდაპირველად სცენაზე არ უფიქრია — მან დაამთავრა სატყეო ტექნიკუმი. სტუდენტობისას იგი შემთხვევით ნახა ქუჩაში, უხუცესმა ქართველმა რეჟისორმა ზაქარია ბერიშვილმა, რომელიც მთავარი გმირის შემსრულებელს ეძებდა მ. ჭიაურელის ფილმისათვის „არსენა“.

პირველივე როლით შეიყვარა მაყურებელმა ს. ბაღაშვილი. საოცარი არტისტული ხიბლი, ტემპერამენტი, დიდი შემოქმედებითი ინტუიცია, გამორჩეული გარეგნობა და წარმოსადეგი აღნაგობა — ყველაფერმა ამან იგი ჭეშმარიტად სახალხო არტისტად აქცია.

სპარტაკ ბაღაშვილმა 1944 წელს დაამთავრა საქართველოს სახკინმრეწვთან არსებული კინომსახიობთა სკოლა, მაგრამ ამ დროისათვის იგი უკვე დასრულებული ხელოვანი იყო. ჯერ კიდევ 1939 წელს კინოფილმ „დიად განთიადში“ გიორგის როლის შესრულებისათვის სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ამის შემდეგ (მსახი-

ოპმა) კიდევ რამდენიმე ფილმში ითამაშა (ვანო „ქაჯანა“, ლუარსაბ მეფე „გიორგი საკაძე“ ერთდროულად სამი როლი „აკაკის აკვანში“ — მეწისქვილე ესტატე, გამზრდელი, ვაჟა-ფშაველა). ავადმყოფობამ დიდი ხნით ჩამოაცილა საყვარელ საქმეს. მხოლოდ 60-იან წლებში დაუბრუნდა კინოს და ახალი ბრწყინვალეებით წარსდგა მაყურებლის წინაშე — მარტია („თეთრი ჭარავანი“), ხევისბერი გოჩა (ამავე სახელწოდების ფილმი), ლუკაია („მე ვხედავ მზეს“), ჯანყვათი („ცისკრის ზარები“), ქალუნდაური („დიდოსტატის მარჯვენა“), მებორნე („მთვარის მოტაცება“), და სხვ.

სპარტაკ ბალაშვილმა დასამახსოვრებელი სახეები შექმნა „მოსფილმის“, უკრაინისა და ტაჯიკეთის კინოსტუდიების მიერ დადგმულ ფილმებში. 1963 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, დაჯილდოვებული იყო 2 შრომის წითელი დროშის ორდენით.

ბ ა ღ დ ა ვ ა ძ ე ეკატერინე ნიკოლოზის ასული. 24. X. 1916,[1] თბილისი — 15. VIII. 1975, თბილისი.

ფერმწერი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. 1943—1940 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ფუნჯის ისეთი ოსტატები, როგორებიცაა მ. თოიძე, უ. ჯაფარიძე, კ. სანაძე, დ. კაკაბაძე, ვ. სიდამონ-ერისთავი. აქვე დაამთავრა ასპირანტურა და იმავე წელს (1946) თბილისის მხატვართა კლუბში მოეწყო მისი ნამუშევრების პირველი საანგარიშო გამოფენა, რომელმაც ახალგაზრდა შემოქმედს დიდი წარმატება მოუტანა.

ე. ბაღდავაძე იყო მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე მხატვარი, ფერმწერი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. იგი ბრწყინვალე პორტრეტებინ, პეიზაჟებისა და კომპოზიციების ავტორია. მან სახვითი ხელოვნების ყველა ჟანრში საგულისხმო ნიმუშები დაგვიტოვა, რითაც გაამდიდრა ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძური.

ე. ბაღდავაძე ბევრს მუშაობდა საბავშვო წიგნის მხატვრულად გაფორმების დარგშიც. მის მიერ შესრულებულ ილუსტრაციებში გამოვლინდა ავტორის დახვეწილი გემოვნება, ხალასი ნიჭი და ოსტატობა.

აღსანიშნავია ე. ბაღდავაძის პედაგოგიური მოღვაწეობა: იგი სიცოცხლის ბოლო ათწლეულის მანძილზე ფერწერასა და კომპოზიციას ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე და თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდა მხატვრებს.

[1] სხვა მონაცემებით დაბადებულია 1918 წელს.

ბ ა ჩ ა ნ ა (რაზიკაშვილი ნიკოლოზ პავლეს ძე). 11. V. 1866, სოფ. ჩარგალი, დუშეთის რაიონი — 17. XII. 1927, თბილისი.

პოეტი. პირველდაწყებითი განათლება ჩარგალში მიიღო, ხოლო შემდეგ მშობლებმა მიაბარეს გორის საოსტატო სემინარიაში, სადაც მისი უფროსი ძმა ვაჟა-ფშაველა სწავლობდა. ნიკომ სემინარია დაამთავრა 1885 წელს და ღაინიშნა სილნაღის მაზრის სოფელ ვეჯინის სკოლაში მასწავლებლად. 1900 წელს სოფელ მაღაროსკარში გახსნა პანსიონი. შემდეგ ასწავლიდა ჩარგლის, დუშეთის, სილნაღის, ბოდბისა და ქვემო ქედის სკოლებში.

ბაჩანამ პირველი ლექსები 80-ან წლებში დაწერა და უმალ გაითქვა სახელი, როგორც ნიჭიერმა პოეტმა. მოგვიანებით თანამშრომლობდა „ივერიაში“ და „თეატრში“. მის პოეზიას წითელ ზოლად გასდევს ეროვნული თავისუფლების მოტივი. ამ თემაზეა დაწერილი ბაჩანას ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: „ფშაველი ქალის ტირილი“, „ტყვე ბულბული“, „ჩვენი წარსულის გამო“, „დაბარებული“, „ტყვის სიმღერა“, „ელეგია“, „სიზმრად“; პოემებში „თაღლაურა“, „ნანაის სიმღერა“, „საფრთხე“ პოეტი მთიელთა ყოფა-ცხოვრებას აღწერს. პოემა — რომანში „წაწლობა“ ფშაველის თემის ზოგიერთი წეს-ჩვეულების დრომოჭმულობას ააშკარავებს.

ბაჩანას შემოქმედებაზე კეთილმყოფელი გავლენა მოახდინეს მისმა თანამედროვე ქართველმა კლასიკოსებმა. მაგრამ მისი პოეტური სტილი უფრო ენათესავება ვაჟა-ფშაველას. ეს იმითაა გამოწვეული, რომ პოეტის შემოქმედების სათავეც ხალხური ზეპირსიტყვიერებაა. ბაჩანა, როგორც მწერალი და მოქალაქე მყარად იდგა მშობლიური მხარის მიწაზე და ერთგულად ემსახურებოდა მის ინტერესებს. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი დიდი სიყვარულით აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვაობის ნიმუშებს.

ბ ა ხ ტ უ რ ი ძ ე პეტრე ბესარიონის ძე. 13. VIII. 1900, ქუთაისი — 17. X. 1962, თბილისი.

ჟურნალისტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი. დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და 1919 წელს ჩაირიცხა ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, მაგრამ ხელმოკლეობის გამო იძულებული გახდა სწავლისათვის თავი მიენებებინა. დაბრუნდა ქუთაისში და ხელი მოჰკიდა თვითგანათლებას. მხოლოდ მოგვიანებით შეძლო ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დამთავრება.

ქუთაისში დაბრუნებული პ. ბახტურიძე იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და პარალელურად აქვეყნებს კრიტიკულ წერილებს, ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. 1933 წელს ხელმძღვანელობ-

და საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ორგანოს გაზეთ „სიტყვა და საქმეს", ხოლო 1934—1935 წლებში სათავეში ედგა მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებას. მოგვიანებით გადმოვიდა თბილისში და 1944—1950 წლებში მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის" ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ. შემდეგი ხუთი წელი ჟურნალ „მნათობში", უკანასკნელ ხანს კი განაგებდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ლიტერატურულ ნაწილს.

პ. ბახტურიძე ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას. პერიოდულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მისი კრიტიკული წერილები და თეატრალური რეცენზიები, სტატიები ბესიკის, ა. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, დ. კლდიაშვილის, ა. პუშკინის, ლ. ქიაჩელის, კ. კალაძისა და სხვათა შემოქმედებაზე. თარგმნა ჩეხოვის, შოლოხოვის, გლადკოვის, ვასილევსკაიას, ერენბურგის და სხვათა ნაწარმოებები 1959 წელს გამოცემულ მის „კრიტიკულ წერილებში" ალძრული და გაშუქებულია ქართული ლიტერატურის არაერთი საჭირბოროტო საკითხი.

მშობლიური კულტურის დაუღალავმა მოღვაწემ პ. ბახტურიძემ, მთელი თავისი ნიჭი და უნარი ჩვენი ხალხის უანგარო სამსახურს შეალია.

ბ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი — ე რ ი ს თ ა ვ ი ოლღა გიორგის ასული. 1892, ოზურგეთი — 9. V. 1966, თბილისი.

აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის მეუღლე. დაიბადა გენერალ გიორგი ბებურიშვილის ოჯახში. დედა ბაბილინა ჯაყელი იმ დროისათვის დიდად განათლებული და გარეგნულად ლამაზი ქალი ყოფილა. შალე მამა ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. ოლღამ კარგი განათლება მიიღო, იგი ჯერ ქუთაისის შემდეგ კი თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა, რომელიც წარჩატებით დაამთავრა. შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგში, სმოლნის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში, რომელიც ვერ დაასრულა, იმის გამო, რომ თავისი ბედი კონსტანტინე ერისთავს დაუკავშირა.

ცნობილია, რომ ამ დროს პეტერბურგში უმაღლეს განათლებას იღებდა ქართველი სტუდენტობის საუკეთესო ნაწილი, რომლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი ინტელექტუალური დონის ამაღლებას საქართველოში. დედის მხრივ ქალბატონ ოლღას ენათესავებოდა მერი შერვაშიძე, გენერალ გ. მხეიძის ოჯახი. იგი საოცარი სიყვარულით იხსენიებდა 1914—1920 წლების საქართველოს: დადიანების ოჯახის ისტორიას, სახელმწიფოებრიობის აღდგენას ჩვენში და სხვ.

სამწუხაროდ არიან ადამიანები, რომელთა ნათელი ცხოვრება,

კეთილი საქმეები, ოჯახისადმი განსაკუთრებული ერთგულება თუ სხვა, უპრეტენზიოდ ჩაივლიან ხოლმე, გასახსენებლად რჩებიან მხოლოდ ახლობელთა წრეში. ასეთი გახლდათ ქალბატონი ოლღაც, შესანიშნავი მეუღლე, დედა და ბებია. მას არსად არ უმუშავნია. ეს საოცარი შეხედულების უპრეტენზიო მანდილოსანი სტუმართმოყვარე სახლის გულთბილ დიასახლისად დარჩა.

ბ ე გ ო ი ძ ე — მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა ანა ვასილის ასული. 3. II. 1909, თბილისი — 27. X. 1877, თბილისი.

პოეტ ალიო მირცხულავას მეუღლე. 1925 წელს დაამთავრა ქალთა გიმნაზია თბილისში. მუშაობდა კინოსტუდიაში მსახიობად.

ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი — მ თ ვ ა რ ა ძ ე ნინო ზაქარიას ასული. 22. I. 1907, სოფელი ხევისუბანი, გურჯაანის რაიონი — 29. IX. 1987, თბილისი.

მწერალ სიმონ მთვარაძის მეუღლე. დაწყებითი განათლება მიიღო გურჯაანში. შემდეგ დაამთავრა თბილისის გიმნაზია. 1923 წელს გათხოვდა და მას შემდეგ არ უმუშავნია, იყო დიასახლისი.

ბ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი აკაკი იონას ძე. 11. IV. 1903, სოფელი ქორეთი, საჩხერის რაიონი — 14. 11. 1961, თბილისი.

მწერალი, კინო სცენარისტი. დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ლიტერატურამ ჯერ კიდევ გიმნაზისტობის წლებში გაიტაცა. ხელნაწერ ჟურნალებში აქვეყნებდა პატარა მოთხრობებს, მინიატურებს და პიესებს, გატაცებული იყო ფორმალისტური ძიებებით.

30-იანი წლებიდან ა. ბელიაშვილი სისტემატურად აქვეყნებს მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს. ორმოც წელზე მეტი ხნის ლიტერატურული ცხოვრების მანძილზე მან დაგვიტოვა მრავალფეროვანი და მდიდარი შემოქმედება — მოთხრობები, ნოველები, თანამედროვე და ისტორიული რომანების სერია, მხატვრული ნარკვევები, პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული ჟანრის წერილები, კინოსცენარები. მწერლის ოცდაათიან წლებში შექმნილი ნოველები, ძვირფასი წვლილია ქართულ ნოველისტიკაში.

რაც შეეხება რომანებს აქ უპირველესად უნდა აღინიშნოს „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“, ფართოპლანიანი ნაწარმოები საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ პერიოდზე. სამწუხაროდ ავტორმა მოასწრო მხოლოდ სამტომად ჩაფიქრებული ნაწარმოებიდან პირველი წიგნისა და მეორის დასაწყისი თავების გამოქვეყნება. რო-

მანში „ოქროს ჩარდახი“ კვლავ ბეჩიკის თავგადასავალია გადმოცემული, რომელიც იშლება პოეტის დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობის ფონზე.

ა. ბელიაშვილმა თანამედროეობას უძღვნა რომანები: „უღელტეხილი“, „ვეფხია ხალიბაური“. ახალგაზრდობის შრომითი საქმიანობა დაედო საფუძვლად რომანს „შვიდკაცა“, რომელიც ასევე დაუმთავრებელი დარჩა. მისი სცენარებით შეიქმნა ფილმები: „ცანის ხეობის საუნჯე“, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ და სხვ. მწერალი საბედისწერო შემთხვევამ იმსხვერპლა შემოქმედებითი გაფურჩქვნის ხანაში, დაჯილდოვებული იყო ორდენებით და მედლებით.

ბ ე ნ ა შ ვ ი ლ ი დიმიტრი გიორგის ძე. 25. XI. 1910, სოფელი ზემო მაჩხაანი, დედოფლის წყაროს რაიონი — 29. VII. 1982, თბილისი.

კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1933 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო 1935 წელს ასპირანტურა, რის შემდეგაც შეუდგა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას — იყო ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქტორი, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში უახლესი ქართული ლიტერატურის განყოფილების გამგე, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში კათედრის გამგე.

დ. ბენაშვილი სამწერლო სარბიელზე 1928 წელს გამოვიდა ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის წერილებით და აქედან მოყოლებული მოუღლელად ემსახურა ქართულ მწერლობას. მის კალამს ეკუთვნის ისეთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, როგორებიცაა „მარქსიზმი და ლიტერატურა“, „ხელოვნების საკითხები“, „ალ. ყაზბეგი“, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, „კრიტიკული ნარკვევები XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“, „სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში“, „გალაკტიონ ტაბიძე“, „ვაჟა-ფშაველა — შემოქმედი და მოაზროვნე“ და სხვა მრავალი. ამ უკანასკნელი ნაშრომის დაწერას დ. ბენაშვილმა ბარე ოცი წელი მოანდომა და შექმნა ფუნდამენტური გამოკვლევა დიდ პოეტსა და მოაზროვნეზე. მეცნიერის მონოგრაფიები და კრიტიკული წერილები დაწერილია დახვეწილი მხატვრული გემოვნებით და შესულია ჩვენი ეროვნული კრიტიკული აზროვნების ოქროს ფონდში.

დიმიტრი ბენაშვილის სიტყვას ანგარიშს უწევდნენ როგორც

დაწყები, ისე გამოცდილი მწერლები, რადგან ამ ავტორიტეტის უკან იდგა მაღალი ინტელექტი, ღრმა განსწავლულობა და შშობლიური მწერლობის უსაზღვრო სიყვარული.

ბ ე ჟ ა ნ ი შ ვ ი ლ ი — ა გ ლ ა ძ ე ოლღა ნიკოლოზის ასული. 1869 — 31. I. 1952, თბილისი.

მწერალი. ახალგაზრდობიდანვე ჩაება ლიტერატურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძესთან „ივერიაში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში. მისი მოთხრობები და თარგმანები იბეჭდებოდა „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“. იგი ქართველ ქალთა იმ თაობას ეკუთვნის, რომლებიც მხარში ამოუდგნენ თავიანთ მოძმეთ და ნაყოფიერ საზოგადო-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. 900-ან წლებში დაარსეს „ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, რომელმაც მოაწყო ჭრა-კერვის სკოლა, საზოგადოება სისტემატურად ატარებდა ლიტერატურულ საღამოებს და თეატრალურ წარმოდგენებს. სწორედ ამ ხანებში დაუახლოვდა იგი თავის მომავალ მეუღლეს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ილია აგლაძეს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ ოლღა აგლაძემ დაგვიტოვა შესანიშნავი მოგონებები, ილია ჭავჭავაძეზე, იაკობ გოგებაშვილზე, ეგნატე ნინოშვილზე, „ივერიის“ რედაქციის საქმიანობაზე და სხვა. თარგმნა არაერთი მხატვრული ნაწარმოები. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას.

ბ ე რ ი ძ ე ვუკოლ მიხეილის ძე. 15. II. 1883, დაბა ხონი — 11. V. 1963, თბილისი.

ენათმეცნიერი, რუსთველოლოგი, ლექსიკოგრაფი. 1902 წელს ხონში დაამთავრა სემინარია და აქვე დაიწყო მასწავლებლობა. 1907 წელს ექსტერნად ჩააბარა გამოცდები ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში და მიიღო სიმწიფის ატესტატი. ერთი წლის შემდეგ ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის ქართულ — სომხურ განყოფილებაზე. აქ აქტიურად ჩაება ქართველთა სათვისტომოს ცხოვრებაში, სადაც იმხანად დიდ მუშაობას ეწეოდნენ შემდგომ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი: ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, გ. ჩიტაია, ს. ყაუხჩიშვილი, კ. დონდუა, თ. და ნ. ლომოურები, გ. თარხნიშვილი, ვლ. ფუთურიძე და სხვანი. ახალგაზრდობას თავს დასტრიალებდნენ ნიკო მარი,

განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილი. ნ. მარმა იმთავითვე განსაზღვრა ახალგაზრდა ვ. ბერიძის მეცნიერული ინტერესები — „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა და ლექსიკოლოგია. 1911 წელს მისი დავალებით ვ. ბერიძემ იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში, რასაც მოჰყვა „სიტყვის — კონა იმერულ-რაჭულ თქმათა“. ნაშრომი დაისტამბა 1921 წელს პეტერბურგში. ესაა პირველი ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონი. უფრო მოგვიანებით, მისივე ინიციატივით, გამოვიდა სხვა ქართული დიალექტების — გურულის, ზემო იმერულის და ლეჩხუმურის ლექსიკონები. ამავე წელს ვ. ბერიძემ პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა უნივერსიტეტი, დაბრუნდა სამშობლოში. ჯერ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში დაიწყო მუშაობა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ხოლო 1918 წლიდან თბილისში სხვადასხვა თანამდებობაზეა. მაგრამ მას არასოდეს ულალატნია თავისი მოწოდებისათვის — იგი გამუდმებით ეწეოდა მეცნიერულ კვლევას.

ვუკოლ ბერიძე ქართველ მეცნიერთა იმ შესანიშნავ პლეადას ეკუთვნის, რომლითაც დაკომპლექტდა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კადრები. ამ გამოჩენილი მეცნიერის ხელში გაიარა არაერთმა თაობამ, რომელთაგან ბევრი ცნობილი მკვლევარი გახდა. ვ. ბერიძე თავდაპირველად თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა ქართული ენის, ხოლო შემდეგ რუსთველოლოგიის კურსს. 1935 წელს აქვე დააარსა რუსთველოლოგიის კათედრა, რომელსაც განაგებდა 1937 წლამდე. წლების მანძილზე ლექციებს კითხულობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მეცნიერის ღვაწლი რუსთველოლოგიაში. მან ეს დარგი გაამდიდრა ფუნდამენტური ნაშრომებით: „ვეფხისტყაოსნის ხალხურობისათვის“, „შოთას პოეტიკისათვის“ და სხვ. ასევე დიდია ვ. ბერიძის წვლილი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენაში. იგი ათეული წლების მანძილზე თავმჯდომარეობდა სამეცნიერო ტერმინოლოგიურ კომისიას. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით დამუშავდა სამშენებლო, ფიზიკისა და ელექტრონიკის, ნორმალური ანატომიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის და პოლიგრაფიული საქმის, საავიაციო, სამედიცინო, ნიადაგმცოდნეობისა და სხვა ტერმინოლოგიური ლექსიკონები. ამას ემატება 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რაც ცხადყოფს მისი ავტორის დაუშრეტელ ენერგიას, ფართო ერუდიციას, ღრმა ცოდნას, ეროვნული კულტურისადმი თავდადებას.

ასევე დიდია მეცნიერის ღვაწლი საქართველოდან რევოლუციამდე გატანილი საარქივო დოკუმენტების რეევაკუაციის საქმეში.

იგი სათავეში ედგა სპეციალურ კომისიას, რომელშიც შედიოდნენ: გ. ჩუბინაშვილი, დ. შევარდნაძე, ჰ. ჰრინევსკი, ი. შარლემანი, დ. კარიჭაშვილი, მ. ჯანაშვილი და სხვანი. განუზომელია განძის მნიშვნელობა ეროვნული კულტურისა და მეცნიერებისათვის.

ყოველივე ეს შეეძლო გაეკეთებინა სამშობლოზე თავდაეიწყებით შეყვარებულ ადამიანს და, მისი სულიერი მოძღვრის, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „მხნე მუშაკსა და გულწრფელ მამულიშვილს“.

ბ ე რ ი ძ ე ფილიპე ევსევის ძე. 1932, სოფელი მერჯევი, საჩხერის რაიონი — 2. IX. 1970, თბილისი

ლიტერატორი, მთარგმნელი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მისი მეცნიერული და შემოქმედებითი ინტერესები მოიცავდა ლიტერატურათმცოდნეობას, კრიტიკას, ესთეტიკას, პოეტიკას, ნაყოფიერად მუშაობდა მხატვრულ თარგმანში. ახალგაზრდა მეცნიერის შრომებისათვის ნიშანდობლივია კვლევის მაღალი კულტურა და ფართო ერუდიცია. ამის ჩინებული მაგალითია ავტორის წიგნი: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

ფილიპე ბერიძის თეულობით ნაშრომსა თუ სტატიას გვერდს უმშვენებს ალექსანდრე ბლოკის, ლესია უკრაინკას, ედგარ პოს, რობერტ ბერნსისა და სხვათა ქმნილებების შესანიშნავი ქართული თარგმანები. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ გამომცემლობებში, მისი რედაქტორობით გამოვიდა არაერთი საყურადღებო წიგნი.

ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი გრიგოლ ალექსანდრეს ძე. 17. IV. 1909, ზათუმი — 7. II. 1952, თბილისი.

დრამატურგი. ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა 1927 წლიდან. მწერლის პირველი პიესა დაიდგა 1937 წელს თბილისის სანკულტურის თეატრში. 30-იან წლებში იდგმებოდა მისი პიესები: „აპარის მთებში“, „სერგო“, „ჩაძირული ოქრო“, „ცეცხლი“, „ჩვენი მიწა“ და სხვ.

1941 წლიდან დრამატურგი საბჭოთა არმიის რიგებშია. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, იგი კვლავ განაგრძობს ლიტერატურულ მოღვაწეობას. 1948 წლიდან თბილისის, გორის, ცხინვალის, ფოთის, ოზურგეთისა და რესპუბლიკის სხვა თეატრებში სისტემატურად იდგმებოდა ნიჭიერი დრამატურგის პიესები: „არწივის

ბუდე“ რუსთაველის სახელობის თეატრი (თანაავტორი ს. დოლიძე), „სიყვარულის ძალა“, „მშვიდობის მტრედები“ (1948), „ბედნიერებისაკენ“ (1951), „ძველი ჭრილობა“ (1952), „კოპლი მეწისქვილე“ (1956), „დაჭრილი არწივი“ (1957, კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრი).

გრიგოლ ბერძენიშვილის პიესებში ასახულია ქართველი ხალხის გმირული წარსული და თანამედროვეობა, მისი თავდადება სამამულო ომში, ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის. დრამატურგის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საბავშვო მოთხრობები „დიდი წიფლის საიდუმლო“, „ეგნატეს ცრემლი“, „მოწყვეტილი ვარსკვლავი“ და სხვ.

ბ ე წ უ კ ე ლ ი ვახტანგ პავლეს ძე. 22. IX. 1916, სოფელი მაგრანეთი, თიანეთის რაიონი — 20. VI. 1971, თბილისი.

პოეტი და მთარგმნელი. 1940 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ გურჯაანის, შემდეგ თიანეთის რაიონებში, ხოლო 1945 წლიდან გადმოდის თბილისში და ეწევა სამწერლო საქმიანობას.

თარგმნა სიჰაბუკეშივე დაიწყო. გერმანულისა და ქართულის საფუძვლიანმა ცოდნამ საშუალება მისცა წარმატებით შეჰიდებოდა გოეთესა და შილერის შემოქმედებას. მან გააცნო ქართველ მკითხველს გერმანელი კლასიკოსების ნიმუშები: „გიორგ ფონ ბერლიხინგენი“, „იფიგენია თავრიდში“, „ეგმონტი“, „ტორკვატო ტასო“, „მოქალაქე გენერალი“, „პრომეთე“, „უკანონო ასული“, „ულპენარი“, „მარიამ სტიუარტი“, „ფიესკოს შეთქმულება“, „ორლეანელი ქალწული“, „დონ კარლოსი“, აგრეთვე ლესინგის „ემილია გალოტი“, „ნათან ბრძენი“, ჰაინრიხ მანის „მეფე ანრი IV სიჰაბუკე“ და სხვა მრავალი.

თავისი თარგმნებით ვ. ბეწუკელმა კიდევ უფრო აამაღლა ქართული მთარგმნელობითი ხელოვნება და ხალხს დაუტოვა ძვირფასი საგანძური. ამით მან თავისი ვალი მოიხადა მშობლიური ლიტერატურისა და ხალხის წინაშე. იგი ამავე დროს საგამომცემლო საქმის დაუცხრომელი მუშაკი იყო. მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე „ნაკადულსა“ და „საბჭოთა საქართველოში“. დაჯილდოვებული იყო მედლებითა და სიგელებით.

ბ ი ბ ი ლ უ რ ი თამაზ ალექსანდრეს ძე. 9, IV. 1934 სოფელი შრომა, გურჯაანის რაიონი — 10. XII. 1992, თბილისი.

მწერალი, დრამატურგი. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. თავდაპირველად მუშაობდა გაზეთ „ახალ-

გაზრდა კომუნისტში“ ლიტმუშაკად, შემდეგ იყო ამ გაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილე. 1974 წლიდან მოღვაწეობს „ლიტერატურულ საქართველოში“ პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო 1981 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — მთავარი რედაქტორის მოადგილეა.

თ. ბიბილურის სამწერლო დებიუტი 1957 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობები. აქედან მოყოლებული ქართველი საზოგადოება სისტემატურად ეცნობოდა მწერლის რომანებს, მოთხრობებს, ლიტერატურულ თუ პუბლიცისტურ წერილებს. მისი რომანებისა და მოთხრობების კრებულები „ჩივილი“, „ეამი კითხულისა“, „შვიდი ხმისა და ტოროლისათვის“, „ნილაბი“, „მთვარის შვილი“ და მრავალი სხვა თანამედროვე ჩვენი ეროვნული ლიტერატურის შენაძენია. იგი იყო თავია სამშობლო-ქვეყანაზე ღრმად დაფიქრებული და ჭეშმარიტად მეყვარებული შემოქმედი. მწერლის ყველა ნაწარმოები მშვენიერებისა და ამაღლებულობის პრინციპზეა აღმოცენებული. თ. ბიბილური ეძებდა ადამიანში სიკეთეს, სილამაზეს, ებრძოდა ყოველგვარ ბოროტებას და სიმახინჯეს. მწერალმა დიდი ამაგი დასდო ქართულ დრამატურგიას. თამაზ ბიბილურის პიესები „ვიღაც გვეძახის“ და „მთვარიანი ღამის სტუმრები“ წარმატებით იდგმებოდა რესპუბლიკის თეატრების სცენებზე.

მწერლის ნაწარმოებებს ქართულმა კინომაც მიაკითხა. მისი სცენარების მიხედვით დაიდგა ორი მხატვრული ფილმი. მოზარდთათვის განკუთვნილ წიგნს „წელიწადის დრონი“ 1992 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

მართალია თამაზ ბიბილურის ფიზიკური ცხოვრება არ გამოდგა ხანგრძლივი ამ ქვეყანაზე, მაგრამ ქართული კულტურის ისტორიაში იგი სამუდამოდ დარჩა როგორც მაღალი ზნეობის და სიკეთით აღსავსე, კაცთმოყვარეობით და საქმისადმი უანგარო თავდადებით გამორჩეული მამულიშვილი, შესანიშნავი მწერალი და მოქალაქე.

ბ ო ბ ო ხ ი ძ ე კალისტრატე (ალე) ფირანის ძე. 1904. სოფელი მათხოჯი, ხონის რაიონი — 25. IV. 1982, თბილისი.

პოეტი. 1929 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი შემდეგ მუშაობდა ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად სხვადასხვა საგანმანათლებლო სასწავლებელში.

კ. ბობოხიძე სამწერლო ასპარეზზე 20-ან წლებში გამოვიდა და, აქედან მოკიდებული იგი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრია. პოეტის ლექსები ხშირად ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდიკაში. მისი მრავალი ნაწარმოები

თარგმნილია სსრკ ხალხთა მრავალ ენებზე, ბევრი თარგმანი დაიბეჭდა უცხოეთშიც. იგი ორმოცზე მეტი პოეტური კრებულის ავტორია. ამავე დროს ნაყოფიერად მუშაობდა მხატვრული თარგმანის დარგშიც. მან მშობლიურ ენაზე აამეტყველა პუშკინის, ლერმონტოვს, შევჩენკოს, ისაკიანის, მაიაკოვსკის, ტიხონოვის, იან კუპალას. ბაკანის შემოქმედების ნიმუშები, დიდი ღვაწლი დასდო რეს-პუბლიკაში საგამომცემლო საქმის განვითარებას.

ბ ო ც ვ ა ძ ე ლუარსაბ გერასიმეს ძე. 4. I. 1866, სოფელი ნოღა, სამტრედიის რაიონი — 24. VI. 1919, თბილისი.

პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. 1888 წელს წარმატებით დაამთავრა ხონის საოსტატო სემინარია და იმავე წელს დაადგა მასწავლებლობის რთულ და კეთილშობილურ გზას, რომლიდანაც სიკვდილამდე არ გადაუხვევია. პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო წყალტუბოს სკოლაში, სადაც 3 წელი დაჰყო, რის შემდეგ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში გადაიყვანეს.

1892 წლიდან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მიერ დაარსებულ კავკავის ქართულ სკოლაში, რომელსაც 14 წელს ედგა სათავეში. აქ გატარებულმა წლებმა ღრმა კვალი დასტოვა არა მარტო ადგილობრივ ქართველებში, არამედ გაამდიდრა ლუარსაბის ცოდნა, მისი როგორც საზოგადო მოღვაწის ავტორიტეტი. ეს იყო არა მარტო სკოლა, არამედ იქაური ქართველების (და არა მარტო ქართველების) ფართო პროფილის კულტურის კერა. ამ შენობაში მოქმედებდა საკრედიტო საზოგადოება, ბიბლიოთეკა, თეატრი, გაიხსნა ჭრა-კერვის პროფესიული სკოლა, საკვირაო სკოლა, აქვე იმართებოდა მხატვრულ-ლიტერატურული დილა-საღამოები. ლუარსაბ ბოცვაძის დაუღალავმა შრომამ ბევრ ჩვენს გადაკარგულ თანამემამულეს მოახედა სამშობლოსაკენ. გაუღვივა მათ მამულიშვილური გრძნობები, ბავშვებმა შეიყვარეს ქართული ენა და ქართული წიგნი. ლ. ბოცვაძის ასეთი გარჯა საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა. როდესაც ის 1906 წელს თბილისში გადმოვიდა ქართული გიმნაზიის მასწავლებლად, მას მოღვაწეობის ოცდახუთი წლის იუბილე გადაუხადეს.

1908 წელს გამოჩენილი პედაგოგის ინიციატივით დაარსდა სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება", რომლის გარშემოც შემოიკრიბნენ: აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, შ. მღვიმელი, ნ. ლომოური, ეკ. გაბაშვილი და სხვ.

ლ. ბოცვაძის კალამს ეკუთვნის მრავალი პედაგოგიური ხასიათის ნაშრომი და სტატია, რომლებშიც აღძრულია ქართული სკო-

ლის საჭირბოროტო საკითხები. იგი იყო იაკობ გოგებაშვილის თანამოსაგრე და მისი საქმის გამგრძელებელი.

ბრაილოვსკაია — აბაშელი ეკატერინე ისაის ასული. 1894, ქ. იუზოვკა (ახლანდელი დონეცკი) — 27. X. 1966, თბილისი.

პოეტ ალექსანდრე აბაშელის მეუღლე. საშუალო განათლება პეტერბურგში მიიღო. შემდეგ ცხოვრობდა ბაქოში, აქვე გაეცნო თავის მომავალ მეუღლეს და 1911 წელს ცოლად გაჰყვა. 1927 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის ვოკალური განყოფილება „თავისუფალი ხელოვანის" დიპლომით, მაგრამ ამ სპეციალობით არ უმუშავნია.

ბუაჩიძე თენგიზ პაველის ძე. 7. XI. 1926, ქ. საჩხერე — 16. V. 1994, თბილისი.

ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1945 წელს დაამთავრა თბილისის 34-ე საშუალო სკოლა, 1950 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1950—1953 წწ. სწავლობდა ასპირანტურაში რუსული ლიტერატურის ისტორიის განხრით. 1945 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1958—1960 წწ. მუშაობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწედ, შემდეგ მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგედ. 1960—1965 წწ. საქართველოს კულტურის მინისტრია, 1973—1976 წწ. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორი, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" რედაქტორი, რამდენიმე წელი მოღვაწეობდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის განყოფილების გამგედ, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს კულტურის ფონდს, საზოგადოება „მემორიალს" და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის კათედრას. არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად, სამანდატო, დეპუტატის ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის თავმჯდომარედ, საზოგადოება „თბილისელის" გამგეობის წევრად.

თენგიზ ბუაჩიძის მეცნიერული და სამწერლო მოღვაწეობა იწყება 1946 წლიდან. მას ეკუთვნის გამოკვლევები ქართული, რუსული, უკრაინული, ბელორუსული ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე, არაერთი წერილი მოუძღვნა ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობებისა და თარგმნის თეორიის პრობლემებს. ახლებურა-

დაა დანახული ქართველი რომანტიკოსების, ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვა ქართველი მწერლების შემოქმედებითი განვითარების გზა. მწერლის მხატვრულ ნაწარმოებებში „გზა ბავშვობისაკენ“, „ალსარება ანუ პროფესორი სორდია“, „მცირე პროზა ანუ ესეისტური ჩანაწერები“ და სხვა ასახულია მისი თაობის ცროინდელი ახალგაზრდობის მძიმე ცხოვრება, მომავლისადმი უდიდესი რწმენა და ოპტიმიზმი. ამასთანავე თ. ბუაჩიძემ რუსული ლიტერატურის ისტორიას მიუძღვნა ფუნდამენტური ნაშრომები, სადაც მთელი რიგი საკითხები ახლებურად არის გადაწყვეტილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია „იგორის ლაშქრობის ამბავის“ ქართული თარგმანები, „ცხოვრება კობზარისა“, „გოგოლი, დოსტოევსკი, ტოლსტოი“, „ძველი რუსული მწერლობა“ (ორ ტომად) და სხვ. დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე როგორც რედაქტორსა და გამომცემელს. მისი რედაქტორობით გამოიცა ლევ ტოსტოის ნაწარმოებთა ქართული თარგმანების ათტომეული. მანვე მოამზადა გამოსაცემად თ. დოსტოევსკის თხზულებათა ათტომეული, თარგმნა და გამოსცა „გარდასულ წელთა ამბავი“.

თენგიზ ბუაჩიძემ, როგორც მწერალმა, მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ წარუშლელი კვალი დატოვა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ბუკია ალექსანდრე იონას ძე. 17. V. 1906, ქუთაისი — 15. XI. 1976, თბილისი.

კომპოზიტორი სწავლობდა მოსკოვის სამზედრო-საინჟინრო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ერთხანს მუშაობდა ქართულ დივიზიაში, მაგრამ მუსიკით გატაცებამ სძლია ნიჭიერ ჭაბუკს და შევიდა თბილისის კონსერვატორიაში, სადაც სწავლობდა საკომპოზიციო კლასში პროფესორების ს. ბარხუდარიანის, მ. ბაგრინოვსკის და ი. ტუსკიას ხელმძღვანელობით. 1931 წელს კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტში მუსიკალური განყოფილების გამგედ. 1948—1973 წლებში იგი საქართველოს მუსფონდის თავმჯდომარე იყო.

ალექსანდრე ბუკია ავტორია ჰეროიკულ-დრამატული ოპერის „არსენა“, პოპულარული საბავშვო ოპერებისა „დაუპატიჟებელი სტუმრები“ (გვიანდელი რედაქციით „უვავილთა სამყაროში“, თბილისის გარდა იგი დაიდგა ქ. აიზენჰიუტენშტადტში, გერმანია) და „სამი მჭედელი“.

ჩვენში კარგადა ცნობილი ა. ბუკიას სიმფონიები, რომანსები, სიმღერები, საგუნდო პიესები და სხვა. 1966 წელს მიენიჭა საქართ-

ველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოვებული იყო ორდენებითა და მედლებით.

ბ უ რ თ ი კ ა შ ვ ი ლ ი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე. 2. X. 1893, თბილისი — 18. VI. 1965, თბილისი.

ჟურნალისტი და თეატრალური კრიტიკოსი. დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია და სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ჯერ კიდევ ყმაწვილი ეზიარა სცენას და ისე მონუსხა თეატრმა, რომ მთელი სიცოცხლე არ განელებია ეს სიყვარული. მოწაფეობისა და სტუდენტობის დროს მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. მოსკოვიდან დაბრუნებული მიიწვიეს რეჟისორად და მსახიობად მუშათა ცენტრალურ კლუბში, შემდეგ საგარეჯოს თეატრში. აქ მან ცხრა წელი იღვაწა. შემდეგ ისევ თბილისში დაბრუნდა და თანამშრომლობდა ცნობილ ქართველ მსახიობებთან და რეჟისორებთან. მან რამდენიმე დასამახსოვრებელი სცენური სახე შექმნა დედაქალაქის მუშათა თეატრშიც.

მაგრამ ა. ბურთიკაშვილი ჩვენი კულტურის ისტორიაში დარჩა, როგორც ქართული ხელოვნების მემატიანე და კრიტიკოსი. ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, როდესაც გამოქვეყნდა პირველი ნაშრომი ნატო გაბუნიაზე. ამას მოჰყვა მონოგრაფიები: „შალვა დადიანი“, „ალექსანდრე იმედაშვილი„, „გიორგი არადელი — იშხნელი“, „ალ. ყაზბეგი სცენაზე“, „თეატრალური პორტრეტები“, „ცეკვის ჯადოქარი“. (ეს პირველი მონოგრაფიაა, რომელიც ასახავს გამოჩენილი ქართველი მოცეკვავის ვახტანგ ჭაბუკიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას), „რაინდი უშიშარი და გულმართალი“ (ვალერიან გუნიაზე) და სხვ. არ დარჩენილა ქართული თეატრის რამდენადმე გამოჩენილი მისი თანამედროვე, რომლის შესახებ ა. ბურთიკაშვილს არ დაეწეროს წერილი საგაზეთო ან საჟურნალო მაინც. ყველა სხვა ღირსებებთან ერთად მისი ნაშრომები იკითხება როგორც მხატვრული ნაწარმოებები რაც კიდევ უფრო მატებს მიმზიდველობას მათ.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ა. ბურთიკაშვილმა გამოაქვეყნა მოგონებები „დღენი ჩემი ცხოვრებისა“. ყველა მის ნაშრომში ჩანს თეატრალის დიდი გემოვნება, ხელოვნების ღრმა ცოდნა და კრიტიკოსის მახვილი თვალი.

ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე ვარლამ ამირანის ძე. 23. I. 1973, სოფელი ობჩა, ბალდადის რაიონი — 17. X. 1941, თბილისი.

პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. 1896 წელს წარმატებით და-

ამთავრა გორის საოსტატო სემინარია და მასწავლებლობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. შემდეგ ათი წელი იმუშავა ქუთაისის დაწყებით სკოლაში. აქვე ლექციებს კითხულობდა სახალხო უნივერსიტეტში, იყო ქალაქის დრამატიული საზოგადოების წევრი, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მასწავლებელთა არალეგალური წრის ბიუროს. ამ საქმიანობისათვის ვ. ბურჯანაძე ადმინისტრაციული წესით გაასახლეს ქუთაისის გუბერნიიდან.

1911 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გადაწყვეტილებით დანიშნეს კავკაზის ქართული სკოლის გამგედ. აქ დაჰყო ორ წელიწადნახევარი და როგორც არასაიმედო პირი გააძევეს თერგის ოლქიდან. ვარლამი გადავიდა ბაქოში და მუშაობას იწყებს ნავთობის მრეწველთა ადგილობრივი ქართული სკოლის გამგედ. აქაც „დაიმსახურა“ ხელისუფალთა რისხვა და აეკრძალა სკოლაში მუშაობა.

1914 წელს ვ. ბურჯანაძე აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მდივნად, სადაც იმუშავა 1927 წლამდე, ამ დაწესებულების ლიკვიდაციამდე. თავისი ქვისლის, ლ. ბოცვაძის გარდაცვალების შემდეგ 1919—1921 წლებში სათავეში ჩაუდგა და უსასყიდლოდ რედაქტორობდა ჟურნალ „განათლებას“. მის კალამს ეკუთვნის 150-ზე მეტი მეთოდური ხასიათის წერილი და ნარკვევი. მანვე შექმნა „ქართული ენის ქრესტომათია ეროვნებათა უმცირესობის სკოლებისათვის“, ხოლო შ. არაგვისპირელთან და ივ. გომართელთან ერთად რუსულად შეადგინა ქართული ენის პრაქტიკული თვითმასწავლებელი.

საბჭოთა პერიოდში ვ. ბურჯანაძე ეწეოდა მრავალმხრივ კულტურულ საქმიანობას. მუშაობს მასწავლებლად სკოლებში, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სხვ.

1930 წელს იგი დააპატიმრეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, მაგრამ სამი წლის შემდეგ გაათავისუფლეს და განაგრძო პედაგოგიური მოღვაწეობა.

ბ უ ტ ე ლ ა შ ვ ი ლ ი — გ რ ი გ ო რ ა შ ვ ი ლ ი ელენე გრიგოლის ასული. XII. 1905, ქუთაისი — II. 1976, თბილისი.

მომღერალ გრიგოლ გრიგორაშვილის მეუღლე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ერთ ხანს მუშაობდა კიდეც, შემდეგ თავი დაანება, იყო დიასახლისი.

ბ უ შ ი ნ ს კ ა ი ა — თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ვლადისლავა კონსტანტინეს ასული. 1907, ქალაქი გალიჩი, კოსტრომის ოლქი — 13. VIII. 1975, თბილისი.

რეჟისორ ალექსანდრე თაყაიშვილის მეუღლე, საქართველოს დამსახურებული არტისტი. 1924 წელს დაამთავრა სვერდლოვსკის საბალეტო სტუდია. 1931 წელს გადმოვიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასში, სადაც ჯერ ბალეტის სოლისტი იყო, ხოლო შემდეგ საბალეტო ჯგუფის რეპეტიტორი.

გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი იოსებ (სოსო)ილიას ძე. 15. II. 1908, ვლადიკავკაზი — 20. I. 1973, თბილისი.

საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი. სწავლობდა ჯერ თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც იაკობ ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ხატვის ხელოვნებას. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. აქ მისი პედაგოგები იყვნენ გიგო გაბაშვილი, ევგენი ლანსერე და იოსებ შარლემანი. მათი წყალობით ნ-ჭიერმა ახალგაზრდამ მიიღო კარგი პროფესიული წრთობა და უკვე სტუდენტობისას ჩაება ქართველ მხატვართა შემოქმედებით ცხოვრებაში. თავისი ძირითადი სპეციალობის, ფერწერისა და გრაფიკის გარდა, წარმატებით მუშაობდა სცენოგრაფიაში, პლაკატისა და ილუსტრაციის ჟანრში. განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა საბავშვო წიგნის გრაფიკაში, რომლის პიონერადაა აღიარებული. ამასთან სისტემატურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენებზე.

ფულისხმიერი პედაგოგი წლების მანძილზე იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ხატვისა და ფერწერის კათედრის პროფესორი. თავისი საინტერესო შემოქმედებით სოსო გაბაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიაში, რისთვისაც 1970 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.

გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი — მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი თამარ ალექსანდრეს ასული. 1880, თბილისი — 10. VI. 1972, თბილისი.

პოეტ კოტე მაყაშვილის მეუღლე. დაამთავრა თბილისის გიმნაზია და ერთ ხანს მუშაობდა თავისი დედის, მწერალ ეკატერინე გაბაშვილის მიერ გახსნილ სკოლაში ხელმოკლე ბავშვთათვის, ასწავლიდა ქართულს, რუსულს, არითმეტიკას. 1900 წელს დაქორწინდა კოტე მაყაშვილზე და ჩამოსცილდა საზოგადოებრივ საქმიანობას. მათ სამშობლოს აღუზარდეს ხუთი შვილი, მათ შორის ორი — მარო და შალვა იბრძოდნენ კოჯორთან 1921 წელს მეთერთმეტე არმიის ნაწილების წინააღმდეგ. მარო, მოწყალების და, იქ დაიღუპა. იგი დიდი პატივით დაასაფლავეს 23 თებერვალს ძველი სობო-

როს გალავანში, რუსთაველის პროსპექტზე, იქ, სადაც დღეს საქართველოს მთავრობის სასახლეა.

გაბესკირია ვიქტორ იპატის ძე. 29, I. 1903, ფოთი, — 27, VIII. 1964, თბილისი.

პოეტი და დრამატურგი. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფელ ყულევში, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო ფოთის გიმნაზიაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

ლიტერატურული საქმიანობა ადრე დაიწყო — სრულიად ახალგაზრდა რედაქტორობდა ფოთელ ლიტერატორთა გაზეთს „პონტოს“, ხოლო მოგვიანებით ჟურნალ „ისპირს“ ბათუმში. პარალელურად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. თბილისში გადმოსვლის შემდეგ მუშაობდა გაზეთების „წითელარმიელის“, „კომუნისტისა“ და „მუშის“ რედაქციებში.

ვ. გაბესკირიას პირველი პოეტური კრებული „ზღვა“ გამოქვეყნდა 1929 წელს, რითაც ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში შემოიტანა ზღვის თემატიკა. 1939 წელს გამოქვეყნებული მისი მეორე წიგნი ყურადღებას იპყრობს თემატური მრავალფეროვნებითა და დახვეწილი ოსტატობით. ავტორმა ახალი პოეტური ხერხებითა და ფერებით დახატა საბჭოთა ადამიანის თავდადებული შრომა და ქართველი ხალხის გმირული წარსული, სათუთად გამოძერწა ჩვენი სახელოვანი წინაპრების ბრძოლების შთამბეჭდავი სურათები.

1959 წელს გამოქვეყნებულ პოეტის „ერთტომეულში“ ლირიკული ლექსების გარდა, შევიდა პოემები „ქეთევან წამებული“, „შემთხვევა პიონერთა ბანაკში“, „ნონია მესხი“ და თარგმანები. ვ. გაბესკირიამ ქართულად თამეტყველა რუსული პოეტური კლასიკის საუკეთესო ნიმუშები, აგრეთვე ა. მიცკევიჩისა და ლესია უკრაინკას ნაწარმოებები.

განსაკუთრებული დიდი ღვაწლი მიუძღვის ვ. გაბესკირიას ქართული თეატრის წინაშე. წლების მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის წამყვან და პერიფერიულ თეატრებში წარმატებით იდგმებოდა პიესები: „ლაქაშებს შორის“, „მათი ამბავი“, „გაზაფხულის დილა“, „გურიის მთები დაუთოვია“, „უფსკრულთან“, „შრიალებენ ვერხვები“ და სხვ. მან ქართულ დრამატურგიაში თავისებური პოეტური ნაკადი შემოიტანა.

ქართული კულტურის წინაშე დიდი დამსახურებისათვის ვ. გაბესკირიას 1961 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მოღვაწის სამატიო წოდება.

გ ა მ რ ე კ ე ლ ი ბარბარე (ბაბო) ალექსანდრეს ასული. 3. VI. 1893, ქუთაისი — 15. X. 1970, თბილისი.

მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. გამოჩენილი ქართველი მომღერლის დავით გამრეკელისა და თეატრის ცნობილი რეჟისორის ბორის გამრეკელის დ. მან სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1913 წელს მოსკოვში კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ე. წ. „თავისუფალ თეატრში“ 1916 წელს დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობდა ქუთაისისა და თბილისის თეატრებში.

ბაბო გამრეკელის თეატრალური ცხოვრება შემთხვევით არ დაწყებულა. ეფექტია მესხი იყო ბაბოს დეიდა და მისადმი განსაკუთრებულმა სიყვარულმა განაპირობა ქალიშვილის მომავალი. მოსკოვამდე ბაბოს ოჯახი ცხოვრობდა ბაქოში და ჯერ კიდევ ბავშვი, მონაწილეობდა იქაური ქართული თეატრის წარმოდგენებში. საქართველოში დაბრუნებული ნიჭიერი ახალგაზრდა თეატრალურ მოღვაწეობასთან ერთად, მეცადინეობს თბილისის კონსერვატორიაში ვოკალურ განყოფილებაზე. 1916 წელს საფრანგეთიდან ჩამოვიდა რეჟისორი გიორგი ჯაბადარი, რომელმაც თბილისში საფუძველი ჩაუყარა დრამატულ სტუდიას. აქ სწავლობდნენ ვ. ანჯაფარიძე. მ ჭიაურელი, ა. ვასაძე და მათთან ერთად ბ. გამრეკელი. 1920 წლიდან იგი სახელმწიფო დრამის თეატრის (ყოფილი „არტისტული საზოგადოების“ თეატრი, რომელსაც 1921 წლის 25 ნოემბერს ეწოდა შოთა რუსთაველის სახელი) მსახიობია. დაახლოებით 6 წლის განმავლობაში მას უხდებოდა კოტე მარჯანიშვილთან მოღვაწეობა. 1928 წლიდან წელიწადნახევარი ბაბო გამრეკელი მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრშია. შემდეგ იგი ისევ კოტე მარჯანიშვილის თეატრს უბრუნდება, სადაც მან სულ 42 წელი იღვაწა. 1948 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ამავე თეატრის მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გამგე.

ქართულ თეატრში ბაბო გამრეკელმა შექმნა დაუვიწყარი სახეები: ელენე („მარინე“), ელისაბედი („სანაპიროზე“), ხლოპოვის ცოლი („რევიზორი“), ჰორტენზია („სასტუმროს დიასახლისი“), გრაფინია ალმაევა („ფიგაროს ქორწინება“) მარეხი („მზის დაბნელება საქართველოში“), აკრაფინა („გუშინდელნი“), ისახარ („ლალატი“) და სხვ.

სიკეთე და პატიოსნება გამოარჩევდა მუდამ ამ თავმდაბალ და უპრეზენტიო შემოქმედს, ჩინებულ მოქალაქესა და ხელოვანს.

გ ა მ რ ე კ ე ლ ი დავით ალექსანდრეს ძე. 27. VII. 1911, ჭიათურა — 28. XI. 1977, მოსკოვი.

მომღერალი. დაიბადა ჭიათურაში, იურისტის ოჯახში. მუსიკა-

ლური სშენით იყო დაჯილდოვებული დედა და შვიდივე და-ძმა (შემდეგში აქედან ხუთმა თეატრალურ ხელოვნებას დაუკავშირეს მთელი ცხოვრება). მომღერლის პირველი შემოქმედებითი წარმატებები დაიწყო საოჯახო ვოკალური ანსამბლის მიერ გამართულ საქველმოქმედო საღამოებიდან.

1928 წელს დ. გამრეკელი ჩაირიცხა საკავშირო სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტში, სწავლის პარალელურად იგი გატაცებით მეცადინეობდა სიმღერაში. 1932 წელს ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში აგრძელებს სწავლას, პროფესორ ე. ვრონსკის სტუდენტია.

მომღერლის საოპერო დებიუტი შედგა 1937 წელს თბილისის საოპერო სცენაზე პ. ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალში" (ელეცკის პარტია). შემდგომში დ. გამრეკელი ამ სცენაზე დიდი წარმატებით ასრულებდა ბარიტონის ყველა წამყვან პარტიებს ოპერებში: „რიგოლეტო", „ტრავიატა", „სევილიელი დალაქი", „ევგენი ონეგინი", „აბესალომ და ეთერი" და სხვა. იგი მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნების დეკადაზე, სადაც შეასრულა კიაზოს (ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი"), გოჩას (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი"), და ლევანის (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე") პარტიები.

დავით გამრეკელის ვოკალურმა მონაცემებმა სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია 1939 წელს გამართულ ვოკალისტთა პირველ საკავშირო კონკურსზე, რომელიც ახალბედა მომღერლის გამარჯვებით დამთავრდა. „ტემბრის სილამაზით და ჟღერადობის ფერადოვნებით გამრეკელის ხმა იშვიათი მოვლენაა" — წერდა სსრკ სახალხო არტისტი ა. პიროგოვი. ხოლო ვალერია ბარსოვას აზრით, იგი ფლობს იშვიათი სილამაზის დიაპაზონის მქონე ბარიტონს, თანაბრად ჟღერს ყველა რეგისტრში, „გატყვევებს თავისი არაჩვეულებრივი სითბოთი და გამომსახველობით".

1944 წლიდან მომღერალი სსრკ დიდი თეატრის სოლისტია. აქ მან წარმატებით შეასრულა 20-ზე მეტი წამყვანი პარტია. დ. გამრეკელის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი საკონცერტო მოღვაწეობას. გ. ულანოვას, ო. ლეპეშინსკაიას, ე. კრუგლიკოვას, ვ. ჭაბუკიანის, ლ. ობოლინის, მ. გაბოვიჩის, ე. გილელსის და სხვათა გვერდით, იგი ხშირად მოგზაურობდა საგასტროლოდ საზღვარგარეთ. უნდა აღინიშნოს მისი დამსახურება ვოკალური კადრების აღზრდის საქმეში. 1943 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

ღვთისაგან მინიჭებული განსაკუთრებული ხმის ტემბრი, ბრწყინვალე დიქცია, დიდი არტისტული ტემპერამენტი და შესანიშნავი

გარეგნობა, განუმეორებელს ხდიდა მომღერლის მიერ შესრულებულ ყველა პარტიას. ამიტომ მსახიობის ყოველი სცენაზე გამოჩენა, მიჩნეული იყო საოპერო ხელოვნების დღესასწაულად.

გამყრელიძე — ბელიაშვილი თინათინ მიხეილის ასული. 17. XI. 1907, სოფელი ზოდი, ჭიათურის რაიონი — 14. XII. 1961, თბილისი.

მწერალი აკაკი ბელიაშვილის მეუღლე. საშუალო სასწავლებელი ქუთაისში დაამთავრა, ხოლო უმაღლესი თბილისში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, გერმანული ენის სპეციალობით.

განდეგილი (ერისთავი) დომენიკა ზურაბის ასული. 28. X. 1864, სოფელი ამაღლება, ვანის რაიონი — 29. I. 1929, თბილისი.

მწერალი. საზოგადოების ყურადღება მიიქცია „ევროპაში" გამოქვეყნებული პირველივე ლექსითა და მოთხრობებით. პოეტის შემოქმედების ლაიტმოტივია სამშობლო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. პოემა „შეჩვენებული", რომელიც აღებულია ჩერქეზთა ცხოვრებიდან, თანაბრად აქტუალურია ქართველთათვისაც. მისი პოეტური ქმნილებებიდან გამოირჩევა ლექსები „ჩადრი", „პოეტის ფიქრები", „ევა", „მოწოდება" და სხვა.

შესანიშნავი ბელეტრისტი, იგი ავტორია მშვენიერი საბავშვო მოთხრობებისაც: „მარინე", „ანაშინელი ღიმილი", „ურწმუნო მოშა", „გოგია" და სხვ. განდეგილი მ. გორკის თხზულებათა ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია ქართულ ენაზე, ხოლო მის მიერ თარგმნილი ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან" ერთერთ სრულყოფილ თარგმანადაა მიჩნეული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია განდეგილის საზოგადოებრივი საქმიანობა. მის მიერ შექმნილმა „ქართველ ქალთა საზოგადოებამ", დიდი დახმარება გაუწია პირველი მსოფლიო ომის დროს ლაზარეთში მოხვედრილ ქართველ მეომრებს.

1915 წელს განდეგილმა „სახალხო ფურცლის" მეშვეობით მიმართა ქართველ ქალებს, დახმარების ხელი გაეწოდებინათ თურქების შემოსევის შედეგად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი თავიანთი აჭარელი დებისათვის.

განდეგილის ფიქრისა და ზრუნვის მუდმივი საგანი იყო სამშობლო. ამ ნიადაგზე დაუახლოვდა იგი გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ალ. ხახანაშვილს. მათი სიახლოვე განუყრელ მეგობრობაში გადაიზარდა. ამიტომაც ითხოვა განდე-

გილმა სიკვდილის წინ — დაესაფლავებინათ ალ. ხახანაშვილისა და ი. გოგებაშვილის გვერდით, რაც უყოყმანოდ შეუსრულეს ღვაწლმოსილ მწერალს. (მოგვიანებით ი. გოგებაშვილის ცხედარი მთაწმინდაზე გადაასვენეს).

...საოცარია, ამ მჩქეფარე ენერგიისა და დაუცხრომელი ტემპერამენტის ქალს, რომელიც ერთთავად საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში იდგა და იღვწოდა, ფსევდონიმად „განდეგილი“ ჰქონდა.

გ ა რ ი ყ უ ლ ი (თათეიშვილი — რატიანისა) მარიამ ლუკას ასული. 20. III. 1883. პატარა გუბი, ხონის რაიონი, — 9. II. 1960, თბილისი.

მწერალი. შემოქმედებითი მოღვაწეობა თეატრში დაწყო. მსახიობობდა ავჭალის სახალხო თეატრსა და ქუთაისის თეატრში. მისი ლიტერატურული დებიუტი შედგა ბობოქარ 1905 წელს, როცა დაიბეჭდა მოთხრობა „ცხოვრების მსხვერპლი“ და იმთავითვე დაიმკვიდრა რეალისტი მწერლის სახელი. მან გაბედულად აიმაღლა ხმა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

მ. გარიყულის შემოქმედებაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებული რომანები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ორი რომანი „ანარეკლი“ და „გარღვეული მიჯნა“. დიდ სამამულო ომს მიუძღვნა მწერალმა მოთხრობა „ახალი განთიადი“, სადაც დედობრივი სინაზით გადმოქცა სამშობლოს დამცველი მეომრების გმირული თავგადასავალი.

მ. გარიყული ავტორია აგრეთვე მრავალი შესანიშნავი საბავშვო მოთხრობისა, რომლებზედაც თაობები აღიზარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობების ციკლი „შამაცი ცქვიტა“.

სიცოცხლის ბოლო წლებში მწერალმა დაწერა მოგონებათა წიგნი „განვლილი გზა“, სადაც მოთხრობილია შემოქმედის საინტერესო ცხოვრებაზე, გაცოცხლებულია ჩვენი უახლესი წარსული და გამოჩენილი მოღვაწეები.

გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი ვალერიან ივანეს ძე. 21. XII. 1889, ქუთაისი — 31. I. 1941, თბილისი.

პოეტი. დაასრულა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ქუთაისში და დაიწყო მეშაობა რუსული ენის მასწავლებლად თავის ყოფილ სასწავლებელში.

ვ. გაფრინდაშვილი პოეზიით სიყმაწვილიდან იყო გატაცებული.

პირველი ლექსები რუსულად გამოაქვეყნა მოსკოვის გაზეთებში. მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაიწყო ქართულად წერა და 1915 წელს დაბეჭდა კიდეც პირველი ლექსები გაზეთ „მეგობარში“. 1919 წელს გამოვიდა პოეტის ლექსების კრებული „დაისები“. ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზია ამ პერიოდში გამსჭვალულია სიმბოლისტური სულისკვეთებით. იგი, ქართული სიმბოლიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და თეორეტიკოსი, ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გარშემო გაერთიანებული ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფის აქტიური წევრია. მათში მძლავრობს ბოჰემური განწყობილება, სწრაფვა „წმინდა ხელოვნებისაკენ“. ამის მიუხედავად „ცისფერ ყანწელების“ შემოქმედებას ახასიათებს მხატვრული ღირსებები. კერძოდ ვ. გაფრინდაშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული პოეტური კულტურის, განსაკუთრებით მეტაფორისტიკის და ვერსიფიკაციის განვითარების საქმეში.

1921 წელს პოეტი გადმოდის თბილისში. მისი რედაქტორობით (ჯერ კიდევ ქუთაისში, შემდეგ თბილისში) გამოდის სიმბოლისტური ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“. ვალერიან გაფრინდაშვილის მდიდარი პოეტური კულტურა გამოვლინდა არა მარტო მის პოეზიაში, არამედ თარგმანებშიც. მან ქართულად ათარგმნა გოეთეს, უიტმენის, ვერჰარნის, პუშკინის, მაიაკოვსკის, ბლოკის, აგრეთვე სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური, ოსური პოეზიის ნიმუშები. 1923 წელს რუსულად თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებული. მასვე ეკუთვნის ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალის“ ქართული თარგმანი.

ცარკვეული ღვაწლი დასდო ვ. გაფრინდაშვილმა ქართულ თეატრს ისეთი პიესების თარგმნით, როგორებიცაა გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, შილერის „ყაჩაღები“, შელის „ბეატრიჩე“, ჰიუგოს „ლუი ბლაზი“ და სხვ.

თავდაპირველად ვ. გაფრინდაშვილი დაასაფლავეს ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. რამდენიმე წლის შემდეგ გადმოსვენებულ იქნა დიდუბეში.

ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ნანა ვალერიანის ასული. 27. X. 1928, თბილისი — 4. V. 1992, თბილისი.

პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის ქალიშვილი.

ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ გივი რაჟდენის ძე. 5. VIII. 1914, თბილისი — 9. II. 1974, თბილისი.

მთარგმნელი, პოეტი და ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგი-

ის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1936 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. გ. გაჩეჩილაძემ ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, 22 წლისამ, თავის ორ დიდ მოძღვარს, შალვა ნუცუბიძესა და ერეკლე ტატიშვილს, წარუდგინა ინგლისურად დაწერილი სადიპლომო შრომა ჯორჯ ბაირონის შემოქმედებაზე. ამ შრომის ქართული ვარიანტი 1938 წელს უნივერსიტეტმა დასტამბა შ. ნუცუბიძის რედაქტორობით.

მთარგმნელობითი მოღვაწეობა გ. გაჩეჩილაძემ სტუდენტობისას დაიწყო და გაამდიდრა ქართული ლიტერატურა შექსპირის, ბაირონის, შელის, ბერნსის, კიტსის, კიპლინგის, თომას მურის, ლონგფელოს, გოეთეს, ჰიუგოს, პუშკინის, ტიუტჩევის, შევჩენკოს, ბლოკის, ბრიუსოვის, ბაქანისა, და სხვათა შესანიშნავი თარგმანებით. მისი რედაქტორობით გამოიცა შექსპირის თხზულებათა ექვსტომეული ქართულ ენაზე.

გივი გაჩეჩილაძეს ღრმად ჰქონდა დამუშავებული მხატვრული თარგმნის თეორიის საკითხები. ამ პრობლემას მიუძღვნა მკვლევარმა მრავალი ნაშრომი, მათ შორის: „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები. რეალისტური თარგმნის პრობლემა“ და „მხატვრული თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობანი“. ეს უკანასკნელი 1972 წელს გამოიცა მოსკოვში და თარგმნილია უცხო ენებზე.

პროფესორ გივი გაჩეჩილაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, რომელი გამოირჩეოდა მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობით, განათლებით და კულტურით. 1962 წლიდან სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ფილოლოგიის კათედრას.

გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე — მ შ ვ ე ნ ი ე რ ა ძ ე ოლღა ვიქტორის ასული. 30. V. 1906, ზესტაფონი — 2. X. 1977, თბილისი.

პროფესორ დომენტი მშვენიერაძის მეუღლე. დაიბადა კომერსანტის ოჯახში. დამთავრა ზესტაფონის გიმნაზია, მეუღლესთან ერთად გაემგზავრა მოსკოვში სასწავლებლად, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო სწავლა ველარ გააგრძელა.

ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში იყო გიმნაზიასთან არსებული თეატრის მოყვარულთა დასის წევრი, სადაც აიდგეს ფეხი გამოჩენილმა მსახიობებმა და თეატრალურმა მოღვაწეებმა უშანგი ჩხეიძემ, ნინო ჩხეიძემ, სერგო ზაქარიაძემ, შალვა ღამბაშიძემ, დოდო ანთაძემ, ვასო არაბიძემ და სხვ. ოლღა გაჩეჩილაძე იყო სერგო ზაქარიაძის ერთ-ერთი პირველი პარტნიორი.

დასისა და მისი წევრების საქმიანობას მაღალი შეფასება მისცა

დოდო ანთაძემ თავის მოგონებებში. გამოჩენილმა რეჟისორმა სხვა ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობთა შორის ოლგა გაჩეჩილაძეც მოიხსენია.

გაწერილია აკაკი კონსტანტინეს ძე. იხ. დამატება.

გედევანიშვილი დიმიტრი მიხეილის ძე. 15. IX. 1902, თბილისი — 28. III. 1990, თბილისი.

ფიზიოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. საშუალო განათლების მიღების შემდეგ შევიდა თბილისის უნივერსიტეტში, რომლის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა 1927 წელს. მუშაობდა ნეეროპათოლოგიის კლინიკაში სიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით, შემდეგ კი უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში და კათედრაზე, რომელსაც განაგებდა ივანე ბერიტაშვილი. მოგვიანებით დ. გედევანიშვილი თბილისის უნივერსიტეტის პროფესორია, ხელმძღვანელობს ფარმაცევტული და სტომატოლოგიური ინსტიტუტების ფიზიოლოგიის კათედრებს. 1959—1973 წწ. იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროორექტორი სამეცნიერო ნაწილში. დიდი ერუდიცია და ღრმა ანალიზის უნარი მეცნიერს საშუალებას აძლევდა ორიგინალურად გადაეწყვიტა პრიორიტეტული ხასიათის მთელი რიგი პრობლემები, რისთვისაც საერთაშორისო აღიარება ხვდა წილად.

დ. გედევანიშვილი საუკუნის ერთ მეოთხედზე მეტ ხანს იკვლევდა საქართველოს სამკურნალო ფლორას, ახდენდა მის ბიოლოგიურ სტანდარტიზაციას. ამ მიმართულებით შესრულებულმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ბუნებრივი ქიმიური ნაერთების შესწავლის საქმეში.

დ. გედევანიშვილი 200-ზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორია. მისი დიდი ავტორიტეტისა და ფართო აღიარების დასტურია ისიც, რომ იგი იყო საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „ბიოსამედიცინო კომპიუტერიზაციის“ ერთ-ერთი რედაქტორი, კიბერნეტიკისა და მართვის ზოგადი სისტემების მსოფლიო ორგანიზაციისა და კიბერნეტიკის საერთაშორისო ასოციაციის წევრი. გამოჩენილი მეცნიერის დამსახურება აღინიშნა ლენინის, შრომის წითელი დროშისა და „სპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

გეახარია — ინაშვილი თამარ ბესარიონის ასული. 21. I. 1901, ქუთაისი — 6. IX. 1978, თბილისი.

მომღერალ სანდრო ინაშვილის მეუღლე. 1917 წელს დაამთავრა ქუთაისის ქალთა გიმნაზია. 2 წლის განმავლობაში ეუფლებოდა თბილისში ფრანგულ ენას. შემდეგ სწავლობდა თამარ ჭაბუკიან-

თან ერთად ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრთან არსებულ პერინის საბალეტო სტუდიაში. 1921 წელს გაჰყვა ცოლად ქართული ვოკალური ხელოვნების გაშოჩენილ მოღვაწეს სანდრო ინაშვილს. ამის შემდეგ თავი დაანება სცენას და იყო დიასახლისი. იტალიაში და ესპანეთში გასტროლების დროს ახლდა მეუღლეს.

ᲒᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐᲜᲘ გრიგოლ ივანეს ძე. 18. IX. 1870, ქუთაისი — 17. I, 1926, თბილისი.

პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1895 წელს დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით. დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გ. გველესიანი ქართული პერიოდიკის საშუალებით საზოგადოებას წარუდგა ლერმონტოვისა და კრილოვის თარგმანებით, ხოლო პირველი პუბლიცისტური წერილი „უნივერსიტეტის დაარსების გამო ჩვენში" მოსკოვიდან გამოუგზავნა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც დაიბეჭდა 1890 წელს „ივერიაში". ალბათ, არც ის იყო შემთხვევითი, რომ თბილისის უნივერსიტეტის დაარსების პირველი სხდომა ივანე ჯავახიშვილმა სწორედ გ. გველესიანის სახლში გამართა.

1900 წელს გ. გველესიანი აირჩიეს ქუთაისის ქალაქის საბჭოს გამგეობის წევრად, ხოლო 1905 წელს ქალაქის თავის მოადგილედ. რევოლუციის წლებში მათი ოჯახი იმდენად ქმედითად ჩაერთო საზოგადოებრივ მოძრაობაში, რომ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელმა რაზმმა დაარბია და გადაუწვა მამაპაპეული სახლი და მდიდარი ბიბლიოთეკა. გ. გველესიანი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა იქაურობა — იმალებოდა ჯერ სამეგრელოში, შემდეგ ოჯახით გაემგზავრა ემიგრაციაში, საფრანგეთში. აქ იგი აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს: ამთავრებს სოციალურ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლას, ეცნობა გამოჩენილ რევოლუციონერს ეან ჟორესს, თანამშრომლობს გაზეთ „ჰუმანიტეში", სხვა ფრანგულ ჟურნალ გაზეთებში აშუქებდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებს, სწავლა-განათლების საკითხებს და სხვ.

ექვსი წლის შემდეგ გველესიანების ოჯახი როგორც იქნა დაუბრუნდა სამშობლოს. აქ გრიგოლი ბროშურისათვის „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია" სამართალში მისცეს, მაგრამ იმის გამო რომ იგი გამოქვეყნდა ავტორის ემიგრაციაში ყოფნის დროს, გაამართლეს.

გ. გველესიანმა ღრმა კვალი დატოვა თავის პუბლიცისტური მოღვაწეობით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მასში კარგად იყო შერწყმული განსწავლულობა, კრიტიკოსის ლიტერატურული გემოვნება და ალღო; აქტიურად მონაწილეობდა ჩვენში ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. იყო ეს ქუთაისის საადგილმამულო ბანკი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოება თუ ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შექმნა.

გ. გველესიანის პოლიტიკური მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ის, რომ იგი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე; მას, როგორც ღრმად განსწავლულ იურისტს, დაევალა საქართველოს რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება. მან დავალება წარმატებით შეასრულა, მაგრამ დიდმა ჰუმანისტმა სიკვდილი როგორც სანჯელის უმაღლესი ზომა, კონსტიტუციის პროექტში არ შეიტანა. ამაზედ ნოე ჟორდანიას შეუნიშნავს: „გრიგოლ, ჩვენ მონასტრებს არ ვაშენებთ". ქვეყანაში რთული სიტუაციის მიუხედავად, გ. გველესიანს თავისი პოზიცია არ შეუცვლია. შემდეგ, კონსტიტუციის პროექტი დაამუშავა პავლე საყვარელიძემ, რომელმაც სავსებით გაიზიარა გ. გველესიანის შეხედულება. 1919 წელს იგი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს, იყო ჯერ სენატის (უმაღლესი სასამართლო ორგანო) თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო შემდეგ თავმჯდომარე.

1921 წლის თებერვალში გ. გველესიანმა უარი თქვა ემიგრაციაში წასვლაზე. გასაბჭოების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. სიცოცხლის ბოლოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში ერთ-ერთ ქვეგანყოფილებას ხელმძღვანელობდა.

გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი — ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე რუსუდან გრიგოლის ასული. 15. VI. 1909, თბილისი — 27. I. 1994, თბილისი.

არქიტექტორ ბეჟან ლორთქიფანიძის მეუღლე. არქიტექტორ-რესტავრატორი. დაიბადა ცნობილი ქართველი ინჟინრის გრიგოლ გვერდწითელის ოჯახში. 1936 წელს ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ თითქმის მთელი ექვსი ათეული წელი უანგაროდ ემსახურა ქართული კულტურის ისტორიული ძეგლების შესწავლისა და რესტავრაციის საქმეს. 1937—1940 წწ. მუზეუმ „მეტეხის" ასპირანტია ხელოვნების ისტორიის სპეციალობით, 1941—1949 წწ. მოღვაწეობს

ნაკრძალ „ვარძიაში“ მეცნიერ თანამშრომლად. 1949 წელს როცა ქართველი ინტელიგენციის თაოსნობით საქართველოს კულტურის სამინისტროსთან პირველად საბჭოთა კავშირში შეიქმნა სპეციალური სამეცნიერო — სარესტავრაციო საწარმო სახელოსნო, 1950 წლის ივნისში რუსუდან გვერდწითელი მიიწვიეს ამ სახელოსნოში სამუშაოდ. იგი ჯერ არქიტექტორ-რესტავრატორი იყო, შემდეგ საპროექტო ბიუროს მთავარი სპეციალისტი და განყოფილების გამგე. მისი მონაწილეობით და ხელმძღვანელობით შესრულებული პროექტების საფუძველზე აღდგენილ იქნა ვარძიის სამრეკლოს, ანანურის ციხის, გორის ციხის, გერგეტის სამების, ბზიფის ციხისა და ეკლესიის, აწჩისხატის ბაზილიკის, როსტომ მეფის სასახლის აბანოს, ბოლნისის სიონის და მრავალი სხვა საეკლესიო არქიტექტურული ძეგლები, სასახლეები და ციხე-სიმაგრეები. განსაკუთრებით გამოვლინდა ქართულ სიძველეებზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა ქალის თავდადება, როდესაც იგი ომის შემდგომ ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური პირობების მიუხედავად გაემგზავრა ვარძიაში და თითქმის ათი წლის მანძილზე სწავლობდა და ეწასახურებოდა მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალურ ძეგლს.

რუსუდან გვერდწითელი არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და ნარკვევის ავტორია. მეტად საგულისხმოა მეთოდური ხასიათის წერილები ძეგლთა რესტავრაციის თაობაზე. გამოქვეყნებული აქვს წიგნები მცხეთის, ვარძიის და სხვათა შესახებ. იგი სამართლიანადაა მიჩნეული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების რესტავრაციის ერთერთ ფუძემდებლად. 1967 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

გ ვ ე ტ ა ძ ე რაჟდენ მათეს ძე. 29. VII. 1897, სოფელი ციხია, ტყიბულის რაიონი — 1. XII, 1952, თბილისი.

მწერალი, მთარგმნელი. დაამთავრა სამკლასიანი სასწავლებელი და უსახსრობის გამო სტამბაში დაიწყო მუშაობა შეგირდად. პარალელურად სწავლობდა საღამოს სკოლაში. ბეჯითი ახალგაზრდა დაეწაფა წიგნებს და ამავე პერიოდში გადადგა პირველი მორიდებული ნაბიჯები ლიტერატურაში. 1913 წელს გამოქვეყნდა მისი ლექსები, ხოლო 1915 წელს პირველი წიგნი „მთვარის ზღაპარი“. ამ პერიოდში იგი უახლოვდება „ცისფერ ყანწელებს“, რაც ანასახა კიდეც მის იმდროინდელ კრებულებში.

რ. გვეტაძემ პროზაში შედარებით გვიან დაიწყო მუშაობა. 1929 წელს გამოვიდა მისი პირველი დიდი რომანი „თეო“. ამას მოჰყვა „ბიაკოკონა“, ხოლო 1935 წელს ერთ სიუჟეტურ ქარგაზე აგებული

ნოველების კრებული „ლაშაური საღამოები“, რომელიც ახალი ეტაპია მის შემოქმედებაში.

რ. გვეტაძემ მრავალი პროზაული და პოეტური ნაწარმოები უძღვნა სამამულო ომს. მათ შორის კრებულები „მართალი ნოველები“, „ცხოვრება იწყება თავიდან“, ლექსები „შვილის წერილი“ და მრავალი სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოპულარული ლექსი „სიმღერა შალამბერიძეზე“, რომელიც ხალხმა სიმღერად აქცია. მწერლის პროზაული ნაწარმოებები გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმითა და ღრმა ემოციურობით, ხოლო მისი ლექსები მუსიკალობითა და სიმარტივემდე სისრულით.

რ. გვეტაძე ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა. მან გაამდიდრა ქართული მწერლობა მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი ძეგლებით, როგორიცაა ძველინდური ეპოსი „რამაიანა“, ფრანგული ეპოსი „სიმღერა როლანდზე“. მანვე თარგმნა აგრეთვე ნეკრასოვის, ფრანკოს, და სხვა რუსი, უკრაინელი, სომეხი, ბელორუსი მწერლების ნაწარმოებები.

რაჟდენ გვეტაძე იყო ქართული წიგნის მოჭირნახულე და მოამაგე. მწერლის ორგანიზატორული ნიჭი განსაკუთრებით გამოვლინდა 1935—1950 წლებში, როდესაც სათავეში ედგა გამომცემლობა „ფედერაციას“ (შემდგომში „საბჭოთა მწერალი“).

გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დავით ვლადიმერის ძე. 15. II. 1915, სოფელი იკოთი, ახალგორის რაიონი — 20. X. 1969, თბილისი.

ისტორიკოსი, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი. 1938 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, შემდეგ ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1956—1961 წლებში იყო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი.

დ. გვრიტიშვილმა გამოჩენილი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის რჩევით ხელი მოჰკიდა სათავადოთა შესწავლას, რომელსაც შედეგად მოჰყვა სქელტანიანი მონოგრაფია „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები)“. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ქალაქების ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების შესწავლაში. მეცნიერი ზედმიწევნით იცნობდა ფეოდალური საქართველოს ყველა წყაროს, საისტორიო მწერლობას და ფეოდალური ეპოქის ქართულ ლიტერატურას, რამაც საშუალება მისცა გაემდიდრებინა ჩვენი საისტორიო მეცნიერება პირველხარისხოვანი ნაშრომებით. მან დიდი

წვლილი შეიტანა ფეოდალური საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის, ქართველი ყმა გლეხობის, საზოგადოებრივი აზროვნების, კულტურის ისტორიისა და სხვა ჯარდინალური საკითხების კვლევაში. ამაში მას ეხმარებოდა არა მარტო მასალის ღრმა ცოდნა, არამედ მეცნიერული ანალიზის გასაოცარი უნარი.

ბოლო წლებში მეცნიერს ჩაფიქრებული ჰქონდა საქართველოს ისტორიის ხუთტომეულის დაწერა, მაგრამ განზრახვას სრულად განხორციელება არ დასცალდა. მოასწრო მხოლოდ სამი ტომის გამოცემა.

გ ო გ ე ლ ი ა კომანდო (გიორგი) ილიას ძე. 6. IX. 1878, ოზურგეთი — 21. XII. 1924, თბილისი.

რევოლუციონერი, ანარქისტი. დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ ქუთაისის სასულიერო სემინარია. 1897 წელს გაემგზავრა საფრანგეთში, შევიდა ქ. ნანსის აგრონომიულ სასწავლებელში, შემდეგ ლოზანაში (შვეიცარია) დაამთავრა აგრონომიული ფაკულტეტი. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა არც ამას სჯერდება და ჟენევის უმაღლეს სასწავლებელში ისმენს ლექციების კურსს ქიმიაში. უცხოეთში იგი დიდი რევოლუციური წრეების მონაწილეა და პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდებს შორის. თავის მეუღლესთან ერთად, ჟენევაში რედაქტორობს ანარქისტების პარტიულ ორგანოს „ხლებ ი ვოლიას“, რომელშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ცნობილი ანარქისტები პეტრე კროპოტკინი, ვარლამ ჩერქეზიშვილი და ლუიჯი ბერტონი. რუსეთის პირველი რევოლუციის დროიდან კ. გოგელია ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფიგურაა ანარქისტებს შორის და აქედან მოყოლებული, თებერვლის რევოლუციამდე რედაქტორობს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს, მონაწილეობს მიტინგებსა და დისკუსიებში, კითხულობს ლექციებს. 1905 წლის რევოლუციის დროს ჩამოდის სამშობლოში, სოხუმსა და თბილისში ეწევა რევოლუციურ პროპაგანდას, რედაქტორობს „ნობათს“ და „ზუშას“. მაგრამ მალე მთავრობისაგან დევნილი ისევ ევროპას აფარებს თავს — ჯერ შვეიცარიაშია, შემდეგ საფრანგეთში. კ. გოგელია ინგლისში უკავშირდება პ. კროპოტკინსა და ვ. ჩერქეზიშვილს, აქვეყნებს შრომებს; მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „როგორ და რისგან განვითარდა რევოლუციონური სინდიკალიზმი?“, პ. კროპოტკინის წინასიტყვაობით. აქვე უნდა ითქვას ის, რომ კროპოტკინი და მისი ქართველი მიმდევრების შეხედულებები გააკრიტიკა ი. სტალინმა თავის თხზულებაში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“.

1921 წელს კ. გოგელია მძიმე ავადმყოფი ჩამოდის საქართველოში. ცხოვრობს ჯერ ქუთაისში, შემდეგ ქობულეთში, სიცოცხლე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაასრულა.

გ ო გ ო ძ ე — შ ე ნ გ ე ლ ა ი ა ქეთევან პლატონის ასული. 26. IX. 1907, ქუთაისი — 27. XI. 1968, თბილისი.

მწერალ დემნა შენგელაიას მეუღლე. 1930 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით მუშაობდა მინერალური ნედლეულის საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში (ახლანდელი ა. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი). 1934 წელს დაქორწინდა რის შემდეგაც იძულებული გახდა თავი დაენებებინა მეცნიერული მუშაობისათვის, იყო დიასახლისი.

გ ო კ ი ე ლ ი ივანე (ვანო) რაფიელის ძე. 9. X. 1899, თბილისი — 10. VII. 1972, თბილისი.

კომპოზიტორი. სწავლობდა ჯერ თბილისის, შემდეგ პეტროგრადის კონსერვატორიაში, რომელიც დაამთავრა 1921 წელს და დაიწყო აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი იყო თბილისში სიმფონიური ორკესტრის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი, შემდეგ თავმჯდომარე, კონსერვატორიის დირექტორი. მაგრამ ვ. გოკიელი უწინარეს ყოვლისა იყო მუსიკოსი, კომპოზიტორი. მის კალამს ეკუთვნის ისეთი ცნობილი ოპერები, როგორებიცაა „პატარა კახი", „ბროლის ქოში", „წითელქუდა" (ეს უკანასკნელი თბილისის გარდა დაიდგა ვილნიუსის, ხარკოვისა და დონეცკის საოპერო თეატრებში).

ვანო გოკიელმა წარმატებით სცადა კალამი სიმფონიური მუსიკის დარგშიც; აღსანიშნავია მისი ვოკალური ციკლი, მუსიკა სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის და სხვა.

ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე დამსახურებისათვის 1969 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, დაჯილდოვებული იყო „სპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

სახელოვანი მამის კვალს გაჰყვა მისი შვილი ჯემალი, რომელიც ცნობილი დირიჟორი იყო.

გ ო კ ი ე ლ ი ჯემალ ივანეს ძე. 4. VIII. 1920, ქუთაისი — 12. IV. 1991, თბილისი.

დირიჟორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღ-

ვაწე. ქართული ხალხური და კლასიკური მუსიკისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე გაუღვიძა მისმა მამამ, ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა ვანო გოკიელმა. ყმაწვილს ხვდა ბედნიერება მიეღო დიდი ქართველი დირიჟორის ევგენი მიქელაძის გაკვეთილები. მაგრამ, ცნობილ ვითარებათა გამო ეს თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. გამოჩენილი მაესტრო მალე რეპრესირებული იქნა. მისი პედაგოგი გახდა ოდისეი დიმიტრიადი, ასევე ჩვენი შესანიშნავი დირიჟორი. ერთ დროს მოსკოვის კონსერვატორიაშიც სწავლობდა. საბოლოოდ მაინც თბილისის კონსერვატორია დაამთავრა. ცნობილი დირიჟორის ალექსანდრე გაუკის ხელმძღვანელობით. მასთანვე გაიარა ასპირანტურის კურსი.

დირიჟორობას ჯემალ გოკიელი სტუდენტობის წლებში შეუდგა, ხოლო 1944 — 1948 წწ. მუშაობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. შემდეგ მოღვაწეობდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე მიუძღვნა თავისი ნიჭი და მთელი შეგნებული სიცოცხლე. ამ ორკესტრთან ერთად შემოიარა საქართველო, ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკები, რუმინეთი, პოლონეთი, იუგოსლავია. იგი ანსამბლში გამოსულა ისეთ სახელოვან შემსრულებლებთან ერთად, როგორებიცაა ჰ. ნეიჰაუზი, მ. იუდინა, ს. რიხტერი, ე. გილელსი, ლ. ობორინი, ა. ფიშერი, ე. ვირსალაძე, ლ. ისაკაძე, მ, იაშვილი, თ. ამირეჯიბი და სხვ. იგი იყო ქართული მუსიკის უბადლო შემსრულებელი. მრავალი ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები პირველად მოისმინა მსმენელმა ჯემალ გოკიელის დირიჟორობით. იგი დაუღალავ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების აღზრდაში.

ჯემალ გოკიელმა მთელი შეგნებული ცხოვრება მუსიკისადმი ერთგულებასა და მის სამსახურში გაატარა. საქართველოს ბედის გულშემატკივარი, მძიმედ განიცდიდა ჩვენში ბოლო ხანს დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს. იქნება ამანაც მოუსწრაფა სიცოცხლე. გარეგნულად და სულიერად ნათელმა კაცმა, კვალიც ნათელი დატოვა ამ ქვეყანაზე.

გ ო კ ი ე ლ ი — ა ნ თ ა ძ ე ფატი გაბრიელის ასული. 25. VII. 1901, ქუთაისი — 8. XII. 1973, თბილისი.

პედაგოგი, მეცნიერი და მთარგმნელი. 1919 წელს დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელი და შეიდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომე-

ლიც 1924 წელს დაამთავრა. ერთდროულად სწავლობდა იურიდიულ და ეკონომიკურ ფაკულტეტებზეც.

1926 წელს ფ. გოკიელი გახდა ასპირანტი სამოქალაქო სამართლის განხრით. მაგრამ, იმის გამო, რომ უარი განაცხადა უსაფუძვლოდ და თანაც საჯაროდ გააკრიტიკებინა თავისი მეცნიერ-ხელმძღვანელი, პროფესორი ლუარსაბ ამდრონიკაშვილი, რასაც უნდა მოჰყოლოდა ამ უკანასკნელის გაძევება სამსახურიდან, 1927 წელს დაითხოვეს უნივერსიტეტიდან. ამის შემდეგ იგი მარჯანიშვილის თეატრშია, სადაც სამუდამოდ დაუკავშირდა ამ თეატრის რეჟისორს, შემდეგში ცნობილ თეატრალურ მოღვაწეს, დოდო ანთაძეს და მასთან ერთად უბრუნდება ქუთაისს.

1932 წლიდან ისევ თბილისშია, ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას, ხოლო 1938—1941 წლებში სწავლობს თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ფრანგული ლიტერატურის სპეციალობით. 1938—1952 წლებში მოღვაწეობს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგი ათი წელი თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში, ხოლო 1960 წლიდან გარდაცვალებამდე აქვე, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ფატი გოკიელი სრულყოფილად ფლობდა ფრანგულსა და გერმანულ ენებს, იყო ფართო განათლების ლექტორი და მალალკვალიფიციური მკვლევარი. მის კალამს ეკუთვნის არა ერთი საყურადღებო შრომა საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიიდან და კრიტიკული წერილები ქართული და რუსული ლიტერატურის საკითხებზე. არანაკლებ ნაყოფიერი იყო ფ. გოკიელის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. ქართველ მკითხველს გააცნო ელ. ტრიოლეს რომანი „ვარდები ნისიად“, კალაშნიკოვის ნარკვევი „სტანისლავსკის თეატრალური ეთიკა“, მ. ცვაიგის „ლეგენდა მესამე მტრედზე“, გორკის „მტრები“, ა. ოსტროვსკის „ტალანტები და თაყვანისმცემლები“, ფრ. ვოლფის „პროფესორი მამლოკი“, კ. სიმონოვის და სხვა რუსი თუ უცხოელი დრამატურგის პიესები.

გ ო მ ე ლ ა უ რ ი ალექსანდრე გიორგის ძე. 9. IX. 1907, თბილისი — 29. VII. 1966, თბილისი.

მსახიობი. სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. მაგრამ თეატრის სიყვარულმა გადაძლია და უკვე 1927 წლიდან სცენის თანამშრომელია თბილისის მუშათა თეატრში. შემდეგ მიიწვიეს ახლად გახსნილ თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში, სადაც სამი სეზონი დაჰყო. 1931 წელს გადავიდა ქუთაისის თეატრში. 1933 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მარჯანიშვილის თე-

ატრშია და ეკუთვნის იმ თაობას, რომელმაც ჩამოაყალიბა ამ კოლექტივის შემოქმედებითი სახე.

ა. გომელაური დაჯილდოებული იყო შესანიშნავი სცენური მონაცემებით — ხმით, გარეგნობით, გარდასახვის უნარით. ორმოცი წლის მანძილზე მან ქართულ სცენაზე შექმნა ასზე მეტი როლი, რომლებშიც მსახიობი აქსოვდა დიდ სიმართლეს და ადამიანურ უშუალობას.

დაუვიწყარია მისი შვეიკი (ი. ჰაშეკის „გულადი ჯარისკაცი შვეიკი), გიორგი („ჩატეხილი ხიდი" ი. ჭავჭავაძის მიხედვით), დედის ბიჭი (უ. ჩხეიძის „გიორგი სააკაძე"), კაკუტა (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი"), მოურავი და გიუნა (ა. ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ") ჰორტენზია (შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება"), ბობჩინსკი (გოგოლის „რევიზორი"), კაპულეტი (შექსპირის „რომეო და ჯულიეტა") და მრავალი სხვა.

ა. გომელაურმა თავისი შემოქმედების მადლი მიიტანა ქართულ კინემატოგრაფიაშიც. რაც შეეხება ქართულ ესტრადას იგი ხომ წარმოუდგენელია ა. კვანტალიანისა და ა. გომელაურის განუყრელი და განუმეორებელი დუეტის გარეშე.

ა. გომელაური იყო ქართული სცენის უერთგულესი და თავდადებული მუშაკი, პატიოსანი ადამიანი და შესანიშნავი მოქალაქე. ყველა ეს თვისება მან ქართულ სცენას უშურველად და სრულად მოახმარა. 1958 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

გ ო მ ე ლ ა უ რ ი ზაქარია (შაქრო) ნიკოლოზის ძე. 17. XI. 1890, თბილისის — 10. VII. 1964, თბილისი.

მსახიობი. დაამთავრა თბილისის სამოქალაქო სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ავლაბრის ქართულ დრამატიულ წრეში. 1909 წელს ამ წრის წევრებმა იუბილე გადაუხადეს ცნობილ ქართველ მსახიობს ნატო გაბუნიას, წარმოადგინეს „ხანუმა", რომელშიც შ. გომელაურმა შეასრულა კოტე ფანტიაშვილის როლი. ამ სალამოს დამსწრე ვალერიან გუნიას მოეწონა ახალგაზდა მსახიობის თამაში და მიიწვია პროფესიულ დასში. აქედან მოყოლებული, შ. გომელაური ერთგულად ემსახურებოდა ქართულ თეატრს. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისსა და ბათუმში, 1928 წლიდან კი იგი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. აქ შეასრულა ისეთი როლები, როგორიცაა პატარა კახი, კილმანი, („ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ"), პეპია („ჩატეხილი ხიდი"), კომისარი („ყვარყვარე თუთაბერი"), კოკოშკინი („მემოსე

რიდონ მცირიშვილი („ნინოშვილის გურია“), იაგო („ოტელო“), ტარტიუფი („ტარტიუფი“) და სხვა მრავალი.

მსახიობის თამაში გამოირჩეოდა მკაფიო ინდივიდუალობით, განსაკუთრებით კარგად ასრულებდა სახასიათო როლებს. შ. გომელაურს 1950 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

გორგაძე ანთიმოზ (ალიკო) მიხეილის ძე. 2. VII. 1924, ქუთაისი — 21. I. 1970, თბილისი.

მოქანდაკე. 1947 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი (პროფესორ ი. ნიკოლაძის კლასი), სწავლა განაგრძო ასპირანტურაში, შემდეგ წლების მანძილზე ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს ემსახურებოდა.

1951 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა გამოფენებში. იგი იყო მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწე. მის შემოქმედებას ახასიათებდა მასშტაბურობა, ღრმა ფსიქოლოგიზმი და სამყაროს რეალისტური ხილვა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ა. გორგაძე წარმატებით იღვწოდა ლითონქანდაკების დარგში. მან მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შექმნა და ღირსეულად დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში. მოქანდაკემ დაგვიტოვა არაერთი საგულისხმო ნაწარმოები. მისი მთავარი ნამუშევრებია „მეშახტე ბოტკოველი“, „ჭაბუკის პორტრეტი“, „დეკაბრისტები“ და სხვა. 1962 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

გორგაძე სერგი რომანოზის ძე. 1876, სოფელი ილემი, ზესტაფონის რაიონი — 10. VII. 1929, თბილისი.

ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. 1886 წელს შევიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც 1890 წელს დაამთავრა წარჩინებით და სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ დაუახლოვდა არალეგალურ წრეებს. 1893 წელს სემინარისტთა გაფიცვებში მონაწილეობისათვის სხვებთან ერთად ერთი წლით დაითხოვეს სასწავლებლიდან. 1897 წელს დაასრულა სემინარია და ყაზანის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა მსმენელად. აქ იგი ფრთხილად ადევნებდა თვალს რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას. 1899 წელს თავი „შესამე დასელად“ გამოაცხადა. ორი წლის შემდეგ დაამთავრა სასულიერო

აკადემია და ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით საშობლოში დაბრუნდა.

პირველი ლიტერატურული ნაბიჯები სემინარიაში ყოფნის დროს გადადგა. წერდა ლექსებს, ხოლო 1898 წელს „ივერიაში" დაიბეჭდა მისი პირველი წერილი. 1901 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას სხვადასხვა სასწავლებელში უმთავრესად ქართულ ენას, ლიტერატურას და ისტორიას ასწავლიდა.

საგულისხმოა მისი საქმიანობა ქართული ლიტერატურასა და ენათმეცნიერებაში. 1901 წელს გამოქვეყნდა ს. გორგაძის საინტერესო ნარკვევი „ფილოსოფია და მისი პროგრესი". მეცნიერის ძიებანი ამ დარგში დაგვირგვინდა იმით, რომ 1914 წელს გამოაქვეყნა იოანე პეტრიწის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისას" ტექსტი. ასევე მნიშვნელოვანია ძველი მხატვრული მწერლობის ძეგლების „ბესიკი" და „წამება წმიდისა შუშანიკისი" პუბლიკაციები. სერგი გორგაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველო საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში. იგი თავდადებით ეშსახურებოდა ქართული კულტურის შესწავლა-განვითარების საქმეს.

გ ო ც ი რ ი ძ ე ნიკოლოზ (ნიკო) სიმონის ძე 16. II. 1872, თბილისი — 30. VII. 1949, თბილისი.

მსახიობი. შრომითი საქმიანობა დაიწყო თბილისის რკინიგზის დეპოში. პარალელურად გამოდიოდა ავჭალის აუდიტორიაში, ხოლო 1909 წლიდან ზუბალაშვილების სახალხო სახლში (ეხლანდელი მარჯანიშვილის თეატრი), ამასთან ნ. გოცირიძე, როგორც კარგი ხმის პატრონი, მღეროდა ი. რატილის და ს. კავსაძის გუნდებში; უყვარდა მხატვრობა.

1921 წელს მიიწვიეს რუსთაველის, ხოლო 1930 წლიდან მარჯანიშვილის თეატრში. ნ. გოცირიძეს პოპულარობა მოუხვეჭა ჯერ კიდევ მუშათა სცენაზე შესრულებულმა როლებმა: ავეტიქა (ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"), გრუშევსკი (ტრ. რამიშვილის „მეზობლები"), გასტონი („პარიზის ღარიბ-ღატაკები); შმაგა „უდანაშაულო დამნაშავენი"), ბიზო („პარიზის ბიჭები"), პავლე მედროგე („შელანიას ოინები"), ოსიპი („რევიზორი"), საქუა („მსხვერპლი"), ოსეფა („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"), აკოფა („ხანუმა"). დიდ სცენაზე მისი პირველი როლი იყო ზაზა „სამშობლოში". ამას მოჰყვა გეურქა („მზის დაბნელება საქართველოში"), ჟურდენი („გააზნაურებული მდაბიო"), მოსამართლე („ინტერესთა თამაში"), გიქო, გიუმოზე („პეპო", „დაქცეული ოჯახი"), კოსტილევი („ფსკერზე") და სხვა.

ნ. გოცირიძე გამოირჩეოდა როლის ყოველი დეტალის ფაქიზი დამუშავებით, ჰქონდა საუცხოო დიქცია, მას ერთ-ერთ პირველს 1924 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

ნ. გოცირიძე გახლდათ ჩვენი ეროვნული თეატრის ცოცხალი შატიანე — მან 60 წელზე მეტი დაჰყო ქართულ სცენაზე და ბევრი რამ ჰქონდა მოსაგონარი, რაც ასახა კიდეც თავის „მოგონებებში", რომლის გამოქვეყნებასაც ავტორი მოესწრო. იგი დაჯილდოვებული იყო „სპატიო ნიშნის" ორდენით.

გოძიაშვილი ვასილ (ვასო) დავითის ძე. 14. XI. 1905, თბილისი — 30. I. 1976, თბილისი.

მსახიობი, საქართველოს და სსრკ სახალხო არტისტი. 1924 წელს, აკაკი ფალავას სტუდიის დამთავრების შემდეგ, იგი რუსთაველის თეატრის მსახიობია. 1930 წელს გადავიდა მარჯანიშვილის თეატრში და თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იღვწოდა მის სცენაზე.

ვ. გოძიაშვილმა შექმნა საოცარი თეატრალური სახეების მთელი გალერეა. იგი იყო ფართო დიაპაზონის მკაფიო ინდივიდუალობის მსახიობი, გამორჩეული სცენური მომხიბლელობით, მუსიკალობითა და პლასტიკურობით. მას თანაბარი სიძლიერით ხელეწიფებოდა შეეჭრულებინა როგორც დრამატული, ისე კომედიური, ჰეროიკული და სახასიათო როლები — ანბა და არბენინი, ავეტიკა და არმან დიუვალი, ფიგარო და მეფე ერეკლე, ბესო და ფილიპე შეორე, შმაგა და რიჩარდ მესამე, გეგა და ზურია ხარატელი... და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი. რაც შეეხება მის მიერ შესრულებულ ლუარსაბ თათქარიძეს, რეჟისორ ვასო ყუშიტაშვილთან შემოქმედებითი თანამშრომლობით შექმნილი ეს სახე, ჩვენი ეროვნული თეატრის ისტორიაში შევიდა როგორც ქართული ექტიორული სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი.

ვასო გოძიაშვილმა დადგა რამდენიმე პიესა. მაყურებელს განსაკუთრებით დაამახსოვრდა მისი უკანასკნელი სპექტაკლი „ძველი ოდევილები", რომელშიაც შეასრულა სამი სხვადასხვა ხასიათის როლი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მსახიობის დიდი წვლილი კინოხელოვნებაში. მის მიერ შექმნილ ბმირებს შორის განსაკუთრებული წარმატება ხვდა სიკოს („ქეთო და კოტე") და ავეტიკას („რაც გინახავს ვეღარ ნახავ").

განსაკუთრებულია ვ. გოძიაშვილის როლი ქართული ესტრადის განვითარებაში. იგი იყო ამ ჟანრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ესტრადის არტისტთა პირველი საკავშირო კონკურსის ლაურეატი.

დიდმა ხელოვანმა მთელი თავისი ნიჭი და უნარი შრომელ

ხალხს მოახმარა და ხალხმაც ღრმა სიყვარული მიუზღო სათაყვანებელ მსახიობს.

ვასო გოძიაშვილი იყო სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, დაჯილდოვებული იყო ლენინის, ორი შრომის წითელი დროშის, ოქტომბრის რევოლუციის, „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით, იყო საქართველოს სსრ IV—V მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გ რ ა ნ ე ლ ი (ყვირყველია) ტერენტი სიმონის ძე. 25. XI. 1897, წალენჯიხა — 10. X. 1934, თბილისი.

პოეტი. 1918 წელს სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა თბილისში და სწავლა გააგრძო შალვა ნუცუბიძის მიერ თბილისის უნივერსიტეტში დაარსებულ ფილოსოფიურ კურსებზე (სემინარებზე). მუშაობდა რკინიგზაზე კონდუქტორად, სხვადასხვა რედაქციებში ტექნიკურ თანამდებობებზე.

ტ. გრანელს მძიმე ხვედრი არგუნა ცხოვრებამ. ამას დაემატა ოპერის მომღერალი ქალის უიმედო სიყვარული, რომლის პატივისცემის ნიშნად მისი გვარი აიღო ფსევდონიმად და გახდა გრანელი. იგი მალე სულიერად გატყდა და ორი წელი ფსიქიურად დაავადებულთა საავადმყოფოში გაატარა.

დიდი სიძნელეების მიუხედავად ტ. გრანელი თავის სულიერ გამოსავალს პოეზიაში ხედავდა, რომლის ერთგული დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. პირველი ლექსი მან 1919 წელს გამოაქვეყნა, ხოლო 1920 წელს გობრონ აგარელთან (ციცქიშვილი) ერთად გამოვიდა მისი კრებული „პანაშვიდები". ამას მოჰყვა „სამგლოვიარო ხაზები" (1921), „სულიდან საფლავები" (1922), „memento mori" (1924), „ტერენტი გრანელი" (1926) და ერთდროული გაზეთი „ტერენტი გრანელი" (1927).

ტერენტი გრანელს სევდიანი პოეზიის რაინდს ეძახიან, მაგრამ ხშირად მისი სევდა და სასოწარკვეთილება სხვა არაა თუ არა სიცოცხლეზე დარდი. იგი ცხოვრებიდან წავიდა ყველასაგან მივიწყებული. მის დაკრძალვას მოკრძალებული (მეტი რომ არა ვთქვათ) პროცესია მიყვებოდა. უპრეტენზიოსა და თავმდაბალ პოეტს, სიცოცხლეში იუბილე არ ღირსებია. მხოლოდ მისი 90-წლისთავი აღნიშნა ქართველმა საზოგადოებრიობამ — 1987 წლის 21 დეკემბერს ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრში მოუწყო დიდი საზეიმო საღამო, ისეთი, როგორც მის პოეზიას ეკადრებოდა. ხოლო ერთი დღით ადრე პოეტის ნეშტი პეტრე-პავლეს სასაფლაოდან გადმოსვენებულ იქნა დიდუბის პანთეონში. საიუბილეო დღეები იზეიმა პოეტის მშობლიურმა წალენჯიხამაც, სადაც გაიხსნა სახლ-მუ-

ზეუმი და ერთ-ერთ ქუჩას ტერენტი გრანელის სახელი ეწოდა. თითქოს აღსრულდა მისი ოცნება, რომ „გაიგებენ დიდი ხნის შემდეგ, რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი“...

გ რ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი[1] — ფ ა ღ ა ვ ა ტ ერ ე ზ ა ფ ა რ ნ ა ო ზ ის ასეული. 14. V. 1888, ქუთაისი — 5. IV. 1976, თბილისი.

პროფესორ აკაკი ფაღავას მეუღლე. შეუღლდნენ 1918 წელს. სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტში. იყო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ცნობილი სტომატოლოგი.

გ რ ი გ ო რ ა შ ვ ი ლ ი გრიგოლ მაქსიმეს ძე. 18. VII. 1905, ქუთაისი — 1. VI. 1962, თბილისი.

საოპერო თეატრის სოლისტი. დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სპეციალობით. მაგრამ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროინდელმა გატაცებამ თავისი გაიტანა და თბილისის კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1935 წელს დაამთავრა კონსერვატორია და რეჟისორ ალექსანდრე წუწუნავას მიწვევით ჩაირიცხა თბილისის საოპერო სტუდიაში. 1936 წელს იგი უკვე საოპერო თეატრშია. თავისი არტისტული კარიერის მანძილზე იმღერა ბანის ორმოცდაათამდე წამყვანი პარტია — მეფე გიორგი (მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), მეფისტოფელი (გუნოს „ფაუსტი“), ენგიჩარი, აბიო (ზაქარია ფალიაშვილის „ლატავრა“, „აბესალომ და ეთერი“), მეწისქვილე (დარგომიჟსკის „ალი“), მეფე ბორისი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“), კოჩუბეი (ჩაიკოვსკის „მაზეპა“) დონ ბაზილიო (როსინის „სევილიელი დალაქი“) და სხვა.

გ. ვრიგორაშვილი განსაკუთრებული სიყვარულით მუშაობდა ქართული ოპერების ბანის პარტიებზე. 1937 და 1958 წლების დეკადებზე მოსკოვში დიდი წარმატება ხვდა წილად. კინოფილმ „ჯურღმის ფარში“ მონაწილეობისათვის 1950 წელს მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის, „სპატიო ნიშნის“ ორდენებით. 1958 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო ართისტის წოდება.

გ რ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე. 13. IX. 1902, თბილისი — 13. IX. 1970, თბილისი.

---

[1] სხვა დოკუმენტებში არასწორადაა მითითებული გვარი (გრიგოლაშვილი, გრიგორაშვილი) და მამის სახელი (პავლე).

მხატვარი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. 1921 წელს დაამთავრა რეალური სასწავლებელი და სწავლა განაგრძო სამხატვრო აკადემიაში. პირველი სამი კურსი გაიარა გამოჩენილი მხატვრის, პროფესორ გ. ი. გაბაშვილის კლასში, 1925 წელს გადავიდა აკადემიკოს ევგენი ლანსერეს სახელოსნოში, ხოლო აკადემია დაამთავრა 1927 წელს. ჯერ კიდევ აკადემიაში შესვლამდე სრულიად ახალგაზრდა ხატვასა და ხაზვას ასწავლიდა თბილისის სამხატვრო ტექნიკუმში, საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელსა და პირველ საშუალო სკოლაში; თეატრებსა და კლუბებში მხატვრულად აფორმებდა სპექტაკლებს, გამომცემლობებში წიგნებს, თანამშრომლობდა ჟურნალებში. 1924 წლიდან სისტემატურად მონაწილეობდა საქართველოს მხატვართა გამოფენებში. მისი ნამუშევრები იგზავნებოდა მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვისა და სხვა ქალაქების გამოფენებზე.

კ. გრძელიშვილი 1934 წლიდან პედაგოგობდა თბილისის სამხედრო-საშეფო სტუდიაში, სადაც მთელ თავის ნიჭსა და უნარს ეშურველად ახმარდა ახალგაზრდა მხატვართა გამოვლენისა და აღზრდის საქმეს. 1943 წელს იგი საშეფო ხაზით გაგზავნეს ფრონტზე, სადაც მხატვრულ ტილოებზე აღბეჭდა ომის საინტერესო ეპიზოდები. თბილისის სამხატვრო აკადემიაში იგი პედაგოგად მუშაობდა 1943 წლიდან, იყო ფერწერის კათედრის დოცენტი, შემდეგ — პროფესორი.

კ. გრძელიშვილის შემოქმედების ძირითადი ჟანრია პეიზაჟი. მხატვარი დიდი სიყვარულით ასახავს შშობლიური მხარის სილამაზეს, ბუნების სიუხვეს, ადამიანთა გარჯას. მისი ნახატები რეალისტურია, გასაგები, მიმზიდველი, ღრმად ჩაფიქრებული და მარტივად გადმოცემული. ყურადღებას იპყრობს კომპოზიციის სისადავე, ფერთა სიუხვე, მუდამ იგრძნობა მზე, სინათლე, ჯანსაღი ოპტიმისტური განწყობა. ღვაწლმოსილი ხელოვანი დაჯილდოვებული იყო მედლებით და სიგელებით.

გულისაშვილი არჩილ ალექსის ძე. I. IV. 1887, საგარეჯო — 30. XII. 1971, თბილისი.

ინჟინერ-მეტალურგი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა მღვდლის ოჯახში. დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია, ხოლო 1916 წელს პეტროგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი პირველი ხარისხის დიპლომით. სტუდენტობის პერიოდში დაიწყო მუშაობა პუტილოვის ქარხანაში მუშად, შემდეგ ობუხოვის ქარხანაში ოსტატად. 1914 წელს დაინიშნა რუსეთის ვაჭრობისა და

მრეწველობის სამინისტროს სამთო დეპარტამენტში უმცროს ინჟინრად. 1915 წელს ამავე სამინისტროს დავალებით შეუდგა სპეციალური შენადნობის დამზადებას. 1916 წელს ხელმძღვანელობდა ეკატერინებურგის მაზრის სოფელ ბოლოკაში ვოლფრამიტის საბადოებზე ელექტრომეტალურგიული ქარხნის მშენებლობას და ორგანიზაციას უწევდა ახალი შენადნობების დამზადებას ურალის საბადოებზე. აქვე კითხულობდა ლექციებს სპეციალობის მიხედვით.

1921 წელს არჩილ გულისაშვილი დაბრუნდა სამშობლოში და დაინიშნა სპეციალისტ-კონსულტანტად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას მაშინდელ პოლიტექნიკურ სასწავლებელში როგორც დირექტორი და მასწავლებელი. 1923 წელს გამოიგონა ყურძნის საწნეხი მანქანა, რისთვისაც დაჯილდოვდა სპეციალური სიგელით.

1928 წელს ა. გულისაშვილის უშუალო მონაწილეობით უნივერსიტეტს გამოეყო და ცალკე ინსტიტუტად გაფორმდა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1930 წლიდან იგი არის ამ ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი და კათედრის გამგე, ხოლო წლების მანძილზე დირექტორის მოადგილე, პროორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში.

ა. გულისაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ტექნიკური ლიტერატურის შექმნისა და განვითარების საქმეში, კერძოდ მას ეკუთვნის პირველი წიგნი ქართულად მხაზველობით გეომეტრიაში (1927), პირველი სახელმძღვანელო მეტალურგიული პროცესების თეორიაში, „მანქანათა ნაწილები" (ორ წიგნად). ამ და სხვა ნაშრომებმა მკვიდრი საფუძველი დაუდვეს შემდგომში ქართული ტექნიკური ლიტერატურის განვითარებას. სულ იგი ასამდე ნაბეჭდი შრომის ავტორია.

არჩილ გულისაშვილი იყო მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის დაუცხრომელი პროპაგანდისტი და ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი. 1930 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სათავეში ედგა მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრას, მისი ხელმძღვანელობით არაერთი სახელოვანი სპეციალისტი აღიზარდა.

ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს მეცნიერის დიდი ერუდიცია და მასშტაბურობა. ბავშვობიდან გატაცებული იყო ლიტერატურით. იგი ხომ გიორგი ლეონიძის მკვიდრი ბიძაშვილი იყო. 8 წლის ასაკიდან აქვეყნებდა ლექსებს ჟურნალ „ჯეჯილში", სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ „ნივაში" ნიჭიერი ქართველი სტუდენტის კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე, მის მიერ

რუსულ ენაზე თარგმნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის „მეჩანი“, მიჩნეულია ერთ-ერთ საუკეთესოდ, გატაცებული იყო ტურიზმით და ალპინიზმით. მთავსვლელობაში მინიჭებული ჰქონდა პირველი თანრიგი. მეცნიერის დიდი ღვაწლი აღინიშნა ლენინის, ორი შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებთ და მედლებით.

ასეთია მოკლედ ამ ღირსეული მამულიშვილის განვლილი ცხოვრების გზა.

გ ურ ა მ ი შ ვ ი ლ ი დავით ალექსანდრეს ძე. 1857—1926.

მხატვარი და კრიტიკოსი. დაამთავრა თბილისის გიმნაზია და 1873 წელს ევროპას გაემგზავრა. 1886 წელს შევიდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში, სადაც 2 წელი დაპყო და ევროპულად განსწავლული სამშობლოში დაბრუნდა. იგი აქტიურად ჩაება კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი ფერწერული ტილოები გამოირჩევა კოლორიტულობით, იუმორით და შესრულების მაღალი ოსტატობით. მხატვრის ბევრი ნამუშევარი ჯერ კიდევ მიუნხენში სწავლის პერიოდში გაიყიდა, ნაწილი კი 1917 წელს კრონშტადტში, სადაც მისი ქალიშვილი ცხოვრობდა, დაიღუპა. რამოდენიმე ნამუშევარი ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

1912 წელს თბილისში მოეწყო დ. გურამიშვილის სურათების პერსონალური გამოფენა, რომელსაც პრესამ მაღალი შეფასება მისცა. იგი კომპეტენტური კრიტიკოსიც იყო. დაგვიტოვა საინტერესო წერილები XIX საუკუნის ქაურთლი სახვითი ხელოვნებისა და თეატრის შესახებ. სხვადასხვა დროს მუშაობდა სიძის (დის ქმრის), ნიკო ნიკოლაძის გაზეთ „ობზორში“, აქტიურად მონაწილეობდა პერიოდულ პრესაში.

დ. გურამიშვილს საპატიო ადგილი უკავია ქართველ მხატვართა შორის — იგი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია ჩვენი რეალისტური მხატვრობისა. აღსანიშნავია მისი დიდი სიზოგადოებრივი მოღვაწეობაც. ცოტამ თუ იცის, რომ მას განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის კახეთის რკინიგზის გაყვანაში. დ. გურამიშვილს ამ საქმის ფანატიკოსსაც კი უწოდებდნენ. ისე რომ ამ დიდ ეროვნულ საქმეში თავისი ოჯახის წევრებიც ჩაება. მხატვრის შეუღლე, შესანიშნავი სოპრანო კლარა ტიტელი, საქველმოქმედო კონცერტებსაც კი მართავდა, რათა რკინისგზის მშენებლობას შეშოსავალი გაზრდოდა.

1916 წელს დ. გურამიშვილი იყო ქართველ მხატვართა კავში-

რის დაარსების ინიციატორი და წესდების ავტორი. გაწეული ღვაწლისათვის 1924 წელს იგი ამ კავშირის საპატიო წევრად აირჩიეს.

დავითაშვილი გიორგი მიხეილის ძე. 15. II. 1893, ბათუმი — 4. VII. 1966, თბილისი.

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 1913 წელს დამთავრა ბათუმის გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის ა. პეტროვსკის სასცენო ხელოვნების სკოლაში. 1915—1918 წლებში მუშაობდა ტაგანროგის თეატრში. 1918 წელს დაბრუნდა ბათუმში, ხოლო მომდევნო წელს მოღვაწეობდა თბილისის რუსულ თეატრში. აქ შესრულებული აქვს რასკოლნიკოვის („დანაშაული და სასჯელი" ფ. დოსტოევსკის მიხედვით), ყადოვის, პარატოვის (ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი", „ტაბზითვო") და სხვა მნიშვნელოვანი როლები.

1920 წლიდან გ. დავითაშვილი ქართულ თეატრშია. ეს ის დროა როდესაც ქართულ სცენაზე მკვიდრდებოდა რევოლუციურ-რომანტიკული სულისკვეთება. კ. მარჯანიშვილისა და ა. ახმეტელის საუკეთესო სპექტაკლებმა ახალ ეპოქის სული შემოიტანეს და გ. დავითაშვილიც, ისევე როგორც თეატრის სხვა მოღვაწენიც ილვწოდნენ სცენაზე ახალი იდეებისა და ფორმების დამკვიდრებისათვის.

გ. დავითაშვილი ეკუთვნოდა ქართველ მსახიობთა იმ თაობას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსთაველის სახელობის თეატრს. ამ თეატრის სცენაზე შექმნა 80-მდე როლი. მათ შორის: ზაალ ბარათაშვილი (ს. შაშიაშვილის „არსენა"), ლევან ხიმშიაშვილი (გ. ერისთავის „სამშობლო"), ოთარბეგი (ა. სუმბათაშვილის „ღალატი), ნეზნამოვი (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო და დამნაშავენი"), ფრონდოსი (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო"), გოდენოვი (სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე" სახელმწიფო პრემია 1946 წ.), ჰამლეტი (შექსპირის „ჰამლეტი), მინდია (გრიგოლ რობაქიძის „ლამარა"), ფრანც მოორი (შილერის „ყაჩაღები") და სხვა მრავალი.

გიორგი დავითაშვილმა ხარკი ქართულ კინოსაც მიუზღო. მან დასამახსოვრებელი სახეები შექმნა ფილმებში: „არსენა ჯორჯიაშვილი", „მოძღვარი", „თავადის ასული მერი", „დავით გურამიშვილი" და სხვ.

გ. დავითაშვილი იყო მაღალი კულტურისა და ნატიფი გემოვნების, დიდი სცენური ხიბლისა და ზღვა ტემპერამენტის მსახიობი. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი ატკბობდა ქართველ მაყურებელს, თავისი განუმეორებელი ხმითა და არაჩვეულებრივი თამაშით. დაჯილდოვებული იყო ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით.

დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი მარიამ (მერი) პეტრეს ასული. 14. XI. 1907, სოფელი მელაანი, გურჯაანის რაიონი — 2. VIII. 1975, თბილისი.

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. სწავლობდა ბაქოს ქალთა გიმნაზიაში, ხოლო 1920 წლიდან მისი ოჯახი ხაშურში გადმოვიდა საცხოვრებლად და აქედან იწყება მომავალი მსახიობის თეატრით გატაცება. ადგილობრივ დრამატულ წრეში მან შეასრულა თელის როლი უ. ჰაჯიბეკოვის მუსიკალურ კომედიაში „არშინ მალ-ალან“.

1920 წელს შევიდა აკაკი ფალავას დრამატულ სტუდიაში, რომელიც დაამთავრა 1926 წელს. 1927 წლიდან დიდი წარმატებით გამოდის თბილისის მუშათა თეატრში, ხოლო ერთი წლის შემდეგ კ. მარჯანიშვილის მიწვევით გადადის ქუთაის-ბათუმის (შემდეგში კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში). აქ მსახიობმა შექმნა ისეთი დაუვიწყარი სახეები, როგორიცაა: ხორეშანი (ი. ჭავჭავაძის „კაცია, ადამიანი?!“), ანა პავლოვნა (ა. სამსონიას „ბაგრატიონი“), პეპელა (ვ. მდივნის „ვარდო“), ნანინი (ა. დიუმა-შვილის „მარგარიტა გოტიე“), ჯარმინია (შექსპირის „ანტონიოს და კლეოპატრა“), ძიძი (ჰიქმეთის „ლეგენდა სიყვარულზე“), ნიმფა (მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილები“) და სხვ. დაუვიწყარია მერი დავითაშვილის მიერ შექმნილი სახეები ქართულ კინოშიც: თიმსალ-მაკო („ბაში-აჩუკი“), მარიამი („ნინო“), თებრო („თეთრი ქალიშვილი“) და განსაკუთრებით ქაბატო („ქეთო და კოტე“).

მ. დავითაშვილის მიერ შესრულებული ყოველი როლი გამოირჩეოდა გულწრფელობითა და უშუალობით. იგი იყო მეტად ნიჭიერი და კოლორიტული შემოქმედი, რამაც სამუდამოდ დაუმკვიდრა ადგილი არა მარტო მარჯანიშვილის, არამედ ქართული თეატრის ისტორიაში.

დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი ნინო შიოს ასული. 17. XI. 1882, გორი — 22. X. 1958, თბილისი.

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. ...ნინო დავითაშვილს, შეიძლება ითქვას, სცენაზე გზა ილია ჭავჭავაძემ დაულოცა. ქართულ პროფესიულ თეატრში გამოცხადებულ კონკურსში, ვ. გუნიას რჩევით, ნინომაც მიიღო მონაწილეობა. მის საგამოცდო ფურცელზე ილიამ დააწერა: „დავითაშვილის ქალი უთუოდ უნდა იქნეს დასში მიღებული“.

იმნანად დასს სათავეში ედგა აკაკი წერეთელი, რომელმაც მას პირველი როლი მისცა — ტურფა „პატარა კახში“. ამას მოჰყვა სცენური სახეების მთელი გალერეა — სონია („ძია ვანო“), გაიანე („ლა-

ლატი“), ოფელია („ჰამლეტი“), დედოფალი („რუი ბლაზი“), ქეთევანი („სამშობლო“), ივდითი („ურიელ აკოსტა“), ამალია („ყაჩაღები“), ირინე („ირინეს ბედნიერება“), ზაალის დედა („ორსენა“), პრასკოვია („კიკვიძე“), უფემია („ნიკოლოზ ბარათაშვილი“), ზეინაბი („ღალატი“) და სხვ.

6. დავითაშვილმა პირველი ნაბიჯები გადადგა ავჭალის აუდიტორიაში, შემდეგ მოღვაწეობდა ქუთაისის თეატრში, თბილისის ქართულ დრამატულ დასში, ხოლო 1921 წლიდან სამი ათეული წლის მეტი ხნის მანძილზე იყო რუსთაველის თეატრის წამყვანი მსახიობი; ღირსეულ პარტნიორობას უწევდა სცენის კორიფეებს: ლადო მესხიშვილს, ვასო აბაშიძეს, ნატო გაბუნიას... მის მიერ განსახიერებულ როლებს ახასიათებდა გულწრფელობა და კეთილშობილური სისადავე.

მსახიობი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

დ ა ნ ე ლ ი ა სერგი იოსების ძე. 27. X. 1888, სოფელ ნაჯახაო, მარტვილის რაიონი — 2. III. 1963, თბილისი.

ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. სწავლა განაგრძო ჯერ ხარკოვისა და შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტების ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1911 წელს დაამთავრა. ერთხანს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა რუსეთსა და საქართველოში, ხოლო 1920 წელს მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტში ფილოსოფიურ დისციპლინათა ლექტორად.

ს. დანელიას მეცნიერული ინტერესების ძირითადი სფერო იყო ანტიკური ფილოსოფიის ისტორია. იგი ჩვენში პირველია, ვინც შეიმუშავა ფილოსოფიის ისტორიის კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები. მან ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა. მისი ნაშრომებია: „ანტიკური ფილოსოფია“, „ატომისტიკა ძველ საბერძნეთში“, „სოკრატეს ფილოსოფია“ და სხვები. მასვე დიდი წვლილი მოუძღვის ისეთი ფილოსოფიური ნაშრომების ქართულად თარგმნის საქმეში, როგორებიცაა: არისტოტელეს „პოეტიკა“ და „ვანმარტებისათვის“, პლატონის „სოკრატეს აპოლოგია“, დეკარტეს „მეტაფიზიკური გააზრებანი“, ლაიბნიცის „მონადოლოგია“, ლუკრეციუსის „ბუნებისათვის საგანთა“ და სხვ.

მეცნიერს მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს ახალი ფილოსოფიის ისტორიაშიც. იგი იკვლევდა სპინოზას, იუმის, კანტის, რუსოს, კონტის და სხვათა მსოფლმხედველობას.

ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის გამოჩენილ მეცნიერს, რო-

გორც ლექტორს და ჩვენი ახალგაზრდობის აღმზრდელს. წლების განმავლობაში უძღვებოდა ლექციების კურსს ძველი და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში, დასავლეთ ევროპის აზროვნებისა და ლიტერატურის, პედაგოგიკასა და პედაგოგიკის ისტორიაში.

1933 წლიდან ს. დანელია სათავეში ედგა ჩვენი უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრას და ამ სფეროსაც დიდი ამაგი დასდო: კითხულობდა რუსული ლიტერატურის ისტორიის კურსს. ცალკეული გამოკვლევები მიუძღვნა პუშკინს, ლერმონტოვს, გრიბოედოვს, გოგოლს, ტურგენევს, ლ. ტოლსტოის და სხვათა შემოქმედებას, ხოლო მონოგრაფია „ნარკვევები XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორიიდან", ვასული საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიის პირველი სისტემატური კურსია ქართულ ენაზე.

ს. დანელიას ცხოვრების გზაზე ბევრი დაბრკოლება შეხვდა. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობისათვის საწავლებლიდან გარიცხეს. 1924 წელს მენშევიკურ გამოსვლებთან დაკავშირებით ორჯერ დააპატიმრეს. შემდეგ შალვა ნუცუბიძესთან ერთად როგორც უპარტიო მეცნიერს უნდობლობა გამოუცხადეს და ლექციები წაართვეს. ამასაც არ დასჯერდნენ — ნაციონალიზმსა და კოსმოპოლიტიზმში დასდეს ბრალი. იგი ისე გარდაიცვალა, რომ არ აღირსეს ფილოსოფიის კურსის წაკითხვა. ამ დაბრკოლებათა მიუხედავად, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული მეცნიერი დიდი რუდუნებითა და შემართებით ემსახურებოდა ქართული აზროვნების საქმეს.

პროფესორ ს. დანელიას სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა აღინიშნა მისთვის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებით. დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით.

დ ა ვ ა ს ე ლ ი ვანიონ ალექსის ძე. 25. V. 1909, სოფელი კახათი, ზუგდიდის რაიონი — 13. IV. 1954, თბილისი.

მწერალი და დრამატურგი. პირველდაწყებითი განათლება მშობლიური სოფლის სკოლაში მიიღო. 1923 წელს სწავლა განაგრძო ბათუმის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1927 წელს და დაიწყო მასწავლებლობა. შემდეგ გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც 1935 წლამდე იმყოფებოდა.

1936—1940 წწ. ვ. დავალელი სწავლობდა დონის-როსტოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა ფილოლოგიის განხრით. უმაწვილი ჯერ კიდევ მოწაფეობისას გაიტაცა ლიტერატურამ, ხოლო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ინტენსიურად მიჰყო ხელი სამწერლო მოღვაწეობას. მას შემდეგ კი როცა ქუთა-

ისში გადავიდა საცხოვრებლად, გატაცებით ებმება ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაში.

საბჭოთა ხრმის რიგებში ყოფნამ გამოკვეთა მწერლის მთავარი თემა — ესაა საბჭოთა მეომრის მრავალმხრივი თავისებური ცხოვრება თავის დადებითი და უარყოფითი თვისებებით. 1934 წელს ქუთაისში გამოდის მწერლის პირველი კრებული. დონის-როსტოვში რუსულად გამოიცა რომანი „ჩემი შვილი". აქვე დაინტერესდა და შეაგროვა მასალები ვასილ კიკვიძეზე, რასაც შედეგად მოჰყვა შესანიშნავი დრამატული ნაწარმოები „კიკვიძე" რომელმაც პოპულარობა მოუტანა ავტორს. სხვადასხვა დროს იდგმებოდა დრამატურგის პიესები „გამახარე", „უფროსი ძმაა", „ოცნება" და სხვ. დაჯილდოვებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

დ ე გ ე ბ უ ა ძ ე ორდე სოლომონის ძე. 1905, სოფელი ანაკლია, ზუგდიდის რაიონი — 22. XI. 1963, თბილისი.

მწერალი. 1923 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა ზუგდიდში, რის შემდეგაც გადმოვიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო კინოსტუდიაში. სამწერლო ასპარეზზე გვიან გამოვიდა. თითქმის ორმოც წელს იყო შეტანებული როცა გამოაქვეყნა პირველი წიგნი „დამნაშავენი". მას ზედიზედ მოჰყვა მოთხრობები და რომანები: „მეორედ დაბადება", „ამბავი ერთი ქალიშვილისა", „უცნობი მეგობარი", „ოთხი სიცოცხლე", „დიდ გზაზე", „ღვთისმშობლის მოტაცება", „ჩაძირული თოლია", „განთიადის დედოფალი", „მგლის ბილიკი" და სხვა, აგრეთვე კინოსცენარი „მე ვიტყვი სიმართლეს", რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც ჩვენში, ასევე საკავშირო ეკრანებზეც. ყოველივე ეს ნათლად მოწმობს ნიჭიერი მწერლის შრომისუნარიანობასა და განსაკუთრებით შემოქმედებით პოტენციას.

ორდე დგებუაძემ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული დეტექტივი ჟანრის განვითარებაში. მისი ნაწარმოებები რთული და მრავალპლანიანია, ხასიათები მკაფიო, რაც მეტ დინამიზმს ანიჭებს ნაწარმოებს. მწერლის შემოქმედება დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებრიობაში.

დ ე მ ე ტ რ ა ძ ე შალვა ივანეს ძე. 1907, სოფელი ცხრაწყარო, ზესტაფონის რაიონი — 25. X. 1971, თბილისი.

მწერალი, საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ ზესტაფონის გიმნაზიაში. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და

მუშაობა დაიწყო გაზეთ „კომუნისტში". ერთ ხანს მოღვაწეობდა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალში". აქედან მოყოლებული, თითქმის 40 წელი უანგაროდ ემსახურა ქართული წიგნის გამოცემის საქმეს, ჯერ გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებაში", შემდეგ „მერანში". მისი ასეთი სიყვარული ქართული წიგნისადმი შემთხვევითი არ ყოფილა. შ. დემეტრაძე ყრმობიდანვე ეზიარა ქართულ პოეზიას, ახლო ურთიერთობა ჰქონდა „ცისფერყანწელებთან", ღირსეული მეგობრობა გაუწია ტიციან ტაბიძეს და პაოლო იაშვილს. სწორედ მას მოუწია მათი წიგნების შედგენა-გამოცემა და ამ ძვირფასი სახელების ხალხისათვის დაბრუნება.

შალვა დემეტრაძე იყო ყეთილშობილი, თაქმდაბალი და თავაზიანი ინტელიგენტი. ყველას უხაროდა მასთან ურთიერთობა. ამის მიზეზი ადამიანებისადმი დიდი სიყვარული გახლდათ. მინიშნებულ ჰქონდა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება, ხოლო 1941—1945 წწ. სამამულო ომში მამაცობის დასტურად — მთავრობის ჯილდოები.

დ ე მ ე ტ რ ო ვ ა — ვ ე ფ ხ ვ ა ძ ე ელისაბედ გიორგის ასული. 22. VI. 1896, თბილისი — 11. XII. 1988, თბილისი.

მხატვარ ივანე ვეფხვაძის მეუღლე. დიასახლისი.

დ ი ა ს ა მ ი ძ ე — ბ ა ქ რ ა ძ ე ნინო ალექსანდრეს ასული. 4. IV. 1898, თბილისი — 27. V. 1978, თბილისი.

აკადემიკოს კონსტანტინე ბაქრაძის მეუღლე. დაამთავრა ლევანდოვსკის სახელობის ქალთა გიმნაზია და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ფილოსოფიის განხრით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გრიგოლ წერეთელთან ფუნდამენტურ ბიბლიოთეკაში.

დ ი დ ე ბ ა შ ვ ი ლ ი — რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი თამარ გიორგის ასული. 1869, სოფელი სორკი, დუშეთის რაიონი — 19. III. 1957, სოფელი ჩარგალი, დუშეთის რაიონი.

ვაჟა-ფშაველას მეუღლე. დაიბადა და გაიზარდა პატრიარქალურ ოჯახში, სადაც განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ქართულ ლექსს. იგი ადრევე გაიტაცა ვაჟას ლექსებმა, რომლის დიდი ნაწილი ზეპირად იცოდა. 1903 წელს ცოლად გაჰყვა იმხანად დაქვრივებულ პოეტს.

1935 წლის 18 ოქტომბერს ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ოცი წლის თავზე, მისი ნეშტი გადაასვენეს მთაწმინდის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. 1957 წლამდე კი

დიდების პანთეონში იყო გაკეთებული წარწერა: „აქ განისვენებდა ვაჟა-ფშაველა“. 1957 წლის 24 მარტს ვაჟას ნასაფლავარში. დაკრძალეს მგოსნის მეუღლე თამარი.

დ ი დ ე ბ უ ლ ი ძ ე ზაირა შალვას ასული. 19. II. 1933, ოჩამჩირე — 8. IX. 1993, თბილისი.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. 1952 წელს დაამთავრა თბილისის მეოთხე საშუალო სკოლა ოქროს მედალზე, 1957 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი წარჩინებით. 1965 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორში, ხოლო 1966 წლის ნოემბრიდან კავკასიისა და საქართველოს ურთიერთობის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელია. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საქართველოსა და ცენტრალური იმერეთ-კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობანი X—XII საუკუნეებში“. გამოქვეყნებული ჰქონდა 20-ზე მეტი ნაშრომი, განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფია: „ჩრდილო კავკასიის შუა საუკუნეების კულტურა და საქართველო“. 1984 წლიდან ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია.

ზაირა დიდებულიძე გარეგნულ მომხიბლელობასთან ერთად გამოირჩეოდა როგორც სანიმუშო დედა და მეუღლე, ყოველმხრივ განათლებული მანდილოსანი, ნიჭიერი და დაკვირვებული მკვლევარი, მაღალი პროფესიონალი. მისი მეცნიერული დასკვნები ყოველთვის იყო საფუძვლიანი, არგუმენტირებული და მახვილგონიერი. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკურ და საკავშირო სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების მუშაობაში.

დ ო ლ ი ძ ე ვიქტორ ისიდორეს ძე. 18. VII. 1890, ოზურგეთი — 24. V. 1933, თბილისი.

კომპოზიტორი, ქართული კომიკური ოპერის ფუძემდებელი. დაამთავრა თბილისის კომერციული სასწავლებელი. ჩინებულად უკრავდა რამდენიმე ინსტრუმენტზე, თავის სასწავლებელში ჩამოაყალიბა ორკესტრი. 1910 წელს თბილისში გამართულ მანდოლინისტთა კონკურსზე პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედლით დაჯილდოვეს.

1912 წელს ვ. დოლიძემ კიევის კომერციულ ინსტიტუტში გაანაგრძო სწავლა. აქ იგი დაუკავშირდა ქართველ სტუდენტებს, რომლებიც მოიხიბლნენ თანამემამულის ნიჭით, ურჩიეს შესულიყო სა-

მუსიკო სასწავლებელში და წარუდგინეს ცნობილ მევიოლინე ერდენკოს. ამ უკანასკნელმა ვ. დოლიძეს რეკომენდაცია გაუწია კომპოზიტორ გრანელთან და პარალელურად ჩაირიცხა თეორიულ-საკომპოზიციო სპეციალობაზეც.

1917 წელს ვ. დოლიძემ დაამთავრა კიევის კომერციული ინსტიტუტი, დაბრუნდა თბილისში, და შეუდგა შემოქმედებით საქმიანობას. მიზნად დაისახა შეექმნა ოპერა. ა. ცაგარელის პიესის „ხანუმას“ საფუძველზე ი. გრიშაშვილის დახმარებით დაწერა ოპერა „ქეთო და კოტეს“ ლიბრეტო, რომელიც თბილისის ოპერის სცენაზე 1919 წლის 11 დეკემბერს დაიდგა. ეს იყო მეოთხე ორიგინალური და პირველი კომიკური ქართული ოპერა ჩვენი ეროვნული მუსიკის ისტორიაში. „ქეთო და კოტეს“, რომელიც ა. წუწუნავამ დადგა, დიდი წარმატება ხვდა წილად. 1924 წელს იგი დაიდგა მოსკოვის „თავისუფალი ოპერის“ სცენაზე, 1938 წელს კი კიევის მუსიკალური კომედიის თეატრში. მოგვიანებით ასევე დიდი წარმატებით განხორციელდა მისი დადგმა უზბეკეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და პოლონეთის სცენებზე.

1948 წელს რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა „ქეთო და კოტეს“ მიხედვით გადაიღო ამავე სახელწოდების ,ფილმი, რომელმაც კიდევ უფრო გაუთქვა სახელი ჩვენს კინო ხელოვნებას, ასევე კომპოზიტორის შესანიშნავ ეროვნულ მუსიკას.

მალე ვ. დოლიძე მიიწვიეს ძაუ-ჯიკაუში ოპერა „ზამირას“ დასწერად. მასალის შესაგროვებლად მან მოიარა ოსეთი და საქართველოს ოსური სოფლები, ჩაიწერა 200-მდე ხალხური სიმღერა და საცეკვაო მელოდია. 1930 წელს „ზამირა“ აღიერდა თბილისში საკონცერტო შესრულებით. შთაბეჭდილება დიდი იყო. მაგრამ სამწუხაროდ კომპოზიტორს მისი დამთავრება არ დასცალდა. ვ. დოლიძეს ეკუთვნის კიდევ ორი ოპერა „ლეილა“ და „ცისანა“, სიმფონიები „ოვერიადა“, „აზერბაიჯანი“, საფორტოპიანო კონცერტი, მთიულური საცეკვაო, „ოსური მარში და ზილგა“, აგრეთვე რამდენიმე პოპულარული ქართული რომანსი — „შეეჩვია“, „სპეტაკი ხარ“, „შენ ხარ ღვთაება“.

კომპოზიტორი გარდაიცვალა შემოქმედებითი გაფურჩქნის ასაკში. მაგრამ დღესაც ცოცხლად ელერს მისი გულში ჩამწყდარი მშობლიური ჰანგები.

დ ო ლ ი ძ ე სიმონ (სიკო) ბესარიონის ძე. 8. II. 1903, ოზურგეთი — 17. VI. 1983, თბილისი.

კინორეჟისორი, საქართველოს და სსრკ სახალხო არტისტი. 1925 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-

ფილოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო „სახკინმრეწში“, ჯერ ადმინისტრატორად, შემდეგ რეჟისორის ასისტენტად. უკვე 1927 წელს შექმნა მოკლემეტრაჟიანი ფილმი „დღე ყარაჩოში“, 1931 წელს კი მხატვრული ფილმი „ზვავთა მხარეში“. ამას მოჰყვა „უკანასკნელი ჯვაროსნები“, დიდად გავლენიანი და პოპულარული „დარიკო“, „მეგობრობა“, „ჯუჯრეულის ფარი“ (დ. რონფელთან ერთად; 1950 წელს მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია), „ჭრიჭინა“, „ეთერის სიმღერა“, „ფატიმა“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „პალიასტომი“, „შეხვედრა წარსულთან“, „ქალაქი ადრე იღუიძებს“, „სემირამიდას ბალღები“, „გაჭცევა განთიადისას“, „კეკარაჩა“ (თავის ქალიშვილ ქეთინოსთან ერთად), და სხვ. აღსანიშნავია, რომ ს. დოლიძე იყო მრავალი თავისი ფილმის სცენარის ავტორი. მის ფილმებში ასახულია წარსულის დუხჭირი ცხოვრება, რევოლუციური ბრძოლების რომანტიკა, ხალხთა შორის მეგობრობა. ისინი გამოირჩევიან მაღალი იდეურობით, მხატვრულობით და შიზანსცენურობით. საგულისხმოა, რომ ამ გამოჩენილმა რეჟისორმა კინოხელოვნებას აზიარა სერგო ზაქარიაძე, თამარ ციციშვილი, აკაკი კვანტალიანი და სხვ.

სიკო დოლიძემ 1928 წელს კინოსტუდიაში ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა კინოქრონიკას. დიდია რეჟისორის დამსახურება ქართული დოკუმენტური კინოს შექმნის საქმეში. აქ გადაღებული სრული თუ მოკლემეტრაჟიანი ფილმები ჩვენი ისტორიისათვის უძვირფასესი წყაროა. იგი იყო საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელი და 20 წლის მანძილზე მისი უცვლელი ხელმძღვანელი.

სიკო დოლიძის ნაყოფიერი შრომა ღირსეულად დაფასდა. დაჯილდოებული იყო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, ორი შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით. იყო ასევე საქართველოს რესპუბლიკის მრავალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დ ო ნ ლ ი ა ვაჟლამ დარისპანის ძე. 21. IX. 1895, ქუთაისი — 21. II. 1969, თბილისი.

ისტორიკოსი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1915 წელს დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ჯერ შორაპნიურ ქალაქში, შემდეგ თბილისში. 1919 წელს გამოსცა სახელმძღვანელო „საშუალო ჩაუკუნების ისტორია“, სადაც აისახა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხები. ახალგაზრდრა მკვლევარზე დიდი გავლენა იქონია ივანე ჯავახიშვილთან სპეციალურ სემინარში მუშაობამ. 1924 წელს ჩაირიცხა და 1927

წელს დაამთავრა ლენინგრადის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, სადაც დაუახლოვდა ნიკო მარს. შემდეგ ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ასპირანტია, ლექციებს კითხულობს იქვე კავკასიის ქვეყნების ისტორიაში, ქართულ ენასა და ქართულ პალეოგრაფიაში.

ლენინგრადში ვ. დონდუა 1942 წლამდე მოღვაწეობდა, ვიდრე საბოლოოდ არ დამკვიდრდა თბილისში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში სამი ათეული წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა წყაროთმცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებას, პარალელურად ლექციებს კითხულობდა თბილისის უნივერსიტეტსა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

მეცნიერის განსაკუთრებული საქმიანობის სფეროა XVIII საუკუნის საქართველოს ისტორია და ამ ეპოქის შესწავლას მიეძღვნა მისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომები, ამასთანავე განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ისეთი სპეციალური საისტორიო დისციპლინების განვითარებაშიც, როგორიცაა წყაროთმცოდნეობა, ეპიგრაფიკა, ტექსტოლოგია, არქეოგრაფია, პალეოგრაფია. ეს ხელეწიფება მხოლოდ დიდი ნიჭისა და განათლების მქონე მეცნიერს, რომელსაც მშობლიური ისტორიის შესწავლა და კვლევა ცხოვრების საქმედ დაესახა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ვ. დონდუას, როგორც ქართული საისტორიო წყაროების რუსულად მთარგმნელის მოღვაწეობა. თარგმნა ბასილი ეზოსმოძღვრის, იოანე ბაგრატიონის, ბექა-ალბულას სამართლის წიგნი და სხვ.

ვარლამ დონდუა დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით, მეცნიერის მდიდარი ბიბლიოთეკა დაკულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც დაარსდა მისი სახელობის კაბინეტი.

დონდუანელი (დონდუშვილი) — ღამბაშიძე ანა (ანეტა) ფილიპეს ასული. 3. II. 1911, ლაგოდეხი — 3. XII. 1961, თბილისი.

მსახიობ შალვა ღამბაშიძის მეუღლე. თბილისში დაამთავრა ქალთა პირველი გიმნაზია. შემდეგ სწავლობდა კ. მარჯანიშვილის სტუდიაში. 1928 წელს ჩაირიცხა შემდგომში გამოჩენილი რეჟისორის სახელობის თეატრში. აქედან მოყოლებული 30 წელი იყო ამ შესანიშნავი კოლექტივის წევრი. ა. დონდუანელმა შეჰქმნა დასამახსოვრებელი სახეები მის სცენაზე: გრეტა („ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ"), დაშა („პური"), ლიზა („რაც გინახავს ვეღარ ნახავ"), კა-

ალა („ნინოშვილის გურია"), მერი კაციტაძე („იაცა რიეინაშვილი"), სპინოზა („ურიელ აკოსტა"), ირინე („კოლმეურნის ქორწინება"), თამარი („სოლომონ ისაკიჩ შეჯღანუაშვილი"), ნიშეტ („ბარგარიტა გოტიე"), გულიკო ბრაბიძე („მცაცრი ქალიშვილები"), სონა („ხანუმა"), რუსუდანი („ჯამთაბერის ასული"), ციცინო („გამბახარე"), კატო („უფსკრულთან") და სხვ.

ა. დონაურელმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ეროვნული კულტურის განვითარების საქმეს მოახმარა. თავდადებით უყვარდა მშობლიური თეატრი სადაც აიდგა ფეხი და უმწიკვლოდ ემსახურა მას. იგი ზზედ იყო თავისი ცოდნა და მდიდარი გამოცდილება უშურველად გაეზიარებინა ახალგაზრდა მსახიობებისათვის, გამოირჩეოდა გულსხმიერებით, თავაზიანობით, სარგებლობდა დაუსახურებელი ავტორიტეტით და სიყვარულით.

დ უ მ ბ ა ძ ე დავით ვარდენის ძე. 1897, სოფელი შემოქმედი, ოზურგეთის რაიონი — 14. II. 1970, თბილისი.

1919 წელს დაამთავრა ქართული გიმნაზია და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, იგი ბათუმშია და მუშაობს პარტიის საოლქო კომიტეტში. 1922 წლიდან გადმოდის თბილისში და შვიდი წლის მანძილზე გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანია. შემდეგ ხელმძღვანელობდა გაზეთ „საბჭოთა აჭარას", იყო აჭარის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა საამმართველოს უფროსი.

სხვადასხვა დროს დ. დუმბაძე „იზვესტიისა" და „კომუნისტის" წარმომადგენელია აჭარაში; ხოლო 1949—1955 წლებში „იზვესტიის" საკუთარი კორესპონდენტია საქართველოში. ბოლოს იყო გამოშცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორის მადგილე და მთავარი რედაქტორი. იგი ავტორია რამოდენიმე წიგნისა ქართულ და რუსულ ენებზე. მასვე ეკუთვნის რუსი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებების მხატვრული თარგმანები.

დავით დუმბაძეს, როგორც ღვაწლმოსილ მუშაკს, მწერალთა კავშირის წევრს შინაჭებული ჰქონდა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება, დაჯილდოვებულ იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

დ უ რ მ ი შ ი ძ ე სერგი ვასილის ძე. 27. II. 1910, დაბა საჩხერე — 30. V. 1989, თბილისი.

ბიოქიმიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. საშუალო განათლება მიიღო ჭიათურაში, ხოლო 1931 წელს

დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებალღობა-მევენახეობის ფაკულტეტი. 1935—1950 წწ. მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ბიოლოგიური ქიმიის კათედრაზე. 1943—1960 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორია. შემდეგ ერთი წელი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ხოლო 1955 წელს აკადემიკოსად არჩევის შემდეგ, ჯერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს მდივანია, მერმე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. მან ჩამოაყალიბა ჩვენში მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც იყო 1971 წლიდან.

ფართოა ს. დურმიშიძის მეცნიერული კვლევის დიაპაზონი. მის გამოკვლევებს სპირტული დუღილის ბიოქიმიაში, ორგანული მჟავეებისა და ამინომჟავეების ცვლაში, ფლავონოიდების ქიმიასა და ბიოქიმიაში, ქიმიური რეგულატორების მეტაბოლიზმში ფართოდ გამოყენებენ მსოფლიო სამეცნიერო ცენტრები. დიდია მეცნიერის ღვაწლი მის მიერ ჩამოყალიბებულ და ფართოდ აღიარებული მიმართულების — მცენარეებით გარემოს ბიოლოგიური დეტოქსიკაციის თეორიის შექმნაში. იგი მრავალი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის მონოგრაფიის ავტორია. მას ეკუთვნის მოგონებები გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერებზე, შესანიშნავი ესეები ქართველ მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეებზე.

ს. დურმიშიძე წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, 1957 წლიდან იყო პროფესორი.

მეცნიერებისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემია, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოვდა ლენინის, 4 შრომის წითელი დროშის ორდენებით და მედლებით. იყო საქართველოს მრავალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

ეგაძე — ყიფშიძე გენო (ევგენია) კონსტანტინეს ასული. 1888, თბილისი — 14. XII. 1969, თბილისი.

პროფესორ იოსებ ყიფშიძის მეუღლე. ჯერ კიდევ თბილისის ქალთა გიმნაზიის უფროსს კლასელი ასწავლიდა ვერის რაიონის საკვირაო სკოლაში თამბაქოს ფაბრიკის მუშებს წერა-კითხვას. 1907—1914 წწ. მასწავლებლობდა ქალთა მე-4 გიმნაზიაში, აგრეთვე ეწეოდა საზოგადოებრივ მუშაობას, აქტიურად ეხმარებოდა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ საღამოების მოწყობაში. შემოსავლით

დახმარება ეწეოდათ მატერიალურად ხელმოკლე მწერლებს, მხატვრებს, საზოგადო მოღვაწეებს. ამასთანავე, ახლად დაარსებულ „საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმისათვის“ აგროვებდა ქართლის სოფლებში ექსპონატებს: იარაღის, ჭურჭლის, წიგნებისა თუ სიგელების სახით.

1914 წელს ცოლად გაჰყვა იოსებ ყიფშიძეს. 1918 წლამდე ცხოვრობდა პეტერბურგში. თბილისში დაბრუნების შემდეგ მასწავლებლობდა ვაჟთა II გიმნაზიაში, შემდეგ მე-15 შრომის სკოლაში. ე. ყიფშიძეს 1939 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. თითქმის მხეევარი საუკუნის მანძილზე მოუღლელად ემსახურებოდა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

ეგნატაშვილი გიორგი სიმონის ძე. 12. III. 1885, თბილისი — 16. I. 1962, თბილისი.

ტანმოვარჯიშე, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი. თავისი მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე, თავიდან როგორც მოქმედმა სპორტსმენმა, შემდეგ კი როგორც სპორტისა და ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზატორმა. მან 1909 წელს დაამთავრა პრაღის უმაღლესი ტანვარჯიშო კურსები და დაიწყო მასწავლებლობა თბილისის საოთაგადასანურო გიმნაზიაში. 1907 და 1912 წწ. პრაღაში გამართულ სპორტსაზოგადოება „სოკოლის“ მსოფლიო შეკრებებზე თბილისის გუნდმა, რომელშიც გ. ეგნატაშვილიც შედიოდა, ჯერ მეორე და შემდეგ პირველი ადგილები დაიკავა. ეს იყო ჩვენი ტანვარჯიშული სკოლის უდავო წარმატება, რომელშიც ფასდაუდებელია გ ეგნატაშვილის წვლილი, რადგან ამ დროისათვის იგი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. ეს იყო მისი მოწოდება, მისი ცხოვრების არსი და მიზანი.

გ. ეგნატაშვილი 1918—1937 წწ. ხელმძღვანელობდა მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას თბილისის სკოლებში, 1937—1941 წლებში განაგებდა ტანვარჯიშის კათედრას ფიზკულტურის ინსტიტუტში მომდევნო წლებში ჯერ თბილისის უნივერსიტეტის შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის უფროსი მასწავლებელია.

გ. ეგნატაშვილი იყო საზოგადოება „შევარდენის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და მეთაური. ცოტამ თუ იცის, რომ გიორგი (ახლობლები მას ჯორჯელს ეძახდნენ), ქართულ საქმეზე ვადაგებული კაცი კაზაკ იგნატიევის შთამომავალი იყო. თავად აღნაგი და ლა-

მაზი, ფიზიკურ და სულიერ სრულყოფას განასახიერებდა. მან მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე შესწირა ჩვენი ერის ფიზიკურ და სულიერ გაჯანსაღებას, რისთვისაც მადლიერმა საქართველომ მიუჩინა საუკუნო გამსახსოვნებელი გამორჩეულ მამულიშვილთა გვერდით. დღეს გ. ეკნატაშვილის სახელს ატარებს თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სატანვარჯიშო სკოლა. დაჯილდოვებული იყო სრომის წითელი დროშის ორდენით.

ევდოშვილი (ხოსიტაშვილი) იროდიონ ისაკის ძე. 7. V. 1873, სოფელი ბოდბისხევი, სიღნაღის რაიონი — 2. V. 1916, თბილისი.

მწერალი. დაიბადა მთავარდიაკვნის ოჯახში. 1890 წელს დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც 1893 წელს გარიცხეს მოსწავლეთა ფარულ რევოლუციურ წრეებში მონაწილეობისათვის. 1893 წელს „მესამე დასის" წევრი გახდა. მონაწილეობდა 1905 — 1907 წწ. რევოლუციაში. 1909 წელს დააპატიმრეს და 1910 წელს გადაასახლეს სოლვიჩიგოდსკში, შემდეგ ჩორნი იარში. 1912 წელს დაბრუნდა თბილისში გადასახლებიდან მძიმედ დაავადებული.

ირ. ევდოშვილმა ადრე დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. ჯერ კიდევ „კვალში" გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „გუბე". შემდეგ „იბერიაში" დაიბეჭდა პოემა და მოთხრობები. ლიტერატურაში პირველი ნაბიჯებიდან პოეტი მშრომელი ადამიანის ქომაგი და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლია. მან მოვალეობად გაიხადა ჩაგრული ხალხის სამსახური. ეს იდეა პოეტმა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატა დრამატულ პოემაში „მუზა და მუშა". ეშეშმარიტად რევოლუციურ ჰიმნად იქცა მისი ლექსი „მეგობრებს". ირ. ევდოშვილის პოლიტიკურად მახვილი და აქტუალური ნაწარმოებები მასებს მომავლის რწმენას უნერგავდნენ. პოეტმა ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის სკოლა შექმნა და დიდი გავლენა მოახდინა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდა მწერლებზე. მან თარგმნა ქართულად მსოფლიო რევოლუციური პოეზიის ნიმუშები „ინტერნაციონალი", „მარსელიოზა" და „ვარშავიანკა". ამასთანავე ირ. ევდოშვილი იყო მრავალმხრივი შემოქმედი ლირიკოსი, ბელეტრისტი, პუბლიცისტი, დრამატურგი, მთარგმნელი.

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის საბავშვო მწერლობაში. მწერლის არა ერთი ნაწარმოები გამოქვეყნდა „ნაკადულსა"

და „ყეჯილში“, მოთხრობები „ორი ობოლი“, „რას გალობს შაშვი“, „მოლალურის ტირილი“, „ბიჭო გოგია“ და სხვები, ქართული საბავშვო ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა. მისი შესანიშნავი ლექსი „ჰერი, ჰერი!“ ხომ ყველა ქართველმა ბავშვმა იცის ზეპირად.

ხალხის სიყვარულით მოსილი მწერალი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. ამიტომ იყო, რომ მისი დაკრძალვის დღე ეროვნული გლოვის დღედ გამოცხადდა.

ელიაშვილი არჩილ ივანეს ძე, 25. VII. 1904, თბილისი — 16. XII. 1971

მეცნიერი, ინჟინერი. დაიბადა ცნობილი ქართველი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ელიაშვილის ოჯახში, რომლის ახლობლები და ხშირი სტუმრები იყვნენ აკაკი წერეთელი, ლუარსაბ სანდრონიკაშვილი, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი... ყოველივე ამან დიდი გავლენა იქონია ახალგაზრდა არჩილის ზნეობრივ და მოქალაქეობრივ ფორმირებაზე. მან წარმატებით დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია და სწავლა განაგრძო გრენობლის (საფრანგეთი) პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა 1927 წელს. ახალგაზრდა სპეციალისტმა სამშობლოში დაბრუნებისთანავე განახორციელა ფოთისა და მისი მიდამოების ელექტროფიკაცია, მონაწილეობდა საქართველოს პირველი ელექტრო სისტემების დაპროექტებაში. პრაქტიკულ საქმიანობას კარგათ ერთავებდა თეორიული საკითხების დამუშავება. იყო საირიგაციო სისტემების ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის საკითხებზე ნაშრომების ავტორი. აღსანიშნავია, რომ მან ჩვენს ქვეყანაში პირველმა გამოიკვლია უკუკავშირიანი სისტემების მდგრადობის საკითხი.

ა. ელიაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის ელექტრომშენებლების საკითხის გადაჭრაში. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ავტომატური მართვის განვითარების საქმეს. იგი იყო ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის (ეხლანდელი მართვის სისტემების) ინსტიტუტის შექმნის ინიციატორი და ხელმძღვანელი. მისი თაოსნობით დაიწყო და გაიშალა მუშაობა საქართველოში მათემატიკური ლინგვისტიკისა და ავტომატიკის დარგში. მისივე ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში პირველად განხორციელდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ავტომატიზაცია ახალი ტექნიკის გამოყენებით, შეიქმნა ჩვენთან პირველი უნივერსალური გამოსათვლელი მანქანა. მეცნიერის ინიციატივით და ხელმძღვანელობით შეიქმნა ავტომატიკისა და გამოთვლითი

ტექნიკის ქართული ლექსიკონი. ამ ნაშრომისათვის ავტორთა კოლექტივს, მათ შორის ა. ელიავშვილს (სიკვდილის შემდეგ) მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია.

დიდია არჩილ ელიავშვილის წვლილი გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატიკის დარგში ახალგაზრდა კადრების მომზადებაში. მის შეცნიერულ ნაშრომებს საათანადო რეზონანსი ჰქონდა საზღვარგარეთაც.

ერისთავი — გორდეზიანი მარიკა კონსტანტინეს ასული. 10. V. 1920, თბილისი — 22. XI. 1990, თბილისი.

აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის ქალიშვილი. ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის მესამე საცდელ-საჩვენებელი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1942 წელს. ჯერ მუშაობდა სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიის კათედრის ორდინატორად, შემდეგ სწავლობდა ასპირანტურაში და ერთდროულად მუშაობდა რკინიგზის საავადმყოფოს თვალის სნეულებათა კლინიკაში. 1963 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს № 1 საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმი-ოფთალმოლოგი.

მ. ერისთავი გამოირჩეოდა უანგარო შრომით და გულისხმიერებით. 45 წელზე მეტი ემსახურა ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას, უმკურნალა და თვალის ჩინი შეუნარჩუნა ასობით პაციენტს. ყოველივე ამან საყოველთაო სიყვარული მოუპოვა მკურნალს, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება. ამასთანავე იგი იყო დახვეწილი ინტელიგენტი, უცხო ენების ცოდნა ეხმარებოდა მიეღო ფართო ინფორმაცია თავისი პროფესიის სფეროში. თავის მეუღლესთან, ცნობილ ქირურგთან პროფესორ შოთა გორდეზიანთან ერთად შექმნა სასახელო ოჯახი. იგი ბევრი საქველმოქმედო და კეთილშობილური საქმის მოთავე და მონაწილე იყო.

მართალია, მარიკა ერისთავი არც თუ ახალგაზრდა გარდაიცვალა, მაგრამ მისი განუმეორებელი პიროვნული ხიბლი და გარეგნობა უნათებს და უთბობს მის მარადიულ სამყოფელს.

ერისთავი დავით კონსტანტინეს ძე. 6. III. 1922, თბილისი — 3. IV. 1942, თბილისი.

აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის ვაჟიშვილი. 1939 წელს ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის მესამე საცდელ-საჩვენებელი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სა-

მედიცინო ინსტიტუტში. სამწუხაროდ მეორე კურსის სტუდენტი გარდაიცვალა.

ერისთავი კონსტანტინე დავითის ძე 22. I. 1889, სოფელი სალომინაო, ვანის რაიონი — 12. III. 1975, თბილისი.

ქირურგი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი. 1908 წელს დაამთავრა ეუთაისის ქართული გიმნაზია. 1909 წელს სწავლა განაგრძო ოდესის (ამჟამად ტარტუს) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც 1914 წელს წარჩინებით დასრულა. 1914—1918 წლებში, როგორც სანიტარო ექიმი გაწვეული იყო ჯარში და მონაწილეობდა ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფრონტებზე გამართულ ბრძოლებში. 1918 წელს დემობილიზაციის შემდეგ, დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო მუშაობა თბილისის რკინისგზის საავადმყოფოში. 1921 წელს აირჩიეს ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრის უფროს ასისტენტად. 1926 წელს წარჩინებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, სადი წლის შემდეგ აირჩიეს ზოგადი ქირურგიის კათედრის პროფესორად. 1930 წლიდან 1941 წლამდე ხელმძღვანელობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ქირურგიის კათედრას, ხოლო გარდაცვალებამდე ჯერ იყო საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის გამგე, შემდეგ კი განაგებდა ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრას.

კონსტანტინე ერისთავი დიდ პედაგოგიურ მუშაობას წარჩინებით ათავსებდა სამეცნიერო და პრაქტიკულ მოღვაწეობას. მის მიერ დამუშავებულია ცხელი რიგი ქირურგიულ დაავადებათა მკურნალობის ორიგინალური მეთოდები. მან პირველმა საქართველოში ჩირქოვანი ფლორის წინასწარი განსაზღვრით გაარკვია საერთოდ პლევრიტების დახურული ასპირაციული გზით მკურნალობის მეთოდები. ამერიკაკავკასიაში ქირურგთა შორის ასევე პირველმა, გააკეთა ხელოვნური საყლაპავი მილის პლასტიკა ბირხერის წესით — საყლაპავის ნაწიბუროვანი შევიწროების დროს და სხვ. გამოჩენილ მეცნიერს დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე ტრავმატოლოგიისა და ონკოლოგიის განვითარების საქმეში. სისხლძარღვთა ანდგენით ქირურგიაში გამოკვლევებისათვის 1975 წელს ჩვენი რესპუბლიკის სხვა ცნობილ ქირურგებთან (გ. იოსელიანი, დ. კანდელაკი, შ. კომახიძე) ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. იგი 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია.

დაუღალავი სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული მუშაობის გვერდა კ. ერისთავი დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას

ეწეოდა. 1938—1941 წწ. იყო თბილისის რკინისგზის კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი, 1941—1950 წწ. ხელმძღვანელობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს, 1949 — 1951 წწ. დედაქალაქის სისხლის გადასხმის ინსტიტუტს, ხოლო 1950 წლიდან გარდაცვალებამდე განაგებდა მისივე თაოსნობით აგებულ და დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და ქირურგიის ინსტიტუტს. მისი აქტიური მონაწილეობით და ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში აღიზარდა ექიმთა შესანიშნავი თაობები, რომლებიც წარჩინებით ავითარებენ დიდი მასწავლებლის გაკეთილ გზას. კონსტანტინე ერისთავი ჯერ იყო საქართველოს ექიმთა საერთაშორისო საზოგადოების თავმჯდომარე, შემდეგ ქირურგთა საზოგადოების თავკაცობდა. დიდი პრაქტიკული გამოცდილებაა, მაღალი პროფესიონალიზმი და მომთხოვნელობა, რომელიც შერწყმული იყო ოზვიათი ადამიანური თვისებებით, განსაზღვრავდა კ. ერისთავის, როგორც პედაგოგისა და აღმზრდელის საქმიანობას. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის შუაძილზე მან სამართლიანად დაიმსახურა ქართველი ხალხის სიყვარული. იგი მთელი თავისი ცოდნით და ენერგიით ემსახურებოდა მოსახლეობის ფართო ფენების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. მისმა მადლიანმა მარჯვენამ, ბრავრთ მომაკვდავს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

ღირსეულად დაფასდა ღვაწლმოსილი მეცნიერის მოღვაწეობა. 1941 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოებული იყო 3 ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, „სპატიო ნიშნის", წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და მედლებით. ირჩეული იყო ქირურგთა საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილ წევრად, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ერისთავი (სიდამონ — ერისთავი) დიმიტრი იოსების ძე. 20. III. 1903, თბილისი — 18. VIII. 1971, თბილისი.

ქიმიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. თბილისის მესამე ტექნიკუმში მიიღო საშუალო-სპეციალური განათლება და სწავლა განაგრძო მშობლიური უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, რომელიც დამთავრა 1928 წელს ქიმიკოსის კვალიფიკაციით. შალე მუშაობა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც განვლო ღირსეული გზა კათედრის ასისტენტიდან პროფესორობამდე. პარალელურად, 1930 წლი-

დან ოცი წლის მანძილზე განაგებდა განყოფილებას ახლადდაარსებულ ქიმიის ინსტიტუტში.

დ. ერისთავი იყო 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ანალიზურ ქიმიაში, მათ შორის 9 მონოგრაფია და 4 სახელმძღვანელო. მისი. ფუნდამენტური გამოკვლევები ალიარებულია როგორც ჩვენში ასევე უცხოეთშიც. დიდი დამსახურება მიუძღვის მეცნიერს საქართველოში ანალიზური ქიმიის განვითარების საქმეში. მან შექმნა იშვიათი და გაბნეული ელემენტების განსაზღვრის მთელი რიგი ახალი მეთოდები; დაამუშავა იშვიათ და გარდამავალ ელემენტთა დაყოფის ქრომატოგრაფიული საკითხები, გამოიკვლია ჩვენში მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობა.

დაბოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა მკვლევართა მომზადების საქმეშიც. იგი იყო მათი კომპეტენტური ხელმძღვანელი და გულსხმიერი მასწავლებელი.

ერისთავი—ხოშტარია ანასტასია გიორგის ასული. 3. II. 1868, გორი — 1. V. 1951, თბილისი.

მწერალი, საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა გორის პროგიმნაზიაში, სადაც ქართულს ასწავლიდნენ ისეთი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ მიხეილ ყიფიანი და ნიკო ლომოური, რამაც დიდად შეუწყო ხელი მომავალი მწერლის ლიტერატურულ გატაცებას.

ა. ერისთავმა 1885 წელს დაამთავრა სასწავლებელი და მშობლიურ ფცანში დაარსა უფასო სკოლა გლეხი ბავშვებისათვის. მოგვიანებით, 1913 წელს, გორში შექმნა ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“.

პირველად ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩნდა როგორც მთარგმნელი. რუსულიდან თარგმნა ოსური ლეგენდა „ბესია“, რომელიც ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა. წერილობაში მას გზა დაულოცა ა. წერეთელმა. მისი რეკომენდაციით 1893 წელს ჟურნალ „კვალში“ გამოქვეყნდა მწერლის პირველი ორიგინალური მოთხრობა „ბატონებმა არ დაიწყენეს“. აქას მოჰყვა მოთხრობები „ლაზარემ გადაკვარბა“, „მიწა“ და სხვა, რომლებმაც ავტორს პოპულარობა მოუპოვეს. მასვე ეკუთვნის საბავშვო მოთხრობების სერიაც.

საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ა. ერისთავ-ხოშტარიას რომანებმა „მოლიპულ გზაზე“, „ბედის ტრიალი“ და „სალი“, რომლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი ქართულ ლიტერატურაში ახალი რომანის ჟანრის დამკვიდრებადგანვითარებას.

ა. ერისთავ-ხოშტარია თავდაპირველად დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე თავისი მეუღლის, ცნობილი ქართველი მწერლისა და

საზოგადო მოღვაწის დუტუ შეგრელის გვერდით. მოგვიანებით, 1968 წლის აპრილში ისინი გადმოასვენეს დიდუბის პანთეონში.

ტ ერ ქ ო მ ა ი შ ვ ი ლ ი — ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ქეთევან ნიკიფორეს ასული. 30. VI. 1915, სოხუმი — 17. III. 1991, თბილისი.

პეტრე ამირანაშვილის მეუღლე. დამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ოჯახური პირობების გამო არ უმუშავნია, იყო დიასახლისი.

ე ს ა კ ი ა ლეონარდ (ლეო) დიმიტრის ძე. 27. II. 1899, სოფელი ნესაკოვო, სენაკის მაზრა, — 1. VII. 1969, თბილისი.

კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. 1916 წელს გაწვიეს ჯარში და მონაწილეობდა საომარ ოპერაციებში კავკასიის ფრონტზე. ომის დამთავრების შემდეგ თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, აქვეყნებდა ლექსებს, კრიტიკულ წერილებს, რეცენზიებს. 1927 წლიდან მუშაობს კინოსტუდიაში. მალე საკუთარი სცენარით ნიჭიერი ახალგაზრდა დგამს თავის პირველ ფილმს „ჰოლტზე". რაც შეეხება „ამერიკანკას" იგი იმით არის ალსანიშნავი, რომ აქ უკვე ნათლად ჩანს შემოქმედის საკუთარი ხელწერა. საყოველთაო პოპულარობა კი მოუხვეჭა რეჟისორს ფილმებმა: „შაქარი" (პირველი ქართული ხმოვანი ფილმი), „ფრთოსანი მღებავი", „გალმელი ქალიშვილი", „ბაში-აჩუკი", „გლახის ნაამბობი", „აბესალომ და ეთერი" და სხვ.

მრავალმხრივი შემოქმედი, პარალელურად ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. წერდა წიგნებს, მასვე ეკუთვნის ა. ბუკიას ოპერის „დაუპატიჟებელი სტუმრების" ლიბრეტო.

ლეო ესაკიას ფილმები და საერთოდ მისი მოღვაწეობა ცხადყოფს გამოჩენილი რეჟისორის უდიდეს სიყვარულს შრომბლიური კულტურისა და ხელოვნებისადმი. სწორედ ამით აიხსნება ის ნათელი ხსოვნა და პატივისცემა, რაც მან შრომბლიურ ხალხში დატოვა. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ე ს ა ძ ე სიმონ სპირიდონის ძე. 4. II. 1868. — 15. II. 1927, თბილისი.

სამხედრო ისტორიკოსი, პოლკოვნიკი, კავკასიის ომების მკვლევარი, კავკასიისმცოდნე. დაიბადა რუსეთში, ქართველი თავადის, რუსეთის არმიის ოფიცრის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო სიმბირსკის კადეტთა კორპუსში, ხოლო უმაღლესი კონსტანტინოვსკის საარტილერიო სასწავლებელში, რომელიც დამთავრა 1888

წელს ოფიცრის ჩინით. 1898 წლიდან მუშაობს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან არსებული სამხედრო-საისტორიო განყოფილების რედაქტორად, ხოლო 1913 წლიდან განყოფილების უფროსად.

სიმონ ესაძე იყო ცნობილი რუსი სამხედრო ისტორიოგრაფოსის ვ. ა. პოტოს მოწაფე. მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმისათვის („დიდების ტაძრის"), მასალის მიკვლევა-მოძიებასა და კლასიფიკაციაში, გამოსცეს გზამკვლევი. 1912 წლიდან ს. ესაძე ამ მუზეუმის დირექტორია. 1917 წელს იგი ხელმძღვანელობდა „კავკასიის საისტორიო კომისიას", რომელმაც აღწერა კავკასიაში თურქეთთან წარმოებული ომი. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ ს. ესაძე დანიშნა ფრონტის სამხედრო-საისტორიო განყოფილების უფროსად. 1921 წლის 10 აგვისტოდან ხელმძღვანელობს სახელმწიფო საარქივო სამმართველოს სამხედრო სექციას, ხოლო 1923 წლიდან გარდაცვალებამდე სათავეში ედგა სამხედრო-საისტორიო არქივს. მისი რედაქტორობით გამოიცა „კავკასიის კრებულის" 14 ტომი, რომელშიც გაშუქებულია 1826—1828 წწ. სპარსეთთან, 1828—1829 წწ. თურქეთთან და 1823—1845 წლების მიურიდიზმთან ომების ისტორია.

სამეცნიერო მოღვაწეობა ს. ესაძემ დაიწყო გასული საუკუნის მიწურულს. 1898 წელს გამოვიდა მისი წიგნები: „ტვერის ძრაგუნები კავკასიაში" და „აღმოსავლეთის ომი". შემდეგ მეცნიერმა შექმნა ფუნდამენტური ნაშრომები კავკასიის ისტორიის საკითხებზე: „ისტორიული წერილები კავკასიის მმართველობის შესახებ", „ღუნიბის აღება და შამილის დატყვევება", „ისტორიული ნარკვევი კავკასიის ომების შესახებ ჩაჩნეთსა და დაღესტანში", „დასავლეთ კავკასიის დამორჩილება და კავკასიის ომების დასასრული".

ს. ესაძე იყო დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი პიონერი. 1908—1909 წწ. შექმნა კინოქრონიკა კავკასიის არმიის ცხოვრებიდან, ხოლო 1915 წელს გადაიღო ფირი კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედების შესახებ. 1913 წელს ოქტომბერში ეკრანზე გამოვიდა მისი სცენარითა და მონაწილეობით შექმნილი ფილმი „ღუნიბის აღება", რომელიც გადაიღეს კინომპრეწველებმა ტალდიკინმა და დრანკოვმა. ეს ესაძემ ფირზე აღბეჭდა ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა ქართველი ხალხის ცხოვრებაში რომელიც იყო ბათუმის სამშვიდობო კონფერენცია 1921 წელს.

საგულისხმოა, რომ ლევ ტოლსტოის, „ჰაჯი მურატზე" მუშაობისას გაუგზავნა თავისი ხელით ამონაწერი საარქივო მასალა, რისთვისაც მიიღო დიდი მწერლის გულთბილი ავტოგრაფიანი თხზულებათა კრებული.

ეული (ქურციძე) სანდრო (ალექსანდრე) ქიმვარდის ძე. 11. X. 1890, სოფელი ზომლეთი, ჩოხატაურის რაიონი, — 25. III. 1965. თბილისი.

პოეტი, საზოგადო მოღვაწე. მშობლიურ სოფელში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, შეიდა ოზურგეთის სასოფლო-საშიერნეო სკოლაში, მაგრამ მოსწავლეთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის გარიცხეს და მხოლოდ 1907 წელს დაამთავრა ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებელი. შრომითი საქმიანობა დაიწყო ფოთში, ნავსადგურის მუშად; აქვე ჩაება რევოლუციურ გამოსვლებში. შემდეგ გადავიდა ბაქოში, სადაც 1914 წელს დააპატიმრეს. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და აქტიურ რევოლუციურ ბრძოლას ეწეოდა.

სანდრო ეულის პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1909 წელს. ბაქოში ყოფნისას აქტიურად მონაწილეობდა ქართული ჟურნალის „წყარის“ გამოცემაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, იგი სათავეში ჩაუდგა პროლეტარიულ მწერალთა ასოციაციას, რედაქტორობდა გაზეთ „კომუნისტს“. მისი მრავალი ლექსი გამსჭვალულია რევოლუციური სულისკვეთებით, მაგრამ მწერლის შემოქმედებაში ვეხვდება ლირიკული ლექსებიც, რომელსაც დაჰკრავს ნამდვილი პოეტური სურნელი. მას ეკუთვნის ბევრი საინტერესო პროზაული ნაწარმოებიც: მოთხრობები „ამირან ვაშალომიძე“, „სიცოცხლის დაბრუნება“ და სხვ. 1963—1964 წლებში გამოქვეყნდა პოეტის თხზულებათა ორტომეული. ს. ეულმა თარგმნა ფრ. ენგელსის სიმბოლიკის დროინდელი ლექსი „სალამო“, ე. ვერჰარნის, მ. გორკის, ა. აკოფიანის, ი. კუპალას და სხვათა ნაწარმოებები. იგი ქმედითად მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის მუშაობაში, იყო ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი; აქ მან დიდი ამაგი დასდო ჩვენი ეროვნული საუნჯის წიგნადი ფონდის მოვლა-პატრონობის საქმეს. ყოველივე ამისათვის დაიმსახურა მთავრობის მრავალი ჯილდო და მედალი.

ვაკელი (ბეგრელიძე) იონა ლუკას ძე. 10. XI 1900, სოფელი ვაკე, ოზურგეთის რაიონი — 1. IV. 1988, თბილისი.

მწერალი და დრამატურგი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ სოფლის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო, შემდეგ სწავლა გაგრძელა ფოთში. 1920 წელს წარჩინებით დამთავრა შალვა ნუცუბიძის მიერ დაარსებული განათლების კურსები. შემდეგ სწავლობ-

და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. მისი პირველი ლექსი „გურია“ 1918 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მხედარში“, ლექსთა პირველი კრებული კი 1922 წელს, აქედან მოყოლებული ქართველ მკითხველს არ მოჰკლებია იონა ვაკელის ლექსები, პოემები, პიესები, მისეული თარგმანები. განსაკუთრებული ღვაწლი დაქვს ქართულ დრამატურგიას, მათგან დიდი წარმატებით სარგებლობდა პიესა „აბრაკუნე ჭიმჭიმელი“, რომელიც 1933 წელს დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში. ასევე დიდი მოწონება ხვდა წილად დრამატურგის პიესებს: „მამილს“, „გიორგი საკაძეს“, „რვალს“, „ხელოვნების ოჯახს“. მანვე დიდი ოსტატობით თარგმნა პუშკინის, ლერმონტოვის, გოეთეს, შელის და სხვათა ნაწარმოებები.

იონა ვაკელი საბჭობლოზე უზომოდ შეყვარებული ინტელიგენტი, სიკეთითა და სიყვარულით ალსავსე პიროვნება უპრეტენზიო მოღვაწე, დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ვარდოშვილი (ნიკოლაიშვილი) ხარიტონ ივანეს ძე 7. X. 1895, სოფელი უჩხოთი, ოზურგეთის რაიონი — 15. X. 1970, თბილისი.

პოეტი და მთარგმნელი. დაამთავრა სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ფოთში გაზეთების გამავრცელებლად. 1918 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტში სიტყვიერების ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად, პარალელურად თანამშრომლობდა პრესაში, რომლის გამოცდილება დაჰყვა ჯერ კიდევ ქუთაისიდან, სადაც 1916 წლიდან მუშაობდა ადგილობრივ გაზეთ „საბჭობლოში“, შემდეგ კი ისეთ პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებში, როგორებიცაა: „თეატრი და ცხოვრება“, „განათლება“, „ჯეჯილი“, „კვალი“ და სხვ. 1921 წლიდან მუშაობას იწყებს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში.

ხარიტონ ვარდოშვილის პოეტური დებიუტი შედგა 1914 წელს გაზეთ „ახალ აზრში“, ხოლო 1924 წელს გამოქვეყნდა ლექსების პირველი კრებული. ხ. ვარდოშვილის ადრინდელ ნაწარმოებებს დაჰკრავს დეკადენტობის ელფერი. პესიმიზმი და გულგატეხილობა მსჭვალავს მის ლექსებს „მუხრანის ხიდი“, „ხალისის დასაფლავება ტფილისში“, „საუბარი უბედურ ლანდთან“ და სხვ. მაგრამ უკვე 30-იანი წლებიდან შეერწყა მის შემოქმედებაში თანდათან გაძლიერდა ოპტიმისტური სულისკვეთება 'განსაკუთრებული პათოსით აღერდა მისი ლექსები სამამულო ომის დროს. სულ გაშოცემული აქვს

10 პოეტური კრებული. ბრწყინვალეა მის მიერ თარგმნილი გოეთეს, შილერის, ჰაინეს რჩეული ლექსები და ბალადები. მან ქართულად ითარგმნა პუშკინი, ლერმონტოვი, მიცკევიჩი, პოლონსკი, ესენინი, ტიხონოვი, ისააკიანი, ბრიუსოვი და მრავალი სხვ.

ხ. ვარდოშვილი უპირველესად ლირიკოსია, ტრადიციების მიმდევარი, მაგრამ ამავე დროს ნიშანდობლივია, ისიც, რომ მის ლექსებში აისახა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელი სიახლე და დახვეწილობა.

ვ ა რ თ ა გ ა ვ ა იპოლიტე პეტრეს ძე. 30. I. 1872, სოფელი ხეთა, ხობის რაიონი — 6. I. 1967, თბილისი.

კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და პედაგოგი. 1895 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და გაეგზავნა ყაზანს, სწავლის გასაგრძელებლად. აქ ასევე წარჩინებით დაასრულა სასულიერო აკადემია. 1907 წლამდე პედაგოგად მუშაობდა სიმფეროპოლის სასულიერო სემინარიაში, ხოლო 1907—1937 წლებში თბილისის სკოლებში. შემდეგ 20 წელი კი გორისა და ცხინვალის პედინსტიტუტებშია.

ი. ვართაგავამ ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაიწყო ლიტერატურული ნარკვევებისა და კრიტიკული ფელეტონების ბეჭდვა ჩვენს პერიოდიკაში ქართული, რუსული ევროპული ლიტერატურის საკითხებზე. განსაკუთრებით აქტიურად თანამშრომლობდა „ივერიაში“, „კვალში“, „საქართველოს მოამბეში“, „განათლებაში“, „სახალხო გაზეთში“. 1894 წელს გ. წერეთლის „კვალში“ გამოაქვეყნა წერილების სერია: „სამეგრელოს ვითარება“, რომელშიც სამარცხვინო ბოძზე გააკრა ის გადაგვარებულნი, ცარიზმის ხელმეწყობით სეპარატისტულ ტენდენციებს რომ აღვიძებდნენ და პროვოკაციულ ჭორებს ავრცელებდნენ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებზე.

..მაგრამ ი. ვართაგავას მთავარი ინტერესი იყო ქართული მწერლობა. მის კალამს ეკუთვნის „მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა უძველესი დროიდან“, „სიტყვიერების თეორია“, მონოგრაფიები პოეტ გ. აბაშიძეზე, შიო მღვიმელზე, რ. ერისთავზე, ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვაჟა-ფშაველაზე, შალვა დადიანზე.

ი. ვართაგავა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მრავალი მოვლენის მოწმე და მონაწილე იყო. პირადი ნაცნობობა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან. ყოველივე ეს კარგად აისახა მის „მოგონებებში“ და „ქართველ მწერალთა სილუეტებში“, სადაც გაცოცხლებულია ჩვენი წარსულის მრავალი სურათი. ი. ვართაგავამ სათანადო ადგილი დაიკავა

ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში, როგორც კრიტიკოსმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ.

ვ ა ხ ს ი მ ა შ ვ ი ლ ი — ს უ ლ ი ა შ ვ ი ლ ი თამარ ზაალის ასული. 11. I. 1895, დაბა სურამში — 1. IV. 1958, თბილისი.

მწერალ დავით სულიაშვილის მეუღლე. 1914 წელს დაამთავრა თბილისის მეხუთე ქალთა გიმნაზია და ფრანგული ენისა და მათემატიკის მასწავლებლად მუშაობდა სურამის პირველ სამუალო სკოლაში. 1932 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი, რის შემდეგაც მუშაობდა სკოლასა და საბავშვო ბაღში.

აღსანიშნავია, რომ ქალბატონი თამარის დიდი ძალისხმევით, ბატონ დავითს აცდა რეპრესიების სუსხი.

ვ ა ს ა ძ ე აკაკი ალექსის ძე. 25. VII. 1899, ქუთაისი — 23. III. 1978, თბილისი.

მსახიობი და რეჟისორი. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1917 წელს დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია სწავლა გაანაგრძო ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. ჯერ კიდევ გიმნაზისტი სცენით დაინტერესდა. ხატვის წიგნის მქონე ახალგაზრდა მოეწყო ქუთაისის თეატრში მხატვარ-დეკორატორის თანამდებობაზე. აქვე შეასრულა მან პირველი უსიტყვო როლები. ეს საკმარისი გამოდგა, რომ ჭაბუკური გატაცება ცხოვრების საქმედ ექცია. სტუდენტობის პერიოდში 1918—1920 წწ. პარალელურად სწავლობდა ა. ჯაბადარის დრამატულ სტუდიაში.

1920 წელს შეიწვიეს რუსთაველის სახელობის თეატრში, სადაც 1955 წლამდე დაჰყო. 1935 წლიდან 20 წლის მანძილზე იყო ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. 1958—1968 წწ. სათავეში ედგა ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრს. 1969 წლიდან კი რუსთაველის სახელმწიფო თეატრის მსახიობია, ცხოვრების უკანასკნელ პერიოდი გაატარა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

აკაკი ვასაძემ ქართულ სცენაზე შექმნა 120-ზე მეტი როლი. მათ შორის აღსანიშნავია: მეფგო („ცხვრის წყარო“), ახმა („ანზორი“), ფრანც მოორი („ყაჩაღები“), დარისპანი („შემოდგომის აზნაურები“), იაგო („ოტელო“), კიკვიძე („კიკვიძე“), სეიმონ ლეონიძე („სამშობლო“), შუისკი („დიდი ხელმწიფე“), აბდულ სადიქი („ჩაძირული ქვები“), პეპია („გლახის ნაამბობი“,) და სხვა მრავალი. იგი იყო ლირსა სცენური აზროვნების მსახიობი, მხოლოდ მისთვის

ცნობილი საიდუმლო ხერხებით აღწევდა იმას, რომ გამოეძერწა მონუმენტური სცენური ფორმები და ღრმა დრამატული ინტონაციები თუ მსუბუქი ვოდევილური იმპროვიზაციები.

ა. ვასაძემ პირველი ნაბიჯები, როგორც რეჟისორმა გადადგა 1926 წელს. თავდაპირველად იყო ს. ახმეტელის თანარეჟისორი სპექტაკლებზე, „ანზორი", „თეთნულდი". მისი დამოუკიდებელი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: „არსენა", „ნაპერწკლიდან", „თოფიანი კაცი", „დარისპანის გასაჭირი", „ოთარაანთ ქვრივი", „მოკვეთილი", „რიჩარდ III", „ირინეს ბედნიერება" და სხვ. საგულისხმოა, რომ მას დადგმებისათვის („კიკვიძე" 1942 წ., „დიდი ხელმწიფე" 1946 წ., „ჩაძირული ქვები" 1951 წ.) მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემიები.

დასამახსოვრებელი სახეები შექმნა მსახიობმა ქართულ კინოშიც. სადაც იგი ჯერ კიდევ 1923 წელს მოვიდა. ესენია პლატონი („სამანიშვილის დედინაცვალი"), შაჰ-ძმაი („გიორგი საააკაძე"), მამასახლისი („მაგდანას ლურჯა"), ფარსმან სპარსი („დიდოსტატის მარჯვენა"), მორდეხაი („დათა თუთაშხია") და მრავალი სხვა.

სიცოცხლის ბოლო ათწლეულში რუსთაველის თეატრის სცენაზე განსახიერებული როლებისათვის 1974 წელს მიენიჭა რუსთაველის სახელობის პრემია.

1924 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ჯერ აკაკი ფალავას დრამატულ სტუდიაში ასწავლიდა მხატვრულ მეტყველებას, ხოლო 1938 წლიდან რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორია. მან არაერთი მსახიობი და რეჟისორი აღუზარდა ქართულ თეატრს.

აკაკი ვასაძეს 1936 წელს სტანისლავსკისთან, ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან, კაჩალოვთან, ხორავასთან და თეატრალური ხელოვნების სხვა კორიფეებთან ერთად ერთ-ერთ პირველს მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდება. რამდენჯერ აირჩიეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატათ, დაჯილდოვებული იყო ორი ლენინის, ორი შრომის წითელი დროშის ორდენებით და მედლებით.

ვ ა ს ა ძ ე გიორგი აკაკის ძე. 1919, თბილისი — 25. VIII. 1969, თბილისი.

რეჟისორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა და აღიზარდა აკაკი ვასაძის ოჯახში და, ბუნებრივია, იმთავითვე ეზიარა თეატრალურ ხელოვნებას. სკოლის დამთავრების შემდეგ მიაშურა თეატრალურ ინსტიტუტს. 1941 წლიდან რუსთაველის თეატრის მსახიობია. 1944 წელს შედის მოსკოვის

ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში რეჟისურის შესასწავლად, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს სოხუმის დრამატულ თეატრში, სადაც დიდი წარმატებით მიდიოდა მის მიერ დადგმული სპექტაკლები: „ოლოველა", „პირველი ნაბიჯი", „უკანასკნელი მსხვერპლი", „პლატონ კრეჩეტი", „მისი ვარსკვლავი" და სხვ.

1954 წელს გიორგი ვასაძე მიიწვიეს მოსკოვის ლიტერატურულ-დრამატულ თეატრში, სადაც ორი წელი დაჰყო, შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობა დაიწყო საქართველოს რადიოკომიტეტში წამყვან რეჟისორად. მის მიერ შესრულებული რადიოდადგმები დღეს ჩვენი ეროვნული რადიოს ოქროს ფონდშია.

გ. ვასაძე ნაყოფიერად მოღვაწეობდა აგრეთვე საქართველოს ფილარმონიაში და ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიაში, სადაც საოპერო სტუდიის სცენაზე განახორციელა დადგმები: გლიუკის „ორფეოსი", მოცარტის „ფიგაროს ქორწინება", ო. თაქთაქიშვილის „განაჩენი". 1967 წლიდან იყო საქართველოს ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა მთავარი რეჟისორი.

ვ ა ს ი ლ ი ე ვ ი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე. 1883, პეტერბურგი — 1928, თბილისი.

ინჟინერ-ჰიდროლოგი. დამთავრა ქ. ტვერის გიმნაზია, ხოლო 1907 წელს პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი და აქვე დაიწყო მუშაობა ტრამვაის ხაზის მშენებლობაზე.

1920 წლიდან თბილისშია და მოღვაწეობს წყალთა მეურნეობის სამმართველოში ინჟინრად. შეისწავლა მდინარე ხრამი და შეადგინა მისი გამოყენების სქემა, რითაც სათავე დაუდო ხრამჰესის მშენებლობას. ორი წლის შემდეგ ზაჰესის მშენებლობაზე ხელმძღვანელობს ელექტრომექანიკურ განყოფილებას. მშენებლობის დამთავრებისთანავე აწინაურებენ რიონჰესის მშენებლობის მთავარი ინჟინრის მოადგილედ. გამოცდილი სპეციალისტი პარალელურად ამიერკავკასიის საგეგმო კომიტეტის კონსულტანტია ელექტროფიკაციის საკითხებში.

1922 წლიდან ა. ვასილიევი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის უნივერსიტეტში და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1926 წელს აირჩიეს პროფესორად. იგი ელექტროტექნიკის დარგში რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ვ ა ჩ ე ი შ ვ ი ლ ი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე. 12. IV. 1886, ქუთაისი — 31. VII. 1964, თბილისი.

სახელმწიფოსა და სამართლის სპეციალისტი, პროფესორი, სა-

ქართველოში იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1904 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და სწავლის გასაგრძელებლად უცხოეთში გაემგზავრა. ლექციებს ისმენდა პარიზის, ბრიუსელის და ჟენევის უნივერსიტეტებში, მაგრამ ავადმყოფობის გამო იძულებული შეიქმნა სამშობლოში დაბრუნებულიყო. 1908 წელს შევიდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1912 წელს წარჩინებითი დიპლომით დაამთავრა და მიენიჭა სამართლის კანდიდატის წოდება.

1915 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ოდესის კერძო გიმნაზიაში. 1921 წელს ოდესის სახალხო განათლების ინსტიტუტში ჩაბარა სამაგისტრო გამოცდები და აირჩიეს ლექტორად, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა — 1922 წელს ივანე ჯავახიშვილის მოწვევით ჩამოდის სამშობლოში და აქტიურად მონაწილეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის (ეკონომიკური და იურიდიული განყოფილებებით) ჩამოყალიბებაში.

1932 წლიდან ა. ვაჩეიშვილი სამი ათეული წლის მანძილზე განაგებდა უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრას. ფართო ერუდიცია, მეცნიერული მუშაობის მაღალი კულტურა, უცხო ენების ცოდნა მას საშუალებას აძლევდა შეექმნა ფუნდამენტური გამოკვლევები სამართლის თეორიასა და ისტორიაში. მეცნიერმა ჩვეული კეთილსინდისიერებით დაამუშავა შუა საუკუნეების საქართველოს სისხლის სამართლის, ფეოდალური მიწათმფლობელობისა და ფეოდალური სახელმწიფოებრივი წყობილების მნიშვნელოვანი პრობლემები. მის კალამს ეკუთვნის 3 ტომიანი „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“ (მესამე ტომს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით პირველი პრემია მიენიჭა). დიდია მეცნიერის ღვაწლი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის დადგენა-დამუშავება და რუსულიდან ქართულ ენაზე იურიდიული ლიტერატურის თარგმნის საქმეში.

ალექსანდრე ვაჩეიშვილს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერულ პედაგოგიური მოღვაწეობისათვის 1946 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოვებული იყო ლენინის ორდენით.

ვ ა ჩ ე ი შ ვ ი ლ ი გივი ალექსანდრეს ძე. 22. XI. 1924, თბილისი — 22. XI. 1964, თბილისი.

პროფესორ ალექსანდრე ვაჩეიშვილის უფროსი ვაჟი. 1942 წელს დაამთავრა თბილისის შე-15 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა

თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1946 წელს ნიჭიერი ახალგაზრდა გაიგზავნა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ უმაღლეს დიპლომატიურ სკოლაში. მან აქაც წარჩინებით ჩააბარა მისაღები გამოცდები, გაიარა ორწლიანი კურსი, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა თავი დაენებებინა სწავლისათვის და საქართველოში დაბრუნდა. 1948—1952 წლებში დაინიშნა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის თანაშემწედ. მომდევნო წლებში მუშაობდა რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით კრიმინალისტურ ლაბორატორიაში მთავარი ექსპერტის თანამდებობაზე. 1959 წელს წარჩინებით დამთავრა მოსკოვის ექსპერტ-კრიმინალისტების უმაღლესი კურსები.

სასამართლო-სატრანსპორტო და სასამართლო-ბალისტიკური კრიმინალისტური ექსპერტიზის წარმატებით ჩატარებისათვის მან რამდენჯერმე დაიმსახურა ზემდგომი ორგანოებისაგან მადლობები. იგი ორმოცი წლის ასაკში, სრულიად ახალგაზრდა ტრაგიკულად დაიღუპა.

ვაჩეიშვილი კონსტანტინე (კოტე) ალექსანდრეს ძე. 22. VII. 1928, თბილისი — 21. XI. 1964, თბილისი.

პროფესორ ალექსანდრე ვაჩეიშვილის უმცროსი ვაჟი. სწავლობდა თბილისის ვაჟთა VI სკოლაში. 1945 წელს შევიდა და 1950 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1952—1953 წწ. იყო თბილისის ვაკის (ორჯონიკიძის) რაიონის ადვოკატთა კოლეგიის წევრი. 1953—1956 წწ. ხარკოვის იურიდიული ინსტიტუტის ასპირანტია., სადაც მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია მეტად საყურადღებო და პრობლემურ საკითხზე: „მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია“.

1957—1964 წწ. მუშაობდა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ თანამშრომლად.

ფართო იყო კოტე ვაჩეიშვილის მეცნიერული ინტერესების სფერო. ღრმა განათლებამ, რამდენიმე ევროპული ენის ცოდნამ საშუალება მისცა ეკვლია ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხებიც. სისტემატურად მონაწილეობდა არქეოლოგიურ გათხრებში. სწავლობდა საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებს. მას გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები როგორც იურისპრუდენციაში, ასევე ხელოვნების ისტორიის საკითხებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია: „მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია“, „მოწმის ჩვენების, როგორც დამამტკიცებელი საბუთის წყაროს შეფა-

სების ისტორიისათვის", „ყინწვისის მშენებლის გამოსახულების შესახებ", „უფლისციხის მიუფალი გამოქვაბული" და სხვ.

კონსტანტინე ვაჩეიშვილი თავის უფროს ძმასთან ერთად ტრაგიკულად დაიღუპა.

ვ ა ჩ ნ ა ძ ე ნატალია (ნატო) გიორგის ასული. 3. IV. 1904, ვარშავა — 14. VI. 1953, დაიღუპა საავიაციო კატასტროფის დროს.

კინომსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. მამამისი კავალერიის ოფიცერი გიორგი ანდრონიკაშვილი იყო კახეთის ერთ-ერთი წარჩინებული გვარის წარმომადგენელი. პატარა ნატო სწავლობდა თბილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში. ჯერ მუშაობდა ფაბრიკაში, შემდეგ მუსიკის მასწავლებლად.

...1923 წელს თბილისში იღებდნენ „არსენა ყაჩაღსა" (რეჟ. ვ. ბარსკი) და „მამის მკვლელს" (რეჟ. ა. ბეკ-ნაზაროვი). ფილმის დამდგმელი ავტორები ეძებდნენ ნინოსა და ნუნუს როლების შემსრულებელ მსახიობებს. ჯგუფის ადმინისტრატორი შაქრო ბერიშვილი ფოტოატელიეში შემთხვევით წააწყდა ლამაზი გოგონას პორტრეტს. კითხვა-კითხვით მიადგა ქალიშვილის ბინას, „მოსტაცა" მშობლებს ეს მზეთუნახავი და წარუდგინა რეჟისორ ბარსკის, რომელმაც დაუყოვნებლივ მისცა ნინოს როლი „არსენა ყაჩაღში". ამას მოჰყვა ნუნუ „მამის მკვლელში". ორივე სურათი 1924 წელს გამოვიდა ეკრანებზე და ამ დროიდან აკიაფდა ნატოს ვარსკვლავი. ამ ფილმების წარმატება ახალგაზრდა მსახიობის სილამაზემ და უზადო აქტიორულმა ნიჭმა განაპირობა. ამის შემდეგ დადგა ივანე პერესტიანის ორი ფილმი „სამი სიცოცხლე" და „ცეცხლი ქვეყნის რაინდი", სადაც აგრეთვე ნ. ვაჩნაძე დიდი ოსტატობით ასრულებდა მთავარ როლებს.

მისი რეჟიორული მსახიობის აღმავლის მორიგი საფეხური იყო ფატის როლი ალექსანდრე წუწუნავას ფილმში „ვინ არის დამნაშავე?". შემდეგ ნატომ განასახიერა გიული ნ. შეფგელაიას ამავე სახელწოდების სურათში. რეჟისორისა და მსახიობის ამ შეხვედრამ გამაზლესა მათი მომავალიც. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ბევრ დიდი წარმატებით შესრულებული როლები კ. მარჯანიშვილის ფილმებში „ამოკი" და „ტრაზანა". 1932 წელს ნატო მოსკოვში ასისტენტად მუშაობს ცნობილ რეჟისორ-კინოდოკუმენტალისტ ესთერ შუბთან.

1934 წელს ისევ თბილისი. ციცას როლი ს. დოლიძის ფილმში „უკანასკნელი ჯვაროსნები". ამას მოჰყვა ერთიმეორეზე უკეთესად შესრულებული როლები მიხეილ ჭიაურელის ფილმებში თამრო („უკანასკნელი მასყარადი") და ნენო („არსენა"). 1937 წელს

ნ. შენგელაიას „ნარინჯის ველში“ ნანის სახის განსახიერებისათვის 1941 წელს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია. ნატო ვაჩნაძემ შექმნა ქალის დაუვიწყარი სახეები ფილმებში: „ქაჯანა“, „სამშობლო“, „ხიდობნელი ქალიშვილი“, „ის კვლავ დაბრუნდება“, „აკაკის აკვანი“, „მწვერვალთა დამპყრობნი“ და სხვ.

მეოთხედი საუკუნე უშურველად და ლამაზად იღვაწა ქართულმა კინოს ვარსკვლავმა და სიცოცხლეშივე დაიდგა ხელთუქმნელი ძეგლი მშობლიური ხალხის გულში.

ვ ა ჩ ნ ა ძ ე — ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე სოფიო აბრამის ასული. 1. IX. 1894, ქ. ბატჩინო — 17. IV. 1980, მოსკოვი.

სერგო ქავთარაძის მეუღლე. დაიბადა გენერლის ოჯახში. დედა მაყაშვილის ქალი იყო. პეტერბურგში დამთავრა სმოლნის ქალთა ინსტიტუტი, შემდეგ ბესტუჟევის კურსები ფილოლოგიის განხრით. ქართულისა და რუსულის გარდა, იცოდა გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენები. ვაჩნაძეების ოჯახს რევოლუციამ რუსეთში მოუსწრო. იმ დროისათვის მამამისი უკვე თადარიგში გასული, პეტერგოფის კომენდანტი იყო. 1918 წელს მთელი ოჯახი სამშობლოში დაბრუნდა. სოფიომ, როგორც ენერგიის შეცოდნემ, მუშაობა დაიწყო დემოკრატიული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ევგენი გეგეჭკორთან, სადაც გასაბჭოებამდე დაჰყო. 1921 წელს ქალიშვილმა თავისი ბედი ცნობილ რევოლუციონერს სერგო ქავთარაძეს დაუკავშირა და აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოსცილდა. სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში მეუღლის გადაყვანის შემდეგ, მანაც დაიწყო იქ მუშაობა მთარგმნელად. მოგვიანებით ს. ვაჩნაძემ რეს მკითხველს გააცნო ა. ყაზბეგის, ე. ნინოშვილის ნაწარმოებები, ერთ ხანს პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა თბილისის უნივერსიტეტში.

ს. ვაჩნაძე თავდაპირველად დასაფლავეს ვერის სასაფლაოზე. ს. ქავთარაძის გარდაცვალების შემდეგ კი მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი თამარ ნიკოლოზის ასული. 4. I; 1894, ვარშავა — 31. X. 1976, თბილისი.

კომპოზიტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ჯერ სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში, შემდეგ დაამთავრა პარიზის კონსერვატორიის ვიოლდის საკომპოზიციო კლასი. 1921—1926 წლებში იყო თბილისის მუსიკალური სკოლის დირექტორი, ამავე დროს რუსთაველისა და შარკანიშვილის თეატრების მუსიკალური ნაწილის გამგე. 1933—1971 წლებში ცხოვ-

რობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში, რომლის წამყვან თეატრებში მუსიკალურად გაფორმა მრავალი სპექტაკლი.

თ. ვახვახიშვილი იყო კ. მარჯანიშვილის უახლოესი თანამშრომელი. მან დიდ ხელოვნთან ერთად საფუძველი ჩაუყარა და ტრადიცია შეუქმნა ჩვენ დრამატულ თეატრში მუსიკალური ხელოვნების ფართოდ დამკვიდრებას. შექმნა მუსიკა 100-მდე დრამატული სპექტაკლისათვის. მათ შორის: „ცხვრის წყარო", „ურიელ აკოსტა", „კაკალ გულში", „გუშინდელნი", „როგორ?", „ხატიჯე", „ყვარყვარე თუთაბერი", „თეთრები", „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ", „ბეატრიჩე ჩენჩი", „მასკარადი" და სხვ.

თ. ვახვახიშვილი ავტორია აგრეთვე სხვადასხვა ჟანრის ორიგინალური ნაწარმოებების, მაგალითად მის კალამს ეკუთვნის ბალეტები: „ბახუსის დღესასწაული", „სიყვარულის ბანგი", „სპარტაკი", პანტომიმები: „მზეთამზე", „ზანდარი", მუსიკალური კომედია „დონ ჰილი — მწვანე შარვალი" და მრავალი სხვა.

თამარ ვახვახიშვილმა დაგვიტოვა შესანიშნავი მოგონებები „თერთმეტი წელი კოტე მარჯანიშვილთან", რომელიც ძვირფასი შენაძენია ქართულ მემუარისტიკაში.

ვ ე ნ ა ძ ე (ი ნ ა შ ვ ი ლ ი) გრიგოლ იობის (იოველის) ძე. 25. I. 1896, თბილისი — 22. VII. 1968, თბილისი.

მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა მუშის ოჯახში. დამთავრა რკინიგზის სასწავლებელი და მუშაობდა ზეინკლად ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში. 1913 წლიდან მონაწილეობს ნაძალადევის სცენისმოყვარულთა დრამატული წრის სპექტაკლებში, კარგი ხმის წყალობით პარალელურად, ხალხური სიმღერების გუნდის სოლისტია, ხოლო მოგვიანებით იწვევენ ოპერეტის დასში.

1918 წელს შევიდა ვ. როდნოვის საოპერო სტუდიაში, შემდეგ თბილისის კონსერვატორიის სტუდენტია, რომელიც დამთავრა 1924 წელს; სწავლის პერიოდშივე მონაწილეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლებში, რომლის სოლისტი იყო 1941 წლამდე. იგი გამოირჩეოდა თვითმყობადი ნიჭით, ძლიერი ხმით და სასიამოვნო ტემბრით. თავისი სახელოვანი ძმის სანდრო ინაშვილის მსგავსად, გ. ვენაძეს როგორც მომღერალსა და მოქალაქეს ახასიათებდა ზომიერების გრძნობა და პროფესიული პასუხისმგებლობა. მას შესრულებული აქვს თბილისის საოპერო სცენაზე ბარიტონის ყველა წამყვანი პარტია: მურმანი, კიაზო („აბესალომ და ეთერი", „დაისი"), აბდულ არაბი („თქმულება შოთა რუს-

თაველზე"), გოჩა („დარეჯან ცბიერი"), ონეგინი („ევგენი ონეგინი"), ელეცკი („პიკის ქალი"), ჟერმონი („ტრავიატა") და სხვ. ომის წლებში გრიგოლ ვენაძე ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ფილარმონიას. რთული პირობების მიუხედავად აქტიურად უძღვებოდა, საშეფო მუშაობას სამხედრო ნაწილებში.

1953 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორი. მისი ინიციატივით შეიქმნა ქართული საცირკო კოლექტივი, რომელიც წარმატებით გამოდიოდა ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით.

ვეფხვაძე ივანე ალექსის ძე. 25. I. 1888, თბილისი — 13. I. 1971, თბილისი.

ფერმწერი, საქართველოს სახალხო მხატვარი. დაამთავრა საქალაქო სასწავლებელი და ხელი მოჰკიდა მხატვრობას. აკადემიური განათლება გვიან მიიღო. გიგო გაბაშვილის დახმარების 1927 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. შემოქმედების დაწყებით პერიოდში გატაცებული იყო ძველი თბილისის პეიზაჟებით, რომელშიც აშკარად იგრძნობოდა ნატურალიზმის ნიშნები.

ივანე ვეფხვაძის პირველი ნამუშევრები გამოჩნდა „ქართველ მხატვართა საზოგადოების" მიერ მოწყობილ გამოფენაზე. აქედან მოყოლებული იგი რესპუბლიკური გამოფენების მუდმივი მონაწილეა. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენში პორტრეტული და ისტორიულ-რევოლუციური ჟანრის განვითარებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია „გენერალ-პოლკოვნიკი კ. ლესელიძე", „სვანეთის მთებში" „სამგორის მშენებლობაზე" და სხვ. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ვირსალაძე სიმონ (სოლიკო) ბაგრატის ძე. 13. I. 1909, თბილისი — 7. II. 1989, თბილისი.

მხატვარი, სცენოგრაფი. სსრ კავშირისა სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. მხატვრობის ნიჭი ბავშვობიდანვე დაჰყვა პირველი სერიოზული გაკვეთილები მ. თოიძის სტუდიაში მიიღო. შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა. მალე რუსეთში გაემგზავრა და 1931 წელს დაამთავრა ლენინგრადის სამხატვრო-დეკორატიული ფაკულტეტი. მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული მუშაობას იწყებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარ მხატვრად, სადაც წარმატებით გააფორმა რამდენიმე სპექტაკლი.

1937 წელს ს. ვირსალაძე მიიწვიეს ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში მთავარ შხატვრად. აქ მან დაყო 1962 წლამდე (რამდენიმე წლის გამოკლებით) და შემდეგ კვლავ თბილისში მოღვაწეობს.

ნაყოფიერია, ს. ვირსალაძის ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებულია ამ ორ ქალაქთან, მაგრამ ფაქტიურად მისი ძსპარეზი გაცილებით ფართოა: იგი მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების თეატრების, სსრ კავშირის დიდი თეატრის, პარიზის, ლონდონის, სტოკჰოლმისა და სხვა სახელგანთქმული თეატრების სპექტაკლების გაფორმებაში.

თითქმის 60 წლის შემოქმედებითი ძიებით გამოჩენილმა ხელოვანმა უდიდესი ღვაწლი დასდო საოპერო და საბალეტო ხელოვნების განვითარებას. ოპერის ფონდშია შესული მის მიერ სხვადასხვა თეატრის სცენებზე დიდი გემოვნებით გაფორმებული სპექტაკლები: „დაისი", „აბესალომ და ეთერი", „მთების გული", „ლაურენსია", „ოტელო", „მაკნატუნა", „ქვის ყვავილი", „გედის ტბა", „ლეგენდა სიყვარულზე", „სპარტაკი", „დონ ქიხოტი", „დონ ჟუანი", „ანგარა" და სრაული სხვა.

ს. ვირსალაძის ხელოვნება გამოირჩეოდა კლასიკური ტრადიციების ერთგულებით და ამავე დროს ფორმის ნოვატორული ძიებით. მის ნამუშევრებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფერს, რომელიც ორგანულად ერწყმის სპექტაკლის იდეურ აზრსა და მუსიკის ემოციურობას. საერთოდ ს. ვირსალაძემ მთელი შემოქმედებითი ეტაპი შექმნა თეატრალურ-დეკორატიულ ხელოვნებაში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ს. ვირსალაძის ესკიზების მიხედვით დამზადებული კოსტუმები საქართველოს ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლისათვის. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ამ დამსახურებული კოლექტივის კონცერტი და მისი ტრიუმფის ბიწმე გამხდარა, დაგვეთანხმება რომ ამ დიდ წარმატებებში ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი გამოჩენილი მხატვრის უბადო ხელოვნებაცაა. საღაც ოპტიმალურადაა გაღაწყვეტილი წარსულსა და დღეანდელობას შორის უწყვეტი კავშირი, პარმონიულად არის შეხამებული ერთის მხრივ ეროვნულსაუკუნოვანი ქართული ტრადიციებისათვის დამახასიათებელი სულისკვეთება და მეორე მხრივ, ის თავისებურებანი, რომელიც ახასიათებს თანამედროვეობას. გამოჩენილი ხელოვანი დაჯილდოვებული იყო ორი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორ ორდენით და მედლებით.

ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე სპირიდონ სიმონის ძე. 17. III. 1868, სოფელი ნახშირლელე, თერჯოლის რაიონი — 30. III. 1930, თბილისი.

მეცნიერული თერაპიისა და ტროპიკული მედიცინის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, პროფესორი. 1882 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ პროგრესულად განწყობილ ახალგაზრდობის წრეებში მონაწილეობისათვის დაითხოვეს. იძულებული გახდა წასულიყო კიევში და იქ დაემთავრებინა სემინარია. შემდეგ სწავლა განაგრძო ტომსკის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1896 წელს და დაღესტანში გაგზავნეს. 1898—1909 წლებში მუშაობდა პეტერბურგში ი. პაველოვის, ა. ნეჩაევისა და ვლ. ბეხტერევის ხელმძღვანელობით. აქ გამოქვეყნდა მისი პირველი ნაშრომები. 1909 წლის 19 დეკემბერს სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. იმავე წელს დაბრუნდა თბილისში სადაც დაინიშნა საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ, და თერაპიული განყოფილების გამგედ.

1919 წელს სპ. ვირსალაძე აირჩიეს თბილისის უნივერსიტეტის კერძო პათოლოგიის და თერაპიის კადეთრის გამგედ და პროფესორად, ხოლო 1921 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა ჰოსპიტალური თერაპიის კათედრას. 1919 წელს სპირიდონ ვირსალაძე შ. მიქელაძესთან ერთად პირველი ქართული სამედიცინო ჟურნალის „ექიმის", 1924 წლიდან კი „ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის ბიულეტინის" რედაქტორია.

ღვაწლმოსილმა ექიმმა დაგვიტოვა ქართულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე გამოქვეყნებული 70-მდე მეცნიერული ნაშრომი. ეს ცხადყოფს თუ რამდენად ფართო იყო მისი კონტაქტები საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებთან. სპირიდონ ვირსალაძის სახელს ატარებს პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ე ო ზ დ ე ი ე ე ნ ს კ ა ი ა — ხ ა რ ა ძ ე ელისაბედ ერმის ასული. 22. X. 1895, ასტრახანი — 13. II. 1989, თბილისი.

მათემატიკოს არჩილ ხარაძის მეუღლე. 1917 წელს დაამთავრა მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტი, 1929 წელს ცოლად გაჰყვა ცნობილ მეცნიერს არჩილ ხარაძეს. 1935—1955 წწ. მუშაობდა თბილისში საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს მეოთხე მთავარ სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკაში, ნერვიული განყოფილების გამგედ. გამოქვეყნებული აქვს საინტერესო მოგონებები.

ზ ა ა ლ ი შ ვ ი ლ ი მიხეილ ყარამანის ძე. 10. IX. 1865, სოფელი იგოეთი, კასპის რაიონი — 10. IX. 1920, თბილისი.

პედაგოგი. 1885 წელს დაამთავრა ბაქოს რეალური სასწავლებელი, დაბრუნდა თბილისში და სწავლა განაგრძო სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელიც 1887 წელს ოქროს შედლით დაასრულა. ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა თვითგანათლებას დაეწაფა. პარალელურად სწავლობდა ახალალექსანდრესეულ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომლის დასრულების შემდეგ დაინიშნა წინამძღვრიანთკარის საოფლო სამეურნეო სკოლის გამგედ. მაგრამ მისი დაუდეგარი ბუნება ამასაც არ დასჯერდა — შევიდა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში (ახლანდელი ტიმირიაზევის სახელობის), რომელიც 1897 წელს პირველი ზარისხის აგრონომის დიპლომით დაამთავრა. შემდეგ დაინიშნა ერევნის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებლად. აქ მან საჩვენებელ ნაკვეთებზე გააშენა ხილის ბაღები და სქნერგეები.

1903 წელს მ. ზაალიშვილი მოიწვიეს გორის სამასწავლებლო სემინარიაში. გამოცდილმა და დიდად განათლებულმა სპეციალისტმა აქაც განაგრძო თავისი შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობა. მისი ინიციატივით გორის ვაჟთა პროგიმნაზია გადაკეთდა გიმნაზიად, რომლის დირექტორიც იყო იგი ერთ ხანს, ხოლო 1913 წელს ღვაწლმოსილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე დანიშნეს თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში ასევე დირექტორად. უანგარო დაუცხრომელი მოღვაწე, თავისუფალ დროსაც კი საზოგადოებრივ საქმიანობას ანმარეებდა. აღსანიშნავია მისი წვლილი მოსკოვის ქართულ სათვისტომოში: დიდი ენერგია შეალია მან ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების გამოცემას. იგი მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომების ავტორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შედგენილი და გამოცემული სახელმძღვანელები: „საზოგადოებრივი ზოოტექნიკა ანუ საქონლის მოვლე-მოშენება“, „საზოგადოებრივი მიწათმოქმედება“, „მეფუტკრეობა, მოშენება და მოვლა ფუტკრისა“, „არაორგანული ბუნება“, „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია“, „ზოოლოგია“ (სამივე 1918 წელს გამოიცა), „პირველდაწყებითი გეოგრაფია“, „არითმეტიკა“ და სხვ.

ზ ა ა ლ ი შ ვ ი ლ ი ნინო მიხეილის ასული. 14. I. 1903, სტავროპოლი — 13. XI. 1971, თბილისი.

მხატვარი. დაიბადა ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ოჯახში. დაამთავრა სტავროპოლის ქალთა გიმნაზია და მუშაობა დაიწყო პედაგოგად. მოგვიანებით სწავლა განაგრძო სკოლამდელი აღზრდის ინსტიტუტში.

1925 წელს ნ. ზაალიშვილი შევიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე, რომელიც 1930 წელს დაამთავრა. 1937 წლიდან თბილისის სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა ხატვას და კითხულობდა ლექციებს პლასტიკურ ანატომიაში. 1931 წლიდან სისტემატურად მონაწილეობდა თითქმის ყველა გამოფენაზე, მათ შორის არაერთხელ საკავშიროზეც. მხატვრის მიერ შესრულებულმა პორტრეტებმა და პეიზაჟებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ხელოვნების განვითარების საქმეში.

ზ ა მ ბ ა ხ ი ძ ე ვლადიმერ ნიკიფორეს ძე. 29. X. 1902, ქ. ფოთი — 17. VI. 1974, თბილისი.

მწერალი, კრიტიკოსი, მეცნიერი. ჭაბუკობიდანვე ჩაება შრომით საქმიანობაში. 1923 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის" რედაქციაში. მისმა მეცნიერულმა და შემოქმედებითმა ინტერესებმა, იგი აქცია ქართული პედაგოგიური აზროვნებისა და XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარად. 1963 წლიდან ვლ. ზამბახიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის პროფესორია. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია „ილია ნაკაშიძე", „ლიტერატურული წერილები", „დიდი სამოციანელი", „ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიური იდეები". საერთოდ მან განსაკუთრებული ამაგი დასდო ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისა და შემოქმედების კვლევას. იგი იყო მის თხზულებათა მრავალტომეულის რედაქტორიც.

ვლადიმერ ზამბახიძის ნაშრომები, კრიტიკული წერილები და ლიტერატურული გამოკვლევები გამოირჩევიან საკვლევი საგნის ღრმა ცოდნით, ფილოსოფიური განზოგადოების ძალითა და პრინციპულობით. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

ზ ა ნ ი დ უ კ ე ლ ი მიხეილ ზურაბის ძე. 14. X. 1889, სოფელი არანისი, დუშეთის რაიონი — 2. IV. 1968, თბილისი.

პედაგოგი, მეცნიერი, პროფესორი. 1909 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია და ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1913 წელს უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდა იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, რომელსაც მთელი შეგნებული ცხოვრება მოახმარა. მას დიდი წვლილი მიუძღვის სწავლების მეთოდიკის დახვეწაში, სასწავლო პროგრამებისა და სწავლების პროცესების გარდაქმნაში.

1921—1929 წწ. ვ. ზანდუკელი იყო თბილისის პირველი საც-

დელ-საჩვენებელი შრომის სკოლის გამგე და ამავე დროს, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი. ეს სასწავლებელი მ. ზანდუკელმა ახალი სკოლის თავისებურ შემოქმედებით ლაბორატორიად გადააქცია. აქ შემუშავებული სწავლების ახალი მეთოდები ფართოდ ინერგებოდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარედაც, მაგალითად სომხეთსა და აზერბაიჯანში.

1925 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მ. ზანდუკელი კითხულობდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს და ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თელავისა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. იგი სხვადასხვა დროს განაგებდა ახალი ქართული ლიტერატურის კათედრას, იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

მიხეილ ზანდუკელს არ დაჰკლებია თავისი თაობის ადამიანთა სიძნელეები — „საზოგადოებრივი“ გაკიცხვა, პატიმრობა თუ უსაფუძვლო „მითითებები“; მაგრამ იგი შესაშური მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობით და რუდუნებით აკეთებდა თავის საქმეს. თაობებისათვის სამაგიდო წიგნად იქცა მ. ზანდუკელის სამტომეული, რომელშიც საფუძვლიანადაა გაანალიზებული გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების საკითხები. ფუნდამენტური შრომები უძღვნა ავტორმა ვაჟა-ფშაველას, ილიას, შ. არაგვისპირელს, თერგდალეულთა შემოქმედებას, რისთვისაც მას ჩვენი ხალხის სახელოვან მოქალაქეს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სამპატიო წოდება მიენიჭა.

ზ ე დ გ ი ნ ი ძ ე ელიზბარ კონსტანტინეს ძე. 10. XI. 1903, თბილისი — 9. X. 1983, თბილისი.

მწერალი, პროზაიკოსი. სწავლობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში, მუშფაკში, უნივერსიტეტში. სრულიად ახალგაზრდამ, დაბეჭდა პირველი ნაწარმოებები რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში და აქედან მოყოლებული იგი თავის მოთხრობებით, ნარკვევებით, თარგმანებით. პუბლიცისტური წერილებით, რომანებით ფართო გზას იკვლევს მკითხველებისაკენ. მწერლის გამჭრიახი თვალი სწვდებოდა მთელ საქართველოს — მის მთასა თუ ბარს. მაგრამ ელიზბარ ზედგინიძე, როგორც ძირძველი თბილისელი, განსაკუთრებით ძველი თბილისის მომღერალია. ეს თემა მის შემოქმედებაში კოლორიტულად და საფუძვლიანადაა დამუშავებული. ქართველმა მკითხველმა კარგად მიიღო ელიზბარ ზედგინიძის მოთხრობების კრებული, რომანები „ილვიძებენ მთები“, „გაზაფხული და-

იწყო ადრე", „უბატონო ქვეყანა", „მიხა ჩხეტიანი" და ბევრი სხვა.

მწერალს დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ჟურნალისტიკის წინაშე — იყო გაზეთ „ნორჩი პიონერის", რედაქტორი, გაზეთ „კომუნისტის", საქდესის კორესპოდენტი, სხვადასხვა ჟურნალის ლიტერატურული შუშაკი.

ელიზბარ ზედგინიძე მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი დირექტორია. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, სომხურ, უზბეკურ, ლიტვურ ენებზე. დაჯილდოვებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

ზ დ ა ნ ე ვ ი ჩ ი კირილე შიხეილის ძე. 16. XI. 1892, ქუთაისი — 17. II. 1967, თბილისი.

მხატვარი — ფერმწერი და გრაფიკოსი, ხელოვნების ცნობილი მკვლევარი. მამამისი პოლონელი ემიგრანტი, ქუთაისში ასწავლიდა ფრანგულს, შემდეგ იყო გიმნაზიის დირექტორი. ცოლად შეირთო ვალენტინა გამრეკლიძე და მალე ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა.

კ. ზდანევიჩი ხატვას ეუფლებოდა თბილისში, მოსკოვში. პეტერბურგში დაამთავრა სამხატვრო აკადემია. მისი სურათების პირველი გამოფენა 1913 წელს პარიზში მოეწყო, მეორე გამოფენა 1919 წელს თბილისში. ქმნიდა სურათებს ძველი თბილისის თემებზე, პორტრეტებს, ყანრულ სცენებს. განსაკუთრებული ინტერესით გადმოსცემდა ქართველი ხალხის ცხოვრების ამსახველ სურათებს. გატაცებული იყო სცენოგრაფიით, რამაც 1923 წელს მიიყვანა რუსთაველის თეატრში კოტე მარჯანიშვილთან. 1928 წელს მიიწვიეს მოსკოვის მ. ფორეგერის თეატრში, სადაც ორი წელი დაჰყო. შემდეგ სხვადასხვა გამომცემლობაში მუშაობდა.

მოსკოვში ცხოვრების პერიოდში კ. ზდანევიჩს არ გაუწყვეტია შემოქმედებითი კავშირი საქართველოსთან. მონაწილეობდა ყველა რესპუბლიკურ გამოფენაში, აფორმებდა ქართველი მწერლების წიგნებს და სხვა. როგორც მხატვარმა, დიდი და შემოქმედებითი წინააღმდეგობებითა და ძიებებით ალსავსე გზა გაქვლო. წლებმა კიდევ უფრო დახვეწა და გააძლავალფეროვნა მისი შემოქმედება.

ცალკე უნდა აღინიშნოს კ. ზდანევიჩის ლიტერატურულ-მხატვრული მოღვაწეობა. მას აქვს შესანიშნავად, საქმის ცოდნით დაწერილი სტატიები დ. კაკაბაძეზე, ლ. გუდიაშვილზე, ჯოტო გრიგორიანზე, საქართველოში მოღვაწე პოლონელ მხატვარ ზიგა ვალიშევსკიზე და სხვ.

მაგრამ ეს როდია საკმარისი მისი სრული პორტრეტისათვის.

მან და მისმა ძმამ ილიამ ფასდაუდებელი ლეკწლი დასდეს ნიკო ფიროსმანის შემოქმედების წარმოჩენას. ...1912 წლის ზაფხულის ერთ საღამოს ძმები ზდანევიჩები და ფრანგი მხატვარი მიშელ ლედანტიუ ქალაქში სეირნობისას შეჩერდნენ დუქან „ვარიაგთან". ანაზდეულად მათი ყურადღება მიიქცია ფირნიშმა, სადაც გამოხატული იყო ზღვაში მცურავი კრეისერი 'ბოლის შლეიფითა და ანძებზე მოფრიალე დროშებით. ისინი უნებლიედ შევიდნენ დუქანში და გაოგნებულები დარჩნენ — ფართო დარბაზის კედლებზე ეკიდა სურათები, რომელთა მსგავსი არც ერთს არ ენახა.

ახალგაზრდა სამეულმა გადაწყვიტა მოეძებნათ სურათების ავტორი და კითხვაკითხვით მიაკვლიეს კიდეც მას, მოლოკნების ქუჩაზე ერთ დუქანში, სადაც ფიროსმანი თავის მორიგ შეკვეთაზე მუშაობდა. აქედან მოყოლებული, ძმებმა ზდანევიჩებმა მიზნად დაისახეს შეეგროვებინათ ამ უბადლო მხატვრის ნამუშევრები. განსაკუთრებით გამოიდო თავი კირილემ, რომელმაც ფეხით შემოიარა საქართველოს მრავალი კუთხე, შორეული სოფლები სადაც კი ეგულებოდა ნიკალას სურათები და გადაგვირჩინა ეს ჭეშმარიტად ეროვნული განძი. ასე მოაგროვა მან ასამდე ნამუშევარი და გადასცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. იგი ამასაც ვრ დასჯერდა და მოამზადა ვრცელი მონოგრაფიები ნ. ფიროსმანაშვილზე, რომლებიც გამოიცა თბილისსა და მოსკოვში.

სიცოცხლის ბოლო წლები მან მშობლიურ თბილისში გაატარა.

ზ უ მ ბ უ ლ ი ძ ე — კ ა კ ა ბ ა ძ ე შარიან ნიკოლოზის ასული. 6.IXI. 1893, გურჯაანი — 7. IX. 1984, თბილისი.

პროფესორ სარგის კაკაბაძის მეუღლე. დამთავრა ქალთა გიმნაზია თბილისში. შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც პროფესორ ე. შულგინას ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ვოკალს, მაგრამ ოჯახური პირობების გამო თავი დაანება სწავლას.

ზ უ რ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ავლიპი დავითის ძე. 2. II. 1902, სოფელი ბოდბისხევი, სიღნაღის რაიონი — 3. VIII. 1994, თბილისი.

ფსიქიატრი და ნეიროპსიქიატრი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა მღვდლის ოჯახში. 1927 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1927—1931 წ. წ. მუშაობდა ფსიქიატრიის კლინიკაში მ. ასათიანის ხელმძღვანელობით, 1931—1938 წ. წ. მოღვაწეობდა ლენინგრადის ბეხტერევის სახელობის ფსიქონევროლოგიის ინსტი-

ტუტში, გამოჩენილი მეცნიერის პაველობისა და ოსიპოვის ხელმძღვანელობით, სადაც დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. 1938 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაინიშნა ქ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად და აირჩიეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრის ხელმძღვანელად, სადაც მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე. 1938—1966 წ. წ. იყო ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მორფოლოგიის განყოფილების გამგე.

აკადემიკოს ზურაბაშვილის გამოკვლევები ძირითადად ეხება კლინიკური ფსიქიატრიისა და ნეირომორფოლოგიის საკითხებს. იგი სამართლიანად ითვლება თავის ტვინის კვლევის ევოლუციური მიმართულების ფუძემდებლად. მისმა ფუნდამენტალურმა ნაშრომებმა საერთაშორისო აღიარება მოუტანა მეცნიერს. მან ახლებურად გააშუქა სინაფსების არქიტექტონიკა, შეისწავლა ადამიანის თავის ტვინის ქერქის შუბლის წილის მორფოლოგიური განვითარების კანონზომიერებანი, შექმნა ასოციაციური ექსპერიმენტის ორიგინალური მეთოდი, განავითარა დებულებანი ფსიქონევროლოგიაში პერსონოლოგიური კვლევის მნიშვნელობის შესახებ. გამოქვეყნებული აქვს 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 22 მონოგრაფია ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ, და სხვა ენებზე. იგი სამართლიანად ითვლება ქართული ფსიქიატრიული სკოლის ფუძემდებლად. მის მიერ აღზრდილია 80-ზე მეტი კანდიდატი და 40-ზე მეტი დოქტორი. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი აირჩეული იყო ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და ბულგარეთის აკადემიების საპატიო წევრად. ის იყო დიდი ბრიტანეთისა და შვედეთის სამეფო სამედიცინო საზოგადოებების საპატიო წევრი, ფინეთის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო საზოგადოებებისა და მრავალი სამეცნიერო ასოციაციის წევრი. 1955 წელს სინაფსოარქიტექტონიკაში გამოკვლევისათვის მიენიჭა ი. თარხნიშვილის პრემია, ხოლო 1963 წელს ფსიქიატრიის თეორიული პრობლემების დამუშავებისათვის ვ. ბეხტერევის პრემია.

აკადემიკოს ზურაბაშვილმა ფსიქიატრიის დარგში ფუნდამენტურ მეცნიერულ გამოკვლევებთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების პერსონოლოგიური ანალიზის შესწავლის საქმეში. მან გამოიკვლია შ. რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, შექსპირის, გოეთეს, დოსტოევსკისა და სხვა მწერალთა ლიტერატურული გმირების პიროვნული და პერსონოლოგიური თავისებურებების ზოგადსაკაცობრიო მორალური თვისებები.

ილიას ზურაბაშვილი მრავალი წლის მანძილზე აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა, სამართლიანად დაიმსახურა ქართველი ხალხის ჭეშმარიტი აღიარება და სიყვარული. წლების მანძილზე იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. დაჯილდოვებული იყო მთავრობის ორდენებით და მედლებით.

ზ ურ ა ბ ი შ ვ ი ლ ი ილია ელეფთერის ძე. 18. III. 1872, ყვარელი — 29. III. 1955, თბილისი.

მწერალი და პუბლიცისტი. ყვარელში დაამთავრა ორკლასიანი სკოლა და უსახსრობის გამო სწავლა აღარ გაუგრძელებია. მიუხედავად ამისა დიდი შრომითა და გარჯით შეძლო მიეღო სოლიდური თვითგანათლება. განსაკუთრებით კარგად იცნობდა ქართული და მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურას. კალამი ადრე სცადა. უკვე ოცდაორი წლის ჭაბუკს გიორგი წერეთელმა გაზეთ „ცვალში" დაუბეჭდა პირველი მოთხრობა „სამშობლოს მსხვერპლი". მალე მისი ნაწარმოებები ილია ჭავჭავაძის „ივერიამაც" გამოაქვეყნა. შემდეგ იქვე დაიბეჭდა მისი თეატრალური რეცენზიები.

ილია ზურაბიშვილი ცნობილია როგორც თეატრის შესანიშნავი კრიტიკოსი და მუსიკათმცოდნე. ამ საკითხებზე რეცენზიების გარდა აქვს ნარკვევები ჩვენი თეატრის კორიფეებზე, წერილები საოპერო თუ სიმფონიურ მუსიკაზე. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „ხალხის მოქმედი გენია" (ხალხურ შემოქმედებაზე), ივანე ფალიაშვილის და ვანო სარაჯიშვილის ლიტერატურული პორტრეტები და მონოგრაფია „ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი". ი. ზურაბაშვილმა დაგვიტოვა საინტერესო მოგონებები თავისი დროის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებზე როგორიცაა ილია, აკაკი და სხვა. იგი იყო ქართული ენის მოჭირნახულე. როგორც ამ დარგის შესანიშნავი სპეციალისტი წლების განმავლობაში მუშაობდა რადო-კომიტეტში მთარგმნელად და ფხიზელ დარაჯად ედგა ეთერში გაფრენილ ყოველ ქართულ სიტყვას. ი. ზურაბიშვილს ხშირად იწვევდნენ სატერმინოლოგიურ კომისიებში. მის მიერ შემოღებული მრავალი ტერმინი სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენს ენაში.

ზ ურ მ უ ხ ტ ა შ ვ ი ლ ი — კ ა ნ დ ე ლ ა კ ი მელიტა გიორგის ასული. 9. V. 1905, თბილისი — 12. VIII. 1991, თბილისი.

პროფესორ ბიძინა კანდელაკის მეუღლე. დაამთავრა თბილი-

სის ქალთა გიმნაზია. 1920—1925 წლებში სწავლობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრისა და ქართულ ტრამატულ სტუდიებში ცნობილ პედაგოგებთან ვახტანგ მჭედლიშვილთან და ქსენია კოტლუბაისთან. ამ დროს მოსკოვში სწავლობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართული და რუსული ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები: შალვა დადიანი, ვრ. სულიაშვილი, ალ. მიქელაძე, მ. ქორელი, ს. ობრაზცოვი და სხვები, რომლებიც დიდად აფასებდნენ ახალგაზრდა ქართველ ქალიშვილში ნიჭიერებასა და გულისხმიერებას. სტუდიის დამთავრების შემდეგ იგი მიიწვია ჭუთაისში კოტე მარჯანიშვილმა, რომელიც ამ დროს თეატრის ხელმძღვანელი იყო. 4 წლის შანძილზე გერმანიაში ცხოვრობდა მეუღლესთან, ჭიმიკოს ბიძინა კანდელაკთან ერთად, რომელიც იქ პეტრე მელიქიშვილის რეკომენდაციით იყო სამუშაოდ მიწვეული. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაამთავრა თბილისის უცხო ენათა უმაღლესი კურსები გერმანული ენის სპეციალობით. მაგრამ, საბუნებაროდ ალარ უმუშავია, მთელი შეგნებული ცხოვრება საკუთარი ოჯახის ბედნიერებას მოახმარა.

თაბუკაშვილი რევაზ შალვას ძე. 2. VII. 1927, თბილისი — 3. VIII. 1990, თბილისი.

მწერალი, კინორეჟისორი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა ცნობილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის შალვა თაბუკაშვილის ოჯახში. წარჩინებით დაამთავრა თბილისის მეშვიდე საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში რომელიც 1949 წელს დაასრულა. ნიჭიერი, განათლებული და გარეგნობით მეტად მომხიბლავი კაცისათვის ისახებოდა მაცდუნებელი გზა მაგრამ იგი დაბრუნდა სამშობლოში და თავისი ცოდნა და მთელი შეგნებული სიცოცხლე ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახურს დაუქვემდებარა.

რ. თაბუკაშვილმა, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ, მიიქცია ჩვენი საზოგადოების ყურადღება, როგორც პოეტმა და მთარგმნელმა. მალე ახალგაზრდა ავტორის პიესებიც იხილა ქართველმა მაყურებელმა: „რაიკომის მდივანი", „რას იტყვის ხალხი", მოგვიანებით „დენბურგის ზარი", „დაბადება" და სხვ. რ. თაბუკაშვილის სცენარებით გადაღებულ იქნა მხატვრული კინოფილმები: „წარსული ზაფხული", „ჯვარცმული კუნძული", „მზე შემოდგომისა" და სხვ. მასვე ეკუთვნის ლიბრეტოები ოპერეტისათვის „მინდია" და „ქაჯანა".

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სტუდენტობის წლებში თარგმნილი შექსპირის სონეტები. სახელოვანმა მამულიშვილმა ახლებურად ააღერა გენიოსის შემოქმედება მშობლიურ ენაზე და კიდევ უფრო გაამდიდრა ქართული შექსპირიანა.

შეტად ნაყოფიერი გამოდგა რ. თაბუკაშვილისათვის სიცოცხლის ბოლო 10—12 წელი, როდესაც იგი მთელი არსებით გატაცებული იყო საავტორო დოკუმენტური ფილმებით. 1980 წელს ეკრანებზე გამოვიდა მისი პირველი კინოდილოგია სერიიდან — „ქართველები იტალიაში" („კეთილი ნათელი" და „ალპური ვარსკვლავი"). ამას მოჰყვა „მიხეილ ხერგიანი", „პირველად იყო სიტყვა", „ფურცლები ფრანგული დღიურიდან", „საქართველოს მეფურჭელეთუხუცესი" და ისევ დილოგია „ნაძარცვის კვალეკვალ" და „შორიელთა სიახლოვე". ამ ფილმების გადაღებამ იგი ამოგზაურა იტალიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, შორეული არგენტინისა თუ ინდოეთის ზღვებზე და ყველგან ერთი ხატი მიუძღოდა — საქართველო, მისი კულტურა, მისი არდასაკარგი შვილების კვალი. ასეთი გზებით მიაგნო მწერალმა ცნობილი ქართველი მოღვაწის მიხეილ თამარაშვილის მრავალი ათწლეულის წინადაკარგულ საფლავს და კიდევ ერთი შვილი დაუბრუნდა სამშობლოს. სიმბოლურია, რომ თბილისი უკანასკნელი სასუფეველიც ბატონმა რეზომ ამ დიდებული ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის გვერდით დაიდო.

სამწუხაროდ რ. თაბუკაშვილმა ვერ მოასწრო დაესრულებინა ათი წლის ჩანაფიქრი და ნაოცნებარი კინოტრილოგია რწმენაზე, რომელშიც სამი ფილმი იქნებოდა გაერთიანებული — იგაბრიელ ეპისკოპოსზე, ჭეთევან წამებულსა და გრიგოლ ფერაძეზე; ვერ მოასწრო უშუალოდ წარემართა მის მიერ დაარსებული ეროვნული მადლიერების ინსტიტუტის ცხოვრება, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. მაგრამ ის რაც მან მოასწრო თავისი ხალასი ნიჭით, თავდადებული შრომით, საუკეთესო მაგალითია ჩვენი მომავალი თაობებისათვის.

თ ა ბ უ კ ა შ ვ ი ლ ი შალვა ტრიფონის ძე. 28. III. 1893, ხარაგაული — 9. V. 1971, თბილისი.

პედაგოგი, ლიტერატური. სწავლობდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1916 წელს და დაბრუნდა სამშობლოში. მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა სკოლებში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 20-ან წლებში მამასთან ერთად, რომელიც აგრეთვე ცნობილი პედაგოგი იყო, ხელი მოჰკიდა სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატუ-

რის შედგენა-გამოშვებას. შ. თაბუკაშვილის კალამს ეკუთვნის (ნაწილი თანაავტორებთან ერთად) ისეთი თეორიულ-პედაგოგიურ-მხატვრული ხასიათის წიგნები, როგორებიცაა „განთიადი“, „წითელი კანდელი“, „შნაითობი“, „ახალი სოფელი“, „პუნქტუაცია“, „საბჭოთა რესპუბლიკების ლიტერატურა“ და სხვ. აღსანიშნავია თანაავტორობით გამოქვეყნებული 3—7 კლასების „შრომლიური ლიტერატურა“. იგი 114 ნაშრომის ავტორია. ამჟამთანავე სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, აქვეყნებდა საყმაწვილო მოთხრობებს, ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას, მუშაობდა გამომცემლობებში: „სახელგამსა“ და „საბლიტგამში“ მთავარ რედაქტორად, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ რედაქციის გამგედ.

თ ა ვ ა ძ ე აგრაფინა. 1894—1973 თბილისი.
მწერალ სოლომონ თავაძის მეუღლე.

თ ა ვ ა ძ ე აკაკი სოლომონის ძე. 1918—1920, თბილისი.
მწერალ სოლომონ თავაძის ვაჟიშვილი.

თ ა ვ ა ძ ე სოლომონ ეგნატეს ძე. 19. VI. 1890, სოფელი ჩოჩხათი, ლანჩხუთის რაიონი — 28. V. 1960, თბილისი.

მწერალი. დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში. გაჭირვებამ საშუალება არ მისცა ესწავლა სკოლაში, ბავშვობიდანვე დაიწყო მუშაობა — ჯერ ჩაის მკრეფავად ჩაქვში, შემდეგ ჩაის ფაბრიკაში. აქტიურად ჩაება 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც დაპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. მაგრამ გადასახლებიდან გამოიქცა და ერთ ხანს ბაქოში იმალებოდა. 1910 წელს კვლავ დაპატიმრეს და ციხეში 1917 წლის თებერვლამდე ამყოფეს.

ს. თავაძემ პატიმრობაში დაიწყო წერა. მისი პირველი ლექსი „მუშა“ 1912 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „თემში“. ამის შემდეგ მწერლის ლექსები და მოთხრობები სისტემატურად იბეჭდებოდა „ობოლი მუშის“ ფსევდონიმით.

1918 წელს გამოქვეყნდა ს. თავაძის პირველი წიგნი, „მომავალი“, რომელშიც შევიდა საპატიმროში დაწერილი ლექსების და პოემების კრებული. მალე ამას მოჰყვა მოთხრობების წიგნი „საპატიმროს დღიურიდან“. მას ეკუთვნის ლექსებისა და პოემების კრებულები „შორი ნათელი“, „მზია ლაური“, „კავკასიონი“, ქართველ რევოლუციონერთა ამსახველი რომანი „გზა მეწამული“, სამამულო ომისადმი მიძღვნილი ტრილოგია „მაისის განთიადი“ და სხვა ბრალი. ს. თავაძე ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშა-

ობას: ქართულად აამეტყველა ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი“, ი. ტურგენევის „რუდინი“, ა. გერცენის „ნამყო და ნაფიქრები“ და სხვ.

თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი გიორგი იასონის ძე: 24. III. 1902, სოფელი ბაზალეთი, ხარაგაულის რაიონი — 5. X. 1963, თბილისი.

პედაგოგი, მეცნიერი, პროფესორი. 1922 წელს დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია და ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, მაგრამ მალე გადავიდა მოსკოვის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ იქვე დარჩა და მუშაობდა დოცენტად. ამასთანავე ეწეოდა ფრიად ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას. ქართული მწერლობისა და თეატრის საკითხებზე ბეჭდავდა სტატიებს რუსულ და ევროპულ ენებზეც.

1930 წელს გ. თავზიშვილს ნიშნავენ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად სასწავლო ნაწილში, 1933—1938 წწ. სათავეში უდგას პედაგოგიკის კვლევით ინსტიტუტს, ხოლო 1938 — 1958 წწ. თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის გამგეა.

გ. თავზიშვილი იყო ჩვენში პედაგოგიკური მეცნიერების ერთ-ერთი მესვეურთაგანი. მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად ეკავა ადმინისტრაციული თანამდებობები, მეცნიერის ზრუნვისა და ფიქრის უპირველეს საგანს ახალგაზრდა თაობის აღზრდის საკითხების სრულყოფა და სწავლების მეთოდების დახვეწა წარმოადგენდა. მან 70-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი მიუძღვნა პედაგოგიკის თეორიასა და ისტორიის საკითხებს. ამავე დროს იყო საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო მკვლევარი, ისტორიკოსი და კრიტიკოსი. მისი დიდი და ბეჯითი შრომის შედეგია ი. გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეული, ილიას რჩეული პედაგოგიური თხზულებები, მონოგრაფიები ი. გოგებაშვილზე, ს. მგალობლიშვილზე, ეკ. გაბაშვილზე, ნ. ნაკაშიძეზე და სხვ.

გ. თავზიშვილს 1961 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მიხეილ, თ ა მ ა რ ა თ ი მიქელ (ერისკაცობაში — ალექსანდრე პეტრეს-ძე) IX. 1858, ახალციხე — 3. X. 1911, სოფელი სანტა-მარინელა, იტალია.

ისტორიკოსი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა ლარიბი გლეხის მრავალშვილიან ოჯახში. შრომითი საქმიანობა ადრე

დაიწყო — ხარაზობა ისწავლა. პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ ახალციხეში მიიღო, მიაბარეს ცნობილ მღვდელსა და საზოგადო მოღვაწეს ივანე გვარამაძეს („ვინმე მესხი") ნათლისმცემლის, ეგრეთწოდებულ „ქვემო ეკლესიის" სამრევლო სკოლაში. აქ ისწავლა წერა-კითხვა და მამულის სიყვარულის პირველი გაკვეთილებიც აქ მიიღო.

1878 წლიდან მ. თამარაშვილი კონსტანტინეპოლში კათოლიკე მოძღვრის პ. ხარისპირაშვილის მიერ დაარსებულ ქართულ სასწავლებელშია, 1881—1883 წლებში კი განათლებას იღრმავებს ესპანეთში სასულიერო სემინარიაში. შემდეგ პარიზს მიემგზავრება და ამთავრებს წმინდა ლაზარეს დიდ სასულიერო სასწავლებელს. აქ მ. თამარაშვილი ინტენსიურად მუშაობდა ადგილობრივ წიგნთსაცავებში არქივებსა და მუზეუმებში, და ღრმა ცოდნით აღჭურვილი, რამდენიმე ევროპულ ენას დაუფლებული დაბრუნდა თბილისში. მაგრამ ხელისუფლებამ ფრიად განათლებული ინტელიგენტი, ძრასაიმედო პიროვნებად მიიჩნია და აიძულა დაეტოვებინა სამშობლოს ფარგლები, იგი ჩავიდა რომში, სამი წლის შემდეგ, 1894 წელს წარმატებით დაამთავრა სასულიერო აკადემიის სრული კურსი და მოიპოვა ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება.

მ. თამარაშვილმა უდიდესი შრომისა და ძიების ფასად მიაკვლია საქართველოს ისტორიის ამსახველ დოკუმენტებს ვატიკანის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, ალექსანდრიის, მოსკოვისა და ლონდონის არქივებში. ამ მასალების მხოლოდ ნაწილის დამუშავება მოასწრო და გამოსცა რამდენიმე საინტერესო ნაშრომი. მათ შორის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", რომელსაც ი. ჭავჭავაძემ მეორე „ქართლის ცხოვრება" უწოდა.

1910 წელს რომში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა მ. თამარაშვილის ვრცელი ნაშრომი „საქართველოს ეკლესიის ისტორია". წიგნმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. სულ მალე 50-ზე მეტი რეცენზია და წერილი უძღვნეს ევროპის სამეცნიერო წრეებმა და იმ დროის გამოჩენილმა სპეციალისტებმა. ნაშრომი ვატიკანის საგანგებო პრემიით დაჯილდოვდა.

მ. თამარაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ღრმა მეცნიერული კვლევის საფუძველზე ევროპას „აღმოუჩინა" საქართველო, მისი ისტორია და კულტურა. მასვე უნდა ეუმადლოდეთ აღრეთვე სიცილიაში კრისტოფორო დე ლამბერტის საქართველოსადმი მიძღვნილი სურათების მიგნებას.

მეცნიერმა სიცოცხლის თითქმის ორი მესამედი უცხოეთში გაატარა, მაგრამ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე დაუცხრომლად ემსახურა სამშობლოს. სიკვდილიც გამორჩეული

ჰქონდა ამ დიდბუნებოვან ადამიანს — ზღვაში წყალწაღებულს მიეშველა ის გადაარჩინა, თვითონ კი შეეწირა. მ. თამბარაშვილი დაკრძალეს ქ. ჩივიტავეკიას სასაფლაოზე და მხოლოდ 67 წლის შემდეგ ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ რ. თაბუკაშვილმა მიაკვლია მის გაწსასვენებელს და მანვე ჩამოასვენა თბილისში.

1978 წლის 26 ნოემბერს მშობლიურმა მიწამ მიიბარა ღირსეული მამულიშვილი. დიდუბის პანთეონში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, სადაც გამომსვლელთა გამოსათხოვარი სიტყვები დააგვირგვინა — აკაკის ხმამ

ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ.
მკურნალად შემეყარეო...
დედაშვილობას, ბევრს არ გთხოვ
შუნს მიწას მიმაბარეო.

თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი — გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ეკატერინე ალექსის ასული. 16. VI. 1851. გორი, — 7. VIII. 1938. სოფელი ახალქალაქი, კასპის რაიონი.

მწერალი, საზოგადო მოღვაწე. 1869 წელს თბილისში დაამთავრა ფაერის კერძო პანსიონი, სადაც ყურადღება მიიქცია მახვილგონიერებით, მეტადრე ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარულითა და ცოდნით. პანსიონის დამთავრების შემდეგ ცხოვრობდა მამისეულ სოფელ ფლევში, სადაც ყმაწვილი ქალის გონებაში სამუდამოდ აღიბეჭდა სოფლის გაჭირვებული და მშრომელი გლეხკაცის სიღატაკე. ეს ცოცხალი მასალა შემდგომ მწერალმა ოსტატურად შეაზავა მდიდარ ფანტაზიასთან და დაგვიწერა შესანიშნავი მოთხრობები, ბავშვობიდან, რომ მიჰყვება ყველა ქართველს. განსაკუთრებული ერთგულებით ემსახურებოდა ეკატერინე გაბაშვილი საბავშვო ლიტერატურას, ახალგაზრდობას უნერგავდა კეთილ საწყისს, განათლებისაკენ მისწრაფებას სიკეთისა და ცხოვრების სიყვარულს. სწორედ ამ გრძნობებითაა აღსავსე მისი შესანიშნავი მოთხრობები: „მაგდანას ლურჯა“, „ღვინია გადაიჩეხა“, „ჰიაკოკონა ღამეს“, „სოფლის მეგობარი“, „თინას ლეკური“, „სოფლის მასწავლებელი“, „დედის მარჯვენა ხელი“ და სხვ. ამიტომაა, რომ მწერლის საბავშვო მოთხრობები წლების მანძილზე შესულია სასკოლო სახელმძღვანელოებში, როგორც საქრესტომათიო მასალა.

ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემაა ქალის ემანსიპაცია. იგი ილაშქრებდა ქალის პიროვნებისა და უფლებების შეზღუდვის წინააღმდეგ.

1671 წელს ახალგაზრდა მწერალი თბილისშია. ამ დროისათვის მას უკვე დაბეჭდილი ჰქონდა მოთხრობა — ეტიუდი „გლეხკაცის აზრი სასოფლო შკოლაზედ". აქედან მოყოლებული იგი აქტიურად ებმება ქართველი მოწინავე საზოგადოების ყველა წამოწყებაში, ლიტერატურა იქნება ეს, სწავლა-განათლების გავრცელება თუ სხვა რამ ეროვნული საქმე. მწერალი აქტიურად თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალებში: „ნობათი" და „ნაკადული". განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ჟურნალ „ჯეჯილს", როგორც მისი გამოცემის ორგანიზატორმა. ეკატერინე გაბაშვილმა ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა პროზის მცირე ჟანრები — პატარა მოთხრობა, ნოველა, მინიატურა, სურათი. აღსანიშნავია ისიც, რომ მწერლის მოთხრობების მიხედვით ქართველმა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს შესანიშნავი მხატვრული ფილმები „პიაკოკონა" (რეჟისორი ი. პიპინაშვილი) და „მაგდანას ლურჯა" (რეჟისორები თ. აბულაძე და რ. ჩხეიძე). ამ უკანასკნელმა ფილმმა პირველი პრემია დაიმსახურა კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ხოლო ედინბურგის ფესტივალზე კი დიპლომი.

თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი მარიამ (მარო) ესტატეს ასული. 1891. სოფელი კავთისხევი, კასპის რაიონი — 3. X. 1969, თბილისი.

ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი, ლოტბარი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. თარხნიშვილების ოჯახში ქართული სიმღერის კულტი იყო. ამიტომ საკვირველი როდია, რომ 13 წლის გოგონამ ჩამოაყალიბა ახალგაზრდების გუნდი და ხელმძღვანელობდა მას. ამით დაიწყო პირველი ქართველი ლოტბარი ქალის დიდი ეროვნული მოღვაწეობა.

1910 წელს მარო თარხნიშვილმა თავის დასთან ეკატერინესთან ერთად გორში დააარსა ქართულ-კახური სიმღერების გუნდი. დები თარხნიშვილების პოპულარობა სულ უფრო იზრდებოდა. მათ დიდად შეუწყვეს ხელი ჩვენში მხატვრული თვითშემოქმედების განვითარებას. რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე გამარჯვებული მ. თარხნიშვილის გუნდი მოსკოვში მიიწვიეს. შემდეგ ამას მოჰყვა წარმატებითი გასტროლები რუსეთის, უკრაინის და სხვა რესპუბლიკების ქალაქებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარო თარხნიშვილისა და მისი გუნდის აღიარება ქართული ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში 1937 წელს.

ექვსი ათეული წელი ემსახურა მ. თარხნიშვილი ქართულ ხელოვნებას და ჰეშმარიტად სახალხო მომღერლად იქცა. მის მიერ შესრულებული „დაიგვიანეს", „ჭონა", „ნამგლური", „ბერიკაცი ვარ", „კახური მრავალუამიერი", „თამარ ქალი" და მრავალი სხვა

დღესაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს და სულიერად ამაღლებს მსმენელს. სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ შენარჩუნებული და შესისხლხორცებული გვაქვს ქართული ხალხური სიმღერების საუკეთესო ნიმუშები. აღსანიშნავია, რომ მ. თარხნიშვილის გუნდში აღიზარდა მრავალი ნიჭიერი მომღერალი და ლოტბარი.

თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი — კ ვ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი თამარ დიმიტრის ასული. 1. V. 1911, სოფელი ახალქალაქი, კასპის რაიონი — 14. XI. 1984, თბილისი.

ლოტბარი და მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტის მეუღლე თარხნიშვილის ქალიშვილი. ბავშვობიდანვე ეზიარა ქართულ სიმღერას. 16 წლიდან დედის მიერ ჩამოყალიბებული. ანსამბლის სოლისტია. 1928 წელს ჩაირიცხა თბილისის კონსერვატორიაში და გაიარა ვოკალის კურსი. ჰქონდა ლამაზი ტენორის სოპრანო. წარმატებით გამოდიოდა ქართულ-კახური სიმღერების გუნდში, რისთვისაც მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იყო მრავალი სიმღერის ავტორი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ირაკლი აბაშიძის ტექსტზე შექმნილი „სიმღერა ბუხაიძეზე“.

თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი ოთარ ვასილის ძე. 27. VII. 1924, თბილისი — 2. II. 1989, თბილისი.

კომპოზიტორი, პროფესორი 1947 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია, პროფესორ ს. ბარხუდარიანის საკომპოზიციო კლასი. 1947—1952 წწ. ჯერ იყო საქართველოს საგუნდო კაპელის კონცერტმაისტერი და დირიჟორი, ხოლო შემდეგ მისი სამხატვრო ხელმძღვანელი. ზოგვიანებით იგი ერის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, კონსერვატორიის რექტორი, ხოლო 1965—1984 წლებში საქართველოს კულტურის მინისტრი.

მესიჯალური საზოგადოების ყურადღება ო. თაქთაქიშვილმა ჯერ კიდევ სტუდენტობისას მიიპყრო, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ჰიმნისათვის დახურულ კონკურსში გაიმარჯვა. წარმატება ხვდა ახალგაზრდა კომპოზიტორის პირველივე მაწარმოებებს: საფორტეპიანო კონცერტსა და პირველ სიმფონიას რომლებიც 1959 და 1951 წლებში სახელმწიფო პრემიებით აღინიშნა. სახელმწიფო პრემია მიენიჭა აგრეთვე ორატორიას „რუსთაველის ნაკვალევზე“ რომელიც კომპოზიტორმა 1967 წელს შექმნა ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლის მიხედვით.

ოთარ თაქთაქიშვილის ოპერები და ორატორები ქართული მუ-

სიკის საგანძურში შეეიდა. მეტად დიდია მისი როლი ეროვნული ოპერის კლასიკური ტრადიციების განვითარებასა და დამკვიდრებაში. კომპოზიტორის ოპერები „მინდია“, „სამი სიცოცხლე“, „მთვარის მოტაცება“, „მუსუსი“, „პირველი სიყვარული“ ტელეოპერა „ჯილდო“, ერთაქტიანი ოპერა „მარიტა“ შესაბამისად აცოცხლებს ქართული მწერლობის საუკეთესო ძეგლებს და ქართული მუსიკის უძვირფასეს საგანძურში იმკვიდრებს ადგილს. ეს ნაწარმოებები მრავალჯერ აღიარებულა უცხოეთშიც. 1981 წელს „მთვარის მოტაცებისათვის“ პირველად ქართველ კომპოზიტორთა შორის დაიმსახურა ლენინური პრემია.

აღსანიშნავია ო. თაქთაქიშვილის მიერ ქართველი პოეტების ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის ლექსებზე შექმნილი ვოკალური ციკლები, კანტატები და ორატორიები. მისი მუსიკა მძლავრ ნაკადს იღებს ეროვნული ინტონაციებიდან და ამიტომაა იგი ერთდროულად დემოკრატიული და პოპულარული. ამასთან კომპოზიტორი სრულად იყო დაუფლებული კლასიკური და თანამედროვე შესაკალური აზროვნების ნიმუშებს. ყოველივე ეს მის შემოქმედებას კიდევ უფრო მიმზიდველს და ორიგინალურს ხდის. ო. თაქთაქიშვილი იყო თავისი ნაწარმოებების ბრწყინვალე დირიჟორ-ინტერპრეტატორი. ფართო რეზონანსი ჰქონდა მის საავტორო კონცერტებს.

ჩვენი ხალხის ისტორიაში ო. თაქთაქიშვილი უწინარეს ყოვლისა შევიდა როგორც დიდი ქართველი კომპოზიტორი. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იგი იყო უნივერსალურად განათლებული, მრავალმხრივი ნიჭით მომადლებული პიროვნება, რამაც ღრმა კვალი დააჩნია არა მარტო კომპოზიტორის მუსიკალურ შემოქმედებას, არამედ მის საზოგადოებრივ საქმიანობასაც. ამიტომაც იყო იგი სხვადასხვა საერთაშორისო მუსიკალური ფორუმის სასურველი სტუმარი, იუნესკოსთან არსებული საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ო. თაქთაქიშვილს დაფასება და აღიარება არ დაჰკლებია: მინიჭებული ჰქონდა სსრკ სახალხო არტისტის წოდება, შოთა რუსთაველის, ლენინური, სახელმწიფო პრემიების ლაურეატობა, დაჯილდოვებული იყო ორი ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი შალვა მიხეილის ძე. 27. VIII. 1900, სოფელი ქვემო ხვითი, გორის რაიონი — 18. VII. 1965. თბილისი.

კომპოზიტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის

ოჯახში. 1928 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია, პროფესორ ს. ბარხუდარიანის საკომპოზიციო კლასი. 1928 წლიდან იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას — ჯერ ბათუმში, შემდეგ თბილისის კონსერვატორიაში, რომლის პროფესორიც იყო 1941 წლიდან. აქ იგი ხელმძღვანელობდა საოპერო კლასს და დირიჟორობდა საოპერო სტუდიის ორკესტრს.

შ. თაქთაქიშვილმა საკომპოზიციო მოღვაწეობა ჯერ კიდევ 1922 წლიდან დაიწყო. იგი იყო საქართველოში კამერულ-ინსტრუმენტული ჟანრის ერთ-ერთი პიონერი. მან შექმნა 2 სიმებიანი კვარტეტი, ორი საფორტეპიანო ტრიო, სავიოლონჩელო სიმღერები „ურმული" და „იავნანა".

კომპოზიტორის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ოპერები „დეპუტატი", „ოთარანთ ქვრივი", საბავშვო ოპერები „ყვავილთა სამყარო", „პირველი მაისი", „შემოდგომა", „განთიადი", ბალეტი „მალთაყვა", „სიმფონიეტა", „საზეიმო უვერტიურა" რომანსები, სიმღერები და მრავალი სხვა.

შ. თაქთაქიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის „საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების" დაარსებასა და ქართული სიმფონიური ორკესტრის შექმნაში.

თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე. 29. IX. 1895, დაბა აღბულახი, ახლანდელი თეთრი წყაროს, — 30. X. 1958, თბილისი.

რეჟისორი და მსახიობი, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის დამაარსებელი, საქართველოს სახალხო არტისტი. 1914 წელს დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია და შევიდა კიევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ერთი წლის შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში.

ახალგაზრდას გეგმები პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ჩაუშალა. იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. თუმცა დემობილიზაციის შემდეგ ერთ ხანს გამომძიებლადაც მუშაობდა, შაგრამ მისი გულისყური თეატრისაკენ იყო მიპყრობილი, სწავლა განაგრძო თბილისის რუსულ თეატრთან არსებულ სტუდიაში პროფესორ გ. გლავაცკისთან.

1924 წელს ა. თაყაიშვილი კ. მარჯანიშვილმა მიიწვია რუსთაველის თეატრში მსახიობად, სადაც შეასრულა რამდენიმე საინტერესო როლი მათ შორის პოლონიუსი „ჰამლეტში", რუსი ჩინოვნიკი ზ. ანტონოვის „ბზის დაბნელება საქართველოში", სენატორი ნ. აზიანის „დეზერტირკაში" და სხვ. 1926 წლიდან სახკომრეწვის რეჟისორი და მსახიობია. აქ მან დადგა კინო-ფილმი „მოზარდი ენ-

თუზიასტები", ითამაშა ერთ დროს გახმაურებულ ფილმებში: „ბელა", „ბოშური სისხლი", „გიული" და სხვ.

1928—1945 წწ. ა. თაყაიშვილი ხელმძღვანელობს ბოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს, სადაც დაინიშნა კ. მარჯანიშვილის რეკომენდაციით. ამ თეატრში დადგა 25 სპექტაკლი. მათ შორის ნ. საცის „ფრიც ბაუერი", ს. მთვარაძის „სურამის ციხე", გ. ნახუცრიშვილის „პატარა მეომრები" და „ცეცხლის ხაზზე", აკაკი წერეთლის „პატარა კახი", შ. დადიანის „ბოთე და კუსპარა", მოლიერის „სკაპენის ოინები", ე. შვარცის „წითელქუდა", ს. ზაიაცკის „რობინ ჰუდი", შექსპირის „რომეო და ჯულიეტა" და სხვ.

1945—1956 წწ. ა. თაყაიშვილი თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. ამ თეატრის სცენაზე დადგა ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები", ნ. გოგოლის „რევიზორი", (ეს პიესა მან 1951 წელს დადგა კ. მარჯანიშვილის თეატრშიც), ა. შტეინის „პერსონალური საქმე", გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან" და სხვ. 1945 წლიდან ლვაწლმოსილი რეჟისორი საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი იყო. მისი ღვაწლი აღინიშნა ლენინის, შრომის წითელი დროშის, „სპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ეკვთიმე სიმონის-ძე (5. I. 1863, სოფელი ლიხაური (ლეხოური), ოზურგეთის რაიონი — 21. II. 1953, თბილისი.

ისტორიკოსი, არქეოლოგი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

ეკვთიმე თაყაიშვილს ბედმა თავიდანვე მძიმე ხვედრი არგუნა — ჯერ იყო და, მისი დაბადებიდან რამდენიმე დღეში მამა გარდაეცვალა, ხუთი წლისამ კი დედა დაკარგა. იგი იზრდებოდა ბებიის, მამიდის და თავისი უფროსი და-ძმების ხელში. სამი წლის ბავშვი სამუდამოდ დაკოჭლდა. 7 წლის ყმაწვილი შეიყვანეს ჯერ ოზურგეთის, ცოტა ხნის შემდეგ ფოთის სამაზრო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1875 წელს და დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. 1883 წელს ვერცხლის მედლით დაასრულა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. აქვე სწავლის პერიოდში ნიკო მარრთან ერთად სცემდა ხელნაწერ ჟურნალ „ბედს". შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგში და ჩაირიცხა უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1887 წელს ეკვთიმემ უნივერსიტეტი დამთავრა ფრიადზე, მოიპოვა საკანდიდატო ხარისხიც და სამშობლოში დაბრუნდა. იმავე წლის ოქტომბრიდან იგი თბილისის სათავადაზ-

ნაურბო გიმნაზიის მასწავლებელია, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ დაინიშნა დირექტორად. პარალელურად ეწევა ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას, ეძიებს ძველ ქართულ საბუთებს, ისტორიულ წერილობით წყაროებს, აღწერს, აქვეყნებს და რაც მთავარია იცავს მათ განადგურებისაგან. ამავე დროს ახალგაზრდა მეცნიერი ებმება საზოგადოებრივ მუშაობაში, მას ირჩევენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საეკლესიო კომიტეტისა და ქართული დრამატული საზოგადოების წევრად.

1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით თბილისში დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი, სადაც გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი წვლილი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისა და ორგანიზაციის საქმეშიც.

ექვთიმე თაყაიშვილი ამ დროისათვის უკვე საქართველოს ისტორიის ცნობილი სპეციალისტი, გამოცდილი მკვლევარი და მდიდარი პედაგოგიური პრაქტიკის მქონე მოღვაწეა. ამიტომ მას უყოყმანოდ მიენიჭა „ჰონორის კუზა" — ნაშრომის დაუცველად პროფესორის წოდება და დაინიშნა არქეოლოგიის კათედრის გამგედ.

1921 წლის თებერვალში, საქართველოს დემოკრატიული წყობილების დამხობის შემდეგ, იგი საფრანგეთში გაჰყვა გახიზნულ მთავრობას, როგორც ჩვენი ეროვნული საგანძურის მეჭურჭლეთუსუცესი. ექვთიმე თაყაიშვილი 24 წლის მანძილზე დარაჯად ედგა საქართველოს განძეულობას, ვითარცა ერთგული მეცხოვნე და მხოლოდ ღრმადმოხუცებული, 1945 წელს ვალმოხდილი მამულიშვილი დაბრუნდა სამშობლოში და საქართველოს უკლებლივ ჩაბარა ისტორიისა და ხელოვნების ფასდაუდებელი, უნიკალური ნიმუშები.

სამშობლოში დაბრუნებული, ხანდაზმულობის მიუხედავად, მთელი ენერგიით ჩაება თავის საყვარელ საქმიანობაში. მას აღუდგინეს პროფესორობა, მისცეს ლექციები უნივერსიტეტში, აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, დამხმარედ გამოუყვეს ხელფასიანი ლაბორანტი, გამოიცა მისი ნაშრომები. ...მაგრამ უეცრად „ამინდი შეიცვალა" და 90 წელს მიღწეულ მოხუც მეცნიერს შინა პატიმრობა დაუწესეს, პენსია მოუხსნეს და უსახსრობდ დარჩენილი მალე მიიცვალა. მის კუბოს მხოლოდ 48 კაცი გააყოლეს.

ასეთი ბედი ერგო ამ განაწამებ ადამიანს არა მარტო სიცოცხლეში, არამედ ცხოვრების უკანასკნელ გზაზე. იგი დაკრძალეს ვა-

კის სასაფლაოზე. მხოლოდ მოგვიანებით, 1963 წელს, დიდი მეცნიერისა და გამოჩენილი მამულიშვილის 100 წლისთავზე, მისი ნეშტი საკადრისი პატივით გადმოასვენეს ბოლოების პანთეონში.

ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა 250-მდე ნაშრომს ითვლის. განსაკუთრებით აღსანიშნავია: „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები“ (ორ წიგნად), „არქეოლოგიური ექსკურსიები, ძიებანი და შენიშვნები“ (ხუთ წიგნად),“ 1917 წლის არქეოლოგიური მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში“, „მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის“, „მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში“ და სხვ.

თ ე ვ ზ ა ძ ე ანდრო რაჟდენის ძე. 3. I. 1912. სოფელი გომი, სამტრედიის რაიონი — 6. IV. 1967, თბილისი.

პოეტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი. 1930 წელს დაამთავრა სამტრედიის პედაგოგიური ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო მშობლიური სოფლის სკოლაში მასწავლებლად. შემდეგ შევიდა თბილისის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1940 წელს და დაინიშნა ჟურნალ „ოქტომბრელის“ პასუხისმგებელ მდივნად. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საარქივო სამმართველოში, გაზეთ „კომუნისტში“, საქართველოს რადიო კომიტეტში, იყო მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების მდივანი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ დირექტორი და სხვ.

ანდრო თევზაძემ ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1936 წლიდან. ქართულ მწერლობაში იგი შემოვიდა როგორც ვაჟკაცური, ინდივიდუალური სიტყვის მქონე პოეტი. მისი ლირიკული ლექსების კრებულებმა „ვარსკვლავების ღიმილი“, „დიდება გმირებს“, „ანახლდა გული“ და სხვ. პოპულარობა მოიპოვეს მკითხველთა ფართო წრეებში. საყურადღებოა ანდრო თევზაძის მონოგრაფია „უმანგი ჩხეიძე“, კრებული „ლიტერატურული წერილები და ნარკვევები“, რომანი „ორლესული“ და მრავალი სხვა. პოეტის ლექსები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, სომხურ, უკრაინულ და სხვ. ენებზე.

ანდრო თევზაძე იყო ქართული კულტურის დაუცხრომელი მუშაკი, გულმართალი შამულიშვილი. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მშობლიური ლიტერატურის, მშობელი ხალხის სიყვარულს შეალია.

თ ო ი ძ ე ალექსანდრა (შურა) მოსეს ასული. 11. III. 1907 წ. თბილისი, 30. V. 1985 წ. თბილისი.

ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი. დაიბადა გამოჩენილი

ქართველი მხატვრის მოსე თოიძის ოჯახში, სადაც ბავშვობიდანვე ეზიარა დიდ ხელოვნებას. ა. თოიძემ 1924 წელს დაამთავრა თბილისის ქალთა გიმნაზია და სწავლა განაგრძო გ. პერინის საბალეტო სტუდიაში. აქ დამწყებ მსახიობს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ნ. შენგელაიას რეკომენდაციით 1929 წელს მიიწვიეს რეჟისორ ი. ჟელიაბუჟსკის ფილმ „დინა-ძაძეში" მთავარი როლის შემსრულებლად. ფილმს წარმატება ხვდა ხოლო ახალგაზრდა მსახიობს დამსახურებული პოპულარობა. ამ დროიდან დაიწყო მისი რთული და საინტერესო შემოქმედებითი გზა. 28 წლის მანძილზე რუსთაველის თეატრის სცენაზე მსახიობმა 40-მდე როლი განასახიერა. მათ შორის აღსანიშნავია კნეინა ჩიტუნია შ. დადიანის „გუშინდელნი", გაიანე ა. სუმბათაშვილის „ღალატი", ირინე გოდუნოვა ვ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე", ოტრადინა ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავე", ეკატერინე ჭავჭავაძე მ. მრევლიშვილის „ბარათაშვილი", დეზდემონა უ. შექსპირის „ოტელო" და სხვ. ა. თოიძის მიერ შესრულებული დეზდემონა სამართლიანადაა მიჩნეული მის შემოქმედებით მწვერვალად. იგი ღირსეულ პარტნიორობას უწევდა სცენის ისეთ დიდოსტატებს, როგორებიც იყვნენ ა. ხორავა და ა. ვასაძე.

ა. თოიძემ დასამახსოვრებელი სახეები შექმნა ქართულ კინოშიც. აღსანიშნავია მთავარი როლი მიხეილ ჭიაურელის „უკანასკნელ წუთს", ირინა „ქალაქში შესვლა აკრძალულია", ეუეუნა „ეუეუნას მზითევი", ნინო ჭავჭავაძე „მოგზაურობა არზრუმში", მარო „გაყრა", ნატო „ჭრიჭინა", დედა „დღე პირველი, დღე უკანასკნელი" და სხვ. კინოსა და თეატრში შის მიერ შექმნილი როლებისათვის ნიშანდობლივია მკაფიო სახიერება, პოეტურობა და ლირიზმი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ფილმ „ქეთო და კოტეში" ილიკო სუხიშვილთან ერთად უზადოთ შესრულებული ცეკვა „ქართული".

თავისი ცხოვრების ბოლო წლებში ა. თოიძის თაოსნობით 1971 წელს შეიქმნა შისი ღირსეული მაჩის სახლ-მუზეუმი, რომელსაც გარდაცვალებამდე განაგებდა და მზრუნველობას არ აკლებდა. ქართულ ხელოვნებაში განსაკუთრებული წვლილისათვის 1950 წელს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება.

თ ო ი ძ ე — ა ფ ხ ა ი ძ ე ნინო ალექსანდრეს ასული. 1898, თბილისი — 1969, თბილისი.

მწერალ შალვა აფხაიძის მეუღლე. დაამთავრა თბილისის კონსერვატორია და 1925—1927 წწ. იმყოფებოდა იტალიაში, ლა სკა-

ლას თეატრში, სტაჟირებაზე. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სცენაზე აღარ გამოსულა, იყო დიასახლისი.

თ ო ი ძ ე ირაკლი მოსეს ძე. 14. III. 1902. თბილისი, — 1. IV. 1985., თბილისი.

მხატვარი. საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსეთის ფედერაციის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ირაკლი თოიძის, როგორც მხატვრისა და შემოქმედის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია მამამისმა, ცნობილმა ქართველმა მხატვარმა მოსე თოიძემ. სწორედ მან აზიარა ვაჟიშვილი აქტიურ მხატვრულ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ირაკლიმ 1930 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ამის მიუხედავად მას კავშირი სამშობლოსთან არ გაწყვეტია. იგი რეგულარულად მონაწილეობდა რესპუბლიკურ გამოფენებში და რამოდენიმეჯერ პერსონალური გამოფენაც მოაწყო თბილისში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ირაკლი თოიძის ღვაწლი საბჭოთა პლაკატის განვითარების დარგში. მისი ნამუშევრები გამოირჩევა თემატიკის აქტუალობით და დროის მძაფრი შეგრძნებით. ავტორს განსაკუთრებული პოპულარობა მოუხვეჭია დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულმა პლაკატმა „დედამამშობლო გვეძახის", რომელიც ომის დაწყების პირველსავე დღეებში გამოჩნდა მოსკოვის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე და შემდეგ გავრცელდა მთელ ქვეყანაში. აქ უნდა გავიხსენოთ კომპოზიტორ ა. ალექსანდროვის ცნობილი სიმღერა „წმიდათაწმიდა ომი", რომელიც ასევე სამამულო ომის დაწყებისთანავე შეიქმნა. ეს ორი ნაწარმოები თითქმის იმთავითვე შეერწყა ერთმანეთს, იარა ომის მძიმე გზებით და იქცა ხალხის უდრეკი ნების სიმბოლოდ მტერზე გამარჯვების საქმეში.

ირაკლი თოიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული წიგნის გრაფიკის განვითარებაში. მის მიერ 1937 წელს „ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო გამოცემისათვის შესრულებული ილუსტრაციები დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა ქართული წიგნის გრაფიკაში.

მხატვრის შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ თემას. მშობელმა ხალხმა მისი დიდი ღვაწლი ღირსეულად დააფასა — აირჩია თბილისის საპატიო მოქალაქედ და მისი ნეშტი მიაბარა დიდუბის წმინდა მიწას.

თოიძე მოსე ივანეს ძე. 21. I. 1871, თბილისი — 17. VI. 1953, თბილისი.

მხატვარი საქართველოსა და სსრკ სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ახალი ქართული ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პროფესორი. მამით ადრე დაობლებული დედამ გაზარდა დიდ გაჭირვებაში. ხატვისადმი მიდრეკილება ჯერ კიდევ დაწყებით სკოლაში გამოავლინა და 13 წლის ყმაწვილი სახელოსნო სასწავლებელში მიაბარეს. 1887 წელს ჭაბუკმა დაამთავრა სასწავლებელი და იქვე დატოვეს ზეინკალ-მასწავლებლად.

ამ პერიოდში მ. თოიძე დაუახლოვდა ცნობილ რევოლუციონერებს, გოლა და შიო ჩიტაძეებს და მათ წრეს, სადაც თავს იყრიდნენ რადიკალურად განწყობილი ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები. აქვე შეხვდა მ. გორკის, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ახალგაზრდა შემომქმედის მომავალ ბედზე.

25 წლის მ. თოიძე გაემგზავრა პეტერბურგს სამხატვრო აკადემიაში გამოცდების ჩასაბარებლად. დიდი სიძნელეების მიუხედავად, მან მიაღწია სანუკვარ მიზანს — ჩაირიცხა ეგრეთწოდებულ „მალიავინის ჯგუფში“, რომელსაც ი. რეპინი მეურვეობდა.[1]

ამით არ ამოწურულა შეგირდ-მასწავლებლის ურთიერთობა. მ. თოიძე დიდი მხატვრის სახელოსნოს ხშირი სტუმარი იყო. მასწავლებელი ზრუნავდა და წიგთიერ დახმარებასაც უწევდა ნიჭიერ ახალგაზრდას. 1901 წელს მ. თოიძემ დაამთავრა სამხატვრო აკადემია, შეასრულა დიდფორმატიანი საფიპლომო ფერწერული ტილო „მკეთეობა“, მაგრამ სტუდენტთა პოლიტიკურ დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო იგი დააპატიმრეს და ეტაპით გამოგზავნეს თბილისში.

---

[1] ი. რეპინთან შეცადინეობის პერიოდში მოსე თოიძე გაეცნო და დაქორწინდა ალექსანდრა ნიკიტას ასულ სუდინაზე, რომელიც დაბადებულა 1875 წელს რუსეთის ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში. მღვდლის შვილი იყო. ძალით აღკვეცეს მონაზვნად. ხელოვნებით გატაცებული ქალიშვილი მეგობართან ერთად, გაექცა სამონაზონო ცხოვრებას, ჩავიდა პეტერბურგში და თავისი მშატვრული ტილოები აჩვენა დიდ რუს ხელოვანს, რომელსაც ძალიან მოეწონა. როდესაც მ. თოიძე დაბრუნდა თბილისში, იგი თან წამოყვა მეუღლეს. შეეძინათ 7 შვილი, მათთან იზრდებოდა აგრეთვე 3 ძმისშვილი. იყო გულკეთილი და ღვთისმოსავი მანდილოსანი, გადაგებული ოჯახზე. ისწავლა ქართული ენა და მთელი შეგნებული ცხოვრება შვილების აღზრდას შეალია. გარდაიცვალა 45 წლის ასაკში. საბწუხაროდ საფლავი დაკარგულია. იმის გამო, რომ დარჩენილიყო დედის სახელი, მისმა ახალგაზრდა ვაჟიშვილმა ირაკლი თოიძემ მამის საფლავს გაუკეთა წარწერა „სუდინა-თოიძე ალექსანდრა ნიკიტას ასული. 1875—1920“.

ეს ცნობები მოგვაწოდა მოსე თოიძის შვილიშვილმა, პროფესორმა მაია მაპავარიანმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ამის მიუხედავად „მცხეთობას“ წარმატება არ მოჰკლებია. 1901 წელს რუსეთთან საქართველოს შეერთების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე სურათი ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

მ. თოიძემ ჯერ კიდევ სტუდენტობიდან დაიწყო შემოქმედებითი მოღვაწეობა. ქმნიდა ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებებს, ქართველ მოღვაწეთა პორტრეტებს, როგორც მხატვარი თანამშრომლობდა ქართულ პერიოდიკაში („კვალი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „ფასკუნჯი“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.). სტუდენტობის წლების ნამუშევრებიდან ყურადღებას იქცევს „რუსი გლეხი“, „პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სტუდენტის პორტრეტი“, „მზარეული“. გვიანდელი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: „ებრაელის პორტრეტი“, „სამკედლო“.

მ. თოიძე მუშაობდა სახვითი ხელოვნების ყველა დარგში, მაგრამ განსაკუთრებული ღვაწლი დასდო საყოფაცხოვრებო და ისტორიულ-რევოლუციურ ჟანრებს, თუმცა არანკლები წარმატებები ჰქონდა პეიზაჟის, ნატურმორტის, პორტრეების ჟანრებშიც. მისი ტილოებიდან აღსანიშნავია: „რევოლუცია“, „მრისხანე ბატონი“, ი. გრიშაშვილის პორტრეტი, მ. ჭიაურელის პორტრეტი, დედის პორტრეტი, „ქალიშვილის პორტრეტი“ და სხვ. იგი სისტემატურად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა გამოფენებში, როგორც არ უნდა ყოფილიყო ისინი — პრესტიჟული თუ რიგითი. ამით ერთავად იყო საზოგადოების თვალწინ და პერიოდულად „ანგარიშს აბარებდა მას“.

მ. თოიძე ერთერთი გახლდათ ვინც საფუძველი ჩაუყარა ჩვენში პროფესიულ სამხატვრო განათლებას. მისი დაარსებული სამხატვრო სტუდია გაიარეს მომავალში ისეთმა მხატვრებმა როგორიც იყვნენ: უ. ჯაფარიძე, ს. ვირსალაძე, ქ. მაღალაშვილი, კ. მერაბიშვილი, დ. კაკაბაძე, კ. სანაძე, არქიტექტორი გ. ლეჟავა და სხვ.

ერთვნული მხატვრული კადრების აღზრდის კეთილშობილმა სურვილმა იგი 30-იანი წლებიდან სამხატვრო აკადემიაში მიიყვანა, სადაც სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა ფერწერის კათედრას. დაჯილდოვებული იყო ლენინისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით.

თ ო რ ა ძ ე **დავით (გუგული) ალექსანდრეს ძე. 14. IV. 1922, თბილისი — 8. XI. 1983, თბილისი.**

კომპოზიტორი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი. ჯერ კიდევ სკოლის ასაკში, როგორც განსაკუთრებული მუსიკალუ-

რი მონაცემების ჯაბუკი ჩარიცხეს თბილისის კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფში ერთდროულად საფორტეპიანო და საკომპოზიციო განყოფილებით. მისი მასწავლებლები იყვნენ პროფესორები ა. ვირსალაძე და ს. ბარხუდარიანი. 1937 წელს განაგრძო მეცადინეობა თბილისის კონსერვატორიაში. 1939 — 1941 წწ. საკომპოზიციო ხელოვნებას სრულყოფს კომპოზიტორ რ. გლიერთან მოსკოვის კონსერვატორიაში.

შემოქმედებით სარბიელზე დ. თორაძე გამოდის ორმოციან წლებიდან. 1946 წელს სრულდება მისი პირველი სიმფონია, 1947 წელს პირველი ოპერა, ხოლო 1949 წელს შექმნილი გვირგვინატრიოტული ბალეტი „გორდა", რომელიც ქართულ მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ხელოვნების დიდმნიშვნელოვან, საეტაპო მოვლენად იქნა აღიარებული. „გორდაში" დიდი მხატვრული ძალით, მასშტაბურობით გამოიკვეთა ჩვენი ეროვნული ბალეტის თავისთავადობა. იგი წარმატებით დაიდგა მოსკოვში, უნგრეთში, პოლონეთში, საბალეტო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე პარიზში და მრავალ სხვა ქალაქში. ასეთივე წარმატება ხვდა დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილ ბალეტს „მშვიდობისათვის". მაყურებელი გულთბილად შეხვდა მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე წარმოდგენილ კომპოზიტორის ახალ ოპერას „ჩრდილოეთის პატარძალი", რომელიც ეძღვნება ა. გრიბოედოვისა და ნ. ჭავჭავაძის ტრაგიკულ სიყვარულს.

1977 წელს დ. თორაძემ შექმნა მუსიკა ფილმ-ბალეტისათვის „მწვრილი". იმავე წელს იგი დადგა და გადაიღო ცნობილმა ბალეტმაისტერმა მ. ლავროვსკიმ. ამ ნამუშევარს საბალეტო ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე ნიუ-იორკში ერგო „გრან პრი". კომპოზიტორის მდიდარი შემოქმედებიდან აღსანიშნავია ორი სიმფონია, უვერტიურა „როკვა", საგუნდო პოემათა ციკლი „ქართული ჩანახატები", საფორტეპიანო კუნცერტი. ცალკე უნდა ითქვას მის საესტრადო და კინოს მუსიკაზე; მან შექმნა შესანიშნავი მუსიკა კინოფილმებისათვის: „დღე პირველი — დღე უკანასკნელი", „პალიასტომი", „შეხვედრა წარსულთან", „კაცია ადამიანი?!" და სხვ.

1953 წლიდან იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის კონსერვატორიაში, რომლის პროფესორი იყო 1973 წლიდან. კომპოზიტორის მეუღლე, ლიანა ასათიანი ცნობილი კინომსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ხოლო ვაჟიშვილი ლექსო მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული პიანისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია.

დავით თორაძეს მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო პრემიის ლა-

ურეატის წოდება, დაჯილდოვებული იყო ლენინის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

თ ო ფ ა ძ ე — ჭ ი ლ ა ძ ე ნანა ლევანის ასული. 25. IX. 1933, თბილისი — 28. IX. 1933, თბილისი.

მწერალ ოთარი ჭილაძის მეუღლე. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, რუსული ენისა და ლიტერატურის განხრით. ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას.

თ ო ფ უ რ ი ა ვარლამ ტრიფონის ძე. 8. I. 1901, სოფელი ონტოფო, აბაშის რაიონი — 21. VIII. 1966, თბილისი.

ენათმეცნიერი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. პირველდაწყებითი განათლება სენაკში მიიღო, შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის ქალთულ გიმნაზიაში. 1918—1922 წწ. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტია. აქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად. ვ. თოფურიას შრომითი საქმიანობის ერცელ ნუსხაში, მთავარი ადგილი უკავია მის მოღვაწეობას უნივერსიტეტში, სადაც 40 წელი ემსახურა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს და ენათმეცნიერების ინსტიტუტში, რომლის დირექტორიც იყო ამავე ერთ ხანს.

ვარლამ თოფურიამ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა. მისი საკვლევაძიებო ინტერესების სფეროში შედიოდა ქართველური და მთის კავკასიური ენების (ლაკურის, აფხაზურის) სტრუქტურისა და ისტორიის პრობლემები. მან გაარკვეულობა შეიტანა ამ ენების ისტორიის ფონეტიკური სისტემის, გრამატიკული სტრუქტურის, დიალექტოლოგიის, ლექსიკური შემადგენლობის, მეთოდიკისა და ეპიგრაფიკის აქტუალურ საკითხებში.

განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ვ. თოფურიამ ქართველი ხალხის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი სვანური ენის მეცნიერულ შესწავლას. ამ ფუძემდებლურ ნაშრომებს გვერდს ვერ აუვლის არა მარტო სვანური ენის საკითხებზე, არამედ ქართველურ ენათმეცნიერებაში მომუშავე ვერც ერთი სპეციალისტი. ღვაწლმოსილი მეცნიერი იყო თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის მთავარი რედაქციის წევრი და მესამე ტომის რედაქტორი, „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“, „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ და სხვა მრავალი ნაშრომის ავტორი ან თანაავტორი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პროფესორ ვარლამ თოფურიას დამსახურება ქართული უმაღლესი სკოლის წინაშე, განსაკუთრებით

კი მისი მოღვაწეობა ახალგაზრდობის აღზრდის დარგში. შესაშური ენერგია, პატრიოტული შემართება, ღრმა განსწავლულობა და ქმედითობა, უანგაროდ ხმარდებოდა ამ კეთილშობილურ საქმეს. სამაგიეროდ აკადემიკოს ვ. თოფურიას არ დაჰკლებია არც ხალხის სიყვარული და არც მისი მეცნიერული ღვაწლის აღიარება. საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დაჯილდოვებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

თ ო ფ უ რ ი ძ ე ვალენტინ ბაგრატის ძე. 13. I. 1908, თბილისი — 1. II. 1980, თბილისი.

მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. საშუალო სკოლა სარატოვში დაამთავრა და იქვე შეეწია უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1924 წელს ჩამოვიდა თბილისში და სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი მოქანდაკეები და მხატვრები: ი. ნიკოლაძე, ნ. კანდელაკი, ე. ლანსერე, ი. შარლემანი და სხვ.

ვ. თოფურიძე ჯერ კიდევ სტუდენტობისას ჩაება აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებაში და სიცოცხლის ბოლოამდე არ შეუწყვეტია დაძაბული შრომა. პირველი ნაბიჯებიდანვე იგრძნობოდა შემოქმედის სრწაფვა მონუმენტური პლასტიკისადმი, რაზეც მეტყველებს 30-იან წლებში შესრულებული ნამუშევრები, თბილისში კინოთეატრ „რუსთაველის" ფასადის ფიგურები, ლ. კეცხოველის ბიუსტი კომუნარების ბაღში და სხვ. მოქანდაკე მუდამ გრძნობდა და ეხმაურებოდა ეპოქის მაჯისცემას. სამამულო ომში დიად გამარჯვებას მიუძღვნა ერთ-ერთი ნამუშევარი — პიატიგორის თეატრის ფასადზე ქალის ალეგორიული ფიგურა „გამარჯვება", რისთვისაც 1949 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

უნდა აღინიშნოს ვ. თოფურიძის დიდი პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, რომლის პროფესორიც 1955 წლიდან იყო. დაჯილდოვებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ივანე ნიკოლოზის ძე. 21. VIII. 1863, თბილისი — 20. II. 1930, თბილისი.

ინჟინერ-მშენებელი. საშუალო განათლება მიიღო მშობლიურ ქალაქში, ხოლო 1890 წელს უმაღლესი პეტერბურგში; დაამთავრა საინჟინრო სასწავლებელი და ნიკოლოზის სამხედრო-საინჟინრო

აკადემია. დიდხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას პარალელურად ასრულებდა პრაქტიკულ სამშენებლო და არქიტექტურულ სამუშაოებს.

1921 წელს ივანე ჯავახიშვილისაგან მიიღო მოწვევა და ჩამოვიდა თბილისში. აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ჩამოყალიბებაში. როცა ამ ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), გამოცდილი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი წლების მანძილზე განაგებდა სამშენებლო ხელოვნების კათედრას.

სამწუხაროდ ქართველი საზოგადოებისათვის ჯეროვნად არ არის ცნობილი ი. თულაშვილის ფართო პატრიოტული სასოგადოებრივი მოღვაწეობა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში, ხუროთმოძღვრული დარგის ორგანიზაციასა და ინჟინერ-მშენებელთა პირველი ეროვნული კადრების აღზრდასა და მომზადებაში.

იაშვილი პაოლო ჯიბრაილის-ძე. 29. VI. 1894, სოფელ არგვეთი, საჩხერის რაიონი — 22. VII. 1937, თბილისი.

პოეტი, საზოგადო მოღვაწე, სწავლობდა ჯერ ქუთაისის, შემდეგ ანაპის გიმნაზიაში. 1913 წელს დაიწყო საკუთარი ჟურნალის „ოქროს ვერძის“ გამოცემა (გამოვიდა სულ ოთხი ნომერი). იმავე წელს გაემგზავრა პარიზს, სადაც სწავლობდა ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში, გატაცებით დაეწაფა ფრანგულ პოეზიასა და ხელოვნებას. მეგობრობდა პიკასოსთან, აპოლინერთან, რიბეირასთან, მოდილიანთან, ი. ერენბურგთან და სხვ. მაგრამ ბოჰემური ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა, — დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და პაოლო სამშობლოში დაბრუნდა.

ქუთაისში მან სხვა ახალგაზრდა პოეტებთან ერთად დააარსა ქართველი სიმბოლისტების ჯგუფი „ცისფერყანწელები“, გამოუშვეს ჟურნალი „ცისფერი ყანწები“. ეს ახალგაზრდები ეძიებდნენ ახალ გზებს ხელოვნებაში, პოეზიაში. თანდათან გამოიკვეთა მათი მწერლური სახე, — ისინი ჩვენი კლასიკური ქართული მწერლობის გულწრფელი ქომაგნი, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ქომაგნი ხდებიან. სწორედ პაოლო იაშვილს და ტიციან ტაბიძეს მიუძღვით უდიდესი დამსახურება იმ ხიდების გადებაში, რომლებიც ქართა სიავის და ქარტეხილების მიუხედავად დღესაც მოქმედებენ და რომლებსაც რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობა ჰქვია.

პ. იაშვილმა მეტეორივით ჩაიქროლა ახალი ქართული პოეზიის ცაზე და წარუშლელი კვალი დატოვა. მის პირველ პოეტურ ნი-

მუშებში იგრძნობა „თერგდალეულთა“ პატრიოტული ლირიკის ინერცია. მერედამერე მან დაიწყო ახალი, გამომსახველობითი, კერძოდ სიმბოლისტური სკოლის ხერხების ძიება. 20-ანი წლიბის შუა ხანებიდან პ. იაშვილმა თითქოს ზურგი აქცია „წმინდა ხელოვნების“ სამსახურს და მის პოეზიაში დამკვიდრდა ხალისიანი ინტონაციები. პოეტი ქართული ვერსიფიკაციის ნოვატორია. კარგად დაეუფლა თავისუფალ ლექსსაც, რამაც კიდევ უფრო გაამდიდრა მისი პოეტური პალიტრა.

პ. იაშვილის კალამს ეკუთვნის ავრეთვე პოემა, მოთხრობები, ლიტერატურული წერილები; ა. პუშკინის, კ. ბალმონტის, ვ. მაიაკოვსკის, შ. ბოდლერის, ა. რემბოს, ო. უაილდის და სხვა მწერალთა თხზულებების თარგმნები. „იგი იყო ლექსის ჯადოქარი, იყო მომხიბლავი გარეგნობის, კიდევ უფრო მომხიბლავი სულიერად, იყო დიდბუნებოვანი და ადამიანის მოყვარული, იგი ყოველთვის სიყვარულს ანიჭებდა ადამიანს... მაგრამ.. ის კიდევ უფრო შეტი იყო“ (ს. ცლდიაშვილი).

ამ ასეთმა პოეტმა და პიროვნებამ ტრაგიკულად დასრულა წუთისოფელი. 30-ანი წლების საერთო უბედურება ვერც მას აცდა. მან ვერ გაუძლო მის გარშემო დატრიალებულ ვარამს და ერთ ზაფხულის დღეს მოულოდნელად მწერალთა კავშირის დერეფანში თავის თავს სიკვდილი მიუსაჯა და აღასრულა კიდეც. ასე ტრაგიკულად დასრულდა ამ, ჭეშმარიტად ქართული პოეზიის რაინდის ცხოვრება. ოჯახში ჩატარებული ჩხრეკის დროს წაიღეს და გაანადგურეს პოეტის უმდიდრესი არქივი, გამოუქვეყნებელი ლექსები, ჩანაწერები, ნახატები. აიკრძალა პოეტის ნაწარმოებთა გამოქვეყნება, ისე, რომ ეს პოეზიისათვის დაბადებული კაცი ვერ მოესწრო თავისი ლექსების კრებულის ხილვას — იგი თითქმის ოცი წლის შემდეგ მიიღო მკითხველმა. პირველი წიგნი 1955 წელს გამოიცა, ხოლო პირველი ვრცელი კრებული 1959 წელს.

პ. იაშვილი თავდაპირველად დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე ფართო საზოგადოებისაგან უჩუმრად, როგორც ეკადრებოდა „ხალხის მტერს“. მხოლოდ 1955 წელს დაიმკვიდრა მან მარადიული ბინა ღირსეულ მამულიშვილთა პანთეონში.

ი ე თ ი მ გ უ რ ჯ ი (ოეთიმ იბრაჰიმის ძე დაბღიშვილი), 1875, თბილისი — 15. VII. 1940, თბილისი.

სახალხო მომღერალი, აშუღური პოეზიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი. დაიბადა ღარიბი ხელოსნის ოჯახში. სასიამოვნო ხმა ჰქონდა და ამიტომ მოქეიფეებს ლხინიდან ლხინში დაჰყავდათ. მალე საკუთარი ლექსების წერაც დაიწყო და მისი

პირველი შემსრულებელიც თვითონ იყო. იგი იშვიათად მიმართავდა კალამს, ამიტომ ვერ ხერხდებოდა მისი ლექსების სრული კრებულის შეგროვება. თუმცა რევოლუციამდე გამოვიდა იეთიმის რამდენიმე წიგნი: „იეთიმის ახალი ლექსები", „ტანგო", „ახალი მგოსანი და სიმღერები".

1928 წელს ი. გრიშაშვილი და 1958 წელს პოეტი ა. თევზაძე შეეცადნენ შეეგროვებინათ და გამოეცათ იეთიმის სრული კრებული.

მისი ლექსები ქალაქელთა გარკვეული ფენების სულისკვეთებას ეხმაურებოდა, ამიტომ იყო იგი უბრალო ხალხის, მუშების, ხელოსნების, საყვარელი აშუღი. მის პოპულარობას ისიც უწყობდა ხელს, რომ პოეტი წერდა ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად. მან მდიდარი პოეტური მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი იოსებ ზაქარიას ძე. 4. IV. 1876, სოფელ ხაშმი, საგარეჯოს რაიონი — 5. V. 1952, თბილისი.

მწერალი, თეატრალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი. დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. ღარიბი ოჯახის შვილი იძულებული იყო ბავშვობა მწყემსობაში გაეტარებინა. თორმეტი წლის იოსები დედამ თბილისში ჩამოიყვანა და სახელოსნო სკოლაში მიაბარა, რომელიც 1893 წელს დაამთავრა.

ეს იყო და ეს — მეტი არსად არ უსწავლია. მაგრამ ზოგიერთი გულისხმიერი და უფროსი მეგობრის დახმარებით თვითგანათლებას დაეწაფა. 17 წლისამ თავისი სკოლის სხვა ჭოსწავლეებთან ერთად ჩამოაყალიბა სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა, მუშათა პირველი თეატრი, შემდეგ ავჭალის აუდიტორია რომ დაერქვა. 1900-იან წლებში იოსებმა ასეთივე თეატრი შექმნა აღლაბარშიც. ეს დრამატული წრეები ყოველ კვირას მართავდნენ წარმოდგენებს.

ლიტერატურით ი. იმედაშვილი სიყმაწვილეში დაინტერესდა. 1895 წლიდან დაიწყო ინტენსიური თანამშრომლობა ქართულ პერიოდიკაში. მალე გამოქვეყნდა მისი პირველი წიგნები. ამავე დროს იგი ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში — ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციის სხვადასხვა საპროტესტო მანიფესტაციაში. იგი ბლეხთა რაზმთან ერთად პროტესტით წარუძღვა მეფის ნაცვალს გურიაში დამსჯელი რაზმების გაგზავნის გამო. 1910 წელს რევოლუციურ-პროპაგანდისტული მუშაობისათვის ოთხი წლით კატორღა მიუსაჯეს, რაც ავადმყოფობის გამო მეტეხის ციხეში პატიმრობით შეუცვალეს.

ი. იმედაშვილი ხანგრძლივად ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ და საგამომცემლო მუშაობას. იგი მრავალი მოთხრობის, პიესის თუ რომანის ავტორია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რომანები „განახლებული სიცოცხლე", და „ციბრუტი", პიესები: „ნამუსიანი ხალხი", „ალების ცეკვა", „მზე ჩაესვენა", „იოსებ ლაღიაშვილი", „უკანასკნელი დედოფალი", პოემები „მზეთამზე", „მშვენიერა", ისტორიულ-ბიოგრაფიული ნარკვევები ლადო აღნიაშვილზე და მრავალი სხვა.

ენების ცოდნა მას საშუალებას აძლევდა ორიგინალიდან ეთარგმნა მრავალი სომეხი და აზერბაიჯანელი მწერლის ნაწარმოებები. 1902 წელს გამოსცა მ. გორკის მოთხრობათა პირველი ქართული თარგმანების კრებული, ხოლო 1904 წელს უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

ი. იმედაშვილმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართულ თეატრს. იგი მსახიობიც იყო და რეჟისორიც, დრამატურგიც და კრიტიკოსიც. მის მიერ გამოქვეყნებული იმდროინდელი თეატრის მოღვაწეთა ბიოგრაფიები და უამრავი სხვა მასალა ფასდაუდებელი განძია ქართული კულტურის ისტორიისათვის. ი. იმედაშვილს ჰქონდა საკუთარი პერიოდული გამოცემები და შესანიშნავი რედაქტორი იყო. 1910 წელს დაარსა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება", რომლის გამოცემაც მისი პატიმრობის გამო 4 წლით შეწყდა. მაგრამ გათავისუფლების შემდეგ განახლდა და გამოდიოდა 1927 წლამდე.

იოსებ იმედაშვილი სრულიად ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან თავისი ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

ი ნ ა ნ ი შ ვ ი ლ ი რევაზ კონსტანტინეს ძე. 20. XII. 1926, სოფელი ხაშმი, საგარეჯოს რაიონი — 26. XII. 1991, თბილისი.

მწერალი. პირველი მოთხრობა 1950 წელს დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული ალმანახის „პირველი სხივის" პირველ ნომერში. აქედან მოყოლებული იგი ოთხ ათეულ წელზე მეტი ხანი ანიჭებდა ქართველ მკითხველს დიდ ესთეტურ სიამოვნებას. მისი ნათელი პროზა გამოირჩევა ღრმა ეროვნულობით, ხედვისა და ხატვის არაჩვეულებრივი სიზუსტით, ჭეშმარიტი სისპეტაკით. მწერლის შემოქმედებაში ორგანულადაა შეხამებული ტრადიციული და ნოვატორული ფორმები. რ. ინანიშვილის მოთხრობებში ყველაფერი რიგზეა, კომპოზიციურადაა დალაგებული. ეს შეეხება უკიდურესად დახვეწილ ფრაზას, სხარტ დიალოგს, ცინცხალ იუმორს, თუ სევდის მომცველ სულისკვეთებას.

რევაზ ინანიშვილმა განსაკუთრებული სამსახური გაუწია საბავშვო მწერლობას, რომლის მოთხრობებში სულ სხვა თვალითაა დანახული თავისი სამშობლო ქვეყანა, იმ კუთხის მიწა-წყალი, ის უბრალო ადამიანები სადაც იგი ალიზარდა და დავაჟკაცდა. მწერლის მიზანია საქართველოს აღუზარდოს მეოცნებე, ლამაზი სულის მქონე ახალგაზრდები.

რ. ინანიშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ქართულ კინემატოგრაფიას. მწერლის სცენარით შეიქმნა ისეთი საინტერესო ფილმები როგორიცაა; „პასტორალი" (თანაავტორი ო. იოსელიანი), „ნატვრის ხე") გ. ლეონიძის წიგნის მიხედვით, თანაავტორი თ. აბულაძე), „ქვიშანი დარჩებიან" (თანაავტორი გ. შენგელაია) და სხვ. მწერალი ნიადაგ საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში იდგა. 1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გამომცემლობა „ნაკადულში" რედაქტორად, კინოსტუდია „ქართულ ფილმში" რედაქტორად და სასცენო-სარედაქციო კოლეგიის წევრად, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად, ჟურნალ „დილას" რედაქტორად. სადაც არ უნდა ყოფილიყო, პირნათლად ემსახურებოდა მშობელ ხალხს ამ სიტყვის პირველთავადი და გაუცვეთელი მნიშვნელობით. 1977 წელს მიენიჭა რუსთაველის სახელობის პრემია.

რევზო ინანიშვილი დაასაფლავეს 31 დეკემბერს, როდესაც თბილისში გამუდმებით ისმოდა ჟურვების ბათქი და ტყვიების წუილი. თითქმის სასწაულებრივად აუხდა მწერალს იმისი ნატვრა რაზედაც ოცნებობდა: „არაფერია იმაზე კარგი მიცვალებულისათვის, ორიოდე კაცმა მიაცილოს სასაფლაოს მყუდრო კუთხეში, რაღაც წაიჩუტუნოს თავისთვის სამოსგაქუცულმა მღვდელმა, ჩაუშვან მიცვალებული მიწაში, აქვე წაუქციონ თითო ჭიქა და წავიდნენ საქმემორჩენილები თავთავიანთი გზით. ცოტა ხანში შემსმარმა ფოთლებმა დაფარონ საფლავის ბორცვი. ასეთი ბედნიერები იყვნენ მოცარტი და ფიროსმანი". თითქოს ყველაფერი ისე მოხდა, როგორც იგი ოცნებობდა, გარდა ერთისა „ხმელი ფოთლების ნაცვლად, ფიფქებმა დაფარეს მისი ობოლი სამარე", (თ. მაღლაფერიძე).

ი ნ ა შ ვ ი ლ ი ალექსანდრე (სანდრო) იობის (იოველის) ძე. 23. VIII. 1887, თბილისი[1] — 4. VI. 1958, თბილისი.

მომღერალი, ქართული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს და სსრკ სახალხო არტისტი.

---

[1] სხვა მონაცემებით (დაბადა) კახეთში, სიღნაღში.

დაიბადა ღარიბი ხელოსნის ოჯახში. სწავლობდა ჯერ რკინიგზის სკოლაში, შემდეგ გიმნაზიაში. მუსიკის სიყვარული ოჯახიდანვე გამოჰყვა. ამან გავლენა იქონია ბავშვებზე — სანდროს ორი ძმაც პროფესიონალი მომღერლები გახდნენ: ერთი, გრიგოლ ვენაძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო, ხოლო მეორე ანტონ ინოველი, ფილარმონიის მსახიობი. მათს პროფესიულ დაოსტატებას დიდათ შეუწყო ხელი სანდრო კავსაძისა და ნიკო სულხანიშვილის გუნდებში მონაწილეობამ, რამაც სანდრო სამუსიკო სასწავლებელში მიიყვანა.

1909 წელს ს. ინაშვილი პირველად გამოვიდა საოპერო თეატრის სცენაზე, ასრულებდა მეორეხარისხოვან როლებს. შემდეგ სწავლობდა პროფესორ ევგენი რიადნოვის სტუდიაში, რომელიც 1916 წელს დაამთავრა. ამ დროისათვის მას უკვე შესრულებული ჰქონდა ტორეადორის („კარმენი"), რიგოლეტოს („რიგოლეტო"), ჟერმონის („ტრავიატა"), ფიგაროს („ფიგაროს ქორწინება") და სხვა ურთულესი პარტიები.

...1913 წლის 28 მაისი. ქართული კლუბის (ძველი გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობა) სცენაზე ვანო სარაჯიშვილის (აბესალომი) და სანდრო ინაშვილის (მურმანი) მონაწილეობითა და ზაქარია ფალიაშვილის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს „აბესალომი და ეთერის" ნაწყვეტები. ხალხმა ოვაციები გაუმართა ავტორსა და შემსრულებლებს. აქედან მოყოლებული არ დადგმულა ქართული ოპერა, რომელშიც ს. ინაშვილს არ ემღეროს.

1918—1919 წლების სეზონი მეტად ნაყოფიერი გამოდგა. ერთიმეორის მიყოლებით დაიდგა „თქმულება შოთა რუსთაველზე", „აბესალომ და ეთერი" და „ქეთო და კოტე". მსახიობმა შესანიშნავად დაძლია აბდულ-არაბის, მურმანის პარტიები და მტკიცედ დამკვიდრა ადგილი ქართულ საოპერო სცენაზე. 1923 წელს ა. სუმბათაშვილ-იუჟინისა და ვ. სარაჯიშვილის დახმარებით ორი წლით იტალიას მიემგზავრება ვოკალური ხელოვნების დასახვეწად, სადაც გამოჩენილი იტალიელი მომღერლის პროფესორ ჯირალდოს სტაჟიორია. პარალელურად მას შესთავაზეს გასტროლები, რომლებიც წარმატებით ჩაიარა იტალიისა და ესპანეთის საოპერო თეატრების სცენებზე. კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა მისი ხავერდოვანი ბარიტონი და რომ არა სამშობლოს სიყვარული, მას ელოდა დიდი ასპარეზი ევროპისა და ამერიკის სცენებზე.

საქართველოში დაბრუნებული მომღერალი წარმატებით აგრძელებს მოღვაწეობას თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. მოსკოვის დიდ თეატრში ბრწყინვალედ ასრულებს ონეგინისა და ტორეადორის პარტიებს. 1932 წელს ს. ინაშვილი მთელი სეზონით

მიიწვიეს ლენინგრადის მარინის საოპერო თეატრში, სადაც იმღერა ბარიტონის ყველა წამყვანი პარტია.

1933 წლიდან იგი კვლავ თბილისშია. ამჯერად როგორც საოპერო თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი და სოლისტი. მან განახორციელა ისეთი რთული ოპერების დადგმა როგორიცაა ვერდის „აიდა“ და ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“. ამავე დროს ვოკალურ ხელოვნებას ასწავლიდა თბილისის კონსერვატორიაში და აქაც თავისი ვაღი პირნათლად მოიხადა ქართული კულტურის წინაშე — მან საიმედო ძალები აღუზარდა ჩვენს საოპერო ხელოვნებას. ესენი არიან მ. ამირანაშვილი, თ. ზაალიშვილი, პ. თომაძე, შ. კიკნაძე, ი. შუშანია და სხვ. დაჯილდოვებული იყო ლენინის, „სპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით.

ინგოროყვა პავლე იესეს ძე. 1. XI. 1893, ქ. ფოთი — 21. XI. 1983, თბილისი.

მწერალი, პუბლიცისტი, მეცნიერი. პირველდაწყებითი განათლება ფოთში მიიღო, მაგრამ გიმნაზიის დამთავრება ექსტერნად მოუხდა ქ. ვლადიკავკაზში. 1912 — 1915 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობას. ჯერ კიდევ 1913 წელს სტუდენტობისას გამოქვეყნებულმა მისმა მეცნიერულმა ნაშრომმა „ძველი ქართული პოეზია VIII—X სს.“, როგორც ქართული სასულიერო პოეზიის შესწავლის პირველმა ცდამ, ქართული საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიპყრო. აქედან მოყოლებული, იგი შვიდათწლეულის მანძილზე დაუღალავად და უდიდესი ფანატიზმით ემსახურა საშშობლოს. მეცნიერის შრომები ეხება ქართული მწერლობის, კულტურის და ისტორიის საკითხებს. მას ეკუთვნის კაპიტალური ნაშრომი „გიორგი მერჩულე“, რომელშიც გაშუქებულია ქართული მწერლობის მრავალი საკვანძო საკითხი, გაანალიზებულია V—XI საუკუნეების ძველი ქართული პოეზია და თავისებურ ენციკლოპედიას წარმოადგენს.

პავლე ინგოროყვა იმ მკვლევართა რიგებს ეკუთვნის, ვინც საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ რუსთველოლოგიას და მისი შრომები „რუსთაველი და მისი ეპოქა“, „რუსთველიანა“ ამ დარგის დიდმნიშვნელოვანი შენაძენია. უნდა აღინიშნოს აგრეთვე მონოგრაფიები „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „აკაკი წერეთელი“, „ილია ჭავჭავაძე“ და სხვ. საერთოდ მისი ნაშრომების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ მეცნიერის თხზულებანი რვა ტომადაა გამოსაცემად მომზადებული.

ფასდაუდებელია პ. ინგოროყვას საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მესვეური, მისი გამგეობის უცვლელი წევრი; მწერალთა კავშირის სალიტერატურო ორგანოების („კავკასიონი", „ახალი კავკასიონი") ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი. მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა გამომცემლობა „ქართული წიგნი", რომლის მთავარი რედაქტორიც თვითონ იყო. 1925 — 1930 წლებში მისივე ინიციატივით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ხელნაწერთა განყოფილება, რომლის ბაზაზეც მოგვიანებით ჩამოყალიბდა ხელნაწერთა ინსტიტუტი.

პ. ინგოროყვას დაუშრეტელი ენერგია და პატრიოტული შემართება ვერ იზღუდებოდა რაიმე ჩარჩოებით. მისი ნახვა შეიძლებოდა სრულიად მოულოდნელ ადგილას სხვადასხვა როლში — ძაგალითად 1919 წელს იყო თურქეთთან მოლაპარაკების დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრი. ასევე მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მორიგი ვილაც „უცნობის" ნაცვლად თბილისის ერთ-ერთ შშვენიერი პროსპექტი ვაჟა-ფშაველას სახელს ატარებს და სხვ.

ი ო ს ე ლ ი ა ნ ი დავით გიორგის ძე. 17. VIII. 1894, სოფელი ხვედურეთი, გორის რაიონი — 25. II. 1968, თბილისი.

ქირურგი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1912 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია და ჩაირიცხა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. ქირურგიით სტუდენტობისას დაინტერესდა, სადაც გამოჩენილი დასტაქრისა და მეცნიერის ს. ა. ფიოდოროვსკის კლინიკაში მუშაობდა. არდადეგებზე თბილისში ჩამოსული ბეჯითი სტუდენტი კი პრაქტიკას გადიოდა ქალაქის პირველი საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, რომელსაც მედიცინის დოქტორი ვ. ვ. ვესელოზოროვი განაგებდა. 1917 წელს აკადემიის ასევე წარჩინებით დამთავრების შემდეგ, გაამწესეს მოქმედ არმიაში, სადაც დიდი პრაქტიკა მიიღო.

1920 წელს მუშაობა დაიწყო ასისტენტად თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ოპერატიული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე, რომელსაც დიდი ქართველი ანატომი და ქირურგი ნ. კახიანი განაგებდა. 1928 — 1929 წლებში დ. იოსელიანი მოღვაწეობს ლენინგრადში თავის ყოფილ სასწავლებელში ვ. შევკუნენკოს ხელმძღვანელობით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აირჩიეს სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტად, კითხულობდა ლექციების კურსს ოპერატიულ ქირურგიაში.

1934 წელს დ. იოსელიანმა მუშაობა დაიწყო თბილისის სასწრაფო დახმარების ქირურგიული განყოფილების გამგედ, რომელიც 1947 წლამდე ოპერატიული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის ბაზას წარმოადგენდა. მეცნიერი 1947 წლიდან გარდაცვალებამდე განაგებდა სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ქირურგიის კათედრას. 1940 — 1947 წლებში იყო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი.

პროფესორი დ. იოსელიანი იკვლევდა ასაკობრივი და ვარიაციული ანატომიის, ანაერობული ინფექციის და ანტისეპტიკის ტრავმული ანევრიზმის ქირურგიული მკურნალობის საკითხებს. ღვაწლმოსილი მკურნალის დიდ ავტორიტეტზე ისიც მეტყველებს რომ 1954 წლიდან იგი თავმჯდომარეობდა გ. მუხაძის სახელობის ქირურგიულ სამეცნიერო საზოგადოებას. დაჯილდოვებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ეგნატე ონისიმეს ძე. 1843, ქუთაისის მაზრა — 1926.

რევოლუციონერ-ხალხოსანი. დაიბადა მღვდლის ოჯახში. სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამწყათმოქმედო ინსტიტუტში. მეტად ბეჯითი და შრომის მოყვარე ახალგაზრდა საფუძვლიანად დაეუფლა მეცნიერების სხვადასხვა დარგს, განსაკუთრებით ფილოსოფიას და სოციოლოგიას. კარგად იცოდა რამდენიმე უცხო ენა. ღრმა განსწავლულობით მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა სტუდენტთა შორის.

იმხანად პეტერბურგში არსებობდა რამდენიმე ხალხოსნური წრე (მათ შორის „ქართველთა წრე") რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ ძირითადად სტუდენტები. ერთ-ერთი წრე იყო „კავკასიელთა რევოლუციური წრე", რომელსაც ეგნატე იოსელიანი ხელმძღვანელობდა. აქ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ამ წრიდან გამოსულები შემდგომ აქტიურად მონაწილეობდნენ მოსკოვის, ვლადიმირის, კიევის, თბილისის, ქუთაისის და სხვა გუბერნიების ხალხოსნური წრეების პრაქტიკულ რევოლუციურ საქმიანობაში.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ე. იოსელიანმა შემოიკრიბა მოსწავლე ახალგაზრდობა, მათგან შეადგინა რაზმები, რომელთაც უხვად ურიგებდა რევოლუციურ ლიტერატურას პირადი ბიბლიოთეკიდან, აძლევდა რჩევა-დარიგებას. მის ბინაში ხშირად იმართებოდა თათბირები და კრებები, სადაც შეიქმნა საიდუმლო წრე. მან კავშირი გაიბა ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ

რევოლუციურ ახალგაზრდობასთან და დაეხმარა მათ წრეების ჩამოყალიბებაში. ამით ე. იოსელიანმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. „რევოლუციის პაპას“ ემორჩილებოდა კავკასიის ყველა რევოლუციური წრე და მის გარეშე არ წყდებოდა არც ერთი საკითხი. მისი ასეთი აქტივობა არ გამორჩენია ხელისუფლებას. 1876 წელს იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს, საიდანაც 80-ან წლებში დაბრუნდა.

ხალხისნური მოძრაობის კრახის შემდეგ სხვებთან ერთად ე. იოსელიანმაც განიცადა ევოლუცია და ხელი აიღო საიდუმლო-რევოლუციურ საქმიანობაზე და პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზს თანდათან ჩამოსცილდა. 1900-ანი წლებიდან თბილისში მოღვაწეობს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანია.

ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ნიკოლოზ (ჯვები) პავლეს ძე. 1. VIII. 1894, სოფელი კვათანა, აბაშის რაიონი — 9. III, 1928, თბილისი.

მეცნიერ-ზოოტექნიკოსი. დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიური სოფლის სკოლაში. მალე ოჯახი გადავიდა თბილისში და უმაწვილმა სწავლა განაგრძრო ქართულ გიმნაზიაში. 1915 წელს შევიდა ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც ვერ დაამთავრა ჯარში გაწვევის გამო. დემობილიზაციის შემდეგ სწავლასმოწყურებული ახალგაზრდა გერმანიაში გაემგზავრა და ჩაირიცხა ბონის აგრონომიულ აკადემიაში რომელიც დასრულა 1921 წელს პირველი ხარისხის სწავლული აგრონომის წოდებით. შემდეგ სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად გადავიდა ქ. ჰალეში. აქ, ცნობილ პროფესორ ფროლიხთან წლინახევრის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ წარჩატებით დაიცვა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ჯ. იოსელიანი ერთ ხანს დარჩა გერმანიაში და მუშაობა განაგრძო ზოოლოგიის ცნობილ სპეციალისტთან პროფესორ გეკერთან. 1923 წელს საშობლოში დაბრუნებული ღრმადგანათლებული ინტელიგენტი მიიწვიეს აგრონომიული ფაკულტეტის დოცენტად, მიანდვეს ზოოტექნიკის კათედრა, ხოლო შემდეგ სათავეში ჩაუდგა მის მიერვე დაარსებულ შინაურ ცხოველთა მომშენებლობისა და გენეტიკის კათედრას. იგი ფართო მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა მუხრანის სასწავლო მეურნეობაში, კათეურის სასწავლო-ექსპერიმენტულ ჯოგებში საფუძვლიანად შეისწავლა ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების გენოფონდი, ადგილობრივ ჯიშებთან შემოყვანილი ჯიშების შეჯვარება-შეგუებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

1927 წელს ჯ. იოსელიანი გადაიყვანეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილედ, სადაც სამეცნიერო საქმიანობას განაგრძობდა იქვე, მუზეუმის ზოოლოგიის განყოფი-

ლებაში: სამწუხაროდ ნაადრევად შეწყდა დიდი იმედების მომცემი მეცნიერის სიცოცხლე.

ი ო ს ე ლ ი ა ნ ი პ ლ ა ტ ო ნ ეგნატეს ძე. 18. XI. 1809, თბილისი — 15. XI. 1875, თბილისი.

ისტორიკოსი, პედაგოგი. პლატონის მამა, ეგნატე ონისიმეს ძე, იყო გიორგი მეთორმეტის კარის მლვდელი. ამიტომ ყმაწვილი იზრდებოდა იმდროინდელი მაღალი საზოგადოების გარემოცვაში და ნოექცია იმ ინტერესთა სფეროში, რაც ამ საზოგადოებას ამოძრავებდა. აქ ტრიალებდნენ პოეტები, მწერლები, მეცნიერები, ფილოსოფოსები, ბატონიშვილები და სხვ. განათლებაც ჩინებული მიიღო — წარმატებით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია და ჩაირიცხა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. აკადემია პლატონმა 1832 წელს დაასრულა. მაგრამ სამშობლოში სამი წლის შემდეგ დაბრუნდა, მაგისტრის ხარისხით. იმავე წელს დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიაში ფიზიკისა და ფილოსოფიის მასწავლებლად. მოგვიანებით, პარალელურად, მასწავლებლობს ამიერკავკასიის ქალთაა ინსტიტუტში და მათემატიკას ასწავლიდა ნერსესიანთა სომხურ სემინარიაში. კარგად იცოდა სომხური, თარგმნა კიდეც ისტორიული თხზულებანი. ამავე პერიოდში პლატონმა გამოსცა სასკოლო სახელმძღვანელოები, კალენდრები, სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, საბერძნეთში, მოინახულა ათონის ივერთა მონასტერი, შეკრიბა დიდძალი საინტერესო მასალა, რომლებიც გამოიყენა თავის მრავალრიცხოვან მეცნიერულ შრომებში.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მისი თხზულება „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა". პლატონ იოსელიანმა დიდი ღვაწლი დასდო ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემის საქმეს. მისი რედაქტორობით გამოქვეყნდა ჩახრუხაძის, შავთელის, იოსებ თბილელის, ტიმოთე გაბაშვილის, ანტონ კათალიკოსის და სხვათა ნაწარმოებები. აღსანიშნავია, რომ 1845 — 1850 წლებში იგი რედაქტორობდა გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკს", სადაც აქვეყნებდა მრავალ მასალას საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

მისმა მრავალმხრივმა მოღვაწეობამ დიდი გავლენა იქონია XIX საუკუნის ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ჩაიწერა და გამოსცა ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები („ანდაზები და გამოცანები" 1839 წ), რითაც თაობებს შემოუნახა ხალხური სიბრძნის მარგალიტები.

ირემაძე.— ჩაჩავა ნინო ნიკოლოზის ასული. 25. XII 1917, თბილისი — 21. VII. 1989 თბილისი.

პროფესორ ნიკოლოზ ჩაჩავას მეუღლე. დაიბადა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის ოჯახში. 1934 წელს დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის მესამე საცდელ-საჩვენებელი სკოლა (დღევანდელი 23-ე), სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც 1939 წელს დაასრულა. მუშაობდა ქალაქის II სამშობიარო საავადმყოფოში ექიმ-გინეკოლოგად. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას სხვადასხვა სამედიცინო სასწავლებლებში. იყო თვითნასწავლი მხატვარი. მონაწილეობდა როგორც რესპუბლიკურ ასევე საკავშირო გამოფენებში. ჰქონდა სამი პერსონალური გამოფენა. გაფორმებული აქვს მეუღლის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. იყო შრავალმხრივ განათლებული მანდილოსანი. კარგად ერკვეოდა საზღვარგარეთის ლიტერატურის, თეატრის, ხელოვნებისა და კინოს ისტორიის კარდინალურ საკითხებში, გატაცებული იყო პოეზიით, მიღებული ჰქონდა მუსიკალური განათლება და იყო კლასიკური მუსიკის საინტერესო შემსრულებელი.

ირემაძე ქეთევან ნიკოლოზის ასული. 8. IX. 1912, თბილისი — 19. VIII. 1945, თბილისი.

მწერალი, მთარგმნელი. 1931 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. ხალას ნიჭთან ერთად იგი დაჯილდოვებული იყო გასაოცარი შრომისმოყვარეობით. სწორედ ამან შეაძლებინა იმ დიდი საქმის ხორცშესხმა, რომლითაც მკითხველი გაეცნო რუსი და ევროპელი კლასიკოსების ქმნილებებს. მან ქართულად აამეტყველა აბატ პრევოს „მანონ ლესკო“, ბალზაკის „ოცდაათი წლის ქალი“, დიდროს „რამოს ძმისწული“, მერიმეს „კარმენი“, დიუმას „ქალი კამელიებით“, კოსტანის „ადოლფი“, ტინიანოვის „კიუხლია“ და სხვ. ქართულიდან რუსულად თარგმნა ე. ნინოშვილის მოთხრობები.

ქეთევან ირემაძეს ჰქონდა ორიგინალური ნაწარმოებები. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა ისტორიული რომანის „ქეთევანის“ დამთავრება, რომლისათვის მასალების მოძიებასა და მოშზადებას დიდი დრო და ენერგია შეალია. აღსანიშნავია მისი კვლევითი საქმიანობაც. მას აქვს საგულისხმო მონოგრაფიები და გამოკვლევები ბარბარე ჯორჯაძეზე, ნინო ორბელიანზე, ეკატერინე გაბაშვილზე

(ცალკე წიგნში „ლიტერატურული მედალიონები). ჭოლა ლამთათიძეზე, შიო არაგვისპირელზე და სხვა.

ი შ ხ ნ ე ლ ი — დ ე ი ს ა ძ ე თამარ ალექსანდრეს ასული. იხ. დამატება.

ი შ ხ ნ ე ლ ი — ყ ა უ ჩ ხ ი შ ვ ი ლ ი თამარ ნიკოლოზის ასული. 9. I. 1896, სოფელი არადეთი, გორის რაიონი — 24. IX. 1975, თბილისი.

აკადემიკოს სიმონ ყაუჩხიშვილის მეუღლე. 1913 წელს ოქროს მედალზე დამთავრა გორის ქალთა გიმნაზია და იმავე წელს ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა, რომელიც ასევე წარმატებით დაასრულა 1917 წელს. სამშობლოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო თბილისის ქალთა ქართულ სემინარიაში მასწავლებლად.

1918 წელს თ. იშხნელმა იქორწინა ს. ყაუჩხიშვილზე.

ინტერესმოკლებული არაა მისი ოჯახის ბედი. ნიკოლოზ სიმონის ძე იშხნელსა და ნინო კირილეს ასულ ფავლენიშვილს თამარის გარდა ჰყავდათ ოთხი ვაჟი და ერთი ქალი. გიორგი იყო ცნობილი მსახიობი არადელი — იშხნელი, მიხეილი — ექიმი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და პარიტეტული კომიტეტის წევრი. 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური რისთვისაც რეპრესირებული იქნა. 1934—1938 წლებში იყო მინუსინსკში, რის შემდეგაც უკვალოდ დაიკარგა.

ზაქარია, — ისტორიისა და რუსული ენის მასწავლებელი, 1937 წლის დეკემბერში დააპატიმრეს და დახვრიტეს.

მეფის არმიის პოლკოვნიკი (არტილერისტი) კონსტანტინე აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში, რომლის დამარცხებისთანავე ერთხანს პატიმრობაში ამყოფეს. შემდეგ მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრაზე. 1937 წელს ხელახლა დააპატიმრეს და უკვალოდ გაქრა. უმცროსი და ანა სპეციალობით იყო პედაგოგ-ლოგოპედი.

კ ა ვ ს ა ძ ე ვლადიმერ (ლადო) ლონგინოზის ძე. 7. I. 1886. სოფ. ხოვლე — 30. XI. 1953, თბილისი.

მომღერალი. პატარა ლადოსა და მის ძმას, მიხეილს, ბიძამ, გამოჩენილმა მომღერალმა და ლოტბარმა სანდრო კავსაძემ გაუღვიძა სიმღერის სიყვარული. 7 წლისა მიაბარეს თბილისის ერთ-ერთ პანსიონში. სიყმაწვილეში იგი გაიტაცა სპორტმა და სიმღერამ. მას ამეცადინებდა იმხანად თბილისში მცხოვრები იტალიელი მომღერალი ენრიკო ბორჯი. მეორე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, გა-

ემგზავრა მოსკოვს ვოკალური განათლების მისაღებად, სადაც ჩაირიცხა ოპერეტის თეატრში, მაგრამ მალე გადავიდა მოძრავ საოპერო დასში და გასტროლები დაიწყო რუსეთის ქალაქებში. ამ დასთან ერთად ლადო თბილისსაც ეწვია და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ ახალგაზრდა მომღერალი დიდი წარმატებით გამოდიოდა პეტერბურგის, კიევის, ტაშკენტის თეატრის სცენებზე. 1921 წლიდან მშობლიურ საოპერო თეატრშია, სადაც ასრულებს ალფრედის („ტრავიატა"), ალმავივას („სევილიელი დალაქი"), ლენსკის („ევგენი ონეგინი"), ვარსკელავთმრიცხველის („ოქროს მამალი"), კოტეს და საქოს („ქეთო და კოტე"), შოთას („თქმულება შოთა რუსთაველზე"), მალხაზის („დაისი"), მასხარას („დარეჯან ცბიერი") და სხვა პარტიებს.

ლ. კავსაძის ლამაზი ლირიკული ტენორი და მომხიბლავი სცენიური გარეგნობა უზრუნველყოფდა მის მუდმივ წარმატებას.

ვოკალური კარიერის დასასრულს იგი ხშირად გამოდიოდა ესტრადაზე. 1939 წლიდან საქართველოს ფილარმონიის დირექტორი იყო, ხოლო 1942 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მეშაობდა სახელმწიფო ცირკის დირექტორად.

ქართულ ხელოვნებაში გაწეული ღვაწლისათვის მომღერალს 1943 წელს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება, დაჯილდოვებული იყო „შრომის წითელი დროშისა" და „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით.

კაკაბაძე დავით ნესტორის ძე. 8 (20). VIII. 1889, სოფ. ლეხი, ხონის რაიონი, — 10. V. 1952, თბილისი.

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი და გამომგონებელი

ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე იყო, როდესაც გაიტაცა ხატვამ. მისი პირველი ნამუშევრები გამოაქვეყნა ჟურნალმა „საქართველომ". 1909 — 1916 წწ. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე პარალელურად — მხატვარ ლ. დმიტრიევ-კავკაზსკის სტუდიაში, სადაც შეითვისა რეალისტური ხელოვნების მხატვრული პრინციპები, როგორც ხატვის, ასევე ფერწერის დარგში, ისმენდა ლექციებს ხელოვნების ზოგადი ისტორიიდან; სისტემატურად ესწრებოდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის ლექციებს. ეს უკანასკნელი წარმართავდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მეშაობას, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლას. ამ წრეში დ. კაკაბაძემ წაიკითხა ორი მოხსენება: „ძველი ქართული ოქრომჭედლობის ძეგლების

მხატვრული დეკორი“ და „ბექა ოპიზარის შემოქმედება“. უკვე ახალგაზრდა შემოქმედის ამ პერიოდის ნამუშევრებს აჩნია ნოვატორობის დალი. მან შექმნა მონუმენტურ-დოკუმენტური ტილოების ფართოდ განზოგადებული სახეები გარკვეული სიმბოლურობის ელემენტებით. ეს მოასწავებდა ქართულ ფერწერაში ახალი ეტაპის დასაწყისს. მიუხედავად ამისა მხატვარი კვლავ ძიებაშია და ილტვის ცოდნის გაღრმავებისაკენ, მონაწილეობს გამოფენებში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთ ხანს დ. კაკაბაძე სამხედრო სამსახურშია, შემდეგ ბრუნდება სამშობლოში და თბილისის პირველ გიმნაზიაში ასწავლის ბუნებისმეტყველებასა და ხატვას. 1919 წელს ხანგრძლივი ვადით მიემგზავრება პარიზს. აქ იგი ეცნობა მუზეუმებს. დიდი ყურადღებით სწავლობს შუა საუკუნეების ხელოვნებას. აღსანიშნავია, რომ დავით კაკაბაძე მუშაობდა ბიზანტიური ხელოვნების ცნობილი ფრანგი სპეციალისტის გ. მილეს ხელმძღვანელობით ქართულ-ბიზანტიური ხელოვნების ურთიერთობის საკითხებზე, შეაგროვა და დაამუშავა საგულისხმო შედარებითი მასალა, რომელიც მოხსენებათ წაიკითხა გ. მილეს სემინარში.

დ. კაკაბაძეს პარიზში ისეთ დროს მოუხდა ყოფნა, როცა ხელოვნების ამ მექაში, იღვწოდნენ მსოფლიოს კულტურის გიგანტები, როცა პიკასომ, ლეჟემ, მატისმა, დერენმა და სხვებმა ახალი მხატვრობის ტრაქტატი აღიარეს; ასეთ სიტუაციაში ძალზე ძნელი იყო საკუთარი სიტყვის თქმა, მაგრამ დავითმა ეს შეძლო. თვითმყოფადობის შენარჩუნების წყალობით იგი თანდათან იხვეჭს პოპულარობას პარიზის სალონებში. იქაური პრესა აღნიშნავდა, რომ დავით კაკაბაძემ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულმა მხატვარმა საოცარი სიფაქიზით გაითვისა მსოფლიო კულტურის საუკეთესო ძეღწევები. ამიტომ მხატვრის ხელოვნება გასცდა საფრანგეთის საზღვრებს. 1926 წელს ნიუ-იორკში, „ბრუკლინ-მუზეუმში“ მოწყობილ თანამედროვე ხელოვნების გამოფენაზე საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი მისი ნამუშევრები. აღსანიშნავია, რომ ამ გამოფენისადმი მიძღვნილ კატალოგის ფორზაცზე აღბეჭდილია დ. კაკაბაძის ქანდაკება. მისი ეს ნაწარმოები ამჟამად ინახება იელის უნივერსიტეტის მუზეუმში.

დ. კაკაბაძემ პარიზში გამოსცა თეორიული ხასიათის წიგნი სახვითი ხელოვნების პრობლემებზე, სადაც ვრცლად და ფრიად საინტერესოდ განხილა თანამედროვე მოდერნისტული მხატვრობის სხვადასხვა ხასიათი. აღსანიშნავია, რომ წმინდა თეორიული ნაშრომების გარდა, რომელიც გამოაქვეყნა მხატვარმა პარიზში ქართულ და ფრანგულ ენებზე, იგი ინტენსიურად მუშაობდა სტერეოკინოს

გამოგონებაზე, რაზედაც ევროპის რამოდენიმე ქვეყანაში მიღებული აქვს პატენტი.

1927 წელს დაბრუნდა სამშობლოში, სადაც კ. მარჯანიშვილმა მიიწვია მხატვრად. მან გააფორმა სპექტაკლები: „ჰოპლა, ჩვენ ვცხოვრობთ“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „ნინოშვილის გურია“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „კოლმეურნის ქორწინება“, და სხვ.

დ. კაკაბაძემ თავისი წვლილი შეიტანა კინოს მხატვრობაში: „ჯიმ შუანთე“ (რეჟ. მ. კალატოზიშვილი), „დაკარგული სამოთხე“ (რეჟ. დ. რონდელი), „პოეტის აკვანი“ (რეჟ. კ. პიპინაშვილი). 1934 წელს მხატვარმა თვითონ გადაიღო ფილმი „ძველი ქართული ძეგლები“.

1929 — 1934 წლებში იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორია, სადაც თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდობას. თუმცა 1950 წელს მას მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ძნელბედობამ თავისი უარყოფითი კვალი დაამჩნია მის ცხოვრებას. მან ვერ იგრძნო ის სიყვარული და დაფასება, რისი ღირსიც იყო ეს უნიკალური ნიჭის ადამიანი, „მსოფლიო მნიშვნელობის უბრწყინვალესი შემომქმედი, ფილოსოფოსი და ახალი მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი შემქმნელი და ფუძემდებელი — სასიქადულო მამულიშვილი“ (ლ. გუდიაშვილი).

დ. კაკაბაძე თავდაპირველად დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე და მხოლოდ თერთმეტი წლის შემდეგ 1963 წლის დეკემბერში ქართველი საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნით მისი ნეშტი გადმოასვენეს დიდუბეში. საფლავი გაკეთებულია დავით კაკაბაძისათვის დამახასიათებელი მოდერნისტული მანერით მხატვარ დუდა გაბაშვილის მიერ.

კ ა კ ა ბ ა ძ ე ვასილ მიხეილის ძე. 7. X. 1888, ხონი — 10. III. 1968, თბილისი.

მეცნიერი, ქიმიკოსი, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი. დაწყებითი განათლება მიიღო ხონში, შემდეგ სწავლა განაგრძო როსტოვის საშუალო ტექნიკურ სასწავლებელში, ხოლო 1909 — 1916 წლებში ხარკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტია. ამ ხანებში აქტიურად მონაწილეობს სტუდენტურ მოძრაობაში, თანამშრომლობს ქართულ პრესაში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვ. კაკაბაძე მუშაობას იწყებს სამხედრო გზების მშენებლობაზე ერჩრუმის რაიონში. 1918 წლიდან საქართველოშია და მთელ ძალისხმევას ახმარს ჩვენში ტექნიკური განათლების სათანადო დონეზე დაყენების საქმეს: სათავეში

უდგას ამიერკავკასიის პირველ ტექნიკურ სასწავლებელს, არის საქართველოს ტექნიკური საზოგადოების მდივანი. მისი აქტიური მონაწილეობით გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტი, რომელიც 1929 წელს გამოეყო და გაფორმდა ინდუსტრიულ ინსტიტუტად. აქ იგი 15 წელიწადს ქიმიურ-ტექნიკურ ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა როგორც დაკანი, ხოლო სამი ათეული წლის მანძილზე განაგებდა კათედრას.

ვასილ კაკაბაძის მეცნიერული მემკვიდრეობა 250-ზე მეტ შრომას მოიცავს, ამასთანავე იყო საქართველოში ტექნიკური აზროვნების აქტიური პროპაგანდისტი და დიდი პოპულარიზატორი. კერძოდ მეცნიერის ქმედითი მონაწილეობით დაარსდა პირველი ქართული ტექნიკური ხასიათის ჟურნალი „ტექნიკა და ცხოვრება“, რომლის პირველი რედაქტორიც თვითონ იყო. დიდია ვ. კაკაბაძის ღვაწლი ქართული ტექნიკური ცნებების შემუშავებაში. იგი იყო ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის კომისიის თავმჯდომარე, შემდგომ კი ყველა დარგობრივი თუ სხვა ტექნიკური ტერმინოლოგიური კომისიების უცვლელი წევრი.

1938 წლიდან გარდაცვალებამდე ვ. კაკაბაძე უცვლელად თავმჯდომარეობდა დ. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების რესპუბლიკურ განყოფილებას. გამოჩენილ მეცნიერს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

კ ა კ ა ბ ა ძ ე პოლიკარპე მალხაზის ძე. 23. II. 1893, სოფელი კუხი, ხონის რაიონი — 15 X. 1972, თბილისი.

დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე. სწავლა დაიწყო ბათუმის გიმნაზიაში, შემდეგ გადავიდა და დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. პირველმა მსოფლიო ომმა არ მისცა უცხოეთში უმაღლესი განათლების მიღების საშუალება. დარჩა სამშობლოში და თვითგანათლებას დაეწაფა. გამოჩენილ მხატვარ დავით კაკაბაძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა და 1918 წელს გამოსცა ქართული პერიოდული პრესის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი „შვიდი მნათობი“, სადაც დაიბეჭდა თავისი პირველი დრამატული ნაწარმოებები.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ უცნობი დრამატურგის პ. კაკაბაძის პიესა 1917 წელს რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ დადგა აბობოქრებულ ბაქოში, რამაც დიდი აღფრთოვანება და მოწონება დაიმსახურა. ამას მოჰყვა სხვა პიესებიც: „სამი ასული“, „ძველი დაფები“ და „ლისაბონის ტუსაღები“, რომელმაც პირველი დი-

დი წარმატება მოუტანა ავტორს. ეს მოხდა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, რაც შემდგომ ბედნიერად დაეკვება ახალგაზრდა შემოქმედს და დაგვირგვინდა ქართული კომედიოგრაფიისა და თეატრალური ხელოვნების ისეთი შედევრით, როგორიცაა „ყვარყვარე თუთაბერი". ამას მოჰყვა „კოლმეურნის ქორწინება" და „კახაბერის ხმალი". სამივე ამ პიესამ ქართული კომედიოგრაფია აიყვანა იმ სიმაღლეზე, როშელზედაც არასოდეს მდგარა ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

მაგრამ, უპირველესი კომედიოგრაფი ჩინებული ტრაგედიების ავტორიც იყო — „მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი", „მეფე ბაგრატ მეშვიდე" და „მეფე დიმიტრი თავდადებული" ამის ჩინებული მაგალითებია.

პოლიკარპე კაკაბაძე მეტად პროდუქტული დრამატურგი იყო, მისი მრავალი პიესა იდგმებოდა ქართულ თეატრში. გარდა ამისა, მან რუსულიდან თარგმნა რამდენიმე პიესა, დაწერა კინოსცენარი „ქალი ხიდობანიდან", კინოში აამეტყველა მისი „ყვარყვარე" (რეჟისორი დევი აბაშიძე).

სახელოვანი მწერალი ვალმოხდილი წავიდა წუთისოფლიდან მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით.

კ ა კ ა ბ ა ძ ე სარგის ნესტორის ძე. 10 X. 1986, სოფ. კუხი, ხონის რაიონი, — 2. IV. 1967, თბილისი.

ისტორიკოსი, ფილოლოგი, პედაგოგი და ქართული კულტურის დიდი მოამაგე. 1905 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და ევროპაში გაემგზავრა, ჩაირიცხა ვენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ისტორიის გამჩრით. ხელმოკლეობამ აიძულა იგი 1907 წელს გადმოსულიყო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1910 წელს, ბრუნდება სამშობლოში და ეწევა დაუცხრომელ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას — კითხულობს ლექციებს თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე და გიმნაზიებში, თანამშრომლობს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში, საქართველოს ისტორიულ არქივში, სიძველეთა დაცვის კომიტეტში. ს. კაკაბაძის უშუალო ხელმძღვანელობით ისტორიულ არქივში თავმოყრილ იქნა 6 მილიონამდე საარქივო საქმე. ხშირად ეს დიდი რისკის ფასად ხდებოდა. მაგალითად, მან ჩრდილოეთ კავკასიაში მიაგნო გზაში ჩარჩენილ

მატარებელს და 3 ვაგონი ძვირფასი საარქივო დოკუმენტებით თბილისში დააბრუნა; დიდი ამაგი დასდო ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ჩამოყალიბებისა და ფონდების გამდიდრების საქმეს. მან დალუპვისაგან იხსნა ქართული ხელოვნების არა ერთი ნიმუში ეკლესია-მონასტრების განძეულობიდან.

მრავალმხრივია, სარგის კაკაბაძის მეცნიერული მემკვიდრეობა. მან გამოაქვეყნა შრომები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის, დამხმარე ისტორიული დისციპლინების, ფილოლოგიისა და ტექსტოლოგიის საკითხებზე. მისი რედაქტორობით გამოცა „ვეფხისტყაოსანი", „თამარიანი", „აბდულმესიანი", „ამირანდარეჯანიანი" ვრცელი გამოკვლევებით. ს. კაკაბაძის მეცნიერული ინტერესების სფეროში შედიოდა აგერთვე, ეთნოგენეზისის, ისტორიული გეოგრაფიისა და დემოგრაფიის საკითხები.

ფართოდაა ცნობილი ს. კაკაბაძის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. იგი ლექციებს კითხულობდა რესპუბლიკის თითქმის ყველა პედაგოგიურ ინსტიტუტში, იყო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

კ ა კ ა ბ ა ძ ე საურმაგ სარგისის ძე. 2. VI. 1928. თბილისი — 23. IX. 1977. ლენინგრადი.

ისტორიკოსი, ფილოლოგი 1950 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ფრანგული განყოფილება, ხოლო 1951 წელს, დაუსწრებლად, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. მუშაობდა მუზეუმში, ძეგლთა დაცვის სამმართველოში და სხვ.

1960 წელს სამუშაოდ მიიწვიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების კავკასიურ კაბინეტში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იმოღვაწა, გახდა აღიარებული კავკასიოლოგი, შესანიშნავი წყაროთმცოდნე, არქეოგრაფი, პალეოგრაფი. მან ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია უურადღება ქართული საისტორიო ძეგლების ტექსტოლოგიურ კვლევას, შეისწავლა და გამოსცა XI—XIX საუკუნეთა 720 ქართული ხელნაწერი დოკუმენტი, რომლებშიც მრავალი უნიკალური საბუთია.

დიდი ღვაწლი მიუძღვის საურმაგ კაკაბაძეს ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა რუსულად თარგმნის საქმეში. მან რუს საზოგადოებას გააცნო ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებანი, „ძეგლი ერისთავთა" და სხვა მრავალი.

კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ლავროსი გიგილოს ძე. 23. XII. 1903, სოფელი ხიდ-სთავი, ჩოხატაურის რაიონი — 1. V. 1977, თბილისი

კრიტიკოსი, მწერალი. პირველდაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიიღო. შემდეგ სწავლობდა ჩოხატაურის გიმნაზიაში, ხოლო მოგვიანებით 1930 — 1933 წწ. მოსკოვში წითელი პროფესურის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტში.

ლ. კალანდაძე ადრე შეუდგა შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობას, მაგრამ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ლიტერატურის სამსახურს შეალია. იყო მწერლობის ისტორიკოსიც, კრიტიკოსიც და თეორეტიკოსიც. კვლევის ინტერესები მოიცავდა, როგორც კლასიკოსთა, ასევე უახლესი ლიტერატურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, თანამედროვე ახალგაზრდების შემოქმედებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები კ. ლორთქიფანიძის, ა. აბაშელის, გ. ქუჩიშვილის, ლ. ქიაჩელის, პ. იაშვილის, კ. გამსახურდიას, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, გ. ტაბიძის, ა. მირცხულავას და სხვათა შემოქმედებაზე. მისი ნარკვევი ნ. ბარათაშვილის შესახებ გამოიცა რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სხვა ენებზე. კრიტიკოსის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი ვრცელი და ღრმაშინაარსიანი გამოკვლევები. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

კ ა ლ ა ძ ე გულდა კარლოს ძე. 29. VIII. 1932, თბილისი — 15. VIII. 1974, თბილისი.

მხატვარი, მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი. 1957 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. იყო მრავალფეროვანი შემოქმედი. მისი ნიჭი და ინდივიდუალიზმი გამოვლინდა ფერწერასა და გრაფიკაში, მაგრამ ხელოვანის სტიქია ქანდაკება იყო. პლასტიკურობის გრძნობა მას დედის, თამარ აბაკელიასაგან გადმოჰყვა და თავისი ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე სულ ჩვიდმეტი სკულპტურული კომპოზიციის შექმნა მოასწრო, რომელშიც სრულად გამოვლინდა მისი შემოქმედებითი პოტენციალი — ფორმის გრძნობა, დახვეწილი პროპორციები: ასეთებია — „ყურძნის მტევანი“, „განთიადი“, ბიუვინთის საკურორტო კომპლექსისათვის შექმნილი სკულპტურული ჯგუფი „ოჯახი“, მონუმენტური რელიეფი სასტუმრო „ივერიისათვის“, კავკასიის გმირული დამცველებისათვის ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში დადგმული მემორიალური ანსამბლი.

ამ უკანასკნელისათვის გ. კალაძეს ერთ-ერთ პირველს მიენიჭა საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემია.

აქვე უნდა აღინიშნოს მხატვრის ნამუშევრები წიგნის გრაფიკაში. მან დაასურათა 30-მდე წიგნი, დაგვიტოვა რამდენიმე ათეული ფერადი, 300-მდე შავ-თეთრი და შერეული ტექნიკით შესრულებული ილუსტრაცია.

ადრე წასულმა კაცმა ბევრი განუხორციელებელი ოცნება გაიყოლა თან. ვერ მოასწრო „ლურჯა ცხენების" ფონზე თავისი საყვარელი მგოსნის გალაკტიონის ძეგლის ხორცშესხმაც. მძიმე ავადმყოფი დუღრმლად შრომობდა და სიკვდილის წინა დღესაც სამომავლო გეგმებს ადგენდა. თუმცა არ დასცალდა მათი განხორციელება, იგი მაინც განაგრძობს სიცოცხლეს თავისი შესანიშნავი შემოქმედების ნაყოფით.

კ ა ლ ა ძ ე კარლო რაჟღენის ძე. 16. III. 1907, სოფელი ეწერი (ჯიქთუბანი), სამტრედიის რაიონი — 10. XII. 1988, თბილისი.

პოეტი, დრამატურგი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1920 წელს არალეგალურ პრესაში კაკი ეწრელის ფსევდონიმით. 1924 წელს რედაქტორობდა ჟურნალ „პროლემაფს". 1927—1930 წლებში იყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი. 1931 წელს მისი ინიციატივითი ქუთაისში დაარსდა ლიტერატურული გაზეთი „სიტყვა და საქმე". იგი იყო 1924 წელს ჩამოყალიბებული ახალგაზრდა პროლეტარული მწერლების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი. მან აქტიური როლი შეასრულა საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნაში, იყო ამ კავშირის პრეზიდიუმის წევრი.

კ. კალაძის ადრინდელი ლექსებისათვის დამახასიათებელია რევოლუციური და ეროვნული პათოსი. 30-ან წლებში მისი პოეზიის თემატიკა და იდეურ-მხატვრული სამყარო საგრძნობლად მრავალფეროვანია. ამ პერიოდს ეკუთვნის პოეტის სხვადასხვა თემაზე შექმნილი ნაწარმოებები: პოემა „უჩარდიონი", „მთების ეპოსი", „ხერთვისის განთიადები" და სხვ. კ. კალაძე განსაკუთრებული შემოქმედებით გამოეხმაურა დიდ სამამულო ომს. ხანგრძლივად იმყოფებოდა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე და შექმნა ლექსებისა და პოემების წიგნი „შეხვედრები ბრძოლის ველზე".

პოეტის შემოქმედებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ხალხთა თანამეგობრობის თემას. მისი ნაწარმოებები თარგმნილია უცხო ქვეყნების მრავალ ენაზე. თავის მხრივ კ. კალაძემ ქართულად ითარგმნა რუსული, პოლონური, უკრაინული, აზერბაიჯანული, სომხური და სხვა ხალხების პოეზიის ნიმუშები. მან დიდი

ამაგი დასდო ქართულ დრამატურგიას. თეატრში, რომელსაც კ. მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა, დაიდგა კ. კალაძის პიესები „როგორ?“ და „ხატიჯე“, ხოლო სპექტაკლებს „სოფლის საღამოები“, „სახლი მტკვრის პირას“ წარმატება ხვდა რუსთაველის სახელობის თეატრში.

კარლო კალაძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოვებული იყო ოქტომბრის რევოლუციის, სამი შრომის წითელი დროშის და „სპატიო ნიშნის“ ორდენებით, მრავალი მედლით.

კანდელაკი ბიძინა სიმონის ძე. 7. III. 1902, ქუთაისი — 22. V. 1970, თბილისი.

ქიმიკოსი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1924 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი და ასისტენტად დატოვეს პროფესორ პ. მელიქიშვილთან. 1927 წელს ნიჭიერი ახალგაზრდა მიავლინეს გერმანიაში, სადაც წარმატებით დაამთავრა გეტინგენის უნივერსიტეტის ქიმიური გაყოფილება, შემდეგ იქვე მუშაობდა. 1929 წელს ასევე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, დაბრუნდა საშობლოში და სათავეში ჩაუდგა ქიმიის კათედრებს სხვადასხვა ინსტიტუტში. 1935 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრას. 1936 — 1939 წლებში იყო თბილისის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.

ბ. კანდელაკის შრომებმა ტრიქსოტროპიული გელების სტრუქტურისა და თვისებების შესახებ, მის მიერ წამოყენებული ლაბების კლასიფიკაციამ და სხვამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კოლოიდური ქიმიის განვითარებაში. მან გამოაქვეყნა ორმოცდაათზე მეტი ნაშრომი ჩვენში და უცხოეთში. იგი როგორც კოლოიდური ქიმიის თვალსაჩინო სპეციალისტი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქიმიკოსთა შორის. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

კანდელაკი ვალერიან ლაზარეს ძე. 19. VII. 1918, სოფელი სუფსა, ლაზჩხუთის რაიონში — 2. IV. 1983, თბილისი.

დრამატურგი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. საშუალო სკოლა ბათუმში დაამთავრა 1936 წელს და იქვე შევიდა პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ მათემატიკის, შემდეგ ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პარალელურად დაუსწრებლად სწავლობდა საკავშირო იურიდიულ ინსტიტუტში, საბოლოოდ, 1940

წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და... ხელი მიჰყო იურისტობას.

იმავანად ბათუმის თეატრს სათავეში ედგა გამოჩენილი ქართველი რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი, რომლის მაღალმხატვრულმა სპექტაკლებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს ახალგაზრდა იურისტის შემდგომი ცხოვრების გზა. თავი დაანება თავის პროფესიას და ხელი მოჰკიდა მწერლობას. თეატრმა მოიწონა და დადგა ახალგაზრდა დრამატურგის რამდენიმე ნაწარმოები, მათ შორის დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი პიესა „ბაბუა თევდორე", რომელიც ასევე წარმატებით იდგმებოდა ჭიათურის თეატრის სცენაზე.

ამას მოჰყვა „სარეველა", „მაია წყნეთელი", „ქართლის ჩიტალდნები", „ნაკრძალში", „დრო-24 საათი", „გრძელი დღე", „ოქროს საწმისი", „აიეტი" და სხვ. დრამატურგს ეკუთვნის აგრეთვე „მაია წყნეთელის" კინოსცენარი, რომელიც გადაიღო რ. ჩხეიძემ. ფილმს დიდი წარმატება ხვდა წილად. მისივე სცენარით განხორციელდა სატელევიზიო დადგმები „შოლოდინი" და „იხატებოდა სურათი".

მრავალფეროვანია ვალერიან კანდელაკის შემოქმედება. მაგრამ უმთავრესი თემაა სამშობლო და ქართველი ხალხის ისტორია. მისი უანგარო ღვაწლი მშობლიური ლიტერატურის წინაშე აღინიშნა „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ირაკლი ისაკის ძე. 27. IX. 1901, თელავი — 22. VII. 1970, თბილისი.

კინოდოკუმენტალისტი, საქართველოს სახალხო არტისტი. ახალგაზრდობაში სიმღერით იყო გატაცებული და დაამთავრა კიდეც თბილისის კონსერვატორია 1932 წელს. კინოში გვიან მოვიდა და თითქმის ოთხი ათეული წელი ემსახურა მას. აღსანიშნავია რეჟისორის მიერ სამამულო ომის პერიოდში შექმნილი ფილმები.

ქართველმა საზოგადოებამ დიდი ინტერესით ნახა მის მიერ ირანში გადაღებული „ფერეიდანელი ქართველები", რომელსაც დღესაც არ დაუკარგია მნიშვნელობა.

ირაკლი კანდელაკმა ქართული დოკუმენტური კინო გაამდიდრა ისეთი ფილმებით, როგორებიცაა: „მტკვრის კვალდაკვალ", „წელიწადის ოთხი დრო", „სამგორი", „ძველი ქალაქის გაზაფხული", „დიოსკურია", „ბაქირის საერთაშორისო გამოფენა" და სხვ. ბოლო წლებში ხელოვანი დაუბრუნდა ირანის თემას. იმოგზაურა იქ და შექმნა ფილმები: „თეირანის შთაბეჭდილებები" და „შირაზი, ის-

პაჭანი, პერსეპოლი". ი. კანდელაკის მრავალი ფილმი აღინიშნა პრემიით.

კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ნიკოლოზ ილიას ძე. 9. VII. 1907, სოფელი ბახვი, ოზურგეთის რაიონი — 25. V. 1965, თბილისი.

ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1929 წელს თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ბათუმის საშუალო სპეციალურ სასწავლებელში პედაგოგად და, პარალელურად, ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას. ამ პერიოდში გამოაქვეყნა თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი. 1938 წელს გადმოდის თბილისში და მუშაობს სხვადასხვა თანამდებობაზე, თანამშრომლობს თელავის, ბათუმის, გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექტორად, კათედრის გამგედ.

ნ. კანდელაკი ერთი პირველთაგანია, ვინც იკვლევდა ქართული მჭევრმეტყველების ისტორიას. ავტორს დიდი პოპულარობა მოუპოვა საინტერესო ნაშრომებმა: „ქართული მჭევრმეტყველება. ძეგლები და მასალები", „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება", „ქართული მჭევრმეტყველება. პირველი ქართველი ორატორები" და სხვ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი დახვეწილი ორატორული ხელოვნება და პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ლექციები, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ახალგაზრდობის სამშობლოს სიყვარულის გრძნობით აღზრდის საქმეში.

კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ნიკოლოზ პორფილეს ძე. 18. XI. 1889, დაბა კულაში, სამტრედიის რაიონი — 24. VIII. 1970, თბილისი.

მოქანდაკე თანამედროვე ქართული ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელი, პროფესორი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და გახდა პეტერბურგის ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. პარალელურად, დავით კაკაბაძესთან ერთად, მეცადინეობდა ლ. დმიტრიევ-კავკაზსკის სტუდიაში. თანდათან ჰობი სერიოზულ საქმედ ექცა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო იძულებული გახდა დაბრუნებულიყო სამშობლოში. აქ იგი ეწევა შრომითს საქმიანობას, თუმცა შემოქმედებითი ცეცხლი არ განელებია — იწყებს ფიგურების ძერწვას. ნ. კანდელაკის ერთმა ასეთმა ნამუშევარმა („მამაკაცის პორტრეტი") ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის ინტერესი გამოიწვია. სპეციალურმა სახელმწიფო კომისიამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე და ნიჭიერი თვითნასწავლი მოქანდაკე პეტერბურგს მიაელინეს

სამხატვრო აკადემიაში სასწავლებლად. აქ იგი მოხვდა ცნობილი ფრანგი მოქანდაკის ა. მაიოლის მოწაფე ა. მატვეევთან.

ნ. კანდელაკმა წარჩინებით დაამთავრა აკადემია და 1926 წელს სამშობლოში დაბრუნდა. აქ იგი მოწვეულ სამხატვრო აკადემიაში სადაც სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი დამსახურებაა, რომ ჩვენში აღიზარდა ნიჭიერ მოქანდაკეთა მთელი თაობები: თ. აბაკელია, ვ. თოფურიძე, შ. მიქატაძე, ე. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. ოჩიაური, გ. ფირცხალავა და სხვა-ვალი სხვ. ნ. კანდელაკის მხატვრული შემოქმედება და პედაგოგიური მოღვაწეობა ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული; მან დაამკვიდრა ჩვენში ფიგურის ძერწვის მაღალი კულტურა, მაგრამ მხატვრის შემოქმედებაში ძირითადად მაინც პორტრეტული ქანდაკებაა. მან შექმნა ფართოდ ცნობილი პორტრეტული ქანდაკებების მთელი გალერეა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნ. კანდელაკის დამსახურება ქართული მონუმენტური პლასტიკის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში. მის მიერ შექმნილი პატარა თუ დიდ ფიგურულ გამოსახულებაში ან პორტრეტულ ნამუშევრებში მკვეთრად იგრძნობა მონუმენტური ფორმა, სადაც მოქანდაკე დიდ მხატვრულ აზრს აქსოვს. ყოველივე ეს ჩვენი პლასტიკური ხელოვნების მიღწევაა და ამიტომ ფასდაუდებელია ამ დიდი შემოქმედის ღვაწლი ჩვენი კულტურის ისტორიაში. 1957 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება.

კ ა ნ დ ე ლ ა კ ი პავლე მამანტის ძე. 29. 1. 1900, დაბა აბაშა — 18. VIII. 1968, თბილისი.

მსახიობი, ხელოვნების და კულტურის მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, აქვე ეზიარა სასცენო ხელოვნებას. 1920 წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, 1922 წელს გადადის ა. ფალავას დრამატულ სტუდიაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1924 — 1930 წლებში რუსთაველის თეატრის მსახიობია. ამავე დროს ვოკალურ ხელოვნებას ეუფლება ო. შულგინას ხელმძღვანელობით თბილისის კონსერვატორიაში მონაწილეობს დრამატულ და საოპერო სპექტაკლებში. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა უბრუნდება უნივერსიტეტს, ამჯერად შედის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1931 წელს.

1930 წელს პავლე კანდელაკი ადმინისტრაციულ სამუშაოზეა. „საქფილეგთის" დირექტორი, ხელოვნების სამმართველოს უფროსის მოადგილე, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმე-

თა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. 1951 — 1952 წლებში პარალელურად ასრულებდა ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის მოვალეობას. შემდეგ რუსთაველის თეატრის, ხოლო 1956 წლიდან გრიბოედოვის თეატრის დირექტორია. ამ პერიოდში პ. კანდელაკი საქართველოს კინემატოგრაფიის, შემდეგ კულტურის მინისტრის მოადგილეცაა.

1962 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ჩვენი ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი. საქმის კარგი მცოდნე, დიდი ენთუზიასტი, უანგარო მამულიშვილი — ასე იცნობდა ჩვენი საზოგადოება პავლე კანდელაკს. იგი დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის, „სპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით. ღირსეულად ატარებდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებას.

კ ა პ ა ნ ა ძ ე დავით გიორგის ძე. 15. IV. 1898, თბილისი. — 7. III. 1971, თბილისი.

მეცნიერი, ნუმიზმატი. დამთავრა გორის კლასიკური გიმნაზია. აქვე ჩაენერგა ისტორიის სიყვარული, დაიწყო ძველი ნივთების, განსაკუთრებით ფულების შეგროვება. ბავშვობის ეს გატაცება დ. კაპანაძემ ცხოვრებისეულ საქმედ აქცია და ნუმიზმატიკის დარგში გახდა ავტორიტეტული სპეციალისტი.

1937 წელს დ. კაპანაძე, როგორც უკვე გამოცდილი ნუმიზმატი, მიიწვიეს დმანისის, გეგუთის, მცხეთის, გუდარეხის, და ბიჭვინთის ექსპედიციებში. 1939 წლიდან მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში, 1959 წლიდან კი განაგებს ამავე განყოფილებას, რომელიც მეცნიერმა გაამდიდრა უსასყიდლოდ გადაცემული საკუთარი კოლექციით.

1950 წელს დ. კაპანაძემ გამოაქვეყნა თავისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი „ქართული ნუმიზმატიკა", რომელშიც განხილულია ქართული ფულის 2500-წლოვანი ისტორია. 1955 წელს იგი შევსებული და გადამუშავებული სახით გამოიცა მოსკოვში.

დ. კაპანაძეს არ ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება, მაგრამ საქმის სიყვარულმა და რუდუნებამ მარალპროფესიონალ ავტორიტეტად აქცია. მას ნება დართეს 1948 წელს დაეცვა საკანდიდატო, ხოლო 1957 წელს სადოქტორო დისერტაციები. მის კალამს ეკუთვნის 70-მდე მეცნიერული ნაშრომი.

წლების მანძილზე დ. კაპანაძე ლექციების კურსს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1967 წელს ღვაწლმოსილ პროფესორს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული

მოღვაწის წოდება. დაჯილდოებული იყო „სამეფო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ქ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი — ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ალექსანდრა მიზეილის ასული. 1980, თბილისი — 15. I. 1962, თბილისი.

თეატრის მსახიობი, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ქართველიშვილის მეუღლე. დაიბადა სამხედრო მოსამსახურის ოჯახში, სწავლობდა თბილისში, გიმნაზიაში, მაგრამ 1894 წელს მამა გადაიყვანეს ვლადიკავკაზში, სადაც დაასრულა სწავლა. აქვე გადადგა პირველი ნაბიჯები სამოყვარულო სცენაზე. 1896 წელს ვლადიკავკაზში საგასტროლოდ ჩასულ ლადო მესხიშვილს მეტად მოეწონა ნიჭიერი ქალიშვილი და მიიწვია იგი თავის თეატრში. მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად ა. კარგარეთელი ჩამოვიდა თბილისში და იმავე წლის 9 ოქტომბერს შედგა ახალგაზრდა მსახიობის დებიუტი სპექტაკლ „ბაიყუშში“. მან არაერთი დასამახსოვრებელი სახე შექმნა ქართულ სცენაზე: ქეთევანი „სამშობლო“, მარინე „და-ძმა“, ელენე „ცოდვის შვილი“, ქეთო „ჩემს ცოლს ვეყრები“, ანა ანდრეევნა „რევიზორი“, გაგარინა „სამზადისი“ მაშიკო „ციმბირელი“ და სხვ.

სხვათა შორის ა. კარგარეთელის პირველი მეუღლე იყო მისი მოგვარე (და არა ნათესავი) კომპოზიტორი ია კარგარეთელი.

ქ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი დავით გიორგის ძე. 1863[1], სოფელ ხიდისთავი, გორის რაიონი — 26. VII. 1927, თბილისი.

პედაგოგი, მწერალი, მკვლევარი. 1876 წელს დაასრულა გორის სასულიერო სასწავლებელი, 1882 წელს კი თბილისის სასულიერო სემინარია და გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც ჩაირიცხა უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მაგრამ გამწვაევებული პოლიტიკური ვითარების გამო აქ დიდხანს არ დარჩენილა და იძულებული გახდა პარიზს წასულიყო, სადაც სწავლა განაგრძო სორბონის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე 1885 წელს საქართველოში დაბრუნდა და დაიწყო ფრანგული ენის მასწავლებლობა. შემდეგ მშობლიურ ენასა და ისტორიას ასწავლიდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში. ამავე დროს აქტიურად თანამშრომლობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“. 1892—1899 წწ. იყო ამ საზოგადოების გამგეობის მდივანი.

1885 წლიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა მისი

[1] სხვა მონაცემებით დაბადებულია 1862 წელს.

მოთხრობები, გამოკვლევები, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები. დ. კარიჭაშვილი დიდი რუდუნებით იკვლევდა საქართველოს წარსულს. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული ნაშრომები თამარ მეფეზე, დავით ალმაშენებელზე, ბაგრატ III-ზე, დავით კურაპალატზე და სხვ. მას ეკუთვნის აგრეთვე ცალკეული გამოკვლევები: „ქართველები უძველეს დროში", „ქართული წიგნის ისტორია" „ხუცური ანბანი" და სხვ.

არანაკლებ საინტერესო ნაშრომები შექმნა დ. კარიჭაშვილმა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებზე: „ვარდბულბულიანი", „იოსებ ზილიხანიანი", „იონა ხელაშვილი", „შუშანიკის წამება, — მისი ავტორი, დაწერის დრო" და სხვ. იკვლევდა „ვეფხისტყაოსანსაც". რუსთველოლოგიის თანამედროვე დონის მიუხედავად, მკვლევარის რამდენიმე ნაშრომი ამ დარგში, დღესაც ანგარიშგასაწევია. ამასთან ერთად იგი იყო მთელი რიგი გამოცემების რედაქტორი.

1921 — 1927 წწ. დ. კარიჭაშვილი თბილისის უნივერსიტეტთან არსებული სიძველეთა საცავის მცველია. სიკვდილამდე აქტიურად იღვწოდა, როგორც უნივერსიტეტში, ასევე პუბლიცისტიკაში. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე უანგაროდ და ნაყოფიერად ემსახურებოდა ქართულ კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეს.

კარსანიძე ვლადიმერ დავითის ძე. 23. V. 1910, სოფ. მათხოჯი, ხონის რაიონი — 2. VI. 1968, თბილისი.

დრამატურგი. თავისი ლექსებით იგი პირველად 1927 წელს გაიცნო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" მკითხველმა. მალე კომკავშირული საგზურით გაიგზავნა სახკინმრეწვში, ხოლო 1931 წელს მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში. 1935 წელს დაამთავრა სასცენარო ფაკულტეტი და დაბრუნდა საქართველოში.

ვ. კარსანიძე მრავალი მხატვრული და სამეცნიერო-პოპულარული ფილმის სცენარების ავტორია. როგორიცაა: „დაგვიანებული სასიძო", „ბაში-აჩუკი", „გლახის ნაამბობი", „ბედნიერი შეხვედრა", „ამბავი სოფელ ნატანებზე", „შემოდგომა კახეთში", „აკაკი წერეთელი", „გორი", „ფერეიდნელი ქართველები", „საინგილო" და სხვ. მისივე სცენარით გადაიღეს პირველი ქართული მულტფილმები: „ნიკო და სიკო", „გაზაფხულის სტუმრები" და სხვ.

ვ. კარსანიძის დრამატულ ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია პრემირებული პიესა „მუდამ მწვანე მთები" რომელიც წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის სახელობის თეატრში.

ვ. კარსაძიძე 40 წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა ქართული კინემატოგრაფიის განვითარების საქმეს. 1966 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

კ ა ს რ ა ძ ე დავით ილარიონის ძე. 27. XII. 1885, სოფელი ავნევი, გორის რაიონი — 16. II. 1965, თბილისი.

მწერალი, მთარგმნელი. სწავლობდა გორის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ სამხატვრო სასწავლებელში. 1908 წელს მიემგზავრება სასწავლებლად პარიზში, მაგრამ უსახსრობის გამო ორი წლის შემდეგ ბრუნდება საქართველოში და იწყებს პედაგოგობას, ასწავლიდა ფრანგულს კომერციულ სასწავლებელში. ცოტა ხნის შემდეგ, ისევ მიემგზავრება ევროპაში. პირველმა მსოფლიო ომმა მას არ მისცა საშუალება დაემთავრებინა ბრიუსელის უნივერსიტეტი და იძულებული შეიქნა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

თავისი პირველი ნაწარმოებები დ. კასრაძემ ჯერ კიდევ ყმაწვილობაში, 1901 წელს გამოაქვეყნა და აქედან მოყოლებული, სამოცი წლის მანძილზე, აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. ჯერ კიდევ რევოლუციამდე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება მისმა პუბლიცისტურმა წერილებმა თუ ორიგინალურმა ნაწარმოებებმა. გამოსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მკითხველთა შორის მწერლის სოციალური ელერადობის რომანმა „როსკიპი“ („გურანდა“). ამავე პერიოდში თარგმნა მან ცნობილი რუსი ანარქისტის პ. კროპოტკინის „საფრანგეთის დიდი რევოლუცია“.

დავით კასრაძეს ეკუთვნის საინტერესო რომანები: „თეთრი ზამბახი“, „კეთრი“, „ცხოვრება“, „სპარტაკი“, „მათიას შავარდენი“, „შურისმიხელი“, „იბერიის დედოფალი“ და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე მისი ორიგინალური და გადმოკეთებული პიესები: „ციხის ცრემლები“, „მეფე არლეკინი“, „რია“, „იუდა“, „შთა-ბარის მარგალიტი“, „კოლხიდის ვარდი“ და მრავალი საყურადღებო წერილი ლიტერატურის თუ ხელოვნების საკითხებზე და მემუარები.

კარგადაა ცნობილი ქართველი ბავშვებისათვის მწერლის წიგნი „ქალ-პეპელა“, „რათა აქვს ყაყაჩოს ხალები“, „ჩვენს საკურდღლეში“, „მზის გიშგიშა“, „ორი ზღაპარი“ და სხვ.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დ. კასრაძის მთარგმნელობით საქმიანობას. მას უნდა უმადლოდეს მკითხველი ისეთი მწერლების ქართულად ამეტყველებას, როგორებიცაა ლ. ტოლსტოი, ნ. გოგოლი, ი. ტურგენევი, მოლიერი, ფრანსი, გოლდონი, როსტანი და სხვ. მანვე შეადგინა და 1932 წელს გამოსცა ოსური ლიტერატურის პირველი ანთოლოგია ქართულ ენაზე. დ. კასრაძე იყო დიდად

განათლებული და დახვეწილი გემოვნების შემოქმედი და ყველაფერი ეს მან უშურველად უწილადა თავის მშობელ ხალხს.

კასრაძე — შანშიაშვილი მარიამ იოსების ასული. 15. IV. 1905, ცხ-ნვალი — 25. III. 1964, თბილისი.

მწერალ სანდრო შანშიაშვილის მეუღლე. სწავლობდა გორის ქალთა გიმნაზიაში. ცოლად გაჰყვა გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნებულ მწერალსა და დრამატურგს სანდრო შანშიაშვილს და მთელი თავისი ცხოვრება ოჯახს დაუკავშირა.

კაშიბაძე — მშველიძე თინა ვასილის ასული. 10. VIII. 1910, თბილისი — 4. I. 1984, თბილისი.

კომპოზიტორ შალვა მშველიძის მეუღლე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული და ფილოლოგიური ფაკულტეტები. იყო დიასახლისი, მაგრამ ამავე დროს კომპოზიტორის შემოქმედების პირველი პირუთვნელი კრიტიკოსი და შემფასებელი. თავდაპირველად დასაფლავებული იყო საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ხოლო 1984 წლის 17 მარტს გადმოასვენეს და დაკრძალეს მეუღლის გვერდით.

კაჭახიძე გიორგი ვარლამის ძე. 3. II. 1907, სოფელი დიდი ჯიხაიში, სამტრედიის რაიონი — 2. XII. 1979, თბილისი.

პოეტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე. საშუალო განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1930 წელს დაამთავრა.

სტუდენტობისთანავე დაუკავშირდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ გარშემო არსებულ ლიტერატურულ წრეს, აქვე გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსებიც. საზოგადოების ყურადღება მიიქცია ნიჭიერი ლიტერატორის პირველმა წიგნებმა; განსაკუთრებით აღსანიშნავია ერცელი პოეტური ნაწარმოები „ის უბანი და ის კარმიდამო“, რომელიც მწერლის ნახევარსაუკუნოვანი თავდადებული შემოქმედებითი შრომის შედეგს წარმოადგენს.

სამშობლოს სადიდებლად, მის სადღეგრძელოდ პოეტს არაერთი ამაღლებული ლექსი აქვს დაწერილი. ბევრი მათგანი შევიდა სასკოლო სახელმძღვანელოებში, ანთოლოგიებსა და ქრესტომათიებში. მრავალი მათგანი თარგმნილია უცხო ენებზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი როგორც საბავშვო მწერლისა და ჟურნალების „ოქტომბრელისა“ და „პიონერის“ რედაქტორის ღვაწლი. მან არა ერთი პოეტური კრებულით გამდიდ-

რა ჩვენი საბავშვო ლიტერატურა: „ალუბლები ჰყვავიან“, „სწავლასა და სიხარულში“, „მალხაზებისათვის რაც მიმღერია“ და სხვ. გიორგი კაჭახიძეს ეკუთვნის დიდი სიყვარულით დაწერილი მონოგრაფია შიო მღვიმელზე. პოეტს მინიჭებული ჰქონდა იაკობ გოგებაშვილის მედალი; დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

კ ა ხ ი ა ნ ი ნიკოლოზ საულის ძე. 11. VII. 1883, სოფელი რიკოთი, ბალდადის რაიონი — 15. II. 1928, თბილისი.

ექიმი-დასტაქარი, საქართველოში მეცნიერული და კლინიკური ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პროფესორი. 1896 წელს ბიძამ, გიორგი კახიანმა ყმაწვილი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარა, ხოლო 1902 წელს გადაიყვანა ვლადიკავკაზის კლასიკური გიმნაზიის მეექვსე კლასში. (სხვათა შორის აქ ნიკოლოზთან ერთად სწავლობდა მომავალში ცნობილი რეჟისორი ევგენი ვახტანგოვი). ვლადიკავკაზში ნიკოლოზი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი გახდა და ქართველ მოსწავლეებს ამეცადინებდა რუსულ ენასა და არითმეტიკაში. აქვე ბიძის გაელენით გადაწყვიტა გამხდარიყო ექიმი და 1904 წელს გაემგზავრა ოდესაში, სადაც ჩაირიცხა უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე.

ნ. კახიანმა 1910 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და ოთხი წელი იმუშავა იქვე ანატომიის კათედრაზე. ამ მოკლე ხანში იგი რამდენიმეჯერ მიაღწინეს კაიროში ბალზამირების ეგვიპტური წესის შესასწავლად. ახალგაზრდა მეცნიერი ერთხანს მუშაობდა ეკატერინოსლავის (ახლანდელი დნეპროპეტროვსკი) უნივერსიტეტში ანატომიის კათედრის გამგედ, ხოლო 1919 წელს გადმოვიდა თბილისის ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის კათედრის გამგედ, ხოლო 1921 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიული პათოლოგიის კათედრასა და პროპედევტიკის კლინიკას. თუმცა კლინიკა იმ დროს მინიმალური ინვენტარითაც არ იყო აღჭურვილი, კოლექტივმა ნ. კახიანის თაოსნობით სერიოზული მუშაობა გაშალა. მან თბილისში გააკეთა და შემდეგ საქართველოში დანერგა კუჭის რეზექცია წყლულოვანი დაავადების დროს, ტვინის დანამატის ამოკვეთის, თირკმლის და თირკმლისზედა ჯირკვლის რეზექციის, ტუბერკულოზით დაზიანებული თირკმლის სისხლის ძარღვების გადაკვანძის, თავის ქალის ტრეპანაციის, გულის ჭრილობის გაკერვისა და სხვა ურთულესი ოპერაციები. ნ. კახიანის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო

ნაშრომი და სახელმძღვანელო. იგი ნიადაგ ზრუნავდა ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის შექმნისა და სრულყოფისათვის.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერმა დიდი ენერგია შეალია ჩვენში სოფლად მკურნალობის დრომოჭმული მეთოდების ნაცვლად ახალი მეცნიერული მკურნალობის მეთოდების დანერგვას.

„ქირურგიის ჯადოქარის", გამოჩენილი მეცნიერის ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრება მაღალი პროფესიონალიზმისა და ხალხისადმი უანგარო სამსახურის ნათელი მაგალითია.

მამის ღირსეულ კვალს დიდი წარმატებით ანვითარებდა პროფ. საულ კახიანი, რომელიც 1992 წელს გარდაიცვალა და პროფესორი ზაალ კახიანი, რომელიც რესპუბლიკაში აღიარებულ ქირურგად არის ცნობილი. იგი საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და პირველი პრეზიდენტია.

კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე — ფ ო ცხ ვ ე რ ა შ ვ ი ლ ი ალექსანდრა მელიტონის ასული. 6. V. 1900, ქუთაისი — 3. II. 1986, თბილისი.

ქართული ხალხური მუსიკის მოამაგე. რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. აღიზარდა მწერლისა და კრიტიკოსის მელიტონ კელენჯერიძის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის ქალთა გიმნაზია. შემდეგ სწავლობდა თბილისის საოპერო სტუდიაში. 1919 წელს ცოლად გაჰყვა ცნობილ კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილს. 1921 წელს მოღვაწეობა დაიწყო როგორც მომღერალმა აკადემიურ გუნდში, რომლის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო თავად ბატონი კოტე. 1933 წელს ალექსანდრა ფოცხვერაშვილმა ჩამოაყალიბა მეჩონგურე ქალთა ანსამბლი, რომელშიც არაერთმა დამწყებმა მუსიკოსმა მიიღო პროფესიული წრთობა. იგი დიდი მოწონებით სარგებლობდა, როგორც ჩვენში ასევე საქართველოს გარეთ. მისი მაღალი ოსტატობა, მდიდარი რეპერტუარი განსაკუთრებით სამამულო ომის წლებში გამოვლინდა.

საინტერესოა, რომ გამოჩენილი კომპოზიტორის ი. დუნაევსკის თხოვნით ალექსანდრა ფოცხვერაშვილმა მოსკოვის სახელმწიფო აკადემიურ გუნდში მეჩონგურე ქალთა კოლექტივი ჩამოაყალიბა. იგი იყო ქართული ხალხური მუსიკის დიდი მოამაგე და პროპაგანდისტი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა თვითმოქმედი ანსამბლები ბათუმში, ჭიათურაში, ხაშურში, გორში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. დაჯილდოვებული იყო „სპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე არჩილ პავლეს ძე. 24. XII. 1912, დაბა ღუნიბი (დაღესტანი) — 21. XII. 1972, თბილისი.

კომპოზიტორი. ადრე გამოვლენილმა მუსიკალურმა ნიჭმა იმ-

თავითვე განსაზღვრა არჩილ კერესელიძის მომავალი. 1929 წელს იგი გახდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი, რომელიც 1934 წელს დაამთავრა ა. ვირსალაძის (საფორტეპიანო) და მ. ბაგრინოვსკის (საკომპოზიციო) კლასები. პროფესიული დონის ამაღლების მიზნით სწავლა განაგრძო მოსკოვის კონსერვატორიაში კომპოზიტორებთან დ. კაბალევსკისთან და ნ. მიასკოვსკისთან, პიანისტ ა. გოლდენვეიზერთან. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ცამეტი წლის განმავლობაში განაგებდა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუსიკალურ განყოფილებას, პარალელურად თბილისის კონსერვატორიაში ასწავლიდა პოლიფონიას. 1953—1971 წლებში კინოსტუდია „ქართული ფილმის" მუსიკალური რედაქტორია.

ა. კერესელიძემ დიდი ამაგი დასდო ჩვენი ეროვნული მუსიკალური ხელოვნების განვითარებას. მას თანაბრად ხელეწიფებოდა, როგორც საოპერო, ასევე სასიმღერო და კინომუსიკის ჟანრები. კომპოზიტორის ნაწარმოებებს შორის აღსანიშნავია: ოპერა „ბაში-აჩუკი", რომელიც გამოირჩევა მკაფიო მელოდიურობით, ბალეტი „ნაზიბროლა", ოპერეტები — „თბილისის ცის ქვეშ", „სამი საცოლე", „მთვარიდან დაბრუნება", „ალუბლის ყვავილობა" და სხვა. აგრეთვე სიმფონია, ორატორია „სიმღერა საქართველოზე", ორი საფორტეპიანო კონცერტი, მუსიკა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლებისათვის „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი", „მეფე ერეკლე", „ძველი ეოდეევილები" და სხვ. ხალხმა აიტაცა და გაითავისა ა. კერესელიძის სიმღერები „ყელსაბამი", „საპოვნელა", „მეზახეშირე", „თეთრი გედი", რომანსი „ეედრება", ასევე მუსიკა კინოფილმებისათვის: „ქეთო და კოტე" (აქ მას ეკუთვნის მუსიკალური რედაქცია და რამდენიმე ორიგინალური ნომერი), „ბედნიერი შეხვედრა", „მაგდანას ლურჯა", „ჩვენი ეზო", „ფატიმა" (ამ ნამუშევრისათვის 1958 წელს მიენიჭა ჩრდილო ოსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება), „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" და სხვ.

ა. კერესელიძის მუსიკა გამოირჩევა მელოდიურობით, ლირიული სიუხვით, ხალხურობითა და ეროვნული კოლორიტით. ქართული მუსიკალური კულტურის დიდი დამსახურებისათვის მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება, ხოლო 1974 წელს (გარდაცვალების შემდეგ) ზ. ფალიაშვილის პრემია. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე ივანე ივანეს ძე. 10. XI. 1829, თბილისი — 21. XII. 1891, თბილისი.

პუბლიცისტი, მწერალი, დრამატურგი, ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი 1850 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია, მაგრამ ხელმოკლეობის გამო უმაღლესი განათლების მიღება ვერ შეძლო. 1851 წელს იგი მიიწვიეს დავით და ეკატერინე დადიანებმა შვილების აღმზრდელად ზუგდიდში, სადაც ერთი წელი დაჰყო. ნივთიერად მოღონიერებული დაბრუნდა თბილისში და მთელი ენერგიით ჩაება კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, რასაც თავისი ფიზიკური, სულიერი და ნივთიერი შესაძლებლობანი მოახმარა. ჯერ დაიწყო საგამომცემლო მუშაობა, შემდეგ დახურული ქართული თეატრის აღდგენა და დრამატული დასის მეთაურობა იკისრა. 1857 წელს განაახლა ჟურნალ „ცისკრის" გამოცემა, რომელსაც 18 წელი შეალია. ჟურნალის ავტორიტეტზე მოწმობს ის, რომ აქ თანამშრომლობდნენ დ. ყიფიანი, გრიგოლ ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, რაფიელ ერისთავი, მიხ. თუმანიშვილი, შამია გურიელი, ილია, აკაკი, გიორგი წერეთელი. სწორედ ამ ჟურნალის ფურცლებზე იხილა მკითხველმა პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სხვათა ლექსები. იცოდა რა პრესის დიდი მნიშვნელობა, ივ. კერესელიძემ ყველაფერი გაიღო მის ფეხზე დასაყენებლად და სასიცოცხლოდ. ამას ისიც ართულებდა, რომ ახალი თაობა სამართლიანად ახალ მიმართულებას მოითხოვდა, მაგრამ ჟურნალის გამომცემელ-რედაქტორს ძირითად საქმედ „ქართველთა შორის ბეჭდვითი სიტყვის გავრცელება" მიაჩნდა.

ყოველდღიური დატვირთვის მიუხედავად, იგი მაინც ახერხებდა თავისი ორიგინალური შემოქმედების გამოქვეყნებას. პირველი ლექსი დაბეჭდა ჯერ კიდევ 1851 წელს „ზაკავკაზსკი ვესტნიკში; მოგვიანებით მისი ნაწარმოებები დასტამბეს „დროებამ", „ივერიამ" და სხვ. პოეტის ლექსთა კრებული გამოვიდა 1859 და 1878 წწ. ბევრი მისი ლექსი პოპულარულ სიმღერად იქცა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ივანე კერესელიძემ მთელი თავისი შესაძლებლობები უანგაროდ მოახმარა მშობლიური ქვეყნის სამსახურს, მის კეთილდღეობას.

კ ე შ ე ლ ა ვ ა პლატონ გიორგის ძე. 1893, სოფელი ერკეთი, ჩოხატაურის რაიონი — 18. IX. 1963, თბილისი.

მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და 1916 წელს შევიდა ყაზანის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1918 წელს საქართველოში დაბრუნდა და მუშაობის პარალელურად სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. აქედან მოყოლებული,

ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. არის ჟურნალების „მომავლისა“ და „ხელოვნების“ პასუხისმგებელი მდივანი. მაგრამ მისი ცხოვრების მთავარ საქმედ იქცა ყვარელში ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორობა, სადაც დაინიშნა 1943 წელს და უძღვებოდა სიცოცხლის ბოლომდე. პ. კეშელავამ მუზეუმი შეავსო მრავალი ექსპონატით და იგი რესპუბლიკის ერთ-ერთ საუკეთესო კულტურულ-საგანმანათლებლო კერად აქცია. ამასთანავე იგი კვლევით მუშაობასაც ეწეოდა. მის კალამს ეკუთვნის საყურადღებო ნაშრომები: „ილია ჭავჭავაძის გენეალოგია“, „ილია ჭავჭავაძე გოგოლის მსოფლიო მნიშვნელობაზე“, „ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრი 1906—1907 წლებში“, „ილია ჭავჭავაძე და არტურ ლაისტი“, „ილია შრომის შესახებ“, „ილია და ქართული თეატრი“ და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე მისი სხვა გამოკვლევებიც. მაგალითად, ნაშრომები: ი. ტურგენევზე, ლ. არდაზიანზე, არსენას ლექსზე, ვაჟა-ფშაველაზე და სხვ. იგი იყო კ. მარჯანიშვილის მემუარების რედაქტორი და მოლიერის პიესების თარგმანების კრებულის წინასიტყვაობისა და შენიშვნების ავტორი. საინტერესოა იგი, როგორც კრიტიკოსი და პუბლიცისტი. პლატონ კეშელავა 1920 წლიდან იბეჭდებოდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში. ყოველი მისი სტატია, ნაშრომი თუ კრიტიკული წერილი დაწერილია საქმის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით.

კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი ნიკოლოზ (ნიკო) ნიკოლოზის ძე. 26. XII. 1897, სოფელ ტყვიავი, გორის რაიონი — 23. XI. 1982, თბილისი.

მეცნიერი, ბოტანიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა პედაგოგის ოჯახში. სწავლობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში. 1926 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. სამეცნიერო-კვლევით მუშაობას იგი ჯერ კიდევ 1921 წლიდან შეუდგა. იყო ბოტანიკური ბაღის ლაბორანტი, რომელსაც აკადემიკოსი ა. ეუკოვსკი ხელმძღვანელობდა.

თავისი სპეციალობით გატაცებული ახალგაზრდა, სისტემატურად მონაწილეობს საველე ექსპედიციებში, რომელთა მეცნიერულ შედეგებსაც აქვეყნებს სტატიებისა და მონოგრაფიების სახით. გულმოდგინეთ სწავლობს საქართველოს მცენარეულ საფარს, რომლის ერთი ეტაპი მთავრდება ისეთი ფუნდამენტური ნაშრომით როგორიცაა „საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები“, სადაც მოცემულია საქართველოს მცენარეთა დეტალური დახასიათება და გაშუქებულია მათი გავრცელების კანონზომიერებანი.

ნ. კეცხოველი ადრე შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც — იგი ლექციებს კითხულობს უნივერსიტეტში და პარალელურად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ამაგდარი მამულიშვილის მეცნიერული და პედაგოგიური ღვაწლის დაფასება იყო, მისი არჩევა 1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ შეპადგენლობაში აკადემიკოსად.

1945 წლის აგვისტოდან 1953 წლის ივნისამდე ნ. კეცხოველი სათავეში ედგა საქართველოში უმაღლესი განათლების ფლაგმანს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ეს რვა წელი დაულალავი მოღვაწეობის წლები იყო ისე რომ ერთხელაც არ წასულა შვებულებაში და არ გამოუყენებია დასვენების უფლება. მისი ენერგიის წყალობით მკვიდრ ნიადაგზე დადგა არა მარტო სასწავლო და სამეცნიერო პროცესები, არამედ მხატვრული თვითმოქმედება და სპორტი. დაუცხრომელი მოღვაწის წყალობით ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მწერალთა წრე, დაარსდა მათივე ჟურნალი „პირველი სხივი", სადაც არა ერთმა და ორმა ნიჭიერმა შემომქმედმა, მომავალში ცნობილმა მწერალმა გადადგა პირველი ნაბიჯები, მათ შორის ნ. დუმბაძემ, შ. მაჭავარიანმა, ჯ. ჩარკვიანმა, ა. სულაკაურმა, რ. ინანიშვილმა, თ. ჩხენკელმა და სხვ. ეს ალბათ შემთხვევითი არ იყო, რადგან ნ. კეცხოველმა თავისი შეგნებული ცხოვრება მწერლობით დაიწყო — 1911 წელს ჟურნალ „ნაკადულში" დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა — ზღაპარი და აქედან მოყოლებული, თავის ძირითად მეცნიერულ საქმიანობასთან ერთად დიდი სიყვარულით ეჭიდებოდა თითოეულ ქართულ სიტყვას. ნიკო კეცხოველის ლიტერატურული მოღვაწეობა აღინიშნა რუსთაველის სახელობის პრემიით.

ღვაწლმოსილი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი ქართული ბუნების ნამდვილი მინდია იყო. იგი ყველა ძალასა და ავტორიტეტს ახმარდა დედაბუნების დაცვის კეთილშობილურ საქმეს. ბოლო ოცი წელი ხელმძღვანელობდა ბოტანიკის ინსტიტუტს, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. დაჯილდოვებული იყო 3 ლენინის ორდენით, 3 შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით, ი. გოგებაშვილის, ი. ჯავახიშვილის სახელობის მედლებით, მინიჭებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემია და სხვ.

კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი — მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ო ვ ი ნინო (ნუნუ) ნიკოლოზის ასული. 14. V. 1909, სოფელი ტყვიავი, გორის რაიონი — 27. II. 1994, თბილისი.

აკადემიკოს ვაგან მამასახლისოვის მეუღლე, აკადემიკოს ნიკო

კეცხოველის და. 1932 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ ლაბორანტად, შემდეგ ასისტენტად. 1948 წლიდან დიასახლისია.

კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი აკაკი ლუკას ძე. 14. XII. 1907, ქ. სამტრედია — 27. VII. 1977, თბილისი.

თეატრის, კინოს და ესტრადის მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. ბავშვობა „არათეატრალურ" გარემოში გაატარა, თვითონ კი გატაცებული იყო იმიტაციით, იუმორისტული სცენების ჩვენებით და წარმოდგენების გამართვით. შობლიურ ქალაქშივე ავიდა დრამწრის სცენაზე.

1924 წელს წარჩინებით დაამთავრა ჰუმანიტარული ტექნიკუმი და შინაურების დაუცითხავად ჩამოვიდა თბილისში, მისაღები გამოცდები ჩაბარა მშობლიური უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამავე დროს მ. ჭიაურელის მიერ ჩამოყალიბებულ რევოლუციურ-სატირულ თეატრში შედგა მისი სამსახიობო დებიუტი. შემდეგ ნუშათა თეატრშია. ნიჭმა თავისი ქნა და ეს კ. მარჯანიშვილს არ გამოპარვია. მან ახალგაზრდა მსახიობი ახლად დაარსებულ ქუთაის-ბათუმის თეატრში მიიწვია, ხოლო როცა კოლექტივი თბილისში გადმოვიდა აკაკი კვანტალიანიც თან გამოჰყვა და გარდაცვალებამდე აქ მოღვაწეობდა. ამ სცენაზე გადაიშალა მისი მეტად თავისებური აქტიორული სამყარო, რომელიც აოცებდა მაყურებელს მრავალფეროვანი გროტესკული საღებავებით და ემირთა გარდასახვის განსაკუთრებული უნარით. აქ შეასრულა მან 70-მდე როლი. მათ შორის ქუჩურა („ყვარყვარე თუთაბერი"), ხახული („კოლმეურნის ქორწინება"), ბადულია („ხატიჯე"), ქერუბინო („ფიგაროს ქორწინება"), გრუმიო („პირველი ცოლის მორჯულება"), ზემლიანკა („რევიზორი") და სხვ. 1952 წელს ინსტიტუტის დირექტორის როლის შესრულებისათვის ი. მოსაშვილის პიესაში „მისი ვარსკვლავი", მსახიობს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია. ა. კვანტალიანმა რეჟისურაშიაც მოსინჯა ძალები. კ. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დადგა „ცხოვრების ჯარა" და „გულსუნდა".

არანაკლებ გამობრწყინდა მსახიობის კომედიური ნიჭი კინოხელოვნებაშიც. მან 40-მდე დასამახსოვრებელი სახე შექმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია „უკანასკნელი ჯვაროსნები", „ქალი ხიდობნიდან", „მაგდანას ლურჯა", „მაია წყნეთელი" და სხვ. ა. კვანტალიანის შემოქმედების განუყოფელი ნაწილი იყო ესტრადა. იგი

სამართლიანადაა მიჩნეული ამ ჟანრის ფუძემდებლად. მისი და ალ. გომელაურის დუეტი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელთა შორის. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

კვერნაძე — ხუნდაძე თამარ ივლიანეს ასული. 27. VI. 1908, თბილისი — 13. VIII. 1988, თბილისი.

მწერალ სიმონ ხუნდაძის მეუღლე. 1925 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა (ყოფილი წმინდა ნინოს გიმნაზია), რომლის შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მუშაობდა გამომცემლობა „ფედერაციაში" რედაქტორად.

კვესელავა მიხეილ ალექსანდრეს ძე. 27. V. 1913, თბილისი — 6. XII. 1981, თბილისი.

ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1936 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და, როგორც წარჩინებული სამი ევროპული ენის მცოდნე სტუდენტი, ასპირანტურაში დატოვეს. აქედანვე იწყებს პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. მაგრამ სამამულო ომმა თავისი კორექტივები შეიტანა ახალგაზრდა მეცნიერის ცხოვრებაშიც. მ. კვესელავამ გაიარა ბრძოლის მძიმე და გრძელი გზა. მერე კი, როგორც კვალიფიციური გერმანისტი, თარჯიმნად მონაწილეობდა ნიურნბერგის პროცესში. შემდეგ ყოველივე ეს ბრწყინვალედ ასახა თავის ტრილოგიაში „ას ერგასის დღე".

ომის შემდგომ მ. კვესელავამ განაგრძო საზოგადოებრივი, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა. სხვადასხვა დროს იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი, უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, თეატრალური ინსტიტუტის რექტორი და სხვ. 1963 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია და მოიხსენიება იმ პროგრესულ მასწავლებელთა შორის, რომლებმაც ახალგაზრდობას თამამად „გაუღეს დასავლური კულტურის ერთ დრის დაგმანული კარი".

მეცნიერის კალამს ეკუთვნის ფუნდამენტური მონოგრაფიები: „ადამ მიცკევიჩი", „ბულგარული ლიტერატურა", ორტომეული „ფაუსტური პარადიგმები", „პოეტური ინტეგრალები" და სხვ. მას, როგორც მოქალაქესა და შემოქმედს თვალი მუდამ პროგრესულსა

და კაცობრიული აზროვნების ეპიცენტრისაკენ ეჭირა და თუ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მასშტაბურობა შეიძინა ძვრებმა ადამიანის კონცეფციის სფეროში, თუ სულიერ-გონითი პრობლემებისადმი ინტერესმა ალიარება და წარმატება ჰპოვა, ამაში დიდი წვლილი შიხეილ კვესელავასაც შიუძღვის. მისი როგორც პედაგოგის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და სამშობლოს დამცველი ჯარისკაცის დამსახურება ალინიშნა ორი სამამულო ომის ორდენით, წითელი ვარსკვლავის, „სპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით.

კიკნაძე — თავზიშვილი ანნა
პროფესორ გიორგი თავზიშვილის მეუღლე.

კიკნაძე — შენგელია თამარ ბენედიქტეს ასული. 21. XII. 1921, თბილისი — 25. VII. 1994, თბილისი.

აკადემიკოს პავლე შენგელიას მეუღლე. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სპეციალობით არ უმუშავნია, იყო დიასახლისი.

კილაძე გრიგოლ ბართლომეს ძე. 25. X. 1902, ბათუმი — 3. IV. 1962, თბილისი.

კომპოზიტორი, დირიჟორი, პროფესორი. საშუალო განათლება მიიღო თბილისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც ანდრია ყარაშვილის ხელმძღვანელობით დაეუფლა ვიოლინოზე დაკვრის ხელოვნებას. მისი შემოქმედებითი გზა დაიწყო 1922 წელს, როცა დაარსდა „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოება", რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი თვითონ იყო. ამავე პერიოდში (1925 წ.) შექმნა ახალგაზრდა კომპოზიტორმა თავისი პირველი სიმფონია „ქართული სუიტა".

1931 წელს გრ. კილაძემ დაამთავრა თბილისის კონსერვატორია და შეუდგა პედაგოგობას, 1941 წლიდან პროფესორია. პარალელურად მუშაობს რუსთაველის თეატრში — განაგებს მუსიკალურ ნაწილს. სხვადასხვა დროს იყო კონსერვატორიის დირექტორი, აგრეთვე ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე და სხვ.

კომპოზიტორის კალამს ეკუთვნის სიმფონიური პოემა „განდეგილი" (1941 წელს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია), ორი სიმფონია, ოპერები: „ბახტრიონი", „ლადო კეცხოველი", ბალეტი „სინათლე", რომლისთვისაც მისი ავტორი მეორედ გახდა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. გრ. კილაძე ცნო-

ბილია, აგრეთვე, როგორც შესანიშნავი დირიჟორი. წლების მანძილზე იყო საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისა და კონსერვატორიის საოპერო სტუდიის მთავარი დირიჟორი. მას ეკუთვნის მუსიკა კინოფილმებისათვის: „არსენა", „ფრთოსანი მღებავი", „უკანასკნელი მასკარადი" და სხვ.

ჩვენი ეროვნული მუსიკალური კულტურის დიდ შოამაგეს 1941 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით.

კ ი ლ ა ძ ე ლილე გრიგოლის ძე. 13. IV. 1928, თბილისი — 15. X. 1978, თბილისი.

დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი. 1954 წელს წარმატებით დაამთავრა პ. ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის კონსერვატორია პროფესორ ა. გაუკის კლასი და მუშაობა დაიწყო სარატოვის საოპერო თეატრისა და ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორად.

1958 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სათავეში ედგა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიურ ორკესტრს. მისი, როგორც დირიჟორის დიდი დამსახურებაა, რომ ჩვენი მსმენელი ეზიარა მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების არაერთ ნიმუშს, ქართველ, მათ შორის ახალგაზრდა კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

ლილე კილაძეს მომადლებული ჰქონდა ავტორის ჩანაფიქრის ამოცნობისა და განკვრეტის ღრმა ანალიზის უნარი. დიდი ერუდიცია და არტისტიზმი განსაკუთრებულ მუსიკოსად აქცევდა მას.

სიკვდილიც გამორჩეული ერგო. უკანასკნელ წუთამდე სადირიჟორო პულტთან იდგა კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტზე. წერტილი დაუსვა ორკესტრის საფინალო აკორდს და...

კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი სერგო დავითის ძე. 6. X. 1893, სოფელი ზედა სიმონეთი, თერჯოლის რაიონი — 14. X. 1986, თბილისი.

მწერალი, ნოველისტი. 1913 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, შემდეგ სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ მოუსწრო რევოლუციამ და იძულებული შეიქმნა დაბრუნებულიყო სამშობლოში. მისი პირველი ლიტერატურული მინიატურა ჯერ კიდევ 1911 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „სინათლეში". იგი ქართველ მწერალთა იმ თაობას ეკუთვნის, რომლებმაც დააარსეს „ცისფერყანწელთა" ლიტერატურული ორდენი

და უძველესი ქართული ლიტერატურული ტრადიცია ახალი შინაარსითა და ფორმებით გაამდიდრეს.

მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა მწერლის 2 რომანს „ფერფლს" და „მყუდრო სავანეს". ს. კლდიაშვილის სახელს უშუალოდ დაუკავშირდა ქართული ნოველის შექმნა, იგი სამართლიანად ითვლება ამ ჟანრის ერთ-ერთ გამოჩენილ ოსტატად. მისი ნოველები და მინიატურები — „ჭინკა ბიჭები", „გორგასლის თასი", „შემოდგომის წვიმა", „ჯორდანო ბრუნო", „სოფლის გზაზე საქართველოში", „შორეული ციალი", „სვანური მოთხრობების" მთელი ციკლი, სამართლიანად დამკვიდრდა ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სერგო კლდიაშვილის როგორც დრამატურგის ღვაწლი. მისი პიესები „გმირთა თაობა", „ირმის ხევი", „დაბრუნება" წარმატებით იდგმებოდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების სცენაზე. მან დაგვიტოვა აგრეთვე საგულისხმო კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე. ფასდაუდებელია მწერლის მოგონებები დავით კლდიაშვილზე, აკაკი წერეთელზე, ვაჟა-ფშაველაზე, პ. იაშვილზე, ტ. ტაბიძეზე, ვ. გაფრინდაშვილზე და სხვ. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ, გერმანულ, სომხურ, უკრაინულ, პოლონურ და სხვა ენებზე. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, „სპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი სიმონ გრიგოლის ძე. 2. II. 1865, სოფელი ქვიშხეთი, ხაშურის რაიონი[1] — 26. V. 1920, თბილისში.

არქიტექტორი. პირველდაწყებითი განათლება ქუთაისში მიიღო, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის საოსტატო სემინარიაში. 1895 წელს ვერცხლის დიდი მედლით დაამთავრა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი. ერთხანს მუშაობდა კოსტროშის გუბერნიასა და მოსკოვში, სადაც ადგილობრივმა არქიტექტორთა საზოგადოებამ იგი ოქროს მედლით დააჯილდოვა.

1896 — 1899 წლებში მოღვაწეობდა სოხუმში ქალაქის არქიტექტორად, შემდეგ სათავადაზნაურო გიმნაზიის საშენებლო კომიტეტმა, რომელსაც ნ. ცხვედაძე ხელმძღვანელობდა, თბილისში მიიწვია და დაავალა შეემუშავებინა მომავალი უნივერსიტეტის

[1] ზოგიერთი მონაცემებით იგი დაბადებულია ქ. ქუთაისში.

შენობის პროექტი. ნ. ცხვედაძესთან ერთად მასვე დაეკისრა მშენებლობის ზედამხედველობაც. თავისთავად ეს საქმე მოითხოვდა ხუროთმოძღვრისაგან შესაბამის ფუნქციონალურ და იდეურ გადაწყვეტას, რაც არქიტექტორმა ბრწყინვალედ შეასრულა. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ პროექტის ავტორს და მის „დამკვეთს" ნ. ცხვედაძეს, სამწუხაროდ მრავალი დაუშსახურებელი საყვედური და შეურაცხყოფა ერგოთ. მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს საშვილიშვილო საქმე წარმატებით დააგვირგვინეს.

სიმონ კლდიაშვილმა ძირფესვიანად გადააკეთა და ახალი ფასადით შეამკო ჭობულაშვილების სახლი (ახლანდელი თბილისის სამხატვრო აკადემია); აქვე ააგო სკოლები, ეკლესიები, საცხოვრებელი სახლები, სოხუმში სასტუმრო და საარქიელო ეკლესია. არქიტექტორი იყო ხელოვანთა საზოგადოების წევრი, ყველა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყების ქმედითი მონაწილე. 1902 წელს ე. თაყაიშვილთან ერთად იმოგზაურა სამხრეთ საქართველოში. მან აზომა 20-მდე ძეგლი, მათ შორის ადრინდელი ფეოდალური ხანის ისეთი ნაგებობა, როგორიცაა ბანა და შეადგინა მისი რეკონსტრუქციის პროექტი და სხვა.

კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი ნინო (ნუცა) გრიგოლის ასული. 1869 — 4. IV. 1942, თბილისი.

დაიბადა პოლკოვნიკ გრიგოლ კლდიაშვილისა და ქართული პროფესიული თეატრის ერთ-ერთი დამაარსებლის ეფროსინე (ეფრო) ყიფიანი — კლდიაშვილის ოჯახში. ეფრო დიმიტრი ყიფიანის ძმისწული იყო. ნუცას ძმა — ცნობილი ქიმიკოსი საბა კლდიაშვილი, 1905 წელს ოდესაში შავრაზმელებმა მოკლეს ებრაელთა დაცვისათვის.

ნუცა კლდიაშვილმა დაამთავრა თბილისის სამწლიანი სამეანო კურსები. დაკრძალულია ძმის, ხუროთმოძღვარ სვიმონ კლდიაშვილისა და შვილიშვილის დავით (დოდო) აბაშიძის გვერდით.

კ ო ბ ა ხ ი ძ ე ბადრი პეტრეს ძე. 8. VI. 1926, სოხუმი — 1. IX. 1988, თბილისი.

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა ცნობილი ქართველი მსახიობის პიერ კობახიძის ოჯახში, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ახალგაზრდის მომავალი. 1948 წელს დამთავრა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალური ინსტიტუტი, 1963 წელს კი — სარეჟისორო ფაკულტეტი. 1948 წლიდან იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი. მის სცენაზე ბადრი კობახიძემ შეასრულა 40-მდე მცირე თუ დიდი როლი. ნიჭიერი მსახიო-

ბის შესრულებული როლები გამოირჩეოდა სცენური მომხიბლელობით და დამაჯერებლობით. მისმა თეატრალურმა ძიებამ დიდად შეუწყო ხელი სამსახიობო კადრების ზრდასა და დაოსტატებას. ბ. კობახიძე დიდ ხანს მუშაობდა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში და ყოველივე კარგს გულუხვად გადასცემდა თაეის სტუდენტებს. ნიჭიერმა მსახიობმა და რეჟისორმა მნიშვნელოვანი კვალი დაუტოვა რუსთაველის თეატრის რეპერტუარს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ დადგმული სპექტაკლები ი. შტოკის „ღვთაებრივი კომედია“, რ. ნუშიჩის „წვიმის გამყიდველი“, ა. ჩხაიძის „დაბრუნება“, ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ და სხვ.

ბატონ კობახიძე იყო ჭეშმარიტი ინტელიგენტი, ფრიად განსწავლული თეატრალი, საქართველოზე შეყვარებული ხელოვანი.

კ ო ბ ა ხ ი ძ ე პიერ (პეტრე) კალისტრატეს ძე. 29. VI. 1906, ზუგდიდი — 17. VIII. 1963, სოხუმი.

მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი. 1924 წელს დაამთავრა აკაკი ფალავას სტუდია და ნიჭიერი ახალგაზრდა ჩარიცხეს რუსთაველის სახელობის თეატრში, რომელსაც კ. მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა. შემდეგ დიდმა რეჟისორმა თავის მიერ შექმნილ თეატრში მიიწვია და სიცოცხლის ბოლომდე ამ თეატრის წამყვანი მსახიობი იყო.

სცენაზე პ. კობახიძემ შექმნა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გმირების გალერეა: ურიელი („ურიელ აკოსტა“), ფერდინანდი („ვერაგობა და სიყვარული“), არმანი („მარგარიტა გოტიე“), პეტრუჩიო („ჭირვეული ცოლის მოთვინიერება“), პატარტოვი („უმზვითო“), ანტონუსი („ანტონიუს და კლეოპატრა“), ჩონთა („მოკვეთილი“), იცკა („იცკა რიეინაშვილი“), ვაშაძე („მისი ვარსკვლავი“, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია), და სხვ. ჭეშმარიტად ნიჭიერმა მსახიობმა შესძლო იმავე სცენაზე წარმატებით შეესრულებინა ურიელი დიდი უშანგი ჩხეიძის შემდეგ.

პიერ კობახიძე ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს რადიოში — იყო პირველი სპორტული კომენტატორი; ძველი რადიოჩანაწერებიდან დღესაც თანამედროვედ ჟღერს მის მიერ შექმნილი როლები, ქართველ პოეტთა ნაწარმოებების მისეული, პიერისეული, განუმეორებელი შესრულება. პოეზიის სიყვარული მსახიობს ბავშვობიდან დაჰყვა. ქართულ პერიოდიკაში მრავლადაა გაფანტული მისი ლექსები პეტრე ხეთელის ფსევდონიმით. ხელოვანმა რეჟისურაშიც სცადა ძალა: დადგა გ. ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო“, კ. კალაძის „ლალი“, მ. ჯაფარიძის „ბეღურა“ და სხვ.

რაც შეეხება პიერ კობახიძის მოღვაწეობას ესტრადაზე, იგი, ჩვენში ამ ჟანრის ერთ-ერთი ფუძემდებელია და მისი ღვაწლი ფასდაუდებელია.

3. კობახიძე მთელი არსებით თეატრალი და შემოქმედი, დაიღუპა როგორც ჯარისკაცი საბრძოლო პოსტზე, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გასტროლების დროს ზღვისპირეთში. იგი დაჯილდოვებული იყო ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, „სპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით

კოზმინსკაია—ჩიგოგიძე ნინო თევდორეს ასული. 3. X. 1903, ბაქო — 17. XI. 1984, თბილისი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, პროფესორ ნ. ჩიგოგიძის მეუღლე.

კორძახია გურამ ვლადიმერის ძე. 21. VI. 1923, თბილისი — 23. X. 1970, თბილისი

მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი. 1952 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. სადიპლომო ნამუშევარმა „ვლ. მაიაკოვსკიმ" ავტორს საყოველთაო აღიარება მოუპოვა, და არა მარტო საქართველოში ეს ძეგლი დაიდგა მოსკოვში პოეტის სახლ-მუზეუმის ეზოში, ხოლო მოგვიანებით მისივე ასლი აღიმართა თბილისში, დიღმის მასივში, მეგობრობის პროსპექტზე.

გურამ კორძახიას სხვა ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ნ. ბარათაშვილის პორტრეტი (ხე), „გოგონა ყვავილი" (მარმარილო, დაიდგა სასტუმრო „ივერიის" ეზოში) და სხვ. მოქანდაკე სისტემატურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენებზე. 1954 წლიდან ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ სამხატვრო სასწავლებელში, ხოლო 1966 წლიდან სამხატვრო აკადემიაში.

მისი თაობის მრავალ ხელოვანთან ერთად მანაც გამოიარა ომის უმძიმესი განსაცდელი. მამაცი მეომარი დაჯილდოვებული იყო წითელი დროშისა და დიდების ორდენებით, მედლით „მამაცობისათვის".

კოჩინაშვილი—გულისაშვილი ლიდა ვლადიმერის ასული. 8. IV. 1902, თბილისი — 20. III 1980, თბილისი.

პროფესორ არჩილ გულისაშვილის მეუღლე. დაიბადა ცნობილი პროვიზორის ოჯახში. მამამისი დიდად განათლებული და პროგ-

რესულად მოაზროვნე მოღვაწე იყო. იგი ღირსეულად აგრძელებდა ქართული ეროვნული წამალმცოდნეობის საგვარეულო ტრადიციებს. ავსტრიაში, ირანში, თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გუბერნიებში — სად არ შეხვდებოდი ამ დიდი ქველმოქმედის სააფთიაქო მაღაზიებს. ძველ თბილისელებს დღესაც ახსოვთ მარჯანიშვილის (ყოფილი კიროჩნის) მოედანზე ვლადიმერ კოჩინაშვილის სააფთიაქო მაღაზია.

ლიდა კოჩინაშვილმა დაამთავრა თბილისის ქალთა მეორე გიმნაზია. 1928 წელს მოსკოვის პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის სამრეწველო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი. 1928 — 1929 წწ. ამავე ინსტიტუტის ასისტენტია. შემდეგ გადმოდის თბილისში და აგრძელებს მუშაობას ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში ჯერ ასისტენტად, შემდეგ კითხულობს ლექციების კურს ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. 1933 წელს დაინიშნა ორგანული ტექნოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად. 1939 წლიდან პენსიაზე გასვლამდე (1976 წ) საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრის დოცენტია. 1943 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. აღსანიშნავია, რომ იგი იყო საქართველოში პირველი კანდიდატი ქალი, რომელსაც მიენიჭა სამეცნიერო სარისხი ტექნიკურ სპეციალობაში.

ლიდა კოჩინაშვილი გამოირჩეოდა კეთილშობილობით და საქმისადმი დიდი სიყვარულით. თავისუფლად ფლობდა გერმანულ და ფრანგულ ენებს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო-შეთოდოლოგიური ნაშრომი. მის მაღალ მოქალაქეობრივ სტატუსს ამშვენებდა სტუდენტი — ახალგაზრდობის, ახლობლებისა და კოლეგების სიყვარული და პატივისცემა. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

კრავეიშვილი ბათუ (ბართლომე) ირაკლის ძე. 16. XII. 1914, სამტრედია — 14. VI. 1970, თბილისი.

შოშლერალი (ბარიტონი), საქართველოს სახალხო არტისტი თავდაპირველად თბილისში პროფესორ ვ. ქრონსკისთან ეუფლებოდა ვოკალს, მაგრამ ისე მოხდა, რომ 1935 წელს დაამთავრა მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტი, თუმცა სცენაზე ფიქრი არ გაქნელებია. საბოლოოდ სასწორმა ხელოვნებისაკენ გადასძლია. 1937 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია და იმავე წელს დებიუტი ჰქონდა თბილისის საოპერო სცენაზე, „დაისში" შეასრულა კიაზოს პარტია. 1939 წელს გაიმარჯვა კონკურსში და ჩაირი-

ცხა მოსკოვის დიდი თეატრის დასში, სადაც წარმატებით იმღერა ჟერმონის, ელეცკის და სხვა პარტიები.

1941 წლიდან ბათუ კრავეიშვილი კელავ თბილისშია მან გაანელო დიდი და ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა — შექმნა მრავალი დასამახსოვრებელი საოპერო სახე. შეასრულა 42 წამყვანი საოპერო პარტია: კიაზო, მურმანი აბდულაქილი, გოჩა, თავადი იგორი, ელეცკი, ონეგინი, რობერტი, ჟერმონი, ამონასრო, სკარპია, ვალენტინი და სხვ.

ბ. კრავეიშვილს ჰქონდა ლამაზი ხავერდოვანი ტემბრის ხმა, გაბნელებელი ტემპერამენტი, უმშვენიერესი გარეგნობა და ხიბლი, არისტოკრატული დახვეწილობა. დიდ გამოცდილებას იგი უშურველად უზიარებდა ახალგაზრდებს, იყო კონსერვატორიის პედაგოგი. მან ქართულ კინოში სულ ორიოდე სახე შექმნა, მაგრამ რა სახეები! ლაზარია „დაკარგული სამოთხეში" და კოტე „ქეთო და კოტეში". მათ სამუდამოდ შემოინახავს ჩვენი კინოს ისტორია.

ცალკე თემაა ბათუ კრავეიშვილი და ესტრადა. მომღერალს ფართო საესტრადო პროგრამა ჰქონდა. დაუვიწყარია მისი ქართული რომანსი თუ ნეაპოლიტანური სიმღერა — ლაღი, შთამბეჭდავი და საამოდ სასმენი.

აღსანიშნავია მსახიობის გამოსვლები უცხოეთში — ჩეხოსლოვაკიაში პოლონეთში, უნგრეთში, გერმანიაში, რაც მისი შემოქმედებითი სრულყოფის ჭეშმარიტი დადასტურებაა. საგანგებოდ უნდა ითქვას მის ტრიუმფზე ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. იგი დაჯილდოვებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

კ უ პ რ ა შ ვ ი ლ ი ნინო (გოგუცა) ნიკოლოზის ასული. 15. IV. 1908,[1] ცაგერი — 21. IX. 1983, თბილისი.

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. 1924 წელს დაამთავრა ჰუმანიტარული სკოლა ქუთაისში და სწავლა განაგრძო თბილისის კონსერვატორიაში ეგრეთ წოდებულ დრამატულ ფაკულტეტზე, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კ. მარჯანიშვილი და აკ. ფალავა. ჯერ კიდევ სწავლისას, 1926 წელს, კ. მარჯანიშვილმა იგი რუსთაველის თეატრში მიიწვია. შემდეგ გადავიდა მუშათა თეატრში, ხოლო 1928 წლიდან თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრშია, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და წამყვანი მსახიობი თვითონ იყო.

ოცდაათი წელი იღვაწა ბ. კუპრაშვილმა ამ სცენაზე და თა-

[1] სხვა მონაცემებით დაბადებულია 1907 წლის 20 მაისს.

ვისი ნიჭითა და შონდომებით აღზარდა მაყურებლის რამოდენიმე თაობა. იგი განსაკუთრებული და იშვიათი ამპლუის მსახიობი იყო. მან შექმნა ბიჭუნების (ე. წ. ტრაესტი) დაუვიწყარი სახეები „მოზარდის“ სცენაზე: თავისუფლების მოტრფიალე ინგლისელი ჯონი („რობინ გუდი“), დოყლაპია ვახუშტი („ნაცარქექია“), დაბეჩავებული გიქორი („გიქორი“), ხულიგანი ნუკა („აურიე რგოლი“), მხიარული რუსი ბიჭი გრიშუტკა („კიკვიძე“), და სხვ.

არანაკლებ მომხიბლავი იყო მსახიობი გოგონებისა და ქალების როლებში: ზანგი ბეკი („ალმასის საბადოები“), წუნია გასათხოვარი („კომბლე“), ცელქი კატო („ქაჯანა“), მოხუცი ძიძა („რომეო და ჯულიეტა“) და სხვ.

გოგუცა კუპრაშვილი თანაბარი წარმატებით ასრულებდა, როგორც დრამატულ და ტრაგიკულ, ისე ლირიკულ-კომედიურ როლებს. ქართველი ახალგაზრდობის ამ უსაყვარლესმა მსახიობმა, მთელი ნათელი ცხოვრება ჩვენი მომავალი თაობის სულიერი აღზრდა-ჩამოყალიბებას შეალია.

კ უ პ რ ი ა ნ ო ვ ა — ა რ ა ყ ი შ ვ ი ლ ი მატრონა გერასიმეს ასული. 20. X. 1885, სოფელი ვასილევსკაია, ახლანდელი მოსკოვის ოლქი — 14. II. 1946, თბილისი.[1]

დიმიტრი არაყიშვილის მეუღლე, დიასახლისი. თავდაპირველად დასაფლავებული იყო კუკიის სასაფლაოზე. კომპოზიტორის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წლის სექტემბერში, გადმოასვენეს და დაკრძალეს მის გვერდით, დიღმის პანთეონში.

კ უ ხ ი ა ნ ი ძ ე თეიმურაზ მაქსიმეს ძე. 8. VII. 1934, თბილისი — 29. VIII. 1961, ტიან შანი, მწვერვალი „პობედა“.

ალპინისტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იქვე დატოვეს სამუშაოდ მეცნიერ მუშაკად. მრავალმხრივი სპორტსმენი, მისდევდა მძლეოსნობას, სათხილამურო სპორტს, ცურვაში იყო საქართველოს ჩემპიონი. ალპინიზმით 1952 წელს დაინტერესდა.

შესანიშნავი ფიზიკური მომზადების ნიჭიერი მთამსვლელი იმ დროს ჩატარებულ თითქმის ყველა ლაშქრობაში მონაწილეობდა და ორჯერ 1957 წელს დარვაზის ქედის ტრავერსის, 1960 წელს პამირის ზულუმარტისა და იმერალის ტრავერსების დალაშქვრისათვის ჩემპიონის ტიტული მიენიჭა და ოქროს მედლით დაჯილ-

[1] კომპოზიტორის სიძის პაოლონ სანიკიძის ცნობით საფლავის ქვაზე წარწერილი გარდაცვალების თარიღი ზუსტი არ არის.

დოვდა, 1956 წელს კი მოსკოვის პიკის დაპყრობისათვის ვერცხლის მედალი გადაეცა.

იმ საბედისწერო ასვლის შემდეგ, როცა თოვლმის ყველა სიძნელე უკან დარჩა, დაშვებისას, მოულოდნელი ავადმყოფობით გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მთამსვლელი ილია გაბლიანი. ცოტა ხნის შემდეგ ციცაბო კედელს მოსწყდა თემურ კუხიანიძე და შემდეგ მოიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელი ჯუმბერ მეძმარიაშვილი, რომელიც გადარჩენილი მეგობრის ამოყვანის გზებს ეძებდა.

ლაისტი არტურ ადოლფის ძე. 8. VII. 1852, ბრესლაუ (ახლანდელი ვროცლავი), პოლონეთი — 22. III. 1927, თბილისი.

გერმანელი მწერალი, ჟურნალისტი. დაიბადა სილეზიელი გერმანელი პედაგოგისა და პუბლიცისტის ოჯახში, რამაც განსაზღვრა მისი მომავალი. 22 წლისამ დაიწყო ჟურნალისტური მოღვაწეობა. როგორც პოლონური ენის კარგი მცოდნე, ვარშავაში ასრულებდა სამი გერმანული გაზეთის კორესპონდენტის მოვალეობას.

საქართველოსადმი ინტერესი პირველად აღუძრა ნიკო ნიკოლაძის წერილებმა, ხოლო ევროპაში მოგზაურობისას პოეტმა ბოდენშტატმა ურჩია ახლო გაეცნო მახლობელი აღმოსავლეთი და, კერძოდ, საქართველო. ა. ლაისტმა შეისწავლა ქართული და სომხური ენები, შეაგროვა მასალა საქართველოზე და გამოაქვეყნა წერილები გერმანულ და პოლონურ ჟურნალ-გაზეთებში. ამ პუბლიკაციებს გამოეხმაურა ქართული პრესა, ხოლო ი. ჭავჭავაძემ ა. ლაისტი საქართველოში მოიწვია. 1884 წელს იგი ერთი თვით ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებამ გულთბილად მიიღო შორეული მეგობარი. ამ მოგზაურობის შედეგად დაწერა ნაწარმოები „კოლხეთი“, ხოლო ჯერ ლაიპციგში და შემდეგ პოლონეთში გამოსცა წიგნი „საქართველო, ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა“.

ერთი წლის შემდეგ ისევ ესტუმრა საქართველოს. ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლის დახმარებით ხელი მიჰყო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას, რომელიც შეასრულა კიდეც და გამოსცა 1890 წელს დრეზდენსა და ლაიპციგში. უფრო ადრე, 1887 წელს, მან გერმანულ და პოლონურ ენებზე დასტამბა ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომლითაც ფაქტიურად ევროპას პირველად გააცნო ქართველი მწერლები.

1892 წლიდან ა. ლაისტი საბოლოოდ დამკვიდრდა საქართველოში, გახდა ქართული საზოგადოების ორგანული წევრი და აქტიურად ჩაება ჩვენი ცხოვრების ფერხულში. 1903 წელს დრეზ-

ლენში გამოქვეყნდა ა. ლაისტის ფუნდამენტური შრომა საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. ასეთივე ნაშრომი ქართულ ლიტერატურაზე გამოაქვეყნა მან იტალიაში ხანგრძლივი მოგზაურობის დროს. ეს წიგნი ითარგმნა მრავალ ევროპულ ენაზე.

1923 წელს თბილისში გამოვიდა მწერლის თხზულებათა პირველი ტომი, (მეორე გამოვიდა 1927 წელს). ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად, ხოლო უნივერსიტეტის გახსნის დღიდანვე გერმანული ენის კურსს კითხულობდა.

ჩვენი ქვეყნის ბევრ მეგობართა შორის არტურ ლაისტი გამორჩეულად მოჩანს. საგულისხმოა, რომ სიკვდილის შემდეგ მის საწერ მაგიდაზე იპოვეს ფურცელი რომელზედაც ეწერა: „მპატიე ჩემო პატარა სამშობლოსნაცვალო. ნუთუ ღირსი არა ვარ შენს მიწაზე დასაფლავების“. ღირსიც იყო და სათანადოდაც დაუფასეს ღვაწლი. დაკრძალეს დიდუბის პანთეონში და საფლავის ქვა მის მშობლიურ გერმანულ ენაზე ასეთი სიტყვებით შეამკეს: „ნეტარება შენ, სიმართლის შვილო. სახელგანთქმული და შექებული შენ ატარებ გამარჯვებისა და დიდების გვირგვინს“...

ლ ა ლ ი ო ნ ი (მ ა მ უ ლ ა შ ვ ი ლ ი) არსენ ანტონის ძე. 12. I. 1866, სოფელი დვაბზუ, ოზურგეთის რაიონი — 17. IX. 1918, თბილისი.

მწერალი, პედაგოგი. დაწყებითი განათლება ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში მიიღო და ხელმოკლეობის გამო ერთხანს სწავლა შეწყვიტა, მაგრამ მოგვიანებით მოახერხა სახელმწიფო ხარჯზე დაემთავრებინა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი. იგი გაანაწილეს აზერბაიჯანში — ჯერ ქ. შემახის საქალაქო სასწავლებელში, ხოლო 1893 წელს გადაიყვანეს ნახიჩევანში. აქ დაამაგრებული 1897 წელს გადმოვიდა თბილისში, სათაყვანებლად გიმნაზიის მასწავლებლად. 1900 წელს გამოჩენილ საზოგადო მოღვაწე იოანე გომართელთან ერთად თბილისში დააარსა კერძო სკოლა პანსიონით. ამ სკოლის მესვეურებმა სასწავლო პროგრამაში დიდი ადგილი დაუთმეს იმ დროს ცარიზმის მიერ დევნილ ქართულ ენას. პანსიონმა 1903 წლამდე იარსება და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოსწავლე — ახალგაზრდობას შორის, როგორც პატრიოტული გრძნობების გაღვიძების, ისე ქართული ენის სიყვარულისა და დამკვიდრების საქმეში.

ლალიონის პირველი ნაწარმოები, მოთხრობა „ფირალი დაეკარგა“ 1895 წელს დაბეჭდა ჟურნალმა „მოამბემ“. ამ მოთხრობას

მალალი შეფასება მისცა ალ. წულუკიძემ: „ღრმად და სიმარტივით აქვს ავტორს გადმოცემული“ ახალი კაპიტალისტური წესის შემოჭრა ჩვენში და მისი დამკვიდრება ფეოდალიზმის ნაშთებთან“.

მხატვრული სრულყოფის თვალსაზრისით ლალიონის შემოქმედებაში აღსანიშნავია მოთხრობები „რაქვიანა“ და „ბეჟუკას ხვედრი“, სადაც დახატულია XX საუკუნის ქართული სოფლის ცხოვრება, მასში კაპიტალიზმის დამკვიდრება. მწერლის მოთხრობაში „თინა“ პირველად ჩვენს ლიტერატურაში ნაჩვენებია საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ქართველი ქალის სახე.

ლ ა პ ი ა შ ვ ი ლ ი ფარნაოზ გიორგის ძე. 9. V. 1917, სოფელი მირზაანი, დედოფლისწყაროს რაიონი — 25. VII. 1994, თბილისი.

თეატრალური მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი. 1941 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და შთელი თავისი ნაყოფიერი შემოქმედება დაუკავშირა ქართულ სასცენო ხელოვნებას. გაფორმებული აქვს მრავალი დრამატული, საოპერო, საბალეტო, მუსიკალური სპექტაკლები, რამდენიმე კინოფილმი. ყოველივე მათგანი ცალკე დიდი თემაა მხატვრის შემოქმედებაში: ლ. გოთუას „დავით ალმაშენებელი“, მ. მრევლიშვილის „ბარათაშვილი“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და „ანტიგონე“, დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“, გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანი“, ბ. ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორი“, ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, კასონას „ხეები ზეზეულად კვდებიან“, შილერის „დონ კარლოსი“, ვაჟა ფშაველას „მოკვეთილი“, ვერდის „ოტელო“, მინკუსის „დონ კიხოტი“, ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ და მრავალი სხვა. კინოფილმები: „ქეთო და კოტე“, „ცისკარა“, „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“. სულ მას გაფორმებული აქვს 100-ზე მეტი სპექტაკლი თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, მესხეთის, აგრეთვე სანქტ-პეტერბურგის, კიევის, კიშინოვისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების სცენებზე.

ფარნაოზ ლაპიაშვილის შემოქმედებას ახასიათებს ფერწერულობა, სპექტაკლის შინაარსის ღრმა წვდომა. მხატვრის დეკორაციები შექმნილია ტრადიციული შტამპების გარეშე. მრავალი მათგანი მიჩნეულია საეტაპოდ და საპატიო ადგილი უჭირავს ქართული კულტურის საგანძურში. უკანასკნელ წლებში იგი ბევრს მუშაობდა დაზგურ ფერწერაში და, აქაც, დიდ წარმატებებს მიაღწია. განსაკუთრებით უნდა ითქვას პროფესორ ფ. ლაპიაშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე — 1960 წლიდან ხელმძღვანელობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის თეატრალური ფერწერის სახელოს-

ნოს, სადაც აღზარდა ჩვენი რესპუბლიკის წამყვან სცენოგრაფთა უმრავლესობა. გამოირჩეოდა მაღალი ადამიანური თვისებებით, უბრალოებით, თავაზიანობით, კეთილშობილებით. დაჯილდოებული იყო ორი შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით, 1951 წელს დ. თორაძის ბალეტ „გორდას“ შხატვრობისათვის მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.

ლასხიშვილი გიორგი მიხეილის ძე. 25. XII. 1865, ქუთაისი — 15. III. 1931, თბილისი.

პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. უკვე ქუთაისის გიმნაზიაში ჩამოყალიბდა როგორც ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი პიროვნება. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გამოსცა ხელნაწერი ჟურნალი „სტვირი“, რომელიც თავგამოდებით ილაშქრებდა ყოველგვარი ანტიქართულის წინააღმდეგ.

1884 წელს ჩაირიცხა ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ იგი, სერგეი მესხთან ერთად აქტიურად ჩაება ხალხისნური რევოლუციური ორგანიზაციის „ახალგაზრდა ნაროდნაია ვოლიას“ სამხრეთის ჯგუფის მუშაობაში, რისთვისაც ჯერ 1887 წელს გარიცხეს უნივერსიტეტიდან, ხოლო 1888 წლის 2 თებერვალს დაუპატიმრეს და 6 თვეს ქუთაისის ციხეში ამყოფეს. გათავისუფლების შემდეგ ერთ ხანს მუშაობდა საადგილმამულო ბანკში, მაგრამ 1889 წლის ზაფხულში კვლავ დაუპატიმრეს და 5 წლით გააციმბირეს.

1894 წელს გ. ლასხიშვილი საქართველოში დაბრუნდა მტკიცე გადაწყვეტილებით — მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მოეხმარებინა მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ამ გაწყობით წარუდგინეს იგი 1895 წლის იანვარში, გაზეთ „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც გზა დაუღლოცა ახალგაზრდა მოღვაწეს.

ეს პერიოდი საქართველოში რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებით ხასიათდებოდა — დემოკრატიული ბანაკი ორად გაიყო. მათ შორის ვინც ცდილობდა ამ დაპირისპირებული ძალების კონსოლიდაციას, ერთ-ერთი პირველი გ. ლასხიშვილი იყო. იგი აღნიშნავდა: „დღეს დროთა ვითარების გამო, ჩვენ ყველანი შევადგენთ ერთ პარტიას, ერთი აზრით გამსჭვალულს“. გ. ლასხიშვილი ამას არა მარტო თეორიულად ასაბუთებდა, არამედ მიზნად დაისახა შეექმნა ეროვნულ მიმდინარეობათა გამაერთიანებელი ორგანიზაცია. ამ მიზნით „ივერიაში“ თავი მოუყარა ახალგაზრდა პუბლიცისტ-ინტელიგენტთა რადიკალურად განწყობილ ჯგუფს. „ივერიის“ დახურვის შემდეგ (1896 წ.) ეს ჯგუფი

„ცნობის ფურცელის“ გარშემო გაერთიანდა, რომლის ფაქტიური რედაქტორი გ. ლასხიშვილი იყო. სწორედ აქ ჩაისახა მომავალი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომლის პრაქტიკული ხელმძღვანელობა მანვე იტვირთა.

ეს აქტივობა უყურადღებოდ არ დარჩენია ხელისუფლებას, რომელმაც 1910 წელს ფედერალისტური პარტიის მთავარი კომიტეტის ლიკვიდაცია მოახდინა, გ. ლასხიშვილი კი ჯერ 7 თვით ჩასვეს ციხეში, ხოლო შემდეგ 5 წლით ცხოვრება აუკრძალეს კავკასიაში. მან საცხოვრებლად ხარკოვი აირჩია, სადაც სამი წელი დაჰყო. შემდეგ ბაქოში გადასვლა მოახერხა დასთან; მოგვიანებით დაბრუნდა თბილისში. საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში გ. ლასხიშვილი იყო განათლების მინისტრი და მთავრობის კაბინეტში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი.

1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის XI არმიის შემოტევების შედეგად როგორც მთავრობის ყველა წევრი გ. ლასხიშვილიც ოჯახით ბათუმს ჩავიდა ემიგრაციაში წასასვლელად. მაგრამ ბოლო მომენტში უარი თქვა გამგზავრებაზე და სამშობლოში შფოთიანი ცხოვრება ამჯობინა მასთან სამუდამოდ განშორებას. საბჭოურ ხანაში გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე საბოლოოდ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და მუშაობდა საგარეო ვაჭრობის სამინისტროში საფინანსო აგენტად, ბანკის გამგეობის წევრად. 1926 წელს სამსახურსაც თავი დაანება.

დიდია გიორგი ლასხიშვილის წვლილი მშობლიური კულტურის წინაშე. მისი დაუცხრომელი მოღვაწეობის შედეგად 1918 — 1921 წლებში საფუძველი ჩაეყარა არა ერთ საგანმანათლებლო — აღმზრდელობით დაწესებულებას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მისი, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის ქმედითი მონაწილეობა ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტისა და თბილისის კონსერვატორიის დაარსების, სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღების საქმეში და სხვ. განუზომელია ამ ჭეშმარიტი მამულიშვილის ღვაწლი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

ლ ა ღ ი ძ ე რევაზ ილიას ძე. 10. VII. 1921, ბაღდადი — 16. X. 1981, თბილისი.

კომპოზიტორი. საქართველოს სახალხო არტისტი. 1939 წელს დაამთავრა თბილისის მეოთხე სამუსიკო სასწავლებელი, ხოლო 1948 წელს ანდრია ბალანჩივაძის საკომპოზიციო კლასით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, შემდეგ ასპირანტურა. 1941 წლიდან უკრავდა საქართველოს სიმფონიურ ორკესტრში, იყო კი-

ნოსტუდია „ქართული ფილმის“ მუსიკალური რედაქციის გამგე, ხოლო 1965 წლიდან სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკის კათედრის გამგე და პროფესორი.

რ. ლალიძე ყოველგვარ ცდუნებასა და მიმბაძველობას მოკლებული საკუთარი სმით „მომღერალი“ ხელოვანია. მისი მდიდარი შემოქმედებითი პალიტრა მოიცავს სხვადასხვა ჟანრს — სიმღერიდან სიმფონიურ ნაწარმოებამდე. მისი ქმნილებები გამსჭვალულია მგზნებარე პატრიოტიზმით, ქვეყნის წარსულის პატივისცემით, აწმყოს სიყვარულით და სათელი მომავლის იმედებით. სწორედ ამიტომ კომპოზიტორის მუსიკა ხალხმა გაითავისა და შეისისხლხორცა. რამდენი წელი გავიდა, რაც დაიწერა „სიმღერა თბილისზე“, მაგრამ იგი ისევ პოპულარულია. კომპოზიტორის დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა მისი ხანგრძლივი მუშაობა ოპერა „ლელაზე“, რომელიც თბილისის გარდა სლოვაკიის ქალაქ კოშიცეში დაიდგა.

რ. ლალიძე მშობლიური ბუნების ტრფიალი იყო, ეს აისახა მის სიმღერებში „ტყე შეუნახე შვილებსა“, „ბალადა ეაზზე“ და სხვ. მისი ვატაცება ნადირობით, თევზაობით, ზოგიერთს კომპოზიტორის ტალანტის უქმად ხარჯვად მიაჩნდა. ერთხელ ეს მოუსმენია საქართველოში სტუმრად მყოფ დიმიტრი შოსტაკოვიჩს და უთქვამს: „მე დიდი სიამოვნებით გავცდებოდი ნამდვილი მეთევზე, თუ ჩემს ბადეში ისეთი ოქროს თევზი მოხვდებოდა, როგორიც მისი „საჩიდაოა“. შეორე დღეს ამის თაობაზე ხუმრობდნენ: შონკავშირის მაღაზიებში კომპოზიტორთა გრძელი რიგი დადგაო.

დიდია რ. ლალიძის ღვაწლი კინომუსიკის განვითარებაში. იგი 30-ზე მეტი ფილმის ავტორია. კომპოზიტორის ხატოვანმა, კოლორიტულმა, ხალისიანმა მუსიკამ დიდად შეუწყო ხელი ისეთი კინოფილმების წარმატებას, როგორიცა „საბუდარელი ჭაბუკი“, „ნინო“, „შეწყვეტილი სიმღერა“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ხევსურული ბალადა“, „ეკლახის ნამბობი“, „კეთილი ადამიანები“ და სხვ. მ-ს კალამს ეკუთვნის აგრეთვე მუსიკალური კომედიები: „კომბლე“, „მეგობრები“.

საქართველოში დიდად უყვარდათ ჭეშმარიტი სახალხო ხელოვანი. მისი ყოველი სიმღერა თუ მელოდია, თითქოსდა კეთილი ადამიანების გულში იბადებოდა, ხალხის გულიდან იყო ამოფრქვეული და შემდეგ კვლავ იმავე გულში სამარადჟამოდ იბუდებდა. რ. ლალიძემ მშობლიური ხალხის სიყვარული და აღიარება მოიპოვა. მისი შემოქმედება ღირსეულად დაფასა საშობლომ. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, „სპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით, მინიჭებული ჰქონდა რუსთაველის, ზ. ფალიაშვილისა და სსრკ სახელმწიფო პრემიები და სხვ.

ლეჟავა გიორგი ილიას ძე. 4. VII, 1903, სოფელი ლახუნდერი, ხარაგოულის რაიონი — 6. I. 1977, თბილისი.

არქიტექტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. 1929 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და დაიწყო მუშაობა თბილისის საპროექტო ინსტიტუტში. 1931 წელს ხანგრძლივი ვადით სამუშაოდ გაგზავნილა მოსკოვში და ჩაირიცხა X-ე არქიტექტურულ სახელოსნოში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ხუროთმოძღვარი აკადემიკოსი ა. შჩუსევი. აქ მის მიერ შექმნილი პროექტები არაერთხელ აღინიშნა პრემიებით. 1941 წლიდან იგი არქიტექტურის აკადემიის ასპირანტია. მაგრამ ომმა თავისი კორექტივები შეიტანა მის ცხოვრებაში და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი არქიტექტორი არტილერისტი გახდა. ასპირანტურა მან მხოლოდ ომის შემდეგ დაამთავრა.

1946 წელმა გ. ლეჟავას დიდი შემოქმედებითი გამარჯვება მოუტანა. არქიტექტორ ვ. კოკორინთან ერთად შექმნილმა საქართველოს მთავრობის სასახლის წინა კორპუსის არქიტექტურულმა პროექტმა კონკურსში გაიმარჯვა; მომდევნო წელს კი მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის პროექტზე გამოცხადებულ კონკურსშიც მოიპოვა გამარჯვება. მისივე პროექტებით აშენდა ფიზიკის, ხელნაწერთა, მათემატიკის ინსტიტუტები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტური ბიბლიოთეკა, რკინიგზის პავილიონი ახალ ათონში და სხვ.

პრაქტიკულ საქმიანობას გ. ლეჟავა წარჩინებით უთავსებდა სამეცნიერო კვლევით საქმიანობას. იგი ხშირად მონაწილეობდა არქეოლოგიურ თუ აზომვით ექსპედიციებში საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. სახელდობრ მან აზომა და მეცნიერულად შეისწავლა საცხოვრებელი სახლები მთა-თუშეთსა და სვანეთში. 1965 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად და ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მთავარ არქიტექტორად. მის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი გამოკვლევები მცხეთის, უფლისციხის, საჩხერის, სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესახებ. გ. ლეჟავამ თავის მეუღლე მ. ჯანდიერთან ერთად გამოსცა ორი მონოგრაფია — „სვანეთის არქიტექტურა“ და „მთიანი საქართველოს არქიტექტურა“.

ლეჟავა — თოფურია თამარ ანგელას-ასული. 28. V. 1904, ჭიათურა — 2. II. 1972, თბილისი.

აკადემიკოს ვარლამ თოფურიას მეუღლე. დიასახლისი.

ლეონავა ნიკოლოზ რომანის ძე. 13. II. 1883, თბილისი — 5. I. 1927.

ინჟინერ-მშენებელი. დაამთავრა თბილისის სარკინიგზო ტექნიკური სასწავლებელი და 1903 წელს დანიშნა შორაპანში ამიერკავკასიის რკინიგზის მეოთხე სალიანდაგო უბანზე უფროს მუშად. ორი წლის შემდეგ გადავიდა ჭიათურაში გზის ოსტატად, შემდეგ აქვე დაწინაურეს ტექნიკოსად. 1908 წელს სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ იღებს გზათა ტექნიკოსის წოდებას. ამავე დროს სამუშაოთა მწარმოებელია ჭიათურა-დარკვეთ-საჩხერის ხაზის მშენებლობაზე. 1911 წელს გადაჰყავთ ბაქოში, სადაც ერთი წლის განმავლობაში ასრულებს უბნის უფროსის თანამშემწის მოვალეობას.

კახეთის რკინიგზის მშენებლობის დაწყებისთანავე ნ. ლეონავა დანიშნა თბილისი-ვაზიან-იორის დისტანციის უფროსად, ხოლო გზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ პირველი სალიანდაგო უბნის უფროსად. აღსანიშნავია მისი საქმიანი თვისებები: მაღალი პროფესიონალიზმი, მომთხოვნელობა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ნ. ლეონავას ქმედითი მონაწილეობით დაარსდა 1917 წელს თბილისში ქართული ტექნიკური საზოგადოება.

1919 წელს დემოკრატიული საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 60 სტუდენტი გაიგზავნა უცხოეთში უმაღლესი განათლების მისაღებად. აქცენტი აიღეს პრაქტიკული გამოცდილების ახალგაზრდებზე. ნ. ლეონავამ პირველი ადგილი დაიკავა სტიპენდიანტთა შორის ადგილი. 1924 წელს წარჩინებით დაამთავრა შარლოტენბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მშენებლის წოდებით. სამშობლოში დაბრუნებისთანავე დანიშნა ზაჰესის მშენებლობაზე უბნის უფროსად. შეთავსებით მუშაობდა თბილისკოჯრის რკინიგზის გეგმის შედგენაზე. 1926 წელს გადაჰყავთ ქალაქის აღმასკომში ტექნიკური ნაწილის გამგედ, შემდეგ დაევალა ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის ხელმძღვანელობა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ნ. ლეონავას პედაგოგიური მოღვაწეობაც. იგი თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს სპეციალურ საგნებში და როგორც ლექტორი გამოირჩეოდა მაღალი პროფესიული მომზადებით, მომთხოვნელობით, კეთილსინდისიერებით, რისთვისაც სტუდენტობაში დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ამიტომ იყო, რომ ყველამ ერთნაირად დაიტირა ეს ღირსეული მამულიშვილი.

ლესელიძე კონსტანტინე ნიკოლოზის ძე. 2. X. 1903[1], სოფელი ხვაბრეთი, ოზურგეთის მაზრა — 21. II. 1944, მოსკოვი.

გენერალ-პოლკოვნიკი, მე-18 სადესანტო არმიის სარდალი, საბჭოთა კავშირის გმირი. 1921 წელს დაამთავრა ოზურგეთის გიმნაზია, ხოლო 1922 წელს ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის საartილერიო განყოფილება და იქვე დატოვეს სამუშაოდ. 1929 წელს ლენინგრადში გაიარა მეთაურთა კურსები. 1937 წელს დანიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში 63-ე ქართული სამთო-მსროლელი დივიზიის მეთაურად, ხოლო 1938 წელს გადაიყვანეს ბელორუსიის სამხედრო ოლქში. სწორედ აქ, მინსკში, მოუსწრო დიდი სამამულო ომის დაწყებამ. იმხანად იგი მეთაურობდა კორპუსის არტილერიას.

კ. ლესელიძე ომის პირველი დღეებიდანვე ჩაება სისხლისმღვრელ ბრძოლებში. მისი ბატარეია იბრძოდა სმოლენსკის, ბრიანსკის ფრონტებზე, გმირულად იცავდა მოსკოვის მისადგომებს. 1942 წლის ივნისში გადმოიყვანეს ამიერკავკასიაში და დანიშნეს მესამე მსროლელი კორპუსის მეთაურად. 1942 წლის შემოდგომაზე მტერი უკუგდებული იქნა კავკასიიდან. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა 46-ე არმიამ, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი კ. ლესელიძე ხელმძღვანელობდა. ამის შემდეგ სახელოვანი მხედარმთავარი სარდლობდა ჯერ 47-ე, შემდეგ მე-18 არმიას, რომელიც განსაკუთრებული წარმატებით იბრძოდა ნოვოროსიისკის, ანაპის, „მცირე მიწის“ დაცვით ოპერაციებში და შემდეგ ტამანის 440-ათასიანი დაჯგუფების განადგურებაში, ქერჩის პლაცდარმზე და ყირიმში. 1943 წლის ნომბრიდან მე-18 სადესანტო არმია უკვე უკრაინის პირველი ფრონტის შემადგენლობაშია. ყველგან, სადაც კი იყო გენერალ-ლეიტენანტი კ. ლესელიძე, თავი გამოიჩინა როგორც გამბრძოლმა და მამაცმა მეთაურმა. მაგრამ ავადმყოფობამ დარია ხელი და იძულებული შეიქმნა ჩამოცილებოდა მტრის საბოლოო განადგურების საქმეს. გარდაიცვალა მოსკოვის ერთ-ერთ ჰოსპიტალში.

ჯარების უნარიანი ხელმძღვანელობისა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 13 მაისის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ამის გარდა დაჯილდოვებული იყო ლენინის, წითელი დროშის, სუვოროვის პირველი ხარისხის, კუტუზოვის პირველი ხარისხის, ბოგდან ხმელნიცკის პირველი ხარისხის, ორი წითელი ვარსკვლავისა და საქარ-

[1] ასეა მონაცემებით დაბადებულია 1904 წლის 15 მარტს.

თველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენებით და მრავალი მედლით.

ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი (ხ ო მ ე რ ი კ ი) იაკინთე ბარნაბის ძე. 19. IX. 1897, სოფელი ზედობანი, ოზურგეთის მაზრა — 1. III. 1972, თბილისი.

მწერალი, დრამატურგი. შრომით საქმიანობას ადრე შეუდგა. 1916 წელს ჯარში გაიწვიეს. არმიიდან დაბრუნებული საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და მუშაობა დაიწყო სამხედრო სამინისტროს სტამბაში. აქ გაეცნო ძველ ბოლშევიკებს და ჩაერთო რევოლუციურ საქმიანობაში. 1920 წელს დააპატიმრეს.

ლიტერატურული საქმიანობა ი. ლისაშვილს ჭაბუკობიდანვე იტაცებდა. პირველი ერთმოქმედებიანი პიესა „უნაყოფო ნეფეში" 1919 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში". მალე ამას მოჰყვა ოთხმოქმედებიანი დრამა „ოშის ბრალია". პერიოდულ პრესაში რეგულარულად იბეჭდებოდა მისი პიესები, ლექსები, ნოველები, რომანები. იგი ლექსებისა და პოემების 6 კრებულის ავტორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანი „ქეცხოველი", სადაც ყველაზე უფრო გამოვლინდა მწერლის შემოქმედებითი ფანტაზია და მაღალი პროფესიული ოსტატობა. რომანი „ერთგულება" ომისშემდგომ ცხოვრებას გვიხატავს. მოგზიბველია ამ ნაწარმოების დახვეწილი სტილი და სიუჟეტის დინამიური მიმდინარეობა, გამოკვეთილია ნამარი ადამიანების ხასიათები, მომავლისადმი მათი ურყევი რწმენა. ამავეთ ემას მიუძღვნა მწერალმა მომდევნო რომანიც „ნანგრევებზე", რომელიც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესო ნაწარმოებია.

ი. ლისაშვილი ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იყო პროლეტარული მწერლების ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი, ლიტფონდისა და გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის" დირექტორი, ჟურნალ „ნიანგის" რედაქტორი, საქართველოს საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს დირექტორი. დაჯილდოვებული იყო „სპატარ ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

ლ ო მ თ ა თ ი ძ ე გიორგი ალექსანდრეს ძე. 26. XI. 1914, დაბა ცხინვალი — 23. X. 1971, თბილისი.

არქეოლოგი. 1936 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და ჩაირიცხა ასპირანტურაში არქეოლოგიის განხრით. ასეთი გარდასახვა გ. ლომთათიძისათვის განსაკვირი როდია. იგი იყო მრავალმხრივ ღრმადგანსწავლული პიროვნება, ქართული ლიტერატუ-

რისა და კულტურის ბრწყინვალე მცოდნე, მეცნიერებაში ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის ტრადიციების დამცველებული, 75 ნაშრომის ავტორი. 1965 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში განაგებდა მის მიერვე დაარსებულ შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებას. იგი უშუალოდ მონაწილეობდა ციხე-ქალაქ უჯარმის, ნაფარეულის, ძველი თბილისის „განჯის კარის", ურბნისის, ვარციხის, კვეტერის, ხვამლის და სხვ. ექსპედიციებში. დიდი ამაგი დასდო საქართველოს უძველესი დედაქალაქის მცხეთის ისტორიული წარსულის შესწავლას. მნიშვნელოვანი აღმოჩენები ჰქონდა არმაზისხევში, ბაგინეთსა და სამთავროში. წლების მანძილზე მცხეთის მიდამოებში წარმოებულ გათხრებს ხელმძღვანელობდა.

გიორგი ლომთათიძე ამასთანავე იყო ჩვენი ისტორიისა და ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, ბრწყინვალე მოქართულე, რაც საშუალებას აძლევდა ეწერა ნარკვევები ქართული არქეოლოგიისა და ისტორიული მეცნიერების ისტორიის შესახებ, მხატვრული ნაწარმოებები და სხვ. მან თარგმნა გამოჩენილი ამერიკელი მწერლის დოს პასოსის სტილისტურად რთული რომანი „42 პარალელი".

ვანსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ლომთათიძის გაბედულება და თავდადება. იგი უმძიმეს წლებში უანგაროდ ემსახურებოდა საქართველოს „მეჭურჭლეთუხუცეს" ექვთიმე თაყაიშვილს. იწერდა ჩვენი სასიქადულო მეცნიერის ნაკარნახევსა და ნააზრევს, რითაც შთამომაელობას შემოუნახა ფასდაუდებელი განძი.

ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ჭოლა (ბიკენტი) ბიბონის ძე. 24. VI. 1879,[1] სოფელი მეწიეთი, ოზურგეთის მაზრა — 4. XI. 1915, სარატოვი.

მწერალი. დედა ადრე გარდაეცვალა. ბასილეთის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, შევიდა ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში, მაგრამ უსახსრობის გამო თავი დაანება სწავლას და დაიწყო მუშაობა ხიდისთავის ბიბლიოთეკაში. ინტერესიანი ჰაბუკი დაეწაფა თვითგანათლებას.

1895 წელს მიიღეს ქუთაისის სამეურნეო სკოლაში, მაგრამ მალე დაითხოვეს მოსწავლეთა გაფიცვებში მონაწილეობისათვის. ქუთაისში დაუახლოვდა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ წრეებს და აქტიურად ჩაება მათ საქმიანობაში. 1898 წელს გაემგზავრა ხარკოვში და გახდა სამეურნეო სკოლის თავისუფალი მსმენელი,

---

[1] სხვა მონაცემებით 2. II. 1879, სოფელი ჰაჰეთი.

მაგრამ მარქსისტულ წრეებში მუშაობისა და რევოლუციური საქმიანობისათვის იქედანაც გარიცხეს. ერთხანს მუშაობდა მ. ლალიძის ლიმონათის ქარხანაში, 1903 წლიდან კი გაზეთ „კვალის" რედაქციის თანამშრომელია. ამავე წელს გახდა რსდმ პარტიის წევრი. 1906 წელს აირჩიეს რსდმ პარტიის IV-ე გამაერთიანებელი ყრილობის დელეგატად გურიიდან, 1907 წელს II-ე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ქუთაისის გუბერნიიდან.

1907 წლის 3 ივნისს მთავრობამ სათათბირო დაითხოვა და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის 55 წევრი, მათ შორის ჟ. ლომითაძეც, სამართალში მიუცეს. მიუსაჯეს ხუთი წლით კატორღა, მაგრამ ავადმყოფობის გამო შეიდნახევარი წლის პატიმრობით შეუცვალეს.

სამწერლო ასპარეზზე ჟ. ლომთათიძე გამოვიდა 1901 წელს. მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა „ცნობის ფურცელსა" და „მოამბეში". მწერლის ადრინდელ ლექსებში, მინიატურებში, ეტიუდებსა და ესეებში წარმოჩნდა ავტორის შემოქმედებით ინტერესთა ფართო სპექტრი — სოციალურ-პოლიტიკური უკუღმართობა, ეროვნული პრობლემატიკა და სხვ. რევოლუციონერის ბობოქარმა ცხოვრებამ იგი ერთბაგნს განარიდა ლიტერატურულ სარბიელს, მაგრამ 1907 წლიდან იწყება მეორე პერიოდი, როცა პატიმრობაში, მძიმედ დაავადებული უბრუნდება თავის საყვარელ შემოქმედებას და ქართულ მწერლობას ამდიდრებს ახალი ნაწარმოებებით — „ახალჩობელის წინაშე", „საპყრობილეში", „თეთრი ლამე", „დუმილი", „შოლალტე", „უბედური" და სხვ. მწერლის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი, დიდი ჰუმანიზმი, ლაკონიური თხრობა. ამიტომ მას ღირსეული ადგილი უკავია ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ლ ო მ ო უ რ ი იულონ ნიკოლოზის ძე. 3. IX. 1885[1], სოფელი არბო, გორის მაზრა — 26. XII. 1966, თბილისი.

აგრონომ-შემცენარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. დაიბადა მწერალ ნიკო ლომოურის ოჯახში. დაამთავრა თბილისის მეორე გიმნაზია, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. აგრონომიული ცოდნის მისაღებად სწავლა განაგრძო მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სმოლენსკის გუბერნიაში აგრონომად. 1914 წელს იგი უკვე სამშობლოშია და

[1] სხვა მონაცემებით დაბადებულია 1887 წელს.

მოღვაწეობას იწყებს გორის, შემდეგ ბორჩალოს მაზრაში. სოფლად აწყობს საცდელ ნაკვეთებს, მოსახლეობას აძლევს მეცნიერულ რჩევა-დარიგებებს. 1918 წელს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელს, საგზავნის გერმანიაში, სადაც იგი ხელმძღვანელობს მანქანა-იარაღების შეძენა-გამოგზავნის საქმეს. ამავე დროს ეცნობა აღგილობრივი სასწავლებლებისა და საცვლევი ცენტრების მუშაობას.

1920 წელს ახალგაზრდა აგრონომი ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით მოიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ განყოფილებასთან დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო მექანიკის კათედრის პირველ ასისტენტად. ნიშანდობლივია ისიც, რომ დამწყები პედაგოგის საცდელი ლექცია მოიწონა უნივერსიტეტის ფუძემდებელმა და წარუდგინა იგი დიდ სამეცნიერო საბჭოს.

1923 — 1929 წლებში ი. ლომოური თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორია. მისი ხელმძღვანელობით აქ მეცნიერ-მუშაკთა ბალალკვალიფიციური კადრები მოამზადდა. საერთოდ ახალგაზრდა ძალების აღზრდას ი. ლომოური ეწეოდა 1920 წლიდან, ჯერ თბილისის უნივერსიტეტში, შემდეგ, 1929 წლიდან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც გამგეობდა მემცენარეობის კათედრას. ამ საქმეს მან 40 წელი შეალია და სამართლიანად ითვლება ჩვენში სასოფლო-სამეურნეო განათლების ერთ-ერთ ფუძემდებლად.

ლომოურს გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მის პირველ ორიგინალურ სახელმძღვანელოს „მარცვლეული კულტურები", რომელიც გამოქვეყნდა ორ ტომად 1946 და 1950 წლებში.

გამოჩენილი მეცნიერის, დიდი მამულიშვილის თავდადებული შრომა ღირსეულად დაფასდა. იგი დაჯილდოვებული იყო ორი ლენინის, „სამტალი ნიშნის" ორდენებით და მედლებით. მის სახელს ატარებს საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ბეჟან ვლადიმერის ძე. 22. V. 1908, თბილისი — 9. I. 1969, თბილისი.

არქიტექტორი. 1932 წელს დამთავრა საქართველოს სამშენებლო ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი და იქვე შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იმსანად ჩვენში იწყება ქალაქების პირველი გენერალური პროექტების შედგენა. იგი აქტიურად ჩა-

ება ამ საქმეში. ამავე დროს თავის კოლეგებთან ერთად აგროვებს მასალებს ქართული არქიტექტურული ლექსიკონისათვის.

დიდი სამამულო ომის დროს ბ. ლორთქიფანიძე მოქმედ არმიაშია და მისი დამსახურება სათანადო საბრძოლო ორდენებით აღინიშნა. ომის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა ხელმძღვანელ სამუშაოზეა, 1949 წელს დაინიშნა სახმშენის უფროსის მოადგილედ, ხოლო 1958 წლიდან 6 წლის განმავლობაში ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეა. 1963 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა თბილისის ზონალურ სამეცნიერო-კვლევით და ტიპობრივი დაპროექტების ექსპერიმენტულ ინსტიტუტს.

ბექან ლორთქიფან-ძე არაერთხელ გამოსულა მოხსენებით უცხოეთისა თუ საკავშირო არქიტექტორთა ფორუმებზე. მან დააგეგმარა ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშათა დაბები და აზოტ-ტუკის კომბინატის დაბა ქუთაისში, იყო ბათუმისა და გორის გენერალური პროექტების თანაავტორი.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე. 7. I. 1905, სოფელი დიდი ჯიხაიში, სამტრედიის რაიონი — 1. VIII. 1986, თბილისი.

მწერალი. ქუთაისის პირველი ტექნიკუმის დამთავრებისთანავე ჩაება ლიტერატურულ ცხოვრებაში. იყო ქუთაისში პროლეტარულ მწერალთა კავშირის დამაარსებელი ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი.

ლიტერატურაში კ. ლორთქიფანიძე ლექსებით შემოვიდა. 1926 წლიდან, ზედიზედ აქვეყნებს კრებულებს: „პირველის შემდეგ", „ღიმილი", „ახალი ლექსები", „ერთი მათგანი", „მუშა გამომგონებელი", პოემა „სტენკა რაზინი" და სხვ. მალე ნიჭიერი პოეტი პროზაში პოულობს თავის მოწოდებას. პირველი საყურადღებო მოთხრობების გამოქვეყნების შემდეგ კ. ლორთქიფანიძემ 1931 წელს დაწერა დიდი რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა", რომელიც გადაამუშავა და 1951 წელს გამოსცა „კოლხეთის ცისკარის" სახელწოდებით. იგი სამართლიანადაა მიჩნეული კლასიკურ საბჭოთა რომანად და ქართული საბჭოთა პროზის ერთ-ერთ საეტაპო ნაწარმოებადაა აღიარებული. „კოლხეთის ცისკარი" ითარგმნა მრავალ ენაზე, მას მაღალი შეფასება მისცა კრიტიკამ.

კ. ლორთქიფანიძე ყოველთვის საზოგადოებრივი მოვლენების შუაგულში იყო და სიტყვას ამბობდა დროულად და კომპეტენტურად. ასე მოხდა მაშინ, როცა ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მაქსიმ გორკის მოწოდებას — გაეფართოებინათ მოძმე ხალხებს შორის ლიტერატურული კონტაქტები (ამაზე მოჰყვა მწერლის ნა-

წარმოებების შესანიშნავი ციკლი „უკვდავება, ანუ ბელორუსული მოთხრობები“), ასე მოხდა მაშინაც, როცა დაიწყო დიდი სამამულო ომი და მტერი კავკასიას შოადგა — მწერალმა მიმართა ზემდგომ ორგანოებს და მოქმედ არმიაში წავიდა მოხალისედ. მისი ფრონტული კორესპონდენციები სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთ „კომუნისტში“. მწერლის ფრონტული ნარკვევები თუ სამამულო ომის თემაზე დაწერილი მოთხრობები ქვეყნდებოდა ცენტრალური თუ რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე; ასე იყო მაშინაც, როცა 70-იან წლებში რესპუბლიკაში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება და ამას მოჰყვა გარკვეული ეკონომიკური ექსპერიმენტები. აქაც მწერალი უშუალოდ ჩაერთო ცხოვრების პროცესში და არაერთი პუბლიცისტური თუ დოკუმენტურ-მხატვრული ნაწარმოებით წარუძღვა მკითხველს — „რა მოხდა აბაშაში?“, „მთას დაუბრუნდა მთიელი“, „ოქროს მტევანი“ და სხვ.

კ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის აგრეთვე კინოსცენარები „მეგობრობა“, „ჩრდილი გზაზე“, „შეწყვეტილი სიმღერა“.

ალსანიშნავია მისი საზოგადოებრივი საქმიანობა. იგი იყო ჟურნალების „ლიტერატურნაია გრუზიას“, „ცისკარის“ და ქუთაისში გამომავალ „განთიადის“ რედაქტორი, გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი. 1967 წლიდან სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი.

ღირსეულად დაფასდა კ. ლორთქიფანიძის ღვაწლი საბჭოთა ლიტერატურის წინაშე. მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, შოთა რუსთაველის პრემია, ა. ფადეევის პრემია, დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის, ორი წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ნიკო (ნიკოლოზ) მერაბის-ძე. 17. IX. 1880, სოფელი ჩუნეში, წყალტუბოს რაიონი — 15. V. 1944, თბილისი.

მწერალი, საზოგადო მოღვაწე. შეიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, მაგრამ სწავლის დამთავრება ვლადიკავკაზში მოუწია, საიდანაც გაემგზავრა ხარკოვს. აქ იგი ჩაირიცხა უნივერსიტეტში. თავისუფლად მოაზროვნე სტუდენტი ორჯერ გარიცხეს და იძულებული გახდა გასცლოდა იქაურობას, წასულიყო ავსტრიაში. აქ იგი სწავლობს ლეობენის სამთო აკადემიაში.

1907 წელს ნ. ლორთქიფანიძე სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უცხო ენას ასწავლიდა ჯერ თბილისის, შემდეგ ქუთაისის გიმნაზიაში, პარალელუ-

რად იყო ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრი. საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა დროს იყო ხელოვნების მუშაკთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, შემდეგ თავმჯდომარე, ინდუსტრიულ ინსტიტუტში უცხო ენის ლექტორი, მოგვიანებით — კათედრის გამგე.

სამწერლო ასპარეზზე ნ. ლორთქიფანიძე 1902 წელს გამოვიდა. საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ქართულ პერიოდიკაში დაბეჭდილი ჰუმანური იდეებით გამსჭვალული მცირე ფორმის მოთხრობებით. დიდსულოვანი ჰუმანისტის ლიტერატურული მემკვიდრეობა გამოიჩენა თემატური მრავალფეროვნებითა და ჟანრული ნაირსახეობით. მისი თხზულებანი პოეტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშებია. მწერალს ჰქონდა წარსულის ხედვის და განცდის იშვიათი უნარი. ღრმა ლირიზმითაა გამსჭვალული მისი მინიატურები, რომლებშიც საშშობლოს ბედით გულდაკოდილი ადამიანების წუხილი ისმის („მოლოდინი", „მრცხვენია", „საქართველო იყიდება", „რეკა"). ლეო ქიაჩელმა მას „ქართული პროზის განმაახლებელი" უწოდა, ხოლო გიორგი ლეონიძემ „ქართული მხატვრული სიტყვის დარბაისელი, შეუდარებელი ოსტატი და მეოცნებე". მწერლის საფიქრალი მუდამ იყო საშშობლო, საქართველო. ნ. ლორთქიფანიძე ერთ-ერთი თავისი გმირის მსგავსად ხელაპყრობილი ლოცულობდა: „ღმერთო ალადგინე... ღმერთო მკვდრეთით ალადგინე... ღმერთო ,,ვარცმული ალადგინე ერი და მიეცი ძალა და სიმხნე..." იგი პატრიოტიზმისა და სოციალური ჰუმანიზმის ამაღლებული იდეებით დაუკავშირდა ქართული კლასიკური მწერლობის დიდ ტრადიციებს. თავის მხრივ კი ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა საშყაროს მისეული ხედვა, რომელიც რელიეფურად გამოიჩენა საკუთარი ხელწერით.

გამოჩენილი მწერლისა და დიდი ჰუმანისტის მდიდარი მემკვიდრეობა — ათასამდე მინიატურა, ნოველა და მოთხრობა, ერთი რომანი, ორი პიესა — შესულია ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ოქროს ფონდში. ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში თანაბარი სიძლიერითაა წარმოჩენილი ლირიზმი და იუმორი, სიხარული და მწუხარება, სიყვარული და სიძულვილი, რაც ავტორის თვალთახედვის ფართო დიაპაზონზე მეტყველებს.

სიცოცხლეშივე „კლასიკოსად ალიარებული მწერალი დაკრძალეს ვერის საზოგადო მოღვაწეთა სასაფლაოზე. მხოლოდ 1968 წელს სამუდამო განსასვენებელი დიდების პანთეონში მიუჩინეს.

მ ა კ რ ო პ უ ლ ო — ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი სოფიო ლევანის ასული. 4. IV. 1888, „დაბა ალავერდი (დღევანდელი სომხეთის რესპუბლიკა), — 21, I. 1963, თბილისი.

მწერალ იოსებ ტატიშვილის მეუღლე. დაამთავრა თბილისის ქალთა ქართული გიმნაზია.

მ ა მ ა ლ ა ძ ე შალვა პეტრეს ძე. 8. VIII. 1895, სოფელი ხევი, ჩოხატაურის რაიონი — 19. I. 1963, თბილისი.

მხატვარ-პეიზაჟისტი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. იყო ერთ-ერთი პირველი სტუდენტი 1922 წელს თბილისში გახსნილი სამხატვრო აკადემიისა, სადაც ერთდროულად ეუფლებოდა ფერწერასა და არქიტექტურას. დიდია მისი დამსახურება ქართული პეიზაჟური მხატვრობის წინაშე. ამ ჟანრში იგი არის ერთ-ერთი საუკეთესო შემოქმედი. ძის ყალაბს ეკუთვნის ათასამდე ტილო, რომელშიც მხატვარმა უმღერა თავის სამშობლოს. მხატვრის შემოქმედებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „სოფლის ხედი", „ტყიბულის ხედი", „ცემი", „მთის სოფელი" და სხვ. 1943 წლიდან გარდაცვალებამდე იყო მისივე აღმზრდელი აკადემიის პროფესორი.

შალვა მამალაძე პირველი ქართველი მხატვარია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ეროვნული კინემატოგრაფიის განვითარების საქმეში. მან გააფორმა „ნარინჯის ველი", „დიადი განთიადი", „კოლხეთის ჩირაღდნები" და სხვ. ერთ ხანს მუშაობდა „უფბეკ-ფილმში". დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და „სპატიო ნიშნის" ორდენებით, მედლებით.

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ო ვ ი ვაგან ივანეს ძე. 5. XII. 1907, თბილისი — 5. XII. 1972, მოსკოვი.

ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. 1925 წელს დაამთავრა თბილისის მეორე სამრეწველო ტექნიკუმში და ჩაირიცხა ეკრეთწოდებულ რუსულ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მუყაითი სტუდენტი ხელმოკლეობის გამო იძულებული გახდა დროებით შეეწყვიტა სწავლა და მუშაობა დაეწყო. 1927 წელს განაახლა მეცადინეობა. მაშინ აქ მათემატიკას ასწავლიდნენ ცნობილი მეცნიერები ა. რაზმაძე და კ. მარჯანიშვილი (გამოჩენილი რეჟისორის შვილი). ამ უკანასკნელის რჩევითა და დახმარებით, ა. რაზმაძესთან მკაცრი გამოცდის შემდეგ 1927 წლის დეკემბერში ვ. მამასახლისოვი გადაიყვანეს უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1930 წელს დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის თბილისის საინჟინრო და

სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც კითხულობდა ლექციებს უმაღლეს მათემატიკასა და თეორიულ მექანიკაში.

1933 წელს ვ. მამასახლისოვი შიაველინეს ლენინგრადის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში თეორიული ფიზიკის კურსის გასავლელად. 1936 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც იყო ლენინგრადში პირველი დაცული დისერტაცია ატომბირთვის თეორიაში. შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის თეორიული ფიზიკის კათედრას, პარალელურად მოღვაწეობდა რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც. 1943 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1960 წელს კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს.

ვ. მამასახლისოვი იყო ახალგაზრდა სპეციალისტთა გულისხმიერი და მაღალკვალიფიციური აღმზრდელი. ათეული წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს ზოგად ფიზიკაში, კვანტურ მექანიკაში, თეორიულ მექანიკაში, ატომბირთვის თეორიაში და სხვ. წლების მანძილზე იყო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი. თავის მოწაფეებთან ერთად დაწერა და გამოსცა მექანიკისა და კვანტური მექანიკის სახელმძღვანელოები. აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას სწავლული წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო მუშაობას. მისი ხელმძღვანელობით ქართველი ფიზიკოსები თანმიმდევრობით ავითარებდნენ ეგრეთწოდებულ ცლასტერულ მოდელს, რომელიც სულ უფრო მეტად გამოიყენება ატომბირთვულ გამოკვლევებში ჩვენშიც და უცხოეთშიც.

ფართოა მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი. იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ბირთვული ფიზიკის სპეციალურ საბჭოს თავმჯდომარე. ღვაწლმოსილი მეცნიერის დამსახურება აღინიშნა შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით.

შ ა ბ ა ც ა შ ვ ი ლ ი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე. 25. XI. 1818, სოფელი რუისი, ახლანდელი ქარელის რაიონი — 3. IX 1900, თბილისი.

რუსეთის არმიის გენერალი. სწავლობდა და მეგობრობდა ნ. ბარათაშვილთან. შემდეგ მიაბარეს პეტერბურგის პავლეს სახელობის კადეტთა კორპუსში, რომელიც დამთავრა 1837 წელს

ოფიცრის ჩინით და გაამწესეს კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში. აქედან მოყოლებული, მონაწილეობდა კავკასიაში წარმოებულ ყველა ომში.

1840 წელს მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა ჩაჩნეთში. იმ ხანებში ოგი გაეცნო და დაუახლოვდა მიხეილ ლერმონტოვს. მათ ერთად მიიღეს მონაწილეობა სისხლისმღვრელ ბრძოლაში გეხონის ტყეში. ყირიმის ომის დროს კ. მამაცაშვილი იბრძვის კავკასიის ფრონტზე. კერძოდ მან თავი ისახელა 1854 წლის 4 ივნისს მდინარე ჩოლოქთან გამართულ ბრძოლაში. ოთხიათასიანმა რუსეთის არმიამ თითქმის მთლიანად გაანადგურა 34-ათასიანი თურქთა მომხდური ძალები. გენერალ ანდრონიკაშვილის ცნობით, ეს ბრძოლა უმთავრესად კ. მამაცაშვილის წყალობით იქნა მოგებული, რისთვისაც იგი დააჯილდოვეს წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით. ამის შემდეგ ახალგაზრდა ოფიცერი დაინიშნა კავკასიის გრენადერთა არტილერიის უფროსად, მონაწილეობა მიიღო კავკასიის დაპყრობისათვის წარმოებულ ომების დამაგვირგვინებელ ფაზაში, რისთვისაც ებოძა ოქროს ხმალი, წმ. ანას II ხარისხის ორდენი, საიმპერატორო გვირგვინი და წმ. ვლადიმერის III ხარისხის ორდენი. 1868 წლიდან კ. მამაცაშვილი კავკასიის სამხედრო ოლქის არტილერიის უფროსის მოადგილეა, ხოლო 1877 წლიდან კი განჯის გუბერნატორი და განჯა-ნუხის მიდამოებში განლაგებული ჯარების უფროსი. იმავე წელს დაიწყო ომი თურქეთთან. აქ მას მოუხდა ერთი მოულოდნელი თავდასხმის მოგერიება და მოხერხებულმა სარდალმა შესძლო დაემარცხებინა მომხდური. ამისათვის იგი წმ. ვლადიმერის II ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. ნუხელებმა კი მიართვეს ვერცხლის თასი და ადრესი, სადაც ეწერა: „გენერალ-ლეიტენანტ კ. ქ. მამაცაშვილს მადლიერ მოქალაქეთაგან 1877 წელს ნუხის გადარჩენისათვის“.

1884 წელს კ. მამაცაშვილმა ავადმყოფობის გამო თავი დაანება სამხედრო სამსახურს და აქტიურად ჩაება ჭვეყნის კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. მისი მეგობრები იყვნენ გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვ. დ. ყიფიანთან ერთად დიდი ღვაწლი დასდო სათავადაზნაურო ბანკს, ის დიდხანს იყო მისი ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე და ყოველი ღონით ცდილობდა ბანკის საქმეების მყარ ნიადაგზე დაყენებას. კ. მამაცაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში. იყო მისი დამფუძნებელი წევრი, თბილისის სათავადაზნაურო (ფაქტიურად ქართული) გიმნაზიის ერთ-ერთი დამაარსებელი, აღსანიშნავია მისი გაწსაკუთრებული ყურადღება მაჰმადიან

ქართველებზე. ზოგი მათგანი მან თბილისში ჩამოიყვანა და ასწავლა, დაამთავრებინა გიმნაზია, შემდეგ უმაღლესშიც ჩააბარებინა.

საერთოდ, იმ ხანებში, არ ყოფილა საქართველოში რაიმე მნიშვნელოვანი წამოწყება, რომ იგი გვერდზე დარჩენილიყო. სხვათა შორის მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ შემოგვრჩა ნ. ბარათაშვილის პორტრეტული გამოსახულება. ჭეშმარიტი მამულიშვილი ცხარედ დაიტირა შშობელმა ერმა. მის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში აკაკი წერეთელმა გამოხატა დიდი სიყვარული და სევდა ამ სახელოვანი მოღვაწის გარდაცვალების გამო.

მ ა ნ თ ა შ ე ვ ა — კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი სოფიო გრიგოლის ასული. 11. XII. 1897, ბაქო — 6. V. 1976, თბილისი.

სერგო კლდიაშვილის მეუღლე. დაქორწინდნენ 1922 წელს. დაამთავრა თბილისის ქალთა მე-5 გიმნაზია. შემდეგ სწავლობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაგრამ ოჯახური პირობების გამო არ დაუმთავრებია.

მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე ეროსი აკაკის ძე. 3. III. 1925, სოფელი ღანირი, სამტრედიის რაიონი — 26. I. 1982, თბილისი.

მსახიობი 1941 წელს თბილისის 34-ე საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მიიწვიეს საქართველოს რადიოკომიტეტში დიქტორად. 1947 წელს დაამთავრა შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. ერთი სეზონი იმუშავა ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრის ქართულ დასში, 1948 წლიდან იგი შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობია, სადაც სრულად გაიშალა მისი დიდი ნიჭი და განუზომელი პოტენციური შესაძლებლობები. აქ მან შექმნა ისეთი ფართო სპექტრის შესანიშნავი სახეები, როგორიცაა: ივანე მრისხანე, პეშეკი, ოიდიპოსი, ტარიელ გოლუა, ზიმზიმოვი, ლოპესი, გვედი ბიღვა, თავადი ვანო, ოთარ ბეგი, ბოცო და სხვა მრავალი.

ეროსი მანჯგალაძე ფართო მასშტაბის ჭეშმარიტად უნივერსალური მსახიობი იყო, ჰქონდა გარდასახვისა და იმპროვიზაციის გასაოცარი უნარი, რომელსაც ავსებდა უდიდესი ტემპერამენტი და უჩვეულოდ მომხიბლავი ხავერდოვანი ხმა. ყოველივე ამან აქცია იგი ხალხის უსაყვარლეს მსახიობად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. მანჯგალაძის როგორც დიქტორისა და სპორტული კომენტატორის ღვაწლი. დაუვიწყარია მისი მაღალპროფესიული, იუმორით გაჯერებული რეპორტაჟები ფეხბურთის მატჩებიდან

რაც შეეხება ე. მანჯგალაძეს, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატს — იგი დღესაც გვახსენებს თავს ძველი რადიო და ტელეჩანაწერებით.

მეტად საინტერესო ეკრანული სახეები შექმნა მსახიობმა ქართულ კინოში: ალექსანდრე („წარსული ზაფხული"), ვარდენი („შეხვედრა წარსულთან") მილიციის რწმუნებული („ქვევრი"), გეორგ გეორგოვი („ვერის უბნის მელოდიები"), ჩორეხი („ნატვრის ხე"), სეევერიან წივწივაძე („თოჯინები იცინიან") და სხვ.

ბოლო ხუთი წელი ე. მანჯგალაძე შ. რუსთაველის თეატრში მოღვაწეობასთან ერთად მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის" კინომსახიობთა თეატრში, სადაც რამდენიმე დასამახსოვრებელი სცენური სახე შექმნა

მსახიობის მოულოდნელი გარდაცვალება ქართველმა ხალხმა ტრაგიკულად განიცადა. მას წილად ხვდა დიდი სიყვარული და საყოველთაო აღიარება. 1961 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

მარგიანი რევაზ აკაკისძე. 24. XI 1916, სოფელი შულავერი, მესტიის რაიონი — 1. VI. 1984, თბილისი.

პოეტი, საზოგადო მოღვაწე. დაიბადა ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ოჯახში. 1934 — 1940 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პირველი ლექსები 1934 წელს გამოაქვეყნა და, აქედან მოყოლებული, თითქმის ნახევარი საუკუნე ისმოდა მისი მკაფიო ინდივიდუალობით გამორჩეული გულშიჩამწვდომი ლექსად ნათქვამი სიტყვა. მშობლიური სვანური ფოლკლორის შემოქმედებითმა გამოყენებამ, მისი ღრმა შინაარსისა და განწყობილების გადმოტანამ ქართულ ლექსში საინტერესო და მიმზიდველი გახადა რევაზ მარგიანის პოეზია. ეს პოეტის პირველსავე ლექსში „მირანგულაში" გამოჩნდა და ორგანული განვითარება ჰპოვა გვიანდელ კრებულებშიც: „მუმლი მუხასა", „აქა მშვიდობა", „რჩეული", „თოვაში შეხვედრა გაზაფხულთან", „შარშან, შარშანწინ და ადრე" და სხვ.

რევაზ მარგიანის ლექსები ნათარგმნია უცხო ენებზე თავად მან კი ქართულად ააღერა რუსული, უკრაინული, სომხური, აზერბაიჯანული, ბელორუსული, აფხაზური, ბალყარული პოეზიის ნიმუშები. პოეტმა ხარკი მოუხადა ქართულ საბავშვო ლექსსაც — ისინი სიყვარულის, მეგობრობის, პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის მაღალი გრძნობებით არიან გამსჭვალული. ამიტომ იყო, რომ

წლების განმავლობაში რ. მარგიანი თავაკაობდა ჩვენს საბავშვო პერიოდიკას. მოგვიანებით რედაქტორობდა მწერალთა კავშირის ორგანოს „ლიტერატურულ საქართველოს“, ყერნალ „დროშას“, ხოლო ბოლო წლებში იყო გამომცემლობა „მერანის“ დირექტორი.

ყველა საქმიანობაში, რასაც ეკ შეეხებოდა მისი მაღლიანი ხელი, აჩნევდა თავისი პიროვნებისათვის დამახასიათებელ ნიშნს — კეთილშობილებას, ერთგულებას, კაცურ კაცობას. იგი იყო იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა უყვარდეს ქართველს თავისი ქვეყანა, ენა, ღირებულება და წარსული

ეტრფოდა თავის ქვეყანას და ერმაც სიყვარული შიაგო. ოდ დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის ოქროს მედლით.

მ ა რ ი ჯ ა ნ ი (მარიამ მარკოზის ასული ტყემალაძე — ალექსაძე), 12. VI. 1890, თბილისი — 9. V. 1978, თბილისი.,

პოეტი, ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1908 წელს დაამთავრა წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი, ხოლო 1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგია-ფილოსოფიის ფაკულტეტი. მისი პირველი ლექსი „ტბა“ 1916 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო საქმეში“, ხოლო კრებული „ლექსები“ 1921 წელს. აქედან მოყოლებული პოეტი ქალის ნაწარმოებები სისტემატიურად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებიც. მარიჯანის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ნატიფი ლირიზმი, ორიგინალური თვალთახედვა. განსაკუთრებით ნაყოფიერად მოღვაწეობდა საბავშვო მწერლობაში. მისი შემოქმედება ხელს უწყობდა ჩვენი მოზარდი თაობის სიკეთითა და ვაჟკაცობის სულისკვეთებით აღზრდის საქმეს, ეხერგავდა მათ სამშობლოს სიყვარულს, ასწავლიდა მეგობრობის ფასს.

აღსანიშნავია მარიჯანის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. სწორედ მან გააცნო ქართველ ბავშვებს ს. მიხალკოვის, კ. ჩუკოვსკის, ე. შვარცის, შ. ალიგერის, ა. ტოლსტოის შემოქმედება. მისი თარგმნილი პიესები წლების განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა ჩვენი თეატრების სცენებზე.

მწერალი აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა 20 წლის მანძილზე საქართველოს მწერალთა კავშირში მუშაობდა საბავშვო ლიტერატურის სექციის მდივან-კომსულტანტად და ამითაც ხელს უწყობდა საბავშვო ლიტერატურის წინსვლის საქმეს.

მარიჯანის დამსახურება და მისი უანგარო ღვაწლი აღინიშნა იაკობ გოგებაშვილის პრემიით და შრომის წითელი დროშის ორდენით.

მ ა რ შ ა კ ი ნიკოლოზ იაკობის ძე. 15. II. 1902, ტულა — 30 XII. 1962, თბილისი.

რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. ჯაბუკობიდანვე ეზიარა თეატრს. 1918 წლიდან მონაწილეობდა თბილისის სცენისშოუვარეთა რუსულ წარმოდგენებში, როგორც მსახიობი და რეჟისორი. მისი დიდი მეცადინეობით 1927 წლის 18 აპრილს, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში დაიდგა ამერიკელი პოეტის ჰ. ლონგფელოს მიხედვით ნ. ოგნევის პიესა „ჰაიავატა, ირიკეზების ბელადი". ეს თარიღი იქცა ამიერკავკასიაში პირველი საბავშვო თეატრის დაბადების დღედ — თბილისში ჩამოყალიბდა მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი. მის კვალად 1928 წელს შეიქმნა ანალოგიური ქართული თეატრიც.

რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრს სამ ათეულ წელზე მეტი ხანი სათავეში ედგა მისი დამაარსებელი ნ. მარშაკი, რომელიც სიცოცხლის ბოლო ორი წელი ხელმძღვანელობდა ჯერ ქ. კალინინის, შემდეგ ტულის მოზარდ მაყურებელთა თეატრებს.

ნ. მარშაკი იყო გამორჩეული ინდივიდუალობის რეჟისორი. მისი დადგმებიდან აღსანიშნავია შილერის „ვერაგობა და სიყვარული", ს. მარშაკის „ტომ სოიერის თავგადასავალი" (მ. ტვენის მიხედვით), ა. ბრუნშტეინის „ცისფერი და ვარდისფერი", „ახალგაზრდა გვარდია" (ა. ფადეევის მიხედვით), ვ. როზოვის „გზა მშვიდობისა" და სხვ.

ნ. მარშაკმა და მისმა თეატრმა კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინეს არა მარტო ნორჩ მაყურებელზე არამედ გზა დაულოცეს დიდ ხელოვნებაში მსახიობთა და რეჟისორთა მთელ თაობებს. აქ შეასრულა პირველი როლი და აქვე ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დადგა პირველი სპექტაკლები შემდეგში ცნობილმა რეჟისორმა გ. ტოვსტონოგოვმა. აკაკი წერეთლის „პატარა კახში" შედგა დღეს საყოველთაოდ აღიარებული მსახიობის ეგენი ლებედევის დებიუტი. ამ თეატრის სკოლა გაიარეს ისეთმა ცნობილმა სცენარისტებმა და რეჟისორებმა, როგორებიც არიან ბ. დობროდეევი, ა. გრებნევი, ლ. კულიჯანოვი, ალ. გინზბურგი, კ. შახ-ნაზაროვი; აქ იღვწოდნენ დირიჟორი ო. დიმიტრიადი, კომპოზიტორი შ. მშველიძე და სხვა მრავალი გამოჩენილი ხელოვანნი.

მ ა რ ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ ი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. 13. VIII. 1903, მოსკოვი — 13. II. 1981, მოსკოვი.

მათემატიკოსი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი. 1924 წელს დაამთავრა ლენინგრადის უნივერსიტეტი, რის შემდეგ პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1934 წელს გადავიდა მოსკოვში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იღვწოდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკურ ინსტიტუტში. მაგრამ, არასოდეს არ გაუწყვეტია კავშირი ქართველ მეცნიერებთან და საერთოდ საქართველოსთან. ყოველი მისი ჩამოსვლა თბილისში, ყვარელში თუ ნებისმიერ ქალაქსა და რაიონში იყო ზეიმი. აღსანიშნავია მეცნიერის სათუთი დამოკიდებულება ქართული ენისადმი — მან, ასაკში შესულმა, შეისწავლა მშობლიური ენა და მოუცელელობის მიუხედავად ნიადაგ სრულყოფდა მის ცოდნას.

აკადემიკოს ი. ვ. ვინოგრადოვის სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, იგი იყო მეტად ღრმა მეცნიერულ გამოკვლევათა ავტორი ანალიტიკურ რიცხვთა თეორიების დარგში. მისი ინტერესების საგანს წარმოადგენდა რიცხვთა თეორიის უძნელესი ადიციური პრობლემები, რომელთაგან ბევრი ჯერაც გადაუჭრელია. ამიტომ ამ დარგში დაწერილ ყოველ გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეცნიერი ამავე დროს ასეთივე დიდი წარმატებით მოღვაწეობდა გამოყენებითი მათემატიკის დარგშიც.

კ. მარჯანიშვილი დიდი ქართველი რეჟისორის ღირსეული მემკვიდრე იყო. ნათელი პიროვნება, დახვეწილი ინტელიგენტი, მშვენიერშეტყველი, ერუდიტი და რაც მთავარია ჭეშმარიტი მამულიშვილი. სწორედ საქართველოს დიდმა სიყვარულმა აანდერძებინა მისი ფერფლი მშობლიური მიწისათვის მიებარებინათ, რაც აღესრულეს კიდეც ახლობლებმა და მადლიერმა თანამემამულეებმა. მეცნიერის ღვაწლი აღინიშნა 2 ლენინის ორდენით, აგრეთვე მრავალი სხვა ორდენებითა და მედლებით.

მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ქეთევან კონსტანტინეს ასული. 7. IV. 1894, ქუთაისი — 30. V. 1973, თბილისი.

ფერწერი-პორტრეტისტი, საქართველოს სახალხო ხელოვანი. საშუალო განათლება მიიღო თბილისში. აქვე, 1911 წელს შევიდა სახვითი ხელოვნების წამახალისებელი კავკასიის საზოგადოების სკოლაში, სადაც მას ასწავლიდნენ მოსე თოიძე და იაკობ ნიკოლაძე.

1915 წელს ქ. მაღალაშვილი სწავლას განაგრძობს რუსეთის ყვე-

ლაზე პრესტიჟულ მოწინავე სამხატვრო სასწავლებელში — მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სკოლაში. აქ მისი ხელმძღვანელები იყვნენ ცნობილი მხატვრები და პედაგოგები კ. კოროვინი და ნ. კასატკინი. 1917 წელს დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობა დაიწყო ბიბლიოთეკარად. აქ იგი შეხვდა ცნობილ მოღვაწეს დიმიტრი შევარდნაძეს, რომლის რჩევითაც მხატვარი ქალი დაინტერესდა ქართველ მოღვაწეთა პორტრეტების შექმნით.

მაგრამ ეს განხორციელდა შემდეგ. მანამდე კი, 1923 წელს საქართველოს განათლების კომისარიატმა მხატვრული ხელოვნების დასახვეწად საფრანგეთში გაგზავნა. პარიზში იგი ოსტატდება კოლაროსის აკადემიაში და ცხოვრობს იმ დროისათვის დამახასიათებელი პარიზის მრავალფეროვანი შემოქმედებითი „სურნელებით", რამაც წარუშლელი გავლენა იქონია მთელ მის ხანგრძლივ შემოქმედებით ცხოვრებაზე.

1926 წელს ქ. მაღალაშვილი სამშობლოს დაუბრუნდა დასრულებულ ოსტატად. იგი მუშაობას იწყებს ხელოვნების მუზეუმში, სადაც დიდი სერიოზულობითა და მაღალი პროფესიონალიზმით იღებს საქართველოს სხვადასხვა ტაძრებში ძველი ქართული ფრესკების და მოზაიკების პირებს. სწორედ მის ყალამს უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს შემოგვრჩა დროისა და უგვანთა ხელით შერყვნილი და გამქრალი ძველი ქართული ფრესკების თუ მოზაიკის არაერთი ნიმუში.

პარალელურად მხატვარი არც საკუთარ შემოქმედებას ივიწყებს და ჰქმნის თავის თანამედროვეთა: ე. ახვლედიანის, ი. ნიკოლაძის, ს. ვირსალაძის, ბ. კუფტინის, ს. რიხტერის, ს. ზაქარიაძის, კ. გამსახურდიას, ვ. ბერიძის, უ. ჩხეიძის, ვ. ანჯაფარიძის, ნ. ვაჩნაძის და სხვათა მაღალი ოსტატობით შესრულებული პორტრეტების მთელ გალერეას.

ცხოვრებაში ქ. მაღალაშვილი იყო მეტად პრინციპული და საკუთარი თავისადმი შომთხოვნი შემოქმედი. გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე იგი მოესწრო ორ პერსონალურ გამოფენას თბილისსა და მოსკოვში, რომლებმაც მხატვარს დიდი შემოქმედებითი კმაყოფილება მოჰგვარეს. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის და ორი „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი კონსტანტინე (კოტე) ზაქარიას ძე. 26. XI. 1875, სოფელი იყალთო, თელავის რაიონი — 29. VIII. 1927, წალენჯიხა.

მწერალი, საზოგადო მოღვაწე. ხუთი წლისა იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. ისედაც ღარიბ, მრავალშვილიან ოჯახს კიდევ უფრო გაუჭირდა. ამიტომ გაგზავნეს თავის ძმებთან, სამხედრო მოსამსახურეებთან, ყარსის ოლქში, სარაყამიშში.

როდესაც ასაკი დაუდგა კადეტთა კორპუსში შიაბარეს. შშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილს, სრულიად დაავიწყდა ქართული ენა. 10 წლის ყმაწვილი უკვე თბილისშია. 1895 წელს მეორე კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ, უკიდურესი მატერიალური გაჭირვების მიუხედავად გაემგზავრა პეტერბურგს. იგი ჩაირიცხა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა.

პეტერბურგში ჭაბუკი ტრიალებდა ქართველთა საზოგადოებაში ივანე ჯავახიშვილის წრეში, რამაც ხელი შეუწყო ღრმად და სრულყოფილად დაუფლებოდა შშობლიურ ენას. ამ მიზნით იგი შევიდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. მაგრამ სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის დაითხოვეს უნივერსიტეტიდან. საშშობლოში დაბრუნების შემდეგ, ცოლად შეირთო ეკატერინე გაბაშვილის ასული თამარი და დაიწყო მუშაობა ქართულ გიმნაზიაში ალმზრდელად. 1903 წელს აირჩიეს ქართულ სათავადაზნაურო ბანკში დამფასებლად, 1915 წლიდან კი დირექტორად. აქედან იწყება მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა საზოგადოებრივ ასპარეზზე. 1918 წელს კ. მაყაშვილის ინიციატივითა და თავმჯდომარეობით დაარსდა ხელოვანთა ცენტრი, ხოლო 1921 წელს აირჩიეს ხელოვანთა კულტურული კომიტეტის და ხელოვანთა სასახლის თავმჯდომარედ. იყო ხელმოკლე ნიჭიერ ახალგაზრდათა დახმარების ფონდის შექმნის ინიციატორი, ქართული დრამატული, ფილარმონიული, საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოებების ერთ-ერთი დამაარსებელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი ქართულ სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების შექმნაში. ეს იყო ქართველ მწერალთა პირველი გაერთიანება-კავშირი. მის გამგეობაში კ. მაყაშვილის გარდა შედიოდნენ: კ. გალაქტიონი, სამსონ და შალვა დადიანები, ა. პაპავა, ტ. ტაბიძე და ლ. ქიაჩელი. ამ საბჭომ თავმჯდომარედ აირჩია კ. მაყაშვილი, რომელიც სათავეში ედგა მას 1926 წლამდე. უნდა ითქვას, რომ მწერალთა კავშირის ეხლანდელი შენობა (მეცენატ დ. სარაჯიშვილის სახლი) კ. მაყაშვილის დიდი მეცადინეობით დაუტოვეს ზემდგომმა ორგანოებმა ქართველ მწერლებს. საზოგადოებრივ საქმიანობას შეალია მან მთელი ენერგია. ძალიან გაწიცდიდა, რომ დრო არ რჩებოდა ლიტერატურული მუშაობისათვის. არადა, იყო შესანიშნავი ლირიკოსი და საკუთარი სტილის მქონე შემოქმედი.

კ. მაყაშვილის პოეზიის მთავარი თემა სამშობლოა და მისი განთავისუფლება თვითმპყრობელობის უღლისაგან. პოეტის პირველი ლექსი „ნუგეში მტირალს" 1901 წელს გამოქვეყნდა, პირველი კრებული, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, 1914 წელს. მის შემოქმედებაში გადახლართულია რომანტიკული და რეალისტური მოტივები. მან დიდი ამაგი დასდო ქართულ ვერსიფიკაციას; ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში სონეტი, დაამკვიდრა რომანსი, როგორც ლექსის ფორმა და დახვეწა მისი ელერადობა.

კ. მაყაშვილს ეკუთვნის აგრეთვე ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები; მანვე კ. მარჯანიშვილის თხოვნით თარგმნა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო, რომელიც 1922 წელს დადგა დიდმა რეჟისორმა. პოეტის გარდაცვალების შემდეგ დამკრძალავმა კომისიამ განიზრახა მწერლისადმი ხალხის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა გამოეხატა იმით, რომ იგი დაეკრძალათ ხელოვანთა სასახლის ბაღში. მხოლოდ უკანასკნელ მომენტში გადაწყვიტეს მისი საუკუნო განსასვენებელი დიდუბის პანთეონში ყოფილიყო

მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი — ტ ა ბ ი ძ ე ნინო ალექსანდრეს ასული. 15. III. 1900, ყვარელი — 17. IV. 1965, თბილისი.

ლიტერატორი, ტიციან ტაბიძის მეუღლე. თელავის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თბილისში გადმოვიდა. აქ გაეცნო ტიციანს და 1920 წლის 14 იანვარს, თავისი სახელობის დღეს, დაიწერეს ჯვარი. ამ დღიდან დაწყებული სიცოცხლის ბოლომდე ნინო მეუღლის ერთგული დარჩა.

მათი ოჯახი იმთავითვე იქცა თავისებურ ლიტერატურულ სალონად. ქართველ მწერალთა გარდა აქ თავს იყრიდნენ ს. ესენინი, ა. ბელი, ი. ერენბურგი, ბ. პასტერნაკი, ლ. ლეონოვი, ი. ტინიანოვი, ნ. ტიხონოვი, ნ. ზაბოლოცკი, პ. ანტოკოლსკი, შ. ბაჟანი, ე. ჩარენცი, ო. თუმანიანი, ა. ისაყიანი და სხვ. ქალბატონი ნინო იყო გულუხვი, სათნო და დარბაისელი მასპინძელი, თავისი ღირსეული მეუღლის სწორი პიროვნება.

შემდეგ ავბედითი 1937 წელი... ძვირფას ადამიანებთან სამუდამოდ განშორება. მაგრამ მეგობრობის ნერგებმა გაუძლო ქარიშხალს, ფუძე მაინც არ შოიშალა, ერთგულმა ადამიანებმა არ მიატოვეს ტაბიძეების კერა. შარტო ტიციანის ოჯახზე ბ. პასტერნაკის ლეგენდადქცეული ზრუნვა და ყურადღება რამდენის მთქმელია.

ყოველივე ეს ნინო ტაბიძემ დაგვიტოვა თავის მოგონებებში,

რომელიც ფასდაუდებელია ჩვენი, და არა მარტო ჩვენი, მწერლობის, კულტურის და ისტორიისათვის.

მართალია, ნინო ტაბიძეს დამთავრებული ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და 1955 წლამდე მუშაობდა თბილისის საშუალო-ციონ ინსტიტუტში პარაზიტოლოგიის კათედრაზე, მაგრამ იგი მთელი ცხოვრების მანძილზე იყო და დარჩა ქართული სიტყვის თაყვანისმცემელი და დიდი მწიგნობარი. მის კალამს ეკუთვნის გრ. ორბელიანის და ალ. ჭავჭავაძის, ტიციანისა და მისი მეგობრების ნაწარმოებთა რუსული ბუკარედები.

კარგად თქვა გიორგი ლეონიძემ ნინო ტაბიძის დასაფლავებაზე გამოსამშვიდობებელ სიტყვაში: „...არ ვიცით, სად წევს ტიციანი, თუმცა მისი საბოლოო მამული დიდების მიწა უნდა ყოფილიყო და ამიტომაც შენ წვები ამ მიწაში ტიციანის მაგივრადაც და ამ ულრეროდ გათხრილ ერთ საფლავში ამიერიდან ჩვენთვის ორი სამარე იქნება — ნინოსი და ტიციანის.“ ეგზომარიტად ასეა!

მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, შალვა კონსტანტინეს ძე. 11. IV. 1903, თბილისი — 28. X. 1990, თბილისი.

მხატვარი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ბავშვობიდანვე ეზიარა ხელოვნების საფუძვლებს. იგი იყო ცნობილი ქართველი პოეტის კოტე მაყაშვილის შვილი და ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი. 1923 წელს შეუდგა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე, სადაც ოსტატდებოდა გიგო გაბაშვილის ხელმძღვანელობით. აკადემია დამთავრა 1929 წელს და დაიწყო დამოუკიდებელი შემოქმედებით საქმიანობა, გახდა მხატვართა გაერთიანების წევრი, აქტიურად ჩაება შემოქმედებით პროცესში. 50 წლის განმავლობაში მისი ნამუშევრები „მცხეთა“, „ანანური“, „სვანეთი“, „შიო-მღვიმე“, „სიონი“, „პიტარეთი“, „ზარზმა“ და სხვა, ამშვენებდა ჩვენში მოწყობილ თითქმის ყველა გამოფენას. ამასთანავე იგი იყო ჩინებული მთამსვლელი და მოთხილამურე. ხშირად მონაწილეობდა ალპინისტურ ლაშქრობებში, მოელილი ჰქონდა მთელი საქართველო.

მაყაშვილების ოჯახმა დიდი მსხვერპლი გაიღო სამშობლოს თავისუფლებისათვის. ცოჯორთან და ტაბახმელასთან ბრძოლაში დაიღუპა, აწ სახალხო გმირად შერაცხული მარო მაყაშვილი. მასთან ერთად იბრძოდა მისი ძმაც შალვა მაყაშვილი, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ებრძოდა უსამართლობასა და სიმახინჯეს, მზად იყო თავი დაედო საქართველოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, მისი ნათელი მომავლისათ-

ვის. სამშობლოსადმი ეს სიყვარული ნათლად ჩანს მხატვრის მდიდარ შემოქმედებაში.

მ ა ჩ ა ბ ე ლ ი მიხეილ ვახტანგის ძე. 1858, თბილისი — 1927, თბილისი.

აგრონომი, ხელოსნური წარმოების ოსტატი. საშუალო განათლება მიიღო თბილისის პირველ გიმნაზიაში და ჩაირიცხა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში.

სამშობლოში დაბრუნებული აქტიურად მოღვაწეობს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისა და საქართველოს ეთნოგრაფიულ საზოგადოებებში. იგი სისტემატურად აკეთებდა მოხსენებებს, აწყობდა ექსპედიციებს. გამოიკვლია, ფინეთის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ცხოვრების პირობები, აღწერა ქქაური მოსახლეობის მიწათსარგებლობის წესი. ნაშრომთან ერთვის სათანადო მეცნიერული, საცნობარო და ბიბლიოგრაფიული აპარატი, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მის ღირებულებას.

მ. მაჩაბელი იყო ჩვენში ხელოსნური წარმოების ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე. მას, როგორც სპეციალისტს, დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ დარგის ალორძინებისა და ორგანიზაციის საქმეში.

მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი გივი ირაკლის ძე. 5. XII. 1927. თბილისი,— 27. VIII. 1968, ქ. სეგედი, უნგრეთი.

ენათმეცნიერი, პროფესორი. გ. მაქავარიანი ეკუთვნის იმ მეცნიერთა რიცხვს, რომლებმაც ახალ საფეხურზე აიყვანეს ქართველურ ენათა კვლევა. მან ნაშრომებმა შეამზადეს და მნიშვნელოვნად გაამაღლეს ქართველურ ენათა შედარებითი ისტორიული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა. მან კვლევითი მუშაობის პირველი ნაბიჯებიდანვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება და სულ მალე დაიმკვიდრა გამოჩენილი ადგილი ენათმეცნიერებაში.

გ. მაქავარიანმა 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება, შემდეგ — ასპირანტურა. უკანასკნელი 14 წელი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1966 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. იგი ფარავდა დიაპაზონის ენათმეცნიერი იყო, ჩინებულად ერკვეოდა მომიჯნავე ჰუმანიტარულ დარგებშიც, მაგრამ ცენტრალური ადგილი მის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მაინც ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის შეს-

წავლას ეკრა. მის მიერ შექმნილმა ფუნდამენტურმა მონოგრაფიებმა: „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (თ. გამყრელიძესთან ერთად) და „საერთო-ქართული კონსონანტური სისტემა“, — ავტორს საბოლოოდ მოუხვეჭა ქართველური ენების გამოჩენილი მკვლევარის სახელი, იგი აღიარეს ისეთმა საბჭოთა და უცხოელმა ენათმეცნიერებმა როგორებიც არიან ვ. ივანოვი, ვ. ილიჩ-სვიტიჩი, ჰანს ფოგტი, პიზანი, ლემანი, რ. იაკობსონი და სხვ.

ამ ნათელი პიროვნების, უზადო მეცნიერისა და მგზნებარე პატრიოტის გარდაცვალებით გამოწვეულ მთელ სიმძიმეს კარგად ასახავს ძმისმაესწავლებლისა და კოლეგის, აკადემიკოს გიორგი წერეთლის სიტყვები: „ძნელი წარმოსადგენია, თუ რა დიდი დანაკლისი განიცადა ჩვენმა მეცნიერებამ გივი მაჭავარიანის გარდაცვალებით. შინ ხანმოკლე სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე, 40 წლის ასაკში, საერთაშორისო სახელი მოიხვეჭა და საბჭოთა ქართული მეცნიერება მსოფლიო მეცნიერების წინაშე ასახელა. იგი იყო უაღრესად განსწავლული მეცნიერი ზოგადი და ქართველური ენათმეცნიერების საკითხებში, ბრწყინვალე ნიჭის ადამიანი და დიდი შემოქმედებითი მოღვაწეობის უნარით დაჯილდოებული მკვლევარი, ხოლო ქართველური ენებისა და დიალექტების კოდნაში სრულყოფას აღწევდა. „გივი მაჭავარიანის შრომები... ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერების დარგში თანამედროვე მსოფლიო ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანეს მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება“.

მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი გიორგი ალექსანდრეს ძე. 15. VI. 1920, თბილისი — 28. X. 1993, თბილისი.

ექიმი. დაიბადა ქართველოში მეცნიერული ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელის, პროფესორ ალექსანდრე მაჭავარიანისა და პირველი ქართველი აგრონომი ქალის ეკატერინე ჯანდიერის ოჯახში. 1958 წელს მოიპოვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, 1976 წელს მიანიჭეს დოცენტის წოდება. იგი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მოღვაწეობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგის კათედრაზე. მის მადლიან შარჯვენას ასობით ავადმყოფი უსწინია სიკვდილისაგან. ამავე დროს იყო ბრწყინვალე პედაგოგი. თაყვის მდიდარ გამოცდილებას დაუზარებლად გადასცემდა ახალგაზრდა კოლეგებს. ქირურგის ფაქიზ ხელოვნებასა და პედაგოგის პასუხისმგებელ საქმიანობას შესანიშნავად უთავსებდა მრავალმხრივ

საბჭოთა მოღვაწეობას. იყო დახვეწილი ინტელიგენტი, შესანიშნავი მოქალაქე და ღირსეული მამულიშვილი.

მაჭავარიანი ვლადიმერ გიორგის ძე. 6. VIII. 1906, ბათუმი — 6. I. 1936, თბილისი.

ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი. პირველდაწყებითი განათლება ხაშურის სარკინიგზო სკოლაში მიიღო, შემდეგ კი თბილისის პირველ შრომის სკოლაში სწავლობდა. სრულიად ახალგაზრდა ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. მოგვიანებით, 1931 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა, მაგრამ საზოგადოებრივ საქმიანობას არ ჩამოშორებია. 1928 წელს ტუვაში ჩაატარა რევოლუციური ახალგაზრდობის ყრილობა. შემდეგ მონღოლეთში, იქიდან გადაეცა ტიბეტში. იმავე წლის ბოლოს მოსკოვში გამოქვეყნდა მისი პირველი წიგნი „ტანა-ტუვა“.

1929 წელს იგი ბელგიაში როგორც ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აქტიური წევრი დააპატიმრეს. გათავისუფლების შემდეგ თავი შეაფარა ლუქსემბურგსა და ბერლინს. 1930 წელს დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, შემდეგ ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ახლო აღმოსავლეთის განყოფილების გამგე იყო, პარტიის თბილისის კომიტეტის აგიტმასობრივი განყოფილების გამგე, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე, ჟურნალ „დროშის“ რედაქტორი, თბილისის ი. ჭავჭავაძის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, კონსტუდიის დირექტორი და სხვ.

ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა ფრონტზე, სადაც რედაქტორობდა ქართულ საფრონტო გაზეთებს.

ლიტერატურული მოღვაწეობა ვლ. მაჭავარიანმა 1924 წელს დაიწყო. ცნობილია მისი ნაშრომები ლიტერატურის თეორიაში. წერილს ქალაქს ეკუთვნის აგრეთვე საინტერესო წერილები და გამოსვლები ცნობილ ქართველ მოღვაწეებზე: კ. მარჯანიშვილზე, შ. დადიანზე, ანა კალანდაძეზე და სხვ.

ვლ. მაჭავარიანი დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. ფასეული იყო ამ ნიჭიერი, დაუცხრომელი მოღვაწის ასპარეზი. ია-ვარდით რიდი იყო მოფენილი

მისი ცხოვრების გზა. მაგრამ როგორც იგი ამბობდა: „აკაქმა თავისი ტკივილი თვითონ უნდა გადაიტანოსო“.

მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი — ა გ ლ ა ძ ე მარიამ ილიას ასული. 25. IV. 1908, თბილისი — 13. XII. 1991, თბილისი.

პედაგოგი. მწერალ ილია აგლაძის ქალიშვილი, აკადემიკოს რაფიელ აგლაძის და. მის პიროვნებად და მოქალაქედ ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი ოჯახურმა გარემომ. 1930 წელს მ. აგლაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტი, ხოლო 1932 წელს თბილისის კონსერვატორია ფორტეპიანოს ცლასით. მუსიკას ასწავლიდა თბილისის სხვადასხვა სკოლებში, 1945 წლიდან კი, სიცოცხლის ბოლომდე, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში (ე. წ. ნიჭიერთა ათწლედში). აღზარდა ქართველ პიანისტთა თაობები, რომელთა შორის არაერთი რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატია. გამოირჩეოდა გულისხმიერებით და საქმისადმი განსაკუთრებული სიყვარულით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი — კ ა ხ ი ა ნ ი ტერეზა ნიკოლოზის ასული. 7. 1. 1902, ქუთაისი — 12. VII. 1954, თბილისი.

მეანე-გინეკოლოგი, პროფესორ ნიკოლოზ კახიანის მეუღლე. მამამისი, ნიკოლოზ დავითის ძე მაჭავარიანი პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ქუთაისის ცლასიკურ გიმნაზიაში მუშაობდა. ინსპექტორად და რუსული ენის მასწავლებლად. დედა, ბარბარე ზაალის ასული ყიფიანი ქართლის თავადის ქალიშვილი მეტად განათლებული და მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მანდილოსანი იყო.

1921 წელს ტერეზა მაჭავარიანი ცოლად გაჰყვა რუსეთიდან საქართველოში ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში სამოღვაწეოდ მოწვეულ ცნობილ ქირურგს, პროფესორ ნიკოლოზ საულის ძე კახიანს. 1928 წელს ნ. კახიანის მოულოდნელად გარდაცვალების შემდეგ, 26 წლის ქვრივმა, ორი შვილის დედამ სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც 1931 წელს დაამთავრა და დაიწყო მუშაობა პროფ. ი. თიკანაძესთან სამეანო-გინეკოლოგიურ კლინიკაში. 1936 წელს იგი ერთ-ერთი პირველი ქართველი ქალი მეანე-გინეკოლოგი იცავს საკანდიდატო დისერტაციას. შემდგომ მუშაობს მოსკოვში სადოქტორო დისერტაციაზე აკადემიკოს შალინოვსკის ხელმძღვანელობით;

მაგრამ სამამულო ომმა ხელი შეუშალა ბოლომდე მიეყვანა საქმე და მუშაობა დაიწყო თბილისის ერთერთ სამხედრო ჰოსპიტალში ქირურგის თანამდებობაზე. ომის დამთავრებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი თბილისის მეორე სამშობიარო სახლის ბაზაზე არსებულ სამედიცინო ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიური კლინიკის ჯერ ასისტენტია, ხოლო შემდეგ დოცენტი იყო 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მან პირველმა გამოიყენა საქართველოში შშობიარობის გაუტკივარების მეორე სასიგნალო სისტემებზე ზემოქმედების მეთოდი.

დიდმა ოჯახურმა ტრადიციებმა, მაღალმა შინაგანმა კულტურამ, უცხო ენების ბრწყინვალე ცოდნამ, ფართო განათლებამ, თავისი საქმისადმი თავდადებამ და სიყვარულმა შესანიშნავ ექიმსა და პედაგოგს სტუდენტებსა და კოლეგებს შორის განსაკუთრებული ავტორიტეტი და პატივისცემა მოუხვეჭა.

მ ა ხ ა რ ა ძ ე — დ გ ე ბ უ ა ძ ე პოლინა ანთიმოზის ასული. 25. VIII. 1908, სოფელი იანეული, ჩოხატაურის რაიონი — 30. X. 1966, თბილისი.

ბუნებრივ ორდე დგებუაძის მეუღლე. 1938 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. მუშაობდა რკინიგზის ცენტრალურ საავადმყოფოში. იყო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი (მ გ ა ლ ო ბ ე ლ ი) მიხეილ ფილიპეს ძე. 1887, ქუთაისი — 1931, თბილისი.

ექიმი, პროფესორი. 1904 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და უმაღლესი სამედიცინო განათლების მისაღებად ვენაში გაემგზავრა. დიდად განსწავლული სპეციალისტი სამშობლოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო ერობის ექიმად. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე იგი თბილისის ლაზარეთებში პროფესორ გ. მუხაძესთან ერთად მოღვაწეობს.

1919 წელს განაგებს რკინიგზის საავადმყოფოს გინეკოლოგიურ განყოფილებას, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის გინეკოლოგიური კლინიკის მთავარი ასისტენტია. 1925 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო ერთი წლის შემდეგ მიავლინეს გერმანიასა და საფრანგეთში მკურნალობის ახალი მეთოდების შესასწავლად. უცხოეთიდან დაბრუნებული ლექციებს კითხულობს უნივერსიტეტში და პარალელურად ეწევა პრაქტიკულ საქმიანობას. 1930 წელს აირჩიეს პროფესორად.

მ. მგალობლიშვილს ეკუთვნის 23 სამეცნიერო ნაშრომი, რო-

მელიც გამოიცა ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. ლვაწლმოსილი მეცნიერი იყო შესანიშნავი კლინიცისტი. იგი აქტიურად მონაწილეობდა წითელი ჯვრის ორგანიზაციაში, იყო ჟურნალ „თანამედროვე მედიცინის“ პირველი რედაქტორი.

მგალობლიშვილი მ. დ. 1895 — 1948.
პროფესორ მიხეილ მგალობლიშვილის მეუღლე.

მგალობლიშვილი სოფრომ ზაქარიას-ძე. 20. VII. 1851, სოფელი დირბი, ქარელის რაიონი, — 30. XI. 1925, თბილისი.

მწერალი, ხალხოსანი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ, 1873 წელს თბილისის სასულიერო სემინარია, დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში სადაც მუშაობდა რუსული და ქართული ენების მასწავლებლად. გარდა პედაგოგიური საქმიანობისა, სოფრომ მგალობლიშვილი გორში ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ-რევოლუციურ მოღვაწეობას. სემინარიის კედლებშივე გაიტაცა იგი ხალხოსნურმა იდეებმა და როგორც თვითონ ამბობს, მიზნად დასახა „ხალხში გასელა საქადაგებლად — მონარქიული წესწყობილების წინააღმდეგ“. ახალგაზრდა პედაგოგი და მოწინავე იდეების მქადაგებელი გორის რაიონის დაბა-სოფლებში ბართავდა წარმოდგენებს, ავრცელებდა ხალხოსნურ იდეებსა და აკრძალულ ლიტერატურას, რისთვისაც იგი ორჯერ დაპატიმრეს. შემდეგ ს. მგალობლიშვილი ფოთშია, სადაც ერთხანს მუშაობს საეპარქიო სამმართველოში, ხოლო 1897 წელს გადმოდის თბილისში და იწყებს სამსახურს სინოდის კანტორაში. 1910 წელს დაითხოვეს სინოდიდან და ამის შემდეგ იგი მთლიანად ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში, უფრო აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ-გაზეთებში.

მწერლობა სოფრომმა ჯერ კიდევ სემინარიაში დაიწყო. თანამშრომლობდა „დროებასა“ და „მნათობში“, სადაც ბეჭდავდა როგორც ორიგინალურ ნაწარმოებებს, ასევე თარგმნებსაც. მკითხველმა გულთბილად მიიღო მის მიერ ნათარგმნი ფრ. შილერის „ორლეანელი ქალი“. ამის შემდეგ იგი სისტემატურად აქვეყნებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში საინტერესო მოთხრობებსა და მწვავე პუბლიცისტურ წერილებს. მისმა შესანიშნავმა მოთხრობებმა „დედა მაია“, „ღამის მეხრე ცეცო“, „წითელი სარჩული“, „ჯორზაქარია“, „ყაყიტას ქურდები“ და ბევრმა სხვამ, სამუდამოდ დაიმკვიდრეს საპატიო ადგილი ქართულ ლიტერატურაში. მწერლის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია დახვეწილი წერის მანერა, შესანიშნავი ქართული.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ს. მგალობლიშვილის დამსახურება ქართული თეატრის წინაშე. ჯერ კიდევ სემინარისტმა შედგა ფეხი ქართულ სცენაზე და ამის შემდეგ სულ უფრო მტკიცდებოდა მისი კავშირი თეატრთან, სადაც იგი ხშირად რეჟისორადაც გვევლინებოდა. თბილისში მწერალი იყო სათეატრო კომიტეტის აქტიური წევრი და ნიჭიერი ორგანიზატორი.

ფართოა სოფრომ მგალობლიშვილის ლიტერატურულ-შემოქმედებითი არე. მან მხატვრულ ლიტერატურაში ასახა ქართლის სოფელი მთელი სისრულითა და უშუალობით. იგი ამავე დროს იყო ბავშვთა საყვარელი მწერალიც. მანვე დაგვიტოვა ვრცელი მემუარული ხასიათის საინტერესო მოგონებები, და ყოველივე ამით საპატიო ადგილი მოიპოვა შშობლიური ხალხის ლიტერატურასა და ხსოვნაში.

მ დ ი ვ ა ნ ი გიორგი დავითის ძე. 13. IX. 1905, სოფელი სასახლე (ქვედა საზანო), ზესტაფონის რაიონი — 10. X. 1981, თბილისი.

დრამატურგი და სცენარისტი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, შევიდა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც სწავლობდა 1924 — 1926 წლებში.

გ. მდივნის ლიტერატურული ნათლობა მოხდა 1922 წელს. სულ მალე აირჩიეს დასავლეთ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნად. პირველი ალიარება ახალგაზრდა დრამატურგს მოუტანა პიესა „ალკაზარმა", რომელიც რუსთაველის თეატრში დაიდგა 1936 წელს. 30-იანი წლებიდან მოყოლებული მისი პიესები სისტემატურად იდგმებოდა არა მარტო ქართულ სცენაზე, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილათ: „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ", „პარტიზანები", „პეტრე ბაგრატიონი", „ტერეზას დაბადების დღე", „ოქროსული მოიტაცეს", „შენი ძია მიშა" და სხვ. ომის წლებში გ. მდივანი „პრავდის" სამხედრო კორესპონდენტია. ნანახი და განცდილი ნიჭიერმა ხელოვანმა თავის სულის ქურაში გაატარა, რასაც მოჰყვა კინოსცენარები: „მოსკოვის ზეცა", „რიგითი ალექსანდრე მატროსოვი" და სხვ. საერთოდ, კინოში გ. მდივანი მივიდა 1925 წელს. უკვე 1927 წელს დაწერა კინოსცენარი „ახალგაზრდობა იმარჯვებს". ამას მოჰყვა მისი სცენარით გადაღებული ფილმები: „ფრთოსანი მღებავი", „დაკარგული სამოთხე", „ჩვენი ეზო", „ხევსურული ბალადა", „საბუდარელი ჭაბუკი" და სხვ. სულ საქართველოში გ. მდივნის სცენარით დაიდგა 21 ფილმი.

აღსანიშნავია, რომ დრამატურგის ერთ-ერთ ფილმს „ჩემი ბეპია“, რომელიც გაუდაიღო რეჟისორმა კ. მიქაბერიძემ ოციანი წლების ბოლოს მთავრობის მიერ „უნდობლობის“ გამო უადაღა დაედო. მხოლოდ 70-ან წლებში ეღირსა მასობრივი ეკრანი.

გორგი მდივნის სცენარები დიდი პოპულარობით სარგებლობდა უცხოეთშიც. მაგალითად: „საბჭოთა კავშირი იტალიელების თვალით“, „მზესუმზირა“, „5 რგოლის ისტორია“ (იტალია), „გენერლები და ვარსკვლავები“ (უნგრეთი), „დიდი გზა“ (ჩეხოსლოვაკია).

მართალია, გამოჩენილი დრამატურგი თითქმის ნახევარი საუკუნე მოსკოვში ცხოვრობდა, მაგრამ თავისი ხალხისა და ქვეყნის მიმართ გასაოცარ სიყვარულს იჩენდა. ამას მოწმობს თუნდაც მის მშობლიურ სოფელში საკუთარი ხარჯით აშენებული სკოლა, რომელიც 1984 წლიდან მის სახელს ატარებს. საგულისხმოა ისიც, რომ იგი განგებამ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მშობლიურ მიწაზე მოიხმო ამ წუთისოფელთან გამოსამშვიდობებლად. ხოლო მისი ცხედარი გამოასვენეს სწორედ იმ თეატრიდან სადაც დრამატურგის პირველი პიესა დაიდგა.

მ დ ი ვ ა ნ ი — ტ უ ს კ ი ა ირინე ნიკოლოზის ასული. 23. XI. 1907, თბილისი — 20. VII. 1964, თბილისი.

კომპოზიტორ იონა ტუსკიას მეუღლე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ვიოლინოს კლასით; შემდეგ მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრის ორკესტრში. მიღებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

მ ე გ რ ე ლ ი დუტუ (ხოშტარია დიმიტრი თომას ძე). 26. X. 1867, სოფელი სუჯუნა, აბაშის რაიონი — 13. III. 1938, თბილისი. მწერალი, პუბლიცისტი. მამით ადრე დაობლებული გაჭირვებაში გაზარდა დედამ. მანვე შეაყვარა ყმაწვილს მშობლიური ლიტერატურა. ხელმოკლეობის გამო ოჯახი იძულებული შეიქმნა სოფლიდან ქუთაისში გადასულიყო, სადაც ნიკო დადიანის დახმარებით იგი მიიღეს ქუთაისის გიმნაზიაში სახელმწიფო ხარჯზე. 1893 წელს წარმატებით დამთავრა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

დ. ხოშტარიას პირველი ლექსი „ნეტავ ვიცოდე“ 1886 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „თეატრში“ ოტიას ფსევდონიმით. ამას მოჰყვა სხვა ლექსები და მოთხრობები. 1891 წელს გამოქვეყნდა მწერლის მოთხრობების, ხოლო 1893 წელს კი ლექსების პირველი კრებულები. მის შემოქმედებაში აისახა სოფლად დუხჭირი ცხოვრების

სოციალური მოტივები. პოეტის ლექსები ქართველ ხალხს უღვიძებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ თვითცნობიერებას. მასვე ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტური წერილები თუ კლასიკოსთა თარგმანები. მაგრამ ქართულ ლიტერატურაში დუტუ მეგრელმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა, პოპულარული ლექსით: „მე პატარა ქართველი ვარ", რომელიც დღესაც პირველი ლექსია ახალშობილ ბავშვისათვის.

მადლიერმა შთამომავლობამ არ დაივიწყა საყვარელი მგოსანი და 1968 წლის 18 აპრილს, მის მეუღლესთან, ანასტასია ერისთავ-ბოშტარიასთან, ერთად ვაკის სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში გადმოასვენეს

მ ე გ რ ე ლ ი ძ ე (მ ა მ უ ლ ა შ ვ ი ლ ი) ლიდია ისმაილის ასული. 14. VIII. 1883, სოფელი ბაილეთი, ოზურგეთის რაიონი — 13. VII. 1968, თბილისი.

საბავშვო მწერალი. დაიბადა ღარიბი აზნაურის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში. 18 წლისამ თავისი ბედი დაუკავშირა ქართული სიმღერების ცნობილ ლოტბარსა და მოამაგეს ავქსენტი მეგრელიძეს და საცხოვრებლად გადავიდა ფოთში. აქ იგი ენერგიულად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დააარსა „ფოთის ქალთა საზოგადოება" და საკვირაო სკოლა წერა-კითხვის უცოდინართათვის, მონაწილეობდა თეატრის მოყვარულთა მიერ გამართულ წარმოდგენებში, რევოლუციურ საქმიანობაში. მისი ავტორიტეტის აღიარება იყო ის, რომ 1917 წელს ფოთის მოსახლეობამ იგი ქალაქის დემოკრატიული საბჭოს წევრად აირჩია.

ლიდია მეგრელიძის პირველი ლექსი 1910 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ნაკადულში" „მიმქრალის" ფსევდონიმით. აქედან მოყოლებული იწყება მისი დიდი გზა საბავშვო ლიტერატურაში. პოეტის ლექსები მოთხრობები, წერილები სათნოებითაა აღსავსე, მოუწოდებს ყმაწვილებს კეთილშობილებისა და კაცთმოყვარეობისაკენ. თავადაც ასეთი იყო — თავმდაბალი, სპეტაკი, სათნოებით სავსე. ახალგაზრდობას მიუძღვნა რომანი „შშობლიური ცის ქვეშ".

არანაკლებ საინტერესოა მისი ავტობიოგრაფიული თხზულება „ჩემი ცხოვრების დღიურები"

პოეტი ქალის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია პატარებისადმი ალერსით და ჩვენი მომავალი თაობისადმი დიდი სიყვარულით.

მ ე ს ნ ე რ ი შ ვ ი ლ ი — ჯ ა ბ უ შ ა ნ უ რ ი სარა სანდროს-ასული. 1915, სოფელი აწყური, ახმეტის რაიონი 15. V 1992, თბილისი.

პოეტ ვაბრიელ ჯაბუშანურის მეუღლე

მ ე ლ ი ა ვ ა თამაზ გიორგის ძე 23. XII. 1929, თბილისი — 27. VIII. 1972, თბილისი.

კინორეჟისორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. საშუალო განათლება მიიღო თბილისში და სწავლა გააგრძელა მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1958 წელს

შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო ა. დოვჟენკოს სახელობის კიევის კინოსტუდიაში. აქ ნაღდა პირველი ფილმი „უბრალო ნივთი". 1959 წელს „მოსფილმში" გადაიღო სრულმეტრაჟიანი ფილმები „ლეონ კუტიურე" და „წყნარი ნაესადგომი", რომლებითაც მიიპყრო მაყურებელთა ყურადღება. მალე ახალგაზრდა რეჟისორი სამშობლოში დაბრუნდა და აქ გამოავლინა თავისი დიდი შესაძლებლობანი 1963 წელს ედარ შენგელაიასთან ერთად გადაიღო ფილმი „თეთრი ქარავანი", რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ჩვენშიც და უცხოეთშიც. ამ ფილმისათვის დამდგმელ რეჟისორებს 1967 წელს საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატობა მიენიჭათ. ასევეთვე წარმატებით მოიარა ქვეყნის ეკრანები მისმა სრულმეტრაჟიანმა ფილმმა „ლონდრემ".

ჭეშმარიტად დიდ შემოქმედებით გამოცდად იქცა თ. მელიავასათვის კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „მთვარის მოტაცების" მიხედვით ორსერიანი კინოსურათის შექმნა ნიჭიერმა ხელოვანმა შესანიშნავად გაართვა თავი რთულ ამოცანას და დაგვიტოვა მშვენიერი კინემატოგრაფიული ნაწარმოები. სამწუხაროდ, ეს ფილმი რეჟისორისათვის უკანასკნელი ნამუშევარი იყო. ფართოდაა ცნობილი ივი როგორც ლიტერატორი და კინოსცენარისტი. მას ეკუთვნის კინოსცენარები მხატვრული ფილმებისათვის „გლადიატორი", „სამკაული სატრფოსათვის" და სხვ. იგი იყო არტისტული ბუნების, ფართოდ ერუდირებული შემოქმედი

მ ე ლ ი ქ ს ე თ ბ ე გ ი ლეონ მელიქსეთის ძე. 14. IX. 1890, თბილისი — 3. IX 1963, თბილისი.

არმენოლოგი, პროფესორი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაამთავრა თბილისის რეალური სასწავლებელი და უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა ოდესაში. ლექციებს ისმენდა იურიდიულ, ისტორიისა და ფილოლოგი-

ის ფაკულტეტზე. ცნობისმოყვარე და ბეჯითი ახალგაზრდა თავიდანვე ჩაება სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში და საუნივერსიტეტო კურსის დამთავრებისთანავე ნიკო მარმა მიიწვია თანამშრომლად ჟურნალ „ქრისტიანულ აღმოსავლეთში“, მაგრამ მან თბილისში დაბრუნება ირჩია და ფართო კვლევითი საქმიანობა გაშალა. მუშაობდა თბილისის სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებაში. 1918 წელს ახლად გახსნილ ჩვენს ეროვნულ უნივერსიტეტში მიიწვიეს, ხოლო 1922 წლიდან გარდაცვალებამდე აქვე იყო არმენოლოგიის კათედრის გამგე.

მრავალმხრივი ინტერესების მქონე ახალგაზრდა ნაყოფიერად იღვწოდა მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორებიცაა ლიტერატურათმცოდნეობა, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, ეპიგრაფიკა, ტექსტოლოგია, წყაროთმცოდნეობა და სხვ. მის კალამს ეკუთვნის 600-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის კაპიტალური ფუნდამენტალური: „ჩრდილო მხარეთა სომხეთის მოძღვარნი“, სომხურად გამოცემული ოთხტომიანი „ქართული წყაროები სომხეთისა და სომხების შესახებ“, „სომეხი მწერლები და საქართველო“, „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“, „ქართული წარწერები სომხეთში“, „სომხური წარწერები საქართველოში“ (4 წიგნად) „მეგალითური კულტურა საქართველოში“ და მრავალი სხვა.

ლ. მელექსეთ-ბეგმა თარგმნა არაერთი ნაწარმოები ქართულიდან სომხურად და პირიქით: „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები, ი. ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“, ა. წერეთლის „მეგობარს“, საიათ-ნოვას, იეთიშ გურჯის, ი. გრიშაშვილის, ა. აბაშელის და სხვათა ლექსები.

1960 წელს ქართველმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა ღვაწლმოსილი მეცნიერის დაბადების 70 წლისთავი. იმავე წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მ ე ს ტ ი ა შ ვ ი ლ ი — მ ო ს ა შ ვ ი ლ ი თამარ ვლადიმერის ასული. V, 1898, სოფელი მაღარო, სიღნაღის რაიონი — 15. IV. 1956, თბილისი.

მწერალ ილო მოსაშვილის მეუღლე. დაწყებითი განათლება მიიღო სიღნაღში (ნინოწმინდის მონასტერთან არსებულ სასწავლებელში). შემდეგ დაამთავრა თბილისის ქალთა ეპარქიული სასწავლებელი და დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა მშობლიურ სიღნაღში დაწყებითი კლასების პედაგოგად. მაგრამ ოჯახური პირობების გამო იძულებული შეიქმნა თავი დაენებებინა საყვარელი საქმისათვის.

მ ე ს ხ ი ა შოთა ამბაკოს ძე. 27. IV. 1916, სოფელი ობუჯი, წალენჯიხის რაიონი — 15. V. 1972, თბილისი.

ისტორიკოსი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1937 წელს თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1941 — 1942 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ანაპასთან, შემდეგ ქერჩში სადაც დაიჭრა და თბილისში დააბრუნეს. 1942 წლიდან ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1943 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე. 1956 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ამ კათედრის გამგე, 1961 წლიდან ისტორიის ფაკულტეტის დეკანი.

ფართო იყო შ. მესხიას მეცნიერული ინტერესების სპექტრი. მან ფუნდამენტური ნაშრომები მიუძღვნა საქართველოს ისტორიის ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა ქალაქების ისტორია და საქალაქო წყობა, წყაროთმცოდნეობა, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები. მის ერთ-ერთ ბოლო ნაშრომს „ძლევაჲ საკვირველი" მიენიჭა ს. ჯანაშიას სახელობის პრემია, ხოლო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების მომზადებისათვის, როგორც II ტომის რედაქტორს და I, III ტომების მთელი რიგი თავების ავტორს, — საქართველოს სახელმწიფო პრემია.

შოთა მესხია ჭეშმარიტი მოქალაქე და პატრიოტი გამოირჩეოდა გასაოცარი ხიბლითა და ვაჟკაცობით, იგი უაღრესად კეთილი, გულისხმიერი და ყურადღებიანი, შეურიგებელი და უკომპრომისო იყო ჩვენი ერის წარსულის ხელმყოფთა და გამყალბებელთა მიმართ, მისი მოსაზრებები და მეცნიერული დებულებები ყოველთვის ემყარებოდა ღრმა ცოდნასა და ფართო ერუდიციას, ხოლო ადამიანებთან ურთიერთობა დიდ სიყვარულსა და პატივისცემას.

გამოჩენილი მეცნიერი, გულისხმიერი აღმზრდელი და პედაგოგი დაჯილდოებული იყო სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

შოთა მესხიას საფლავის დიზაინი და ბრინჯაოს რელიეფის ავტორია ჩვენი სახელოვანი მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი.

მ ე ს ხ ი გრიგოლ პართენის ძე. 18. II. 1884, სოფელი კორდი (ამბროლაურის რაიონი) — 21. IV. 1971, თბილისი.

სწავლობდა ჯერ თბილისის, ხოლო 1905 წლიდან მოსკოვის

ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ რუსული ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები ა. კორინი, ნ. კასატკინი, ლ. პასტერნაკი, ვ. სეროვი. პოლიტიკური ვითარების გამო გ. მესხი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო და მის თანაკურსელ ალექსანდრე ციმაკურიძესთან ერთად თბილისში მოაწყო რუს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომლებიც თან ჩამოიტანეს ახალგაზრდებმა. ეს იყო მოსკოველ მხატვართა პირველი პერსონალური გამოფენა. ამ გამოფენაზე ახალგაზრდა მხატვარი თავად წარდგა ქართველი საზოგადოების წინაშე. დებიუტმა კარგათ ჩაიარა.

1909 წელს გ. მესხი მიიწვიეს ქართული დრამის თეატრში მთავარ დეკორატორად. ამან გარკვეული როლი შეასრულა მის შემოქმედებაში. მან შთამომავლობას დაუტოვა ქართული სცენის კორიფეთა კ. მესხის, ვ. აბაშიძის, ლადო მესხიშვილის, ნატო გაბუნიას და სხვათა პორტრეტები. ამავე პერიოდში შექმნილი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ ოცხელის, დიმიტრი არაყიშვილის სახეები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახელოვანი მამულიშვილების გალერეა გაამდიდრა ივანე ჯავახიშვილის, სანდრო შანშიაშვილის, ალექსანდრა ჯაფარიძისა და სხვათა შესანიშნავი სურათებით.

საგულისხმოა გ. მესხის პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, სადაც ორი ათეული წლის მანძილზე სათავეში ედგა ხატვისა და ფერწერის კაბინეტს. აქ აღიზარდა შემდეგში მრავალი ცნობილი მხატვარი.

ქართული ხელოვნებისა და კულტურის წინაშე დიდი ღვაწლის დაფასების ნიშნად მას 1967 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.

მ ე ღ ვ ი ნ ე თ უ ხ უ ც ე ს ი კონსტანტინე ვასილის ძე. 27. XI. 1891, სოფელი ხიდისთავი, გორის რაიონი — 30. XI. 1972, თბილისი.

კომპოზიტორი. 1909 წელს დაამთავრა თბილისის მუსიკალური სასწავლებელი, ხოლო 1913 წელს პეტერბურგის კონსერვატორია პროფესორ ა. ლიადოვის საკომპოზიციო კლასით. პარალელურად მუსიკალურ ესთეტიკას ეუფლებოდა და პროფესორ ლ. საკეტის ხელმძღვანელობით. დაამთავრა აგრეთვე პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ფართო განათლების სპეციალისტი დაბრუნდა სამშობლოში და ჩაება კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჯერ აღმი-

ნისტრაციულ თანამდებობაზეა, შემდეგ იწყებს მოღვაწეობას თბილისის კონსერვატორიაში, 1932 წლიდან პროფესორია.

1943 წელს კ. მელვინეთუხუცესი აირჩიეს თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში მუსიკის კათედრის გამგედ და კითხულობდა ლექციებს მუსიკის ისტორიაში. პარალელურად ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის ოპერები: „ამირანი", „დავით გურამიშვილი" და „ბეკინას ქორწინება", ექვსი სიმფონია, ერთი ბალეტი — „ჭანი გოგონა". ამასთანავე კომპოზიტორი საქართველოს წამყვან თეატრებში მუსიკალურად აფორმებდა სპექტაკლებს, წლების მანძილზე მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობა ჰქონდა კ. მარჯანიშვილთან. ფართო ერუდიციის მქონე შემოქმედი რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორიცაა. მათ შორის აღსანიშნავია „შემავალი ტონის თეორია", „ქართული ხალხური პოლიფონია" და სხვ.

ღვაწლმოსილი კომპოზიტორი და პედაგოგი დაჯილდოვებული იყო ორდენებითა და მედლებით. 1946 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მ ე ძ მ ა რ ი ა შ ვ ი ლ ი — გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი მელანია ლუარსაბის ასული. 15. X. 1875, ქუთაისი — 6. XI. 1946, თბილისი.

პედაგოგი, გრიგოლ გველესიანის მეუღლე. ოქროს მედლით დამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი, მაგრამ ხელმოკლეობის გამო სწავლა ვეღარ განაგრძო. 18 წლისამ დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა ცნობილი ქართველი მოღვაწის იოსებ ოცხელის მიერ გახსნილ მოსამზადებელ სკოლაში. იგი ადრევე ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. მისი თაოსნობით და აქტიური მონაწილეობით იმართებოდა საქველმოქმედო საღამოები და თეატრალური წარმოდგენები ღარიბთათვის, გაიხსნა საფეიქრო სკოლა გეგუთში, რეგულარულად აწყობდა სეირნობებს, სხვადასხვა სანახაობებს; აფართოებდა საბიბლიოთეკო ქსელს, ავრცელებდა წიგნებს. აქედან შემოსული თანხებით ქუთაისში დაარსა კარგად აღჭურვილი სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ქართული სახელმძღვანელოები.

1915 — 1917 წლებში აქტიურად მუშაობდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში და მონაწილეობდა ქუთაისის მუზეუმის შექმნაში. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მელანია გველესიანს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში. 1919 წლიდან იგი მეუღლესთან ერთად გადმოდის თბილისში და ჩვეული ენერგიით მუშაობს „დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოებაში" და სხვა საბავშვო დაწესებულე-

ებში. მისი მოღვაწეობისა და ქველმოქმედების მასშტაბები აქ კიდევ უფრო გაფართოვდა და ინტენსიური გახდა.

მ ე ძ მ ა რ ი ა შ ვ ი ლ ი დავით ჯუმბერის ძე 27. III. 1956, თბილისი — 30. VIII. 1980, ცენტრალური პამირი.

მთამსვლელი. მამის გატაცება შვილსაც გადაედო და მისთვის სპორტში ალტერნატივა აღარ არსებობდა, ჭაბუკობიდან გაუწია გულმა მთებისაკენ. სამწუხაროდ მამა-შვილის გატაცება ტრაგიკულად დამთავრდა — ისინი ახალგაზრდები შეეწირნენ მთებს.

დათოს ბიოგრაფია ჩვეულებრივი იყო — სკოლა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, პირველი ნაბიჯები ალპინიზმში, პირველი ლაშქრობები შეგობრებთან ერთად და ბოლოს — პამირი. ცენტრალურ პამირში ახალგაზრდა ქართველმა მთამსვლელებმა 6000 მეტრიანი უსახელო მწვერვალი დალაშქრეს. შემდეგ. . შორეული ტაჯიკეთიდან მოვიდა თავზარდამცემი დეპეშა: „კომუნიზმის პიკიდან ტრანსპორტირებისას ჰიპოქსიით გარდაიცვალა პირველთანრიგოსანი ვახტანგ ფირცხალავა. „როსიის“ პიკიდან ჩამოსვლისას დაილუპნენ დავით მეძმარიაშვილი, ზურაბ ათანაზევიჩი და გიორგი ნაიდენი“. ამას დაემატა ჯგუფის ხელმძღვანელის ვიქტორ რიბინსკის დაკარგვაც, რომელიც საერთოდ ვერ იპოვეს.

მთამ კიდევ ხუთი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის დიდი იმედების მომცემი დათო მეძმარიაშვილიც.

მ ე ძ მ ა რ ი ა შ ვ ი ლ ი ჯუმბერ ალექსანდრეს ძე. 16. IV. 1929, გორი — 29. VIII. 1961, ტიან შანი, მწვერვალი „პობედა“.

მთამსვლელი, სპორტის ოსტატი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და დაიწყო ჟურნალისტობა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას გაიტაცა კრივმა, იყო ამიერკავკასიისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

ალპინიზმით ჯ. მეძმარიაშვილი 1950 წელს დაინტერესდა და სულ მალე გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია: 1955 წელს სტალინის პიკის დაპყრობისათვის, 1960 წელს პამირის, ზულუმარტისა და იმიერალის ქედების ტრავერსისათვის, სამჯერ ოქროს მედალი დაიმსახურა, ხოლო 1955 წელს პამირის ერთი მწვერვალისა და 1956 წელს მოსკოვის პიკის დაპყრობისათვის ორჯერ ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა

ჯ. მეძმარიაშვილი გამოირჩეოდა გულისხმიერებით, ზომიერე-

ბითა და სიდინჯით, მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობით, ხასიათის სიმტკიცით და პასუხისმგებლობის გრძნობით. შემთხვევით როდი იყო იგი ამ ავბედითი ასელის მოიერიშეთა ოთხკაციანი ჯგუფის ხელმძღვანელი. მთებში ყველაფერი ხდება და არც ამ ოთხეულისათვის იყო მოულოდნელი რაიმე სიმუხთლე. მაგრამ ერთი მეორეზე მიყოლებული ტრაგედია ჯუმბერმა ყველაზე მეტად მიიტანა გულთან და შეუერთდა მარადისობაში გარდასულ მის ორ თანამოძმეს ილიკო გაბლიანს და თემურ კუბიანიძეს.

მ თ ვ ა რ ა ძ ე სიმონ ვასილის ძე. 1905, საგარეჯო — 24. IV. 1968, თბილისი.

მწერალი და დრამატურგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1928 წელს და მას შემდეგ თავდადებით ემსახურებოდა მშობლიურ ლიტერატურას. წლების მანძილზე იყო ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე. დრამატურგის ნრავალცა პიესამ მოიარა საქართველოს ყველა თეატრი, ხოლო პიესები „შლეგი“ და „მთაგრეხილზე“ დიდხანს არ ჩამოსულა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სცენიდან. აღსანიშნავია რომ ს. მთვარაძის მიერ დანიელ ჭონქაძის მოთხრობის მიხედვით დაწერილმა პიესამ „სურამის ციხე“ ხელი შეუწყო თბილისის ბოზარდ მაყურებელთა თეატრის ახალგაზრდული კოლექტივის დიდ წარმატებას მოსკოვში, სადაც 1941 წელს გაიმართა მოზარდ მაყურებელთა თეატრების საკავშირო დეკადა.

მკითხველთა მოწონებით სარგებლობდა მწერლის პროზაული ნაწარმოებებიც: მოთხრობები „ამბავი ივრის ზეობაში“, „ფალავანი“, რომანები „ლეკთა სარძლო“, „ძძლეთა ძძლე“, „ჩაშლილი ქორწილი“ და სხვ.

სიმონ მთვარაძე ცხოვრებაში იყო თავმდაბალი, უპრეტენზიო, ნიჭიერი და ახალგაზრდობის დიდი მოსიყვარულე პიროვნება. მის შემოქმედებას საპატიო ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

მ ი ზ ა ნ დ ა რ ი ალიოზ იოსების ძე. 1. IX. 1838, გორი — 1. VI. 1914, თბილისი.

ქართული საფორტეპიანო ხელოვნების ფუძემდებელი, კომპოზიტორი. სწავლობდა გორში, მუსიკით გატაცებაც იქ ჩაესახა. 9 წლისა გადმოიყვანეს თბილისში და განაგრძო სწავლა გიმნაზიაში. პარალელურად მეცადინეობდა შესანიშნავ მწერალთან და მუსიკოსთან, პოლონელ ემიგრანტთან ლ. იანიშევსკისთან. 1855 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების

ფაკულტეტზე, სადაც იგი დაუახლოვდა ანტონ რუბინშტეინს და იმპერიის დედაქალაქის მუსიკალურ საზოგადოებას. ა. მიზანდარი ჩაება საკონცერტო მოღვაწეობაში და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. მას ხშირად იწვევდნენ ელიტარულ სალონებში, რამაც ფრთა შეასხა ახალგაზრდა მუსიკოსს. იგი ბევრს და ინტენსიურად მუშაობდა, აძლევდა მუსიკის კერძო გაკვეთილებს. ამასთანავე აქტიურად ჩაება სტუდენტთა პოლიტიკურ მოძრაობაში, რის გამოც პოლიციის მიერ ეჭვმიტანილი იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა პეტერბურგი და სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა უნივერსიტეტის კურსის დამთავრება მაინც მოახერხა.

ქუთაისში ა. მიზანდარი მასწავლებლობდა გიმნაზიაში. 1865 წელს პარიზს ეკომგზავრა, სადაც ისევ ანტონ რუბინშტეინის დახმარებით მოხვდა როსინის, ლისტის, მარმონტელისა და ჰერცის წრეში. მაგრამ პარიზი მიზანდარისათვის მარტო სალონები როდი იყო. ესაა ქართველი პიანისტის დაძაბული შემოქმედებითი ძიების პერიოდი. პარიზს მოჰყვა ვენა, სადაც წარმატებით გამართა კონცერტები. აქაურმა პრესამ ახალგაზრდა პიანისტს „თბილისელი ვირტუოზი, გენიალური შემსრულებელი“ უწოდა.

1867 წლის შემოდგომაზე ა. მიზანდარი უკვე საქართველოშია და იწყებს ინტენსიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან თბილისში სათავე დაუდო ქართული საშემსრულებლო განათლების პროფესიულ დონეზე აყვანას. 1874 წელს ხარლამპი სავანელთან და კონსტანტინე ალიხანოვთან ერთად თბილისში გახსნა მუსიკალური სკოლა, რომელიც 1886 წელს სასწავლებლად გადაკეთდა, ხოლო 1917 წლის პირველ მაისს კონსერვატორიად.

მარტო აქედან ჩანს ამ „სამეულის“ დამსახურება ჩვენში მუსიკალური განათლების დამკვიდრების საქმეში. განსაკუთრებით ეს ითქმის ა. მიზანდარზე, რომელიც შემდეგ მარტო ხელმძღვანელობდა ამ საშვილიშვილო საქმეს. და აქაც შეშწედ ანტონ რუბინშტეინი მოევლინა. 1891 წლის აგვისტოში, ა. რუბინშტეინმა კონცერტები გამართა თბილისში, რომლის შემოსავალმა შექმნა პირველი ფონდი თბილისის მუსიკალური სასწავლებლის შენობის ასაგებად გრიბოედოვის ქუჩაზე № 8-ში, სადაც დღემდე არის ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის შენობა.

ა. მიზანდარი კარგად ფლობდა საკომპოზიტორო ტექნიკის ყველა ხერხს. მისი ნაწარმოებები მომხიბვლავია თავისი მელოდიურობით, ორიგინალური რიტმით, ნაირფეროვანი განწყობილებით.

ლვაწლმოსილი მამულიშვილის გარდაცვალება დიდი მწუხარებით დაიტირა ქართველმა საზოგადოებამ. იგი დაკრძალეს კუკიის

სასაფლაოზე, 1970 წლის 15 მაისს კი მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადმოასვენეს.

მ ი ლ ა ძ ე — გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ნინო ვასილის ასული. 14. I. 1914, სოფელი ალევი, ლუშეთის რაიონი — 25. V. 1968, თბილისი.

პროფესორ დავით გვრიტიშვილის მეუღლე. დიასახლისი.

მ ი ლ ო რ ა ვ ა შოთა ერმილეს ძე. 22. I. 1925, თბილისი — 16. IV. 1990, თბილისი.

კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი. იზრდებოდა მუსიკალურ ოჯახში, რამაც განსაზღვრა კიდეც ყმაწვილის მომავალი. სწავლობდა თბილისის პირველ მუსიკალურ სასწავლებელში. 1947 წელს დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საკომპოზიციო კლასი, ანდრია ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით. მუშაობდა სხვადასხვა ჟანრში. იყო კაპელის კონცერტმაისტერი, პედაგოგ-ქორმაისტერი, კინოსტუდია „ქართულ ფილმში" მუსიკალური რედაქტორი, წერდა სიმღერებს, ოპერეტებს და ინსტუმენტულ ნაწარმოებებს, შესანიშნავად უკრავდა სხვადასხვა საკრავებზე. ასეთმა მრავალმხრივმა ძიებამ ნიჭიერი შემომქმედი დააყენა ჭეშმარიტ გზაზე, რომელმაც მიიყვანა იგი მუსიკალური კომედიის ჟანრთან. კომპოზიტორმა 30-მდე ოპერეტა შექმნა, რომელთაგან გასაკუთრებით აღსანიშნავია: „სასიძენები", „საყვარელი დისწული", „სიმღერა თბილისზე", „მხოლოდ შენ ერთს", „სამი უფროსის მსახური", „ერთხელ გაზაფხულზე", „საყვარელი დისშვილი", „ჩანჩურა", „კახაბერის ხმალი" და სხვ.

შ. მილორავას მუსიკალურ კომედიებში მსმენელს იხიბავდა და ხიბლავდა მათი განსაკუთრებული მელოდიურობა და გულში ჩამწვდომი ჰანგები. მან შექმნა მრავალი საგუნდო და საესტრადო სიმღერა, რომლებმაც ავტორს დამსახურებული პოპულარობა მოუხვეჭეს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შ. მილორავას, როგორც კონსერვატორიის პროფესორისა და პედაგოგის, მოქალაქისა და პიროვნების განუმეორებელი თვისებები: უბრალოებასთან შეხამებული კეთილშობილება, ადამიანური სათნოება, მშობლიური მიწის განსაკუთრებული სიყვარული, როგორც შემოქმედების უშრეტი წყარო.

კომპოზიტორის დიდი ღვაწლი ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში აღინიშნა „საპატიო ნიშნის" ორი ორდენით.

მ ი მ ი ნ ო შ ვ ი ლ ი ალექსი იაკობის ძე. 3. XI. 1911, სოხუმი — 12. II. 1967, თბილისი.

ხუროთმოძღვარი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. თავისი პროფესიული მომავალი ბავშვობაშივე განსაზღვრა — გატაცებული იყო არქიტექტურით. ამიტომ შვიდი კლასის შემდეგ, ჯერ დაამთავრა სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის სამშენებლო ფაკულტეტი, ხოლო 1933 წელს თბილისის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი არქიტექტურის სპეციალობით.

თავისი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით ა. მიმინოშვილმა შალე მოიპოვა ავტორიტეტი ხუროთმოძღვართა და მშენებელთა წრეებში. სხვადასხვა დროს განაგებდა წამყვან საკონსტრუქტორო ბიუროებს. მისი პროექტით აიგო საცხოვრებელი სახლები სოხუმში, თბილისში (ნიკოლაძის, რიგის, ფალიაშვილის ქუჩებზე), კონიაკის ქარხნის მთავარი კორპუსი, სასტუმრო წინანდალში, სადეგუსტაციო დარბაზი და შარანი დიღომში, კვების მრეწველობის რამდენიმე მნიშვნელოვანი საწარმო. იგი შემოქმედებითად იყენებდა კლასიკური და ეროვნული ხუროთმოძღვრების ფორმებს, ამასთან თამამად და გაბედულად აქსოვდა შიგ საკუთარ ორიგინალურ ჩანაფიქრს. მისი დიდი დამსახურება აღინიშნა იმით, რომ 1950 წელს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.

მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი ალექსი ივანეს-ძე 1860, სოფელი ანაგა, სიღნაღის რაიონი, — 24. IV. 1925, თბილისი.

პედაგოგი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

7 წლისა შეიყვანეს სოფ. ვაქირის დაწყებით სკოლაში. შემდეგ სწავლობდა სიღნაღის სამაზრო სასწავლებელში. 1881 წელს დაამთავრა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის სრული კურსი. ამ პერიოდში იგი დაუახლოვდა ცნობილ ქართველ მოღვაწეებს ს. მესხს, ი. გოგებაშვილს ნ. ცხვედაძეს, ნ. ლომოურს და მათი დახმარებით დაინიშნა მასწავლებლად თბილისის ქართულ სკოლაში, რომელიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ეკუთვნოდა.

აქ მან ნაყოფიერად იმუშავა რამდენიმე წელიწადს, შემდეგ გადაიყვანეს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში, სადაც ერთხანს თვითონაც სწავლობდა. 1900 წლიდან 1923 წლამდე თბილისის კომერციული სასწავლებლის პედაგოგია.

ა. მირიანაშვილს მხატვრული ლიტერატურისადმი სიყვარული ჯერ კიდევ სტუდენტობისას აღეძრა. სამწერლო ასპარეზზე 1879 წელს გამოვიდა. ამის შემდეგ აქტიურად თანამშრომლობდა პერი-

ოდულ ორგანოებში: „ივერია“, „თეატრი“, „დროება“, „იმედი“, „ნობათი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო გაზეთი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ. იგი იყო ბავშვების საყვარელი მწერალი. ა. მირიანაშვილის „იგავ-არაკების კრებული“ თავის დროზე პოპულარობით სარგებლობდა. სულ მას გამოცემული აქვს შვიდი წიგნი.

თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა ეს ჩუმი მუშაკი ქართულ მწერლობას, სახალხო განათლებას, ქართულ სკოლას და თვალსაჩინო კვალი დატოვა ეროვნული კულტურის ისტორიაში.

მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა (მ ა შ ა შ ვ ი ლ ი) ალიო ანდრიას-ძე. 28. IV. 1903, სოფელი ხორგა, ზობის რაიონი — 16. X. 1971, თბილისი.

პოეტი, საზოგადო მოღვაწე. აქტიური ბუნების ახალგაზრდა ჭაბუკობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რამაც იგი 1920 წელს კომკავშირის არალეგალურ ორგანიზაციაში მიიყვანა. მოგვიანებით იყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების მდივანი. დაამთავრა ფოთის გიმნაზია და სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1924 წელს გადადის მოსკოვის ვ. ბრიუსოვის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში. ამავე წელს გამოქვეყნდა ნიჭიერი ახალგაზრდის პირველი წიგნი „მერრეხი“, რომელშიც შევიდა მისი ადრინდელი ლექსები.

ა. მირცხულავა სულ მოესწრო თავის 30-მდე წიგნს, რომლებმაც შორს გაიტანეს მისი შემოქმედების ნაყოფი, გასხივოსნებული სამშობლოს სიყვარულის მაღალი გრძნობით. პოეტის პატრიოტული ლირიკა მოიცავს მისი შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს...

> მაგი ზღვის პირად ალმართულია,
> ჩემი ქვეყანა. ეგრე ლამაზი,
> თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,
> მისგან ღრეჩელიც დაფანტულია.

ა. მირცხულავას მრავალი ლექსი გაითავისა ხალხმა, ზოგი მათგანი სიმღერით გავრცელდა ჩვენში. პოეტი ბევრსა და დიდი სიყვარულით წერდა ბავშვებისთვისაც. სამშობლო, დედაენა, ჩვენი გმირული წარსული და იმედიანი მომავალი — ეს მისი დაუშრეტელი შთაგონების წყარო.

ლიტერატურული ცხოვრების ნიჭიერი ორგანიზატორი, იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი გამგეობისა

და პრეზიდიუმის წევრი, ჟურნალების „მნათობისა“ და „დროშის“ რედაქტორი, საქართველოს წიგნის პალატის დირექტორი.

ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი დაჯილდოვებული იყო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, ორი შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით.

მიხაილიდი — კაკაბაძე ლუდმილა (ძილა) ნიკოლოზის ასული. 20. V. 1903, ქუთაისი — 19. VIII, 1986, თბილისი.

პოლიკარპე კაკაბაძის მეუღლე. ქუთაისის ქალთა გიმნაზიის დამთავრებისთანავე მონაწილეობა მიიღო პოკო მურღულიას თეატრალური დასის სპექტაკლში „თამარ ბატონიშვილი“, სადაც განასახიერა რუსუდანის როლი. ამის შემდეგ იგი მიიწვიეს შ. დადიანის თეატრალურ დასში. სცენური მომხიბვლელობა და ნიჭი ახალგაზრდა მსახიობს ბრწყინვალე არტისტულ კარიერას უქადდა. მაგრამ შევიდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მალე თავისი ბედი დაუკავშირა პოლიკარპე კაკაბაძეს.

ლუდმილა კაკაბაძე ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ-მთარგმნელობით საქმიანობას. თავისი მეუღლის ნაწარმოებთა პირველი მკითხველი და პირუთვნელი შემფასებელი იყო, რითაც ხელს უწყობდა გამოჩენილი ქართველი დრამატურგის ქმნილებათა დახვეწასა და სრულყოფას.

მოსაშვილი ილო ონისიმეს ძე. 7. I. 1896, სოფელი ჩარგალი, დუშეთის რაიონი — 3. VIII. 1957, თბილისი.

მწერალი. სწავლობდა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1914 წელს იურიდიული განათლების მისაღებად გაემგზავრა პეტერბურგს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გადავიდა ხარკოვში და აქ განაგრძო სწავლა ამავე ფაკულტეტზე.

ქართულ მწერლობაში ყმაწვილი ლექსებით შემოვიდა. 1911 წელს გაზეთ „სინათლეში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები, ხოლო აქტიური ლიტერატურული საქმიანობა დაიწყო 1920 წლიდან. ი. მოსაშვილის პოეზია ალსავსეა ღრმა ლირიზმით და მასშტაბურობით. მისთვის მახლობელია სოციალური თემები და პირადული განცდები. თემატურად მწერლის შემოქმედება მეტად მრავალფეროვანია და ახასიათებს მუსიკალური ყღერადობა.

პოეზიის გარდა, ილო მოსაშვილმა თავისი სიტყვა თქვა პროზაშიც. ამასთანავე ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. მან ქართ-

ველი მკითხველი აზიარა ი. კრილოვის, ტ. შევჩენკოს, ი. ფრანკოს, ვ. მაიაკოვსკის, ს. ესენინის და სხვა პოეტებისა და მწერლების ნიმუშებს. დიდი ამაგი დასდო ქართულ საბავშვო მწერლობას. აღსანიშნავია მისი ღვაწლი დრამატურგიაში. მან გაამდიდრა ჩვენი თეატრების რეპერტუარი ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე შესანიშნავი ქმნილებებით. ქართულ სცენაზე წლების მანძილზე წარმატებით იდგმებოდა მისი პიესები: „სადგურის მორიგე", „გზა მოგავლისა", „ჩაძირული ქვები", „მისი ვარსკვლავი". ამ ორი პიესით შექმნილ სპექტაკლებს რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების სცენაზე, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ.

ილო მოსაშვილი რამდენიმე ქართული ფილმის სცენარის ავტორია. კერძოდ, შ. ბერიშვილმა 1935 წელს მისი სცენარით გადაიღო კინოფილმი „მდინარის გალმა", დ. რონდელმა „არშაულა", ივ. პერესტიანმა „ორი მეგობარი", ლ. ესაკიამ „გალმელი ქალიშვილი", დ. ახთაძემ და ა. ჯალიაშვილმა „სადარაჯო ჯიხური", ნ. შენგელაიამ და დ. ახთაძემ „ის კიდევ დაბრუნდება" (ეს იყო ნ. შენგელაიას უკანასკნელი ფილმი).

ი. მოსაშვილი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მშვიდობის დაცვის საქართველოს კომიტეტს. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი. გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ღვაწლი აღინიშნა ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. 1977 წლის 11 ივლისს ი. მოსაშვილის 80-წლის საიუბილეოდ მის საფლავზე დაიდგა გამოჩენილი ქართველი მოქანდაკისა და არქიტექტორის გ. ჯაფარიძის მიერ შესრულებული ძეგლი

მ ო ს ა შ ვ ი ლ ი მინდია ილიას ძე. 7. I. 1928, თბილისი — 17. II. 1982, თბილისი.

მწერალი და ჟურნალისტი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ქართულ პრესაში. შემდეგ ადმინისტრაციულ თანამდებობაზეა, ხოლო 1978 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო გამომცემლობა „ხელოვნების" მთავარი რედაქტორი.

ლიტერატურული საქმიანობა სამოციანი წლებიდან დაიწყო, როცა გამოაქვეყნა პირველი მოთხრობები. მკითხველმა მოწონებით მიიღო მისი პროზაული კრებულები „აღმართი", „ორთაბრძოლა", „წარსული ზაფხული", „ნადირობა პრერიებში" და სხვ.

მწერლის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სპორტულ თემატიკას. ამ მხრივ აღსანიშნავია კრებული „ლეგენდის და-

ბადება". მხატვრული ნარკვევები მიუძღვნა ცნობილ სპორტსმენებს მანუჩარ მაჩაიძეს, ოთარ გაბელიას, რამაზ შენგელიას.

მინდია მოსაშვილმა მამის, ცნობილი ქართველი პოეტისა და დრამატურგის ილო მოსაშვილის ხსოვნას უძღვნა საინტერესო მონოგრაფია „ილო მოსაშვილის ცხოვრების ქრონიკა", რომელიც კრიტიკამ და მკითხველმა დადებითად შეაფასა.

მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი მალიკო ნიკოლოზის ასული. 31. XII. 1900, ონი — 3. I. 1984, თბილისი.

თეატრალური მოღვაწე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. განათლება მიიღო ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში, ხოლო შემდეგ ისმენდა ლექციებს პეტროგრადის ქალთა უმაღლეს კურსებზე.

1918 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, მაგრამ საბოლოო არჩევანი მაინც თეატრზე შეაჩერა და უკვე 1922 წლიდან იგი აკაკი ფაღავას თეატრალური სტუდიის მსმენელია. ამავე ხანებში მან თავისი ბედი დაუკავშირა ცნობილ თეატრალურ მოღვაწეს პ. მურღულიას. ცოლ-ქმარი ერთხანს მუშაობდა თეატრში, მაგრამ ქალბატონმა მალიკომ მთელი თავისი ცოდნა და შესაძლებლობანი სრულად გამოავლინა მსახიობთა ახალგაზრდა ეროვნული კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში. წლების მანძილზე მომავალ აქტიორებს ასწავლიდა სასცენო მეტყველებას და იყო ამ დარგის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი საქართველოში.

მ. მრევლიშვილის სახელმძღვანელოებმა „ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები", „მხატვრული კითხვის ხელოვნება", „მხატვრული კითხვის მასალების კრებული" და სხვა, დიდი როლი შეასრულეს ქართული სასცენო მეტყველების მეცნიერული და მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავებაში.

მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი მაყვალა ალექსანდრეს ასული. 14. II. 1909, სილნაღი, — 5. IX, 1992, თბილისი.

საბავშვო პოეტი. დაიბადა გამოჩენილი ქართველი მხატვრის ალექსანდრე მრევლიშვილის ოჯახში. მას ბავშვობიდანვე მწერალთა და ხელოვანთა გარემოცვაში მოუწია აღზრდამ, რამაც განაპირობა მისი მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბება, პოეტური გემოვნების დახვეწა. 1925 წელს დაამთავრა თბილისის მე-8 საშუალო სკოლა, ხოლო 1930 წელს — თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ლიტერატურული განყოფილება. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტის საბავშვო გადაცემათა რედაქტორად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ თანამშრომლად, იყო მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხატვრული კითხვის წრის ხელმძღვანელი, საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო სექციის ბიუროს მდივანი, ჟურნალ „დილას" მთავარი რედაქტორის მოადგილე. პირველი ლექსი „წერილი აბასთუმნიდან" 1927 წელს გამოაქვეყნა, ხოლო პირველი წიგნი „ლექსები" 1940 წელს. იმთავითვე მიიპყრო ჩვენი საზოგადოების ყურადღება ახალგაზრდა პოეტი ქალის შემოქმედებამ. მის ლექსებში განსაკუთრებით იგრძნობოდა ფრაზის სინათლე და სინატიფე, მუსიკალობა. სწორედ ამიტომაა, რომ მაყვალა მრევლიშვილის პოეზიამ, რომლის უპირველეს და უმთავრეს დანიშნულებას მოზარდი თაობის მშობლიური ერისადმი თავდადების სულისკვეთებით აღზრდა წარმოადგენდა, სამართლიანად დაუმკვიდრა მას საპატიო ადგილი ქართულ საყმაწვილო ლიტერატურაში. ქართველმა ბავშვებმა გულით შეიყვარეს პოეტის შესანიშნავი ლექსები, „დილა ბაშვიდობისა", „საწყალი კურდღელი", „ჩიტო-ჩიტო", „შენ გიგალობ პატარავ", პოემები „ჟანჟიკელა", „გოგია და ტოლია", „მიყვარს ყველა ცისარტყელა" და მრავალი სხვა. მან გადაამუშავა და გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრები „ირმისა" და „კომბლე".

მაყვალა მრევლიშვილი ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. ქართველ მკითხველს გააცნო ფრანგული ხალხური საბავშვო ლექსები, შარლ დე კოსტერის რომანი „ულენშპიგელის ლეგენდა", ლიტვური ზღაპრები „მზის დამხსნელი".

ღირსეულად დაფასდა გამოჩენილი პოეტი ქალის ღვაწლი. მას მინიჭებული ჰქონდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, დაჯილდოვებული იყო იაკობ გოგებაშვილის მედლით, შიო მღვიმელის სახელობის პრემიით, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით. მისი თხზულებები გამოქვეყნდა რუსულ, უკრაინულ, ჩეხურ, სლოვაკურ და მრავალ სხვა ენებზე.

მაყვალა მრევლიშვილი ექვსი ათეული წლის მანძილზე თავდადებით ემსახურებოდა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. მისი უკვდავი ლექსებით იზრდებოდა და კვლავაც გაიზრდებიან თაობები, თავისუფალი საქართველოს შვილები.

მ უ რ ღ უ ლ ი ა პოლიკარპე (პოკო) ლევანის ძე. 13. II. 1900, ჭუთაისი — 25. X. 1973, თბილისი.

თეატრალური მოღვაწე, რეჟისორი. ჯერ კიდევ 12 წლის მოსწავლემ, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის სცენაზე დადგა ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“ და თვითონაც მონაწილეობდა როგორც მსახიობი. აქედან დაწყებული, სადაც არ უნდა ყოფილიყო, რაც არ უხდა ეკეთებინა, მუდამ თეატრზე ფიქრობდა, ამ ოცნებით ცხოვრობდა.

1921 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ თეატრისადმი სიყვარულმა გადასძლია და ა. ფალავას ხელმძღვანელობით რუსთაველის თეატრთან არსებული სტუდიის დამთავრების შემდეგ აქვე დაიწყო მოღვაწეობა. რუსთაველის თეატრიდან კ. მარჯანიშვილის წასვლის შემდეგ იგი თან გაყვა თავის მასწავლებელს ქუთაისში და მხარში ედგა ახალი თეატრის ჩამოყალიბების საქმეში. პ. მურღულიას მცირე წელილი როდი მიუძღვის 1929 — 1930 წწ. ამ სახელოვანი კოლექტივის გასტროლებში, როდესაც თეატრმა თავისი მდიდარი შემოქმედება გაიტანა ხარკოვსა და მოსკოვში.

კ. მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ პ. მურღულია წავიდა თეატრიდან და „სახკინმრეწვში“ დაიწყო მუშაობა. ახალგაზრდა მსახიობი მთავარ როლებს ასრულებდა ფილმებში: „პრომეთე“, „ზაპოროჟიელი დუნაის გაღმა“ და სხვ. ამ ფილმებში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ შოთა ნოზაძე და ჩვენი სახელოვანი ნომღერლის ნანი ბრეგვაძის მამა — გიორგი.

ნიჭიერი ხელოვანი გამოირჩეოდა შესაშური ორგანიზატორული უნარითაც. სხვადასხვა დროს მუშაობდა რუსთაველის თეატრის, სახელმწიფო ცირკის, ფრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის დირექტორად. დიდი ღვაწლისა და უანგარო ამაგისათვის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. დაჯილდოვებული იყო ორდენებით და მედლებით.

პოკო მურღულია იყო ერთ-ერთი უანგარო მოღვაწე, რომელმაც მთელი სიცოცხლე შეალია ეროვნული კულტურის განვითარების საქმეს. იგი ბავშვივით ამაყობდა და ხარობდა ქართული თეატრის წარმატებებით. უპრეტენზიო, მოკრძალებული, მაღალი ზნეობის ინტელიგენტი — ასეთი დარჩა იგი ქართული თეატრის ისტორიაში.

მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ვახტანგ სოლომონისძე. 1. I. 1869, სოფელი ბრეკა, ქარელის რაიონი — 15. IV. 1933, თბილისი.

ექიმი, ოფთალმოლოგი, პროფესორი. დაამთავრა თბილისის მეორე გიმნაზია და 1892 წელს შეეიდა ხარკოვის უნივერსიტეტის სა-

მედიცინო ფაკულტეტზე. 1898 წელს უნივერსიტეტის კურსის დასრულების შემდეგ, დაიწყო მუშაობა იქვე თვალის სნეულებათა კლინიკაში ორდინატორად, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ლ. გირშმანი.

1901 წელს ვ. მუსხელიშვილი ჩამოდის საქართველოში და მუშაობას იწყებს ჯერ გ. ტარსაიძის მიერ დაარსებულ თვალის სნეულებათა კლინიკაში, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საავადმყოფოს თვალის სნეულებათა განყოფილების ხელმძღვანელია.

1921 წელს იგი როგორც ამ დარგის ცნობილი სპეციალისტი მიიწვიეს ლექტორად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, 1930 წელს კი აირჩიეს კათედრის გამგედ და მიანიჭეს პროფესორის წოდება.

დიდია ვ. მუსხელიშვილის დამსახურება და ამაგი, როგორც კლინიცისტის, ასევე ახალგაზრდა ოფთალმოლოგების აღზრდაში, მათ მიერ ამ კეთილშობილური და რთული სპეციალობის დაუფლებაში. იგი ხანგრძლივი მივლინებით მუშაობდა უცხოეთის კლინიკებში და მოწინავე გამოცდილებას ნერგავდა საქართველოში. თავადაც შესანიშნავი ოპერატორი იყო. ვ. მუსხელიშვილი მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორია. მან რუსულიდან თარგმნა აგრეთვე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. მისი თაოსნობით საქართველოს სხვადასხვა რაიონში იგზავნებოდა ექიმთა ბრიგადები. ამ ღონისძიებებმა დიდი როლი შეასრულა თვალის სნეულებათა პროფილაქტიკისა და საექიმო დახმარების გაწევაში.

მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი — შ ა რ ლ ე მ ა ნ ი მარიამ გიორგის ასული. 1883, თბილისი — 1967, თბილისი.

მხატვარ ი. შარლემანის მეუღლე. თბილისში დამთავრა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. სწავლა გააგრძელა მილანის კონსერვატორიაში ვოკალის განყოფილებაზე, ჰქონდა კარგი კოლორატურული სოპრანო, მაგრამ სცენაზე არ უღეაწია. მუშაობდა ბანკში, სადაც შეხვდა რევოლუციას გამოქცეულ მხატვარ იოსებ შარლემანს, რომელზედაც იქორწინა 1921 წელს.

მ ღ ვ ი მ ე ლ ი (ქ უ ჩ უ კ ა შ ვ ი ლ ი) შიო ილარიონის ძე. 14. II. 1866, სოფელი ბრეთი, ქარელის რაიონი — 28. XI. 1933, თბილისი.

საბავშვო პოეტი, საზოგადო მოღვაწე. იგი საქართველოში მოსულ თორმეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი მამის წმინდა შიოს ხსენების დღეს დაიბადა. მღვიმელი ფსევდონიმად ნიკო ლომოურმა უბო-

ძა („ის ბერიც შენსავით წყნარი იყოო“), ხოლო ქართველი ბავშვების სულიერი მამობა — მისმა საბავშვო პოეზიამ. ასე, რომ ბედს თუ განგებას უბოძებია მწერლისათვის თავისი სახელი.

1881 წელს მიაბარეს გორის საოსტატო სემინარიასთან არსებულ სანიმუშო სკოლაში, სადაც სწავლობდა ვაჟა-ფშაველა და მისი ძმები. სწორედ აქედან იწყება მათი მეგობრობა. იმხანად ვორში ბევრი ხალხოსანი მოღვაწეობდა. მათ მოძრაობაში აქტიურად ჩაება მომავალი პოეტიც, რომელმაც დიდი მატერიალური გაჭირვების მიუხედავად, შეძლო 1887 წელს სემინარიის დამთავრება. იმავე წლის შემოდგომაზე თბილისში დაბინავდა და მუშაობა დაიწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სადაც 22 წელი ემსახურა ქართული წიგნის გამოცემა-პოპულარიზაციის საქმეს. პარალელურად ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, რომლის სიყვარული ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩაესახა.

ახალგაზრდა პოეტმა თავისი პირველი ლექსი „დილა“ 1885 წელს „დროებაში“ დაბეჭდა. აქედან მოყოლებული სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, ცალკე წიგნებად გამოდიოდა მისი საბავშვო ლექსები. მაგრამ პოეტის მასალებები გაიშალა ჟურნალ „ჯეჯილის“ დაარსების დღიდან. იგი პირველსავე ნომერში წარსდგა მკითხველთა წინაშე ლექსით „ჯეჯილი“. სიყვარულით და ხალასი ნიჭით გამსჭვალული მისი შემოქმედება, ჭეშმარიტ სიამოვნებას გვრიდა არა მარტო ბავშვებს, არამედ მათ მშობლებსაც. იგი დაუცხრომლად შთაუნერგავდა ახალგაზრდა თაობას სიკეთეს, მაღალ ზნეობას, შრომისმოყვარეობას, პატიოსნებასა და სამშობლოსადმი თავდადებას. რამდენად ღრმა და ღვთაებრივია პოეტის შესანიშნავი ლექსი „მერცხალი“, რომელიც კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის ეტალონად შეიძლება ჩაითვალოს.

შიო მღვიმელი იყო პირველი პროფესიონალი საბავშვო პოეტი, რომელსაც წინაპარი თითქმის არ ჰყოლია. მან შექმნა და დააკანონა ქართული საბავშვო ლექსის ტრადიცია, რითაც საუკუნოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

მ შ ვ ე ლ ი ძ ე შალვა მიხეილის ძე. 15 V. 1904, თბილისი — 5. III. 1984. თბილისი

კომპოზიტორი, პროფესორი. სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში პროფესორ მ. ბაგრინოვსკისთან. უკვე სტუდენტობისას დიმიტრი არაყიშვილის დავალებით დაიწყო ხალხური მუსიკის ნიმუშების შეგროვება. შემოიარა სვანეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ქიზიყი, კახეთი, ქართლი, მესხეთ-ჯავახეთი, გურია, აჭარა. პირველ-

მა შემოიტანა ქართულ პროფესიულ მუსიკაში ფშავ-ხევსურული მუსიკალური დიალექტი, მასში იპოვნა საკუთარი სტილის განვითარების საყრდენი და ხალხური მარცვალიც მეტად ორიგინალურად განავითარა. მან სათავე დაუდო ქართული სიმფონიური მუსიკის გაშტოებას ეპიკურ სიმფონიზმს. ბუნებრივია, რომ პირველი დიდი ფორმის ნაწარმოები, სიმფონიური პოემა „ზვიადაური" კომპოზიტორმა სწორედ ამ თემას დაუკავშირა. შალვა მშველიძის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ მან პირველმა აამეტყველა ქართულ სიმფონიურ მუსიკაში ვაჟა-ფშაველას ვაჟკაცური ეპოსი თავისი სიდიადით, წარმოაჩინა მისი მომხიბლავობა. ეს იგრძნობა არა მარტო „ზვიადაურში" და „მინდიაში", არამედ ლაიტმოტივად გასდევს მთელ მის შემოქმედებას.

აღსანიშნავია აგრეთვე კომპოზიტორის ღრმად ეროვნული საოპერო ქმნილებანი, რომლებშიც აისახა ქართველი ხალხის გმირული წარსული, მისი უშრეტი ძალისხმევა. შ. მშველიძე ავტორია ოპერების: „ამბავი ტარიელისა", „დიდოსტატის მარჯვენა". მასვე ეკუთვნის შესანიშნავი ორატორიები — „კავკასიონი", „მარადი თქმულება", 6 სიმფონია, მუსიკა დრამატული სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის, საგუნდო და კამერული ნაწარმოებები, ფუნდამენტური გამოკვლევები: „საკრავთმცოდნეობა", „ორკესტრობის თეორია" და სხვ.

აღსანიშნავია კომპოზიტორის დიდი ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნების, კერძოდ ინდოეთის მუსიკალური კულტურისადმი, რასაც ხორცი შეესხა მის ქმნილებებში: „ინდური სუიტა", „ბირმული სურათები", რომანსი „ამრიტა". მათ ღირსებებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ავტორმა ამ ნაწარმოებებისათვის დაიმსახურა ჯ. ნერუს სახელობის პრემია. იგი იყო სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის (1941, 1947 წწ), ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი. 1938 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

მ შ ვ ე ნ ი ე რ ა ძ ე დომენტი მელიტონის-ძე. 23. III 1902, ზესტაფონი, — 17. XI. 1969, თბილისი

პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისისა და ზესტაფონის გიმნაზიებში, ხოლო 1923 წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. მაგრამ კურსი არ დაუსრულებია, დაბრუნდა სამშობლოში და ერთხანს იყო სხვადასხვა პარტიულ და საბჭოთა თანამდებობაზე.

1930 წელს მოსკოვის სატრანსპორტო საინჟინრო ინსტიტუტი ჯერ დაამთავრა, ჩამოვიდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო ჯერ რკინიგზაზე, შემდეგ ამიერკავკასიის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტში, კითხულობდა „ხიდების“ კურსს, პარალელურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა „ტრანსპორტისა და მრეწველობის ეკონომიკას“.

თბილისში ორი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანების შემდეგ დ. მშვენიერაძემ მუშაობა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ფუძე-საძირკვლებისა და გრუნტების მექანიკის კათედრა, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. პარალელურად მუშაობდა საქართველოს ჰიდრონაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ერთხანს მისი დირექტორიც იყო, შემდეგ რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე ეწეოდა პრაქტიკულ საქმიანობას.

მეცნიერმა შექმნა 70-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის ოცი სახელმძღვანელო და მონოგრაფიაა. თეორიულად დაამუშავა, პრაქტიკულად შეისწავლა და წარმოებაში დასანერგად მოამზადა ახალი ტიპის ხიმინჯოვანი საძირკვლები. დ. მშვენიერაძის ნაშრომი ქართული საფორტიფიკაციო მშენებლობის საკითხებზე, მნიშვნელოვანი გამოკვლევაა სამშენებლო ტექნიკის დარგში. დიდი ღვაწლი მიუძღვის ასევე ქართული სამშენებლო ტერმინოლოგიის დამუშავების საქმეში. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით

მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი — კ ა ნ დ ე ლ ა კ ი მარიამ ზაქარიას ასული. 28. VIII. 1901, სოფელი ანაგა, სილნაღის რაიონი — 25. IX. 1970, თბილისი.

კინორეჟისორ ირაკლი კანდელაკის მეუღლე. დაამთავრა თბილისის ქალთა გიმნაზია. სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ გათხოვდა და სწავლა არ დაუსრულებია. იყო დიასახლისი.

ნ ა დ ი რ ა ძ ე გიორგი ალექსანდრეს ძე. 15. IV. 1902, ჭყემომაჩხაანი, სილნაღის რაიონი — 4. IV. 1960, თბილისი.

კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი. ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი მაჩხანელის ძმისწული. ყმაწვილი ადრე მოეჭცა მოწინავე საზოგადოებრივ ატმოსფეროში, რამაც ხელი შეუწყო მის უანგარო სიყვარულსა და გატაცებას მშობლიური ლიტერატურით და ხელოვნებით. წარმა-

ტებთ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ ფილოსოფიის, შემდეგ ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სტუდენტობიდანვე ტოლ-ამხანაგებში გამოირჩეოდა ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით და სიბეჯითით. კარგად იცნობდა დასავლეთ ევროპულ ლიტერატურას, გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, მუსიკას და თეატრალურ ხელოვნებას. ამიტომ მისმა წერილებმა თავიდანვე მიიქცია ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება. 1937 წელს გამოქვეყნდა გ. ნადირაძის პირველი მონოგრაფია ნიკო სულხანიშვილზე, სადაც გაშუქებულია კომპოზიტორის შემოქმედების ხალხურ-ეროვნული საწყისები. მომდევნო წელს დაიბეჭდა მეტად საგულისხმო მონოგრაფია ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ — „პოეტი და ადამიანი". მაგრამ მეცნიერის ინტერესები ამით არ ამოწურულა. ზედიზედ გამოქვეყნდა მისი ნაშრომები: „ბარათაშვილი და ლაიზეგიცი", „ბუნების გრძნობა ბარათაშვილის პოეზიაში", „ბარათაშვილის ყვავილები", მონოგრაფია „ნ. ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო".

გიორგი ნადირაძემ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა რუსთაველის შემოქმედების კვლევის საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომი „რუსთაველის ესთეტიკა", რისთვისაც ავტორს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. აღსანიშნავია, აგრეთვე, გ. ნადირაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობაც. მან ქართველ საზოგადოებას გააცნო გოეთეს, შილერის, ლესინგის, ლაიზეგიცის ქმნილებანი. ფართო ერუდიციის მეცნიერი, შესანიშნავი აღმზრდელი და პედაგოგი სიკვდილამდე სათავეში ედგა სულხან-საბა ორბელიანის (იმხანად პუშკინის) სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და ისტორიის კათედრას. იყო პატიოსნების, კაცთმოყვარეობის, კეთილშობილებისა და დიდსულოვნების განსახიერება, ქართული კულტურის დაუღალავი მოამაგე.

ნ ა დ ი რ ა ძ ე კოლაუ გალაქტიონის ძე. 26. II. 1895, ქუთაისი — 28. X. 1990, ქუთაისი.

პოეტი, „ცისფერყანწელთა ორდენის" წევრი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ კი მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მისი ლიტერატურული დებიუტი შედგა „ცისფერყანწელთა ჟურნალში, სადაც 1916 წელს დაიბეჭდა დამწყები პოეტის პირველი ლექსი „ავზნიანი ქალაქი". იგი თავის თანამოძმე „ცისფერყანწელებთან" ერთად იღვწოდა თანამედროვე ქართული ლექსის განახლებისათვის. მისი პირველი წიგნი „ბალდახინი", რომელიც 1919 წელს გამოქვეყნდა, მეოცე საუკუნის

ქართულ ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. მასში კარგადაა წარმოჩენილი მწერლის პოეტური შესაძლებლობები და მაღალი შემოქმედებითი კულტურა. საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ლექსი „წიწამურიდან საგურამომდე", რომელშიც მთელი ძალით გამოვლინდა კოლაუ ნადირაძის პოეტური ენერგია, მისი მართალი და პრინციპული დამოკიდებულება ჩვენი ცხოვრებისა და ყოფისადმი. გამოჩენილი პოეტისა და სახელოვანი მამულიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას ის, რომ მას არასოდეს უღალატია ქართული სიტყვისათვის, საკუთარი მრწამსისათვის, სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის. მის თითქოს ჩუმსა და ფიქრიან ლექსებში ლოცვასავით ისმოდა სამშობლოს უკვდავების საგალობელი, რისთვისაც 1985 წელს ლამის ჯვარს აცვეს თითქმის საუკუნეს მიღწეული პოეტი ერთ-ერთ პოეტურ კრებულში ლექსის „25 თებერვალი 1921 წელს" დაბეჭდვის გამო, რომელსაც მკაცრი „პარტიული" შეფასება მისცეს და მონათლეს „დიდი ოქტომბრის რევოლუციის შეურაცხყოფად". მაგრამ, საბედნიეროდ მრავალ ჭირგადახდილი პოეტი მოესწრო ეროვნული ენერგიის აზვირთებას და იმედით გახნეოსნებული გაწმორდა ამ წუთისოფელს.

ნაზარაშვილი — ომიაძე დარიკო გაბრიელის ასული. 22. V. 1905, ხაშური — 2. X. 1982, თბილისი.

მსახიობ ალექსანდრე ომიაძის მეუღლე. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. 1923 წელს ხაშურის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა გორის პედაგოგიურ ტექნიკუმში. 1926—1938 წწ. ხაშურის რაიონგზის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელია. ამ პერიოდში დაუსწრებლად დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1938 წლიდან თბილისის საშუალო სკოლებში მოღვაწეობს. პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად, აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა, იყო მრავალი კარგი წამოწყების ინიციატორი და ორგანიზატორი. 1970 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

ნათაძე ლევან ლევანის ძე. 20. I 1922, თბილისი — 19. II. 1982, თბილისი.

მორფოლოგი, ემბრიოლოგი. ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1945 წელს თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ასპირანტურაში და მოსკოვის სეევერცოვის სახელობის ცხოველთა მორფო-

ლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა, შემდეგ კი დაუბრუნდა უნივერსიტეტს, ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრაზე ასისტენტად.

სხვადასხვა დროს ლ. ნათაძე იყო ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე, პალეობიოლოგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი. ლ. ნათაძის მეცნიერული ინტერესები მოიცავდა მორფოლოგიურ დისციპლინებს — შედარებით ანატომიასა და ემბრიოლოგიას, ჰისტოლოგიას, ნერვიული სისტემის მორფოლოგიას. იგი იყო ხერხემლიან ცხოველთა შედარებითი ანატომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მას ეკუთვნის ამ პრობლემაზე პირველი საფუძვლიანი მონოგრაფია ქართულად. ავტორია 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი ბიოლოგიური მეცნიერების განვითარებაში.

ნ ა თ ა ძ ე ლევან (ლევო) იასონის ძე 1880, კასპი — 1922, თბილისი.

ჟურნალისტი, პედაგოგი. 1899 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის მესამე გიმნაზია და ჩაირიცხა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ სტუდენტთა პოლიტიკურ აქციებში მონაწილეობისათვის გარიცხეს და დაამატიმრეს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, კითხულობდა ლექციებს სახალხო უნივერსიტეტში. ერთხანს ერევნის გიმნაზიაში იყო მასწავლებლად. სამშობლოში დაბრუნებული თანამშრომლობდა სხვადასხვა გაზეთებში და სახალხო განათლების ორგანოებში.

ნ ა კ ა შ ი ძ ე ილია პეტრეს-ძე 1866, თბილისი — 27. V. 1923, თბილისი.

მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა ოჯახში, რომელიც დაკავშირებული იყო 60-ანი წლების მოწინავე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დასთან. ამ გარემომ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ყმაწვილის მომავალი. ცოდნის შეძენის დიდმა სურვილმა, მას, ქუთაისელ გიმნაზიელს, მისცა სოლიდური განათლება და ევროპული და კლასიკური ენების საფუძვლიანი ცოდნა. დამოუკიდებლად სწავლობდა ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას. ამ მიზნით თანაკლასელ ნიკო მარრთან ერთად მოწაფეთა საგანგებო წრეც ჩამოაყალიბა

1886 წელს დაამთავრა გიმნაზია და ჩაირიცხა ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. მაგრამ მალე გარიცხეს პოლიტიკურ შეხედულებათა გამო და იძულებული გახდა

გამგზავრებულიყო პეტერბურგს, სადაც ჩაირიცხა უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის კურსი ი. ნაკაშიძემ 1895 წელს დაამთავრა, დაბრუნდა თბილისში და ინტენსიური თანამშრომლობა დაიწყო ქართულ და რუსულ პერიოდიკაში. თავისი აქტიური საზოგადოებრივი პოზიციის გამო იგი ახლო ურთიერთობაში იყო ლევ ტოლსტოისთან, კერძოდ, რუსი დუხობორების უფლებათა დაცვის საკითხში. სწორედ ამის გამო, 1897 წელს იგი მოსკოვში დასახლდა. მალე მას თან გაჰყვა მისი ერთგული მეუღლე ნინო ნაკაშიძეც, აქ ისინი ხვდებოდნენ ლ. ტოლსტოის, რომელმაც ხელი გაუმართა ქართულ ოჯახს. თავის მხრივ ი. ნაკაშიძეც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა დიდ მწერალს. მაგალითად, იგი ყურადღებით მოეკიდა ლ. ტოლსტოის თხოვნას, დახმარება გაეწია „ჰაჯი-მურატისათვის" მასალების მოძიებაში.

1903 წელს ილია და ნინო ნაკაშიძეები სამშობლოში დაბრუნდნენ და მთლიანად ჩაებნენ ბობოქარ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დიდი იმედით შეეგება 1905 წლის რევოლუციას და აქტიურად მონაწილეობდნენ გურიის გლეხთა მოძრაობაში. მაგრამ რევოლუციის დამარცხებამ და ქვეყანაში დაწყებულმა რეპრესიებმა სახელოვანი მამულიშვილი აიძულეს მიეტოვებინა მშობლიური კუთხე გურია და დაბრუნებულიყო თბილისში, სადაც გააჩაღა პუბლიცისტური საქმიანობა.

ილია ნაკაშიძის წერილების თემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ იგი უფრო ხშირად პედაგოგიკის, ბავშვთა-აღზრდის საკითხებს ეხება. მისი კონცეფცია ემყარებოდა „თავისუფალი აღზრდის" თეორიას და ეწეოდა მის პროპაგანდას როგორც ქართულ, ისე რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. ამაგდარი მოღვაწე წლების მანძილზე თანამშრომლობდა ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში, აგრეთვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. მთელი მისი მოღვაწეობის მიზანი მშობელი ხალხის გათვითცნობიერება, მისი იდეური და მორალური დონის შემდგომი ამაღლება იყო. მას ეკუთვნის არაერთი საინტერესო წერილი ქართველ, რუს და უცხოელ მწერალთა შემოქმედებაზე განსაკუთრებით საგულისხმოა კრიტიკული წერილები ისეთ მოღვაწეებზე როგორებიც არიან ვაჟა-ფშაველა, დ. კლდიაშვილი, გრ. აბაშიძე, ლევ ტოლსტოი, გი-დე მოპასანი და სხვ.

ნ ა ტ რ ი ძ ე — ა ლ ე ქ ს ი ძ ე თამარ ლუკას ასული 5. VII. 1916, თბილისი — 27. II. 1989, თბილისი.

რეჟისორ დიმიტრი (დოდო) ალექსიძის მეუღლე. დაამთავრა თბი-

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი. მაგრამ ადრე გათხოვდა და იყო დიდი ოჯახის დიასახლისი. აქ აღიზარდა სამი შვილი, მათ შორის ცნობილი სწავლული ბიზანტინოლოგი, პროფესორი ალექსანდრე ალექსიძე და შესანიშნავი ბალეტმაისტერი გიორგი ალექსიძე

ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი ანტონ ივანეს ძე. 1852. სოფელი მაჩხაანი, სიღნაღის რ-ნი — 18. VI. 1930, თბილისი.

პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი და ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე. ანტონმა წარმატებით დაამთავრა სემინარია და გაგზავნა ყაზანის სასულიერო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯზე. 1877 წელს მან ასევე წარმატებით დაამთავრა აკადემია მაგისტრის ხარისხით და ითხოვა პედაგოგობა თბილისის სემინარიაში, მაგრამ, როგორც „ბუნტში" შემჩნეულს, უარი უთხრეს და გააგზავნეს სამარის სასულიერო სემინარიაში ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მასწავლებლად.

1884 წელს ა. ნატროშვილი გადმოიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში არითმეტიკისა და გეოგრაფიის პედაგოგად. ერთი წლის შემდეგ იგი უკვე თბილისშია სადაც 34 წელი ძირითადად სასულიერო სასწავლებელში იღვაწა, პარალელურად მუშაობდა ხან ქართულ გიმნაზიაში, ხან მე-2 კომერციულ სასწავლებელში და სხვ.

1918 წელს სასულიერო სასწავლებელი სასულიერო სემინარიას შეუერთდა და ეგრეთწოდებული VIII სასულიერო გიმნაზიად გადაკეთდა, სადაც მოსწავლეთა მოთხოვნით ა. ნატროშვილი დირექტორად დაინიშნა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ ქიზიყს. აქ იგი მოსამართლედ აირჩიეს. 1923 წლიდან კვლავ სკოლაშია. ჯერ ქვემო მაჩხაანის შვიდწლედში მასწავლებლობდა, შემდეგ სოფ. ყანდაურის შრომის სკოლის გამგედ დაინიშნა, სადაც დაჰყო 1927 წლამდე, ვიდრე ჯანმრთელობა აარ შეერყა.

ა. ნატროშვილი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების", ისტორიულ-ეთნოგრაფიული, სვეტიცხოვლის არქეოლოგიური კომიტეტისა და ბევრი სხვა საზოგადოების წევრი. იგი დიდად იყო დაინტერესებული საშობლოს წარსულით, მისი მატერიალური კულტურის ძეგლებით. მან საკუთარი თაოსნობითა და სახსრებით საფუძვლიანად შეისწავლა მცხეთისა და ჩვენი შორეული წარსულის შესანიშნავი ძეგლის მცხეთის ტაძ-

რის ისტორია და 1901 წელს გამოაქვეყნა ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის ნაშრომი „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტი-ცხოველი“. ამ წიგნის რეალიზაციით მიღებული თანხა მცხეთის ტაძრის რესტავრაციას მოხმარდა.

ა. ნატროშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე არითმეტიკის კრებული, რომელიც 1893 წელს დაიბეჭდა. მშობლიურ ენაზე შედგენილი ეს სახელმძღვანელო მეტად საჭირო იყო იმ დროისათვის, ამიტომ შემდგომ ორჯერ გამოიცა

თითქმის ნახევარი საუკუნე შეალია ამ პატიოსანმა მოღვაწემ მშობელი ხალხის სამსახურს და სათანადო ადგილიც დაიმკვიდრა მის ისტორიაში.

ნ ე მ ს ი წ ვ ე რ ი ძ ე თამარ ელიზბარის ასული. 30. III. 1894, ქუთაისი — 27. XII. 1977, თბილისი

პროფესორ პლატონ შუშანიას მეუღლე. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1928 წლიდან ცოლ-ქმარი ოჯახითურთ სამი წლის მანძილზე ცხოვრობდა გერმანიაში. ევროპიდან დაბრუნების შემდეგ ქალბატონმა თამარმა 1936 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი; მოღვაწეობდა კანისა და ვენერიულ სნეულებათა ინსტიტუტში ექიმ-ვენეროლოგად. ჰყავდათ ორი ქალიშვილი ეფროსი 14 წლის ასაკში დაეღუპათ. უმცროსი — ცნობილი მკვანე-გინეკოლოგი ეთერ შუშანია იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი. გარდაცვალა 1992 წლის იანვარში, დასაფლავებულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, მეუღლის პროფესორ იოსებ (სოსო) მაკავარიანის გვერდით.

ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი — ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ელენე იასონის ასული. V. 1896, ქუთაისი — 12 VII. 1959, თბილისი.

პროფესორ დავით იოსელიანის მეუღლე. დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისში. შემდეგ პედაგოგიური კურსები დაამთავრა პეტერბურგში, დაბრუნდა საქართველოში და ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. გათხოვების შემდეგ ჩამოსცილდა სკოლას და იყო დიასახლისი.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე გიორგი ნიკოლოზის ძე. 29. VII. 1888, დიდი ჯიხაიში, სამტრედიის რაიონი — 5. II. 1931, თბილისი.

მათემატიკოსი, მეტალურგი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დამაარსებელი, სპორტსმენი, პროფესორი. 1913 წელს დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ჯერ ტულა — კოსაია გორის თუჯის, ხოლო შემდეგ

იუზოვკის (დონეცკის) მეტალურგიულ ქარხნებში. 1916—1918 წლებში ენაკიევოს მეტალურგიულ ქარხანაშია. ამავე პერიოდში გამოჩენილ მეცნიერებთან მ. კურაკოსა და ი. ბარდინთან ერთად მონაწილეობდა დონეცკის აუზის მეტალურგიული ქარხნების რეკონსტრუქციაში.

1918 წელს საქართველოში ჩამოდის და იწვევენ მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში სპეციალისტ-ინჟინერ-მეტალურგად. 1929 — 1930 წლებში მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით დიდუბეში აშენდა ფეროშენადნობთა საღნობი ღუმელი, სადაც ჩატარებული ცდების შედეგები საფუძვლად დაედო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობას.

გიორგი ნიკოლაძემ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია მათემატიკაშიც, კერძოდ, ალგებრულ გეომეტრიაში. 1927 წელს მან შექმნა თეორია ალგებრული წირების ალგებრული სისტემის შესახებ. ეს თეორია, რომელმაც განაზოგადა და დააზუსტა ბევრი მანამდე არსებული საკითხი, შემდგომ საფუძვლად დაედო მის დისერტაციას „გეომეტრიულ ნაკვეთთა უწყვეტი სისტემების შესახებ". ნაშრომი ცალკე წიგნად გამოვიდა პარიზში, ხოლო 1928 წელს დაიცვა დისერტაცია სორბონაში.

1928 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა საკალდებულო კურსს ანალიზურ და დიფერენციალურ გეომეტრიაში; შექმნა დიფერენციალური გეომეტრიის პირველი ქართული სახელმძღვანელო. თავის დროზე ფართოდ აღიარებული ორიგინალური კონსტრუქციის გამომთვლელი შანქანის პროექტის ავტორია.

გ. ნიკოლაძემ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში სპორტის პოპულარიზაციის საქმეში. 1908 წელს მონაწილეობდა ტანმოვარჯიშეთა ტურნირზე სოფიაში. 1912 წელს შედიოდა პეტერბურგის გუნდის შემადგენლობაში საზოგადოება „სოკოლის" VI მსოფლიო შეკრებაზე პრაღაში, 1913 წელს გაიმარჯვა რუსეთის პირველობაზე. 1913 წელს დააარსა ტანვარჯიშო საზოგადოება დონბასში, 1918 წელს კი თბილისში. 1923 წლის 28 აგვისტოს მოაწყო ალპინისტური ასვლა მყინვარწვერზე (მონაწილეობდა 18 ქართველი ალპინისტი, მათ შორის 5 ქალი), რითაც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ალპინიზმს. 1924 წელს დააარსა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთამსვლელობა-ბოგზაურობის განყოფილება, რომლის თავმჯდომარე თვითონ იყო; ხელმძღვანელობდა ტექნიკური ტერმინოლოგიის სიტყვანის მომზადებას. მონაწილეობდა სპორტული ტერმინოლოგიის შედგენაში. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა ტანვარჯიშის პირველი ქართული სახელმძღვანელოები. 1973

წელს ტექნიკურ დარგში საუკეთესო ნაშრომისათვის დაარსდა გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია.

ნაადრევად შეწყდა ამ განუმეორებელი ინტელიგენტის მჩქეფარე სიცოცხლე. საქართველომ დაკარგა გონებრივად, სულიერად და ზნეობრივად სრულყოფილი თავისი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, უნივერსალური ნიჭის მქონე მეცნიერი — თეორეტიკოსი-პრაქტიკოსი, სპორტსმენი, დიდი პოეტური ბუნების მქონე პიროვნება.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი რუსუდან ნიკოლოზის ასული 17. XII. 1884, პეტერბურგი — 9. IX. 1981, თბილისი.

ქიმიკოსი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ოჯახში. ბავშვობა გაატარა მშობლიურ სოფელ დიდ ჯიხაიშში, ფოთსა და ქუთაისში. თბილისში გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა იასენსკის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაასრულა 1909 წელს. აქედან მოყოლებული 1917 წლამდე მუშაობდა პეტერბურგის ქალთა პედაგოგიურ ინსტიტუტში; პარალელურად სწავლობდა და დამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტიც. თბილისში გადმოსვლის შემდეგ მოღვაწეობდა უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არაორგანული და ზოგადი ქიმიის კათედრაზე. 1933—1974 წწ განაგებდა ამავე კათედრას. იგი საყურადღებო გამოკვლევების ავტორია ატომბირთვული ქიმიის, გეოქიმიის, კრისტალოქიმიის, ხსნარების და მყარი სხეულების ქიმიის დარგში, აქვს აგრეთვე საინტერესო ნაშრომები ქიმიის სწავლების მეთოდიკის საკითხებზე.

ღვაწლმოსილმა მანდილოსანმა გაიარა დიდი და საინტერესო ცხოვრებს გზა, რაც ასახა კიდეც საგულისხმო მოგონებებში — „დაუვიწყარი დღეები და წუთები“ და „ცხოვრების დიდ გზაზე“.

რუსუდან ნიკოლაძემ თითქმის ერთი საუკუნე იცოცხლა. ეს შესანიშნავი მოქალაქე, მეცნიერი, პირნათელი და ვალმოხდილი წავიდა წუთისოფლიდან. მისი განსაკუთრებული ღვაწლი ჩვენი ქვეყნისა და ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში აღინიშნა ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის და „სპატიო ნიშნის“ ორდენებით. 1978 წელს ქიმიის ტერმინოლოგიის შედგენისათვის (დ. გვარამაძესთან ერთად) მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია.

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ითქვას ქალბატონ რუსუდანის მეუღლეზე მ. პოლიევქტოვზე. საგულისხმოა, რომ ეს ასაკოვანი კაცი, პეტერბურგში კარგად ცნობილი მეცნიერი, მოკლე ხან-

ში იმდენად დაეუფლა ქართულ ენას, რომ სტუდენტებისაგან გამოცდებს ქართულად იბარებდა. რუსეთის ისტორიის ცნობილი სპეციალისტი, ოჯახის თბილისში გადმოსვლის შემდეგ, იღვწოდა უნივერსიტეტში და იკვლევდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს. გამოქვეყნებული აქვს XVII საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი ძირითადი დოკუმენტური მასალა. აღსანიშნავია აგრეთვე მისი საცნობარო-საინფორმაციო ხასიათის 2 წიგნი, რომელშიც ასახულია XIII — XIX სს. კავკასიაში ევროპელი მოგზაურების საქმიანობა.

ნ ი ჟ ა რ ა ძ ე — ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მერი სპირიდონის ასული. 14. IV. 1907, სოფელი გუბი, ხონის რაიონი — 1 XII. 1972, თბილისი.

მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძის მეუღლე. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში, შემდეგ თბილისის ეროსერვატორიაში ეუფლებოდა ვოკალურ ხელოვნებას. კარგი მონაცემების მიუხედავად, თავისი სპეციალობით არ უმუშავია, სამაგიეროდ წარმატებებს მიაღწია ლიტერატურულ სარბიელზე. შესანიშნავმა მთარგმნელმა ქართველ მკითხველს გააცნო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფოლკლორული ნიმუში — ზღაპრები და თქმულებები. მასვე ეკუთვნის კოსტა ხეთაგუროვის, მიხეილ ლაკერბაის, რუსი მწერლების ნაწარმოებთა მაღალ დონეზე შესრულებული თარგმანები.

ღვაწლმოსილი მანდილოსანი თავდაპირველად დაკრძალეს საბურთალოს სასაფლაოზე, მაგრამ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გადმოასვენეს დიდუბის პანთეონში.

ნ ო ნ ე შ ვ ი ლ ი იოსებ ელიოზის ძე. 6. IV 1918, სოფელი კარდანახი, გურჯაანის რაიონი — 6. X. 1980, თბილისი.

პოეტი, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. 1942 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1943—1945 წლებში დიდი სამამულო ომის ფრონტზეა. დემობილიზაციის შემდეგ წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. რედაქტორობდა „დილას“, „ნიანგს“, „ლიტერატურულ საქართველოს“. 1966 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი. 1973 წლიდან მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1938 წელს, პირველი წიგნი „ლექსები“ 1940 წელს. ი. ნონეშვილის პოეზია ორგანულად უკავშირდება ქართული კლასიკური ლექსის ტრადიციებს, შოიცავს

სატრფიალო და სამოქალაქო მოტივებს, გამოირჩევა განცდათა სიმდიდრე-სინატიფითა და პოლიტიკურ-პუბლიცისტური მგზნებარებით. მის ლექსს ახასიათებს პოეტური ემოციურობა, მხატვრულ სახეთა სისადავე და ეფექტიანობა, ხოლო მთავარი მოტივია სამშობლოს სიყვარული. პოეტი გატაცებით უმღერის ისტორიულ წარსულს, მშვიდობასა და ხალხთა მეგობრობას. მისი მრავალი ლექსი სიმღერად იქცა. პოეტის ნაწარმოებები თარგმნილია საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე.

იოსებ ნონეშვილის პოეზიას ახასიათებს თავისთავადობა, მხატვრული სრულყოფა, მოქალაქეობრივი შემართება და მშობლიური ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული. იგი თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი ბურჯი და მოვირნახულე იყო. არ ყოფილა არც ერთი ღირშესანიშნავი მოვლენა ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში, რომ პოეტი არ გამოხმაურებოდა მგზნებარე სიტყვით. იგი ბოლომდე დარჩა უმდიდრესი და უძველესი ქართული პოეტური ტრადიციების თაყვანისმცემელი და გამგრძელებელი. მას შეეძლო არა მარტო სხვისათვის მიენიჭებინა ბედნიერება თავისი სიკეთით, ხალასი ლექსებით, არამედ თვითონაც ბედნიერი ყოფილიყო სულ მცირედი ტკბილი შეხვედრით თუ კეთილი სალმით. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, „სპატიო ნიშნის" ორი ორდენით და მედლებით.

ომიაძე ალექსანდრე (ალე) ასლანის-ძე. 21. VIII. 1902, სოფელი ჭიბრევი, ონის რ-ნი — 27. VII 1972, თბილისი.

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. საშუალო განათლება ხაშურის გიმნაზიაში მიიღო. აქვე შედგა პირველად ფეხი დრამწრის სცენაზე, ხოლო მოგვიანებით ხაშურის მუშათა თეატრში გამოდიოდა.

1923 წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მაგრამ მალე გაიწვიეს წითელ არმიაში და იძულებული გახდა სწავლისათვის თავი დაენებებინა. 1932—1935 წლებში ნიჟიერი ახალგაზრდა ქუთაისის თეატრში მოღვაწეობდა 1935 წლიდან იგი გარდაცვალებამდე კ. მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი იყო. სწორედ აქ შეასრულა მან დასამახსოვრებელი როლები; ჩონთა („მოკვეთილი"), გენო („ბრიგადალი"), თომა („დაბრუნება"), კალე („გამახარე"), თორნიკე („ხარატაანთ კერა"), მოხუცი მწყემსი იესე („მისი ეარსკვლავი"), ამ როლისათვის 1952 წელს მსახიობს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია და სხვ. ა. ომიაძე განსაკუთრებული გულწრფელობით ხატავდა ქართველი გლეხკაცის სახეებს: ბერუჩა („მეფე ერეკლე"),

ანანია („ღალატი“), გიორგი კობაიძე („მკვდრის ბზე“), რომლებიც ამშვენებენ როგორც მსახიობის, ასევე ქართული თეატრის მდიდარ გალერეას.

მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ხელოვანს ეროვნულ კინეპატოგრაფიაშიც. დაუვიწყარია ქართულ ფილმებში შესრულებული მისი როლები: სანდრო („დაგვიანებული სასიძო“), ზურაბ ერისთავი („გიორგი სააკაძე), გიორგი („ჭრიჭინა“), გიგო პაპა („მაგდანას ლურჯა“), ტარიელ გოლუა („ტარიელ გოლუა“), ვახტანგ VI („დავით გურამიშვილი“), პროკურორი („მე ვიტყვი სიმართლეს“, პეპია („გლახის ნაამბობი“) და მრავალი სხვა.

ფართო საზოგადოებრიობა ასეთივე სიყვარულითა და პატივისცემით ხვდებოდა მსახიობის ნამუშევრებს არა მარტო თეატრსა და კინოში, არამედ რადიოსა და ტელევიზიაშიც. განსაკუთრებით ახლობელი გახდა მისი ხმა ბავშვებისათვის — მსახიობი დიდი სითბოთი უამბობდა ნორჩებს ქართული ზღაპრების გმირთა თავგადასაგალს.

ღვაწლმოსილი ხელოვანი, უპრეტენზიო და უანგარო მოღვაწე ალექსანდრე ომიაძე დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშისა და „სპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით

ონიაშვილი ოთარ დავითის ძე. 13. V. 1915, თბილისი — 14. VIII. 1968, თბილისი.

მეცნიერი სამშენებლო მექანიკის დარგში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე. 1935 წელს დაამთავრა კიროვის სახელობის ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი. 1936—1944 წლებში მუშაობდა მოსკოვისა და თბილისის საპროექტო დაწესებულებებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში. 1947 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში სამშენებლო მექანიკისა და კონსტრუქციების განყოფილებას. ო. ონიაშვილის სამეცნიერო შრომებს, მიძღვნილს გარსების დინამიკისა და სეისმოშედეგობისადმი, ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდა ამ დარგის განვითარებაში. მან საფუძველი ჩაუყარა აგრეთვე გარსთა ტექნიკური თეორიის ქართულ სკოლას, ხელმძღვანელობდა კვლევით სამუშაოებს თაღოვანი კაშხალების გაანგარიშებისა და კიდულ სისტემათა თეორიაში. იყო სივრცითი კონსტრუქციების საერთაშორისო ასოციაციის ერთ-ერთი დამარსებელი, მისი აღმასკომის წევრი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარე-

დაქცეო კოლეგიისა და „მყარი სხეულის მექანიკის მიღწევების, ინგლისური გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ფართო ერუდიციის, დიდი გაქანების მქონე დახვეწილი ინტელიგენტი, ბრწყინვალედ ფლობდა ევროპულ ენებს და ამიტომაც არაერთხელ გამოსულა საერთაშორისო ფორუმებზე საინტერესო მოხსენებებით. ო. ონიაშვილი დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ორბელიანი ნინო. 1838 — 1919 პოეტი.

45 წელი იღვაწა ქართულ პოეზიაში. ლიტერატურულ სარბიელზე ვამოვიდა გასულ საუკუნის 60-იან წლებში. მრავალი ლექსის ავტორია, გამოქვეყნებული აქვს მხოლოდ ერთი მცირე მოცულობის კრებული.

ნ. ორბელიანი იყო აკაკი წერეთლის ლირიკის მიმდევარი. სტილითა და ტონით ეწათესავებოდა აგრეთვე გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. მისი პოეზიისათვის ნიშანდობლივია სამშობლოს სიყვარული და ნათელი მომავლის იმედი.

ორლოვა — ციმაკურიძე ევგენია ნიკოლოზის ასული. 1887, თბილისი — 15. XII, 1956, თბილისი.

მხატვარ ალექსანდრე ციმაკურიძის მეუღლე. იყო რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ოქრომჭედლიშვილი — სერებრიაკოვი — იაშვილი თამარ გიორგის ასული. 2. V. 1904, თბილისი — 26. XI. 1986, თბილისი.

პოეტ პაოლო იაშვილის მეუღლე იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ილია ოქრომჭედლიშვილი — სერებრიაკოვის შვილიშვილი. დაამთავრა თბილისში ქალთა გიმნაზია. 1937 წელს მის ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის მიუხედავად იგი მაინც არ ჩამოშორებია აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას. 1939 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. მოღვაწეობდა საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოში, იყო გეოლოგიური პარტიის უფროსის მოადგილე.

ოქრომჭედლიშვილი — სერებრიაკოვი ილია ლაზარეს ძე. 24. IV. 1838, სილნაღი — 3. I. 1898, თბილისი.

მეცნიერი, პედაგოგი, ქველმოქმედი. ობოლი ბავშვი თბილისში

ჩამოიყვანეს და შეგირდად სავაჭრო დუქანში მიაბარეს. აქედან მოყოლებული, რასაც მიაღწია, მიაღწია დაუცხრომელი შრომით. ი. რა ამბობდა მის შესახებ ილია ჭავჭავაძე: „რაც დრო შესწევდა, თვითონ შეუდგა წიგნების კითხვასა და სწავლას; არც მასწავლებელი ჰყოლია, არც ხელმძღვანელი, არც სადმე სასწავლებელი ჰლირსებია. თავისით გაიხსნა გონება იმდენად, რომ ყურადღება მიიქცია მაშინდელ ქართველ ყმაწვილკაცობისა". ნიჭიერ ახალგაზრდას შეუგროვეს ფული და 1860 წელს პეტერბურგში გაგზავნეს. აქ ნიჭიერმა და შრომის მოყვარე ყმაწვილმა ექსტერნად ჩააბარა გამოცდები, შიიღო გიმნაზიის დამთავრების ატესტატი და ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. 1868 წელს ი. ოქრომჭედლიშვილმა დაამთავრა უნივერსიტეტის ქართულ-სომხური განყოფილება და წარდგენილი ნაშრომისათვის „თემურ ლენგის ლაშქრობა საქართველოში" მიენიჭა კანდიდატის ხარისხი. გამოჩენილი მეცნიერის დავით ჩუბინაშვილის რეკომენდაციით მუშაობა დაიწყო მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში ქართული ენის მასწავლებლად, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის დოცენტად.

ი. ოქრომჭედლიშვილი თავისი გასაოცარი გამჭრიახობითა და დაუღალავი შრომით აგროვებდა თანხას, რათა მატერიალური დახმარება გაეწია რუსეთსა და უცხოეთში მოსწავლე ქართველ სტუდენტებისათვის. მაგალითად, მან დიდი დახმარება გაუწია გიგო ცაბაშვილს, მოსე თოიძეს, ალექსანდრე ბერიძეს და სხვებს. 1884 წელს მისი ხელმეწყობით გამოიცა „ვისრამიანი". ასევე დიდძალი თანხა შოახმარა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს, ქართულ თეატრს, ქართული ხელნაწერების გამოცემას. რუსეთში ყოფნისას ი. ოქრომჭედლიშვილი მუდმივად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდიკაში — აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერო სტატიებს და წერილებს. 1889 წელს იგი პენსიაზე გავიდა და თავისი ადგილი ახალგაზრდა ალ. ხახანაშვილს დაუთმო, თვითონ კი სამშობლოში დაბრუნდა. აქ ხელი მიჰყო პრაქტიკულ სამეურნეო საქმიანობას. სამტრედიასთან, სოფელ საჭილაოში ააგო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში ყველაზე დიდი და საუკეთესოდ აღჭურვილი იყო. ამ საქმიდან შემოსულ ფულს ი. ოქრომჭედლიშვილი უანგაროდ ახმარდა მშობლიური კულტურის განვითარებას.

პ ა ტ ა რ ა ი ა გურამ ვასილის-ძე. 14. II. 1928, თბილისი — 25. XI. 1983, თბილისი.

კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. 1952 წელს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა დამდგმელ რეჟისორად სოხუმში, გორში, თბილისის მოზარდმაყურებელთა ქართულ და რუსულ, მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებში, მოსკოვის თეატრ მალაია ბრონაიაზე. 1959 წლიდან გ. პატარაია საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის მთავარი რედაქტორია, ხოლო, 1961 წლიდან საქართველოს ტელევიზიის ტელეფილმების სტუდიაშია, სადაც შექმნა შესანიშნავი მხატვრული ფილმები „რეკორდი", „ხანძარი", „სიყვარული და პომპიერო", „კუჭნი ბედინერი". მაგრამ ქართველი მაყურებლის ხსოვნაში დაუცხრომელი და მაძიებელი ხელოვანი უწინარეს ყოვლისა დარჩება როგორც ისეთი ფილმების დამდგმელი-რეჟისორი როგორებიცაა: „რუსთაველის ნაკვალევზე", „პალესტინის სიძველეთა საიდუმლოებანი", „ათონის მატიანე", „ტაო-კლარჯეთი", „შორია გურჯისტანამდე", „მეზობლების მიწაზე". ფაქტიურად ამით სათავე დაედო საქართველოს გარეთ არსებულ ქართული კულტურის ძეგლების პოპულარიზაციას. ყველა ფილმში ნათლად ჩანს ავტორის უსაზღვრო სიყვარული შშობელი ხალხის ისტორიისადმი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რეჟისორის ამ დაუღალავმა შრომამ და ძიებამ დაგვიბრუნა არაერთი ძველი ქართული ხელნაწერი, რომლებიც ჩვენი შშობლიური კულტურის მნიშვნელოვანი შენაძენია.

საგულისხმოა, რომ ამაგდარ რეჟისორს ქართველ კინემატოგრაფისტთა შორის პირველს მიენიჭა შოთა რუსთაველის პრემია, რაც გურამ პატარაიას ღვაწლის ღირსეული შეფასებაა.

პ ა ტ ა რ ა ი ა ვასო ბართლომეს ძე. 19. III. 1895, სოფ. ბანძა, მარტვილის რაიონი — 13. I. 1969, თბილისი.

მწერალი, დრამატურგი. მშობლიურ სოფელში დაამთავრა ორკლასიანი სასწავლებელი. გაემგზავრა რუსეთში და სწავლა განაგრძო დონის ოლქის ქალაქ ალექსანდროვსკ-გრუშევსკის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და მასწავლებლობა დაიწყო.

1918 წელს იგი ჩაირიცხა ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. პირველი იუმორისტული ლექსი, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაბეჭდა გაზეთ „ტრიბუნაში". აქედან მოყოლებული ვ. პატარაიას სატირუ-

ლი ნაწარმოებები, სკეტჩები, ფოდეევილები სისტემატურად იბეჭ-დებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. პარალელურად სწავლობდა ა. ფალავას დრამატულ სტუდიაში და აქტიურ თეატრალურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იყო ოპერის თეატრის რეჟისორი (დადგა ოპერები: „ჯამბაზები", „აიდა", „ტრუბადური"), სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი, სანდრო ინაშვილთან ერთად ჩამოაყალიბა ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრი და წლების მანძილზე ედგა მას სათავეში. 1939 წლიდან ხელმძღვანელობდა ქართულ ესტრადას, სადაც სრულად გამოვლინდა მისი, არამარტო შემოქმედებითი, არამედ ორგანიზატორული ნიჭიც. როგორც მწერალმა და დრამატურგმა შექმნა საინტერესო იუმორისტული ნაშრები, სკეტჩები, ფელეტონები. შემდეგ იგი ერთ ხანს განაგებდა კ. მარჯანიშვილის თეატრის სალიტერატურო ნაწილს.

დიდი წარმატებით სარგებლობდა ვ. პატარაიას პიესა „უჩა უჩარდია", რომელშიც აისახა ახალი ქართული სოფლის ცხოვრება. პიესა დაიდგა რუსთაველის თეატრში და რესპუბლიკის სხვა თეატრების სცენებზე. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად მარჯანიშვილის თეატრში დრამატურგის პიესას „სანაპიროზე". ვ. პატარაიას ეკუთვნის აგრეთვე კომედიები: „მელა და მისი კუდი", „ჰორი" „ქალიშვილი ზღვის პირას", „ის მეძახის", „ხუმრობას ნუ ეხუმრებიო" და სხვ.

ვ. პატარაიას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოვებული იყო ორდენებითა და მედლებით.

პ ა ტ ა რ ი ძ ე მიქელ აბესალომის ძე. 5. IV. 1895, ქუთაისი — 7. VII. 1959, სოფ. ბაღდადი.

პოეტი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, სპორტსმენი და საზოგადო მოღვაწე. 1912 წელს დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და სწავლა განაგრძო პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში — მუშაობს გეოგრაფიულ საზოგადოებაში, წერს ლექსებს, სიმღერებს, ნარკვევებს და ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. წლების მანძილზე გვერდში ედგა გიორგი ნიკოლაძესა და მის თანამოსაგრეებს იმ დიდ წამოწყებაში, რომელსაც ისინი ეწეოდნენ ერის ფიზიკური გაჯანსაღებისათვის. იყო შესანიშნავი ათლეტი, ტანმოვარჯიშე და ალპინისტი. საზოგადოება „შევარდენი", სადაც ეს ენთუზიასტები გაერთიანდნენ, წმინდა სპორტულის გარდა, დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მისიასაც ასრულებდა. სწორედ მათ

უნდა ვუმადლოდეთ ისეთი სპორტული ტერმინების შექმნას როგორებიცაა: ორძელი, ტაიჭი, ბადრო, თხილამური, წერაყინი, გასმკლავი, ზემკლავი, მიმკლავი, ალშატრიალა და სხვ.

პარალელურად მ. პატარიძე ეწეოდა ჟურნალისტურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. მართალია, მისი უპირველესი სიყვარული მთელი სიცოცხლის მანძილზე პოეზია იყო, მაგრამ მრავალშხრივი ნიჭისა და პრაქტიკული საქმიანობის გამო აქ ჯეროვანი კვალი ვერ დატოვა, რასაც მწვავედ განიცდიდა. მისმა პოეტურმა ტალანტმა გამოსავალი ძირითადად თარგმანებში ჰპოვა. მწერალმა დაგვიტოვა რუსული პოეზიის პირველხარისხოვანი თარგმანები — პუშკინი, ლერმონტოვი, ბლოკი, ბალმონტი, ესენინი, სურკოვი, სვეტლოვი და სხვ. მანვე გააცნო ქართველ მკითხველს შევჩენკო, ფრანკო, ბაკანი, მიცკევიჩი, ხეთაგუროვი. პატარიძისეული თარგმნებით დამკიდრდა ქართულ პოეზიაში შესანიშნავი ფრანგი პოეტი ჟ. მ. ერედია „ტროფეებით“. აქ სრულად გამოვლინდა მთარგმნელის უზადო პოეტური შესაძლებლობანი და დახვეწილი გემოვნება. აღსანიშნავია აგრეთვე მის მიერ ფრანგულიდან ნათარგმნი რონსარის, ჰიუგოს, ბოდლერის, ვერლენის, როლანის, ვალერის, რემბოს ცალკეული პოეტური ნიმუშები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მ. პატარიძის დამსახურება ვ. მაიაკოვსკის თარგმნის საქმეში, რასაც მან 30 წელი შეალია. ასევე დიდი ღვაწლი დასდო გამოჩენილი რუსი პოეტის სახლ-მუზეუმს ბალდადში სადაც იგი 17 წელი მუშაობდა და აქედან ბოლო 15 წელი დირექტორი იყო.

შესანიშნავი პოეტი და მოქალაქე, თავისი ერის პატრიოტი, უანგარო და უპრეზენტიო მსახური — ასეთად დარჩა მიქელ პატარიძე ქართული კულტურის ისტორიაში.

პ ა ტ ა ტ ო რ ი ა ოტია მიხეილის-ძე. 5. I. 1928 წ. თბილისი — 25. X. 1984 წ. თბილისი.

ცნობილი კრიტიკოსი და ესეისტი: თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როცა მისი და მისი მეგობრების პატრიოტული შემართება დანაშაულად შეფასდა მავანთა მიერ და ჭაბუკები შორეთს გაუყენეს.

ოტიას გზა სამშობლოსაკენ 8 წელი გრძელდებოდა და მხოლოდ 1956 წელს დაუბრუნდა იგი მშობლიურ უნივერსიტეტს და ფილოლოგიის ფაკულტეტი 1959 წელს დაამთავრა. პარადოქსია (ან შეიძლება არც კი), რომ სწორედ ამ „რვაწლიანმა უნივერსიტეტმა“ შესძინა მას უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილება, შემოქ-

მედის და მითუმეტეს კრიტიკოსისთვის აუცილებელი დაკვირვების იშვიათი უნარი.

ო. პაჭკორია ოც წელზე მეტ ხანს მუშაობდა „ცისკარსა“ და „მნათობში“, სადაც სულ უფრო ხვეწდა თავის მაღალ ლიტერატურულ გემოვნებას და სხვებსაც უშურველად უზიარებდა საკუთარ დიდ გამოცდილებას. იგი მეტად მომთხოვნი ლიტერატორი იყო, ამასთან, ზედმიწევნით ტაქტიანი და კეთილმოსურნე. განსაკუთრებით კრიტიკულად ეკიდებოდა თავის თავს, როგორც შემოქმედი და ადამიანი. ამიტომ იყო რომ ამ მეტად პროდუქტულმა პიროვნებამ თავის სიცოცხლეში მხოლოდ სამი წიგნი იხილა. არადა, ჰქონდა ჩინებული ნარკვევები: სერვანტესის, სტენდალის, ვაჟას, პუშკინის, ტოლსტოისა და სხვათა შემოქმედებაზე.

სიცოცხლის ბოლო წლებში ო. პაჭკორიამ ჟურნალებში გამოაქვეყნა მოთხრობები, რომლებიც ინტელექტუალური პროზის ნიმუშებია.

პ ე ტ რ ო ვ ა — ზ დ ა ნ ე ვ ი ჩ ი ოლლა გრიგოლის ასული. 24. VII. 1902, ქ. სამარა (კუიბიშევი) — 29. XII. 1970, თბილისი.

ხელოვნების გამოჩენილი მკვლევარისა და ფერმწერის კირილე ზდანევიჩის მეუღლე. დიასახლისი.

პ ი პ ი ნ ა შ ვ ი ლ ი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. 2. X. 1912, ქუთაისი — 15. IV. 1969, თბილისი.

კინორეჟისორი. ხელოვნების სიყვარულმა თბილისის მოძრავ საკოლმეურნეო თეატრში მიიყვანა. მუშაობა დაიწყო ელექტრომექანიკოსად. შემდეგ ორი წელი საქართველოს „სახალხო მრეწვის“ ნახატი და მულტფილმების საამქროშია მხატვრად. 1932 წელს შევიდა მოსკოვის საკავშირო კინოინსტიტუტის სასცენარო-სარეჟისორო ფაკულტეტზე, რომელიც 1936 წელს დაამთავრა. რამდენიმე წელი რეჟისორის ასისტენტად მუშაობდა ჯერ „მოსფილმში“, შემდეგ „ქართულ ფილმში“ რეჟისორ-დიპლომანტად.

1937 წელს კ. პიპინაშვილი ისევ აგრძელევს სწავლას იმავე ინსტიტუტში, ამჯერად სარეჟისორო ფაკულტეტზე. აქ მას ხელმძღვანელობდა დიდი ხელოვანი სერგეი ეიზენშტეინი. თბილისში დაბრუნების შემდეგ 1940 წელს გადაიღო პირველი დამოუკიდებელი მხატვრული ფილმი „ქაჯანა“. ამას მოჰყვა „ხიდი“ (1941 წ.), რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობდა ომის დაწყებისთანავე რესპუბლიკურ და საკავშირო ეკრანებზე, „ოქროს ბილიკი“ (1943 წ.) და გახმაურებული „აკაკის აკვანი“ (1946 წ.). საგულისხმოა ის, რომ უკვე ცნობილი რეჟისორი ეგრეთწოდებული „მცირე ფილმი-

ანობის“ პერიოდში მუშაობდა სადუბლიაჟო საამქროში, დუბლიაჟის რეჟისორად.

1955 წელს კ. პიპინაშვილმა განაახლა ფილმების გადაღება. მან სათავეგადასავლო-ფანტასტიკურმა მხატვრულმა ფილმმა „ორი ოკეანის საიდუმლოება“, 1958 წელს ვენეციის ფესტივალზე ერთ-ერთი პრიზიც დაიმსახურა. ამას მოჰყვა კინოფილმები: „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“ (1958 წ.), „სად არის შენი ბედნიერება მზია?“ (1959 წ.), „ზღვის შვილები“ (1964 წ.), „მოლოდინი“ (1969 წ.).

კ. პიპინაშვილი წმინდა შემოქმედებით საქმიანობას კარგათ უთავსებდა საზოგადოებრივ-ორგანიზაციულ მუშაობას. იყო კინოსტუდიის შემოქმედებითი სექციის, რეჟისორთა სექციის თავმჯდომარე, მონაწილეობდა ს. ეიზენშტეინის შემოქმედებით მემკვიდრეობის შესწავლა-დამუშავების საქმეში.

გამოჩენილ ხელოვანს ქართულ კინოში დიდი მიღწევებისათვის 1967 წელს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება. დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

პ ო ლ ტ ო რ ა ც კ ა ი ა — თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ნინო ივანეს-ასული. 23. IV. 1869, თბილისი — 8. VII. 1931, პარიზი.

ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე. ნინოს მამა ივანე, იყო ილია ჭავჭავაძის ახალგაზრდობის მეგობარი და თანამზრახველი. დიდმა პოეტმა სწორედ მას და ილია წინამძღვრიშვილს უძღვნა „აჩრდილი“. თავის მხრივ ივანე პოლტორაცკიმ თარგმნა რუსულად ილიასა და სხვა ქართველი მწერლების ნაწარმოებები, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“.

ასეთ, ქართულ კულტურულ ტრადიციებზე აღიზარდა ნინო. მან პარიზში მიიღო მუსიკალური განათლება, ბრწყინვალედ ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. საგულისხმოა ის, რომ ილია ჭავჭავაძის ხელდებით მოხდა ნინოსა და ექვთიმეს შეუღლება, ხოლო მათი ხელისმომკიდენი იყვნენ ოლღა გურამიშვილი და ილია წინამძღვრიშვილი. თავისი მაღალი ინტელექტით ნინო დიდ დახმარებას უწევდა მეუღლეს მუშაობაში. ამ ორმა ადამიანმა ღირსეულად განვლეს ცხოვრების ურთულესი გზა და ასევე ღირსეულად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.

ექვთიმე თაყაიშვილი მძიმედ განიცდიდა მეუღლის უდროოდ დაკარგვას. კიდევ უფრო მძიმე გამოდგა მისთვის საყვარელი მეუღლის მიტოვება უცხოეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. მაგრამ საბოლოოდ ბედმა მაინც არ დააშორა ისინი.

გამოჩენილი ქართველი მხატვრის ზურაბ წერეთლის მეცადინე-

ობით მოხერხდა ნინო პოლტორაცკაიას ცხედრის გადმოსვენება სამშობლოში და 1987 წლის 22 თებერვალს დაკრძალეს თავისი ძვირფასი მეუღლის გვერდით.

ქ ო რ დ ა ნ ი ა თედო დავითის ძე. 10. IV. 1854, სოფელი ჭოქვი, ოჩამჩირის რაიონი, — 22. X. 1916, კასპი.

ისტორიკოსი. დაობადა მღვდლის ოჯახში. მალე დაობლდა, მაგრამ ახლობლების მეოხებით მაინც მოახერხა განათლების მიღება. სწავლობდა მოქვის სასოფლო სკოლაში, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1858 წელს შევიდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, სადაც მიიქცია „რუსულ ისტორიოგრაფიის მამის" ვ. ო. კლიუჩევსკის ყურადღება, რომელმაც ურჩია მოსკოვში დარჩენა; მაგრამ დასრულა თუ არა აკადემია თედომ სამშობლოში დაბრუნება არჩია და აქ მასწავლებლობა დაიწყო. პარალელურად ეწეოდა მეცნიერულ მოღვაწეობასაც. სადაც უნდა ყოფილიყო და რაც უნდა ეკეთებინა, თ. ქორდანიას საქმიანობა გამსჭვალული იყო პატრიოტული სულისკვეთებით და იგი ყოველთვის იმის მაგალითი იყო, თუ როგორ უნდა უყვარდეს ქართველ კაცს სამშობლო, თავისი ენა, თავისი წარსული. დაუახლოვდა რა ილია ჭავჭავაძისა და დიმიტრი ბაქრაძის ირგელივ მყოფ მეცნიერებს, ხელი მოკიდა საქართველოს სიძველეების მიკვლევა-დაუნჯებას და შესწავლას. მან დიდი ენერგია და ცოდნა შეალია ქართულ წყაროებზე მუშაობას, რის შედეგადაც შექმნა ფონუმენტური პუბლიკაცია „ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა", რომლის ორი ტომი ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნდა (III ტომი საარქივო მასალის გამოყენებით მხოლოდ 1967 წელს დასტამბა). მასში განხილულია საქართველოს ისტორიის, წყაროთმცოდნეობისა და ძველი ქართული მწერლობის საკითხები. სათანადოდ აფასებდა მის ნაშრომს ივანე ჯავახიშვილი. მართალია შემდგომი თაობების მკვლევარებმა თ. ქორდანიას ბევრი მოსაზრება არ გაიზიარეს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ყოველივე ეს ხდებოდა მეცნიერული ქართველოლოგის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე და „ქრონიკების" ავტორს ხშირ შემთხვევაში უხდებოდა ყამირის გატეხა. „ქრონიკების" გარდა, თ. ქორდანიამ სხვა პუბლიკაციებითაც გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია. მთლიანად ამ ნაყოფიერი მკვლევარის შრომებმა თავისი წვლილი შეიტანა მშობლიური ისტორიოგრაფიის შედარებითი ჩამორჩენილობის დაძლევასა და სწრაფ დაწინაურებაში. აშასთანავე მან დიდი ამაგი დასდო ძველ ქართულ მწერლობას. შეისწავლა მიქაელ მოდრეკილის,

ოსებ თბილელის, თეიმურაზ I-ის მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხები. იყო დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების პირველი მკვლევარი, ქართული „მართლუბნოებისა" და მართლწერის კანონთა დამდგენი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თედო ჟორდანიას საზოგადოებრივი მოღვაწეობა. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის შესახებ ბევრის თქმა შეიძლებოდა. თუმცა საკმარისია ერთი: 1896 წელს თავისი სურვილის წინააღმდეგ, ვითომ დაწინაურების მიზნით იგი თბილისის სემინარიიდან გადაიყვანეს გურიასამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ. აქ მას დიდი ბრძოლა დასჭირდა „ხტაჟიანი" რუსიფიკატორების, კერძოდ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკისა და კომპანიის წინააღმდეგ. რათა სამეგრელოს სკოლებში დაეტოვებინათ ქართული ენის სწავლება. ამ პატრიოტულ საქმეში მეცნიერს მხარში ედგნენ ჩვენი ხალხის ერთგული შვილები გრიგოლ და ბესარიონ დადიანები. ამ დიდი ეროვნული ტვირთის ზიდვა შეეძლო მხოლოდ სულით ძლიერ, სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანს, ჰეშმარიტ მამულიშვილს.

ჟ ო რ დ ა ნ ი ა ოსებ თევდორეს ძე. 15. V. 1895, თბ ილისი — 20. VIII. 1962, რიო-დე ჟანეირო (ბრაზილია).

ექიმი-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1923 წელს დაამთავრა პეტროგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემია. 1939 წლიდან განაგებდა აქვე მეანობა-გინეკოლოგიის კათედრას. 1942 წელს დაინიშნა საბჭოთა არმიის მთავარ გინეკოლოგად. 1944 წლიდან ერთდროულად იყო მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიის კათედრის გამგე. 1950 წლიდან მოსკოვის და საბჭოთა კავშირის მთავარი გინეკოლოგი. 1951 წლიდან ხელმძღვანელობდა მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტის მეანე-გინეკოლოგიის კათედრას. 1958 წელს გადმოდის თბილისში და გარდაცვალებამდე განაგებდა მისივე თაოსნობით დაარსებულ ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც მის სახელს ატარებს.

ოსებ ჟორდანიამ დიდი შრომა გასწია საშვილოსნოს კუმშვადობის ფუნქციის კლინიკურად და ექსპერიმენტალურად შესწავლის საქმეში, სრულიად ახლებურად გამოიკვლია მშობიარობის ანომალიები, ქალის უშვილობის, მისი მიზეზების დიაგნოსტიკა, მკურნალობის ფორმები და სხვ. იგი 100-ზე მეტი შრომის ავტორია. საგულისხმოა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სამედიცინო

ინსტიტუტებში მეანობისა და გინეკოლოგიის კურსი ისწავლებოდა გამოჩენილი მეცნიერის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებიდ.

საქართველოში ხანმოკლე, 4 წლის მოღვაწეობის მანძილზე, საქალაქულო მამულიშვილმა და დიდმა ჰუმანისტმა მოასწრო შეექმნა „ნაყოფიერებისა და უნაყოფობის" სამეცნიერო საზოგადოება. იოსებ ჟორდანიამ ერთ-ერთმა პირველმა აიმაღლა ხმა აბორტის მავნეობის წინააღმდეგ, დასახა უნაყოფობასთან ბრძოლის სამოქმედო პროგრამა, რომლის არსი ქართველი ერის გამრავლების პრობლემის გადაჭრაა. სწორედ ეს პრინციპი ედო საფუძვლად მის გმირულ ქცევას, როდესაც ძრავაგამორთულ თვითმფრინავში მაშველი რგოლი დაუთმო უცნობ გოგონას, თვითონ კი დაღუპა.

ჟ ო რ ჟ ო ლ ი ა ნ ი ალექსანდრე (სანდრო) მაქსიმეს-ძე. 12. I. 1868, ოზურგეთი — 24. VI. 1969. თბილისი.

თეატრისა და კინოს მსახიობი. 1911 წელს ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ბაქოსა და თბილისში. ყმაწვილობიდანვე თეატრით გატაცებული ერთხანს ალ. წუწუნავას მიერ ბათუმში დაარსებული დრამატული დასის წევრი იყო, საიდანაც მივიდა პროფესიულ სცენაზე — გახდა რუსთაველის თეატრის მსახიობი.

1928 წელს, როდესაც რუსთაველის თეატრი გაიყო, სანდრო ჟორჟოლიანი უყოყმანოდ დადგა კოტე მარჯანიშვილის გვერდით და შემდეგ სიკვდილამდე ამ თეატრის პატრიოტად და უანგარო მსახურად დარჩა. სწორედ აქ დიდი რეჟისორის ხელმძღვანელობით გაიარა შესანიშნავი აქტიორული სკოლა, ჩამოყალიბდა ბრწყინვალე კომიკოსად. მშობლიურ სინამდვილიდან ამოსული, არაჩვეულებრივი კომედიური ნიჭის მსახიობი, ყველაზე უფრო ბრწყინავდა ქართულ დრამატურგიაში. მან შექმნა დიდი ფსიქოლოგიური სიღრმის, გრძნობისა და იანცდის უშუალოთი გამორჩეული დაუვიწყარი როლები: ყვარყვარე თუთაბერი (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი"), გოჩოლავა (შ. დადიანის „ქაქალ გულში"), მუცუტა (კ. კალაძის „როგორ?"), მოსე მწერალი (ე. ნინოშვილის „ნინოშვილის გურია"), კოხტა (ა. ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ"), დარისპანი (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი"); მსახიობის სულიერ გარდასახვას დრამატიზმი ემატებოდა, როდესაც თამაშობდა ბენ-აკიბს (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა"), ფონ კოლბას (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული"), პროფესორი ზახაროვი (ა. აფინოგენოვის „შიში"), და სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს მის მიერ სიჭარმაგეში განსახიერებუ-

ლი ილიკო ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ესაა ხალხური იუმორით, უბრალოებით და სცენური ხიბლით გამსჭვალული ქართველი გლეხის სახე, რომელმაც მსახიობის მიერ შესრულებულ სხვა როლებთან ერთად ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული თეატრის ისტორიაში. იგივე როლი ს. ჟორჟოლიანმა ითამაშა თენგიზ აბულაძის ამავე სახელწოდების ფილმში, სადაც მთელი ბრწყინვალებით წარმოჩნდა მისი უბადლო ნიჭი. საერთოდ თოთქმის ნახევარი საუკუნე ილვაწა მსახიობმა ქართულ კინემატოგრაფიაში. მაგრამ მარტო წლებით როდი განიზომება მისი წელილი ხელოვნების ამ სფეროში. ს. ჟორჟოლიანის ყოველი გამოეჩნა ეკრანზე, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს, ვინაიდან იგი მაგიური ძაფებით გადასცემდა მათ სევდას, სიკეთესა და ამაღლებულ განწყობილებას. გამსაკუთრებით აღსანიშნავია იმერელი თავადი („სამანიშვილის დედინაცვალი“), მოსე მწერალი („დარიკო“), კოსტაია („ნარინჯის ველი“), მაჭანკალი არისტო („დაკარგული სამოთხე“), ფოსტალიონი კირილე („ჭრიჭინა“) და სხვა.

რაც შეეხება ესტრადას, აქაც მისი ყოველი გამოსვლა ზეიმი იყო მაყურებლისათვის, რომელიც ასევე უსაზღვრო სიყვარულით პასუხობდა ცხოვრებაში ამ რაინდული სისპეტაკის ადამიანს და დიდ მოქალქეს. სწორედ ამისათვის მას 1942 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, დაჯილდოვებული იყო 2 შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ე ჟ ო ბ ლ ი გიორგი ბაგრატის ძე. 22. X. 1899, ბათუმი — 28. III. 1964, თბილისი.

რეჟისორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ბათუმში დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვს გაემგზავრა, სადაც ჩაირიცხა ვ. მეჟედლიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ დრამატულ სტუდიაში. 1925 წელს იგი უკვე ვ. მეიერჰოლდის ექსპერიმენტულ თეატრ-სახელოსნოშია. 1933 წლამდე მოღვაწეობს მოსკოვის სხვადასხვა თეატრებში, შემდეგ ინიშნება ფოთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ რეჟისორად. ერთი წლის შემდეგ გადმოდის თბილისში და მუშაობს ჯერ კ. მარჯანიშვილის, შემდეგ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მოგვიანებით მოზარდ მაყურებელთა თეატრში, რომლის მთავარი რეჟისორი იყო 1949 — 1954 წლებში.

გიორგი ჟურული დიდი მონდომებით ილვწოდა საქართველოს პერიფერიებში. მნიშვნელოვანი ამაგი დასდო სოხუმის ქართულ

თეატრს, სადაც არაერთი შესანიშნავი სპექტაკლი განახორციელა.

საყოველთაო მოწონებით სარგებლობდა რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლები: „ვერაგობა და სიყვარული", „რაც გინიახავს, ეელარ ნახავ", „ნაპერწკლიდან", „კრეჩინსკის ქორწინება", „წიწამური" (მარჯანიშვილის თეატრში), „ტრავიატა", „ჯავშნოსანი პოტიომკინი", „წყნარი დონი", „კაკო ყაჩაღი", (ოპერის თეატრში) და სხვ.

ე ურ ულ ი ვარლამ ნიკოლოზის ძე. 15. IX. 1908, სოფელი ჩიბათი, ლაგჩხუთის რაიონი — 30. I. 1965, თბილისი.

პოეტი, პუბლიცისტი. საშუალო სკოლა დაამთავრა ქუთაისში და შეევიდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1935 წელს. ამავე პერიოდში წარსდგა საზოგადოების წინაშე პოეტური კრებულით „ვარდის ფურცლობა".

ვ. ეურულის პირველი ნაწარმოებები ჯერ კიდევ 1924 წელს გამოქვეყნდა ქართულ ეურნალ-გაზეთებში და აქედან მოყოლებული იგი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა ამ კეთილშობილურ საქმეს.

თავდაპირველად იყო ფუტურისტ-ლეფელთა ჯგუფის წევრი, მაგრამ მალე დაუახლოვდა პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლებს ეგრეთწოდებულ „ახალთაობელებს".

ოთხი ათეული წლის მოღვაწეობის შედეგია პოეტური კრებულები: „ვარდის ფურცლობა", „ნარაზენი", „ჩრდილოეთის დაპყრობა", „ჩემი გაზაფხული", „ლირიკა", „ჩემი მერცხლები", „ვაზის ცრემლები" და სხვა. მისი ლექსები თარგმნილია სხვადასხვა ენებზე. გარდა ამისა მისი მწერლური ნიჭი ქართულ კინოსაც შეეხო. იყო რამდენიმე დოკუმენტური ფილმის სცენარის, სადიქტორო ტექსტის ავტორი. ხშირად იბეჭდებოდა პრესაში, როგორც პუბლიცისტი და აქაც თქვა თავისი სიტყვა.

ვარლამ ეურული მშობლიური მიწაწყლისა და ქართული სიტყვის სიყვარულით ანთებულ პოეტად დარჩა, მისთვის ყველაზე ძვირფასი ამ ქვეყანაზე მოხდენილად ჩამოსხმული სტრიქონი იყო.

ე ურ ულ ი — ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი ანა ნიკოლოზის ასული. 20. X. 1884, სოფელი ლარგვისი, ახალგორის რაიონი — 5. V. 1927, თბილისი.

იოსებ იმედაშვილის მეუღლე. 18 წლის ანა ეურული გაჰყვა ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ი. იმედაშვილს, რომელმაც იგი ჩაება აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანო-

ბაში, რაც შემდგომ თავისი ცხოვრების მთავარ საქმედ გაიხადა. ამ ფიზიკურად სუსტი არსების მხრებზე გადაიარა მეუღლის სირთულითა და ხიფათით სავსე ცხოვრების სიძნელეებმა. ანა ჟურული წერდა: „იოსებმა ვალად დამდო მასთან ერთად მეტარებინა ჯვარი წამებისა და ტანჯვისა. არასოდეს მიფიქრია გავქცეოდი ამ ტანჯვას“. მართლაც, ძნელად წარმოსადგენია რა გაჭირვებას განიცდიდა რევოლუციონერისა და პოლიტპატიმრის, წვრილშვილიანი, საზოგადოებრივ საქმეს შეჭიდებული ოჯახი. ამ ქართველ მანდილოსნის საქციელი კარგად მეტყველებს არა მარტო მის პიროვნულ ღირსებებზე, არამედ მთლიანად მისი ოჯახის მოქალაქეობრივ მრწამსზეც.

იმედაშვილების სახლი იყო მაშინდელი მოწინავე ქართული და არა მარტო ქართული საზოგადოების შეხვედრების ადგილი. აქ იმართებოდა სჯა-ბაასი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე.

არ შეიძლება არ ღინიშნოს ანა ჟურულის თეატრალური საქმიანობაც. მათ ოჯახში ფუძეჩაყრილ მუშათა თეატრს მუდმივი ზრუნვა და ყურადღება სჭირდებოდა. ბევრჯერ ეს სუსტი ქალი ჩვილი ბავშვით ავდარსა და უკუნეთში გასდგომია გზას, რათა ეთამაშა თავისი როლი დანიშნულ სპექტაკლში. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის ასეთი საქციელი ნიშანდობლივი იყო და არც არავის უკვირდა, იგი მაინც მოქალაქეობრივ გმირობად უნდა ჩაეთვალოს ყველა უანგარო მოღვაწეს, განსაკუთრებით ქართველ ქალს.

ელენტი ბესარიონ (ბესო) დავითის ძე. 1. VII. 1903, სოფ. ქვაციხე, ახლანდელი ჭიათურის საქალაქო საბჭო, — 18. X. 1976, თბილისი.

კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება. 1932—1937 წ.წ. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების მთავარი რედაქტორი (1937—1942 წ.წ.), საქართველოს ლიტფონდის დირექტორი (1943—1946 წ.წ.), გამოშცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე (1946—1951 წ.წ.), საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი (1958—1976 წ.წ.), რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი (1964 — 1976 წ.წ.). კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისისა და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1922 წელს. იყო „ფუტურისტ-ლეფელთა“ ჯგუფის ერთ-ერთი ორგანიზატორი და თეორეტიკოსი. 20—30-იან წლებში აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული კულტურისა და ხელოვნების პრობლემებთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში, იღვწოდა ქართული მწერლობის ორგანიზაციული ერთიანობისათვის, უპირისპირდებოდა „რაპპულ“ შეხედულებებს. ამ მხრივ საინტერესოა 1927—1932 წ.წ. გამოქვეყნებული წერილები და სტატიები: „ხელოვნება და ოქტომბერი“, „არიფიონი“, „ახალი დრამატურგიისათვის“, „თანამგზავრობის პრობლემა“, „ლიტერატურა და პოლიტიკა“, „კლასიკოსები და თანამედროეობა“ და სხვ. როგორც თეატრმცოდნესა და კრიტიკოსს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

ბესარიონ ჟღენტის მრავალრიცხოვანი ლიტერატურულ-კრიტიკული და სამეცნიერო გამოკვლევებიდან აღსანიშნავია თანამედროვე ქართული ლიტერატურის პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომები, მონოგრაფიები ე. ნინოშვილზე, დ. კლდიაშვილზე, გ. ტაბიძეზე, ნ. ლორთქიფანიძეზე, კ. გამსახურდიაზე, ლ. ქიაჩელზე და სხვ. გამოჩენილი კრიტიკოსის თხზულებანი თარგმნილია რუსულ და სხვა ენებზე. მისი მთელი შემოქმედება და მოღვაწეობა ქართველი ხალხისა და მისი კულტურის უანგარო ერთგულებისა და მასზე დაუღალავი ზრუნვის საუკეთესო მაგალითია. იგი იყო ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესების დამცველი, ახალგაზრდობის ერთგული მეგობარი, დიდი პატრიოტი და ღირსეული მამულიშვილი. მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით.

ჟ ღ ე ნ ტ ი ვლადიმერ ყაფლანის ძე. 20. XI. 1891, სოფელი ფიცხისჯვარი (მზიანა), ოზურგეთის მაზრა — 25. VII. 1972, თბილისი.

მეცნიერი, პათოლოგანატომი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. 1914 წელს წარჩინებით დაამთავრა ნოვოროსიის (ოდესა) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და იყო სამხედრო ექიმი პირველი მსოფლიო ომის დროს. შემდეგ მუშაობდა ოდესაში პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე პროზექტორის თანაშემწედ, უფროს ასისტენტად და პროზექტორად.

1922 წელს მოიწვიეს საქართველოში და აირჩიეს თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის დოცენტად და გამგედ, რომელსაც სათავეში ედგა სიცოცხლის ბოლომდე. 1930 წელს კვალიფიკაციის ასამაღლებლად დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა და ინტენსიურად მუშაობდა სხვადასხვა ცნობილ ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში.

ევროპულ განათლებას ნაზიარები მეცნიერი სათავეში ჩაუდგა ქართულ პათოლოგანატომიურ სკოლას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა პათოლოგიური ანატომიის კათედრები ზოოვეტერინარულ, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტებში. მისივე თაოსნობით შეიქმნა სასამართლო მედიცინის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1932—1959 წ.წ. იგი იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ჯერ დირექტორის მოადგილე, შემდეგ პროორექტორი. 1954 — 1958 წ.წ. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა. აქ სრულად გამოვლინდა მისი, როგორც დიდი ორგანიზატორისა და გამოჩენილი მეცნიერის ნიჭი. იგი 200-ზე მეტი ნაშრომის ავტორია, რომელშიც გაშუქებულია პათოლოგიური ანატომიის თითქმის ყველა არსებითი საკითხი. მასვე ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევები მედიცინის ისტორიაში, აგრეთვე რამდენიმე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის.

ვლ. ეღენტის მიერ პათოლოგიაში დადგენილი კანონზომიერებანი აღიარებული იყო არა მარტო საბჭოთა კავშირში არამედ მის ფარგლებს გარეთაც; ზოგიერთი მისი თეორიული დებულება შეტანილია სახელმძღვანელოებში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის, აგრეთვე ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის შემუშავება-დადგენაში. შესანიშნავი მამულიშვილის თაოსნობით 1943 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველოს პათოლოგანატომთა სამეცნიერო საზოგადოებას, რომლის უცვლელი თავმჯდომარეც თავად იყო. მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ საზოგადოებას მისი სახელი ეწოდა. დიდ მუშაობას ეწეოდა იგი როგორც საკავშირო და რესპუბლიკური მრავალი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი. დაჯილდოვებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, „სპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ეღ ე ნ ტ ი — მ ა რ გ ი ა ნ ი ნინო ალექსანდრეს ასული. 19. I. 1921, თბილისი — 13. IV. 1994, თბილისი.

პოეტ რევაზ მარგიანის მეუღლე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. მუშაობდა თბილისის

სამედიცინო ინსტიტუტში ბიოქიმიურ ლაბორატორიაში ბავშვთა სნეულებათა კათედრაზე. სათნოებით აღსავსე მანდილოსანი იყო ქართული მწერლობის თაყვანისმცემელი და დიდი მოამაგე.

რ ა დ ი ა ნ ი (შ ე ნ წ ი ო რ უ ლ ი) შალვა დმიტრის ძე. 30. XII. 1904, ქ. ოზურგეთი — 23. III. 1977, თბილისი.

კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა დაიწყო 1926 წლიდან. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნასა და საქმიანობაში, მუშაობდა „მნათობის", „პროლეტარული მწერლობის", „პიონერის", „დროშის", „ჩვენი თაობისა" და სხვა ჟურნალების რედაქციებში. 1929—1932 წლებში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, 1937—1942 წლებში — გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი, 1930 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიას, 1942 წლიდან იყო ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, 1944 წლიდან რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი, 1949—1958 წლებში ამავე ინსტიტუტის დირექტორი.

შალვა რადიანი მრავალი ფუძემდებლური ნაშრომის ავტორია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: „თანამედროვე ქართული ლიტერატურა", „ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები", „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი", „ახალი ქართული ლიტერატურა" (წგნ. 1—II., 1949—1950), „ქართული ლიტერატურის ისტორია" (თანაავტორები ა. ბარამიძე, ბ. ჟღენტი. 1958, რუსულ ენაზე), „XX საუკუნის ქართული ლიტერატურა", „სახეები და შთაბეჭდილებანი", და სხვ. მისი რედაქციით გამოიცა ი. ჭავჭავაძის, რ. ერისთავის, გ. წერეთლის, ი. ევდოშვილის, ე. ნინოშვილის, შ. არაგვისპირელის, ჭ. ლომთათიძის, ვ. ბარნოვის, გ. ტაბიძისა და სხვ. თხზულებათა კრებულები ქართულ და რუსულ ენებზე. შ. რადიანი იყო ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი.

მეცნიერი, საუკეთესო ადამიანური თვისებებით დაჯილდოვებული ინტელიგენტი. ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას გულუხვად ახმარდა ახალგაზრდობას, მათ კეთილდღეობას. 27 წიგნისა და 300-ზე მეტი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილის ავტორი დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით, დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის და უკრა-

ინელი მწერალი ქალის ლესია უკრაინკას მედლებით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

რაზიკაშვილი თედო პავლეს ძე. 13. XI. 1869, სოფელი ჩარგალი — 19. I. 1922, სოფელი ხელთუბანი, დუშეთის რაიონი.

მწერალი, პედაგოგი. ექვსი წლისა შეიყვანეს ჩარგლის დაწყებით სკოლაში, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო გორის საოსტატო სემინარიაში, რომელიც 1889 წელს დაამთავრა. აქვე, ადგილობრივი ხალხისნებისაგან მიიღო პოლიტიკური წრთობა.

1890 წელს პროგრესული იდეების მატარებელი თედო რაზიკაშვილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" დანიშნა სოფელ ხელთუბნის დაწყებით სკოლაში ბავშვებლად. აქ გაატარა მთელი სიცოცხლე. იმავე წელს ქართულ პერიოდიკაში გამოჩნდა თედოს პირველი ლექსები, მოთხრობები პუბლიცისტური წერილები, რითაც მალე მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. მისი ყველა ნაწარმოები დაწერილია ბრწყინვალე ქართულით და გამოირჩევა ნათელი აზრითა და მაღალი იდეურობით.

განსაკუთრებით პოპულარულია თ. რაზიკაშვილის საბავშვო მოთხრობები, რომლებიც ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის იდეებითაა გამსჭვალული. თავისი უფროსი ძმის ვაჟა-ფშაველას მსგავსად, იგი ხალხური შემოქმედების დიდი ქომაგიც იყო. კარგად იცნობდა ხალხის ყოფას, მის ადათ-წესებს და, ამიტომ, საქმის ცოდნით აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების მარგალიტებს. მან შეკრიბა და გამოაქვეყნა უამოავი ხალხური ლექსი, ზღაპარი, ანდაზა, გამოცანა, ლეგენდა და ისტორიული თქმულებანი, რითაც დიდი ამაგი დასდო ქართულ ლიტერატურასა და ფოლკლორისტიკას.

რამიშვილი — ჩხეიძე ვასასი ონისიმეს ასული. 3. IX. 1836, სოფელი დიდი ვანი, ჩოხატაურის რაიონი — 31. XII. 1961, თბილისი.

პოეტ გიორგი ქუჩიშვილის მეუღლე. მუშაობდა გამომცემლობა „ახალგაზრდაში", შემდეგ ჟურნალ „მნათობში" კორექტორად.

როინაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე. 1846, დუშეთი — 11. V. 1898, თბილისი.

პირველი ქართველი ფოტოგრაფი. დაიბადა ღარიბი გლეხის

ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა და უსახსროდ ღარჩენილმა დედამ იგი ვლადიკავკაზში ერთ ღვინით მოვაჭრეს ხელზედ მოსამსახურედ დაუყენა. მალე ჭაბუკი თბილისში მოხვდა და შეგირდად მოეწყო მხატვარ ვ. ხლამოვთან, სადაც ეუფლებოდა მხატვრობას და ფოტოგრაფიას. ბედითობამ და დაუღალავმა შრომამ შეგირდი ოსტატად აქცია და 1865 წელს თბილისში საკუთარი ფოტოსტუდია „რემბრანტი" გახსნა. მან შექმნა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მთელი გალერეა: ილია, აკაკი, ა. ყაზბეგი, რაფ. ერისთავი, ი. გოგებაშვილი და მრავალი სხვა. თანდათანობით ა. როინაშვილმა გამალა საქმიანობა — მოიარა საქართველოს სხვადასხვა კუთხე და სამუდამოდ დააფიქსირა ჩვენი ისტორიული ძეგლები, ეკლესიები, ციხე-სიმაგრეები, გლეხთა ცალკეული ტიპები და სხვ. იგი აქტიურად იყო ჩაბმული იმდროინდელ კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ხელს უწყობდა ყოველ მამულიშვილურ წამოწყებას, ხშირად ნივთიერადაც. საქართველოში მოგზაურობის პარალელურად აგროვებდა სხვადასხვა სახის ეთნოგრაფიულ მასალას. თანდათანობით გაამდიდრა ეს მეტად საინტერესო ფონდი, დააარსა ქართულ ისტორიულ სიძველეთა მუზეუმი და მოაწყო ექსპოზიცია. ამასაც არ დასჯერდა და ეს გამოფენა, თავისივე ფოტოგრაფიებით გამდიდრებული ამოგზაურა კავკასიისა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში (ყირიმიდ ასტრახანში, მოსკოვსა და პეტერბურგში), რითაც ფართო საზოგადოებას ვაცნო ჩვენი კულტურის საგანძური.

აღსანიშნავია, რომ ა. როინაშვილმა ყველაფერი ეს და მთელი თავისი ღვრაგ-მოძრავი ენერგია სამშობლოს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" უანდერძა. დღეს იგი აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

მეტად საგულისხმო შეფასება მისცა ალ. როინაშვილის ღვაწლს დიდმა ილიამ: „თვითეული ამისთანა ადამიანი ძალ-ღონე და ციხე-სიმაგრეა ერისა, ქვეყნისა, და მის მიერ განვლილი, ღვაწლით დაქნილი გზა მთელი სკოლაა, და მწვრთნელია ყველასი, ვისაც — კი კაცობრიობისათვის გული ერჩის".

როსტომაშვილი — ახმეტელი ანასტასია (ტასო) ივანეს ასული. 1887, თელავი — 1 .III. 1984, თბილისი.

ელისაბედ და ივანე როსტომაშვილების ქალიშვილი. დაამთავრა წმინდა ნინოს სასწავლებელი თბილისში და მასწავლებლობა დაიწყო ბოდბეს მონასტერთან არსებულ სკოლაში. ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. თელავში თავის უფროს დასთან ბარბარე როსტომაშვილთან (სტანისლავსკის სტუდიადამთავრებუ-

ლი, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი) ერთად დააარსეს სცენის მოყვარულთა წრე. დებმა აქ შეასრულეს აკაკი წერეთლის „პატარა კახში“ — ბარბარემ ლევან ხიმშიაშვილის როლი, ხოლო ტასომ — ტურფა. სპექტაკლის რეჟისორი იყო სანდრო ახმეტელი, რომელიც 1906 წელს ტასოს მეუღლე გახდა.

მოგვიანებით ანასტასია როსტომაშვილი მუშაობდა მიხეილ ზანდუკელის დირექტორობის დროს თბილისის პირველ საშუალო სკოლაში. ტასოს და სანდროს ჰყავდათ 2 ვაჟიშვილი, შალვა და ჯიმშერი. შალვა იყო გზებისა და ხიდების ინჟინერ-მშენებელი (დაიბადა 1907 წელს; გამოჩენილი კომპოზიტორის გიორგი ჩუბინიშვილის სიძე და ცნობილი მუსიკათმცოდნისა და კრიტიკოსის მანანა ახმეტელის მამა), ჯიმშერი არქიტექტორი და ლინგვისტია (დაიბადა 1917 წელს), ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამჟამად სამშობლოშია.

ر ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი

ივანე პავლეს ძე. 24. XII. 1952, სოფელი კურდღელაური, თელავის რაიონი — 24. VIII. 1924, თბილისი.

პედაგოგი, ჟურნალისტი, მწიგნობარი, ენციკლოპედისტი. პირველდაწყებითი განათლება თელავში მიიღო, შემდეგ დაამთავრა დედოფლისწყაროში არსებული სამხედრო სკოლა. სასწავლებელში გამეფებულმა რეჟიმმა, ქართული ენის აშკარა დევნამ და ყაზარმულმა წესებმა, სამხედრო კარიერის სურვილი დაუკარგა ახალგაზრდა კურსდამთავრებულს და 1870 წელს შევიდა თბილისის საოსტატო სემინარიაში, რომელიც შემდეგ ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა. სწორედ ეს ინსტიტუტი დაამთავრა 1874 წელს და საინგილოში დაინიშნა მასწავლებლად. აქედან იწყება ი. როსტომაშვილის სიძნელეებით აღსავსე პედაგოგის გზა. სადაც უნდა ყოფილიყო იგი, ყველგან ხალხისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებდა და თავის უანგარო მოღვაწეობით უბრალო ადამიანების სიყვარულს იმსახურებდა. ასე, მაგალითად საინგილოსა და თელავში გახსნა საკვირაო კურსები მოზრდილთათვის, რომელთაც უფასოდ ასწავლიდა წერა-კითხვას; ახალქალაქში, ფოტოაპარატით ხელში აფიქსირებდა გაქრობის პირას მისულ ძეგლებს. ეს მასალა მან გამოსცა ჯერ რუსულად, შემდეგ ქართულად. ამ გამოცემებმა ფართო საზოგადოების და, მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილისა და მოსე ჯანაშვილის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამასთან არც პედაგოგიური მოღვაწეობა მიუტოვებია. ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში. მისი მართლაცდა მჩქეფარე ენერგია ყველაფერს წვდებოდა. სად არ იბეჭდებოდა ი. როსტომაშვილის წერილები, ნარკვევე-

ბი, პედაგოგიური თუ შემეცნებითი ხასიათის სტატიები, არქეოლოგიური გამოკვლევები, საბავშვო მოთხრობები, ლექსები, ზღაპრები. მან გამოსცა აგრეთვე „არითმეტიკული ამოცანები სახალხო სკოლებისათვის და მშობელთათვის“, „შინაური საქონელი და მისი გონიერი მოვლა-მოშენება“, „„ახალი მიმართულება სამეურნეო მეცნიერებაში“, მშვენიერი ალბომი „ქართველთა ტომი“, „ქართული კალენდარი“, „რისგან სნეულდებიან და იხოცებიან ჩვენი ბავშვები“ და სხვ. ტყუილად როდი უწოდა დიდმა ილიამ ივანე როსტომაშვილს „ჩვენი ფუტკარი“. ამ ამაგდარ მამულიშვილს ეკუთვნის ჩვენში ენციკლოპედიის გამოცემის პირველი ცდები. მანვე შეადგინა და გამოსცა ქართული ენციკლოპედიის რამდენიმე ნაკვეთი, თარგმანები და მისივე წინასიტყვაობით გამოჩენილ მეცნიერთა და პედაგოგთა თხზულებანი. ივანე როსტომაშვილს ეკუთვნის ასევე პირველი სახელმძღვანელოები პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, რომლის შესავალი წერილის ავტორია აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე.

რევოლუციის შემდეგ ახალქალაქელებმა მიიწვიეს და ახლადგახსნილ გიმნაზიაში პირველი დირექტორობა შესთავაზეს. აქ მან სამი წელი დაჰყო. შემდეგ ცოტა ხნით კახეთში იყო და ბოლოს თბილისში, სადაც, ასაკის მიუხედავად, მთლიანად საზოგადოებრივ საქმიანობას მიეცა.

საფლავის ქვა გამოკვეთილია იაკობ ნიკოლაძის მიერ.

რ ც ხ ი ლ ა ძ ე გიორგი (გულო) ვასილის-ძე. 14. IV. 1909, თბილისი, — 1. XI. 1969, თბილისი. სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ცნობილი საზოგადო მოღვაწის ვასილ რცხილაძის ოჯახში და პატრიოტული სული მას თავიდანვე დაჰყვა. მუსიკის ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდა ხდება თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი, მაგრამ ჭაბუკი გაიტაცა ტანვარჯიშმა. ამ დროიდან მისი ცხოვრების საქმედ იქცა ტანვარჯიში და სპორტულ-ფიზკულტურული მოძრაობა.

გ. რცხილაძე იყო ჩვენში სპორტული მოძრაობის ცნობილი საზოგადოების „შევარდენის“ ერთ-ერთი მესვეურის, ცნობილი ტანმოვარჯიშის გიორგი ეგნატაშვილის მოწაფე და მიმდევარი. ამ სკოლიდან გამოსულმა ახალგაზრდებმა გაუთქვეს სახელი 30-იან წლებში ქართულ ტანვარჯიშს, როდესაც 1932 წელს გ. რცხილაძემ და გ. ეგნატაშვილის მეორე მოწაფემ, გიორგი ბაბილოძემ ფურორი მოახდინეს სსრ კავშირის ჩემპიონატზე ლენინგრადში; აბსოლუტურ პირველობაზე პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს. ამის შემდეგ გ. რცხილაძემ კიდევ ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ჩემპიონის

ტიტული და 1936 წელს ერთ-ერთ პირველს ჩვენს ქვეყანაში მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. სულ მალე იგი ასევე წარმატებით გამოვიდა მუშათა ოლიმპიადაზე ანტვერპენსა და პარიზში.

როგორც ნიჭიერმა ორგანიზატორმა, გ. რცხილაძემ განელო სახელოვანი გზა სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლიდან თბილისის საქალაქო სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელამდე. სადაც კი მუშაობდა, იყო ეს თბილისის უნივერსიტეტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, მოსკოვის ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო — ყველგან გამოირჩეოდა მაღალი, დახვეწილი პროფესიონალიზმითა და თავდადებული მუშაობით.

1972 წელს თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის ტანვარჯიშის სპეციალიზირებულ სკოლას ამ გამოჩენილი სპორტსმენის სახელი მიენიჭა. დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

რ ც ხ ი ლ ა ძ ე გრიგოლ (გიგო) სვიმონის ძე. 1876, სოფელი ფანიანი, სიღნაღის რაიონი — 1934, თბილისი.

იურისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი. დაამთავრა თბილისის გიმნაზია, შემდეგ სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ადრეულ ჩაება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში; მოგვიანებით, როგორც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, დაპატიმრებული იყო მეტეხის ციხეში.

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების წლისთავზე, 1908 წლის 3 სექტემბერს გაიმართა მწერალთა საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელმაც აირჩია „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების“ საბჭო შემდეგი შემადგენლობით: გ. რცხილაძე (თავმჯდომარე), ირ. ჭედოშვილი, შ. არაგვისპირელი, კოტე მაყაშვილი, ილია ზურაბაშვილი, საპატიო წევრად აკაკი წერეთელი. საბჭომ გ. რცხილაძეს რედაქტორობით გამოსცა ლიტერატურული კრებული „ვარდემელი“, ბესიკის ნაწარმოებები და სხვა მრავალი. 1906—1907 წლებში იგი რედაქტორობდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთს „მეგობარს“, 1909—1914 წწ. „სახალხო გაზეთის“ თანარედაქტორია. იყო აგრეთვე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, უნივერსიტეტის დაარსების საზოგადოების გამგეობის წევრი, შემდეგ იურიდიული ფაკულტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ბოლო წლებში მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში იურისკონსულტად.

გიგო რცხილაძეს ფართო მკითხველი იცნობდა როგორც მახვილი კალმის კრიტიკოსს. მისი სტატიები იბეჭდებოდა „ზანგის“ ფსევდონიმით. ცნობილი პუბლიცისტისა და დიდად განათლებული ინტელიგენტის გარშემო იკრიბებოდა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ფართო წრე, რომელთა საუბრებისა და კამათის საგანი ერთთავად მშობლიური ლიტერატურა და სამშობლოს ბედი იყო. 1923 წლიდან გარდაცვალებამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა სამოქალაქო სამართლის კურსს. ამ დარგში აქვს გამოკვლევები და თეორიული ხასიათის წერილები.

რ ც ხ ი ლ ა ძ ე ვასილ ილიას ძე. 1. VIII. 1860, სოფელი შაშიანი, თელავის რაიონი — 17. IV. 1920, თბილისი.

პედაგოგი, მწიგნობარი. დაამთავრა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი და მთლიანად მიეცა პოლიტიკურ მოღვაწეობას. ეს არც მეფის ხელისუფალთ გამოპარვია. იგი იძულებული შეიქმნა შვეიცარიას წასულიყო, სადაც დაუახლოვდა ცნობილ რევოლუციონერებს მათ შორის ელიზე რეკლიუს, პეტრე კროპოტკინს და სხვებს. აქ ვ. რცხილაძემ სწავლა ჟენევის უნივერსიტეტში გააგრძელა, სადაც 2 წელი დაჰყო. მთავრობის უნდობლობის მიუხედავად დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობა დაიწყო ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად თბილისის სახელოსნო სკოლაში. მოგვიანებით გახდა სასკოლო ინსპექტორი. საბოლოოდ მან თავი გაანება პედაგოგობას და მთლიანად საზოგადოებრივ საქმიანობას მიჰყო ხელი. იყო დრამატული საზოგადოების წევრი, ეწეოდა პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1905 წელს მისი ხელმძღვანელობით დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი მუშებისათვის, სადაც 1917 წლამდე მასწავლებლობდა კიდეც. იმავე ხანებში შეადგინა მოხსენება საქართველოს ავტონომიის შესახებ.

ვასილ რცხილაძემ დიდი ამაგი დასდო ქართული სამეურნეო საზოგადოების შექმნას, მონაწილეობდა სხვადასხვა სამეურნეო და საქველმოქმედო საზოგადოებებში და წამოწყებებში. 1911 წელს აირჩიეს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრ-მდივნად. დააარსა და თავისი ხარჯით სცემდა ჟურნალ „მეურნეს“. ამ დაუღალავი მოღვაწის კალამს ეკუთვნის მრავალი სტატია და წერილი, აგრეთვე ცალკეული წიგნები: „მცენარენი და ცხოველნი“, „არითმეტიკული ამოცანების კრებული“, თარგმნა და გამოსცა როსკოს ქიმიის სახელმძღვანელო.

1914 წლიდან ვ. რცხილაძე მეღვინეთა კომიტეტის წევრია, ხოლო 1918 წელს აირჩიეს ადგილობრივი მრეწველობის კომიტეტის თავმჯდომარედ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი როლი,

რომელიც შეასრულა გარე ქახეთის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, ამ დაუღალავი მოღვაწის თათსნობით დაარსებულმა საგარეჯოს ავრონომიულმა სკოლამ.

ს ა ე ვ ა[1] ტასია ალექსანდრეს ასული. 8. V. 1907, პეტერბურგი — 29. XI. 1972, მოსკოვი.

რსფსრ დამსახურებული არტისტი, დრამატურგ გიორგი მდივნის მეუღლე. დაამთავრა მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტი. იყო ესტრადის მსახიობი, წარმოადგენდა საესტრადო ხელოვნების იშვიათ ჟანრს — მხატვრულ სტვენას. მას პროგრამაში ჰქონდა ისეთი დიდი კომპოზიტორების ნაწარმოებები, როგორებიცაა ბახი, შუმანი, შუბერტი. მსახიობის საესტრადო პროგრამა დიდი პოპულარობით სარგებლობდა. 30-ან წლებში ლეო ესაკიას ქართულ მხატვრულ ფილმში „მფრინავი მღებავი" შექმნა საინტერესო, შთამბეჭდავი სახე.

1936 წელს დაქორწინდა გიორგი მდივანზე. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მისი ფერფლი გადმოასვენეს თბილისში და ერთად დაკრძალეს.

ს ა ზ ო ნ ო ვ ა — მ ე ღ ვ ი ნ ე თ უ ხ უ ც ე ს ი ლიდა ივანეს ასული. 5. IV. 1911, სარატოვი — 10. V. 1983, თბილისი.

კომპოზიტორ კონსტანტინე მეღვინეთუხუცესის მეუღლე. იაროსლავლში დაამთავრა ვეტერინარული ინსტიტუტი. აქვე გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, რომელიც ამ დროს იქ მუშაობდა. მთელი შემდგომი ცხოვრება გაატარა თბილისში, იყო დიასახლისი.

ს ა ლ ი ა კალისტრატე (ალე) ზოსიმეს ძე. 26. VIII. 1900, სოფელი ჯგალი, წალენჯიხის რაიონი — 25. VII. 1986, პარიზი.[1]

მეცნიერი, ქართველოლოგი, ისტორიკოსი. პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელსა და ზუგდიდში მიიღო, ხოლო 1919 წელს დაამთავრა ხაშურის გიმნაზია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მუყაითი ახალგაზრდა ბეჯითად შეუდგა სწავლას, მაგრამ ბედუკუღმართობამ იგი სამშობლოდან გახიზნა. 1922 წლიდან ჯერ ბერლინსა დ ჰალეში სწავლობს, ხოლო 1927 წელს პარიზში დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ბაკალავრის დიპლომით. აქვე, პა-

---

[1] საფლავის ქვაზე აწერია ს

რიზში იგი დაქორწინდა ნინო ქურციკაშვილზე. ცოლ-ქმარმა დიდად განსაზღვრა მომავალში ქართველოლოგიის მდგომარეობა საფრანგეთში და საერთოდ დასავლეთ ევროპაში. ნინო სალიას თაოსნობითა და სახსრებით 1948 წელს დაარსდა ჟურნალი „ბედი ქართლისა“, რომლის სამეცნიერო რედაქტორი იყო მისი მეუღლე. 1957 წელს ახალი ფურცელი გადაიშალა ჟურნალის ისტორიაში, იგი გადარალისდა, გაფართოვდა და იქცა სოლიდურ სამეცნიერო ორგანოდ, მიიზიდა მთელი მსოფლიოს ქართველოლოგები. ჟურნალის ავტორიტეტზე ისიც მეტყველებს, რომ მას დიდ მორალურსა და მატერიალურ დახმარებას უწევდა საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. კ. სალიამ კონტაქტი დაამყარა ქართველ საბჭოთა მეცნიერებთან და რეგულარულად ბეჭდავდა მათს ნაშრომებს.

სხვა ცნობილ ქართველოლოგებთან ერთად ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ ნინო და კალისტრატე სალიები აქვეყნებდნენ საკუთარ ნაშრომებსაც საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე. კ. სალიას ხანგრძლივი მეცნიერული მუშობის შედეგები შეკამებულია მის მონუმენტურ მონოგრაფიაში „ქართველი ერის ისტორიას“, რომელიც 1980 — 1983 წლებში ფრანგულად ორჯერ გამოიცა. მოვეიანებით ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა ქეთრინ ვიეიენმა იგი ინგლისურად თარგმნა. გამოჩენილმა არმენოლოგმა პროფესორმა ჟან-პიერ მაემ ამ ნაშრომს „ქართველი ერის ზნეობრივი პორტრეტი“ უწოდა. კ. სალიას „ქართველი ერის ისტორიას“ საფრანგეთის აკადემიამ პრემია მიანიჭა.

აკადემიკოს ა. ბარამიძისადმი გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში კ. სალია წერდა: „რაც დრო გადის, მუშაობა უფრო მძიმე ხდება... დამხმარე აქ არავინაა, ნინოს გარდა“, ხელისშემშლელი კი ბევრია“. „ძალიან არასასიამოვნო და იძულებითი ბრძოლა გვიხდება ჩვენი კულტურის გამყალბებლებთან. გვარგადაკეთებული ე. წ. მეცნიერები გვებრძვიან, მაგრამ ჩვენც ვალში არ ვრჩებით“. ღვაწლმოსილი მეცნიერი ხმალამოღებული ებრძოდა ყველა უმნიშვნელო ცნობასაც კი, რომელიც ამრუდებდა ქართულ კულტურას და აქტიურად აბამდა ამ საქმეში ქართველ საბჭოთა სწავლულებს. მისი მაღალი მეცნიერული ავტორიტეტის დადასტურებაა, რომ იგი აირჩიეს ოსლოს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, ხმელთაშუა ზღვის აკადემიის წევრად, სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრად, საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრად. მაგრამ ერის სამსახურში დამაშვრალი მოღვაწისათვის ყველაზე ძვირფასი იყო 1983 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად ერთხმად მისი

არჩევა. გამოჩენილმა მეცნიერმა უდიდესი მადლიერებით მიიღო სამშობლოს მიერ ეს აღიარება.

...1988 წლის 27 თებერვალს აღსრულდა დიდი მამულიშვილის ანდერძი: მან საუკუნო განსასვენებელი ჰპოვა თავის სამშობლოში. იგი მიიბარა დიდების მშობლიურმა მიწამ.

სამუკაშვილი — ჩიქოვანი ნინო სიმონის ასული. 1914. თელავი — 13. IX. 1988, თბილისი.

მთარგმნელი, მწერალ. გრიგოლ ჩიქოვანის მეუღლე. იქორწინეს 1932 წელს. 1931 წელს დაამთავრა კინოსტუდიის სამსახიობო ფაკულტეტი და მთავარი როლი შეასრულა რეჟისორ კ. მიქაბერიძის ფილმში „ჰასანი". მავრამ ძალე ლიტერატურის მსახური გახდა, ერთ ხანს მუშაობდა ჟურნალ „ხელოვნებაში", ამავე დროს ეწეოდა ინტენსიურ მთარგმნელობით. მოღვაწეობას. ქართველ საზოგადოებას გააცნო კუპრინის, სერვანტესის, მორავიას, იტალო კალვინის და სხვათა ნაწარმოებები.

სანაძე კორნელი ბარნაბის ძე. 2. X. 1907, დაბა ხონი — 27. II. 1985, თბილისი.

მხატვარი, ფერმწერი. 1929 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ხატვის მასწავლებლად ჯერ სკოლაში, ხოლო 1932 წლიდან სამხატვრო აკადემიაში. ამავე დროს მხატვრულად აფორმებდა სპექტაკლებს თბილისის სხვადასხვა თეატრში. გაფორმებული აქვს 50-ზე მეტი სპექტაკლი რუსთაველის, მარჯანიშვილის, სატირის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის თეატრებში, აგრეთვე კინოფილმები „დარიკო" და „ქალი მწვანეში". მისი თეატრალური სცენოგრაფიიდან აღსანიშნავია პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება", ი. ვაკელის „შამილი" შექსპირის „ოტელო" (ქუთაისის თეატრში), შ. დადიანის „გუშინდელნი", ვ. დარასელის „კიკვიძე" და მრავალი სხვა.

შესანიშნავი მხატვრისა და დიდებული მოქალაქის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია სათუთი განცდებით, სიხარულით და სევდით დანახული პოეტური სამყარო, რაც აისახა მის შესანიშნავ ქმნილებებში. ფერმწერის პოეტურ ხილვებში მიმზიდველადაა წარმოჩენილი მთელი საქართველო, მისი მთა-ველი და ადამიანები: „რკონი" და „ატენი", „შატილი" და „ანანური", „სვანეთი" და „უფლისციხე", „გალაკტიონ ტაბიძე", „ტერენტი გრანელის სიკვდილი" და სხვ.

ნიჭიერი, მრავალმხრივი შემოქმედი მარტო ხატვას არ სჯერდებოდა. საზოგადოება კარგად იცნობს კორნელი სანაძის პოპულა-

რულ ლექსებს, იგი რამოდენიმე პოეტური კრებულის ავტორია. ღვაწლმოსილ შემოქმედს 1964 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება, 1977 წელს რუსთაველის პრემია, დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ს ა ღ ა რ ა ძ ე გიორგი ილარიონის-ძე. 25. X. 1906, ქუთაისი — 12. IV. 1980, თბილისი.

თეატრის მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. სასცენო ხელოვნებას ჯერ კიდევ ქუთაისში ეზიარა, როდესაც სკოლის მოსწავლემ პირველი ნაბიჯები გადადგა პროფესიული თეატრის სცენაზე. 1925 წელს იგი უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია და პარალელურად აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიაში მეცადინეობს. იმავე ხანებში ჩაირიცხა შ. რუსთაველის თეატრის დასში და მის სცენაზე გაიარა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ნახევარ საუკუნეზე მეტი.

გ. საღარაძის მოღვაწეობის პირველი ათი წელი დაკავშირებულია ა. ახმეტელის სახელთან. მსახიობმა ამ დიდი რეჟისორის ჰეროიკულ-რომანტიკულ სპექტაკლებში („ანზორი“, „ლამარა“, „ყაჩაღები“) დასამახსოვრებელი სახეები შექმნა. შემდგომ ხელოვანმა შემოქმედებითი ბიოგრაფია გაიმდიდრა შესანიშნავად შესრულებული როლებით: ფარსადანი („არსენა“), ლუარსაბი („გიორგი საღარაძე“), ლევან ხიმშიაშვილი („საბშობლო“). დათო („ღალატი“), მუროვი („უდანაშაულო დამნაშავენი“), ხოვიჩი („ოლეკო დუნდიჩი“), კუზმიჩი („სადგურის უფროსი“), პოლკოვნიკი ლებოვი („პირველი ნაბიჯი“), ალექსანდრე ჭავჭავაძე („ნიკოლოზ ბარათაშვილი“), არჩილი („ოთარაანთ ქვრივი“), შუქრი („ჩაძირული ქვები“); ამ როლისათვის მას სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა; გიორგი თუხარელი („ადამიანი იბადება ერთხელ“) და სხვ.

ოვალსაჩინო წვლილი შეიტანა გ. საღარაძემ ქართულ საესტრადო ხელოვნებაშიც. თავის პარტნიორთან, მსახიობ სტეფანე ჯაფარიძესთან ერთად იგი იყო ქართული ესტრადის მშვენება. ამ შესანიშნავი დუეტის მახვილი სატირა ამხილებდა ცხოვრებისეულ მანკიერებებს, ხოლო ომის პერიოდში განსაკუთრებული ძალით გაისმოდა მათი სიტყვა როგორც ლახვარი, მიმართული მტრების წინააღმდეგ. გ. საღარაძემ კვალი დატოვა ქართულ კინემატოგრაფიაშიც, მონაწილეობდა სატელევიზიო დადგმებში. მისი შემოქმედება გამოირჩეოდა არტისტული მომხიბვლელობით, დახვეწილი მხატვრული ტაქტით და მაღალი გემოვნებით. პოპულარული ხელოვანის უანგრო სამსახური ქართული თეატრისადმი აღინიშნა შრომის წი-

თელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, ოგრეთვე მედლებით.

სახოკია თედო ტიმოთეს ძე. 14. III. 1868, სოფელი ხეთა, ზუგდიდის რაიონი — 17. II. 1956, თბილისი.

მთარგმნელი, ჟურნალისტი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი. 1877 წელს მიაბარეს მარტვილის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1883 წელს განაგრძო სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი იმ დიდ საქმეს, რომელსაც დაუღალავმა მამულიშვილმა თავისი ხანგრძლივი და ლამაზი ცხოვრება შეალია. 1886 წლიდან სწავლობდა ჯერ ჟენევის უნივერსიტეტში, შემდეგ პარიზის სორბონის უნივერსიტეტში. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1888 წელს ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“. იტალიაში ყოფნისას თანამშრომლობდა მიხეილ თამარაშვილთან.

1889 წლიდან თ. სახოკია შიდა ქართლის სოფელ ტირძნისში მასწავლებლობს და ნიკო ლომოურის თხოვნით იწყებს მასალების შეკრებას ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანის ლექსიკონისათვის. ამ საქმეს მან ხუთ ათწლეულზე მეტი შესწირა და მადლიერმა ერმა მიიღო ფასდაუდებელი ნაშრომი „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“. ასევე ფასდაუდებელია მის მიერ შეკრებილი ქართული ანდაზები.

ძვირფასი სამსახური გაუწია მშობლიურ ენას, და არა მარტო ენას თედო სახოკიას მთარგმნელობითმა საქმიანობამ. მის მიერ ბოკაჩიოს, მოპასანის, ჰიუგოს, ბარბიუსის, ვოლტერის, დოდეს, ზოლას, ანდერსენის, ვაზოვისა და სხვათა და სხვათა ნათარგმნი ნაწარმოებები, დღესაც ძვირფასია ქართველი მკითხველისათვის. თედო სახოკიას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ეთნოგრაფიის წინაშეც. იგი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი ეთნოგრაფი და ანთროპოლოგი. ამ მეცნიერებათა პირველი გაკვეთილები მან პარიზში მიიღო და მათ შესწავლას მთელი 4 წელი მოანდომა. ანთროპოლოგიურ საზოგადოებაში წაიკითხა რამდენიმე მოხსენება ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაზე. ამ მოხსენებებმა მას არგუნა პატივი გამხდარიყო საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი. ეთნოგრაფიულ მასალებს აქვეყნებდა, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში. სახელოვანი მოღვაწის ნარკვევებს გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში მოგზაურობის შესახებ, დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.

სიხარულიძე ილია ლუკას-ძე. 28. VII-I. 1889, სოფელი ბუკისციხე, ჩოხატაურის რაიონი — 7. 1. 1963, თბილისი.

პოეტი, პედაგოგი, ბავშვობა და ყრმობა სოფლად გაატარა. აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. 1902 წელს დაამთავრა სოფელ დიდვანის ორკლასიანი სასწავლებელი. 15 წლის ყმაწვილზე წარუშლელი კვალი დატოვა 1905 წლის რევოლუციამ, რაც აისახაა კიდეც მის პირველ ლექსებში.

1909 წელს ჩაირიცხა ხონის ეგრეთწოდებულ „ქუთაისის საოსტატო სემინარიაში". ყმაწვილის პირველი ლექსი „სიმინდის ყანა" 1912 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ნაკადულში". აქედან მოყოლებული, პოეტი მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა საბავშვო ლიტერატურას და არაერთი შესანიშნავი ქმნილებით გაამდიდრა იგი. 1913 წელს დაასრულა საოსტატო სემინარია და მასწავლებლად დაინიშნა აბაშის რაიონის დაბა სუჯუნის ორკლასიან სასწავლებელში, 1916 წლიდან კი ბათუმის ქართული სკოლის პედაგოგია თურქების მიერ ქალაქის აღებამდე. 1918 წელს დიდი გაჭირვებით დააღწია თავი თურქების ტყვეობას, თბილისში გადმოვიდა და მასწავლებლობა დაიწყო. 1919 წელს შეეიდა, ხოლო 1925 წელს დაასრულა მშობლიური უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სიტყვიერების განყოფილება. პარალელურად მასწავლებლობდა დედაქალაქის სხვადასხვა სკოლაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დიდი ამაგი, თბილისის პირველ საშუალო სკოლაზე, სადაც იგი თითქმის თხუთმეტი წელი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ამავე დროს ნაყოფიერად იღვწოდა საბავშვო მწერლობაში.

1915 წელს დაიბეჭდა პოეტის ლექსების პირველი კრებული, რომელსაც ნორჩი მკითხველი დიდი სიხარულით შეხვდა. აქ უკვე ჩანდა, რომ ლიტარატურულ ასპარეზზე გამოვიდა შესანიშნავი ნიჭის, ფართო ერუდიციის მქონე შემომქმედი. მის ლექსებში გაცხადებულია ქართული პედაგოგიური აზროვნებისათვის დამახასიათებელი ძირითადი მომენტები, როგორიცაა ეროვნულობა, სიმარტივე, ენობრივად დახვეწილი და მხატვრულად გამართული ღრმა შინაარსი. მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა, აგრეთვე რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ საბავშვო ჟურნალებში და ცალკე წიგნებადაც გამოდიოდა. მარტო ქართულ ენაზე გამოცემულია პოეტის 20-მდე კრებული. მისი ლექსები სიმღერებად აქციეს ჩვენმა კომპოზიტორებმა რ. ლაღიძემ და ნ. ექსანიშვილმა.

ილია სიხარულიძე პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეწე-

ოდა თეორიულ მუშაობასაც. 1932 წლიდან 1939 წლამდე ქართული ენის გრამატიკა ჩვენს სკოლებში მისი სახელმძღვანელოებით ისწავლებოდა. იგი წლების მანძილზე უძღვებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო მწერლობის სექციას. პედაგოგიურ ასპარეზზე ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის 1939 წელს ერთ-ერთს პირველს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. უმწიკვლო და დაუცხრომელი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ბავშვების საყვარელი პოეტის, სახელოვანი მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწის სამაგი დაფასდა მთავრობის ჯილდოებით და ქართველი ხალხის დიდი სიყვარულით.

ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე რევაზ ილიას-ძე. 1. V. 1921, თბილისი — 17. XI. 1973, თბილისი.

მხატვარი. 1939 წელს თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტზე. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ იაკობ ნიკოლაძე და ნიკოლოზ კანდელაკი. 1945 წელს წარჩინებით დაამთავრა აკადემია. 1946—1959 წ.წ. პერიოდულად მონაწილეობდა ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენებში. რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები დადებითად აფასებდა ახალგაზრდა ხელოვანის შემოქმედებას, მის მიერ მაღალი გემოვნებით ხეზე შესრულებულ მინიატურულ კომპოზიციას, ქვის დამუშავების თავისებურ მანერასა და ტექნიკას. სამწუხაროდ, ნიჭიერი მოქანდაკე ავადმყოფობის გამო ადრევე ჩამოსცილდა თავის საყვარელ სპეციალობას და ხელი მიჰყო მთარგმნელობით საქმიანობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ დიდი გემოვნებით ნათარგმნი ა. კუპრინის მოთხრობები.

ს ტ უ რ უ ა რობერტ ივანეს-ძე. 4. V. 1916 წ. სოფელი კულაში, სამტრედიის რაიონი — 21. I. 1982, თბილისი.

ფერმწერი-მონუმენტალისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 1933 წელს შევიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 1939 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის სურიკოვის სახელობის სამხატვრო ინსტიტუტში მონუმენტური ფერწერის ფაკულტეტზე.

შემთხვევითი როდი იყო რ. სტურუას მიდრეკილება მონუმენტური მხატვრობისადმი. მისი მდიდარი და დახვეწილი მხატვრული გემოვნება მოითხოვდა დიდ სივრცეებს და მანაც შემოქმედებითად განავრცო იგი ისეთ ნამუშევრებში, როგორიცაა ჭიათურის ა. წე-

რეთლის სახელობის თეატრის პლაფონის მოხატულობა „გამარჯვების ზეიმი“, სოფ. შრომის კულტურის სახლის ფრესკა „ხალხთა მეგობრობა“, ტყიბულის კულტურის სახლში ქართული ხალხური ზღაპრების თემებზე შესრულებული ნაწარმოები „ბოროტსა სძლია კეთილმან“, ასევე ჭიათურაში, მეტალურგთა კულტურის სახლის პლაფონი, ფერწერული ფრიზი ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალისათვის და მრავალი სხვ.

საყურადღებო ნამუშევრები დაგვიტოვა ხელოვანმა დაზგურ ფერწერაშიაც. იგი ასევე ბევრს მუშაობდა პორტრეტის ჟანრში. საგანგებოდ აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟები. საგულისხმოა რ. სტურუას ნამუშევრებიც წიგნის გრაფიკაში. კერძოდ მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას ქმნილებათა ილუსტრაციები.

სახელოვანი მამულიშვილის, უმწიკვლო მოქალაქისა და პიროვნების, სიკეთით სავსე ადამიანის, დახვეწილი სულის შემოქმედის ჟანრული მრავალფეროვნება ეხამებოდა მის ოპტიმისტურ, ხალას ბუნებას, დიდ პოეტურ სამყაროს, რაც მკვეთრად გამოარჩევს ხელოვანის შემოქმედებით ხელწერას. 1965 წელს რობერტ სტურუას მიენიჭა საქართველოს სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.

ს უ ლ ა ვ ა — ქ ა შ ა კ ა შ ვ ი ლ ი ბარბარე გრიგოლის ასული. 17. XII. 1903, მარტვილი — 26. VII. 1974, თბილისი.

მომღერალ ვალერიან ქაშაკაშვილის მეუღლე. დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ მარტვილში, შემდეგ თბილისში. ახლო ურთიერთობა ჰქონდა „ცისფერყანწელებთან“. აღსანიშნავია, რომ მან პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილთან ერთად გადაარჩინა წითელი არმიისაგან განადგურებას მარტვილის საარქივო საცავი 1921 წლის მარტში.

ს უ ლ ი ა შ ვ ი ლ ი დავით სოკრატეს ძე. 10. VI. 1884, დაბა სურამი — 6. XI. 1964, თბილისი.

მწერალი, პროფესიონალი რევოლუციონერი. მამამ სოფლის ხელმოკლე დიაკვანმა გორში ჩამოიყვანა და მიაბარა სასულიერო სასწავლებელში. აქ არსებულმა ხალხისნურმა რევოლუციურმა განწყობამ სამუდამოდ განსაზღვრა უმაწვილის სამომავლო გზა, რომელმაც იგი პროფესიონალ-რევოლუციონერობამდე მიიყვანა. მონაწილეობდა მუშათა გაფიცვებში და მოძრაობებში, დაინტერესდა მარქსიზმით. 1903 წელს ლაიფციგში გაემგზავრა, აქ იგი დაუკავშირდა ვ. ი ლენინის მიმდევარ ემიგრანტთა ჯგუფებს. რეაქციის პერი-

ოდში დ. სულიაშვილი დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში ჩასვეს, მაგრამ სხვებთან ერთად გაიქცა და მალე ემიგრაციაში წავიდა — ჯერ ლაიფციგში, შემდეგ ციურიხში ცხოვრობდა, სადაც პირადად გაიცნო ლენინი და ახლო ურთიერთობა დაამყარა მასთან. პატიმრობის დროს ლეო ქიაჩელს შეხვდა და მას შემდეგ განუყრელ მეგობრებად დარჩნენ. ლ. ქიაჩელის რჩევით დავით სულიაშვილმა პირველი მოთხრობა გამოუგზავნა უცხოეთიდან „სახალხო ფურცლის" რედაქციას. მას შემდეგ მას ყალამი ხელიდან არ გაუგდია.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ განაგრძო ლიტერატურული მოღვაწეობა. დ. სულიაშვილი ბუნებით დინჯი, წინდახედული, აუჩქარებელი ინტელიგენტი იყო. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ იგი რუსეთის სამი რევოლუციის მომსწრე და მონაწილე, ლენინის მეგობარი, პარტიის რიგებში მხოლოდ 1949 წელს შევიდა.

უპრეტენზიო შემოქმედმა, XX საუკუნის დამდეგის მღელვარე დღეების ამსახველი თავისი ქმნილებებით საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ლიტერატურაში. მწერლის კალამს ეკუთვნის მოთხრობები: „ნაღვერდალი", „მეორე დღე", „კლდე", „ჩიკორი" და სხვ. ამაგდარი მოღვაწე და უმწიკვლო პიროვნება დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით.

ს ულ ხ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ნიკო პაატას ძე. 1871, სოფელი აწყური, ახმეტის რაიონი — 3. XII. 1919, თბილისი.

კომპოზიტორი, ლოტბარი და მომღერალი. თელავის სასულიერო სასწავლებელი 1884 წელს დაამთავრა და მეცადინეობა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში.

ტრადიციულად სულხანიშვილების ოჯახში ქართული ხალხური სიმღერა დიდ პატივში იყო — მღეროდნენ მშობლები, ბავშვები, თავად ნიკოც. სწორედ ამით მიიქცია ჯერ კიდევ გალობის მასწავლებლის ზ. ჩხიკვაძის ყურადღება. სწორედ ამავე ხანებში შექმნა მომღერალთა გუნდი ცნობილმა ლოტბარმა ლადო აღნიაშვილმა. სიმღერით გატაცებულმა ყმაწვილმა გული აიცრუა სწავლაზე და გუნდში ჩაირიცხა, ამასთანავე ნიკომ გადაწყვიტა საფუძვლიანი მუსიკალური განათლება მიეღო. მას ერთხანს ამეცადინებდა თბილისში მცხოვრები მოსკოვის დიდი თეატრის მომღერალი დ. უსატოვი, მაგრამ სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა იძულებული შეიქმნა თელავში დაბრუნებულიყო. აქ იგი გალობას ასწავლიდა სასულიერო სემინარიაში.

ათი წლის შემდეგ ნ. სულხანიშვილი კვლავ თბილისშია, ამჯე-

რად თეორიულ დისციპლინებს ეუფლება ადგილობრივ სამუსიკო სასწავლებელში და კერძო გაკვეთილებს იღებს კომპოზიციაში. ნიჭიერი მუსიკოსის შემოქმედებითი ცდები დაიწყო 80-ან წლებში. მისი საგუნდო ნაწარმოებები ერთ-ერთი პირველი კლასიკური ნიმუშებია ქართული მუსიკის ამ ჟანრში. ამას ისიც ადასტურებს, რომ დღესაც პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს კომპოზიტორის მთელი რიგი ნაწარმოებები: „ტურფავ, მოდი ნუ ხარ მტრულად", „გუთნური", „სამშობლო ხევსურისა", „მესტვირული", „ჩონგურს სიმები გაეუბი", „ღმერთო, ღმერთო" და სხვ. ნ. სულხანიშვილი ავტორია აგრეთვე შესანიშნავი არიებისა „დაიგვიანეს" და „ძლივს მარტო დავრჩი" დაუმთავრებელი ოპერიდან „პატარა კახი". მასვე ეკუთვნის რომანსი „მო, ზუალო".

სულხანიშვილი — პატარაია ქეთევან გაბრიელის — ასული. 8. III. 1905, თბილისი — 28. X. 1973, თბილისი.

მწერალ ვასო პატარაიას მეუღლე, რეჟისორ გურამ პატარაიას დედა, ცნობილი ქართველი მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟიშვილის ნიკოს შვილიშვილი. დაამთავრა თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელი, შემდეგ სწავლობდა აკაკი ფაღავას სტუდიაში, მაგრამ არ დაუმთავრებია. 1925 წელს სასწავლებელში სწავლისას გაიცნო და თავისი ბედი დაუკავშირა შემდეგში ცნობილ მწერალსა და დრამატურგს ვასო პატარაიას.

სურგულაძე — ზამბახიძე ელენე პარმენის ასული. 17. XII. 1915, სოფელი ნიგოითი, ლანჩხუთის რაიონი — 12. XII. 1976, თბილისი.

პროფესორ ვლადიმერ ზამბახიძის მეუღლე.

სურგულაძე — სიხარულიძე მარიამ მიხეილის ასული. 23. IV. 1886, ოზურგეთი — 17. XI. 1971, თბილისი.

მწერალ ილია სიხარულიძის მეუღლე. პედაგოგი, წლების მანძილზე მასწავლებლობდა ბათუმში.

სუხიშვილი ილია ილიას-ძე. 4. IV. 1907, თბილისი — 24. III. 1985, თბილისი.

მოცეკვავე და ქორეოგრაფი, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის ერთ-ერთი დამაარსებელი და მხატვრული ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი. თავდაპირველად ყმაწვილი მშობლებმა სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. 1917 წლიდან სწავლა განაგრძო მე-2

შ[illegible]ომის სკოლაში, რომელიც 1924 წელს დაამთავრა. პარალელურად მეცადინეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ პერინის სტუდიაში. 1926 წელს ქართული ხალხური ცეკვების სტუდიის დამთავრების შემდეგ ოპერისა და ბალეტის თეატრის მოცეკვავეა, მოგვიანებით კი სოლისტია და დამდგმელ-ქორეოგრაფი.

1932 წელს ი. სუხიშვილი სტაჟირებაზეა მოსკოვის დიდ თეატრში ცნობილ ბალეტმაისტერ გოლეიზოვსკისთან. ამავე დროს იგი ცეკვის ხელოვნებას იმდიდრებდა და ხვეწდა ლუნაჩარსკის სახელობის სასწავლებელში. 1935 წელს სამშობლოში დაბრუნდა და იმავე წელს მონაწილეობა მიიღო ლონდონის საერთაშორისო ფესტივალში, სადაც ოქროს მედალი და პირველი პრემია დაიმსახურა.

მაღალი პროფესიონალიზმით აღჭურვილი ახალგაზრდა ქორეოგრაფი დიდი გატაცებით დგამს თბილისში, აგრეთვე სსრ კავშირის სხვა ქალაქებში, ცეკვებს სპექტაკლებისათვის „აბესალომ და ეთერი", „დაისი", „ქეთო და კოტე", „დემონი", „ლატავრა", „ლელა" და სხვ. ი. სუხიშვილი ხიბლავდა მაყურებელს დახვეწილი პლასტიკით, სიმსუბუქით და ტემპერამენტით. ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც გაიხსენებს თუნდაც კინოფილმ „ქეთო და კოტეს" ფინალს, სადაც გამოჩენილი მოცეკვავე მსახიობ ალექსანდრა თოიძესთან ერთად ასრულებს ცეკვა „ქართულს".

.რაც შეეხება ილიკო სუხიშვილს როგორც ცეკვების დამდგმელს, მისი ღვაწლი სამამულო ქორეოგრაფიაში ფასდაუდებელია. ამას ცხადყოფს ხელოვანის დიდი გემოვნებით ნაძერწი „ქართული", „ფერხული", „ფარცა", „მხედრული", „ხორუმი", „შეჯიბრი", „მწყემსური", „მონადირული", „სამაია", ქორეოგრაფიული სპექტაკლები — „ქაჯეთის ციხის აღება", „მეგობრული საზეიმო" და მრავალი... მაგრამ, რა თქმა უნდა, უდიდესი მამულიშვილური საქმე ილიკო სუხიშვილმა გააკეთა თავის მეუღლესთან, სცენაზე მის პარტნიორთან და შემოქმედებაში უახლოეს თანამოაზრესთან, შესანიშნავ მოცეკვავესა და ქორეოგრაფთან, ნინო რამიშვილთან ერთად საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის შექმნით 1945 წელს, რითაც შორს გაუთქვა სახელი ჩვენს ეროვნულ ცეკვებს და წარმოაჩინა მათი განუმეორებელი ხიბლი. ყველგან, სადაც კი გაიელვა ქართულმა ცეკვამ, წარუშლელი კვალი დატოვა მადლიერი მაყურებლის მეხსიერებაში.

1949 წელს ღვაწლმოსილ ხელოვანს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია, 1972 წელს კი რუსთაველის პრემია, დაჯილდოვებული იყო ლენინისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ოქროს ვარსკვლავის ორდენით

და მედლებით. მინიჭებული ჰქონდა მრავალი მსოფლიო, საერთაშორისო და საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება. 1981 წელს როგორც ძირძველი თბილისელი ი. სუხიშვილი აირჩიეს ჩვენი დედაქალაქის საპატიო მოქალაქედ.

ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი იოსებ გრიგოლის ძე, 25. XII. 1886, თბილისი — 21. VII. 1952, თბილისი.

მწერალი, ენათმეცნიერი. პირველდაწყებითი განათლება მამის ოჯახში მიიღო. შემდეგ დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია, ხოლო 1915 წელს — მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

თავისი პირველი მოთხრობა „წვიმაში", ი. ტატიშვილმა დაბეჭდა 1908 წელს გაზეთ „დროებაში". აქედან მოყოლებული, მას კალამი არ გაუგდია. მწერლის საუკეთესო ნაწარმოებებია: „დედაკაცის ბედი", „იალლუჯა", „მტერთა სასძლო", „ქალის გული", „ძველი გმირი". ზოგი მისი მოთხრობა თარგმნილია უკრაინულად.

ი. ტატიშვილს აქვს მრავალი თარგმანი რუსულიდან და სომხურიდან. აღსანიშნავია, რომ იგი იყო ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე და თავისი წვლილი შეიტანა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" რედაქტორულის მომზადებაში.

ტ ე ლ ი ჩ კ ო ფილიპე მარკიანის-ძე. 1880, ბაქო — 1928. თბილისი.

ექიმი-თერაპევტი. დაიბადა ბაქოში, მაგრამ მთელი შეგნებული ცხოვრება გაატარა თბილისში. აქვე დაოჯახდა, ცოლად შეირთო მარიამ ხერხეულიძე.

ფ. ტელიჩკო თავდადებულად ემსახურა ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს, რისთვისაც მადლიერმა ქართველმა ხალხმა უკრაინელ ინტელიგენტს სამუდამო განსასვენებელი დიდუბის პანთეონში მიუჩინა.

ტ უ ს კ ი ა იონა ირაკლის ძე. 24. XII. 1901, ქ. ოზურგეთი — 8. X. 1963, პარიზი.

კომპოზიტორი, პროფესორი. 1926 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია მ. იპოლიტოვ-ივანოვის კომპოზიციო და მ. ვასილიევის სავიოლინო კლასებით. მოგვიანებით, 1931 წელს, ლენინგრადის კონსერვატორია. ი. ტუსკია, შ. თაქთაქიშვილთან გრ. კილაძესთან ერთად, პირველი კომპოზიტორი იყო, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში კამერულ-ინსტრუმენტულ ჟანრს.

ჯერ კიდევ 1922 წელს დაარსდა „ახალგაზრდა ქართველ მუსი-

კოსთა საზოგადოება“, რომელიც მიზნად ისახავდა ფართო მასებში ეროვნული პროფესიული მუსიკის პროპაგანდას. ამ საზოგადოებამ ჩამოაყალიბა სიმებიანი ორკესტრი, რომლის ინიციატორები იყვნენ ახალგაზრდა კომპოზიტორები, ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტები: გრიგოლ კილაძე, შალვა თაქთაქიშვილი და მათთან ერთად იონა ტუსკია. თავდაპირველად ისინი უკრავდნენ ორკესტრში, შემდგომ დირიჟორობდნენ. სწორედ ამ ორკესტრისათვის შექმნა ახალგაზრდა კომპოზიტორმა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები „ჩელა“. მისივე „გველისმჭამელი“ და „მარშ-გროტესკი“, ქართული მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვანი შენაძენია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელოვანის დიდი ღვაწლი თეატრსა და კინოში. მან მუსიკალურად გააფორმა სპექტაკლები: „ლამარა“, „არსენა“, „ოტელო“, „დიდი ხელმწიფე“ და სხვ. კინოფილმები: „დარიკო“ და „ნარინჯის ველი“.

წლების განმავლობაში იონა ტუსკია იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავჯდომარე. მან აღზარდა დღეს საყოველთაოდ ცნობილი კომპოზიტორები: რ. გაბიჩვაძე, გრ. კოკელაძე, ს. ნასიძე, ო. გორდელი და სხვები. მისი შემოქმედება გამოირჩეოდა ღრმა ეროვნულობით, დახვეწილი გემოვნებით და განსაკუთრებული ლირიზმით, ხოლო თვით პიროვნება, შინაგანი სულიერი სიმდიდრით. ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე დიდი დამსახურებისათვის კომპოზიტორს 1968 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტისის საპატიო წოდება.

ეგრელიძე მარიამ ქრისტეფორეს ასული. 25. I. 1885 — სოფელი დიღომი, მცხეთის რაიონი — 20. V. 1960, თბილისი.

პედიატრი, პროფესორი. დაიბადა პედაგოგის ოჯახში. 1903 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელი და შევიდა პეტერბურგის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტში. პირველი წაექმო „პრაქტიკა“ გაიარა „სისხლიან კვირას“, როცა უვლიდა დაჭრილ დემონსტრანტებს. ამის შემდეგ ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, 1906 წელს დააპატიმრეს და 2 წელიწადს ციხეში ამყოფეს. შემდეგ ემიგრაცია, — ჯერ საფრანგეთი, მერე შვეიცარია. ბოლოს ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული 1918 წელს რუსეთში დაბრუნდა და ოდესის უნივერსიტეტში ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები. იმავე წელს ჩამოვიდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო სამხედრო ჰოსპიტალში, ხოლო ერთი წლის შემდეგ ქალაქის პირველ საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში.

1921 წლის მარტიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან პედიატრიის კათედრის ჩამოყალიბებისთანავე აირჩიეს კათედრის უფროს ასისტენტად, ხოლო 1927 წლიდან განაგებდა ამავე კათედრას. აღსანიშნავია, რომ მ. უგრელიძე პირველი ქალი პედიატრია, რომელმაც პროფესორის წოდება მიიღო. იგი იყო არა მარტო კარგი პედაგოგი და მეცნიერი, არამედ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმის განვითარების დიდი ენთუზიასტი და ორგანიზატორი. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა დედათა და ბავშვთა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სადაც თავად განაგებდა სამეცნიერო ნაწილს. 1929 წელს მ. უგრელიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოება, რომელსაც თავმჯდომარეობდა სიკვდილამდე. იგი იყო აგრეთვე პედიატრთა საკავშირო საზოგადოების საპატიო წევრი, ჟურნალ „პედიატრის" რედკოლეგიის წევრი, სამედიცინო ენციკლოპედიის რედაქციის წევრი და სხვ. მ. უგრელიძე არა მარტო მეცნიერული, არამედ მრავალრიცხოვანი პოპულარული შრომების ავტორიცაა. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამეცნიერო ექსპედიციებს, რის შედეგადაც შეისწავლეს, როგორც სხვადასხვა დაავადების გავრცელების რუკა ჩვენს რესპუბლიკაში, ასევე მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი.

გამოჩენილი ქართველი პედიატრი თავდაპირველად დაასაფლავეს სოფელ დიღომში, საკუთარი სახლის ეზოში. ხოლო დაბადების 85 და გარდაცვალების 10 წლისთავთან დაკავშირებით მისი ნეშტი გადმოასვენეს და დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

უ ი ა რ ა ღ ო (თ ა თ ა რ ა შ ვ ი ლ ი) კონდრატე დავითის ძე. 2. IX. 1872, სოფელი აბასთუმანი, ზუგდიდის რაიონი — 9. V. 1929, თბილისი.

მწერალი მეცნიერი, დაიბადა დიაკვნის ოჯახში. რვა წლისა მიაბარეს სოფლის სამრევლო სკოლაში, შემდეგ გადაიყვანეს სასულიერო სასწავლებელში. 1887 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ აქ შექმნილი მდგომარეობის გამო იგი იძულებულია წავიდეს კიევში, სადაც 1894 წელს დაამთავრა სასულიერო სემინარია, დაბრუნდა მშობლიურ სოფელში, გახსნა სკოლა და აქვე დაიწყო მასწავლებლობა.

კ. თათარაშვილმა განაგრძო ოჯახური ტრადიცია და 1896 წელს მღვდლად ეკურთხა. მაგრამ სიკვდილმისჯილი რევოლუციონერი ჯარისკაცის გამოსარჩლებისათვის 1906 წელს ეკლესიიდან განდევნეს, რის შემდეგ მან ხელი მიჰყო ინტენსიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას, რაც ახალგაზრდობიდანვე იტაცებდა.

პირველი მოთხრობები უიარაღომ ჯერ კიდევ 1895 წელს გამოაქვეყნა ქართულ პერიოდიკაში, რომელიც მკითხველმა და კრიტიკამ დადებითად მიიღო; „მე და ბიძაჩემი“, „ჩაიზე“, „უსიამოვნო შეხვედრა“, „რეაქცია“, „წესდება“ და სხვ. კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდა ავტორს. 1912 წელს გაემგზავრა გერმანიაში, შემდეგ შევიდა ბრიუსელის უნივერსიტეტში. ასაკის მიუხედავად დაიწყო სწავლა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გეოლოგიის სპეციალობით. ბელგიაში 10 წელი დაჰყო და სამშობლოში დაბრუნდა ფრიად განსწავლული სპეციალისტი. იგი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის კათედრაზე ასისტენტად, პარალელურად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილებაშიცაა. მას საყურადღებო ნაშრომები აქვს გეოლოგიაში.

არც ემიგრაციაში და არც შემდეგ უიარაღოს ხელიდან არ გაუშვია შემოქმედის კალამი. მან დაგვიტოვა მდიდარი მემკვიდრეობა, მათ შორის ყველაზე დიდია სოციალური რომანი „მაძიებელნი“, მაგრამ მის შემოქმედებასა და ქართულ მწერლობაში მარგალიტად დარჩა მოთხრობა „მამელუქი“, რომელშიც მხატვრული სიმართლითაა ასახული XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ცხოვრება. ამ მოთხრობის საფუძველზე 1958 წელს რეჟისორმა დ. რონდელმა გადაიღო ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმი, რომელიც წარჩატებით გადიოდა ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის ეკრანებზე.

უდროოდ გარდაცვლილი მწერალი დაკრძალეს ვერის სასაფლაოზე, მაგრამ დრომ გამოასწორა დაშეებული შეცდომა — 1969 წლის 14 ივლისის თბილისის აღმასკომის დადგენილებით იმავე წლის 28 სექტემბერს მადლიერმა ქართველმა ხალხმა საყვარელი მწერლის ნეშტი დიდუბის პანთეონში გადმოასვენა.

უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი პეტრე იოსების ძე. 23. X. 1838, თბილისი — 28. V. 1904, თბილისი.[1]

პედაგოგი, მწერალი და პუბლიცისტი. მამით ადრე დაობლებული ბავშვი დედამ გაზარდა. პირველდაწყებითი განათლება კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში მიიღო, შემდეგ კი სწავლობდა კომერციულ გიმნაზიაში, რომელიც 1854 წელს პირველ გიმნაზიას შეუერთდა. ეს გიმნაზია ყმაწვილმა 1854 წელს დაამთავრა. უსახსრობის გამო პეტერბურგში ვერ გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად და ეს მხოლოდ მოგვიანებით, 1867 წელს შეძლო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა თბილისის პირველ გიმნაზიაში დაიწყო. აქ მან 25 წელი იღვაწა ქართულის

[1] სხვა მონაცემებით 10. I. 1904.

მასწავლებლად. პირველი ლიტერატურული ნაშრომი დაბეჭდა ჟურ-ნალ „ცისკარში". აქედან დაიწყო მისი ხანგრძლივი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მან შექმნა ორიგინალური პიესები, პუბლიცისტური წერილები, მეცნიერული ხასიათის გამოკვლევები, მასვე ეკუთვნის თარგმანებიც. ფასდაუდებელია მის მიერ ფოლკლორული მასალის შეგროვება-გამომზეურება და ჩვენი კლასიკოსების თხზულებათა გამოცემები. 1874 წელს დაბეჭდა ქართული ხალხური სიტყვიერების მარგალიტები — „ლექსები სახალხო სიმღერებისაგან შედგენილი", გამოაქვეყნა „არსენას ლექსი", „ეთერიანი", „ქართული ანდაზები" და სხვ.

პეტრე უმიკაშვილი იყო ქართული ენისა და წიგნის დაუცხრომელი ქომაგი. მან ჯერ კიდევ 1864 წელს შეადგინა და გამოსცა „ქართული ანბანი" (მოგვიანებით ამ წიგნის კიდევ ორი გამოცემა გამოვიდა), „დედანი ქართული წერისა" (პირველი ანალოგიურ გამოცემათა შორის) და სხვა მრავალი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი მზრუნველობა, რომელსაც პეტრე უმიკაშვილი იჩენდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი". იგი უდიდეს ენერგიას ახმარდა რათა შეძლებული პირები ჩაება ამ საერთო ქართულ საქმეში და შეეტანათ შეწირულებანი ამ საზოგადოების ფონდში.

უმწიკვლო მოღვაწეობისათვის პეტრე უმიკაშვილი გულწრფელად უყვარდა ქართველ ხალხს.

ურჯუმელაშვილი ივანე (ვანო) გიორგის-ძე. 16. VI. 1920, ქ. გორი, — 8. VII. 1984, თბილისი.

მწერალი. გორში დაამთავრა საშუალო სკოლა და აქვე განაგრძო სწავლა პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ დაიწყო ომი და ჭაბუკი პირველი დღეებიდანვე დადგა ცეცხლის წინა ხაზზე. მისთვის ომი 1945 წელს არ დამთავრებულა. შორეულ აღმოსავლეთში გადაყვანილ საჯარისო ნაწილებში აღმოჩნდა და ჯერ იაპონელებს ებრძოდა და, საბოლოოდ კი, კორეაში მოხვდა. ამიტომ ბუნებრივია ომის თემატიკა ძალუმად იგრძნობა ვ. ურჯუმელაშვილის შემოქმედებაში, 1952 წელს „ლიტერატურულ გაზეთში" გამოქვეყნდა პირველი მოთხრობა „დღეები კორეაში". იმავე წელს გამოდის მწერლის პირველი წიგნი „მორანბონი". შემდგომ გამოქვეყნდა მოთხრობების კრებულები: „სუეოროველები", „დედაშვილობა", „უცნობი ჯარისკაცი", „თანატოლები", „არაბულა", „სამხრეთის ვარსკვლავი", „ერთ ზაფხულს", „ჭიამაია", „ფერისცვალება", „მოსკოვი ქვეყნად ერთია", „ჯვარცმა" და სხვ. ცხინვალის სახელმწიფო და თბილისის მუსკომედიის თეატრებში წლების მანძილზე წარმატებით იდგმე-

ბოდა მისი პიესები „ვახშამზე“ და „მძახალი“. მანვე თარგმნა გ. მარკოვის დიდტანიანი რომანი „ციმბირი“ და სხვა რუსი ავტორების თხზულებანი. თავად მისი ნაწარმოებები ითარგმნა რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ, კორეულ, რუმინულ ენებზე.

ვანო ურჯუმელაშვილი გამოირჩეოდა უშუალობითა და გულწრფელობით. მისი ქმნილებებისათვის უცხო იყო ყალბი პათეტიურობა და გამაღიზიანებლობა. მწერლის მადლიანი კალმით დახატული გმირებისათვის ნიშანდობლივია ადამიანობა, ვაჟკაცობა. ჩვენი ცხოვრების გულმართალი მემატიანე ვ. ურჯუმელაშვილი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი ვახტანგ ლევანის-ძე. 2. VII. 1919, თბილისი — 7. XII. 1980, თბილისი.

დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი, დაიბადა მუსიკოსების ოჯახში. მამა — ლევანი იყო კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე, კონსერვატორიის პროფესორი, ბიძები: ზაქარია — ქართული საოპერო ხელოვნების ფუძემდებელი, ივანე — გამოჩენილი დირიჟორი, პიანისტი და ორღანისტი. ასე, რომ ვახტანგის არჩევანიც ბუნებრივი იყო — საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1939 წელს, შევიდა მოსკოვის კონსერვატორიაში. აქ იგი ოსტატობას იმაღლებდა გამოჩენილი დირიჟორის ალექსანდრე გაუკის ხელმძღვანელობით. დაბრუნდა თბილისში და 1943 წელს დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია. ამის შემდეგ ახალგაზრდა ხელოვანი მიიწვიეს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც ერთხანს მთავარი დირიჟორიც იყო. მისი მუსიკალური ხელმძღვანელობით დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერები „დაისი“ და „აბესალომ და ეთერი“, პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, პუჩინის „ტოსკა“, ბიზეს „კარმენი“, ბალეტი „შოპენიანა“ და სხვ. მისივე დირიჟორობით გრამფირფიტაზე ჩაწერეს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, ვ. გოკიელის „წითელქუდა“, ს. ცინცაძის ბალეტი „ცისფერი მთის საუნჯე“. გამოჩენილმა მუსიკოსმა უდირიჟორა 50-ზე მეტ ოპერასა და ბალეტს.

ადრევე დაიწყო ვ. ფალიაშვილმა ნაყოფიერი, შემოქმედებითი მოღვაწეობა საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან, რომლის გასტროლებს დიდი წარმატება ხვდა წილად მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში და სსრ კავშირის სხვა ქალაქებში. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ვ. ფალიაშვილმა, როგორც შესანიშნავმა დირიჟორმა, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებულმა ხელოვანმა, მსოფლიო მუსიკალური კლასიკის ორიგინალურმა ინტერპრეტატორმა ამერიკის

შეერთებულ შტატებში, ინკლისში, საფრანგეთში, უნგრეთში, პოლონეთში, ეგვიპტეში გასტროლების ღროს. გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით აღრე იგი იაპონიაში ახლდა დიდი თეატრის კოლექტივს, რომლის წარმატება სამართლიანად ვაიზიარა ქართველმა ხელოვანმაც.

ვ. ფალიაშვილი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ერთხანს იყო თბილისის პირველი მუსიკალური სკოლის პედაგოგი, შემდეგ, 1944 წლიდან თბილისის კონსერვატორიის დოცენტი, პროფესორი და ბოლოს საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გამგე. ფასდაუდებელია მისი ამ დარგში მოღვაწეობა ჩვენი მუსიკალური ხელოვნების განვითარებასა და ახალგაზრდა კადრების მოამზადებაში. ამ საქმეს მან უშურველად შეალია თავისი ცოდნა, ნიჭი და ენერგია.

ტრაგიკული და ამაღლებული იყო გამოჩენილი მუსიკოსის სიკვდილი — კონსერვატორიაში, საქართველოს საგუნდო მუსიკის საიუბილეო ზეიმზე. როცა დირიჟორმა დაასრულა „აბიო მეფის“ ბოლო აკორდები, თავისი თაყვანისმცემლებისა და კოლეგების თვალწინ შეწყდა მისი ლამაზი სიცოცხლე.

ვ. ფალიაშვილის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე აღინიშნა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიით. დაჯილდოებული იყო აგრეთვე „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ფ ა ნ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი — ე ლ ე ნ ტ ი ქეთევან კონსტანტინეს ასული. 20. III. 1908, ქუთაისი — 10, XI. 1990, თბილისი.

აკადემიკოს ელადიმერ ელენტის მეუღლე. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა თერაპევტად. იყო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

ფ ა ღ ა ვ ა აკაკი ნესტორის ძე. 15. II. 1887, სოფელი ნახუნავო, სენაკის რაიონი — 27. VI. 1962, თბილისი.

საქართველოში უმაღლესი სათეატრო განათლების ფუძემდებელი, რეჟისორი. დაწყებითი განათლება მიიღო სენაკში და 1899 წელს სწავლა განაგრძო ქუთაისის ქართულ პროგიმნაზიაში. 1908 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და სიტყვიერებების განყოფილებაზე, პარალელურად სწავლობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიაში სარეჟისორო განხრით, რომლის კურსის დასრულების შემდეგ მიიღეს სამხატვრო თეატრში რეჟისორის თანაშემწედ. 1913 წელს კ. სტანისლავსკის, ა. ბენუასა და ელ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად მონაწილეობდა მოლიერის „ეკვით ავადმყოფის“, და

„ძალად დაქორწინების“ დადგმაში. მალე სამხატვრო თეატრის კოლეგიის წევრადაც შეიყვანეს.

1915 წელს ა. ფაღავა სამშობლოში დაბრუნდა და მუშაობდა. დაიწყო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. შემდეგ, რეჟისორულ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისის, ბათუმისა და თბილისის თეატრებში, მთელ ენერგიას ახმარდა მისი განვითარების საქმეს.

მართალია, ამ დროისათვის საქართველო განიცდიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს, მაგრამ ახალგაზრდა ხელოვანი არ შეუშინებია სიძნელეებს, 1920 წელს შეაგროვა დაქსაქსული მსახიობები, შეადგინა დასი, სპექტაკლების მოსამზადებლად დაბა სურამში წაიყვანა, იქიდან დაბრუნებულნი ძალით შეიჭრნენ არტისტული საზოგადოების (დღევანდელი რუსთაველის თეატრი) შენობაში და „ტარტოს“ სპექტაკლების პარალელურად შეუდგნენ ქართული წარმოდგენების გამართვას. ასე განაგრძო იმ თეატრმა არსებობა, რომელიც დღეს რუსთაველის სახელით არის ცნობილი. 1922 წელს აკაკი ფაღავამ თბილისში საფუძველი ჩაუყარა თეატრალურ სტუდიას, რომელსაც 1924 წელს თეატრალური ინსტიტუტის უფლებები მიენიჭა, ხოლო 1939 წელს შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტად გადაკეთდა. ღვაწლმოსილი რეჟისორი წლების მანძილზე იყო ამ ინსტიტუტის პრორექტორი და თეატრის ისტორიის კათედრის გამგე სიცოცხლის ბოლომდე. აღსანიშნავია ისიც, რომ ა. ფაღავამ 1924 წელს თბილისის კონსერვატორიასთან ჩამოაყალიბა საოპერო სტუდია და ხელმძღვანელობდა საოპერო კლასს. მასვე ეკუთვნის საქართველოში თეატრალური საზოგადოების დაარსების პრიორიტეტი.

ფასდაუდებელია ა. ფაღავას, როგორც რეჟისორის, თეატრმცოდნის ღვაწლი. მან ჯერ კიდევ 21 წლისამ გამოაქვეყნა ბროშურა „ქართული თეატრი“. საინტერესო ნაშრომმა ქართულ საზოგადოებაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ქართული თეატრალური ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეს, 1962 წელს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

თავდადებული და დაუღალავი შემომქმედი, დახვეწილი ინტელიგენტი, ნათელი პიროვნება — ასე დარჩება პროფესორი აკაკი ფაღავა ქართული კულტურის ისტორიაში.

ფ ა შ ა ლ ი შ ვ ი ლ ი სვიმონ (სიკო) ილიას ძე. 11. XII. 1894, სოფელი ქვემო მაჩხაანი, სიღნაღის რაიონი — 18. III. 1970, თბილისი.

მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი. დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში. უსახსრობის გამო სკოლას მალე თავი დაანება. მაგრამ განსაკუთრებულმა ბეჯითობამ და წიგნის სიყვარულმა, შეაძლებინა 1919 წელს ჩარიცხულიყო ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე.

ლიტერატურით ს. ფაშალიშვილი ჯერ კიდევ სიყმაწვილეში დაინტერესდა. პირველი ლექსი 1909 წელს დაბეჭდა „ივერიაში". მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ისეთმა ადამიანებმა როგორებიც იყვნენ აკაკი, ვაჟა, იროდიონ ევდოშვილი, შიო მღვიმელი და სხვანი. მათთან ურთიერთობა და შეხვედრები მწერალმა ცოცხლად აღწერა მოგვიანებით თავისი მოგონებების წიგნში. ამასთანავე იგი იყო აღიარებული მოქართულე და შესანიშნავი მთარგმნელი. მან ქართველ საზოგადოებრიობას გააცნო შექსპირის „ჰირვეული ცოლის მორჯულება", „მეთორმეტე ღამე", ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი", ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან", პუშკინის, ნეკრასოვის, მიცკევიჩის და სხვათა ლექსები და პიესები. მანვე თარგმნა ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალი". ქართულ სცენას ამშვენებდა მისი ორიგინალური პიესებიც „საიქიო", „თავი სიზმარში მგონია", „ჩაჩანაკი კაკანათში". ს. ფალიაშვილი კინოფილმ „ქეთო და კოტეს" სცენარის ავტორია. განსაკუთრებით საგულისხმოა მწერლის მოღვაწეობა ჟურნალ „ნიანგში". მან დიდი ამაგი დასდო ქართული იუმორისტული ლიტერატურის განვითარებას. „ფარსადანის" ფსევდონიმით გამოქვეყნებული მრავალი მისი იუმორისტული თუ სატირული ნაწარმოები დიდი პოპულარობით სარგებლობდა მკითხველებში.

ფ ე რ ა ძ ე კონსტანტინე ნოშრევანის ძე. ზემო საქარა, ზესტაფონის რაიონი — 5. XI. 1929, სადგური სვირი.

საქართველოს წყალთა მეურნეობის თანამშრომელი, ინჟინერი, ასწავლიდა თბილისის ჰიდროტექნიკუმში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი. იყო სტუდენტთა ტექნიკური სამეცნიერო წრის თავმჯდომარე, რომლის ერთერთი დამაარსებელი თვითონ იყო.

ფ ო ცხ ვ ე რ ა შ ვ ი ლ ი კონსტანტინე (კოტე) გიორგის ძე. 12. IX. 1880, სოფელი სვირი, ზესტაფონის რაიონი — 22. III. 1959, თბილისი.

კომპოზიტორი. დაწყებითი განათლება მიიღო თბილისში და გაგრძელა პეტერბურგში, სადაც მეცადინეობდა ცნობილი პედაგოგე-

ბის ხელმძღვანელობით. დაამთავრა აგრეთვე იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

კ. ფოცხვერაშვილმა შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო გასული და ახალი საუკუნეების მიჯნაზე. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს — იგი აგროვებდა, ამუშავებდა და ფართო პროპაგანდას უწევდა მის საუკეთესო ნიმუშებს. ამ მხრივ აღსანიშნავია სასიქადულო მამულიშვილის მიერ ჯერ კიდევ რევოლუციამდე ჩამოყალიბებული გუნდის საგასტროლო მოგზაურობანი პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ვარშავაში, რიგაში, ოდესაში, ხარკოვში, ბაქოში, იურიევში, ერევანში და სხვა ქალაქებში. ჩვეულებრივ ყოველი კონცერტის წინ, იგი ვამოდიოდა შესავალი სიტყვით და მაყურებელს აცნობდა ქართული მუსიკალური ხელოვნების წარსულს, მის თვითმყობადობას. როგორც კომპოზიტორი, ძირითადად მუშაობდა საგუნდო ხელოვნებისა და სიმღერის დარგში. მის „ლალეს“ და „ინდი მინდის“ ხომ სამშობლოს გარეთაც იცნობენ. კომპოზიტორი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ავტორი იყო. მართალია, იგი ვერ მოესწრო ამ შესანიშნავი სიმღერის ახალ ცხოვრებას. მაგრამ 79 წლის შემდეგ 1990 წლის 14 ნოემბერს საბჭოთა იმპერიისაგან განთავისუფლებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ დაამტკიცა რესპუბლიკის ახალი ატრიბუტიკა — ეროვნულ ჰიმნად კ. ფოცხვერაშვილის „დიდება“.

ღვაწლმოსილი ხელოვანი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. ათეული წლების მანძილზე ჩვენში არ ჩატარებულა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ღონისძიება, თუ იგი ქართული მუსიკის განვითარებას ემსახურებოდა, რომ კ. ფოცხვერაშვილს არ მიეღოს ქმედითი მონაწილეობა. აყალიბებდა გუნდებს, მხატვრული თვითმოქმედების ანსამბლებს, ხელმძღვანელობდა საგუნდო კაპელას, მეჩონგურე ქალთა ანსამბლს. საგულისხმოა, რომ მას ეკუთვნის მ. ბალანჩივაძის ოპერის „დარეჯან ცბიერის“ ლიბრეტო. მანვე თარგმნა მ. იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „ღალატის“ ლიბრეტო.

ყურადღებას იმსახურებს კომპოზიტორის წერილები და მეცნიერული ნაშრომები ქართული მუსიკის საჭირბოროტო საკითხებზე. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ მრავალმხრივი ნიჭის მქონე მოღვაწეს რამდენიმე გამოგონება აქვს ტექნიკის დარგშიც კი.

კ. ფოცხვერაშვილის თითქმის 60 წლის შემოქმედება ღირსეულად დაფასდა. მას მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება, დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით. მაგრამ მთავარი ჯილდო მაინც ის დიდი პოპულარობა და სიყვარული იყო, რომლითაც იგი ქართველ ხალხში სარგებლობდა.

ფოცხვერაშვილი — ბერიძე ნათელა კონსტანტინეს — ასული. 9. IX. 1920, თბილისი — 20. I. 1963, თბილისი.

ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი, ლოტბარი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. 1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, მაგრამ იმან, რომ იგი იზრდებოდა მუსიკალურ გარემოში და უსაზღვროდ იყო გატაცებული ხელოვნების ამ დარგით, განსაზღვრა მისი მომავალი. 13 წლის გოგონა უკვე მღეროდა მეჩონგურე ქალთა ანსამბლში, რომელსაც დედამისი, ალექსანდრა ფოცხვერაშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო 1940 წლიდან უფრო აქტიურად ამოუდგა გვერდში დედას და მოგვიანებით ამ ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი და დირექტორიც გახდა.

ამ დროისათვის მას უკვე დამთავრებული (1947 წ.) ჰქონდა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური განყოფილება პროფესორ ო. შულგინას კლასით. პარალელურად ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. იყო I მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი.

ხელოვანის პოპულარობა და ხალხის მიერ მისი სიყვარული განაპირობა იმ უბრალოებამ, ადამიანურმა მომხიბლელობამ, რაც ვლინდებოდა არა მარტო ხმატკბილი ქართული სიმღერებით, არამედ ნ. ფოცხვერაშვილ-ბერიძის მთელი თავდადებული, უანგარო მოღვაწეობით.

ფურცელაძე დიმიტრი პეტრეს ძე. 1825, სიღნაღი — 19. V. 1891, თბილისი.

მეცნიერი, ისტორიკოსი. 1849 წელს დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია და გაანაწილეს თბილისის სასულიერო სასწავლებლის უმაღლესი განყოფილების მასწავლებლად. ორი წლის შემდეგ მიანიჭეს კანდიდატის ხარისხი და გაამწესეს თბილისის სასულიერო სემინარიის პროფესორად.

1853 წელს დ. ფურცელაძე თავისი თხოვნით გაათავისუფლეს სასულიერო წოდებიდან, დანიშნეს ტიტულოვან მრჩევლად და უბოძეს მაგისტრის ხარისხი. 1860 წლიდან კავკასიისა და ამიერკავკასიის სამოქალაქო მოწყობის მოხელეა. იგი ზედამხედველობას უწევდა ეკლესიებს და სასულიერო საქმიანობას მთიან რაიონებში. მოგვიანებით შეიყვანეს მთიელთა შორის დამწერლობის შეტანის კომისიის წევრად. 1964 წლიდან მუშაობს კავკასიის მეფისნაცვალთან, სადაც დიდი მთავრის დავალებით განაგებს კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეებს. 1868 წელს დაინიშნა შტატის მრჩევლის თანამდებობაზე განსაკუთრებულ დავალება-

თა IV კლასის მოხელედ. მოგვიანებით კი კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეა. ამ თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, ინტენსიურად ჩაება მეცნიერულ საქმიანობაში.

დ. ფურცელაძის შრომებიდან აღსანიშნავია: „ქართული საეკლესიო გუჯრები", „სათავადაზნაურო გუჯრები", „საგლეხო გუჯრები", „კახეთის უმთავრესი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი", „ბოდბის მონასტრის აღწერა", „დღესასწაულნი საქართველოს ეკლესიისა", „ანდერძი ანტონ კათალიკოსისა", „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ვახტანგ მეფის სამართლის მიხედვით" და სხვ.

აღსანიშნავია, რომ დ. ფურცელაძე იყო საქართველოში საგლეხო რეფორმის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი. მისი დამსახურებაა ქართული ისტორიული საბუთების რუსულ ენაზე თარგმნა-გამოცემა. ბოლო წლებში იყო საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიისა და მოსკოვის ძველი დამწერლობის საზოგადოების წევრი. ქმედით დახმარებას უწევდა ამ დაწესებულებებს თავისი ფართო განათლებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მან დიდი ღვაწლი დასდო თავის სამშობლო-კუთხის სიღნაღის აყვავებას. კერძოდ დაუცხრომლად ზრუნავდა სკოლების ქსელის გაფართოებასა და სრულყოფაზე.

ქ ა დ ე ი შ ვ ი ლ ი — ვ ა ს ა ძ ე ანა მიხეილის ასული. 1897, ბათუმი — 1. II. 1964, თბილისი.

მსახიობ აკაკი ვასაძის მეუღლე. 1922—1930 წწ. იყო კოტე მარჯანიშვილის დასში მსახიობად, მაგრამ ადრე გაანება თავი სცენას. შემდეგ იყო დიასახლისი.

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — ა ნ თ ე ლ ა ვ ა აგრაფინა (გაგა) ივლიანეს ასული. 1898, თბილისი — 21. IX. 1972, თბილისი.

აკადემიკოს ნიკოლოზ ანთელავას მეუღლე. ქუთაისის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დასრულებისთანავე გაამწესეს მოწყალების დად. შემდეგ მუშაობდა მიხეილის, ამჟამად ქალაქის მე-5-ე საავადმყოფოში თერაპევტად. ერთხანს მეუღლესთან ერთად სოხუმში მოუხდა ცხოვრება, ხოლო 1940 წლიდან ისევ თბილისშია და მოღვაწეობდა ქალაქის საავადმყოფოში ექიმ-თერაპევტაად.

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე სერგო ივანეს ძე. 30. VIII. 1885, სოფელი ზოვრეთი, ზესტაფონის რაიონი — 17. X. 1971, თბილისი.

პროფესიონალი რევოლუციონერი. საშუალო განათლება მიიღო

ქუთაისში, შემდეგ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. რევოლუციურ მოძრაობაში ჭაბუკობიდან ჩაება, დაუკავშირდა ი. სტალინს, ა. წულუკიძეს, მ. ცხაკაიას, ა. ჯაფარიძეს და სხვ. პროკლამაციების გავრცელება, კრებებსა და მიტინგებზე გამოსვლა, კონტაქტების დამყარება ბოლშევიკურ ცენტრებთან მისთვის ყოველდღიურ საქმედ იქცა. არალეგალურ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიის დიდ ქალაქებში. 1912—1914 წლებში გაზეთ „პრავდის“ თანამშრომელია.

ს. ქავთარაძეს საქმიანობა არ გამორჩენიათ ხელისუფალთ. იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს. ბოლოს 1917 წლის დამდეგს გააციმბირეს. თებერვლის რევოლუციის შემდეგ პატიმრობიდან გაათავისუფლეს და ისევ აქტიურად ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში: იმავე წლის თებერვალში მისი რედაქტორობით გამოვიდა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი „ზაკავკაზსკი რაბოჩი“, ოქტომბერში კი კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრად აირჩიეს. უფრო ადრე მონაწილეობდა რსდმპ (ბ) VI ყრილობის მუშაობაში. 1918 წლის მაისიდან ქ. ვლადიკავკაზის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. 1920 წლის მაისში დაინიშნა რსფსრ საელჩოს მრჩეველად თბილისში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921 წლის 16 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაპატიმრებული ს. ქავთარაძე გაათავისუფლეს და ბათუმისა და მისი ოლქის რევკომის თავმჯდომარედ დანიშნეს. აქ მან გამოაჩინა საზრიანობა, პრინციპულობა და ჰუმანიზმი, რამაც დიდი როლი შეასრულა ამ მხარის მომავალი ბედის გადაწყვეტის საქმეში. შემდეგ იგი მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე: იყო საქართველოს იუსტიციის კომისარი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აღლო და შუა აღმოსავლეთის განყოფილების გამგე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში და სხვ. ს. ქავთარაძე მონაწილეობდა ისეთ დიდ საერთაშორისო ფორუმებში, როგორებიცაა: მოსკოვის, იალტის, პოტსდამის და პარიზის კონფერენციები.

ხელისუფლების მხრივ ასეთი ნდობის მიუხედავად მასაც ვერ ასცდა რეპრესიების ტალღა. არაერთხელ დაპატიმრებული, იგი სასწაულებრივად გადარჩა და ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. ს. ქავთარაძე დაჯილდოვებული იყო 3 ლენინის, 2 შრომის წითელი

დროშის ორდენებით, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პირველი ხარისხის ოქროს ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ნიკოლოზ გიორგის ძე. 30. V. 1872, თბილისი — 30. V. 1922, თბილისი.

მუსიკალური მოღვაწე. ნ. ქართველიშვილის მამამ, ცნობილმა ქველმოქმედმა და მეცენატმა, პირველმა შესანიშნავად გამოსცა ზ. ჩის მიერ ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსანი". მუსიკალური განათლება მიიღო პარიზის კონსერვატორიაში, თუმცა თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ერთხანს სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

პარიზიდან ნ. ქართველიშვილი დაბრუნდა თბილისში და მთლიანად მიეცა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. კერძოდ, თავისი ხარჯით შეადგინა ახალგაზრდობისაგან გუნდი, რომელიც კონცერტებს მართავდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში. სხვათა შორის, ამ გუნდში გამოდიოდა შემდგომში ცნობილი მომღერალი სანდრო კავსაძე. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა „ქართულ დრამატულ საზოგადოებას". აღსანიშნავია, რომ მისი დირიჟორობით დაიდგა კომპოზიტორ გოგნიაშვილის პირველი ქართული ოპერა „ქრისტინე". 1920 — 1921 წწ. იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კომისარი.

ერუდირებული ინტელიგენტი, დახვეწილი ხელოვანი და შესაშური ორგანიზატორული ნიჭის მქონე მამულიშვილი, გამოირჩეოდა საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, პატიოსნებით, მომთხოვნელობით და ქართული საოპერო ხელოვნებისადმი განუზომელი სიყვარულით, რაც ნ. ქართველიშვილს ამოძრავებდა მთელი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე.

ქ ა შ ა კ ა შ ვ ლ ი ვალერიან სარდიონის ძე. 3. V. 1898, ბაღდადი — 18. VII. 1954, თბილისი.

საოპერო მომღერალი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. 1923 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის კონსერვატორია. 1925 წელს განათლების სახალხო კომისარიატმა კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაგზავნა იტალიაში. სამი წლის მანძილზე ოსტატობას იმაღლებდა მარიო სამარკოსთან, მილანის თეატრ „ლა სკალაში". რომისა და გენუას საოპერო თეატრების სცენაზე დიდი წარმატებით გამოდიოდა ქაშელისა და თორელის ფსევდონიმით. 1928 წელს დაბრუნდა სამშობლოში. დიდს შემოქმედებით და ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა. თავ-

გამოდებით ემსახურებოდა ახალგაზრდა ქართველი ვოკალისტების აღზრდის საქმეს, ჯერ მუსიკალურ ტექნიკუმში, ხოლო შემდეგ ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

ვ. ქაშკაშვილმა თბილისის საოპერო სცენაზე შეასრულა წამყვანი პარტიები: კიაზო („დაისი"), ვალენტინი („ფაუსტი"), ტონიო („ჯამბაზები"), ამონასრო („აიდა"), რიგოლეტო („რიგოლეტო"), ტორეადორი („კარმენი") და სხვა. შესანიშნავი ხმა და სცენური მომხიბვლელობა საშუალებას აძლევდა მომღერალს ჩასწვდომოდა მსოფლიო მუსიკალური კლასიკის შედევრებს და მსმენელ-მაყურებლისათვის გადაეშალა მთელი მათი სიღრმე და სიდიადე. დიდი ქართველი ვოკალისტისა და პედაგოგის დავით ანდღულაძის აზრით ვალერიან ქაშაკაშვილის მიერ შესრულებულ „რიგოლეტოს" ბადალი არ ჰყავდა. დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლით „შრომითი მამაცობისათვის".

ქ ა ჯ ა ი ა — მ ე ლ ი ქ ს ე თ — ბ ე გ ი ვერა ალექსანდრეს ასული. 28. II. 1898, ბათუმი — 26. V. 1989, თბილისი.

პროფესორ ლ. მელიქსეთ — ბეგის მეუღლე. დაამთავრა ყარსის ქალთა გიმნაზია. შემდეგ პედაგოგობდა, იყო რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. 1926 წელს სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ეკონომისტად რესპუბლიკურ ბანკში და სხვადასხვა დაწესებულებაში.

ქ ი ქ ო ძ ე გერონტი დიმიტრის ძე. 21. VII. 1885, სოფელი ბახვი, ოზურგეთის რაიონი — 1. VIII. 1960, თბილისი.

მწერალი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი. დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და 1903 წელს გაემგზავრა ევროპაში. სწავლობდა ლაიფციგის, შემდეგ ბერნის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც 1912 წელს დაამთავრა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ევროპულ განათლებას ნაზიარები ახალგაზრდა შეუდგა ფართო პუბლიცისტურ-ლიტერატურულ მოღვაწეობას. მისი დახვეწილი გემოვნებით და უზადო ქართულით დაწერილი სტატიები და ესეები ლიტერატურის, ფილოსოფიის, ესთეტიკისა და ხელოვნების საკითხებზე, იმთავითვე ჩვენი მწერლობისა და საერთოდ ეროვნული კულტურის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. გ. ქიქოძეს არ დაუტოვებია ქართული სულიერი ცხოვრების თითქმის არცერთი სფერო, კლასიკური მწერლობის არცერთი ცოტად თუ ბევრად ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, რომელთა შესახებ საკუთარი აზრი არ გამოეთქვას. თავის ნაშრომებში ყო-

ველოვის ერთნაირად ამქღავნებს საგნის არაჩვეულებრივ ღრმა ცოდნას, ჰაცრ მომთხოვნელობას, მაგრამ არასოდეს არ არის ირონიული და გამქიაქებელი. მან კრიტიკა მხატვრულ ლიტერატურას გვერდში ამოუყენა, როგორც ტოლი და სწორი და ჭეშმარიტად მწერლობის დარგად აქცია იგი.

გერონტი ქიქოძის ძარღვიანი და ხატოვანი ქართული, მშობლიური ენის სტიქია, უზადოთაა გადმოცემული მის შესანიშნავ თარგმანებშიც, რომლებიც კლასიკურ ნიმუშებადაა მიჩნეული — „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი", ა. ფრანსის „ღმერთებს სწყურიათ", სტენდალის „იტალიური ქრონიკები", „წითელი და შავი", ო. ბალზაკის „შაგრენის ტყავი", ა. დოდეს „წერილები ჩემი წისქვილიდან", პ. მერიმეს ნოველები და პიესები, აგრეთვე საინტერესო მეცნიერული ნაშრომები: „წერილები ხელოვნებაზე", „ქართული ლიტერატურის ისტორია", „მოგონებები, სიტყვები, წერილები", „ეტიუდები და პორტრეტები" და სხვ.

გ. ქიქოძე იყო დიდი ინტელექტისა და ნატიფი გემოვნების შემოქმედი, ქართული კრიტიკული აზროვნების გამოჩენილი მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მოახმარა ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების აღორძინება-განვითარებას.

ქობულაძე სერგო სოლომონის-ძე. 7. II. 1909, ქ. ახალციხე — 22. VII. 1978, თბილისი.

მხატვარი, საზოგადო მოღვაწე, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი. დაიბადა სამხედრო პირის ოჯახში, რომელიც გურიიდან, სოფ. მაკვანეთიდან იყო და იმხანად სამსახურს გადიოდა სამხრეთ საქართველოში.

1925 წელს თბილისში დაამთავრა საშუალო სკოლა და აქვე შევიდა სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე; მისი მასწავლებლები იყვნენ გიგო გაბაშვილი, ევგენი ლანსერე და იოსებ შარლემანი. 1930 წელს, აკადემიის დამთავრებისთანავე, ნიჭიერი ახალგაზრდა ერთი წლით მიავლინეს ლენინგრადში. 1927 წელს ჯერ კიდევ სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო თბილისში გამართულ მხატვართა გამოფენაში. აქედან მოყოლებული იგი რესპუბლიკური და საკავშირო გამოფენების სისტემატური მონაწილეა. მისი ნამუშევრები წარმოდგენილი იყო საერთაშორისო გამოფენებზე ვენეციასა და ლონდონში.

1935 — 1937 წლებში ახალგაზრდა შემოქმედმა შეასრულა „ეფეზისტყაოსნის" ილუსტრაციები, რამაც მას ნახატის ერთ-ერთი წამყვანი ოსტატის სახელი დაუმკვიდრა მთელ საბჭოთა კავშირში.

ასევე მაღალმხატვრულობითა და დახვეწილი ოსტატობით დაასურათა „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, შექსპირის ტრაგედიების ორტომეული, და „მეფე ლირი“, ქართული ხალხური ზღაპრების კრებული, შალვა დადიანის „გიორგი რუსი“, პუშკინის პოემები და სხვ.

ილუსტრაციების შესრულებისას მხატვრის უმთავრესი ამოცანა ლიტერატურული ნაწარმოებისა და საერთო ხასიათის გადმოცემა იყო. თითოეული სერიისათვის იგი შესატყვის გრაფიკულ ხერხებს პოულობდა. მაგრამ მის ნამუშევრებს ახასიათებდა ისეთი ნაწარმოების შექმნის ტენდენცია, რომელშიც ხაზგასმული იქნებოდა ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალა, სილამაზე და კეთილშობილება. ს. ქობულაძის ილუსტრაციებმა მთელი ეტაპი შექმნეს ქართული წიგნის გრაფიკის განვითარების საქმეში. ხელოვანმა თავისი სიტყვა თქვა დაზგურ გრაფიკაშიც და ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაშიც.

1932 წელს ს. ქობულაძე მოიწვია კოტე მარჯანიშვილმა თავის თეატრში. ამ დროიდან მისი მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებს, მოსკოვის დიდ თეატრს. შ. ნშველიძის „ამბავი ტარიელისა“ და გრ. კილაძის „სინათლის“ გაფორმებისათვის თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში, ხელოვანს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები მიენიჭა.

ს. ქობულაძის შემოქმედების მწვერვალია მისი მონუმენტური ტილო — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ფარდა, რომელიც, საბოლოოდ 1973 წელს ხანძარმა შთანთქა. დასანანია, რომ მას აღარ დასცალდა ახალი ფარდის დამთავრება. ბოლო წლებში მხატვარი გაიტაცა მეცნიერულმა ძიებამ — იკვლევდა ქართული ხელოვნების ძეგლების პროპორციებისა და კომპოზიციური აგების პრინციპებს. კერძოდ, ამ მიზნით შეისწავლა ათენის სიონის ფრესკის კომპოზიცია და მცხეთის ჯვრის კომპოზიციური აგებულება. მანვე დააარსა ქართული კულტურის ძეგლების ფიტოფიქსაციის ლაბორატორია.

გამოჩენილი ხელოვანი თავის დიდ გამოცდილებას უშურველად უზიარებდა ახალგაზრდებს მშობლიურ სამხატვრო აკადემიაში, სადაც განაგებდა გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოს.

თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ეს ჭეშმარიტად დიდებული მამულიშვილი უანგაროდ ემსახურა ქართული ხელოვნების განვითარების საქმეს. მან თავისი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გრაფიკის, ფერწერისა და თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის დარგში. დაჯილდოვებული იყო საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, ღირ-

სეულად ატარებდა თავისი მშობლიური ქვეყნის სახალხო მხატვრის საპატიო წოდებას.

ქ ო რ ე ლ ი (ქ ო რ ი ძ ე) მიხეილ ფილიმონის-ძე. 8. XI. 1876, მილანი, იტალია — 27. V. 1949, თბილისი.

რეჟისორი. დაიბადა XIX საუკუნის ქართული მუსიკალური კულტურის ცნობილი მოღვაწის ფილიმონ ქორიძის ოჯახში; შემოქმედებითმა ატმოსფერომ იმთავითვე განსაზღვრა ნიჭიერი ახალგაზრდის მომავალი. უმაწვილი სწავლობდა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში, შემდეგ მოსკოვის ლაზარევის სახელობის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში. პარალელურად მსახიობობდა და როდესაც 1902 წელს ერუდირებული აღმოსავლეთმცოდნე სამშობლოში დაბრუნდა მას 8 წლის სასცენო გამოცდილებაც ჩამოჰყვა რუსეთიდან.

თბილისში მ. ქორელმა განაგრძო მსახიობობა, შემდეგ გადავიდა ბაქოს ქართულ თეატრში. 1910 წლიდან როგორც რეჟისორი, ხელმძღვანელობდა თეატრებს და დგამდა სპექტაკლებს ქუთაისში, თბილისში, ბათუმში, ჩიათურასა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. მანვე დიდი წარმატებით განახორციელა უ. შექსპირის „მაკბედი“, იბსენის „ნორა“, ე. ტოლერის „კაცი-მასა“, ჰ. ჰერმანსის „იმედის ფაღუპვა“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, შ. დადიანის „გუშინდელნი“ და სხვა პიესები. რეალისტი ხელოვანი თანმიმდევრულად იცავდა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის შემოქმედებითს პრინციპებს და პროპაგანდას უწევდა მათ. ნიჭიერმა მსახიობმა არაერთი დასამახსოვრებელი როლი შექმნა კინოშიც. იგი საინტერესო მოგონებების ავტორიცაა.

ღვაწლმოსილ რეჟისორსა და მსახიობს 1941 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ქ ო რ ქ ი ა როდიონ კალენიკეს-ძე. 1. I. 1894, სოფელი ჭალადიდი, ხობის რაიონი — 10. I. 1984, თბილისი.

მწერალი, ჯერ დაამთავრა ფოთის სამოქალაქო სასწავლებელი, ხოლო, 1914 წელს გიმნაზია, სადაც უმაწვილი ნიკო ნიკოლაძემ მიაბარა. რ. ქორქიას ადრევე ერგო ბედნიერება შეხვედროდა მეორე დიდ ქართველს: ჯერ კიდევ 13 წლისამ ფოთში აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოზე დიდ მგოსანს უძღვნა საკუთარი ლექსი, რისთვისაც საქართველოს პოეტთა უგვირგვინო მეფემ მადლობა გადაუხადა ყრმას და დაულოცა სამწერლო მოღვაწეობის გზა.

1914 წელს რ. ქორქია შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტში, მაგრამ მალე მობილიზაციით ჯარში გაიწვიეს, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო და სამოქალაქო ომებში. 1920 წელს დაბრუნდა სამშობ-

ლოში, ფოთში, შემდეგ თბილისში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე: იყო გაზეთ „კოლექტივიზაციისათვის“ განყოფილების გამგე, შემდეგ ჟურნალ „პიონერის“ პასუხისმგებელი მდივანი. 1949—1954 წლებში საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

მწერალმა პირველი მოთხრობა „ნილაბქვეშ“ ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ 1927 წელს დაბეჭდა. აქედან მოყოლებული, მკითხველი ხედება მწერლის ნაწარმოებს, პერიოდიკაში თუ ცალკე წიგნების სახით, მისი პიესები იდგმებოდა ჩვენი თეატრების სცენებზე.

რ. ქორქია ექვს ათეულ წელზე მეტხანს იღვწოდა და საკუთარი კვალი დატოვა ჩვენს მწერლობაში. აღსანიშნავია მისი დიდი დამსახურება ქართულ საბავშვო ლიტერატურაში. მწერლის ნაწარმოებებზე იზრდებოდა მკითხველთა თაობები. განსაკუთრებული სიყვარულით მიიღო საზოგადოებამ მისი ქმნილებანი: „მარილის აკვანში“, „ოქსანა“, „მიშა პოსოვი“, „თეთრი ხატა“, „ყელსახვევი“ და სხვ. მწერლის ბევრი ნაწარმოები თარგმნილია რუსულ და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ენებზე. თავადაც თარგმნიდა რუს მწერლებს, მაგლიათად ნ. ოსტროვსკის, ა. ტოლსტოის, ა. გაიდარს დ სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საინტერესო მონოგრაფიები აკაკი ფალავასა და ალექსანდრე წუწუნავაზე.

სამაგლიათო მოქალაქესა და მამულიშვილს რ. ქორქიას პირველს მიენიჭა შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატობა. დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

ქ ო ჩ ი ა შ ვ ი ლ ი — თ ა ბ უ კ ა შ ვ ი ლ ი ნინო ისიდორეს ასული. 17. I. 1903, სოფელი თერჯოლა — 22. IX. 1988, თბილისი.

ლიტერატორ შალვა თაბუკაშვილის მეუღლე, რეზო თაბუკაშვილის დედა. 1924 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მართალია მას არ უმუშავნია, მაგრამ, როგორც სპეციალისტი, მუდამ ეხმარებოდა მეუღლეს.

ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე აპოლონ ყარამანის ძე. 29. XII. 1899, სოფელი ივანდიდი, ხონის რაიონი — 25. VI. 1972, თბილისი.

მხატვარი, ფერმწერ-ბატალისტი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი. საშუალო განათლება თბილისში მიიღო, აქვე განაგრძო სწავლა სამხატვრო აკადემიაში, რომელიც 1926 წელს დაამთავრა. ორი წლის შემდეგ ახალგაზრდა ხელოვანი გაიგზავნა ლენინგრადში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შემდეგ გადავიდა მოსკოვში. აქ მუზეუმებში დაიწყო მუშაობა, პარალელურად ასრულებდა დაკ-

ვეთებსაც. მისი მრავალი ტილო შეიძინა მოსკოვის ვ. ი. ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, აღმოსავლეთის კულტურათა და სხვა ცნობილმა მუზეუმებმა, აგრეთვე ტრეტიაკოვის გალერეამ.

1943 წელს ა. ქუთათელაძე დაბრუნდა სამშობლოში და მეჯიდროდ დაუკავშირდა თბილისის სამხატვრო აკადემიას, რომლის რექტორიც 1959 წლიდან გარდაცვალებამდე იყო. უშუალოდ მისი თაოსნობით და ინიციატივით განხორციელდა სასწავლო პროცესების რეორგანიზაცია, შეიქმნა კერამიკის ლაბორატორია, მცხეთაში ამოქმედდა კერამიკული კომბინატი, დაიწყო სხვადასხვა პროფესიის პრაქტიკოს მხატვართა კადრების მომზადება, ჩამოყალიბდა დეკორაციულ-გამოყენებითი, ხელოვნების და თეორიულ სპეციალობათა განყოფილებები, დაარსდა აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების მუზეუმი, სოფელ ახალქალაქში საფუძველი ჩაეყარა საზაფხულო პრაქტიკის ბაზას, მოხდა სამხატვრო აკადემიის ძველი შენობის რეკონსტრუქცია, აქვე აიგო ახალი კორპუსი. ყოველივე ამით ღვაწლმოსილმა ხელოვანმა და ორგანიზატორმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მხატვრობაში. მისი რეალისტური და რომანტიკული პოეტურობით აღსავსე შემოქმედება ასახავს ჩვენი ხალხის გმირულ წარსულს.

თავის დიდი კომპოზიციებში შემოქმედი აღწევს მხოლოდ მისთვის, როგორც კომპოზიციის დიდოსტატისათვის დამახასიათებელ მონუმენტურობასა და სიდიადეს, გამოკვეთილ, ინდივიდუალურ იერს. ამასთან ა. ქუთათელაძე როგორც ადამიანი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი კეთილშობილებით, კაცთმოყვარეობით. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის, ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით.

ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე დავით ექვთიმეს ძე. 1901. ფოთი, — 30. V. 1958 წ. თბილისი.

მხატვარი, გრაფიკოსი. 1922 წელს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტში, პარალელურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდიკასა და გამომცემლობებში როგორც მხატვარი.

1924 წელს ახალგაზრდა ხელოვანი დაოსტატების მიზნით გაემგზავრა ლენინგრადში და სწავლა განაგრძო სამხატვრო აკადემიაში. აქაც ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების აქტიური თანამშრომელია.

ლენინგრადში მან თითქმის ოცი წელი დაპყო, დაოჯახდა და საბელიც მოიხვეჭა, როგორც შესანიშნავმა მხატვარმა, უპრეტენზიო

და თავმდაბალმა ინტელიგენტმა. დ. ქუთათელაძემ ცხოვრების უმ-ძიმესი დღეები გადაიტანა ბლოკირებულ ქალაქში, რის გახსენებ-საც ყოველთვის ერიდებოდა. 1942 წელს გადმოვიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო სამხატვრო აკადემიაში სასწავლო ნაწილისა და დაზგური გრაფიკის სახელოსნოს გამგედ. თავად გამოჩენილმა ხელოვანმა, ბევრ ახალბედა შემოქმედს თავისი მადლი დაანათლა და ცხოვრებაში ნათელი გზა დაულოცა.

ქ უ თ ა თ ე ლ ი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე. 29. X. 1898, ქუთაისი — 1. V. 1982, თბილისი.

მწერალი. ბავშვობა ქუთაისში გაატარა. 1908 წელს უფროსმა ძმამ ყმაწვილი თბილისში ჩამოიყვანა და მესამე კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარა. 1916 — 1918 წლებში იგი კიევის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტია. 1918 წელს დაბრუნდა თბილისში და სწავლა განაგრძო მშობლიური უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. აქ ნიჭიერმა ახალგაზრდამ გრიგოლ წერეთლის ყურადღება დაიმსახურა. გამოჩენილმა მეცნიერმა განიზრახა ა. ქუთათელი ბერძნული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით აღეზარდა. საგულისხმოა, რომ 1923 წელს ა. ქუთათელმა დაწერა ბერძნულ მითზე აგებული დრამა „ჰხრისეს გველი“, რომელიც მადლიერმა ავტორმა გრ. წერეთელს უძღვნა.

საერთოდ ლიტერატურული მოღვაწეობა ადრე დაიწყო. მისი პირველი ნაწარმოებები 1921 წელს გამოქვეყნდა ქართულ პრესაში. მას შემდეგ რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა და ცალკე წიგნებად გამოდიოდა მწერლის თხზულებანი. მისი კომედია „ნაშუალამევს“ 1928 წელს დადგა კ. მარჯანიშვილმა ა. ქუთათელი ნაყოფიერად იღვწოდა როგორც პოეზიაში ასევე პროზაში. ლექსების პირველი წიგნი 1934 წელს გამოიცა. 1958 წელს კი გამოქვეყნდა პოემა „ბედი მდევარი“, რომელშიც ასახულია გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება. მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი მთარგმნელობით საქმიანობაშიც. მან ქართველ მკითხველს გააცნო ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“, გოეთეს „ფაუსტი“, რუსი და სხვა ხალხთა პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებები.

მაგრამ მწერალს ნამდვილი აღიარება მოუტანა ოთხ ტომიანმა რომანმა „პირისპირ“, რომელსაც ავტორმა 25 წელი შეალია. იგი თარგმნილია გერმანულ, ჩეხურ, რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ და სხვა ენებზე. ა. ქუთათელი მრავალი საინტერესო მოთხრობის ავტორიცაა. მათ შორის აღსანიშნავია მწერლის უკანასკნელ წლებში შექმნილი რომანი „სათვალთვალო“, სადაც გაცოცხლებულია იმ

ადამიანთა სახეები, რომელთა გვერდითაც უხდებოდა ავტორს ცხოვრება და შოღვაწეობა.

ქართული მწერლობის წინაშე დიდი დამსახურებისათვის ა. ქუთათელი დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით, მედლებით.

ქ უ ჩ ი შ ვ ი ლ ი (ჩ ხ ე ი ძ ე) გიორგი ალექსანდრეს ძე. 17. X. 1836, სოფელი მერე, თელავის რაიონი — 20. I. 1947, თბილისი.

პოეტი. ადრე დაობლდა და ხელმოკლეობის გამო სისტემატიური განათლება არ მიუღია. 900-იან წლებში თბილისში ჩამოიყვანა დედამ და ბოტანიკურ ბაღთან არსებულ მებაღეობის სკოლაში მიაბარა. აქ ყმაწვილი გაეცნო რევოლუციურ ახალგაზრდობას და არალეგალური წრეების წევრი გახდა; მან ბუნებისაგან ნაბოძები პოეტური ნიჭი ალალად უძღვნა მშრომელ ხალხს: „მარად ჟამს მაშვრალთა ხსნაზე ეღერდა ეს ჩემი ქნარიო". ამიტომაც იყო, რომ გ. ქუჩიშვილის მრავალი ლექსი რევოლუციურად განწყობილი ქუჩაში გამოსული მასების ჰიმნად იქცა. მისი ფსევდონიმიც ბობოქარი ეპოქის ღირებულებებმა წარმოშვეს. იგი მრავალხმიანი პოეტი იყო. მან ხარკი მოუხადა როგორც სასიყვარულო, ისე პატრიოტულ ლირიკას. გაიხსენეთ მისი ლექსი საქართველოზე, რომელიც ჯერ კიდევ 1914 წელს დაწერა: „ვინც ეწვევა საქართველოს საოცნებო სერებს, სიმღერაც რომ არ იცოდეს, მაინც დაიმღერებს. ვინც მისწვდება ჩემი მთების მწვერვალებს და ღრუბლებს, ისიც მგოსნად გადიქცევა, მზესთან ისაუბრებს, საარაკო სილამაზე, ხალხი სასახელო, მტერსაც კი მოინადირებს ტურფა საქართველო".

გიორგი ქუჩიშვილს გულწრფელი მეგობრობა აკავშირებდა გალაკტიონთან. იგი იყო გალაკტიონის მიერ გამოცემული ჟურნალის რჩეული თანამშრომელი. სწორედ ამ ჟურნალის პირველსავე ნომერში 1922 წელს დაიბეჭდა პოეტის „ლექსი-ანდერძი": „ჩემს პროცესიას ამშვენებდეს გალაკტიონი, გვარად ტაბიძე და ტიტულით მეფე მგოსანი, მის ლექსთა თქმაზე ქვითინებდეს ძველი სიონი და მწუხარებით მზე სხივოსანი".

...მართლაც გავიდა დრო და 1947 წლის იანვრის დღეს მრავალრიცხოვანი პროცესია მოასვენებდა საყვარელ პოეტს დიდუბისაკენ, რომელსაც წინ მიუძღოდა გიორგი ქუჩიშვილის ანდერძის ერთგული დიდი გალაკტიონი.

ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე შალვა ქსენოფონტეს ძე. 1. VIII. 1899, ზესტაფონი — 18. V. 1955, თბილისი.

მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. დაამთავრა ქუთა-

ისის რეალური სასწავლებელი, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1918—1920 წლებში სწავლობდა გ. ჯაბადარის სტუდიაში, შემდეგ ბათუმის თეატრის მსახიობია. 1921—1928 წლებში მოღვაწეობდა რუსთაველის სახელობის თეატრში, შემდეგ გარდაცვალებამდე იყო კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი, 10 წლის მანძილზე — 1937 — 1947 წწ. ამავე თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

დიდად ნიჭიერი მსახიობის შემოქმედებითი შესაძლებლობანი სრულად გაწოვლინდა ისეთ როლებში, როგორებიცაა გოდენი (ბ. ლავრენიევის „რღვევა"), დე-სილვა (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა"); ოტელო (უ. შექსპირის „ოტელო"), კუტეზოვი (ა. სამსონოვის „ბაგრატიონი"), კრუნოვი (ა. ოსტროვსკის „უმზითვო"), მეჯღანუაშვილი (ლ. არდაზიანის „მეჯღანუაშვილი"), გოროდნიჩი (ნ. გოგოლის „რევიზორი") და მრავალი სხვა.

საინტერესო ნამუშევრები აქვს შ. ღამბაშიძეს ქართულ კინოშიც. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი სახე შექმნა ხელოვანმა ვ. ტაბლიაშვილის ფილმში „ქეთო და კოტე", სადაც განასახიერა ვაჟარ მაკარ კოტრიაშვილის როლი. არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე მის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ბეკინა სამანიშვილი („სამანიშვილის დედინაცვალი"), დავითი („დარიკო"), გრამიტონი („ჭირვეული მეზობლები") და ბევრი სხვა.

შ. ღამბაშიძის მიერ შექმნილი ყველა სახე გამოირჩეოდა ხასიათის ღრმა გაგებით, მაღალი პროფესიული ოსტატობით. იგი იყო კ. მარჯანიშვილის უერთგულესი მოწაფე და თანამებრძოლი. მსახიობი ღრმად ჩაწვდა ქართველი კაცის ბუნებას, მის კეთილშობილებას, შემწყნარებლობას, ვაჟკაცობას და შთამბეჭდავი გამომსახველობით წარმოაჩინა იგი.

გამოჩენილი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის შალვა ღამბაშიძის ღვაწლი ქართული ხელოვნების წინაშე ჯეროვნად დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო 2 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ღ ლ ო ნ ტ ი შალვა იოსების ძე. 15. X. 1912, ლანჩხუთი — 2. XI. 1970, თბილისი.

მეცნიერი-რუსთველოლოგი, პროფესორი. საშუალო განათლება ლანჩხუთში მიიღო და ადრევე დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა ყაზბეგის რაიონის სოფელ წიონის სკოლაში, მაჩხაანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, შემდეგ მოღვაწეობდა სილნაღის რაიონულ

გაზეთში. პარალელურად სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაამთავრა საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა და 1947 წლიდან ლექციებს კითხულობს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1962 წლიდან შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკია, ამავე დროს „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრია.

შ. ღლონტი, როგორც კვალიფიციური რუსთველოლოგი, 1967 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს „ვეფხისტყაოსნის" პოეტიკის საკითხებზე. ფართოდაა ცნობილი მისი სამეცნიერო შრომები და მონოგრაფიები: „ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა", „ქართველი მწერლების მხატვრული ოსტატობის თავისებურებანი", „ვეფხისტყაოსნის" ფრაზეოლოგიური ლექსიკონი და სხვ. ამის გარდა შ. ღლონტი იყო მიმდინარე ლიტერატურული პროცესების აქტიური მონაწილე — მისი საინტერესო კრიტიკული წერილები და რეცენზიები მკითხველის ცხოველ ინტერესს იწვევდა.

ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე ნიკოლოზ ბესარიონის ძე. 29. IV. 1838, ქუთაისი — 27. III. 1911, თბილისი.

პედაგოგი, პუბლიცისტი. სწავლა დაიწყო ქუთაისში, შემდეგ გადმოიყვანეს თბილისში, სადაც 1857 წელს დაამთავრა გიმნაზია, შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში აქტიურად მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებულ პატრიოტულ წრეში, აგრეთვე მეგობრობდა შემდეგში ცნობილ რუს მოღვაწეებთან: ნ. დობროლუბოვთან, ნ. პანტელეევთან (ცნობილი საზოგადო მოღვაწე და წიგნების გამომცემელი), დ. ხოროშევსკისთან (ცნობილი პედაგოგი) და სხვ.

1861 წელს წარმატებით დაამთავრა საუნივერსიტეტო კურსი და საპროფესოროდაც ამზადებდნენ, მაგრამ მშობლიური ხალხის სამსახური არჩია და საქართველოში დაბრუნდა — ისტორიას, გეოგრაფიასა და ლათინურს ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში. სამი წლის შემდეგ ისტორიკოს დ. ბაქრაძესთან ერთად დაინიშნა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად. ამავე ხანებში ეს ორი მოღვაწე სტეფანე მელიქიშვილსა და ვახტანგ თულაშვილთან ერთად თბილისში აარსებენ ქართულ სტამბას, ბეჭდავენ ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, მათვე გამოსცეს „დროება".

1868 წლიდან ნ. ღოღობერიძე მუშაობს სასამართლო სისტემაში

ჯერ თბილისში, შემდეგ ქუთაისში. აქვე აირჩიეს საადგილმამულო ბანკის მმართველად. ორი საარჩევნო ვადის შემდეგ მან დატოვა ბანკი და ჩაება მარგანეცის მოპოვება-დამუშავების საქმეში, თერთმეტი წლის მანძილზე დააგროვა დიდძალი თანხა, რასაც უშურველად აზმარდა ქართველი ერის სამსახურს. 66 ათასი მანეთი ანდერძით დაუტოვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. საგულისხმოა ერთი გარემოება — თუმცა ეკონომიკურად წელგამართულ კაცს შეეძლო ხელგაშლილად ეცხოვრა, მაგრამ მუდამ ზომიერებას იცავდა და ძალიან უფრთხილდებოდა საზოგადოებისათვის შეგულებულ თანხას.

ნ. ღოღობერიძე იყო კარგი, მრავალმხრივი პუბლიცისტი. საზოგადოება დიდი ყურადღებით და ინტერესით კითხულობდა მის სტატიებს სხვადასხვა თემაზე: ევროპულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების, ასტრონომიის, ბომბის მოშენების თუ სხვათა შესახებ.

ყ ა ნ ჩ ე ლ ი სალომე ალექსანდრეს ასული. 14. V. 1921, თბილისი — 11. XII. 1985, თბილისი.

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სანდრო ყანჩელის ოჯახში. ბავშვობიდანვე ეზიარა ხელოვნების სიყვარულს. თბილისის თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მიიწვიეს რუსთაველის სახელობის თეატრში მსახიობად. 1946—1948 წწ. მარჯანიშვილის თეატრშია, ხოლო 1948—1956 წწ. კი სოხუმის ქართული თეატრის დასში მოღვაწეობს. აქ შეასრულა მან ისეთი როლები როგორიცაა: ცაბუ (შ. დადიანის „ნაპერწკლიდან"), ესმა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი"), ძიძია (ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა"), მარანდოლინა (კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი") და სხვ.

1956 წლიდან სალომე ყანჩელი კვლავ რუსთაველის სახელობის თეატრშია, ამჯერად სიცოცხლის ბოლო დღემდე. აქ ახალი ძალით გაიელვა მისმა ხალასმა ნიჭმა, მაღალმა სცენურმა ოსტატობამ, სინატიფემ და ქალურმა მშვენებამ. მსახიობმა დიდი ოსტატობით განასახიერა მკვეთრად განსხვავებული სცენური სახეები: ივლიტე — კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა", მზეთუნახავი — გ. ნახუცრიშვილის „ჟინჭრაქა", ბაბალე — მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები", ხანუმა — ა. ცაგარელის „ხანუმა", ბერნარდა — ფ. გარსიას ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი", ნ. წულეისკირის „თუთარჩელა" და სხვ.

ს. ყანჩელი გამოირჩეოდა დიდი არტისტული ხიბლით, პლასტიკით, იუმორით, როლის არსში წვდომის საოცარი უნარით. მანვე

მეტად დასამახსოვრებელი სახეები შექმნა ქართულ კინოსა და სატელევიზიო დადგმებში.

ყ ა რ ა ლ ა შ ვ ი ლ ი კოხტა გიორგის ძე. 24. IX. 1898, თბილისი — 17. II. 1947, დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში კახეთში.

კინომსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. იგი ისევე ანაზდეულად გამოჩნდა ქართულ კინოხელოვნებაში, როგორც მისი თაობის მრავალი მსახიობი. ...რეჟისორი ა. წუწუნავა ეძებდა ერთ-ერთი ეპიზოდური როლის შემსრულებელს კინოფილმ „ხანუმასათვის". არჩევანი შეაჩერა შესანიშნავი გარეგნობის ახალგაზრდაზე. ეს იყო კოხტა ყარალაშვილი, რომელიც, როგორც გამოირკვა შორს იყო ხელოვნებისაგან. მაგრამ გამოცდილ რეჟისორს ალღომ არ უმტყუნა.

ასე მოვიდა იგი ქართულ კინოში. მისი დებიუტი წარმატებული გამოდგა და მალე ნ. შენგელაიამ ახალბედა მსახიობს შესთავაზა ქერბალაის როლი კინოსურათ „გიულიში". მართალია, დამწყებ მსახიობს არ ჰქონდა გაელილი აქტიორული სკოლა, მაგრამ ბუნებრივი ნიჭის წყალობით დასძლია ესოდენ რთული ამოცანა და მის მიერ შესრულებული როლები გულთბილად მიიღო მაყურებელმა და კრიტიკამ.

კ. ყარალაშვილმა ჰეშარიტ შემოქმედებით გამარჯვებას „ელისოში" იაღწია, სადაც განასახიერა ვაჟიას როლი. აქ უკვე სრულად გამოვლინდა მსახიობის ინდივიდუალობა, თავისთავადობა, დახვეწილი ოსტატობა და დიდი შემოქმედებითი პოტენცია. მსახიობის ღირსებას და მის პოპულარობას მოწმობს ის ფაქტი, რომ ცნობილმა სომეხმა რეჟისორმა ა. ბეკ-ნაზაროვმა ერევანში მიიწვია, რათა შეესრულებინა ერთ-ერთი წამყვანი როლი კინოფილმში „ზამალე".

გამოჩენილმა მსახიობმა მთელი ეტაპი შექმნა ქართულ კინოში. იგი ამასთანავე შესანიშნავი ადამიანური თვისებებით გამოირჩეოდა, თავმდაბლობით, უბრალოებით, უპრეტენზიობით, ვაჟკაცობით და დიდი იუმორის გრძნობით. ამიტომაც ყველას ძალზე დასწყვიტა გული მისმა ტრაგიკულმა სიკვდილმა, რაც პოეტმა ვარლამ ჟურულმა ასე გამოხატა: „დუმილს შეუკრავს შენი ბაგენი, და დაგიხუჭავს არწივის თვალი, სიკვდილო კოხტას რად მიაგენი, ნეტავი სადმე შეგშლოდა ხელი".

ყ ა რ ა შ ვ ი ლ ი ანდრია ნიკოლოზის ძე. 30. XI. 1857, თბილისი — 15. III. 1925, თბილისი.

კომპოზიტორი, პედაგოგი. სწავლობდა თბილისის პირველ გიმ-

ნაზიაში, 1873 წელს განათლების მისაღებად გაემგზავრა იტალიაში. 1877 წელს სწავლა განაგრძო კონსტანტინოპოლის სასულიერო სასწავლებელში, სადაც სხვა საგნებთან ერთად ეუფლებოდა ორღანზე დაკვრას და კომპოზიციას. 1878 წელს ჩავიდა პეტერბურგში და ჩაირიცხა კონსერვატორიის საეიოლინო კლასში. 1881 წელს იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლასთან დაკავშირებული რეაქციის დაწყების გამო დატოვა პეტერბურგი და ვარშავაში გაემგზავრა. აქ იგი შეეიდა კონსერვატორიაში და მეცადინეობდა პროფესორ ისიდორ ლოტოს კლასში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1885 წელს და იქვე დატოვეს პროფესორის ასისტენტად.

ვარშავაში დაიწყო ა. ყარაშვილის შემოქმედებითი, საშემსრულებლო და პედაგოგიური მოღვაწეობა. ამიტომაცაა, რომ მის პირველ ნაწარმოებებში იგრძნობა პოლონური მუსიკის გავლენა. ა. ყარაშვილმა დიდი ამაგი დასდო მევიოლინეთა ქართული კადრების აღზრდას. მეოცე საუკუნის დამდეგს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში დააარსა მოწაფეთა პირველი სიმებიანი კვარტეტი, რომელმაც შეასრულა კომპოზიტორის კვარტეტი „ლოთებო“, ალექსანდრე ჭაეკავაძის ტექსტზე „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“. მასვე ეკუთვნის საეიოლინო პიესები, საგუნდო სიმღერები — „პატარა მურია“, „მრავალჟამიერი“. სოფორტეპიანო პიესა „საზანდარი“ (გუნდისთვის დაამუშავა ზ. ჩხიკვაძემ, შემდეგ — ზ. ფალიაშვილმა. გავრცელდა „სამშობლოს“ სახელწოდებით). მასვე ეკუთვნის პოპულარული რომანსები: „ისევ შენ“, „დავრდომილი, სნეული“ და სხვ.

ღვაწლმოსილ კომპოზიტორსა და საზოგადო მოღვაწეს ჩაფიქრებული ჰქონდა დაეწერა ოპერა „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ არ დასცალდა — შემორჩენილია ნაწყვეტები ამ დაუმთავრებელი ოპერიდან. იგი იყო საქართველოს ფილარმონიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი.

ყ ა უ ჩ ხ ი შ ვ ი ლ ი სიმონ გიორგის ძე. 14. X. 1895, ქუთაისი — 11. V. 1981, თბილისი.

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1917 წელს დაამთავრა, დაბრუნდა სამშობლოში, სადაც ივანე ჯავახიშვილის წარდგინებით დატოვეს ახალდაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში ბერძნულ-ბიზანტიურ ფილოლოგიაში საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1927 წელს

წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

სიმონ ყაუჩიშვილის მასწავლებელი ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში იყო ცნობილი მეცნიერი გრიგოლ წერეთელი, რომელიც 1920 წელს ივანე ჯავახიშვილის მოწვევით თბილისში ჩამოვიდა და მოწაფე — მასწავლებელს შორის ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაცხოველდა, რამაც კლასიკური ფილოლოგია და ბიზანტინოლოგია ქართული კულტურის ისტორიის კვლევის სამსახურში ჩააყენა.

1920 — 1923 წლებში ს. ყაუხჩიშვილი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა საბერძნეთსა და გერმანიაში. ათენის უნივერსიტეტში იღრმავებდა ცოდნას ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში, სწავლობდა ახალ ბერძნულ ენასა და საბერძნეთის კულტურის ისტორიას; ბერლინის უნივერსიტეტში ისმენდა მსოფლიოში ცნობილი პროფესორების ლექციებს. სამშობლოში დაბრუნებული აქტიურად ჩაება სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობაში. შექმნა რამდენიმე საუნივერსიტეტო დარგი, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება ჰპოვეს. იგი 170-მდე მეცნიერული ნაშრომის ავტორია, რომლებშიც ღრმადაა გაშუქებული საბერძნეთის, ბიზანტიის ისტორიისა და ფილოლოგიის საკითხები, საერთოდ ბერძნულ სამყაროსთან საქართველოს კულტურული ურთიერთობა.

ცალკე უნდა აღინიშნოს სახელოვანი მეცნიერის ღვაწლი ქართულ ფილოლოგიაში, წყაროთმცოდნეობასა და პალეოგრაფიაში. 1932 წელს მისი ინიციატივით დაარსდა სერია „გეორგიკა“, ანუ ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ფასდაუდებელია მკვლევარის წვლილი ისეთი შონუმენტური ნაშრომის გამოცემაში, როგორიცაა „ქართლის ცხოვრების“ 3 ტომი. ჯერ კიდევ 1942 წელს სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი „ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება“. ეს იყო „ქართლის ცხოვრების“ პირველი, მეცნიერულად გამართული პუბლიკაცია, ვრცელი შესავალი წერილით და მდიდარი კრიტიკული და მეცნიერული აპარატით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ათონელების შემდეგ ქართულ-ბერძნულ ურთიერთობებს არ ჰყოლია ისეთი მაღალი კვალიფიკაციის მკვლევარი, როგორც სიმონ ყაუხჩიშვილი იყო. მის კალამს ეკუთვნის სამტომიანი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია“ და სხვა მრავალი. განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანე პეტრიწის „შრომების“ ორი ტომის გამოცემა. დიდია სიმონ ყაუხჩიშვილის ღვაწლი „არეოპაგიტიკის“ და „ბალავარიანის“ საკვანძო პრობლემების კვლევაში.

განუზომელია მისი როგორც პედაგოგის წელილი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ჩინებულმა მასწავლებელმა და გულისხმიერმა აღმზრდელმა არაერთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოუმზადა საშშობლოს, აზიარა ისინი კლასიკურ ენებსა და ანტიკური ქვეყნების ისტორიას. მისი ნათელი ხსოვნა დღესაც შარავანდედით ადგია ჩვენს ეროვნულ კულტურას.

ყ ი ფ ი ა ნ ი ედიშერ ლავრენტის ძე. 21. XI. 1924, თბილისი — 29. XII. 1972, თბილისი.

მწერალი. 1949 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. ლიტერატურაში მისი სამწერლო დებიუტი ამავე ხანებში შედგა. პირველი ნაწარმოებები გამოაქვეყნა ახალგაზრდულ გაზეთებსა და „ნიანგში". 1951 წელს ჟურნალ „დროშაში" დაიწყო მუშაობა და სამუდამოდ დაუკავშირდა ლიტერატურას. ჟურნალების ფურცლებზე აქვეყნებდა უტყუარი ნიჭით აღბეჭდილ ნარკვევებსა თუ მოთხრობებს. მისი საქმიანი თვისებები — მომთხოვნელობა, პრინციპულობა, გემოვნება — სრულად გამოვლინდა ჟურნალ „მნათობში" პასუხსაგებ თანამდებობებზე მოღვაწეობისას.

ასევე მომთხოვნი იყო ე. ყიფიანი საკუთარი თავისადმი. მის ნაწარმოებებს აჩნია ფაქიზი სულის ადამიანის, მხურვალე პატრიოტის, დახვეწილი მწერლისა და დიდი ინტელიგენტის ნიშან-თვისებები.

მკითხველმა შეიყვარა ამ უზადო ხელოვანის „მაღალი ჭერი", „ათფურცლიანი რეფულები", „გოგონა რომელსაც ზღვა უყვარს", „მწვანე ფარდა", „მეცხრე კარი" და სხვ. განსაკუთრებულად წარმოჩნდა მწერლის ოსტატობა მის ბოლო ორ რომანში — „ცაში ასროლილი ქუდები" და „წითელი ღრუბლები".

ედიშერ ყიფიანს ჰქონდა მიღებული მთავრობის ჯილდოებიც, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან დაიმსახურა უკლებლივ ყველას პატივისცემა და სიყვარული. ივი იყო ლამაზი გარეგნობის, ღრმად განსწავლული, მიმტევებელი, ზოგჯერ უაღრესად დამთმობი და ზოგჯერ ასევე პრინციპული, ზრდილი და მოსიყვარულე მამულიშვილი.

ყ ი ფ ი ა ნ ი კონსტანტინე (კოტე) დიმიტრის ძე. 3. III. 1849, თბილისი — 17. IV. 1921, თბილისი.

მსახიობი, დრამატურგი, მთარგმნელი და ლექსიკოგრაფი. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, შემდეგ პეტერბურგისა და მოსკოვის სამხატვრო აკადემიებში, რომელიც დაამთავრა 1873 წელს. მას

ცხოვრების ფართო ასპარეზი ჰქონდა გადაშლილი, მაგრამ !ესახიობისა და საზოგადო მოღვაწის მძიმე ჯაპანი არჩია. სიყმაწვილიდან სცენამ გაიტაცა. თექვსმეტი წლისამ პირველად !შეასრულა პაეის როლი მოლიერის „ცოლის შერთვევინებაში". აქედან მოყოლებული, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თეატრის სიყვარული არ განელებია, ბოლომდე დარჩა მისი ერთგული და უანგარო მსახური. რა არ იყო კოტე ყიფიანი — მოკარნახე, სცენისმოყვარე, აქტიორი, რეჟისორი, დრამატურგი. იგი გამოირჩეოდა გულწრფელობით, სცენური სიმართლით, გარდასახვის შესანიშნავი უნარით. მის მიერ შესრულებული როლების მდიდარ გალერეას ამშვენებენ ანდუყაფარი (გ. ერისთავის „გაყრა"), გიქო (გ. სუნდუკიანცის „პეპო").

აღსანიშნავია, რომ კ. ყიფიანმა პირველმა განასახიერა ქართულ სცენაზე მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის ნიმუშებიდან შეიილოკი და მეფე ლირი, აგრეთვე ანანია გლახა და სვიმონ ლეონიძე. მსახიობი თანაბრად ძლიერი იყო კომიკურ და დრამატულ როლებში. მას შეეძლო სცენაზე ყოფილიყო გიქორი და ზამბახოვი და ამავე დროს, შესანიშნავად მოერგო ფრაკი და სმოკინგი. იგი, როგორც განახლებული პროფესიული თეატრის ერთ-ერთი შესვეური არ თაკილობდა არავითარ შავ სამუშაოს, იყო სახალხო თეატრის პირველი რეჟისორი და მსახიობი. კ. ყიფიანს ეკუთვნის თეორიული ხასიათის ნაშრომები თეატრსა და მსახიობის ოსტატობაზე. მან მწერლობაშიაც გამოიჩინა თავი. იგი საინტერესოდ დაწერილი რამდენიმე მოთხრობისა და ნარკვევის ავტორია. კ. ყიფიანის კალამს ეკუთვნის პიესები: „ბედი ქართლისა". „ორი მამა", „ცოტნე დადიანი", „ბრძოლა", „დატრიალდა ჯარა". წერდა რუსულადაც: „ომი ოჯახში", „გამარჯვება", „საიდუმლოება". ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. უპირატესად თარგმნიდა მხატვრულ და პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურას, შეადგინა რუსულ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი, რაც ჩვენი ეროვნული ლექსიკოგრაფიის ძვირფასი შენაძენია.

ყ ი ფ ი ა ნ ი მიხეილ ზაალის ძე. 12. IV. 1833, სოფელი ვახანი, ხარაგოულის რაიონი — 2. III. 1891, ვლადიკავკაზი.

პუბლიცისტი, მთარგმნელი, პედაგოგი. პირველდაწყებითი განათლება მიიღო გორის სამაზრო სასწავლებელში. შემდეგ დაამთავრა კავკასიის სამეჯნე სკოლა თბილისში და დაიწყო მუშაობა ტოპოგრაფად. პარალელურად აქვე ასწავლიდა საკვირაო სკოლის ქართველ მოსწავლეებს, შეადგინა არითმეტიკისა და გეომეტრიის სახელმძღვანელოები. მ. ყიფიანი ეწეოდა მეტად მრავალფეროვან და

ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას: სხვებთან ერთად შექმნა ქართული შრიფტი (ეგრეთ წოდებული „ვენური"), რომლითაც იბეჭდებოდა „ივერია", თარგმნა ლერმონტოვის, შექსპირის და სხვათა ნაწარმოებები; იყო „ქართული დრამატული საზოგადოების" ერთ-ერთი დამფუძნებელი; მონაწილეობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსებასა და მის საქმიანობაში; გახსნა ქართული სკოლები სტეფანწმინდასა და ვლადიკავკაზში. ასეთი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა მ. ყიფიანს არც მაშინ შეუწყვეტია, როცა სამსახურის გამო ვლადიკავკაზში გადავიდა საცხოვრებლად. მისი თაოსნობით დაარსდა „თეგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საქველმოქმედო საზოგადოება", რომლის პირველი თავმჯდომარეც თვითონ იყო, მან ჩაუყარა საფუძველი ოსეთში საგამომცემლო და საბიბლიოთეკო საქმეს, მისი თაოსნობით გამოიცა „ოსური ანბანი"და სხვ. ამიტომაც მისი გარდაცვალება ერთნაირად განიცადეს როგორც ქართველმა, ისე ოსმა საზოგადოებრიობამ.

მიხეილ ყიფიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ წერილში გაზეთ „ივერიის" კორესპონდენტი 1891 წლის 10 მარტის ნომერში გადმოგვცემდა: ...სიკვდილის მეორე-მესამე დღეს ცალ-ცალკე გადაუხადეს პანაშვიდი რუსებმა, სომხებმა, ოსებმა. 4 მარტს დაიკეტა დუქნები და მაღაზიები და ყველამ სადგურს მიაშურა... დიდი გრძნობით წარმოსთქვა ლექსი ჯერ ოსურად და შემდეგ მეორე ლექსი რუსულად ბ-ნმა კ. ხეთაგუროვმა... დამსწრე ოსნი ამ ლექსის წარმოთქმის დროს სმენად გადაიქცნენ, ცდილობდნენ გაეგონათ თვითოეული სიტყვა ლექსისა, რომელმაც ისე ძლიერ იმოქმედა, რომ ძათ შორის თვით გულ-მაგრებმაც კი ვერ შეიკავეს თავი". შემდეგ გაზეთში დაბეჭდილია რუსული ლექსის სრული ტექსტი.

ყ ი ფ შ ი ძ ე (ფ რ ო ნ ე ლ ი) ალექსანდრე თევდორეს ძე. 13. I. 1862, სოფელი წვერი, ახლანდელი ქარელის რაიონი — 29. VI. 1916. თბილისი.

მწერალი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1878 წელს დაამთავრა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარია. სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1888 წელს და დაბრუნდა სამშობლოში.

მასწავლებლობისათვის განწყობილი ახალგაზრდა სპეციალისტის ენთუზიაზმი ერთბაშად დააცხრო კავკასიის მაშინდელი სწავლა-განათლების მზრუნველმა იანოვსკიმ — „ტუზემცისათვის" ადგილი არა

ვალ ქვსო. ამიტომ იგი იძულებული გახდა ჩამოშორებოდა საყვარელ სპეციალობას. თუმცა თავისი პრაქტიკულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობით, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით, კალმითა და სიტყვით გატაცებით ემსახურებოდა ხალხის განათლებისა და სკოლების ქსელის გაფართოების საქმეს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი საქმიანობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში". 900-ანი წლების დასაწყისიდან იგი დიდი მზუნველობით ხელმძღვანელობდა ამ საზოგადოების მიერ ახალციხეში გახსნილ ქართულ სკოლას.

1905—1906 წლებში ა. ყიფშიძე დაინიშნა ქუთაისის გუბერნატორ სტაროსელსკის თანაშემწედ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქუთაისს „ეწვია" გენერალ ალიხანოვის დამსჯელი რაზმი, ეს ორივე პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი ჟანდარმთა თანხლებით გენერალმა თბილისში გამოისტუმრა, ხოლო ალექსანდრე მეტეხის ციხეში ჩასვეს.

1906 წლიდან დაუღალავი მოღვაწე თბილისის სათავადაზნაურო საკრებულოსთან არსებულ საადგილმამულო კომისიის მმართველია და ძალ-ღონეს არ იშურებს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამავე დროს გაზეთ „საქართველოს" ერთ-ერთი დამაარსებელი და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობის წევრია.

ა. ყიფშიძე იკვლევდა XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართველი ხალხის ანტიკოლონიური ბრძოლის ისტორიის საკითხებს, ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობასაც.

ყ ი ფ შ ი ძ ე დავით ალექსის ძე. 19. X. 1890, სოფელი სკანდე, თერჯოლის რაიონი — 16. V. 1919, სოფელი სიმონეთი, თერჯოლის რაიონი.

ფილოლოგი, ისტორიკოსი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. აქ იგი აქტიურად ჩაება უნივერსიტეტში არსებულ ქართველოლოგიური წრის მუშაობაში, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა.

1916 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის ქართულ-სომხური განყოფილება. სტუდენტობიდანვე ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას ნ. მარის ხელმძღვანელობით. ისტორიული საკითხებით ახალგაზრდა მკვლევარის დაინტერესება იმით გამოიხატა, რომ გამოაქვეყნა მრავალი სტატია დიდ ენციკლოპედიაში, სწავლობდა კლდეში ნაკვეთ ქალაქებს — ვარძიასა და უფლისციხეს, აგრეთვე სომხეთის ძველ

დედაქალაქს ანისს, ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ცაგერის რაიონის სოფელ მურში.

დავით ყიფშიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია ძველი ქართული მწერლობის ძეგლების „პროსორეს ცხოვრების“, „წმინდა ლუკასა და ნიკოლოზ დვალის მარტვილობის“, შესწავლა და გამოცემა, მასვე ეკუთვნის XVII საუკუნის ქართველ პოეტზე ფეშანგი ხითარიშვილზე (ფაშვიბერტყაძე) ფილოლოგიური გამოკვლევა. 1918 წელს იგი მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტში, სადაც გარდაცვალებამდე კითხულობდა სომხური ენის კურსს.

დიდი იმედების მომცემი მეცნიერი სამწუხაროდ სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა და მრავალი ჩანაფიქრის განხორციელება, ბუნებრივია, არ დასცალდა.

ყ ი ფ შ ი ძ ე იოსებ ალექსის ძე. 25. VIII. 1882, სოფელი რგანი, ჭიათურის რაიონი — 21. II. 1919, თბილისი.

ენათმეცნიერი, ფილოლოგი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1898 წელს წარჩინებით დამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ ხუთი წელი სწავლობდა სასულიერო სემინარიაში. 1906 წელს გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი. აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც დედაქალაქიდან გააძევეს. ერთი წლის შემდეგ, ნ. მარის დახმარებით გადავიდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე და ინტენსიურად შეუდგა ქართველური ენების შესწავლას, მონაწილეობდა სხვადასხვა ექსპედიციებში. 1914 წელს გამოაქვეყნა 600 გვერდიანი „მეგრული ენის გრამატიკა“ თავისი ტექსტებით და მეგრულ-რუსული ლექსიკონით. ეს იყო უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა ქართველოლოგიაში, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის თავკაცობამ მართებულად წარადგინა ქართული ფილოლოგიის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მისმა ოფიციალურმა ოპონენტმა ნიკო მარმა აღნიშნა, რომ ნაშრომი არათუ მაგისტრის, არამედ დოქტორის ხარისხსაც იმსახურებდა. ამ გამოკვლევით ახალგაზრდა მეცნიერი 1915 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი გახდა.

იოსეპ ყიფშიძე პეტერბურგში 1917 წლამდე მოღვაწეობდა. ამ ხნის განმავლობაში შეადგინა და 1918 წელს გამოსცა „ძველი ქართული ქრესტომათია“. ჯერ კიდევ 1911 წელს გამოქვეყნდა მისი „ქართული ენის გრამატიკა“ და სხვა მნიშვნელოვანი ნაშრომები.

მართალია, იოსებ ყიფშიძემ ახალგაზრდობის წლები პეტერბურგში გაატარა, მაგრამ მშობლიურ ხალხთან მჭიდრო კავშირი არასო-

დეს გაუწყვეტია. იგი თავდადებით ემსახურებოდა ყოველ ჭეშმარიტად ქართულ კეთილშობილურ წამოწყებას. 1914 წლიდან არჩეულ იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრად, სისტემატურად კითხულობდა ლექცია-მოხსენებებს, მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე. აქვე ჩაება ივანე ჯავახიშვილთან და აკაკი შანიძესთან ერთად ქართული უნივერსიტეტის დაარსების საშვილიშვილო საქმეში. ამ დიდი ღვაწლის და მისი მეცნიერული ავტორიტეტის აღიარება იყო ის, რომ სრულიად ახალგაზრდა კაცი გახდა უნივერსიტეტის პროფესორთა პირველი შვიდკაციანი კოლეგიის, მისი სამეცნიერო საბჭოს პირველი სწავლული მდივანი, ერთადერთი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის (ივანე ჯავახიშვილის) მოადგილე, ქართული ენის კათედრის გამგე. არც ის იყო ალბათ შემთხვევითი, რომ თბილისის უნივერსიტეტის საზეიმო გახსნაზე 1918 წლის იანვარში, სწორედ ი. ყიფშიძეს ხვდა წილად პატივი წაეკითხა მოხსენება „ქართული უნივერსიტეტის დაარსების მოკლე ისტორიული მიმოხილვა“.

სამწუხაროდ, ამის შემდეგ სულ ერთი წელი იცოცხლა ამ უაღრესად ნიჭიერმა და შრომისმოყვარე მეცნიერმა. მისი სახით საქართველომ დაკარგა დიდი მამულიშვილი.

ყ უ შ ი ტ ა შ ვ ი ლ ი ვასილ პავლეს-ძე. 25. IV. 1894, თბილისი — 16. I. 1962, სოხუმი.

რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. სწავლობდა თბილისის პირველ გიმნაზიაში, აქვე ეზიარა თეატრს სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. 1913 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. პარალელურად სწავლობდა ვ. კომისარჟევსკაიას სახელობის დრამატულ სტუდიაში, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ თ. თ. კომისარჟევსკი, ვ. გ. სახნოვსკი, ვ. ხ. მასალიტინოვა და სხვ. მოგვიანებით ახალგაზრდა ხელოვანი პეტროგრადში ხელმძღვანელობდა წითელი არმიის თვითმოქმედ თეატრს, დგამდა სპექტაკლებს.

1918 წელს ვ. ყუშიტაშვილი თბილისშია. აქ შედგა მისი დებიუტი ქართულ პროფესიულ სცენაზე. ოპერის თეატრში განახორციელა სოფოკლეს ტრაგედია „ანტიგონე“. 1919—1933 წ.წ. მოღვაწეობდა საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. იყო ანტუანის თეატრის რეჟისორი. 1921 წელს შ. დიულენთან ერთად საფუძველი ჩაუყარა სახელგანთქმულ ფრანგულ თეატრს „ატელიეს“. აქ მან დადგა გოლდონის „მარაო“, აშის „შურისძიების ღმერთი“, მოლიერის „ჟორჟ დანდენი“, არისტოფანეს „ფრინველები“ და

სხვ. საფრანგეთის თეატრალური საზოგადოება და კრიტიკა მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი რეჟისორის ნამუშევრებს.

„ატელიეში“ მოღვაწეობასთან ერთად ვასო ყუშიტაშვილი სპექტაკლებს დგამს პარიზის ცნობილ თეატრებში—„ოდეონი“, „პორტ სენ მარტენი“, „ელისეს მინდვრების თეატრი“. ნიუ-იორკში განახორციელა ოფენბახის „დიდი ჰერცოგინია“, ჟან ლარიკის „ქალწული საფრანგეთიდან“, ნიუ-ორლეანში ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“. სამშობლოში 1933 წელს დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, სადაც 25 წელი დაჰყო. აქ დიდი წარმატებით დადგა ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი“, გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა“, მ. მრევლიშვილის „ზვავი“, ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“ და სხვა მრავალი. პარალელურად იგი ხელმძღვანელობდა თეატრებს ზუგდიდში, გორში, ქუთაისში.

გამოჩენილი რეჟისორისა და ხელოვანის, ღრმად განათლებული, დახვეწილი ინტელიგენტის ვ. ყუშიტაშვილის სპექტაკლები გამოირჩეოდა დიდი პროფესიონალური კულტურით, მაღალი გემოვნებით, ორიგინალური რეჟისორული ინტერპრეტაციით და შინაგანი დინამიურობით, ყოველივე ეს კი მაყურებელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. მისი დიდი ღვაწლი აღინიშნა შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით.

შ ა ვ გ უ ლ ი ძ ე გიორგი ვლადიმერის ძე. 6. XI. 1910, ქუთაისი — 13. IV. 1959, თბილისი.

თეატრისა და კინოს მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. ქუთაისში დაამთავრა მეორე ჰუმანიტარული ტექნიკუმი. იმხანად იქ დამკვიდრებულმა კ. მარჯანიშვილის თეატრმა დაიწყო სცენისათვის ახალგაზრდა კადრების შერჩევა. ამ მიზნით დიდმა რეჟისორმა დააარსა ეგრეთწოდებული „ექსპერიმენტული სტუდია“. სწორედ აქ მისცეს სრულიად ახალგაზრდა გ. შავგულიძეს ორსიტყვიანი როლი შ. დადიანის „კაკალ გულში“; ამას მოჰყვა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ და მოხუცი რაბინი „ურიელ აკოსტაში“. ყველამ დაინახა, რომ თეატრს შეემატა ხალასი ნიჭი, რომელიც სწრაფად იფურჩქნებოდა. შესანიშნავი ხელოვანის ყოველი გამოჩენა სცენაზე ზეიმად აქცევდა წარმოდგენას და მაყურებელს უდიდეს სიამოვნებას განაცდევინებდა მისი აქტიორული მომხიბვლელობა და უშუალობა.

სამი ათეული წელი კიაფობდა გ. შავგულიძის მგზნებარე შემოქმედება ქართულ სცენაზე. მსახიობის შესრულებული როლები, როგორიცაა იულიუსი („ანტონიოს და კლეოპატრა“), ნიკიფორე („მისი ვარსკვლავი“), აბესალომი („ირინეს ბედნიერება“), საათნოვა („მეფე ერეკლე“), ჰუონდიდელი („დავით აღმაშენებელი“), ხარიტონი

(„კოლმეურნის ქორწინება“) და სხვა ქართული აქტიორული სკოლის უმნიშვნელოვანესი მიღწევებია და შესულია ჩვენი თეატრის ოქროს ფონდში. 1952 წელს მიენიჭა სსრ კავშირის პრემიის ლაურეატობა ნიკიფორეს როლის შესრულებისათვის ილო მოსაშვილის პიესაში „მისი ეარსკვლავი“.

დაუვიწყარი სახეები შექმნა გიორგი შავგულიძემ ქართულ კინოში: დავით გურამიშვილი („დავით გურამიშვილი“), ნიკო („ქეთო და კოტე“), ნოდარი („გიორგი საკაძე“), ერემია („ბედნიერი შეხვედრა“), რაშიტი („გაზაფხული საკენში“) და სხვ.

ქართველი ხალხის მეხსიერებაში იგი დარჩა როგორც უსაყვარლესი, ეანუმეორებელი ფენომენი, ეაუკაცობის, რაინდობისა და სილალის განსახიერება.

შ ა ვ ი შ ვ ი ლ ი მიხეილ კალისტრატეს ძე. 2. IX. 1894, ოზურგეთი — 5. X. 1958, თბილისი.

არქიტექტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. საშუალო განათლება მშობლიურ ქალაქში მიიღო და შეეიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის გამო ვერ დაამთავრა — 1916 წელს არმიაში გაიწვიეს. 1922 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის არქიტექტურის სპეციალობით. აღსანიშნავია, რომ მ. შაეიშვილი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც არქიტექტურული განათლება საქართველოში მიიღო.

1931 წელს ახალგაზრდა, ნიჭიერი ხელოვანი მიიწვიეს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც კითხულობდა სპეცკურსებს, ხოლო 1951—1955 წლებში განაგებდა არქიტექტურის კათედრას.

1932 წლიდან მ. შაეიშვილი მუშაობას იწყებს საპროექტო დაწესებულებებში, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე განაგებდა არქიტექტურულ სახელოსნოებს. იგი 80-მდე პროექტის ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია: სპეციალისტთა საცხოვრებელი სახლები საბურთალოზე, ავტოქარხნის მუშათა საცხოვრებელი რაიონი ქუთაისში, შამპანკომბინატის ნაგებობათა კომპლექსი თბილისში, ადმინისტრაციული სახლი ცხინვალში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსი ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე, სამედიცინო ინსტიტუტის და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კორპუსი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გორში, ლ. მეს-

ხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი ქუთაისში და სხვა მრავალი. მისმა არაერთმა პროექტმა გაიმარჯვა საკავშირო თუ რეს-პუბლიკურ კონკურსებში.

აღსანიშნავია მ. შავიშვილის პატრიოტული ღვაწლი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ექსპედიციების საქმიანობაში — მან აზომა არა ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი. იგი იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი, 1945—1947 წლებში მისი თავმჯდომარე, გამგეობის წევრი. ნიჭიერი და გამოცდილი ხუროთმოძღვარი მონაწილეობდა არქიტექტორთა საკავშირო თუ საერთაშორისო ფორუმებში. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი სანდრო ილიას ძე. 12. VII. 1888, სოფელი ჯუგაანი, სიღნაღის რაიონი — 28. X. 1979, თბილისი.

მწერალი, დრამატურგი. 1908 წელს დაამთავრა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია. შემდეგ გაემგზავრა ევროპაში, სწავლობდა ციურიხში, ბერნში, ბერლინში, ხოლო 1914 წელს დაამთავრა ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და დაბრუნდა სამშობლოში.

პირველი ნაბიჯები მწერლობაში ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გადადგა. გიმნაზიაში გამოსცა და რედაქტორობდა ჟურნალ „ჩანგს", რის გამოც დააპატიმრეს და სამი თვე მეტეხის ციხეში ამყოფეს. პირველი ლექსი გამოაქვეყნა გაზეთ „ისარში" 1906 წელს, ხოლო პირველი პოეტური კრებული „სევდის ბალი" 1909 წელს. აქედან მოყოლებული აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ საქმიანობაში და სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 1914 წელს გამოსცა გაზეთი „საქართველო", 1917 წელს ჟურნალი „მერანი".

ს. შანშიაშვილმა თავის დროზე ხარკი მოუხადა სიმბოლიზმს და საერთოდ მოდერნიზმს, მაგრამ ძირითადად იდგა რეალისტური ლიტერატურის ნიადაგზე, რომელშიც ძალუმად იგრძნობოდა ხალხურობის ნაკადი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ს. შანშიაშვილი — დრამატურგის შემოქმედება. იგი ოთხი ათეული წლის მანძილზე მხარში ედგა ქართულ თეატრს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა რუსთაველის თეატრში, რომელთანაც დრამატურგმა ეს კავშირი ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე დაამყარა, როდესაც მის სცენაზე დაიდგა ს. შანშიაშვილის ორი პიესა — „უგვირგვინო მეფენი" და „ბერდო ზმანია". სწორედ ამ უკანასკნელი სპექტაკლის დადგმით დაიწყო ტრიუმფალური სვლა სანდრო ახმეტელმა.

ს. შანშიაშვილის კალამს ეკუთვნის 30-მდე სხვადასხვა ჟანრის დრამატული ნაწარმოები, მათ შორის: „სპარტაკი“, „ჰერეთის გმირები“, „როდამ“, „ანზორი“ (გადმოკეთებული ეს. ივანოვის „ჯავშნოსანი 14—69“-დან), „სამნი“, „არსენა“, „ფოლადაური“, „გიორგი საკაძე“, „კრწანისის გმირები“, და სხვ. მასვე ეკუთვნის ზ. ფალიაშვილის ოპერის „ლაკადარასა“ და დ. არაყიშვილის ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ლიბრეტო. აღსანიშნავია აგრეთვე მწერლის მთარგმნელობითი საქმიანობა. მან გაამდიდრა ჩვენი თეატრი კლასიკური რეპერტუარით, მაგალითად შილერის, გოგოლის და სხვათა ნაწარმოებებით. ამიტომ ბუნებრივი იყო ისიც, რომ ღვაწლმოსილ შემოქმედს ქართველი ხალხი სწორედ რუსთაველის თეატრში ვამოემშვიდობა.

ჩვენი საზოგადოებისა და კულტურის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ს. შანშიაშვილს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, იყო სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი.

შ ა რ ლ ე მ ა ნ ი იოსებ ადოლფის ძე. 6. IV. 1880, პეტერბურგი — 31. XII. 1957, თბილისი.

მხატვარ-გრაფიკოსი, ფერმწერი, სცენოგრაფი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. მამამისი იყო ცნობილი მხატვარი. მშობლის გენი შვილსაც გადაეცა და მანაც სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ხელოვანმა ერთხანს იმოგზაურა უცხოეთში, გაიღრმავა ცოდნა, დახვეწა ოსტატობა და მიეცა შემოქმედებით მუშაობას.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ი. შარლემანი ჩამოვიდა საქართველოში. აქაური ბუნებით და ისტორიული წარსულით მოხიბლულმა გადაწყვიტა სამუდამოდ დარჩენა და მთელი ენერგიით ჩაერთო შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და გარდაცვალებამდე მისი უცვლელი პროფესორი. მასვე ერგო პატივი ჩამოეყალიბებინა გრაფიკის კათედრა და აღეზარდა ხელოვნების ამ დარგის მთელი თაობები. ამასთანავე ი. შარლემანი წიგნის მხატვრული გაფორმების ერთ-ერთი ფუძემდებელი და აღიარებული ოსტატია ჩვენში. მის მიერ გაფორმებული ა. ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“, ვ. ბარნოვის „გიორგი საკაძე“, ნ. ბარათაშვილის ერთტომეული და სხვა, აგრეთვე დაზგური სურათები ჩვენი კულტურის თვალსაჩინო შენაძენია.

საყურადღებო ნამუშევრები დაგვიტოვა ხელოვანმა თეატრალური მხატვრობის დარგშიც. განსაკუთრებით საგულისხმოა მხატვრის მიერ ძველი თბილისის ყოფისა და კულტურის ამსახველი უზადოდ შესრულებული შედევრები. აღსანიშნავია აგრეთვე ი. შარლემანის ღვაწლი პედაგოგიურ ასპარეზზე. მხატვართა მრავალი ნიჭიერი თაობა აღუზარდა საქართველოს და ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს დიდი მოღვაწის ამაგს.

შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი გიორგი ივანეს ძე. 1. IV. 1910, თბილისი. — 19. IV. 1965, თბილისი.

მწერალი. სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1932 წელს დაამთავრა. პირველი ლექსები ჯერ კიდევ მოწაფეობისას გამოაქვეყნა, ხოლო 1933 წელს გამოსცა პოეტური კრებული. მან მწერლობის თითქმის ყველა ჟანრში სცადა კალამი — ლექსი, პოემა, მოთხრობა, პიესა, ნარკვევი, თარგმანი. მისი პირველი დრამატული თხზულებით დაინტერესდა სანდრო ახმეტელი და დადგა კიდეც რუსთაველის თეატრში — „დეშმანი“. მწერლის სხვა პიესები არაერთხელ დაიდგა მარჯანიშვილისა და რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრების სცენებზე.

გ. შატბერაშვილის ჟანრულ მრავალფეროვნებას მაინც არ გაუნელებია ლექსისადმი სიყვარული. მისი პოეზია ბოლომდე დარჩა ხალასი და ეაქაკური. მასში ძალუმად იგრძნობა ხალხური პოეზიის ინტონაციები, რომლის საუკეთესო მცოდნე თავად გახლდათ. სათქმელის გამოსახატავად იგი პოემასაც მიმართავდა. მაგალითად, სამოციანი წლების დამდეგს, მან დაწერა ლირიკული პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკები“.

მაგრამ, მისი მწერლური ნიჭი ყველაზე მეტად გამოვლინდა პროზაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია „მკვდრის მზე“, რომელიც მწერლის შემოქმედების გვირგვინია და გამორჩეულია მთელი 50-ანი წლების ქართულ ბელეტრისტიკაში. კარგად თქვა მწერალმა ნიკა ბგიაშვილმა: „გავა ღრო და ჩვენი მწერლობის ჭირნახულიდან მავანი მთიბავი ხელის აუკანკალებლად გამომარგლის სარეველა ბალახპულახს, ხოლო გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზეს“ ხელსაც ვერ მიაკარებს“. ამ ნაწარმოებში სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემები მეტად თავისებურად, ორიგინალური ოსტატობითაა გააზრებული და ღირსეულად აზიდა თავისი საჯილდაო ქვა.

გ. შატბერაშვილი ქართული სიტყვის ნამდვილი მოჭირნახულე იყო. 30-ან წლებში იგი იძულებული შეიქმნა თბილისიდან წასულიყო თავის მშობლიურ კავთისხევში სკოლის მასწავლებლად. აქ

იგი დადიოდა ახლომახლო სოფლებში და აგროვებდა ცოცხალი სასაუბრო ენის ნიმუშებს, რომლებიც დაუბეჭდა წიგნში „თვალადური ქართულის ჭაშნიკები". მას ეკუთვნის აგრეთვე ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და ესეები, მემუარული ფრაგმენტები, ფოლკლორული გამოკვლევები, ფილოლოგიური ძიებანი და სხვ.

დიდების საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მწერლის განსასვენებელი თითქოს უბრალოა, და იგი მართლაც არც გამოირჩევა სხვებისაგან. მაგრამ მის საფლავზე დევს ის საჯილდაო ქვა, რომელიც მან თავისი შეგნებული ცხოვრებითა და შემოქმედებითი ძალით მაღლა ასწია, გააცისკროვნა, რითაც საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მწერლობაში.

შ ა შ ი კ ა შ ვ ი ლ ი ნევრესტან რეჯების ასული. 24. IV. 1901, სოფელი ქედქედი, ხელვაჩაურის რაიონი — 9. IV. 1976, თბილისი.

ექიმი და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საშუალო განათლება ბათუმში მიიღო და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1931—1938 წლებში მუშაობდა მშობლიური ქალაქის მთავარი საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების ორდინატორად. 1938 წელს გადაიყვანეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის კომისარიატში, ჯერ მინისტრის პირველ მოადგილედ, შემდეგ დააწინაურეს მინისტრად. 1948 წლიდან ნ. შაშიკაშვილი თბილისშია, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განყოფილების უფროსად. ამავე დროს იგი სამედიცინო ინსტიტუტის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის ასისტენტია. შემდეგ აირჩიეს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის დოცენტად, ხოლო მოგვიანებით პროფესორად და ამავე კათედრის გამგედ, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იღვწოდა. შეთავსებით მუშაობდა ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს უფროსად.

ნ. შაშიკაშვილმა ღრმად შეისწავლა და მეცნიერულად დაამუშავა საქართველოში ჯანდაცვის ორგანიზაციის საქმე და სამედიცინო მომსახურების ძირითადი ფორმები XIX საუკუნეში. მის კალამს ეკუთვნის 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის შვიდი მონოგრაფია. ღვაწლმოსილი სწავლულის ხელმძღვანელობით დამუშავებული და დაცულია რამდენიმე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. იგი დაჯილდოვებული იყო წითელი ვარსკვლავის,

შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

შ ე ნ გ ე ლ ა ი ა გორა დემნას ძე. 1936 — 4. VIII. 1947, თბილისი.

მწერალ დემნა შენგელაიას ვაჟიშვილი.

შ ე ნ გ ე ლ ა ი ა დემნა კონსტანტინეს ძე. 21. V. 1894, სოფელი საჭილაო, სამტრედიის რაიონი — 7. XII. 1980, თბილისი.

მწერალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1917 წელს დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. მოგვიანებით დაასრულა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტი. ლიტერატურული მოღვაწეობა სიჭაბუკეში დაიწყო. მისი პირველი მოთხრობა „ნირვანა“ 1915 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „თემში“. ჭეშმარიტად ახალი სიტყვა იყო ჩვენს ლიტერატურაში მწერლის რომანი „სანავარდო“. ქართული რომანის ამ ახალმა სახეობამ, ფუძემდებლური როლი შეასრულა ჩვენი ეროვნული მწერლობის ისტორიაში.

ოციანი წლების შეორე ნახევარში დ. შენგელაიამ შექმნა ნოველები და მოთხრობები: „ჯაც“, „გურამ ბარამანდია“, „პატარა დედაკაცი“, და სხვები. მათში, ისევე როგორც „სანავარდოში“, ერთმანეთს ერწყმის მითოსი, ფანტასტიკა, რეალობა და მძაფრი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკა. მწერლის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ოციანი წლების დამლევს შექმნილ რომანს „ბათა ქექია“, რომელიც ქართული ეროვნული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო მონაპოვარია და უახლესი მხატვრული პროზის დიდი მიღწევაა.

საერთოდ ფართოა ამ გამოჩენილი მოღვაწის სამწერლო ასპარეზი. 40-ან წლებში მან შექმნა რომანი „შთაგონება“, რომელშიც გაანალიზებულია ქართველი ინტელიგენციის მეტად რთული ცხოვრებისეული საკითხები. დაუშრეტელი ოპტიმიზმით და პატრიოტიზმის სულისკვეთებით გამოირჩევა „წითელი ყაყაჩო“. აქვე აღსანიშნავია ღრმა ფსიქოლოგიური მოთხრობა „განძი“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დ. შენგელაიას სამწერლო ენა და სტილი, რომლებიც გამოირჩევა განსაკუთრებული სიმდიდრით და უზადო დახვეწილობით. მათი უშრეტი წყარო კი ნამდვილი ქართული მეტყველების უძირო წიაღია. შემოქმედმა მრავალი ძარღვიანი

სიტყვა და ფრაზეოლოგიური შენაერთი გააცოცხლა და დაამკვიდრა თანამედროვე მწერლობის ენაში.

მთელი სიცოცხლის მანძილზე დემნა შენგელაია დაუცხრომლად ეწეოდა უაღრესად მნიშვნელოვან, წმინდა მეცნიერულ-ფილოლოგიურ კვლევას ქართული მითოლოგიისა და ფოლკლორისტიკის დარგებში, განსაკუთრებით იზიდავდა მას ქართული ამირანიანის საკითხი. ასევე საყურადღებოა მისი ეტიუდები ქართველი და რუსი მწერლების შესახებ.

გამოჩენილი შემოქმედის ლიტერატურულ-მეცნიერული მოღვაწეობა ჯეროვნად დაფასდა — 1969 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. დაჯილდოვებული იყო ორი შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის ორდენებითა და მედლებით.

შ ე ნ გ ე ლ ა ი ა ნიკოლოზ მიხეილის ძე. 8. VIII. 1901, სოფელი ობუჯი, წალენჯიხის რაიონი — 4. I. 1943, სოფელი ვაზიანი, საგარეჯოს რაიონი.

კინორეჟისორი და მწერალი. რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, მაგრამ მწერლობამ „გადაძლია“ ფუტურისტ პოეტთა კორპორაციაში, რომლის მაქსიმალისტური ლიტერატურული კრედო ითვალისწინებდა ძველი ხელოვნების ნაშთების აღგვას და მის მაგიერ ახლის დამკვიდრებას. ნიკოლოზ შენგელაიას ლექსები ქვეყნდებოდა ფუტურისტების ჟურნალში „H_2SO_4“ და ეწეოდა ბოჰემურ ცხოვრებას. ალბათ ასე გაგრძელდებოდა დიდხანს, რომ არა შემთხვევა, რის წყალობითაც ახალგაზრდა პოეტი მოხვდა რუსთაველის თეატრთან არსებულ სამსახიობო სტუდიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა კოტე მარჯანიშვილი. 1924 წელს ნიჭიერი ახალგაზრდა კ. მარჯანიშვილის ასისტენტად მუშაობდა ფილმზე „ქარიშხლის წინ“, ამავე ხანებში სერგო კლდიაშვილთან ერთად დაწერა სცენარი „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელიც დიდმა რეჟისორმა დადგა. იმავე წელს ნ. შენგელაიამ მ. კალატოზიშვილისა და ლ. პუშის თანაავტორობით დაწერილი სცენარის მიხედვით რეჟისორ ლ. პუშთან ერთად გადაიღო ფილმი „გიული“.

ეს იყო დიდი იმედების მქონე შემოქმედის პირველი რეჟისორული ნამუშევარი და ნოვატორული სიტყვა ქართულ კინემატოგრაფიაში. მის ნამდვილ გამარჯვებას მოასწავებდა კინოფილმი

„ელისო“, რომელსაც არ აკლია რეჟისორული გამომგონებლობა, დინამიკური კადრების სიმრავლე, ოსტატური მონტაჟი.

პოეტურ-მეტაფორული ხელნაწერით გამოირჩევა აგრეთვე ფილმები: „26 კომისარი“, „სამშობლო“, „ნარინჯის ველი“, „შავ მთებში“, „მცხუნვარე მზის ქვეშ“, რომლებმაც ახალი ფარმატებები მოუტანეს ხელოვანს. თუმცა, უნდა ითქვას, „ელისო“ და „26 კომისარი“ დარჩა რეჟისორის მდიდარ შემოქმედებაში კლასიკურ ნიმუშებად და მსოფლიო კინემატოგრაფიის ოქროს ფონდში საპატიო ადგილი უჭირავთ. 1977 წელს ვენეციის კინოფესტივალზე „26 კომისარმა“, ხოლო 1981 წელს როტერდამში „ელისომ“ და კვლავ „26 კომისარმა“ კინოსპეციალისტთა და მაყურებელთა დიდი აღიარება მოიპოვა. 1981 წელს იაპონიაში მოეწყო ნიკოლოზ შენგელაიას ფილმების რეტროსპექტივა. იქაც დიდი მოწონება ხვდა წილად ქართველი რეჟისორის ნამუშევრებს. პრესამ იგი ერთხმად აღიარა „კინოს უდიდეს ოსტატად“.

ნ. შენგელაიას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო ქართული ხელოვნებისათვის, მაგრამ არ დასცალდა; თავის უკანასკნელ ფილმზე „ის კვლავ დაბრუნდება“ მუშაობისას, გულმა უმტყუნა და გარდაიცვალა.

გამოჩენილი რეჟისორის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია დიდი ტემპერამენტი და ხალასი პოეტურობა. ამიტომაც მისმა ფილმებმა განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ქართული კინოს ისტორიაში. იგი იყო საქართველოს სილამაზის დედოფლად აღიარებული ნატო ვაჩნაძის მეუღლე და გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორების ელდარ და გიორგი შენგელაიების სახელოვანი მამა.

1941 წელს ნ. შენგელაიას ერთ-ერთ პირველს ქართველ ხელოვანთა შორის მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია და დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით.

შ ე ნ გ ე ლ ი ა ალექო პეტრეს ძე. 7. XI. 1914, სოფელი ხაბუმე, ჩხოროწყუს რაიონი — 7. V. 1975, თბილისი.

პოეტი. ა. შენგელია ქართველ პოეტთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომლებმაც თავი მოიყარეს ჟურნალ „ჩვენი თაობის“ გარშემო. ესენი იყვნენ რევაზ მარგიანი, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, გაბრიელ ჯაბუშანური, ალექსანდრე საჯაია. სწორედ ეს ჟურნალი იყო ა. შენგელიას, ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტის პირველი ლექსის მეკელე. სწორედ მან ამცნო მკითხველს განსხვავებული ხმის მქონე პოეტის დაბადება.

ა. შენგელიამ პირველი წიგნი 1940 წელს გამოაქვეყნა. ამას მოჰყვა ლექსებისა და პოემების კრებულები: „გაზაფხულის სიმღერები“, „მე მიყვარს“, „ლექსები“, „რჩეული“, „ლექსები და პოემები“, „დღეები“, „ოცნებები და ნაფეხურები“, „საბავშვო ლექსები და პოემები“ და სხვ. პოეტის მრავალი ლექსი გაითავისა მკითხველმა, მრავალი მათგანი სიმღერად აქცია და გაახალხურა. ვის არ ახსოვს სიმღერები: „რა სცოდნია ამ პატარა ნამის ღილებს, თვალს ნაბავენ, თითქოს შენი თვალებია...“ ან „...საქართველოს ლამაზებო, მანანებო, დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები“.

ნიჭიერი პოეტის ლირიზმით აღსავსე ლექსები შორს გასცდა საქართველოს ფარგლებს. რად ღირს თუნდაც ის, რომ პლანეტის პირველმა კოსმონავტმა იური გაგარინმა საყვარელი პოეტების პუშკინსა და ესენინთან ერთად ალეკო შენგელიაც მოიხსენია. მწერლის მოღვაწეობა იმ მხრივაც არის აღსანიშნავი, რომ იგი წლების მანძილზე წარმატებით ემსახურებოდა ქართული წიგნის გამოცემის საქმეს, როგორც გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარი რედაქტორი და ლიტფონდის დირექტორი. დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორი ორდენით და მედლებით.

ალეკო შენგელიას პოეზია გამოირჩეოდა გულწრფელობით, სიწმინდითა და მრავალფეროვნებით. მეგრული ფოლკლორით შთაგონებულს თან მიჰყვებოდა საქართველოს ამ ულამაზესი კუთხისათვის დამახასიათებელი შინაგანი ლირიზმი და განუმეორებელი მუსიკალური ტონები. მისი ლექსები სამუდამოდ დარჩება ქართული პოეზიის ანთოლოგიაში.

შ ე ნ გ ე ლ ი ა პავლე გიორგის ძე. 25, III. 1903, ქუთაისი — 26. V. 1971, თბილისი.

ინჟინერ-ენერგეტიკოსი, პროფესორი. 1922 წლიდან იყო რიონჰესის მშენებლობის სამმართველოს საპროექტო განყოფილების ტექნიკოსი, შემდეგ ინჟინერი და უფროსი ინჟინერი. აქ მან შეადგინა რიონის კომპლექსური გამოყენების ახალი, უფრო სრულყოფილი სქემა, რაც წარმოადგენდა გამოჩენილი გერმანელი სპეციალისტის ა. ლუდინის მიერ შედგენილ რიონის გამოყენების სქემის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

1932 წელს პ. შენგელიამ მუშაობა დაიწყო ჰიდროენერგეტიკის საპროექტო ინსტიტუტის თბილისის ფილიალში ჯერ უფროს ინჟინრად, შემდეგ ჰესების დაპროექტების ბიუროს მთავარ ინჟინრად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავდა მრავალი ათეული სქემა ამიერკავკასიის მდინარეებზე. ამ ინსტიტუტში იგი აგრძელებს მოღვაწეობას (კონსულტანტად) მას შემდეგაც, როცა ის გადაიყვა-

ნეს საქართველოს კომისართა საბჭოს საგეგმო კომისიაში ენერგეტიკის განყოფილების უფროსად. აქაც მისი მონაწილეობით შემუშავდა საქართველოს მრავალი ჰიდროენერგომშენებლობის პერსპექტიული გეგმები. პარალელურად იგი სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა, აქვეყნებდა ნაშრომებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჰიდროენერგეტიკის განვითარების საკითხებზე. მეცნიერის კალამს ეკუთვნის 40-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფია „მთის მდინარეების კასკადური გამოყენების საკითხები“. ამ გამოკვლევამ საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისთვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში მუშაობა, რომელსაც პ. შენგელია 20 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. ეს გამოიხატა როგორც ინსტიტუტის სამეცნიერო პრობლემატიკის დამუშავებით, მისი აქტუალობით, ასევე ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება-გაუმჯობესებით. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ავრეთვე საქართველოში მაღალ კაშხალებთან დაკავშირებულ საპროექტო-ექსპერიმენტული სამუშაოების ორგანიზაციის საქმეში. 1961 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. დაჯილდოვებული იყო ორი შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით, მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

შ ე წ ი რ უ ლ ი — ლ ე ს ე ლ ი ძ ე ნინო ივანეს ასული. 7. IV. 1905, სოფელი დვაპზუ, ოზურგეთის რაიონი — 21. II. 1977, თბილისი.

გენერალ კონსტანტინე ლესელიძის მეუღლე. ისინი ერთად სწავლობდნენ გიმნაზიაში. დაქორწინდნენ 1925 წელს. ომის დროს მუშაობდა თბილისის ევაკოჰოსპიტალში. გამოჩენილი მხედართმთავრის ღირსეული მეუღლე თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ქართველი ქალის უწმინდეს მანდილს, როგორც თავდადებული და ოჯახის ბურჯი.

შ ო ნ ი ა — ა ლ ე ქ ს ი შ ვ ი ლ ი ქეთევან ალექსანდრეს ასული. 8. III. 1919, ჩოხატაური — 3. VI. 1993, თბილისი.

პროფესორ მათე ალექსიშვილის მეუღლე. იყო ექიმი-ინფექციონისტი.

შ უ ბ ლ ა ძ ე — ბ ო ბ ო ხ ი ძ ე ვერა ამბროსის ასული. 8. III. 1917, სოფელი გეზათი, აბაშის რაიონი — 29. VII. 1957, თბილისი.

პოეტი, კალე ბობოხიძის მეუღლე. კულაშის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იგი 10 პოეტური კრებულის ავტორია. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ ენაზე რიმა კაზაკოვას მიერ.

ვერა შუბლაძის შემოქმედებას დიდად აფასებდა გიორგი ლეონიძე. იყო ნაზი ლირიკოსი, უპრეტენზიო შემოქმედი, მეტად თავაზიანი და კეთილშობილებით აღსავსე პიროვნება. თავდაპირველად დაასაფლავეს ვაკის სასაფლაოზე, მხოლოდ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გადმოასვენეს დიდუბის პანთეონში.

შ უ შ ა ნ ი ა პლატონ გიორგის ძე. 17. X. 1894, ქუთაისი — 21, III. 1971, თბილისი.

მეან-გინეკოლოგი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. პროფესორი. ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, ხოლო 1924 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, 1917 წელს შევიდა პარტიის რიგებში და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი პარტიული თანამდებობები. 1928 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სამეანო-გინეკოლოგიის კათედრაზე და მალე გაემგზავრა გერმანიაში, სადაც მუშაობდა გამოჩენილი მეცნიერის ო. შრედერის კლინიკაში. 1931 წელს დაბრუნდა სამშობლოში და დაინიშნა სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორად. აქვე განაგებდა სამეანო-გინეკოლოგიურ კლინიკას, რომელსაც სათავეში ედგა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

მომდევნო წლებში დიდი თეორიული ცოდნითა და მკურნალობის პრაქტიკული ჩვევებით აღჭურვილი მეცნიერი პირველი კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი იყო, სამამულო ომის პერიოდში ხელმძღვანელობდა ევაკოჰოსპიტალის ქირურგიულ განყოფილებას. 1944 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს გინეკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარეა, 1967 წელს აირჩიეს ქალის კიბოს წინააღმდეგ მებრძოლ სამეცნიერო საზოგადოების მსოფლიო ასოციაციის ეროვნულ პრეზიდენტად.

პ. შუშანია ეკუთვნოდა იმ შესანიშნავ მეცნიერთა პლეადას, რომლებმაც მაღალი ავტორიტეტი მოუპოვეს საერთოდ ქართულ, და კერძოდ, სამედიცინო მეცნიერებას. ფართო დიაპაზონის სწავლულის ფუნდამენტური გამოკვლევები ქალის ფიზიოლოგიის, პა-

თოლოგიისა და მისი მკურნალობის მეთოდების შესახებ ახალი სიტყვაა გინეკოლოგიურ და ენდოკრინოლოგიურ მეცნიერებაში, რომელსაც აქვს წმინდა თეორიულ ღირებულებათა გარდა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ღვაწლმოსილი მეცნიერი, ამაგდარი მკურნალი, შესანიშნავი ოპერატორი და დახვეწილი ინტელიგენტი მუდამ სათავეში ედგა ყოველ ქართულ, ეროვნულ წამოწყებას. მან საფუძველი ჩაუყარა ჩვენში ქალის ჰორმონულ-სექსუალური ფუნქციის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის საკითხების შესწავლას, ფუნქციურ და გინეკოლოგიურ სისხლდენათა პრობლემის მეცნიერულ კვლევას.

პლატონ შუშანიას ავტორიტეტს დიდი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა ადამიანებზე, რომელნიც უსიტყვოდ ენდობოდნენ მას, როგორც საქმეში ღრმად ჩახედულს და პატიოსნების განსახიერებას. აქას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი 1969 წელს აირჩიეს სსრ კავშირის ჯანდაცვის საქმინისტროს საქშობიარო დახმარების კომისიის საპატიო წევრად. გამოჩენილი მეცნიერის მადლი გაჰყვა ათობით და ასობით ახალგაზრდა სპეციალისტს. იგი უშურველად უზიარებდა მათ თავის ცოდნასა და გამოცდილებას, უნერგავდა დიდ პასუხისმგებლობას და უსაზღვრო სიყვარულს არა მარტო საქმისადმი, არამედ შშობლიური ერისა და საქართველოსადმი. დაჯილდოვებული იყო ლენინის ორი ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, „საპატიო ნიშნის“ ორ ორდენებითა და მედლებით.

ჩ ა ჩ ა ვ ა კონსტანტინე ვლადიმერის ძე. 21. V. 1919, თბილისი — 8. V. 1979, თბილისი.

მეან-გინეკოლოგი, საქართველოს მეცნიერების დაწსახურებულ მოღვაწე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 1936 წელს დაამთავრა თბილისში საშუალო სკოლა, 1941 წელს — მოსკოვის ი. სეჩენოვის სახელობის პირველი საქმედიცინო ინსტიტუტი. დიდი ენერგიისა და არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობის ფასად ღირსეულად განვლო რთული და სახელოვანი გზა უბნის ექიმიდან აკადემიკოსობამდე. მართლაც გასაოცარია როგორ ასწრებდა ექიმი-პრაქტიკოსი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ხელმძღვანელობას, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში კათედრის გაძღოლას, ღრმა სამეცნიერო კვლევას, უცხო ენების დაუფლებას და სპორტულ ცხოვრებას. იგი ყოველივე ამას არამარტო ასწრებდა, არამედ არაფერში დილეტანტი არ ყოფილა. 1960 წლიდან გარდაცვალებამდე განაგებდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრას, 1965 წლიდან გარდაცვალებამდე იყო პერინატალური მედიცინისა

და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც დღეს მისი სახელობისაა.

კ. ჩაჩავა იყო მეანობაში კლინიკურ-ფიზიკური და ელექტროფიზიოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი. მან პირველმა დანერგა სამკურნალო საშუალებად გინეკოლოგიაში ლაზერი, რაც დღეს საყოველთაოდ აღიარებულია. მეცნიერის კალამს ეკუთვნის 160-ზე მეტი ნაშრომი ქართულ და უცხო ენებზე, მათ შორის არაერთი მონოგრაფია და გამოგონება.

აკადემიკოს ნ. ჩაჩავას საყოველთაო აღიარებას მოწმობს მისი არჩევა ევროპის პერინატოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრად, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის სამედიცინო საზოგადოებათა საპატიო წევრად. იგი იყო საქართველოსა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი მეან-გინეკოლოგი, დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის ერთ-ერთი თანარედაქტორი, ჟურნალ „აკუშერსტვო ი გინეკოლოგიის“ სარედაქციო საბჭოს წევრი და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ღვაწლმოსილი ექიმის პატრიოტული შემართება და სიყვარული, რასაც იგი იჩენდა თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მისმა არაერთხელ გაწეულმა კონსულტაციამ თუ რჩევამ გააბედნიერა მრავალი ქართველი დედა, ხოლო სამშობლოს გადაურჩინა ჯანღონით აღსავსე შვილები. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშისა და „სპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით.

ჩ ა ჩ ა ვ ა მიხეილ კონსტანტინეს ძე. 15. XI. 1902, ლანჩხუთი — 14. VI. 1983. თბილისი.

ქირურგი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1928 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი და გახდა ცნობილი ქართველი ქირურგის გრიგოლ მუხაძის მოწაფე, რომლის ხელმძღვანელობითაც დაოსტატდა. 1936 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო ერთი წლის შემდეგ სადოქტორო. 1944 — 1950 წლებში იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორი. 1950 — 1968 წლებში განაგებდა პედიატრიული და სანიტარული ჰიგიენის ფაკულტეტების ჰოსპიტალური ქირურგიის, 1968—1974 წლებში კი სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრას. 1974 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ამავე კათედრის მეცნიერ-კონსულტანტი. ფართო დიაპაზონის ნამდვილმა შემოქმედმა დასტაქარმა, გ. მუხაძის სხვა მოწაფეებთან ერთად სახელი გაუთქვა ქართულ ქირურ-

გიას და გაიტანა იგი საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე. მეცნიერი ხშირად მონაწილეობდა ქირურგთა საერთაშორისო კონგრესებზე, მას ფართოდ უღებდნენ უცხოური კლინიკების კარებს, 1960 წელს ხანგრძლივი ვადით მიიწვიეს ინგლისში.

მ. ჩაჩავა 150-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის რვა მონოგრაფიაა და ოთხი სახელმძღვანელო. ღვაწლმოსილ მეცნიერს უდიდესი წვლილი მიუძღვის წყლულოვან დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის საქმეში. ივი აგრეთვე საყლაპავი მილის, გულმკერდის ღრუს ორგანოებისა და ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის, პროქტოლოგიურ დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვის ინიციატორია საქართველოში. რაც შეეხება როგორც პრაქტიკოს ქირურგს, თავისი 55 წლის მოღვაწეობის მანძილზე გაკეთებული აქვს 20 ათასზე მეტი ოპერაცია მარტო გულმკერდისა და მუცლის ღრუს ორგანოებზე. მან ჩვენში პირველმა შეასრულა გულის მანკის ოპერაციები.

მ. ჩაჩავა დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით. 1985 წელს მშობლიური ლანჩხუთის რაიონულ საავადმყოფოს მიენიჭა მისი ღირსეული შვილის სახელი.

ჩ ა ჩ ა ვ ა ნიკოლოზ ვლადიმერის ძე. 26. VI. 1901, ქუთაისი — 14. VIII. 1974, თბილისი.

პოეტი, ჟურნალისტი. დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე განაგრძო. ლექსების წერა ქუთაისში დაიწყო, აქვე აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდობის ლიტერატურულ-შემოქმედებით წრეებში. 1922 წელს შევიდა თბილისში დაარსებულ ფუტურისტ-ლეფელთა ლიტერატურულ გაერთიანებაში და ამ დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

ნ. ჩაჩავამ და მისმა თაობამ წინააღმდეგობით აღსავსე გზა განვლეს, მაგრამ მათმა უმრავლესობამ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მშობლიური ლიტერატურის ისტორიაში. საგულისხმოა ნ. ჩაჩავას როლი საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. პოეტის მხატვრული აზროვნების ბუნებრივი სისადავე, სილაღე, უშუალობა — აი იმ სიყვარულის უმთავრესი მიზეზი, რომლითაც დღესაც სარგებლობს ჩვენი პოეტი მოზარდ თაობაში.

ნ. ჩაჩავა რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია: „სიცოცხლეს ეუმღერ", „სადაც ვშობილვარ", „ცისა და მიწის", „რაც განმიცდია", „ამ ქვეყანაზე", „ამ თაობიდან იმ თაობამდე", „მე ისევ ვცოცხლობ", და სხვ. იგი პარალელურად ეწეოდა აქტიურ მთარგმ-

ნელობით საქმიანობას. ქართველ მკითხველს გააცნო რუსი, უკრა-ინელი, აზერბაიჯანელი, სომეხი და ოსი პოეტების ლექსები. გარდა ამისა დაუცხრომლად იღვწოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. იყო ალმანახ „ლიტერატურა და სხვას“ რედაქტორი, გაზეთ „დროულის“ თანარედაქტორი, „ლიტერატურული გაზეთის“, „ჩვენი თაობისა“ და „დროშის“ აქტიური თანამშრომელი.

ღვაწლმოსილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე დაჯილდოვებული იყო იაკობ გოგებაშვილის მედლით.

ჩ ერ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ელისაბედ ალექსანდრეს ასული. 14. XI. 1863[1] სოფელი კოშკა, გორის რაიონი — 17. X. 1948, თბილისი.

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. 9 წლის გოგონა მიაბარეს გორის კერძო სასწავლებელში. მამის ახირების გამო 6 თვის შემდეგ მიატოვებინეს სკოლა და 16 წლამდე „შინაური“ განათლების მისაღებად დაჰყავდათ სოფელ-სოფელ ოჯახის ნათესავებთან. იმავე ხანებში მონაწილეობდა პირველ სამოყვარულო წარმოდგენებში, ხოლო პროფესიულ სცენაზე ე. ჩერქეზიშვილის დებიუტი გაიმართა 1886 წლის 15 სექტემბერს ვ. დიაჩენკოს პიესაში „ეხლანდელი სიყვარული“. უღიმღამო პიესამ მაყურებელი ვერ მოხიბლა, ახალგაზრდა მსახიობმა კი ვალერიან გუნიას კომპლიმენტი დაიმსახურა. ე. ჩერქეზიზშვილის სცენაზე გამოსვლას ხელი შეუწყო ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ანტონ ფურცელაძემ, ხოლო განსაკუთრებული როლი მის ცხოვრებაში მიუძღვის ნიკო ხიზანიშვილს (ურბნელს), ასევე ცნობილ მოღვაწესა და ეთნოგრაფს, რომელმაც შემდეგ ახალგაზრდა მსახიობი ცოლად შეირთო.

ხალასმა ნიჭმა, თავდადებულმა შრომამ და დაუცხრომელმა შემოქმედებითმა ძიებამ ე. ჩერქეზიშვილს ადრევე მოუტანა საერთო აღიარება და ხალხის სიყვარული. ამ პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული როლები: სარა და ხანუმა (ა. ცაგარელის „ხანუმა“), ელისაბედი (რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), კატინა (ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), ანა ანდრეევნა (ნ. გოგოლის „რევიზორი“) და სხვ.

20-ან წლებში მსახიობმა მუშაობა დაიწყო რუსთაველის თეატრში, ხოლო 1932 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კ. მარჯანიშვილის თეატრის წამყვანი მსახიობი იყო. აქ შექმნა მან ასევე დაუვიწყარი

[1] სხვა მონაცემებით დაბადებულია 1862 წელს, ხოლო თეატრმცოდნე ბ. ბურთიკაშვილის წიგნში დათარიღებულია — 1864 წელი.

სახეები: ნენე (ს. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში"), ხორეშანი (შ. დადიანის „ჩატეხილი ხიდი"), მაკრინე (ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი"), მარიამი (ვ. შკვარკინის „უბრალო გოგონა") და სხვ.

ე. ჩერქეზიშვილს საინტერესო როლები აქვს შესრულებული კინოშიც. მაგალითად, დასამახსოვრებელია მისი ჯუფანა („ვინ არის დამნაშავე"), ხანუმა („ხანუმა"), დედა („ორი მონადირე"), აგრეთვე ეპიზოდური როლები „ჯანყი გურიაში", „ქალი გაღმიდან", „გიორგი საკაძე" და სხვ.

მაგრამ მსახიობის ძირითადი შემოქმედებითი ასპარეზი მაინც თეატრი იყო. 60 წლის განმავლობაში ქართულ სცენაზე მან ფანასახიერა 400-მდე როლი, რითაც სამუდამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი მშობლიურ თეატრის ისტორიაში. ღვაწლმოსილი ხელოვანის დიდი დამსახურება აღინიშნა ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ვასილ ნიკოლოზის ძე. 1958, სოფელი ჩაილური, სიღნაღის მაზრა — 14. VII. 1910, თბილისი.

ქალაქ თბილისის თავი. დაამთავრა თბილისის რეალური სასწავლებელი და შევიდა სამთო ინსტიტუტში, მაგრამ კურსი ვერ დაასრულა, დაბრუნდა სამშობლოში. ერთხანს მუშაობდა საადგილმამულო ბანკში, შემდეგ დეპუტატთა საკრებულოს მდივანი იყო. 80-იან წლებიდან თანამშრომლობდა გაზეთ „კავკაზში".

1898 წელს ე. ჩერქეზიშვილი აირჩიეს თბილისის ქალაქის მმართველობის წევრად, შემდეგ ქალაქის მოურავის (თავის) მოადგილედ, ხოლო 1907 წელს ქალაქის მოურავად (თავად).

მეოცე საუკუნის დამდეგი აღინიშნა რთული კოლიზიებით: რევოლუციური ტალღის აბობოქრება კავკასიაში და, კერძოდ თბილისში, დაერთო სომეხ-თათართა შეტაკებები. ამ რთულ ვითარებაში მოუწია ე. ჩერქეზიშვილს მოღვაწეობა, მაგრამ თავისი პიროვნული ნიჭისა და ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი მოთმინებითა და გამჭრიახობით თავიდან ააცილა ქალაქს ძმათა სისხლისღვრა. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი მოღვაწეობის პერიოდში ქალაქი მნიშვნელოვნად გაიზარდა, შეემატა ახალი რაიონები, აშენდა საცხოვრებელი სახლები, მოიკირწყლა ქუჩები, გაიხსნა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, აფთიაქები, საავადმყოფოები და სხვ.

სახელოვანი მამულიშვილი გულწრფელად დაიტირა მთელმა თბილისმა. იმდროინდელი გაზეთების ცნობით, ქალაქის თავის მო-

ადგილეს ა. ხატისოვს სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვით გამოსვლის დროს ვული წასვლია და ძლივს მოუბრუნებიათ.

ჩ ე ჩ ე ლ ა შ ვ ი ლ ი — ზ ე დ გ ი ნ ი ძ ე თინათინ დავითის ასული. 12. VII. 1910, ქუთაისი — 25. X. 1987, თბილისი.

მწერალ ელიზბარ ზედგინიძის მეუღლე. 1936—1940 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. დაქორწინდა 1929 წელს. აღზარდა სამი შვილი, იყო დიასახლისი.

ჩ ი გ ო გ ი ძ ე ნიკოლოზ სპირიდონის ძე. 29. X. 1893, თელავი — 24. V. 1962, თბილისი.

კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. მუსიკალური განათლება მიიღო ჯერ თბილისში, შემდეგ დაამთავრა პეტროგრადის კონსერვატორია. აქ იგი მეცადინეობდა ცნობილ პროფესორებთან და დაოსტატდა როგორც თეორეტიკოსი — პოლიფონისტი.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხელმძღვანელობდა თბილისის კონსერვატორიაში პოლიფონიის კლასს. 35 წლის მანძილზე კეთილსინდისიერად და დიდი სიყვარულით ემსახურა ეროვნული მუსიკალური კადრების აღზრდის საქმეს. პროფესიული და პიროვნული სეტორიტეტი მას საშუალებას აძლევდა აქტიურად ემუშავა სხვადასხვა მუსიკალურ-საზოგადოებრივ დაწესებულებებში, მუზფონდის გამგეობაში და საზოგადოების პატივისცემა დაემსახურებინა.

ჩ ი ვ ა ძ ე — ქ უ ჩ უ კ ა შ ვ ი ლ ი ანა ივანეს ასული. 1. VII. 1877, სოფელი კავთისხევი, კასპის რაიონი — 6. II. 1975, თბილისი.

შიო მღვიმელის მეუღლე. დიასახლისი.

ჩ ი ტ ა ი ა გიორგი სპირიდონის ძე. 10. XI. 1890, ფოთი — 28. VIII. 1936, თბილისი.

ისტორიკოსი, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1911 წელს დაამთავრა თბილისის მეორე გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის სპეციალობით. მას აქ ურთიერთობა უხდებოდა ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის კორიფეებთან, როგორებიც იყვნენ: ნიკო მარი, ალ. ცაგარელი და ივანე ჯავახიშვილი,

რამაც დიდად განსაზღვრა ნიჭიერი ახალგაზრდის მომავალი საქმიანობა.

1917 წელს გ. ჩიტაია საქართველოში დაბრუნდა და შეუდგა მეცნიერულ მოღვაწეობას. მან საფუძველი ჩაუყარა ჩვენში ეთნოგრაფიულ სკოლას და მყარი მეცნიერული საფუძველი შეუქმნა მას, აღზარდა ახალგაზრდა კადრები. იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საველე ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას, დანერგა საველე მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი და პირველმა ნათელჰყო მისი უპირატესობა. ყოველივე ეს ჩისახა მეცნიერის ორასამდე ნაშრომში, რომლებიც დაფუძნებულია მდიდარ საველე მასალაზე. ყველა ამ ნაშრომს დიდი მეცნიერული ერუდიციისა და ფართო ჰუმანიტარული განათლების მქონე სწავლულის ხელი ატყვია.

გ. ჩიტაიას მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია მის მიერ მაღალ თეორიულ დონეზე შესწავლილი მემინდვრეობის სისტემები საქართველოსა და ამიერკავკასიაში და ამ სისტემებთან დაკავშირებული სამეურნეო იარაღებისა და ნაგებობების, შრომის ორგანიზაციის, რწმენა-წარმოდგენების, რიტუალების, სოციალურ ურთიერთობათა თავისებურებანი. ხანგრძლივი ნაყოფიერი ძიების შედეგად მკვლევარმა დადგინა, რომ საქართველო ერთ-ერთი დიდად განვითარებული სამიწათმოქმედო კულტურის ქვეყანაა. ავტორის ეს ღვაწლი მნიშვნელოვან მონაპოვრად აღიარეს აგრო-ეთნოგრაფიის დარგში, რისთვისაც მეცნიერი აირჩიეს აგრარული ეთნოგრაფიის საერთაშორისო კომიტეტის წევრად.

განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა მეცნიერი სამუზეუმო საქმეს, ეროვნული საუნჯის მოძიებასა და დაცვას. მისი ფასდაუდებელი ღვაწლის შედეგია 1960 წელს თბილისში დაარსებული ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ. განუზომელია გ. ჩიტაიას ამაგი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში — იგი ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერვე დაარსებულ ეთნოგრაფიის კათედრას. მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის აღიარებაა ის, რომ მეცნიერი არჩეული იყო მრავალი საერთაშორისო და რესპუბლიკური კომიტეტის, კომისიის თუ საზოგადოებათა წევრად ან თავმჯდომარედ.

სახელოვანი მამულიშვილისა და მეცნიერის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით და მრავალი მედლით.

ჩიქოვანი გრიგოლ სამსონის ძე. 15. III. 1910, ხობი — 30. XI. 1981, თბილისი.

მწერალი. დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ ხეთაში, ხოლო საშუალო თბილისში. 1936 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მწერალთა კავშირის მოვლინებით 1939 წლამდე სწავლობდა კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში სასცენარო ფაკულტეტზე. ახალგაზრდამ თავისი პირველი ნაწარმოებები 30-ან წლებში გამოაქვეყნა და უმალ მიიქცია მკითხველი საზოგადოების ყურადღება. მწერლის შემოქმედება გამსჭვალულია ქართველი ხალხის წარსულსა და აწმყოზე ფიქრით. განსაკუთრებით საგულისხმოა მისი „ოდიშური მოთხრობები“.

დამსახურებული გამარჯვება მოუტანა მწერალს შესანიშნავმა ტრილოგიამ („თებერვალი დადგაო“, „მიწა“ და „რწმენა“), რომელშიც ასახულია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი. ესაა ფართო ტილო ქართველი გლეხის საუკუნოვან ოცნებაზე, რომლის არსს ყოველთვის ხალხის მარჩენალი მიწა წარმოადგენდა, ამასთანავე მხატვრულადაა გადმოცემული სიყვარულისა და მეგობრობის წმინდა გრძნობა, გმირული თავდადება ომის ფრონტებზე და სხვ. ნიჭიერი შემოქმედის ნაწარმოებები საფუძვლად დაედო კინოფილმებს: „სადაა შენი ბედნიერება, მზია?“, „კოლხეთის ჩირაღდნები“, „პაპა გიგია“ და სხვ.

მგზნებარე საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი მწერალი და პუბლიცისტი თავისი მახვილი კალმით აქტიურად ემსახურებოდა თანამედროვე ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. წლების მანძილზე იყო გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ მთავარი რედაქტორი. ამ თანამდებობაზე სრულად გამოვლინდა მისი, როგორც მხატვრული, ისე ორგანიზატორული ნიჭი და მაღალი გემოვნება. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ გრიგოლ ჩიქოვანის ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ, გერმანულ, უნგრულ, ჩეხურ და სხვა ენებზე. მწერლის ღვაწლი მშობლიური ლიტერატურის წინაშე აღინიშნა „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით და სხვა ჯილდოებით.

ჩიქოვანი მიხეილ იასონის ძე. 25. III. 1909, სოფელი ცხოკუშირი, ცაგერის რაიონი — 24. X. 1983, თბილისი.

ფოლკლორისტი, ლიტერატურათმცოდნე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. 1932 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ სწავლა განაგრძო ლენინგრადის ენისა და აზ-

როვნების ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1936 წელს სათავეში ჩაუდგა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებას, რომელსაც ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე. აქვე საფუძველი ჩაუყარა ფოლკლორული წყაროების სამეცნიერო არქივს, რომელშიც თავმოყრილია მდიდარი ფოლკლორული მასალა საქართველოს ყველა კუთხიდან. სწორედ ეს მასალები დაედო საფუძვლად მ. ჩიქოვანის რედაქტორობით გამოცემულ ქართული ხალხური პოეზიის 12 ტომეულს.

ფართოა გამოჩენილი მეცნიერის მოღვაწეობის სფერო. იგი იკვლევდა ზოგადი და კერძო ფოლკლორისტიკისა და ლიტერატურულ-ფოლკლორულ ურთიერთობათა პრობლემებს, ქართულ ეპოსსა და მითოლოგიას, ფოლკლორის თეორიის საკითხებს. მის კალამს ეკუთვნის 300-მდე მეცნიერული შრომა, მათ შორის 21 მონოგრაფია. კერძოდ, მან სამ ათეულ წელზე მეტი მოანდომა ამირანის ციკლის ხალხური ქმნილებების კვლევას და ქართული ამირანიანი საყოველთაო ინტერესების საგნად აქცია. სწორედ ამიტომაც უწოდა მ. ჩიქოვანს გიორგი ლეონიძემ ქართული ფოლკლორის ამირანი. მკვლევარი დაინტერესებული იყო აგრეთვე კავკასიის ხალხთა ეპოსის ურთულესი საკითხებით. საყოველთაოდაა ცნობილი მისი ნართული ეპოსისადმი იძღვნილი ნაშრომები.

მ. ჩიქოვანს დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. წლების განმავლობაში ფოლკლორისტიკის კურსს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მის მოწაფეებს შორის ბევრია მოსკოველი და ლენინგრადელი, აფხაზი და ოსი, ადიღეელი და დაღესტნელი. მ. ჩიქოვანმა შექმნა მაღალი პრესტიჟის მქონე ფოლკლორისტთა ეროვნული სკოლა. აღზარდა არაერთი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი. მისი ნაშრომები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, უნგრულ, ბულგარულ და სხვა ენებზე.

ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე ალექსანდრე ირაკლის-ძე. 9, VIII, 1917, თბილისი, — 10. XI. 1971, დაიღუპა რუსეთში ავტოავარიაში, როდესაც სამშობლოში მოემგზავრებოდა.

ცნობილი ვიოლონჩენისტი და პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. მუსიკალური ნიჭი ბავშვობაშივე გამოავლინა. 8 წლის ასაკიდან ეუფლებოდა ჩელოზე დაკვრას პროფესორ კ. მინიარის ხელმძღვანელობით. 1937 წელს ჩაირიცხა მოსკოვის კონსერვატორიაში, რომელიც 1945 წელს დაამთავრა, ხოლო 1949 წელს კი იქვე დაასრულა ასპირანტურის კურსი.

1935 და 1937 წლებში ახალგაზრდა მუსიკოსმა დიდ წარმატე-

ბებს მიაღწია — გაიმარჯვა საკავშირო კონკურსებზე და ორჯერ მოიპოვა ლაურეატის საპატიო წოდება. 1950—1952 წლებში ა. ჩიჯავაძე მოსკოვის ფილარმონიის სოლისტია.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ეწეოდა საკონცერტო-შემოქმედებით საქმიანობას. პარალელურად ემსახურებოდა ახალგაზრდა ინსტრუმენტალისტების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე, როგორც პროფესორი, კაიროს კონსერვატორიაში ხელმძღვანელობდა ვიოლონჩელოს კლასს.

ნიჭიერი ხელოვანი გამოირჩეოდა ისეთი განსაკუთრებული თვისებებით როგორიცა, მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა, დახვეწილი ტექნიკა, შუსიკალობა, ნაწარმოების ჩაწვდომისა და საკუთარი ინტერპრეტაციის გასაოცარი უნარი, ხოლო როგორც პედაგოგს ახასიათებდა საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობა და ახალგაზრდობისადმი განსაკუთრებული სიყვარული.

ჩ ო ლ ო ბ ა რ გ ი ა — ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ქეთევან გაბრიელის ასული. 4. VIII. 1909, ოზურგეთი — 14. VII. 1978, თბილისი.

დრამატურგ გრიგოლ ბერძენიშვილის შეუღლე.

ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი — რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი ელისაბედ (ლიზა) დავითის ასული. 1863, სოფელი ლალისყური, თელავის რაიონი — 27. I. 1957, თბილისი.

პედაგოგი და საზოგადო მოღვაწის ივანე როსტომაშვილის მეუღლე. იგი იყო კახელი ბაგრატიონების შთამომავალი. დაიბადა დიდად განათლებულ ოჯახში. ელისაბედის მამა დავითი იყო რაფიელ ერისთავის მამიდაშვილი, დედა — მელანია არღუთაშვილი — მხარგრძელი ლადო მესხიშვილის დეიდა.

ელისაბედ ჩოლოყაშვილმა დაამთავრა კეთილშობილთა პანსიონი — ინსტიტუტი. 1883 წელს თავისი ბედი დაუკავშირა ივანე როსტომაშვილს, რომელთანაც ერთად გაიარა სიძნელეებით აღსავსე გზა. ქალბატონი ლიზას თაოსნობით დაარსდა გლეხი ქალებისათვის უფასო სკოლები, ბაგრატიონთა სასახლიდან მიღებული დიდძალი მზითვების წყალობით მეუღლესთან ერთად ეწეოდა გაზეთებისა და წიგნების გამოცემას და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას.

ცოლ-ქმარს ჰყავდათ 8 შვილი. უფროსი ვაჟი დავითი იყო რუსული ანარქიზმის ფუძემდებლის პეტრე კროპოტკინის მოწაფე და მიმდევარი, მეფის ხელისუფლების მიერ მისჯილი ჰქონდა სამუდამო პატიმრობა. 1890 წელს შეეძინათ ქალიშვილი ანასტასია (ტასო)

როსტომაშვილი — ახმეტელისა, ჩვენი ეროვნული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის სანდრო ახმეტელის მეუღლე.

ჩ ო ფ ი კ ა შ ვ ი ლ ი — ბ ე ნ ა შ ვ ი ლ ი ვერა აბრამის ასული. 25. XII. 1912, სოფელი სტეფანწმინდა, ყაზბეგის რაიონი — 12. XI. 1988, თბილისი.

პროფესორ დიმიტრი ბენაშვილის მეუღლე.

ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი არჩილ ესტატეს ძე. 6. I. 1905, თბილისი — 1. VII. 1980, თბილისი.

რეჟისორი, საქართველოსა და სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 1922 წელს დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია, სადაც სცენის კულტი ძველთაგანვე იყო დამკვიდრებული. აქვე მიიღო პირველი ნათლობა მოსწავლეთა სპექტაკლებში.

სკოლის დამთავრების შემდეგ რუსთაველის თეატრში ჯერ სცენის მუშა იყო, ასრულებდა ეპიზოდურ როლებს, მონაწილეობდა მასობრივ სცენებში, /შემდეგ გახდა რეჟისორის თანაშემწე. მისმა „თეატრალურმა უნივერსიტეტმა“ ჩაიარა მარჯანიშვილისა და ახმეტელის გვერდით, რამაც კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ნიჭიერ ახალგაზრდაზე. 1930 წელს გადავიდა ქუთაისის თეატრში და დადგა თავისი პირველი სპექტაკლი ჰაშეკის „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი“. ამის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ჯერ ბათუმის, შემდეგ მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებს. ყველგან, სადაც იღვწოდა, მისი საქმიანობა აღინიშნა მაღალი შემოქმედებითი წარმატებით. რეჟისორის დადგმებს გამოარჩევდა მკვეთრი თეატრალობა და მასობრივი სცენების დინამიური გადაწყვეტა. ჰეშმარიტად საეტაპო სპექტაკლები დადგა ა. ჩხარტიშვილმა სხვადასხვა თეატრის სცენებზე — ვაჟა ფშაველას „მოკვეთილი“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“, ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, ევრიპიდეს „მედეა“, მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“ და სხვა მრავალი.

1934 წელს ა. ჩხარტიშვილი მიაელინეს ჩეჩნეთ-ინგუშეთში, სადაც ჩამოაყალიბა დრამატული დასი და საფუძველი ჩაუყარა პირველ ეროვნულ სახელმწიფო თეატრს. გამოჩენილ რეჟისორს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე დაღესტნელებისა და სხვა ჩრდილო კავკასიელთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

სიცოცხლის ბოლო 10 წელი ა. ჩხარტიშვილი იყო საქართველოს ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი. აქ მან მაღალი გემოვნებით დადგა მრავალი თეატრალიზებული წარმოდგენა. ქართული თეატრალური ხელოვნების წინაშე ა. ჩხარტიშვილის ჰეშმარიტად

დიდი დამსახურება აღინიშნა ორი შრომის წითელი დროშის, ოქტომბრის რევოლუციის, „სამამულო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ჩ ხ ე ი ძ ე — ბ ე რ ი ძ ე ელისაბედ (ლიზიკო) კონსტანტინეს ასული. 1895, ხონი — 11. V. 1963, თბილისი.

პროფესორ ეუკოლ ბერიძის მეუღლე. პედაგოგი.

ჩ ხ ე ი ძ ე — ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე თამარ გიორგის ასული. 1894, ქუთაისი — 27. XII. 1980, თბილისი.

მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის მეუღლე. დაამთავრა წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზია ქუთაისში. 1914 წელს ცოლად გაჰყვა ნიკო ლორთქიფანიძეს. მუშაობდა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკში. ოჯახის თბილისში გადმოსვლის შემდეგ, ერთხანს მოღვაწეობდა განათლების სახალხო კომისარიატში, შემდეგ მწერალთა კავშირში.

ჩ ხ ე ი ძ ე ნინო (ნუცა) პლატონის ასული. 30. IX. 1881, ქუთაისი — 14. VIII. 1963, თბილისი.

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. სპეციალური თეატრალური განათლება არ მიუღია, მაგრამ დიდი სამსახიობო „სკოლა“ გაიარა ხელოვნების ისეთ დიდ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ კოტე მესხი და ლადო მესხიშვილი. 13 წლის გოგონას დებიუტი გაიმართა ქუთაისის თეატრში და მას შემდეგ უნიჭიერესი მსახიობი ლეგენდად იქცა. ნ. ჩხეიძეს განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ქუთაისისა და რუსთაველის თეატრების შემოქმედებით ცხოვრებაში. ქართულ სცენაზე გამოჩენილმა ხელოვანმა შეასრულა 300-მდე როლი. დაუვიწყარია მისი ზეინაბი (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“), მედიდური და ამავე დროს ღრმად ტრაგიკული მედეა (ბურენინისა და სუვორინის „მედეა“), განწირული, მაგრამ ამაყი მარგარიტა გოტიე (ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“), მაღალი სულის ადამიანი ქეთევანი (ა. ყაზბეგის „ქეთევან წამებული“), ვნებას აყოლილი ბრმად მორჩილი ოფელია (უ. შექსპირის „ჰამლეტი“), კრუჩინინა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“) და სხვ.

ნინო ჩხეიძე სცენაზე ანსახიერებდა თავის პირადულ, ადამიანურ თვისებებს — სისპეტაკეს, მაღალ ზნეობას, შინაგან კულტურას. დიდი დახვეწილი სცენური ოსტატობა და გამორჩეული აქტიორული ხელოვნება ნ. ჩხეიძეს აყენებს მოღვაწეთა იმ რიგში, რომელიც აღიარა ხალხმა და ამით სამუდამოდ დაამკვიდრა ქართული თეატრის ისტორიაში, როგორც მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურ-

ცელი. მსახიობის მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ალბომში პაოლო იაშვილს ჩაუწერია: „თეატრი ჩემთვის პრობლემაა ქართული თეატრიც ალბათ! მაგრამ მე მიყვარდა სიარული ქართულ თეატრში! რისთვის? მიყვარდა ხილვა ნინო ჩხეიძის. მისი ხმა! მისი ხმა! მისი ხმა! მორის მეტერლინკს რომ ესმინა იგი, უფრო ინტიმურად აატირებდა ბეატრისას, როცა მე ვტირი, — მაგონდება ნინო ჩხეიძე, როდესაც მე ეამბობ — მსურს ვუთავაზო ნახევარი სიხარულისა ნინო ჩხეიძის სევდას“.

ნ. ჩხეიძე მონაწილეობდა რამდენიმე ქართულ კინოფილმში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. დოლიძის „დარიკოში“, მსახიობის მიერ განსაწიერებული ქართველი დედის განუმეორებელი სახე. დაჯილდოვებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით.

ჩ ხ ე ი ძ ე ნოდარ ბარნაბის ძე. 15. II. 1928, სოფელი ობჩა, ბაღდადის რაიონი — 9. I. 1968, თბილისი.

ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. 1943 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა თბილისში. 1945 წელს შეეიდა უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში კრიტიკისა და ესთეტიკის ისტორიის სპეციალობით. 1955 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს. 1950 წლიდან ნიჭიერი კრიტიკოსი აქვეყნებდა თეორიული ხასიათის წერილებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. სულ ოთხი წიგნისა და რამდენიმე ათეული სამეცნიერო თუ კრიტიკული წერილის შექმნა დასცალდა, მაგრამ ყველა ისინი გამოირჩეიან ღრმა ანალიზითა და პრინციპულობით, მათში კარგად ჩანს ავტორის ერუდიცია და ფართო ჰორიზონტი. იგი გულგრილს არა ტოვებდა არავის და მრავალ საფიქრელს აღუძრავდა მკითხველს.

ნ. ჩხეიძე მშობლიური ლიტერატურისა და სამშობლოს სიყვარულმა ფეხით შემოატარა საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული. სწორედ ამ გრძნობამვე ათქმევინა ამ შესანიშნავ კრიტიკოსს: „როცა მოვკვდები, დამწვით და ჩემი ფერფლი საქართველოს ყველა კუთხეში მოაბნიეთო“. მართალია მისმა ახლობლებმა და კოლეგებმა ეს ანდერძ-სურვილი ვერ აუსრულეს, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ არანაკლებად საპატიო სავანე, დიდუბე არგუნა.

ჩ ხ ე ი ძ ე ნოდარ (ბიჭიკო) გიორგის ძე. 1. IX. 1917, თბილისი — 3. X. 1981, თბილისი.

მსახიობი. დაიბადა პოეტ გიორგი ქუჩიშვილის ოჯახში. 1935 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო სამედიცინო ინსტიტუტში, მაგრამ სამი წლის შემდეგ გადავიდა რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებულ სტუდიაში. 1939 წელს შეიქმნა თეატრალური ინსტიტუტი და ეს სტუდიაც მას შეუერთდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ნ. ჩხეიძე მიიწვიეს რუსთაველის თეატრში მსახიობად, სადაც დაჰყო 1963 წლამდე.

მსახიობის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია გიქო (გ. სუნდუკიანის „პეპო“), ჩინჩახოვი (კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“), ფილიპო (კ. გოლდონის „საპატარძლო აფიშით“), ვახტანგ ორბელიანი (ს. შანშიაშვილის „კრწანისის გმირები“), კურჩაევი, ნეზნამოვი (ა. ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, „უდანაშაულო დამნაშავენი“), ჰამლეტი, ედგარი, როდრიგო (უ. შექსპირის „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“, „ოტელო“), ფრანც მოორი(ფ. შილერის „ყაჩაღები“), ცრუ დიმიტრი (ა. პუშკინის „ბორის გოდუნოვი“), ტირეზია (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“) და სხვა მრავალი. ყველა ამ როლს აჩნია მსახიობის დიდი ნიჭიერება და მკვეთრი ინდივიდუალობა. მაგრამ იგი მხოლოდ მსახიობი როდი იყო. მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე წარმატებით სარგებლობდა მის მიერ დადგმული ვაჟა-ფშაველას „სათაგური“.

თეატრში მოღვაწეობის პარალელურად ნ. ჩხეიძე მუშაობდა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში რეჟისორად, შემდეგ სამხატვრო ხელმძღვანელად. ამ დრამატულ წრეში მისი ხელმძღვანელობით აღიზარდნენ დღეს თეატრალური ხელოვნების საამაყო მსახიობები: რამაზ ჩხიკვაძე, თენგიზ არჩვაძე, ოთარ მეღვინეთეხუცესი, ლანა ღოღობერიძე, გურამ საღარაძე, რევაზ თავართქილაძე და სხვ. ნიჭიერმა მსახიობმა და მაღალი გემოვნების რეჟისორმა დიდი ამაგი დასდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამატულ წრესაც, რომლის საქმიანობას წლების მანძილზე წარმართავდა და თავისი წარუშლელი კვალი აქაც დატოვა.

ნ. ჩხეიძეს 1966 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ჩ ხ ე ი ძ ე უშანგი ვიქტორის ძე. 28. XI. 1898, სოფელი ფუთი, ზესტაფონის რაიონი — 1. XII. 1953, თბილისი.

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. მიაბარეს ზესტა-

ფონის კერძო სკოლაში. 1918 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ისტორიის განხრით. პარალელურად მეცადინეობდა რეჟისორ გ. ჯაბადარის თეატრალურ სტუდიაში.

სცენამ უშანგი ჯერ კიდევ სიყმაწვილეში მონუსხა. ნიჭიერი ახალგაზრდა მონაწილეობდა მოსწავლეთა წარმოდგენებში, ხოლო თბილისში უკვე აქტიურად ჩაება ე. წ. „ავჭალის აუდიტორიასთან" მოქმედ მუშათა თეატრში, ავლაბრის თეატრში და სხვ.

1921 წელს მოღვაწეობა დაიწყო რუსთაველის თეატრში. აქ შეხვდა კოტე მარჯანიშვილს და სამუდამოდ დარჩა მისი ხელოვნების თაყვანისმცემელი. იგი გახდა იმ სპექტაკლების ტონისმიმცემი, რომელიც დიდმა რეჟისორმა დიდი მსახიობის მონაწილეობით შექმნა.

უ. ჩხეიძის ლეგენდარული შემოქმედება სულ რაღაც 15 წელს მოიცავს, მაგრამ ამ გენიალურმა მსახიობმა შედარებით მოკლე დროში დაუვიწყარი სახეები შექმნა. ...ჰამლეტი, ურიელ აკოსტა, ყვარყვარე თუთაბერი, ინკუბუსი („ლატავრა"), თორღაი („ლამარა"), გოდუნი („რღვევა"), იაგო („ოტელო"), კვეენაძე („კაკალ გულში") ფრანჩესკო ჩენჩი („ბეატრიჩე ჩენჩი"), კარლ ტომასი („ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ")...

აი უშანგი ჩხეიძის მიერ შესრულებული როლების არასრული ნუსხა, რომლებითაც გაამდიდრა დიდმა ხელოვანმა ქართული თეატრის ისტორია. ბრწყინვალე და ღრმად მოაზროვნე შემოქმედი მსახიობის ბიოგრაფები ერთხმად აღნიშნავენ მის „წვას" ყოველ შესრულებულ როლში. უაღრესმა დაძაბულობამ, უძილო ღამეებმა, ენერგიის უზომო ხარჯვამ შეარყია მსახიობის ჯანმრთელობა. მას ერთგვარი შიში დასჩემდა. იგი იძულებული გახდა ჩამოშორებოდა აქტიურ თეატრალურ ცხოვრებას, მაგრამ სულიერად არ გაჰტყდარა. წერდა ლექსებს, სტატიებს სასცენო ხელოვნებაზე, დაგვიტოვა მეტად საინტერესო მოგონებები გამოჩენილ კოლეგებზე. მასვე ეკუთვნის ისტორიული დრამა „გიორგი საკაძეზე", რომელიც წლების მანძილზე დიდი წარმატებით იდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრში. უ. ჩხეიძემ დაგვიტოვა შესანიშნავი ნაშრომი „კოტე მარჯანიშვილი — რეჟისორი და ხელმძღვანელი", აგრეთვე „მოგონებები და წერილები", რომელიც მეტად საინტერესო მასალებს გვაწვდის ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაზე.

დიდმა მსახიობმა თავისი კვალი დატოვა ქართულ კინოშიც. შესრულებული აქვს ლუი რუ „კომუნარის ჩიბუხში", ნიკო „ქარიშხლის წინ" და იულონი „ნარინჯის ველში".

მსახიობი მწვავედ განიცდიდა საყვარელი საქმისაგან ასე უდროოდ მოწყვეტას, რაც გამოხატა თავის ერთ ლექსში: „რამდენი სიტყვა დამრჩა უთქმელი, ანდა სიმღერა რამდენი გრძნობის, რამდენი სახე ხორცშეუსხმელი, რამდენი ქარგა განზრახულ როლის“.

ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი ივანე ნოეს ძე. 16. IX. 1910, ბათუმი — 7. XI. 1991, თბილისი.

არქიტექტორი. შ. რუსთაველის და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. 1933 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი. 1955 — 1958 წწ. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანია. 1959 წელს დაინიშნა თბილისის მთავარ არქიტექტორად. იგი 13 წლის განმავლობაში თავდადებით ემსახურა ქალაქმშენებლობის ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა და შეიქმნა საცხოვრებელი სახლების ტიპიური სექციები. 1962 — 1980 წწ. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეა.

ი. ჩხენკელის პროექტებით საქართველოში აგებულია არაერთი საინტერესო შენობა, რომელმაც მის ავტორს სამუდამოდ დაუმკვიდრა საპატიო ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საცხოვრებელი სახლები დავით აღმაშენებლისა და მეგობრობის პროსპექტებზე, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონტერცო დარბაზი და სხვა. ი. ჩხენკელი მუდამ ცდილობდა უშუალო, შემოქმედებითი კონტაქტები ჰქონოდა მემკვიდრეობასთან. ამის ნათელი მაგალითია თბილისში რუსთაველის პროსპექტზე კავშირგაბმულობის სახლის რეკონსტრუირებული ფასადი. გამოჩენილი ხუროთმოძღვარის ძალისხმევით და უშუალო მონაწილეობით კოლეგებთან ერთად, 1949 წელს შესწავლილი და ფიქსირებული იქნა კახეთის ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშები. არქიტექტორმა დიდი ენერგია შეალია თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შედგენას, რომელიც დღესაც მოქმედებაშია.

პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთადივანე ჩხენკელი 1944 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე. წლების მანძილზე იყო კათედრის გამგე და პროფესორი. საგმის ღრმა ცოდნა, ფართო განათლება, დიდი პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიონალიზმი და მომთხოვნელობა, რომელიც შერწყმული იყო მის ადამიანურ თვისებებში, ღვაწლმოსილი არქიტექტორის ლექციებს ყოველთვის საინტერესოსა და მიმზიდველს ხდიდა.

ივანე ჩხენკელი იყო იშვიათი ადამიანური თვისებებით შემკული

პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ივანე ჩხენკელი 1944 წლი-პიროვნება. დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ხელს უწყობდა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინა მრავალრიცხოვან კოლეგათა და მეგობართა შორის. დაჯილდოვებული იყო ორი შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით, 1961 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე ნოე ალექსის ძე. 18. VII. 1883, სოფელი დიდი ჯიხაიში, სამტრედიის რაიონი — 24. V. 1920, თბილისი.

პოეტი. დაამთავრა ფოთის საქალაქო სასწავლებელი და შეავიდა მოსკოვის შანიავსკის ინსტიტუტში. აქ სულ ერთი წელი დაჰყო, დაბრუნდა სამშობლოში და აქვეყნებდა წერილებს ხელოვნებაზე. ამავე დროს დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობაც. ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში, დაუახლოვდა რევოლუციურ-დემოკრატიულ მწერლობას. იყო აქტიური პროპაგანდისტი, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში: „ფონი“, „ერთობა“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“ და სხვ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ენათესავებოდა ეროვნულად მოაზროვნე ჯგუფს.

ნ. ჩხიკვაძის მსოფლმხედველობა აისახა მის ლიტერატურულ შემოქმედებაში, ლექსებში, კრიტიკულ წერილებში. იგი იმედით ავსებდა განწირულ ადამიანთა ცხოვრებას, მოუწოდებდა ბრძოლისა და თავისუფლებისაკენ. ამით აიხსნება მისი იმდროინდელი პოპულარობა. განსაკუთრებული აღიარება ხვდა პოეტის ლექსს „№-2“, რომელშიც გადმოცემულია იმ პერიოდის ქართული საზოგადოების ბუნება-განწყობილების მოტივები.

ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს თაოსნობით 1920 წლის 30 მაისს ამაგდარი მოღვაწე დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. სიტყვები წარმოთქვეს მწერალთა კავშირის სახელით ალ. პაპავამ, გ. ქუჩიშვილმა, ლევან ნათაძემ, იოსებ იმედაშვილმა და სხვებმა.

ც ა ბ ა ძ ე გიორგი გაბრიელის ძე. 24. VIII. 1924, თბილისი — 30. XI. 1986, გორი.

კომპოზიტორი. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიციო კლასი. მუშაობდა ფილარმონიაში, საქართველოს ტელევიზიაში. 1973 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საესტრადო სასწავლებელში. მაგრამ მისთვის მთავარი და უპირველესი იყო მუსიკა.

...ჯერ კიდევ 1943 წელს, სამამულო ომის უმძიმეს ზამთარში, თბილისის 27-ე სკოლაში სრულიად ახალგაზრდა თენგიზ აბულაძემ

დადგა ვალერიან გუნიას პიესა „და-ძმა“. სპექტაკლი, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა, მუსიკალურად გააფორმა, ასევე სრულიად ახალგაზრდა გოგი ცაბაძემ. ასე გადადგეს პირველი მორიდებული ნაბიჯები მომავალში გამოჩენილმა რეჟისორმა და კომპოზიტორმა.

გიორგი ცაბაძემ ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული მუსიკის პოპულარული ჟანრების აღმავლობა-განვითარებას. მისი შემოქმედებითი მადლი ერთნაირი სიყვარულით მოეფინა ქართულ ესტრადას და მუსიკალურ კომედიას, კინომუსიკას და სიმღერას. შეუდარებელი პოპულარობა მოუპოვა კომპოზიტორს სიმღერებმა: „მთაწმინდის მთვარე“, „თბილისური მუხამბაზი“, „ქუჩა-ქუჩა“, „მეფაიტონე“ და სხვა მრავალი. მის მუსიკაში, განსაკუთრებით სიმღერებში, ფართოდაა გაშლილი თბილისის თემა და გასაკვირი როდია, რომ გიორგი ცაბაძე საპატიო თბილისელად აირჩიეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპოზიტორის მუსიკალური კომედიები, ოპერეტები და მიუზიკლები. იგი ამ რთული ჟანრის 20-მდე ნაწარმოების ავტორია — „სიმღერა სიყვარულზე“, „ჩვენი ნაცნობები“, „ტრფობის ბადეში“, „კურკას ქორწილი“, „იეთიმ გურჯი“, „მეტეხის ჩრდილში“, „შესანიშნავი სამეული“, „იტალიური რომანი“ და სხვ. ბევრი მათგანი საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში იდგმებოდა.

ახალ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს ქართული მიუზიკლის განვითარებაში გიორგი ცაბაძის შესანიშნავი მუსიკა კინოფილმ „ვერის უბნის მელოდიებში“. ყოველივე ამან ჭეშმარიტ სახალხო კომპოზიტორად აქცია იგი.

ნაღდმა თბილისელმა, ლამაზი სიცოცხლით იცხოვრა და ასევე ლამაზად დაასრულა იგი შემოქმედებითი წვის დროს, საავტორო საღამოს შემდეგ.

გიორგი ცაბაძეს 1973 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, დაჯილდოვებული იყო ხალხთა მეგობრობისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ცაიშვილი სარგის სოლომონის ძე. 20. XII. 1929, თბილისი — 18. V. 1992, თბილისი.

ლიტერატურათმცოდნე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი. დაიბადა ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარის სოლომონ ცაიშვილის ოჯახში და იმთავითვე განისაზღვრა მისი მომავალი ინტერესები და პროფესია. 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და სწავლა გააგრძელა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში. ამავე პერი-

ოდში იწყება მისი, როგორც მწერლისა და მეცნიერის მოღვაწეობა. აქვე გახდა იგი ამ აღიარებული ინსტიტუტის დირექტორი.

ფართოდაა ცნობილი ს. ცაიშვილის შრომები (მონოგრაფიები თე ცალკეული წერილები), როგორც ძველი ქართული მწერლობის შესახებ, ასევე რუსთველოლოგიაში, 1964 წლიდან იყო ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ჯერ თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ მეცნიერ-რედაქტორი.

სარგის ცაიშვილის კალამს ეკუთვნის გამოკვლევები და ესეები იაკობ ცურტაველზე, დავით გურამიშვილზე, ვახტანგ VI-ზე, ბესიკზე, იოსებ ტფილელზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ილია ჭავჭავაძეზე, ვაჟა-ფშაველაზე, ნიკო ლორთქიფანიძეზე, გალაქტიონ ტაბიძეზე, გერონტი ქიქოძეზე, კონსტანტინე გამსახურდიაზე, სიმონ ჩიქოვანზე, ლევან გოთუაზე და სხვ. მისი მრავალი ნაშრომი თარგმნილია უცხო ენებზე. გამოჩენილი კრიტიკოსისა და მეცნიერის ღვაწლი აღინიშნა 1977 წელს საქართველოს მწერალთა კავშირისა და 1989 წელს კ. კეკელიძის პრემიებით.

ს. ცაიშვილი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. დიდი ღვაწლი დასდო ქართული ენციკლოპედიის შექმნას, დააარსა ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", იყო მისი მთავარი რედაქტორი. თავის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას უანგაროდ ახმარდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას, წლების განმავლობაში იგი ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის უცხო ენების ინსტიტუტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც 1986 წლიდან გარდაცვალებამდე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ხელმძღვანელობდა.

სარგის ცაიშვილი დიდ მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად იყო შესანიშნავი სპორტსმენი-ალპინისტი, სპორტის ოსტატი, საქართველოს ალპინისტთა ფედერაციის პრეზიდენტი.

ცაიშვილი სოლომონ მაქსიმეს ძე. 26. II. 1900 სოფელი ცაიში, ზუგდიდის რაიონი — 21. XI. 1957, თბილისი.

მკვლევარი, პუბლიცისტი. დაამთავრა ქუთაისის პირველი გიმნაზია, უსახსრობის გამო სწავლის გაგრძელება ვერ შესძლო, დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და დაიწყო მასწავლებლობა. 1926 წელს ს. ცაიშვილი გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის თანამშრომელია, მალე გადადის მასწავლებლად სოფელ პატარძეულში. 1932 წლიდან მოღვაწეობას იწყებს პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, მოგვიანებით — ქართული ლიტერატურის მუზეუმში.

ს. ცაიშვილი იკვლევდა მშობლიური მწერლობისა და პედაგოგიკის საკითხებს. მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიები: „ნიკო ავალი-

შვილი, „პეტრე ჭარაია“, „სახალხო განათლების მოღვაწეები“, „ნიკო დადიანი“, „უიარაღო“, „ეკატერინე გაბაშვილი“ და სხვა მრავალი. მკვლევარმა გამოავლინა მანამდე უცნობი მასალები ს. დოდაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, დ. ყიფიანის, ა. ლაისტის ლიტერატურულ მემკვიდრეობასა და მოღვაწეობაზე. აღსანიშნავია, რომ მისი რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით გამოიცა იონა მეუნარგიას „ქართველი მწერლების“ ორი ტომი. საზოგადო მოღვაწეს იონა მეუნარგიას, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ს. ცაიშვილის, როგორც მკვლევარისა და მოქალაქის ფორმირებაზე, მადლიერმა მოსწავლემ საგანგებო მონოგრაფია უძღვნა.

ამის გარდა, ს. ცაიშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდიკაში, სადაც დაბეჭდა 600-ზე მეტი გამოკვლევა, წერილი, ნარკვევი, ლიტერატურის, პედაგოგიკისა თუ ჩვენი ეროვნული ფოლკლორის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მადლიერმა ქართველმა ხალხმა 1989 წელს ამაგდარ მოღვაწეს მშობლიურ სოფელში სახლ-მუზეუმი გაუხსნა.

ცეცხლაძე ვლადიმერ ყარამანის ძე. 1880, სოფელი შემოქმედი, ოზურგეთის რაიონი — 1929, თბილისი.

ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. დაამთავრა სემინარია და უმაღლესი განათლების მისაღებად ხარკოვში გაემგზავრა. აქ მან 1907 წელს ფრიადზე დაასრულა ვეტერინარული, ხოლო 1912 წელს სამედიცინო ინსტიტუტი. თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ნორმალური ანატომიის კათედრაზე ასისტენტად, ეწეოდა კვლევით საქმიანობას, რისთვისაც მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიწვიეს ლექტორად. თავისი ძირითადი საქმიანობის პარალელურად ვ. ცეცხლაძე დაუცხრომლად იღვწოდა ჩვენის რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურის განვითარებისათვის, რაც მას სამართლიანად მიაჩნდა კეთილშობილურ ეროვნულ საქმედ. იგი უთუოდ მეტს გააკეთებდა, მაგრამ არ დასცალდა. გარდაიცვალა შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ასაკში.

ციმაკურიძე ალექსანდრე გრიგოლის ძე. 5. IV. 1882, სოფელი ქვიშხეთი, ხაშურის რაიონი — 24. V. 1954, თბილისი.

ფერმწერ-პეიზაჟისტი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. ხაშურის დაწყებითი სარკინიგზო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გრავიორს მიაბარეს შეგირდად; სწავლა განაგრძო კავკასიის ნატიფი ხელოვნების ხელშეწყობის სკოლაში ბ. ფოგელთან და ო. შმერლინგთან; შემდეგ გაემგზავრა. მოს-

კოვში და ჩაირიცხა კ. იუონის სტუდიაში. მოგვიანებით სტროგანოვების ცენტრალურ სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელში, ხოლო 1906 წელს აქვე განაგრძო სწავლა ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სკოლაში, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ცნობილი მხატვრები: ნ. კასატკინი, ლ. პასტერნაკი (გამოჩენილი პოეტის მამა) და ა. ვასნეცოვი, რომელიც პეიზაჟის სპეციალურ კურსს კითხულობდა. ამ უკანასკნელმა დიდი გავლენა იქონია ბომავალ ხელოვანზე.

1922 წლიდან ა. ციმაკურიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში, ჯერ მ. თოიძის სტუდიაში, ხოლო 1930 წლიდან სამხატვრო აკადემიაში.

გამოჩენილი ფერმწერი თანამედროვე ქართული პეიზაჟური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელია. კარგადაა ცნობილი მის ნამუშევართა სერია, რომელშიც შემოქმედი დიდი სიყვარულითა და განცდით გადმოგვცემს მშობლიური მხარის პეიზაჟებს. ამასთანავე იყო შესანიშნავი კოლორისტი. საქართველოს ხელოვნებისა და თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში ინახება მისი შესანიშნავი ნამუშევრები: „ქვიშხეთის მიდამოები", „ბორჯომის ხეობის დასაწყისი", „მზიანი დღე", სერია „ძველი თბილისი", „ქართლის ველი" და სხვ. მშობლიური პეიზაჟის მეხოტბემ აღზარდა ახალგაზრდა მხატვართა მთელი თაობები, რომელთაც უშურველად უზიარებდა თავის ხელოვნებას.

ა. ციმაკურიძის ქმნილებანი გამოირჩეოდა ღრმა პოეტური განწყობილებით, დახვეწილი ოსტატობით, ყოველივე მშობლიურის ღრმა სიყვარულით გამოწვეული დიდი შთაგონებით. გამოჩენილი ხელოვანი დაჯილდოვებული იყო მთავრობის ორდენებით და მედლებით.

ც ი ნ ც ა ძ ე სულხან თევდორეს ძე. 23. VIII. 1925, ქ. გორი — 15. XI. 1991, თბილისი.

კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი. ჭაბუკობიდანვე ეწეოდა მუსიკოსის აქტიურ ცხოვრებას — თბილისში დაეუფლა ჩელოზე დაკვრას, შემდეგ კომპოზიციას. 1942 — 1944 წწ. ჩელოზე უკრავდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში, შემდეგ საქართველოს სიმებიან კვარტეტში. 1950 წელს დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია პროფესორ ს. კოზოლუპოვის ხელმძღვანელობით, ხოლო 1953 წელს აქვე პროფესორ ს, ბოგატირიოვთან საკომპოზიციო კლასით ასპირანტურა.

ს. ცინცაძის შემოქმედება გამოირჩევა იშვიათი ნაყოფიერებით — თითქმის არ არსებობს მუსიკალური ჟანრი, რომ მას არ ეთქვას თა-

ვისი სიტყვა, ამასთან კომპოზიტორის ყველა ნაწარმოები იმსახურებს საგანგებო ყურადღებას. აღსანიშნავია მისი ოპერები („ოქროს საწმისი", „განდეგილი"), ბალეტები („ცისფერი მთის საუნჯე", „ღემონი", „ანტიკური ესკიზები", „დალი და მონადირე", „რივარესი"), მუსიკალური კომედიები, ოპერეტები („აბლაბუდა", „სიმღერა ტყეში", „შვეიკი, შვეიკი, შვეიკი"), მუსიკა დრამატული სპექტაკლებისა („დონ სეზარ დე ბაზან" და „ესპანელი მღვდელი" რუსთაველის თეატრში: „ტაიფუნი" და „სიყვარულით არ ხუმრობენ" მარჯანიშვილის თეატრში; „ვენეციელი ვაჭარი" და „თოლია" სოხუმის ქართულ თეატრში) და კინოფილმებისათვის („ჭრიჭინა", „ბაშიაჩუკი", „განძი", „ზღვის ბილიკი", „თოჯინები იცინიან", „ჯარისკაცის მამა" და სხვ.). განსაკუთრებულ წარმატებას ს. ცინცაძემ მიაღწია სიმფონიურ და კამერულ ჟანრებში. იგი ოთხი სიმფონიის, ინსტრუმენტული კონცერტების ჩელოსა და ორკესტრის, ვიოლინოსა და ორკესტრის, ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის და კამერული მუსიკის მრავალრიცხოვანი საორკესტრო ნაწარმოებების ავტორია. აღსანიშნავია აგრეთვე ცალკე ნაწარმოებები ფორტეპიანოს, ჩელოსა და ფორტოპიანოს, ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, მაგრამ ამათგან მაინც გამორჩეულია მისი საკვარტეტო მინიატურები, რომლებიც წითელ ზოლად გასდევს კომპოზიტორის შემოქმედებას, ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიო საკვარტეტო ხელოვნების კლასიკურ ფონდში.

მიუხედავად იმისა, რომ ასე ფართოა ს. ცინცაძის შემოქმედებითი პალიტრა, იგი ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. თითქმის 20 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის კონსერვატორიას, 1979—1990 წწ. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს თავკაცობდა, მონაწილეობდა არა ერთ საერთაშორისო კონკურსში ჟიურის წევრად. გამოჩენილი კომპოზიტორი, საქართველოს სიყვარულით გულანთებული ხელოვანი, დაჯილდოვებული იყო რუსთაველის, ზაქარია ფალიაშვილისა და სსრკ სახელმწიფო პრემიებით, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით; მინიჭებული ჰქონდა პრაღის, ვარშავისა და მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატის წოდება, არჩეული იყო აგრეთვე ნიუ-ინგლენდის მეტად პრესტიჟული მუსიკალური აკადემიის წევრად.

ციციშვილი დავით (დიმიტრი) ნიკოლოზის ძე. 26. X. 1901, ტაშკენტი — 5. XI. 1986, თბილისი.

ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს სახალხო მხატვარი. დაიბადა სამხედრო პირის ოჯახში, ამიტომაც ჭრელია მისი გიმნაზისტობის „გეოგრაფია". ელიზავეტპოლი (ახლანდელი განჯა), კრონშტად-

ტი, პეტერბურგი და საბოლოოდ თბილისი, სადაც 1918 წელს დაამთავრა ვაჟთა მე-4 გიმნაზია. შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო-მექანიკურ ფაკულტეტზე, მაგრამ ნივთიერი გაჭირვების გამო მეოთხე კურსიდან თავი დაანება სწავლას და დაიწყო მუშაობა მხატვრად მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატში, სადაც იღებდა ასლებს კუსტარული მრეწველობის განყოფილებაში. აქედან მოყოლებული თავის საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირა ხალხურ თვითშემოქმედებას — მუშაობდა მუზეუმებში და გახდა ხალხური რეწვის ერთ-ერთი თვალსაჩინო სპეციალისტი საქართველოში. წარმოებიდან მოუწყვეტლივ 1927 წელს შევიდა და 1931 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტის პროფესორ ი. შარლემანის კლასით. იგი იყო ხალიჩების, ქარგვის, კერამიკის, ემალის, ლითონის და ხის მხატვრული დამუშავების თვალსაჩინო სპეციალისტი და ავტორიტეტული ექსპერტი მთელს კავკასიაში.

1927 — 1939 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მთავარი მხატვარია, მოწყობილი აქვს არა ერთი გამოფენა. 1935 წელს მიიწვიეს სამხატვრო აკადემიაში, სადაც ასწავლიდა გრაფიკას, ქსილოგრაფიას, ლითოგრაფიას, გრაფიკული ხელოვნების ისტორიას, კომპოზიციას, 1959 წელს აპ. ქუთათელაძესთან ერთად თბილისის სამხატვრო აკადემიაში დააარსა გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი; ააღორძინა ქართული ხალხური შემოქმედების მრავალი მივიწყებული დარგი. მაგალითად ტიხრული მინანქრის, ლურჯი სუფრისა და ძველი ქართული ფერადი დაჩითვის ტექნოლოგია. მას ეკუთვნის აგრეთვე ბარბიუსის, გრიბოედოვის, ს. აინის, ა. ბელიაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებების მაღალ დონეზე შესრულებული ილუსტრაციები. დ. ციციშვილმა შეკრიბა, დაამუშავა და გამოაქვეყნა „ხალხური რეწვის ტერმინოლოგია". დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით.

ციციშვილი თამარ იოსების ასული. 19. XII. 1908, ოდესა — 1. IX. 1988, თბილისი.

კინომსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და მიიწვიეს კინოსტუდიაში.

მსახიობის პირველი დიდი ნამუშევარი იყო რეჟისორ სიკო დოლიძის ფილმში „დარიკო", რომელმაც სამუდამოდ დაუმკვიდრა სახელი და დიდება ჯერ კიდევ ახალგაზრდა კინოვარსკვლავს. ამას მოჰყვა დასამახსოვრებელი ეკრანული სახეები: ნესტანი („ქაჯეთი");

მარო („დაგვიანებული სასიძო“), აგრონომი თამარი („მეგობრობა“), თავადის ქალი („დავით გურამიშვილი“), დედა („აკაკის აკვანი“), ელენე („ბედნიერი შეხვედრა“), დარეჯანი („ორი ოჯახი“), თარაშ ემხვარის დედა („მთვარის მოტაცება“), მარიამი („შავი მერცხალი“) და მრავალი სხვა.

თ. ციციშვილის ნიჭს ამკობდა სულიერი სისპეტაკე და გამორჩეული ქართული იერი, რაც არაერთი მხატვრის შთაგონების წყარო შეიქმნა. ასე გაჩნდა ლ. გუდიაშვილის, ი. გრაბარის, მოსე და ირაკლი თოიძეებისეული თამარ ციციშვილის პორტრეტები.

ქალბატონი თამარი თეატრშიც მუშაობდა. 1949—1950 წლებში მან კ. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე შექმნა დასამახსოვრებელი სახეები.

სიცოცხლის ბოლო წლებში იგი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა — ხშირად ხვდებოდა მაყურებლებს, გამოდიოდა საღამოებზე.

თამარ ციციშვილის არსებობა-მოღვაწეობა თავისთავად იყო განძი — ქართველი ქალის მშვენიერების და კდემამოსილების, ბოლო დღეებამდე, რომ ალამაზებდა თბილისის ქუჩებს.

ციციშვილი — კობახიძე ელენე შალვას ასული. 17. IV. 1914, თბილისი — 22. XII. 1984, თბილისი.

მსახიობ პიერ კობახიძის მეუღლე. 1938 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. იყო დიასახლისი.

ცომაია ნადეჟდა ათანასეს ასული. 18. I. 1904, ქუთაისი — 29. XI. 1974, თბილისი.

მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი. საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო და აქვე პარალელურად სწავლობდა სიმღერას მუსიკალურ ტექნიკუმში. 1927 წელს შეავიდა თბილისის კონსერვატორიაში, სადაც მისი პროფესორი იყო ო. ბახუტაშვილი — შულგინა.

1929 წელს ახალგაზრდა მომღერალი ჩარიცხეს ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის დასში და მალე წამყვანი პარტიები შეასრულა ოპერებში „დარეჯან ცბიერი“, „შოთა რუსთაველი“, „პიკის ქალი“, „აიდა“ და „კარმენი“. მომღერლის საყოველთაო აღიარებას მოწმობდა ის, რომ იგი მიიწვიეს ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში, სადაც დიდი წარმატებით იმღერა კარმენის, ამნერისის, აზუჩენას, მარფასა და სხვა პარტიები.

1935 წელს, ნ. ცომაია, ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო მეცო-სოპრანო, დაუბრუნდა მშობლიურ თეატრს, სადაც მთელი სიდიადით გაიფურჩქნა მისი შემოქმედებითი ნიჭი. იგი დიდი წარმატებით მღეროდა ქართულ, რუსულ და დასავლეთ ევროპულ კლასიკურ ოპერებში, რითაც სრულიად მართებულად დაიმსახურა მაყურებლისა და მსმენელის საყოველთაო სიყვარული.

1960 წლიდან ნ. ცომაია ჩამოსცილდა აქტიურ სასცენო მოღვაწეობას და დაიწყო პედაგოგობა თბილისის კონსერვატორიაში. აქაც დიდად ნაყოფიერი გამოდგა მისი დაუცხრომელი მოღვაწეობა. მან მრავალი მომღერალი აღზარდა და შემოქმედებითი გზა დაულოცა ხელოვნების ფართო სარბიელზე.

ცქეიტი (ხახუტაშვილი) ანა ანტონის ასული. 1886, სოფელი მეჯვრისხევი, გორის რაიონი — 2. IX. 1960, თბილისი.

საბავშვო მწერალი. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში. მაგრამ მალე რევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის დაითხოვეს სამსახურიდან. 1907 წელს ჟურნალ „ნაკადულში" გამოქვეყნდა ანა ხახუტაშვილის პირველი მოთხრობა „მიტოს გაბედულება". აქედან მოყოლებული, მისი მოთხრობები სისტემატურად იბეჭდებოდა „ცქეიტის" ფსევდონიმით. მას ლიტერატურაში გზა დაულოცა დიდმა აკაკიმ და კარგი მომავალიც უწინასწარმეტყველა. 1909 წელს ნიჭიერ მწერალ ქალს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაუნიშნა სტიპენდია. 1916 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სამშობლოში ჩამოსვლისთანავე დაინიშნა გორის ქალთა გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებლად. მალე გადმოვიდა თბილისში და მუშაობა განაგრძო ქალთა გიმნაზიაში ქართული ენისა და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის მასწავლებლად. 1931 წლიდან ავადმყოფობის გამო ჩამოშორდა პედაგოგიურ საქმიანობას და ეწეოდა ინტენსიურ სამწერლო მოღვაწეობას.

ცქეიტი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ერთგულად ემსახურა ქართული საბავშვო ლიტერატურის კეთილშობილურ საქმეს. მისი მადლიანი ქართულით დაწერილი მოთხრობები მოზარდ თაობას უნერგავდა სწავლისა და წიგნის სიყვარულს, პატივისცემას მშობლებისა და აღმზრდელებისადმი, სიკეთისაკენ მისწრაფებას, სამშობლოს სიყვარულის წმინდა გრძნობას. თავად უაღრესად პატიოსანი და ზნეკეთილი, ამ თვისებებს შთააგონებდა ბავშვებს. მისი მოთხრობები გამოცემულია ცალკე წიგნებად. მწერლის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ისტორიული რომანი „იოსებ ლაღიაშვილი", რომელიც რუსულადაც გამოიცა.

ცქიფურიშვილი მელიტონ სტეფანეს ძე. 1884, სოფელი სიმონეთი, ზესტაფონის რაიონი — 16. VI. 1927, კასპი.

ორთქლმავლის მემანქანე. მუშაობდა რკინიგზის სახელოსნოში. ახალგაზრდობისთანავე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. შემდეგ საორთქლმავლო დეპოშია და დიდი პატივისცემით სარგებლობდა, როგორც გამოცდილი მემანქანე. მან ერთხელ თავიდან აიცილა დიდი ავარია და მრავალი მგზავრი იხსნა დაღუპვისაგან, როცა სხვისი დაუდევრობით მის მიერ მართული შემადგენლობა ეჯახებოდა მძიმეწონიან საბარგო მატარებელს, მან შეძლო სულ რამდენიმე მეტრში შეეჩერებინა ორთქლმავალი, რითაც დაიმსახურა მგზავრთა და ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობის სამართლიანი მადლობა.

თავისი შრომითი საქმიანობის უკანასკნელ და საბედისწერო დღეს მ. ცქიფურიშვილს სადგურ კასპში სამუხრუჭე სისტემის შემოწმებისას გაუსკდა ორთქლმავლის ქვაბი და იმსხვერპლა იგი.

ცხვედაძე ნიკო ზებედეს ძე. 8. I. 1845, სოფელი სოკინი, ცხინვალის რაიონი — 30. X. 1911, თბილისი.

პედაგოგი. პირველდაწყებითი განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო საშუალო აქვე სასულიერო სემინარიაში; 1865 — 1869 წლებში სწავლობდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ პედაგოგობდა თბილისის ქალთა ინსტიტუტში და წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში. აქ იგი დაუახლოვდა ი. ჭავჭავაძეს, დ. ყიფიანს, ი. გოგებაშვილს და, 40 წლის მანძილზე დაუღალავად, უანგაროდ ემსახურებოდა თავის საყვარელ ქვეყანას. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელი, მისი წესდების პროექტის ავტორი და გამგეობის წევრი, 1899 — 1907 წლებში კი ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. 1877 წელს, სახალხო განათლების ორგანიზაციისა და მეთოდიკის გაცნობის მიზნით იმოგზაურა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი მალე გამოაქვეყნა „ივერიაში". მისი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით გაიხსნა ქართული სკოლები ბაქოში, კავკავში, ბათუმში. თვითონ მასწავლებლობდა ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი 27 წელი იმუშავა თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში, საიდანაც 1900 წელს გავიდა პენსიაზე.

პედაგოგიკის დარგში დიდი და სერიოზული ღვაწლის მიუხედავად, ნ. ცხვედაძის სტიქია მაინც საზოგადოებრივი მოღვაწეობა იყო. იგი შეეჭიდა არარსებული ქართული უნივერსიტეტისათვის შენობის

აგების იდეას, რამაც ეს უანგარო მოღვაწე საზოგადოების გარკვეული ნაწილის თვალში დაცინვის ობიექტათაც კი აქცია. მაგრამ იგი, იობის მოთმინებით იტანდა ყოველივეს და მაინც აღისრულა წადილი. მის მიერ აგებულ შენობაში დღეს მკვიდრად დგას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დაკრძალვის დღეს აკაკი წერეთელმა ასე შეაფასა განსვენებულის ღვაწლი: „ნეტავი იმას, ვინც საზოგადო მოღვაწის სახელი სიცოცხლეშივე მოიპოვა და სიკვდილის შემდეგაც კვალი დატოვა".

ძ ა გ ნ ი ძ ე ვარლამ (ვალიკო) დავითის ძე. 1912, ბაქო — 5. II. 1967, თბილისი.

მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი. 1937 წელს წარჩინებით დაამთავრა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრალური სტუდია და მუშაობდა ჯერ მოზარდ მაყურებელთა, ხოლო 1945 წლიდან მარჯანიშვილის თეატრში. პარალელურად მოღვაწეობდა კინოში და ესტრადაზე. იგი იყო ქართული საესტრადო მუსიკის ერთ-ერთი ნოვატორი, შექმნა 100-ზე მეტი სიმღერა, რომლებიც დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობენ. თავადაც შესანიშნავი მომღერალი იყო. ძაგნიძისა და ჩხიკვაძის საესტრადო ვოკალურმა დუეტმა და მათმა ხელოვნებამ დიდად შეუწყო ხელი ჩვენში ამ ჟანრის განვითარებას. საქართველოში დღესაც სიამოვნებით ისმენენ მათი ხალასი, მაღალი გემოვნებით შესრულებულ მელოდიურ სიმღერებს, რომლებმაც სამუდამოდ დაიმკვიდრეს საპატიო ადგილი ქართული ესტრადის ისტორიაში.

ძ ნ ე ლ ა ძ ე დავით (დუდე) ყარამანის ძე. 1. XI. 1889, ხაშური — 12. XII. 1971, თბილისი.

რეჟისორი. დაწყებითი განათლება ხაშურში მიიღო. სწავლობდა თბილისის რეალურ, ხოლო შემდეგ მოსკოვში, კომერციულ სასწავლებელში. გაიტაცა თეატრალურმა ცხოვრებამ, რამაც განაპირობა მისი მომავალი საქმიანობა. მან მთელი შეგნებული ცხოვრება თეატრს დაუკავშირა.

1913 წელს დაბრუნდა სამშობლოში და წარმართა ხაშურის სცენისმოყვარეთა წრის მუშაობა, როგორც მსახიობმა და რეჟისორმა. შემდეგ მისი მოღვაწეობის ასპარეზია ქუთაისი, თბილისი, აჭარა და კვლავ ხაშური. აქ დ. ძნელაძემ პირველად დადგა უ. ჰაჯიბეკოვის ოპერეტა „არშინ მალ-ალან".

1927 წელს დ. ძნელაძე მიავლინეს სოხუმში, სადაც დააარსა ქართული თეატრი. მალე იგი კ. მარჯანიშვილმა ქუთაისის თეატრში ჩამოიყვანა მსახიობად. პარალელურად მონაწილეობს ქართულ კინო-

ფილმებში: „იბრაგიმ და გოდერძი“, „ჯანყი გურიაში“, „ღრუბელთა თავშესაფარი“ და სხვ.

დუდე ძნელაძე თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელია. იგი 18 წლის მანძილზე იყო ამ თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. შემდეგ მოღვაწეობდა საქართველოს ფილარმონიაში და შეთავსებით ეკავა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. სცენაზე განასახიერა 100-ზე მეტი როლი და დადგა 50-მდე სპექტაკლი.

ქართული კულტურის წინაშე გაწეული დიდი სამსახურისათვის დუდე ძნელაძეს 1943 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით.

 წ ე რ ე თ ე ლ ი — ა ბ ა შ ი ძ ე მარგალიტა ყაფლანის ასული. 15. V. 1900, სოფელი პერევისა, ჭიათურის რაიონი — 2. IX. 1979, თბილისი.

ჰაიდარ აბაშიძის მეუღლე.

წ ე რ ე თ ე ლ ი გიორგი ექვთიმეს ძე. 14. V. 1842, სოფელი გორისა, საჩხერის რაიონი — 12. I. 1900, თბილისი.

მწერალი, პუბლიცისტი. დაიბადა შეძლებული ეზნაურისა და სახელმწიფო მოხელის ოჯახში. დედა ადრე გარდაეცვალა და მამა იძულებული გახდა გაეძიძებინა. ასე მოხვდა ყმაწვილი სამეგრელოში, სადაც გაატარა ბავშვობა. საქართველოს ამ განუმეორებელ კუთხეში იგრძნო მან პირველი დედობრივი ალერსი და აქაურმა „მდიდარმა ბუნებამ აღუძრა უკეთესი გრძნობები“. სწორედ ამიტომ აირჩია მან თავის თეატრალურ ფსევდონიმად მეგრული „მაზაკველი“ (მზაკველი-გამთვალავი).

ცოდნის პირველი გაკვეთილები ყმაწვილმა მამისაგან მიიღო. ათი წლის გიორგი მიაბარეს ქუთაისის გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1860 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ფიზიკა-მათემატიკის განხრით. აქ იგი მოწინავე ქართველ სტუდენტთა წრეში ტრიალებდა, მათ ახლო ურთიერთობა აკავშირებდათ ნ. ჩერნიშევსკის ოჯახთან, სადაც იკრიბებოდა მოწინავე ინტელიგენცია.

1861 წელს სტუდენტთა დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის გიორგი ჩასვეს ჯერ პეტრე-პავლეს ციხეში, შემდეგ კი კრონშტადტის საპყრობილეში. მას მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დართეს სწავლის გაგრძელების ნებართვა. მოვალეობით სწავლას მოწყურე-

ბულმა ახალგაზრდამ იმოგზაურა შვეიცარიაში, სადაც ისმენდა ლექციებს ისტორიაში, არქეოლოგიასა და საბუნებისმეტყველო საგნებში.

გ. წერეთელი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა 60-ან წლებში და გახდა თერგდალეულთა ერთ-ერთი ფუძემდებელი, აქტიურად მონაწილეობდა ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისა და სულიერი აღორძინების საქმეში. იყო პედაგოგი (10 წელი იღვაწა), პოეტი, დრამატურგი, თეატრალური კრიტიკოსი, ესთეტიკოსი, ფილოლოგი, ლიტერატურის თეორეტიკოსი, ეკონომისტი, არქეოლოგი, ფოლკლორისტი, ბუნებისმეტყველი, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების თავდადებული მოამაგე. მისი მრავალი თეორიული ხასიათის სტატია, მეცნიერული თუ ლიტერატურული ნაშრომი მიმოფანტულია იმდროინდელ პერიოდიკაში, თავად გამოსცემდა გაზეთ „დროებას", იყო „სასოფლო გაზეთის" რედაქტორ-გამომცემელი, ჟურნალ „კრებულის" რედაქტორი. მეუღლესთან, მწერალ ანასტასია თუმანიშვილთან ერთად დააარსა საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი", 1893 წლიდან საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ-ლიბერალური მიმართულების ყოველკვირეულ პოლიტიკურ, სამეცნიერო და ლიტერატურულ გაზეთს „კვალს", ავითარებდა და ხვეწდა ქართული მწერლობის რეალისტური მიმართულების სტილს.

გ. წერეთელი მხატვრულ ნაწარმოებებში ქადაგებდა ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის მაღალ იდეალებს, გმობდა ადამიანთა მანკიერებას, სისასტიკესა და უზნეობას. მისი ცნობილი თხზულებანი „პირველი ნაბიჯი", „გულქანი", „რუხი მგელი", ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ჩვენი ცხოვრების ყვავილი" ღრმად და რეალისტურად ასახავს იმდროინდელი ქართული საზოგადოების თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხს, მწვავედ განიცდის ქართველი ხალხის პოლიტიკურ და კულტურულ უუფლებობას. სწორედ ამის გამო ქართველი მკითხველი ხარბად ეტანებოდა და ეტანება გამოჩენილი მწერლისა და პუბლიცისტის შესანიშნავ ქმნილებებს.

წ ე რ ე თ ე ლ ი ალექსანდრე (ალიოშა) იოსების ძე. 1. XI. 1889, სოფელი ცხრუკვეთი, ჭიათურის რაიონი — 29. III. 1967, თბილისი.

ისტორიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. სწავლობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, 1910 წელს შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1915 წელს და დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, აქვე კითხულობდა ლექციებს სახალხო უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ სტუ-

დენტობის დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის დიდი იმედების მომცემი ახალგაზრდა დააპატიმრეს, შემდეგ დაუწესეს პოლიციის ზედამხედველობა.

1918 წლიდან ა. წერეთელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ისტორიის კათედრის ასპირანტია, 1922 წელს იგი მიიწვიეს ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის ლექტორად, 1927 წელს აირჩიეს ამ კათედრის გამგედ. შემდეგ თითქმის ოცი წლის მანძილზე უსამართლოდ რეპრესირებული შუა აზიაში გადაასახლეს და მოწყვიტეს ყოველგვარ პედაგოგიურ და მეცნიერულ საქმიანობას.

მხოლოდ 50-ან წლებში დაუბრუნდა მშობლიურ უნივერსიტეტს, სადაც გასაოცარი ენერგიითა და დიდი გატაცებით ემსახურებოდა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ა. წერეთლის, როგორც მეცნიერის მასშტაბურობაზე მოწმობს მისი ნაშრომებისა და მონოგრაფიების მხოლოდ ჩამოთვლაც კი. ღვაწლმოსილი მეცნიერის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი გამოკვლევები ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის ისტორიიდან: „კრეტა-მიკენის საბერძნეთი", „სკოლა და სახალხო განათლება ძველ საბერძნეთში", „სტრაბონის სეისახთეა", „ებრაელთა ძველი ისტორია", „მარკუს ტულიუს ციცერონი", აგრეთვე სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის ქართულ ენაზე. ძველი აღმოსავლეთის (2 ნაწილად, 1925 და 1935 წწ.), ძველი საბერძნეთის (1956, 1958, 1966 წწ.), და ძველი რომის (2 ნაწილად, 1957 და 1961 წწ.) ისტორიაში და სხვ. ყველა ეს ნაშრომი შესრულებულია საქმის დიდი ცოდნით და სამაგიდო წიგნებადაა ქცეული ყველასათვის, სტუდენტი იქნება ეს თუ სწავლული.

ა. წერეთელი იყო მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი აქტიური წევრი.

წ ე რ ე თ ე ლ ი თამარ სიმონის ასული. 1. VIII. 1900, სოფელი სვერი, ჭიათურის რაიონი — 5. IV. 1968, მოსკოვი.

მომღერალი. 1917 წელს ქუთაისში დაამთავრა წმინდა ნინოს სასწავლებელი და სიმღერით გატაცებული ნიჭიერი გოგონა ჩაირიცხა თბილისის კონსერვატორიაში, მაგრამ სწავლა არ დაუმთავრებია. გაემგზავრა მოსკოვში სადაც 1923 წელს კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ახალგაზრდა მომღერლის პირველი კონცერტი, რომელიც იმ ტრიუმფის დასაწყისი გახდა მას თან რომ სდევდა თითქმის ორმოცი წლის შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე.

თ. წერეთლის კონცერტები „პრესტიჟული" იყო საბჭოთა კავშირის უკლებლივ ყველა ქალაქში. მსახიობის მომხიბვლელი კონტ-

ტალტო, ღიღი მუსიკალობა, ზომიერების გრძნობა, შესრულების კეთილშობილური მანერა სამუდამოდ ხიბლავდა მსმენელს. მომღერლის შემოქმედებაზე კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ცნობილმა კომპოზიტორმა და პიანისტმა ბ. პროზოროვსკიმ, რომლის შესანიშნავ რომანსებს „ქარავანი", „დამიბრუნდი" და სხვა, უბადლოდ ასრულებდა საესტრადო ხელოვნების გამოჩენილი ოსტატი.

მართალია, თ. წერეთლის რეპერტუარი ძირითად ძველი რუსული და ბოშური სიმღერებით იყო წარმოდგენილი, მაგრამ მას არასოდეს ღალატობია მშობლიური „სულიკო" და „ციცინათელა", რომელსაც იგი განსაკუთრებული სიყვარულითა და ოსტატობით ასრულებდა. 1958 წელს ღვაწლმოსილ მომღერალს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

წ ე რ ე თ ე ლ ი საკლე ბენედიქტეს ძე. 1. II. 1907 წ. სოფელ ჯვარისა, ამბროლაურის რაიონი — 9. VIII. 1966 წ. თბილისი.

ფილოსოფოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. პირველდაწყებითი განათლება სოფელში მიიღო. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო 1934 წელს ასპირანტურა ფილოსოფიის ისტორიის სპეციალობით. ამავე პერიოდში იწყება მისი პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობაც. აქედან მოყოლებული — თუ არ ჩავთვლით სამამულო ომის წლებს, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა გერმანელი ფაშისტებისა და იაპონელების წინააღმდეგ, — სახელოვანი მეცნიერი დაუცხრომლად იღვწოდა და თავისი ფუნდამენტური ნაშრომებით ამდიდრებდა საქვეყნოდ აღიარებულ ქართულ ფილოსოფიურ სკოლას, რომლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელიც თავად იყო.

ს. წერეთელი 14 წლის მანძილზე სათავეში ედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტს, რომლის შექმნასა და ორგანიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის. იგი იყო მრავალმხრივი მკვლევარი, ფართო დიაპაზონის მეცნიერი, მაგრამ მისი დამსახურება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიალექტიკური ლოგიკის დარგში. მეცნიერის კაპიტალური ნაშრომი „დიალექტიკური ლოგიკა" ერთადერთი სერიოზული გამოკვლევაა საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში. ნაშრომში ღრმად და თანმიმდევრულადაა დამუშავებული დიალექტიკური ლოგიკის ძირითადი პრობლემები.

საკლე წერეთელი ღირსეულად წარმოადგენდა ჩვენს ფილოსოფიურ სკოლას სხვადასხვა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კოლოქვიუმებზე. მისმა ფართო ერუდიციამ, მეცნიერულმა სიღრმემ, ამასთან 35 წლის ტიტანურმა შრომამ, მას შეაქმნევინა ბრწყინვალე

მეცნიერული შრომები, მრავალი ფუნდამენტური მონოგრაფია, რომლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური პრობლემების კვლევის შემდგომ განვითარებას. 1977 წელს ნაშრომისათვის „დიალექტიკური ლოგიკა“ მიენიჭა (გარდაცვალების შემდეგ) საქართველოს სახელმწიფო პრემია. დაჯილდოვებული იყო წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებითა და ოთხი საბრძოლო მედლით.

წულუკიძე მეგი სიმონის ასული. 1. I. 1921, თბილისი — 6. XI. 1993, თბილისი.

მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი. რეჟისორ სიკო დოლიძის მეუღლე. 1938 წელს დაამთავრა ბათუმის საშუალო სკოლა. 1939 წლიდან 1941 წლამდე ცხოვრობდა ხაბაროვსკში და აქვე სწავლობდა სამედიცინო ინსტიტუტში. 1941 წელს დაბრუნდა ბათუმში, საიდანაც დაიწყო მისი თეატრალური ხელოვნებით გატაცება. 1946 წელს სოხუმის დრამატულ თეატრში იწყებს მოღვაწეობას, 1948 — 1949 წლებში ბათუმის სახელმწიფო ფილარმონიაშია, ხოლო 1953 წლიდან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობია.

1954 წელს მეგი წულუკიძე მიიწვიეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. აქ სრულად გაიშალა მისი ნიჭი. გარეგნულ სილამაზესთან, მომხიბვლელობასთან ერთად გამოვლინდა მსახიობის შემოქმედებითი ფანტაზიის შესაძლებლობები, არაჩვეულებრივი ლირიზმით თუ ბოროტებასთან ტრაგიკულ ბრძოლაში ადამიანურ გრძნობათა შენარჩუნების სიმშვენიერე.

მეგი წულუკიძის პირველი ფილმი და პირველი გამარჯვება იყო „ქართველი ბალეტის ოსტატები“. ნიჭიერი მსახიობი დიდი წარმატებებით ქმნის რომანტიკულისა თუ ლირიკული გმირების მდიდარ გალერეას, რომლებიც სრულყოფილებისა თუ მხატვრულობის თვალსაზრისით ძირეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა როლი. იგი ყოველთვის ცდილობდა გმირის სახე მიეტანა მაყურებლამდე გასაოცარი სითბოთი, გაუმხელელი სევდით თუ მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით. სწორედ ეს იყო ამ წარმატებების მიზეზი, რომელიც მსახიობმა მოიპოვა ფილმებში: „ეთერის სიმღერა“, „სხვისი შვილები“, „ფატიმა“, „მე ვიტყვი სიმართლეს“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „აბესალომ და ეთერი“, „პალიასტომი“, „გაქცევა განთიადისას“, „ჟიაკოკონა“ და სხვ.

მეგი წულუკიძე უკანასკნელ წლებში ნაყოფიერად იღვწოდა კინომსახიობთა თეატრის ახალგაზრდულ კოლექტივში, სადაც მეტად

საინტერესო დრამატული სახეები შექმნა. მსახიობის პოპულარობა არ იყო შემთხვევითი. იგი განაპირობა მისმა უტყუარმა ნიჭმა, თეატრისა და კინოსადმი უანგარო თავდადებამ, რომელსაც მადლიერი მაყურებელი უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას მიაგებებდა.

წ უ წ უ ნ ა ვ ა ალექსანდრე რაჟდენის ძე. 16. I. 1881, სოფელი ლიხაური, ოზურგეთის რაიონი — 26. X. 1955, თბილისი.

რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაწყებითი განათლება მიიღო სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ ორი წელი დაჰყო საოსტატო ინსტიტუტში. სრულიად ახალგაზრდა გაიტაცა თეატრმა და მთელი ცხოვრება მის უანგარო სამსახურში გაატარა. იმხანად რუსეთის იმპერიაში მოდებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ ჩაითრია ჭაბუკი და ერთხანს ციხეშიც ამოჰყო თავი, მაგრამ მალე გათავისუფლდა და მოსკოვს გაემგზავრა.

თეატრალური ნათლობა ა. წუწუნავამ ქუთაისში, ლადო მესხიშვილის შემოქმედებით ეზიარა. შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ ახალგაზრდამ გული აიცრუა სწავლაზე და თეატრი სამუდამოდ დაეუფლა მის სულსა და გონებას. აქვე მიიღო მაღალი მოქალაქეობრივი და ესთეტიკური პრინციპების პირველი გაკვეთილები, რომლებიც კიდევ უფრო გაღრმავა და სრულყო მოსკოვში, სამხატვრო თეატრში მუშაობისას.

ა. წუწუნავამ ოთხი წელი დაჰყო მოსკოვში. ისმენდა ლექციებს მეიერჰოლდის სტუდიაშიც. მ. გორკის ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, სადაც გაიცნო შალიაპინი და დაუახლოვდა იმდროინდელ რუსეთის საუკეთესო ინტელიგენციას, მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში. ცხოვრებისეული და თეატრალური შთაბეჭდილებებით დატვირთული 1909 წელს დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობა დაიწყო სახალხო სახლში რეჟისორად. მისმა პირველმა დადგმულმა სპექტაკლმა დ'ანუნციოს „იორიოს ასულმა", საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. ახალგაზრდა რეჟისორმა ამ პიესით ქართული თეატრი ახალი მხატვრული პრინციპების წინაშე დააყენა, ხორცი შეასხა კოლექტიურობისა და ანსამბლურობის ერთიანობის იდეას და გაემიჯნა ინდივიდუალიზმის ტენდენციებს.

1910 წელს ა. წუწუნავა ჭიათურაში მიიწვიეს ერთი წლით და ფასდაუდებელი ამაგი დასდო ამ თეატრს. 1918 წლის მაისში იგი სათავეში ჩაუდგა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს და თითქმის ოთხი ათეული წელი შეალია მის წინსვლა-განვითარებას. იგი იყო ეროვნული ოპერის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი და პირველი ქართული ოპერების დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე", ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის", ვ. დო-

ლაძის „ქეთო და კოტეს“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერის“, შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“ (მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია) და სხვ. პირველი დამდგმელი და რეჟისორული ტრადიციების შემქმნელი.

ალ. წუწუნავა იყო ქართული ეროვნული კინემატოგრაფიის ფუძემდებელიც. მისი ფილმი „ქრისტინე“ ამ ისტორიის სათავეა. ამის გარდა წარმატებით დადგა „ჯანყი გურიაში“, „ვინ არის დამნაშავე?“, „ორი მონადირე“, და სხვ. გამოჩენილ ხელოვანს ერთ-ერთ პირველს 1934 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით.

წ უ წ უ ნ ა ვ ა ცეცილია რაჟდენის ასული. 12. V. 1892, ოზურგეთი — 5. IX. 1956, თბილისი.

თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი. სწავლა დაიწყო სოფელ გურიანთაში, განაგრძო ჯერ ოზურგეთში, შემდეგ ბათუმში, ბოლოს 1912 წელს დაამთავრა ფოთის ქალთა გიმნაზია.

თეატრი წუწუნაველების ოჯახის გატაცება იყო. ცეცილიაც თავის და-ძმასთან ერთად, ადრე მოინუსხა ხელოვნების ამ დარგით, ახალგაზრდები მონაწილეობდნენ სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. მისი დებიუტი შედგა ბათუმში, სადაც შეასრულა სალიხეს როლი ნინო ნაკაშიძის პიესაში „ვინ არის დამნაშავე?“.

თეატრზე შეყვარებული გოგონა იძულებული შეიქნა ერთხანს მასწავლებლობა დაეწყო აფხაზეთში, სოფელ ტამიშში, სადაც იმ დროს დაარსდა სკოლა. ახალგაზრდა პედაგოგი დიდი ენერგიითა და სიყვარულით შეუდგა მუშაობას. თუმც, აქაც დაამყარა კავშირი ახალგაზრდა თეატრალებთან — სცენისმოყვარეებთან სისტემატურად მართავდა წარმოდგენებს და მონაწილეობდა მათში.

მაგრამ ხელოვნების დიდმა სიყვარულმა თავისი გაიტანა. 1920 წელს ც. წუწუნავა გადმოვიდა თბილისში და რუსთაველის თეატრის დასში ჩაირიცხა. აქედან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე დაუცხრომლად იღვწოდა ქართულ სცენაზე, ამშვენებდა მას და სიხარული მოჰქონდა მაყურებლისათვის. მან განასახიერა: კაროლინა („დარისპანის გასაჭირი“), მაკა („კაკალ გულში“), დარეჯანი („კაციადამიანი“?!), ანა ანდრეევნა („რევიზორი“), მარსელინა („ფიგაროს ქორწინება“), ლირსა („ყვარყვარე თუთაბერი“) და სხვა მრავალი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნიჭიერი მსახიობისათვის კოტე მარჯანიშვილთან შემოქმედებითს თანამშრომლობას, რამაც გადამწყვეტი გავლენა იქონია ხელოვანის შემდგომ დაოსტატებაზე.

20-ანი წლებიდანვე იწყება ც. წუწუნავას შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართულ კინოში, თუმცა პირველად იგი მაყურებელმა იხილა უკვე 1916 წელს გადაღებულ პირველ ქართულ მხატვრულ ფილმში „ჭრისტინე“, სადაც შექმნა მარინეს დასამახსოვრებელი სახე. ამას მოჰყვა შესანიშნავად შესრულებული როლები სხვა კინოფილმებში: „ვინ არის დამნაშავე?“, „გიული“, „ელისო“, „დაგვიანებული სასიძო“, „ქეთო და კოტე“, „ჭრიჭინა“ და სხვ.

ც. წუწუნავა იყო მდიდარი შემოქმედებითი ბუნების მკვეთრად სახასიათო და კომედიური მსახიობი. მისთვის ნიშანდობლივია უშუალობა, ხალხურობა, ეროვნული კოლორიტი. მისი წვლილი ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში აღინიშნა შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე — გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი ირინა ირაკლის ასული. X. 1892, ყვარელი — 8. III. 1958, თბილისი.

პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის მეუღლე. დაქორწინდნენ 1925 წელს. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე თამარ ირაკლის ასული. 16. X. 1896, ყვარელი — 20. IV. 1968, თბილისი.

თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი. სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე და პარალელურად პ. ლებედინსკის თეატრ-სტუდიაში ეუფლებოდა სასცენო ხელოვნებას. 1919 წელს გადმოვიდა თბილისში და ჩაირიცხა რუსთაველის თეატრის დასში. აქ კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით მან პროფესიული დაოსტატების დიდი სკოლა განვლო. სწორედ მას ანდო გამოჩენილმა რეჟისორმა ლაურენსიას რთული როლი ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროში“, რითაც დაიწყო ქართული თეატრის ახალი პერიოდი და მსახიობის ბიოგრაფიის ბრწყინვალე ფურცლები.

თ. ჭავჭავაძის მიერ შესრულებული როლები გამოირჩეოდა ლირიზმით, უშუალობით, მგზნებარე ტემპერამენტით: სალომე (უაილდის „სალომე“), ლამარა (ვ. რობაქიძის „ლამარა“), ბეატრიჩე (შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“), ემილია (შექსპირის „ოტელო“), ლედი მელდორფი (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), ზენაბი (სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“), იოკასტე (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), სანათა (ვაჟა ფშაველას „ბახტრიონი“) და სხვ. თ. ჭავჭავაძის ფართო აქტიორული დიაპაზონი კომედიურ რეპერტუარსაც წედებოდა.

გამოჩენილმა მსახიობმა რუსთაველის თეატრში 1928 წლამდე იღვაწა, შემდეგ გადავიდა მარჯანიშვილის თეატრში, მაგრამ 1942

წელს დაუბრუნდა რუსთაველის თეატრს, სადაც 1964 წლამდე დაჰყო. ბოლო წლებში ქართული სცენის დიდოსტატი მოღვაწეობდა სოხუმის თეატრში. საკუთარი სასცენო შემოქმედებით თ. ჭავჭავაძემ, თავისი პლეადის ასავე გამოჩენილ მსახიობებთან ერთად, დიდად განსაზღვრა საერთოდ ქართული თეატრის მხატვრული სახე და მიმართულება.

ხელოვანს გარკვეული დამსახურება მიუძღვის ესტრადის წინაშეც. წლების მანძილზე იგი დაუცხრომლად ემსახურებოდა ქართული მხატვრული სიტყვის პოპულარიზაციას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი როლი ქართული კინოს განვითარების საქმეში, მსახიობის ტემპერამენტზე და უზარმაზარ პოტენციურ შესაძლებლობებზე მეტყველებს, მის მიერ შესრულებული ხანუმას როლი რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის „ქეთო და კოტეში“.

ჩვენი ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის დაჯილდოვებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ჭავჭანიძე — კერესელიძე ნაზი კონსტანტინეს ასული. 5. XI. 1919, ქუთაისი — 13. I. 1993, თბილისი.

კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის მეუღლე. დაამთავრა შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. 1944 წლამდე მოღვაწეობდა მარჯანიშვილის თეატრში. აქ მან შექმნა საინტერესო სახეები სპექტაკლებში: „მარგარიტა გოტიე“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, „მეფე ერეკლე“ და სხვ. მასვე ეკუთვნის დიდი სიყვარულით დაწერილი წიგნი „ღიმილით დადის“, რომელიც მიუძღვნა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის არჩილ კერესელიძის ნათელ ხსოვნას.

ჭიჭინაძე — ასათიანი თინა კალისტრატეს ასული. 2. II. 1905, ქუთაისი — 23. III. 1984, თბილისი.

ლევან ასათიანის მეუღლე, გურამ ასათიანის დედა.

ჭიჭინაძე კონსტანტინე არჩილის ძე. 18. V. 1891, სოფელი ხიმში, ამბროლაურის რაიონი — 18. I. 1960, თბილისი.

პოეტი, მთარგმნელი, ტექსტოლოგი, რუსთველოლოგი. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისსა და ბაქოში. 1916 წელს თბილისში დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი. ერთხანს სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში. სპეციალობით მიწათმოქმედმა მთელი სიცოცხლე ქართულ ლიტერატურასა და მეცნიერებას შეალია. იგი აქტიურად მონაწილეობდა ჟურნალ „კავკასიონში“, რომლის გარშემოც შე-

მოკრებილნი იყვნენ დ. კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, გ. რობაქიძე, პ. ინგოროყვა და სხვები.

ნიკიფორმა ახალგაზრდამ პირველი ლექსი 1908 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა. მისი პოეზია ინტელექტუალისტურია და ამ მხრივ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარებულია როგორც ვალერი ბრიუსოვის პოეტური პრინციპების მიმდევარი. ამით არ ამოიწურება მათი მსგავსება. კ. ჭიჭინაძე ისეთივე დიდი ეროვნული საქმისათვის ილვწოდა ჩვენში, როგორც ვ. ბრიუსოვი რუსეთში. ქართულად თარგმნა ბაირონის რამდენიმე პოემა, ედგარ პოს, პუშკინის, ლერმონტოვის, ბლოკის ნაწარმოებები, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, გერმანული ეპოსი „სიმღერა ნიბელუნგებზე“, თვით ვ. ბრიუსოვის ნაწარმოებები და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კ. ჭიჭინაძის მნიშვნელოვანი წვლილი რუსთველოლოგიაში. ამ სასიქადულო მამულიშვილის მთელი მეცნიერული ძიება მიზნად ისახავდა „ვეფხისტყაოსნის“ სიწმინდის დაცვას და ტექსტის მთლიანობის აღდგენას, რომელიც 1934 წელს გამოიცა მისი რედაქციით. მასვე ეკუთვნის ღრმადმეცნიერული ნაშრომი „ალიტერაცია ქართულ შაირში და ვეფხისტყაოსნის პოემა“.

ქართული კულტურის ერთგული მსახური კ. ჭიჭინაძე დაჯილდოებული იყო „სპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ნიკოლოზ გაბრიელის ძე. იხ. დამატება.

ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი სტეფანე თეოდორეს ძე. 27. XII. 1857, სოფელი მაღარო, სილნაღის რაიონი — 3. I. 1917, თბილისი.

ხალხოსანი, პუბლიცისტი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ რევოლუციური მოღვაწეობისათვის გარიცხეს; 1876 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის მსმენელია. შემდეგ გადავიდა მოსკოვში, მაგრამ დიდად გაიტაცა რევოლუციონერ-ხალხოსანთა იდეებმა და აქტიურად ჩაება მათი წრეების მუშაობაში. ეს აქტივობა ძვირად დაუჯდა — 1878 წელს სამი თვით პატიმრობა და მუდმივი ზედამხედველობა მიუსაჯეს. ამავე მიზეზით, მოგვიანებით, მან ორჯერ ციმბირიც „მოინახულა“.

1887 წელს დაბრუნდა სამშობლოში და პუბლიცისტობას მიჰყო ხელი, თანამშრომლობდა „ივერიაში“, „ნოვოე ობოზრენიესა“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში, მუშაობდა თბილისის საქალაქო საბჭოში აგენტად, მდივნად, აირჩიეს ხმოსნად. წილად ხვდა პატივი ყოფილიყო თბილისის ფუნიკულიორის პირველი დირექტორი.

ს. ჭრელაშვილის ხალხოსნური ფილოსოფია ემყარებოდა გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების იდეას, რომელიც ცხოვრების გარდაქმნის ძირითად პირობად მიაჩნდა. თავის საინტერესო პუბლიცისტურ წერილებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში „სანოსა" და „ტატალას" ფსევდონიმით აქვეყნებდა.

ჭ უ მ ბ ა ძ ე არისტო მაქსიმეს ძე. 1. IX. 1880, სოფელი კლდეეთი, ზესტაფონის რაიონი — 28. XI. 1971, თბილისი.

მწერალი, ჟურნალისტი. 1905 წელს ჩაირიცხა და 1912 წელს დამთავრა პარიზის სორბონის უნივერსიტეტი. იმავე წელს სამშობლოში დაბრუნდა და ქუთაისში დააარსა გაზეთი „კოლხიდა", რომლის რედაქტორ-გამომცემელი თვითონ იყო. 1914 წელს იგი უკვე რედაქტორობს „სახალხო ფურცელს". მისი მახვილი პუბლიცისტური სტატიები იწვევდა ხელისუფლების გულისწყრომას, რისთვისაც იგი არა ერთხელ დააპატიმრეს. ამიტომ მან ამჯობინა კვლავ პარიზში წასელა და სორბონის უნივერსიტეტში იწყებს დისერტაციაზე მუშაობას ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „გუსტავ ფლობერის ცხოვრება და შემოქმედება". სამწუხაროდ პირველმა მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა დასახული მიზნის ბოლომდე მიყვანას

1915 წელს იაპონიაში საფრანგეთის ელჩად დაინიშნა ჟიუსენარი, რომელმაც ა. ჭუმბაძეს შესთავაზა თანამშრომლობა. იგი გაემგზავრა იაპონიაში და გახდა საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელი. შემდეგ ალჟირშიც მუშაობდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ა. ჭუმბაძე სამშობლოში დაბრუნდა. 1937 წლამდე სხვადასხვა თანამდებობაზე მოღვაწეობდა. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1905 წელს და აქედან მოყოლებული რა საქმითაც უნდა ყოფილიყო დაკავებული კალამი არ გაუგდია და ბოლომდე გახდა ლიტერატურის მსახური. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობები და ნოველები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობა „უნასთა ბუდე" რომელშიც წარმოდგენილია 30-იან წლებში ქართულ სოფელში დაძაბული მდგომარეობა. მასვე ეკუთვნის ნოველები „სასწაული", „საქმის კაცი", „ცხოვრების ქარაგმა", „ფულიანი ბარათი" და სხვ. მწერალი შეუპოვრად იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის, იყო შესანიშნავი სტილისტი. ამას მოწმობს მისი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებებიც და მის მიერ შესრულებული თარგმანებიც. ა. ჭუმბაძემ ქართულად აამეტყველა ანრი ბარბიუსის, გუსტავ ფლობერის, ანა ანტონოვსკაიას, ლევ ტოლსტოის და სხვათა ნაწაროებები. ყველა მათგანი ქართული მხატვრული სალიტერატურო მეტყველების ნიმუშია.

ჭ ყ ო ნ ი ა ილია მირიანის ძე. 16. VI. 1860, ოზურგეთი — 9. X. 1927, თბილისი.

მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და დაიწყო საქართველოს ისტორიის ღრმა შესწავლა, თან მუშაობდა ძირითადად სასამართლო უწყებაში. 1877 წლიდან თანამშრომლობდა ქართულ პერიოდიკაში — აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს „ივერიაში", „დროებასა" და სხვა გამოცემებში.

1895 — 1898 წლებში ი. ჭყონიას რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „მეურნე" (აქვე შექმნა ქართული სტამბა, სადაც მრავალი წიგნი დაიბეჭდა), 1907 წელს — „სიმართლის გზა"; 1910 წელს შეადგინა და პეტერბურგში გამოსცა „სიტყვის კონა", რომელსაც წინასიტყვაობა დაურთო ნ. მარმა.

1886 წელს მისივე რედაქტორობით გამოვიდა ვახტანგ მეექვსის მიერ სპარსულიდან თარგმნილი „ქილილა და დამნა". ამასთანავე, ქართული კულტურის დიდი მოამაგე ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც. მან ქართულ ენაზე აამეტყველა პუშკინის, ლერმონტოვის, კრილოვის, ჰაინეს, სენკევიჩის ნაწარმოებები. 1913 წელს გამოსცა საკუთარ თხზულებათა „კრებული".

ხ ა რ ა ძ ე არჩილ კირილეს ძე. 21. IV. 1895, სოფელი წიფა, ხარაგაულის რაიონი — 17. XII. 1976, თბილისი.

მათემატიკოსი. 1912 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა მესამე გიმნაზია და შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკურ განყოფილებაზე. მაგრამ სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, მძიმე მატერიალური პირობების გამო, მოსკოვში ვერ დარჩა. იგი ჯერ ყოფილ ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს უმაღლეს მათემატიკაში, 1918 წლის სექტემბრიდან კი მიიწვიეს მათემატიკური ანალიზის კათედრაზე ასისტენტად ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ ა. ხარაძემ პირველმა ქართულად წაიკითხა ლექცია მათემატიკაში. 1922 წელს ჩააბარა სადოქტორო გამოცდები და დატოვეს დოცენტად მათემატიკური ანალიზის კათედრაზე, რომელსაც განაგებდა ანდრია რაზმაძე. მისი გარდაცვალების შემდეგ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ა. ხარაძე აირჩია პროფესორად და დაამტკიცა კათედრის გამგედ. ერთხანს იგი იყო ფიზიკა-მათემატიკისი ფაკულტეტის დეკანიც, ხოლო 1938 — 1944 წლებში უნივერსიტეტის პრორექტორი. 1947 — 1952 წლებში სულხან საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია.

ა. ხარაძე სამეცნიერო მუშაობაში ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ჩაება და აქედან მოყოლებული კვლევა-ძიება სიცოცხლის ბოლომდე არ შეუნელებია. მას ეკუთვნის უმაღლესი მათემატიკის სამი სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივთან ერთად დაწერა მათემატიკური ანალიზის სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, მისი ნაშრომები იბეჭდებოდა უცხოეთში.

გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის მათემატიკურ საზოგადოებას. დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით. პროფესორ არჩილ ხარაძეს ჩვენი საზოგადოება იცნობდა როგორც ფართო ერუდიციის მკვლევარს, დიდად განათლებულ, მაღალი სულიერი კულტურის ინტელიგენტს, თავმდაბალ და მოსიყვარულე ადამიანს. 1944 წელს რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის ამაგდარ პიროვნებას, მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ალექსანდრე სოლომონის ძე. 3. I. 1866 (სხვა მონაცემებით 1864), გორი — 25. VII. 1912, ქ. სამარა.

მეცნიერი და პედაგოგი. ადრე დაობლებულ ბავშვს ნათესავები ზრდიდნენ. დაწყებითი განათლება გორში მიიღო, ხოლო გიმნაზია თბილისში დაამთავრა ოქროს მედლით. 1883 — 1887 წლებში სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1888 წელს დანიშნეს მოსკოვის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში ქართული ენის მასწავლებლად. მოგვიანებით პროფესორის რანგში განაგებდა ქართული ენის კათედრას. პარალელურად იყო მოსკოვის ქალთა პირველი და მეორე გიმნაზიების ისტორიისა და სიტყვიერების მასწავლებელი. მას, როგორც სერიოზულსა და კომპეტენტურ მეცნიერს, ირჩევენ სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრად. ფაქტიურად მან დააარსა 1911 წელს მოსკოვში ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება და ხელმძღვანელობდა მას. მეცნიერის ასეთი მეცადინეობით, მოსკოვი გახდა ქართული კულტურის უპირველესი ცენტრი საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამ საზოგადოების დავალებით ალ. ხახანაშვილს ხშირად უხდებოდა სამეცნიერო მივლინებებში ყოფნა, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. მისი ფართო მეცნიერული ინტერესები, ღრმა განსწავლულობა და საქმისადმი სიყვარული აძლევდა მკვლევარს ნაყოფიერად გამოეყენებინა ყოველი მოგზაურობა, ყოველი კონფერენცია თუ სიმპოზიუმი.

საქართველოში ალ. ხახანაშვილი დაუღალავად აგროვებდა ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალას, აკვირდებოდა და სწავ-

ლობდა კულტურის ძეგლებს, უცხოეთში ბევრს მუშაობდა არქივებსა და ბიბლიოთეკებში, სადაც კი ეგულებოდა საქართველოსა და ქართველებთან დაკავშირებული რაიმე დოკუმენტი. იგი იყო პირველი ქართველი, ვინც აღწერა უცხოეთში დაცული ჩვენი ხელნაწერები.

ალ. ხახანაშვილმა ორ ათეულ წელზე ოდნავ მეტი იღვაწა და მოასწრო საოცრად ბევრი როგორც მეცნიერებაში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე. მან შექმნა ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი სისტემატური კურსი, ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (რუსულ ენაზე (ტ. 1 — 4). ამ გამოკვლევებით ქართული მწერლობა მსოფლიო ასპარეზზე გაიტანა. გამოჩენილი მეცნიერის ნაშრომებიდან აღსანიშნაია: „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“, „მეფე იმერეთისა სოლომონ II“, „საქართველოს ისტორია“ ფრანგულ ენაზე და სხვ. ალ. ხახანაშვილის ამაგი ქართული კულტურის წინაშე შესანიშნავად შეაფასა გიორგი წერეთელმა: „ამ ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა მთელი თავისი ნიჭი, ღონე და ძალა მოანდომა სამშობლოს გონების საუნჯის შესწავლას იმ განზრახვით, რომ შემდეგ უცხო ენაზე გამოექვეყნებინა მთელი ორი ათასი წლის კულტურული მოძრაობა საქართველოს ერისა და მისი დამსახურება კაცობრიობის წინაშე“.

ალ. ხახანაშვილმა ბოლომდე მოიხადა მამულიშვილური და მოქალაქეობრივი ვალი. მთელი თავისი მემკვიდრეობა მშობლიურ ხალხს დაუტოვა. გორში კუთვნილი სახლი გადასცა ადგილობრივ სკოლას, 45 ათასი მანეთი, თავისი ტიტანური შრომის დანაზოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოებას. უყურადღებოდ არც მოსკოვის ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება დარჩენია. იგი ტუბერკულოზით გარდაიცვალა ქ. სამარაში, სადაც დასასვენებლად იმყოფებოდა. აუხდენელი დარჩა მისი სურვილი: „წამიყვანეთ სამშობლოში, ერთხელ კიდევ ჩამაყლაპეთ მისი ჰაერი“.

ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (ურ ბ ნ ე ლ ი) ნიკოლოზ თადეოზის ძე. 20. IX. 1851, მაღლადელეთი, გორის რაიონი — 15. XII. 1906, თბილისი.

მეცნიერი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, იურისტი. სწავლობდა ჯერ გორის, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1870 წელს. შემდეგ იურიდიული განათლება მიიღო ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტში. სამსახური გამომძიებლად დაიწყო სომხეთში, ზანგეზურში. მალე გადმოიყვანეს საქართველოში,

სხვადასხვა დროს მუშაობდა ცხინვალში, სურამში, თიანეთში და თბილისში.

1879 წელს მისი პირველი კორესპონდენცია დაბეჭდა გაზეთმა „დროებამ". და აქედან მოყოლებული ნ. ურბნელი ქართული ჟურნალ-გაზეთების ხშირი სტუმარია. თანამშრომლობდა ილიას „ივერიაში", რომელიც დიდად აფასებდა ნ. ხიზანიშვილის ნიჭსა და ღვაწლს.

მართლაც, ფასდაუდებელია მისი ნაღვაწი ქართული სამართლის ისტორიაში, რომლის პირველი მკვლევარიც იყო და ეამოსცა კიდეც მნიშვნელოვანი მონოგრაფიები: „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი", „ძეგლისდება მეფე გიორგი ბრწყინვალესი" და სხვ.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნ. ურბნელმა ისტორიული წყაროების მიკვლევა-გამომზეურებაში. მისი ღვაწლი ქართულ ისტორიოგრაფიაში იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მან ახლებურად გააშუქა მთელი რიგი პრობლემები და მოვლენები, საყურადღებო შეფასება მისცა დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალეს საქმიანობას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ნ. ხიზანიშვილის, როგორც ეთნოგრაფის მოღვაწეობა. მან აღწერა და შთამომავლობას შემოუნახა ეთნოგრაფიული ყოფის დღეს უკვე დაკარგული „სურათები": ხევისბეროპა, დასტური, შულტა. თემობა, ოჯახობა, ქორწილი, შეშაბათეები, დაკრძალვა, ცოცხლად დამარხვა, სულის ცხენი, ჭირის წყენა, წილბერკვა, ყაბახი, დოღი და სხვ. მას ეკუთვნის აგრეთვე მრავალმხრივ საინტერესო პუბლიცისტურ-ისტორიული ხასიათის წერილები, როგორიცაა „ჩვენი ცხოვრების ევოლუცია", „ეხლანდელი სამწერლო ენა", „კრწანისის ბრძოლა", „ძველი და ახალი თბობა" და სხვ.

ნ. ხიზანიშვილი კიდევ ბევრს გააკეთებდა, მაგრამ ბნელმა ძალებმა მას მოუსწრაფეს სიცოცხლე. დილით ადრე სამსახურში მიმავალს ტყვია დაახალა უცნობმა პირმა, რომლის ვინაობა ზუსტად დღესაც არაა დადგენილი.

ხ ო მ ე რ ი კ ი ვიქტორ ნოეს ძე. 6. VI. 1910, ვორკუტა, კომის ასსრ — 16. V. 1994, პარიზი.

გრიგოლ რობაქიძის ფონდის ერთ-ერთი ფუძემდებელი და გამგეობის წევრი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე. მძიმე და წინააღმდეგობებით სავსე იყო ამ შესანიშნავი მამულიშვილის ცხოვრების გზა. დაიბადა ციმბირში იმ დროს იქ გადასახლებული პოლიტიკური მოღვაწის ოჯახში. 9 წლისას გარდაეცვალა დედა, 1921 წელს სა-

ქართველოს სამხედრო ოკუპაციის შემდეგ 11 წლის ასაკში გაჰყვა ქართულ ემიგრაციას. ცხოვრობდა ჯერ ი. ერევანში, შემდეგ საფრანგეთში. 1924 წელს დაუხვრიტეს მამა ნოე ხომერიკი, რომელიც დემოკრატიული საქართველოს მოავრობის მიწათმოქმედების მინისტრი იყო. დაობლებული ყმაწვილი მარტოდმარტო დარჩა „ლევილში" ქართულ ემიგრაციასთან ერთად. მაგრამ ძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ შეუშინდა გაეცრვებინ, უცხო გარემოს, უარი თქვა სხვა ქვეყნის ყველა სიკეთეზე და სიკვდილამდე საქართველოს მოქალაქედ დარჩა. დაამთავრა ჯერ კოლეჯი, შემდეგ საერთაშორისო ეკონომიკური უნივერსიტეტი პარიზში. გამოიჩინა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში „ეროვნულ მოტორსის" წარმომადგენელი იყო საფრანგეთში.

ვ. ხომერიკი მიუხედავად იმისა, რომ არ ეკუთვნოდა არცერთ პარტიას, იგი დიდი ავტორიტეტის გამო, განსაკუთრებულ პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა. ვაჟკაცურ შემართებასთან ერთად დიდად განათლებული და საოცრად დახვეწილი ინტელიგენტი, თავისუფლად ფლობდა ათამდე უცხო ენას, იყო მსოფლიო ემიგრანტთა მთავარი კომიტეტის გამგეობის წევრი, პარიზია წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის ერთ-ერთი თავდადებული მზრუნველი და მოამაგე. საოცრად ახალგაზრდული ბუნების, შესანიშნავად აპრულებდა ქართულ საეკლესიო საგალობლებს, დაუზარებლად გადასცემდა ემიგრაციაში დაბადებულ ახალგაზრდებს ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვან მუსიკალურ კულტურას და ეროვნული სულისკვეთებით ზრდიდა მათ.

ვ. ხომერიკმა გასაოცარი გბირობა გამოიჩინა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. მან არა ერთ ტყვედ ჩავარდნილ ქართველ ჯარისკაცს შეუნარჩუნა სიცოცხლე, დაიხსნა ესი გესტაპოს საკონცენტრაციო ბანაკებიდან და თავშესაფარი მოუძებნა მათ, რისთვისაც სამჯერ მოხვდა დასახვრეტთა სიაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი ქართული კულტურისა და მეცნიერების პოპულარიზაციის საქმეში. ვ. ხომერიკს უნდა უმადლოდეს ქართული ისტორიოგრაფია მენშევიკური მთავრობის საარქივო მასალების გადარჩენისა და მის სამშობლოში დაბრუნებას.

1994 წლის 22 მაისს თავისი ქვეყნის წინაშე პირნათელი მამულიშვილი სამუდამოდ მიიბარა დიდუბის მიწამ.

ხ ო მ ი ზ ო ر ა შ ვ ი ლ ი ნიკოლოზ მიხეილის ძე. 19. IX. 1900, თელავი — 1. II. 1971, თბილისი.

მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-

პონდენტი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოციალისტური შრომის გმირი. პროფესორი. 1919 წელს დაამთავრა თელავის ვაჟთა გიმნაზია. ხოლო 1925 წელს პირველი ხარისხის დიპლომით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი. ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა დატოვეს ასისტენტად კათედრაზე და როგორც პერსპექტიული სპეციალისტი მიავლინეს გერმანიაში ცოდნის გაღრმავებისა და სრულყოფისათვის. უცხოეთში (გერმანია, საფრანგეთი) ნ. ხომიზურაშვილმა 3 წელი დაჰყო და მუშაობდა საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სასელექციო სადგურებში. მისი პირველი მეცნიერული ნაშრომები, გამოქვეყნებული გერმანულ ენაზე შეეხებოდა გენეტიკისა და სელექციის საკითხებს. მის კალამს ეკუთვნის 80-მდე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ხილის ატლასები, მეხილეობის სახელმძღვანელოები და „მეხილეობის" 2 ტომი. დიდი ღვაწლი მიუძღვის „საქართველოს მეხილეობის" ოთხტომეულის გამოცემაში. ფასდაუდებელია ღვაწლმოსილი მეცნიერის პრაქტიკული საქმიანობა. მისი ხელმძღვანელობით დაინერგა ჩვენს რესპუბლიკაში ნაგალა ხეხილი. იგი საქართველოში სამრეწველო მეხილეობის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

ბოლო ათი წელი ნ. ხომიზურაშვილი განაგებდა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. მან დაამუშავა ხეხილის საყვავილე კვირტების ჩასახვა-განვითარების თეორია, შეისწავლა და იკვლია ხეხილის ზოგიერთი ჯიშის ციტოემბრიოლოგიისა და ციტოგენეტიკის საკითხები და სხვ. ინსტიტუტის ბაზაზე მანვე შექმნა უნიკალური სამეცნიერო მუზეუმი.

აღსანიშნავია ნ. ხომიზურაშვილის როგორც პედაგოგის მოღვაწეობაც. მან აღზარდა ათასობით სპეციალისტი, ხოლო 150-ზე მეტმა კაცმა მისი ხელმძღვანელობით აიმაღლა მეცნიერული კვალიფიკაცია. დაჯილდოვებული იყო ლენინის. შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით.

ხ ო მ ლ ე ლ ი (ფ ა ნ ცხ ა ვ ა რომანოზ სპირიდონის ძე). 14. X. 1861, სოფელი ხომული, წყალტუბოს რაიონი — 1. V. 1928, თბილისი.

კრიტიკოსი, პუბლიცისტი. სწავლობდა ჯერ ქუთაისის, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს „მგლის ბილეთით". საეკლესიო გზას აცდენილი, იგი ერთხანს ნოქრად მუშაობდა თბილისში, ჯორჯაძის ღვინის სარდაფში, რომელმაც იგი, როგორც პატრონანი და სანდო პიროვნება ოდესაში გაგზავნა თავი-

სი ღვინის სარდაფის გამგედ. აქ ხომლელი დაუახლოვდა ქართველ სტუდენტებს (კ. მესხს, გ. ლასხიშვილს, ვ. წერეთელს) და მათი მეშვეობით პროფესორ ვასილ პეტრიაშვილს. ამ უკანასკნელის დახმარებით სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა შეეიდა ოდესის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად, მაგრამ რევოლუციურ წრეებში მუშაობისათვის მიუსაჯეს 15 წელი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა. 1887 წელს ხომლელი დაბრუნდა საქართველოში და გამოსცა გაზეთი „თეატრი", სადაც აქვეყნებდა თავის წერილებს, მაგრამ გაზეთი მალე დაიხურა და ენერგიულმა მოღვაწემ დაიწყო მუშაობა ჟურნალ „კვალში" კრიტიკის განყოფილების გამგედ. შემდეგ დაუბრუნდა ჯერ ბშობლიურ სოფელს, შემდეგ ქუთაისშია და 1915 წლამდე მსახურობს სტატისტიკოსად ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა საბჭოში. აქვე, 1909 წელს ხომლელმა განაახლა ლიტერატურული საქმიანობა. აქტიურად თანამშრომლობდა „განთიადის", „ცხოვრების" და „თავისუფლების" რედაქციებში. გამოსცა ჟურნალი „ერთობა", რომლის დახურვის შემდეგ (1920 წ.) სისტემატურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში: „დროშა", „წითელი მხედარი", „ახალი გზა", „რევოლუციის მატიანე", „ქართული მწერლობა და ხელოვნება".

ხომლელმა თავისი პირველი წერილი 1882 წელს გამოაქვეყნა და ამის შემდეგ ქართულ კრიტიკასა და პუბლიცისტიკას არ მოჰკლებია მისი კალმის მადლი. ავტორი საინტერესოდ განიხილავდა ჩვენი ლიტერატურული, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. საყურადღებო კრიტიკული ნაშრომები დაგვიტოვა ნ. ბარათაშვილის, ა. ცაგარელის, დუტუ მეგრელის, ე. გაბაშვილის, ნ. ლომოურის. ია ეკალაძის, გ. წერეთლის და სხვათა შემოქმედებასა და ცხოვრებაზე.

ხ უ ნ დ ა ძ ე სიმონ ირაკლის ძე. 15. XI. 1897, სოფელი კალაგონი, ჩოხატაურის რაიონი — 21. VIII. 1933, თბილისი.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევარი. 1914 წელს დაასრულა ქუთაისის გიმნაზია და შეეიდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ჯერ კიდევ ყმაწვილმა მიიპყრო მასწავლებელთა ყურადღება. მეშვიდე-მერვეკლასელს უკვე წაკითხული ჰქონდა ქართული და რუსული მხატვრული ლიტერატურა, იცნობდა საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევართა ნაშრომებსა და პოლიტიკურ მოღვაწეთა ნარკვევებს.

სტუდენტობისას ს. ხუნდაძე აქტიურად ჩაება რევოლუციური წრეების საქმიანობაში. 1917 წელს იარაღით ხელში, რუს სტუდენ-

ტებთან ერთად იბრძოდა რევოლუციის ბარიკადებზე. იმავე წელს სრულად ჩამოყალიბებული პუბლიცისტი და ჟურნალისტი საშობლოში დაბრუნდა და ზელი მიჰყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლასა და გამომზეურებას.

1924 — 1926 წლებში ს. ხუნდაძე კვლავ მოსკოვშია — ამთავრებს წითელი პროფესურის ინსტიტუტს და საქართველოში დაბრუნებისთანავე ენერგიულად განაგრძობს მეცნიერულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას. იგი ძირითადად დაინტერესებული იყო XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორიით. მკვლევარის პირველი ნაშრომი „ქართული ინტელიგენციის. პროფილი XIX საუკუნეში", რომელიც დაიბეჭდა 1927 წელს, საინტერესოდ აშუქებდა ჩვენი ინტელიგენციის სოციალურ-პოლიტიკურ იდეალებს და მისი განვითარების გზებს.

.ს. ხუნდაძის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიები: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში", „ნიკო ნიკოლაძე", „ვეორგი წერეთელი", „დიმიტრი ყიფიანი", „სოლომონ რაზმაძე", „ივანე მაჩაბელი", „გალაკტიონ ტაბიძე", „არსენას ტიპი ქართულ მწერლობაში" და სხვ. ამ ნაშრომებმა და გამოკვლევებმა ნიადაგი მოუმზადა ქართული ლიტერატურის ისტორიის ფართო პანორამის შექმნას. ს. ხუნდაძე იყო შესანიშნავი რედაქტორი და ტექსტოლოგი. გამოირჩეოდა მაღალი კულტურით და კაცთმოყვარეობით. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ისტორიის კათედრას, იყო ამავე ფაკულტეტის დეკანი, ჟურნალ „ქართული მწერლობის" რედაქტორი, გამომცემლობების „ქართული წიგნის", „ფედერაციის", „სახელგამის" დირექტორი.

ჯ ა ბ ა დ ა რ ი ირაკლი ალექსანდრეს ძე. 17. X. 1892, თბილისი — 18. VIII. 1937, ნიცა (საფრანგეთი).

კომპოზიტორი და პიანისტი. დაიბადა ქართველი საზოგადო მოღვაწის, ჟურნალისტის, რედაქტორ-გამომცემლის ალექსანდრე ჯაბადარის ოჯახში. ყმაწვილს ბავშვობიდან დაჰყვა აბსოლუტური მუსიკალური სმენა და იგი მშობლებმა ევროპაში გააგზავნეს სასწავლებლად. უმაღლესი განათლება მიიღო ბრიუსელის კონსერვატორიაში. სამი წლის შემდეგ გადავიდა ვენაში, სადაც იღრმავებდა თეორიულ ცოდნას და სრულყოფდა საშემსრულებლო ხელოვნებას. 1931 წლის 7 მარტს აქვე, მუსიკოსთა საზოგადოების დარბაზში დვორჟაკის მოწაფის ოსკარ ნედბალის დირიჟორობით შესრულდა ახალგაზრდა კომპოზიტორის „ქართული რაფსოდია", რითაც სათავე დაედო ქართულ სიმფონიურ მუსიკას. ამას მოჰყვა სხვა ჟანრის უამრავი ნაწარმოებები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ახალგაზრდა

კომპოზიტორს. მისი ვოკალური ციკლიდან აღსანიშნავია „სულო ბოროტო“, „მერანი“, „ქართული ლეგენდა“, „თბილისური“, „რიჰარდ ჰოიბერგერის ხსოვნას“, „რანინა-რანუნი“, „განცდილი წუთები“ და სხვ. მასვე ეკუთვნის 3 მოქმედებიანი ოპერა „გულნარა“ (ა. ყაზბეგის მიხედვით). ოპერის ლიბრეტო დაწერა თავად კომპოზიტორმა და მისმა მეუღლემ, უნგრელმა მანდილოსანმა მარგიტ ბარეზმამ. მასვე ეკუთვნის უნგრულ თემაზე დაუმთავრებელი ოპერა „ბაბე“. კომპოზიტორი ავტორია აგრეთვე ორკესტრთან ერთად სამი საფორტოპიანო და ორი საციოლონჩელო კონცერტების და სხვ. აღსანიშნავია ირაკლი ჯაბადარის მუსიკის განსაკუთრებით გამოკვეთილი ერიდვნულობა. მის ნაწარმოებებში უხვადაა გამოყენებული ქართული ხალხური მოტივები და მელოდიები.

საკომპოზიციო მუშაობასთან ერთად იგი ეწეოდა დიდ საშემსრულებლო მოღვაწეობასაც. ირაკლი ჯაბადარი სამართლიანად არის მიჩნეული ჩვენი საუკუნის ოცეანი წლების გამოჩენილ პიანისტად. ბრიუსელის, პარიზის, ვენის, ციურიხისა და დასავლეთ ევროპის სხვა დიდი ქალაქების საკონცერტო დარბაზები ოვაციით ხვდებოდნენ მის გამოჩენას.

ირაკლი ჯაბადარის მუდმივი ოცნება სამშობლოში დაბრუნება იყო. მაგრამ ეს ნატვრა აუხდენელი დარჩა. მხოლოდ 30 წლის შემდეგ ეღირსა მის ნეშტს მშობლიური მიწა.

ჯ ა ბ უ შ ა ნ უ რ ი გაბრიელ ლუკას ძე. 1914, სოფელი ბრხოტი (ხევსურეთი) — 22. XII. 1968, თბილისი.

პოეტი. საშუალო სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა და 1934 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ჯერ კიდევ ცამეტი წლის ყმაწვილს უქვეყნებდნენ ლექსებს საბავშვო ჟურნალ-გაზეთები. კრებდა და იწერდა ხალხური შემოქმედების შედევრებს.

ოჯახურმა პირობებმა საშუალება არ მისცა დაემთავრებინა უნივერსიტეტი — მეოთხე კურსიდან დაანება თავი სწავლას და მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ჯერ პედაგოგობდა, შემდეგ განაგებდა სოფლის სამკითხველოს, ერთხანს კოლმეურნეობის თავმჯდომარედაც მუშაობდა.

1935 წელს ჟურნალ „ჩვენს თაობაში“ გამოქვეყნდა მისი ლექსი „ცხენი“ და უმალ მიიქცია ფართო მკითხველთა ყურადღება. 1940 წელს გამოვიდა პოეტის პირველი კრებული — „არაგვიანი“. ამას მოჰყვა კრებულები: „ლექსები“, „ნათელი მთაში“, „ლირიკა“, „მზეთა ქვეყანა“, „მაღალი მთვარე“, „ჩრდილი და მთვარე“, „მოკრძალება“, „რჩეული“ და სხვ. გ. ჯაბუშანურის პოეტური შთაგონების

წყარო იყო სამშობლოს სიყვარული, მისთვის სამსახური და თავგანწირვა. მისი მრავალი ლექსი ქართული პოეზიის თვალსაჩინო შენაძენია.

სამწუხაროდ გ. ჯაბუშანურს ქართველი მკითხველი ნაკლებად იცნობს, ვიდრე ამას მისი პოეზია იმსახურებს. შეიძლება ამაში „დამნაშავე“ იყოს პოეტის მოკრძალებული ხასიათი და თავმდაბლობა, რომელიც სიცოცხლეში არ ეძიებდა დაფნის გვირგვინს და ჯილდოებს. მას სჯეროდა, რომ ყველაზე სწორი და მოუსყიდელი მსაჯული — დრო მიაგებდა თავის წილ ჯილდოს. და ასეც მოხდა...

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი დავით (დათა) ლავრენტის ძე. 17. I. 1894, სოფელი ერთაწმინდა, კასპის რაიონი — 16. XI. 1971, თბილისი.

ქორეოგრაფი, სპორტსმენი, მკვლევარი, პედაგოგი. ჯერ დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია, შემდეგ აქვე სამხედრო საოფიცრო სასწავლებელი. რამდენიმე წელი იყო თურქეთის ფრონტზე. იქედან დაბრუნებული მოღვაწეობდა სპორტულ საზოგადოება „შევარდენში“. შემდეგ მასწავლებლობს ქუთაისში, წმინდა ნინოს სასწავლებელსა და ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში. პარალელურად თავკაცობს დასავლეთ საქართველოს ტანვარჯიშის საზოგადოებას. 30-ან წლებიდან მისი მოღვაწეობის ძირითად ასპარეზად იქცა ქორეოგრაფია. დავით ჯავრიშვილის სახელთან არის დაკავშირებული ამ დარგის პირველი ნაბიჯები და შემდგომი განვითარება საქართველოში. 1928 წელს ბათუმში დააარსა ქართული ქორეოგრაფიული სტუდია და მელიტონ კუხიანიძესთან ერთად კი სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. ამ კოლექტივმა 1929 წელს რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე პირველი ადგილი მოიპოვა. 1934 წელს უკვე გამოცდილმა ხელოვანმა თბილისში ჩამოაყალიბა ქორეოგრაფიული სტუდია, რომელსაც 1952 წლამდე ხელმძღვანელობდა. აქ აღიზარდა არაერთი შესანიშნავი მოცეკვავე. პარალელურად წლების მანძილზე იყო ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი ბალეტმაისტერი. მისი ხელმძღვანელობით დაიდგა ცეკვები სპექტაკლებში: „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „დარეჯან ცბიერი“, „ქეთო და კოტე“, „სამშობლო“, „პატარა კახი“, „კაკო ყაჩაღი“, „ბაში-აჩუკი“, „ღალატი“, „დემონი“, „ხევისბერი გოჩა“, „მალთაყვა“ და სხვ. მასვე ეკუთვნის ხარკოვის, ოდესისა და მოსკოვის საოპერო თეატრებში განხორციელებული „დაისისა“ და „აბესალომ და ეთერის“ ქორეოგრაფია. ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ ქართული ცეკვების დასადგმელად სსრ კავშირის ხალხთა ცეკვების სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში გამოცდილი ხელოვანი მიიწვია ცნო-

ბილმა ქორეოგრაფმა იგორ მოისეევმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ მოცეკვავეთა პირველი გასვლა საერთაშორისო ფესტივალზე 1935 წელს ლონდონში, სადაც დავით ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ გამოვიდნენ საქართველოს წარგზავნილები. მისი დამსახურებაა 1937 წელს მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადაზე მშვენივრად შესრულებული ცეკვები ოპერებში: „აბესალომ და ეთერი", „დაისი", და „დარეჯან ცბიერი".

დ. ჯავრიშვილი მხოლოდ პრაქტიკოსი ქორეოგრაფი როდი იყო. იგი წლების მანძილზე განაგებდა სასცენო მოძრაობის კათედრას შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში და მეცნიერულად იკვლევდა ქორეოგრაფიის საკითხებს, რაც აისახა კიდეც მის ფუნდამენტურ შრომებსა და მონოგრაფიებში.

ამ ჭეშმარიტად დაუღალავი მოღვაწის სახელს უკავშირდება 1937 — 1938 წლებში საქართველოს სპორტსმენთა 300 კაციანი ჯგუფის მომზადება მოსკოვში გამართულ მხატვრულ-ფიზკულტურულ პარადზე გამოსვლისათვის. დავით ჯავრიშვილმა საფუძველი ჩაუყარა პირველ სპორტულ საზოგადოება „ამირანს", თბილისში. მისივე ინიციატივით და ხელშეწყობით შეიქმნა პირველი სპორტული საზოგადოებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ამ გამოჩენილი ადამიანის მოღვაწეობა და დამსახურება აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით. 1961 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

ჯ ა მ ბ ა კ უ რ — ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ა ბ ა შ ი ძ ე თეკლე ნიკოლოზის ასული. 6. VII. 1876, თბილისი — 21. IX. 1961, თბილისი.

კიტა აბაშიძის მეუღლე. თბილისში დაამთავრა კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი. 1898 წელს ცოლად გააჰყვა კიტა აბაშიძეს. მათ სამშობლოს აღუზარდეს ოთხი შვილი, მათგან უფროსი, გიორგი, დახერიტეს 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის.

ჯ ა მ ბ ა კ უ რ — ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ანასტასია ნიკოლოზის ასული. 24. IV. 1884, თბილისი — 7. XI. 1969, თბილისი. ივანე ჯავახიშვილის მეუღლე. დაამთავრა წმინდა ნინოს სასწავლებელი თბილისში, პარალელურად სამუსიკო სასწავლებელი ვიოლინოს სპეციალობით, მაგრამ არ უმუშავნია. 1906 წელს თავისი ბედი დაუკავშირა ივანე ჯავახიშვილს. მათ აღზარდეს სამი შვილი — ნათელა, კახა და ალექსანდრე (ლალი), რომლებმაც ღირსეულად გააგრძელეს თავიანთი დიდი მშობლების ოჯახური ტრადიცია.

ჯ ა ნ დ ი ე რ ი — ლ ე ქ ა ვ ა მარია ილიას ასული. 30. X. 1905, პეტერბურგი, — 30. V. 1979, თბილისი.

არქიტექტორ გიორგი ლექავას მეუღლე. 1922 წელს პეტერბურგში დაამთავრა საშუალო სკოლა, 1927 წელს ლენინგრადის სამხტავრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი. გადმოვიდა თბილისში და 1930 წლამდე მუშაობდა ქალაქის საბჭოს არქიტექტურის სახელოსნოში. 1930 — 1962 წლებში „მოსპროექტის" არქიტექტორია. 1962 წელს პენსიაზე გასვლის შემდეგ ჩამოვიდა თბილისში და მეუღლესთან ერთად განაგრძო ქართული არქიტექტურის მეცნიერული კვლევა, რომელზეც მუშაობა ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაიწყო. მათ ერთობლივად გამოსცეს „სვანეთის არქიტექტურა", „საქართველოს მთიანეთის არქიტექტურა", „ხალხური კოშკური ნაგებობანი" და სხვა მრავალი საინტერესო ნაშრომი. საგულისხმოა ისიც, რომ მ. ჯანდიერი მეუღლესთან ერთად სისტემატურად მონაწილეობდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში.

ჯ ა ნ დ ი ე რ ი — მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ეკატერინე ლევანის ასული. 7. XII. 1881, გურჯაანის რაიონი, სოფელი ვაჩნაძიანი — 6. VIII. 1930, თბილისი.

პროფესორ ალექსანდრე მაჭავარიანის მეუღლე. 1889 წელს ჩაირიცხა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თხოვნით მშობლებმა ნიჭიერი ქალიშვილი გაგზავნეს ქალაქ ლოზანაში (შვეიცარია) სწავლის გასაგრძელებლად. აქ იგი ჩაირიცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1907 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა. სამშობლოში დაბრუნებულმა მთელი ცხოვრება სოფელში გაატარა, სადაც ნაყოფიერად მუშაობდა სოფლის მეურნეობის დარგში. აქვე საკუთარი სახსრებით ააშენა ბიბლიოთეკა, მის მიერ შექმნილმა საგლეხო ბანკმა რამდენიმე წელს იარსება და ასობით გლეხკაცს მატერიალურად გაუმართა ხელი. დააარსა სკოლა, ასწავლიდა ვაჩნაძიანელებს, თბილისშიც ჩამოდიოდა და ლექციებს კითხულობდა საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში. ეკატერინე მაჭავარიანის შემწეობით და ხელმძღვანელობით სოფელ ვაჩნაძიანში შეიქმნა ლაბორატორია, სადაც იგი პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებდა ახალგაზრდებთან. მან ევროპიდან სამშობლოში ჩამოიტანა სათესი, მიწის გამაფხვიერებელი, ხორბლის დამახარისხებელი მანქანები. იგი იყო ერთ-ერთი პირველი აგრონომი ქართველი ქალი, რომელსაც ივანე ოქრომჭედლიშვილთან, ალექსანდრე შანშიაშვილთან და ერმილე ნაკაშიძესთან ერთად საპატიო ადგილი უჭირავს ქართველი სოფლის განვითარების საქმეში. ამასთანავე იგი იყო სა-

ნიმუშო მეუღლე და დედა. უფროსი ვაჟიშვილი ლევანი რესპუბლიკის დამსახურებული ექიმია, გიორგი კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის დოცენტი. ეკატერინე მაჭავარიანის ოფროსი ძმა ილია ლევანის ძე ჯანდიერი იყო, პროფესორი, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინალური ინსტიტუტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სამწუხაროდ 1937 წლის რეპრესიების დროს დაიღუპა.

ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ალექსანდრე ილარიონის ძე. 24. X. 1888, სოფელი ნიკორწმინდა, ამბროლაურის რაიონი — 16. I. 1975, თბილისი.

საქართველოში გეოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და უმაღლესი განათლების მისაღებად გაეგზავრა დასავლეთ ევროპაში — ჯერ ჟენევაში, ხოლო შემდეგ პარიზში. 1910 წელს დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება, მაგრამ ერთ წელიწადს იქვე განაგრძო მეცადინეობა. ზედმიწევნით დაეუფლა ბუნებისმეტყველებას, ფიზიკას, მათემატიკას, ღრმა ცოდნით აღჭურვილი დაუბრუნდა სამშობლოს და მუშაობა დაიწყო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლად. 1915 წელს ა. ჯანელიძემ ექსტერნად ჩააბარა გამოცდები ყაზანის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე და იქვე აირჩიეს გეოლოგიის კათედრის ასპირანტად და ასისტენტად. შემდეგ მუშაობა მოუხდა გრენობლში ვ. კილიანთან, პარიზში აკადემიკოს ოგის ლაბორატორიაში და ჰალეში პროფესორ ვალთერის (გერმანია) გეოლოგიის ინსტიტუტში.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე, 1923 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო 1924 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. 45 წლის მანძილზე სათავეში ედგა გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრას.

ა. ჯანელიძეს დიდი წვლილი მიუძღვის თეორიული გეოლოგიის მრავალი საკვანძო საკითხის გადაჭრაში. ამასთან მისი თეორიული გამოკვლევები მჭიდროდ უკავშირდება პრაქტიკას და დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობაში. მან საფუძველი ჩაუყარა ჩვენში გეოლოგიურ საზოგადოებას. 1942 — 1945 წლებში გამოჩენილი მეცნიერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია.

დიდია ალექსანდრე ჯანელიძის ღვაწლი გეოლოგიური კადრების

ბომბადებაში. მის სახელს განუყრელად უკავშირდება საქართველოში გეოლოგიური აზროვნების განვითარება და მნიშვნელოვანი მიღწევები. სამაგალითო იყო მეცნიერის უანგარობა, საქმისადმი სიყვარული, ფართო ერუდიცია, ქართული კულტურისადმი უსაზღვრო სიყვარული. 1946 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. დაჯილდოვებული იყო 3 ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით. 1982 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დააწესა ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია.

ჯ ა ო შ ვ ი ლ ი — ხ ო მ ი ზ უ რ ა შ ვ ი ლ ი ნინო ეპიფანეს ასული. 25. VI. 1901, თბილისი — 19. II. 1971, თბილისი.

აკადემიკოს ნიკოლოზ ხომიზურაშვილის მეუღლე. დაიბადა სასულიერო და საზოგადო მოღვაწის ეპიფანე ჯაოშვილის ოჯახში. დაამთავრა თბილისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზია. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1924 წელს დაქორწინდა ნიკოლოზ ხომიზურაშვილზე. შემდეგ იყო დიასახლისი.

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ანტონ (ტუტუშა) ქაიხოსროს ძე. 1887, სოფელი ობჩა, ბაღდადის რაიონი — 5. XI. 1929,

ინჟინერ-მელიორატორი. საშუალო განათლება მიიღო ერევანში, უმაღლესი — ნოვოჩერკასკში. მან დიდი წვლილი შეიტანა კოლხეთის ჭაობის ამოშრობის, დიღმის სარწყავი სისტემისა და აჯამეთის არხების მშენებლობის საქმეში.

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე — ა ფ ხ ა ი ძ ე თინა კონსტანტინეს ასული. 24. II. 1904, სოფელი ქვიშხეთი, ხაშურის რაიონი — 1974, თბილისი.

მსახიობ ემანუილ აფხაიძის მეუღლე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. მუშაობდა აქვე პედაგოგად, მიჰყავდა არფის კლასი. პარალელურად მუშაობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის და, აგრეთვე, რუსთაველის თეატრის ორკესტრებში. იყო ცნობილი მთარგმნელის კონსტანტინე ჯაფარიძის ქალიშვილი და ესტრადის გამოჩენილი მომღერლის ქეთო ჯაფარიძის და.

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გულნარა დავითის ასული. 27. II. 1917, ყვარელი — 4. II. 1978, თბილისი.

ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. 1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1946 წლიდან საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელია, შემდეგ

სწავლული მდივანი და განყოფილების გამგე. დიდი წვლილი შეიტანა მუზეუმის ფონდების შესწავლისა და ექსპოზიციების მოწყობაში. 1958 — 1960 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნების განყოფილებას. იყო მხატვართა კავშირის კრიტიკოსთა სექციის მდივანი, შემდეგ ამავე სექციის თავმჯდომარე.

ახალი და უახლესი სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო მკვლევარი ვ. ჯაფარიძე სისტემატურად აწყობდა ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენას ჩვენშიც და უცხოეთშიც. მის კალამს ეკუთვნის არა ერთი საინტერესო მონოგრაფია, 150-მდე სტატია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომები თანამედროვე ლითონმქანდაკებლობაზე. საგულისხმოა, რომ თვით ეს ტერმინიც ქართულ ლექსიკაში მანვე შემოიტანა და დაამკვიდრა. საინტერესო გამოკვლევები უძღვნა ჩინებულმა ხელოვნებათმცოდნემ სოსო გაბაშვილს, თამარ აბაკელიასა და კორნელი სანაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას, უცხოეთში მოღვაწე ქართველ მხატვრებს.

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ლევან ივანეს ძე. 13. IV. 1905, თბილისი.— 20. III. 1972, თბილისი.

ბოტანიკოსი, მცენარეთა ფიზიოლოგი და ანატომი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი. სტუდენტობიდანვე დაიწყო სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი 40 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილების გამგე, ერთხანს დირექტორიც: ლ. ჯაფარიძის 100-მდე მეცნიერული გამოკვლევა ეხება ისეთ აქტუალურ პრობლემებს, როგორიცაა მცენარეთა სქესი, მათი ვეგეტაციური გამრავლება, ვაზის ქლოროზი, კულტურულ მცენარეთა გამძლეობა და სხვ. მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწის რამდენიმე მონოგრაფია და სახელმძღვანელო ცნობილია საზღვარგარეთაც. 1931 წლიდან იყო მცენარეთა ანატომიის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის ფუძემდებელთაგანი საქართველოში, ბოტანიკური საზოგადოების ერთ-ერთი დაამაარსებელი და ეიცე-პრეზიდენტი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლ. ჯაფარიძის, როგორც პროფესორისა და მასწავლებლის ღვაწლი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური, აგრეთვე საზო-

გადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვებული იყო ლენინის ორდენითა და მედლებით.

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე მედეა ვალერიანის ასული. 20. III. 1923, თბილისი — 31. III. 1994, თბილისი.

თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რევაზ თაბუკაშვილის მეუღლე. 1939 წელს დაამთავრა თბილისის VIII საშუალო სკოლა. ორი წელი მუშაობდა ნაძალადევის კულტურის სახლთან არსებულ ხალხური შემოქმედების თეატრში. 1941 წლის დეკემბრიდან მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. ამასთანავე რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებულ სტუდიაში ისმენდა გ. ტოვსტონოგოვის ლექციების კურსს მსახიობის ოსტატობაში. მოგვიანებით მივლინებული იყო მოსკოვში, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის სტუდიაში, აქ იყო რეჟისორმა ი. ზავადსკიმ მიიწვია „მოსსოვეტის“ თეატრში, სადაც რუსულ ენაზე შეასრულა კლეოპატრას როლი ბ. შოუს პიესაში „კეისარი და კლეოპატრა“. სულ მალე დაბრუნდა სამშობლოში და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა მშობლიური ხელოვნების განვითარების საქმეს. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მან შექმნა არა ერთი უბრწყინვალესი სახე, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული თეატრის უმდიდრეს ისტორიაში. მედეა ჯაფარიძის მიერ შესრულებული როლები გამოირჩეოდა მაღალი აქტიორული ოსტატობით, უშუალობით, პოეტურობით და განუმეორებელი მომხიბლელობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნინა (ლერმონტოვის „მასკარადი“), ჯულიეტა, ბეატრიჩე, ლედი ანა (შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, „რიჩარდ III“), ჭრიჭინა (მ. ბარათაშვილის „მარინე“), გულსუნდა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), მარტა (კასონას „ხეები ზეზეულად ხმებიან“), ვარვარა კარპოვნა (კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“), გულქანი (პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალი“), იოკასტე (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), დედა (ლ. თაბუკაშვილის „ძველი ვალსი“) და სხვ.

მართალია მედა ჯაფარიძის მოღვაწეობა კინოში თითქოს უფრო მოკრძალებულია, მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ მსახიობის მიერ შესრულებული ქეთოს სახე „ქეთო და კოტედან“, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ თუ რა არის ცხოვრებისეული სილამაზე, კეთილშობილება, სიყვარულისადმი ერთგულება და მომხიბლელობა. მსახიობის კინოში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია ანა („აკაკის აკვანი“) ელიკო („წარსული ზაფხული“) და სხვ. 1951 წელს „ჯურღაის ფარში“ დედოფლისა და ეთერის როლების შესრულები-

სათვის მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია. ხოლო 1976 წელს კინოფილმ „მზე შემოდგომისა“ ეკას როლის შესრულებისათვის დაიმსახურა წლის საუკეთესო მსახიობი ქალისათვის განკუთვნილი პრემია.

მედეა ჯაფარიძე ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი როგორც სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გვერდში ედგა საიმედო მეგობრად ყველა უსამართლოდ დაჩაგრულსა და გაუბედურებულს. არჩეული იყო საპარლამენტო ჯგუფის, საზოგადოება „ცოდნის“, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის, საბჭოთა ქალების კომიტეტის წევრად და სხვ.

მედეა ჯაფარიძე ნახევარი საუკუნის მანძილზე თავდადებით ემსახურებოდა ქართულ ხელოვნებას. ღვთისაგან იშვიათი გარეგნობით, კაცთმოყვარეობით, ზნეობრივი სისპეტაკით, მაღალი ინტელექტით და დიდი ადამიანობით უხვად დაჯილდოვებულმა იცხოვრა და ილვაწა მშობლიური ხალხის ბედნიერებისათვის, ვალმოხდილი, ნათლითმოსილი წავიდა წუთისოფლიდან.

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე მიხეილ ვიქტორის ძე. 3. II. 1906, სოფელი ხრეითი, ჭიათურის რაიონი — 6. V. 1964, თბილისი.

დრამატურგი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. სწავლა დაიწყო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში და დაამთავრა თბილისში 1925 წელს საშუალო სასწავლებელი. პარალელურად მეცადინეობდა „პროლეტკულტის“ თეატრალურ სტუდიაში, რომლის დამთავრების შემდეგ პრაქტიკულ საქმიანობას შეუდგა თბილისის მუშათა თეატრში. 1927 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტია. 1938 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა თეატრში რეჟისორად და მსახიობად. პირველი ლექსები 1924 წელს გამოაქვეყნა. შემდეგ გაიტაცა დრამატურგიამ და მთელი სიცოცხლე ამ ჟანრს ემსახურებოდა. მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის, მარჯანიშვილის, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის, მოზარდ მაყურებელთა, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის და სხვა ქალაქების თეატრებსა და კულტურის სახლებში.

დრამატურგის შემოქმედებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ჟამთაბერის ასული“, „მეზობლები“, „ჩვენებურები“, „ბულარა“ და სხვ. მან თარგმნა აგრეთვე ვიშნევსკის, ტრენიოვის, პოპოვის პიესები.

მიხეილ ჯაფარიძე ნაყოფიერად ემსახურებოდა ქართულ ესტრადასა და კინოს. ფართო პოპულარობით სარგებლობდა მისი სკეტჩები, იუმორისტული ლექსები, კინოსცენარები.

ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ქეთევან კონსტანტინეს ასული. 11. II. 1901, ქვიშხეთი, ხაშურის რაიონი — 20. IX. 1968, თბილისი.

მომღერალი. 1919 წელს დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია და სწავლა განაგრძო კონსერვატორიაში, ჯერ პედაგოგ ლევიცკისთან, შემდეგ ანა ჯაყელთან. ერთხანს ზაქარია ფალიაშვილიც ამეცადინებდა. ნიჭიერმა მომღერალმა იმთავითვე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება შესანიშნავი ხმით და საშემსრულებლო ოსტატობით, თუმცა პროფესიულ სცენაზე გვიან, 1935 წელს შედგა ფეხი. მან მოიარა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, იყო საზღვარგარეთ და ყველგან დიდი მოწონებით სარგებლობდა. მისი შესრულებით მაყურებელმა შეიყვარა ქართული საესტრადო სიმღერები და რომანსები. თითქმის ოთხი წელი გამოდიოდა ლენინგრადში და აქაც დიდი წარმატებები ჰქონდა. 1939 წელს ესტრადის მსახიობთა პირველ საკავშირო კონკურსზე ლაურეატის საპატიო წოდება დაიმსახურა.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მომღერალმა სამამულო ომის პერიოდში. იგი სისტემატურად გამოდიოდა ჰოსპიტლებსა და სამხედრო ნაწილებში — ხშირად ფრონტის წინა ხაზზედაც. მისი მაღალი გემოვნებით შესრულებული სიმღერები აღაფრთოვანებდა მებრძოლებს, სიცოცხლის ძალასა და ოპტიმიზმს უნერგავდა დაჭრილებს. იმ უმძიმეს პირობებში მომღერალმა 1000-ზე მეტი საშეფო კონცერტი გამართა.

ქეთო ჯაფარიძე ხალერდოვანი ხმით, შესანიშნავი დიქციით, შესრულების მაღალი კულტურით და საუცხოო გარეგნობით ხიბლავდა მსმენელსა და მაყურებელს. 1956 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება;

ჯ ა ყ ე ლ ი — ც ა ი შ ვ ი ლ ი ფატი გრიგოლის ასული. 1907, სოფელი დაბლაციხე, ჩოხატაურის რაიონი, — 30. X. 1984, თბილისი.

სოლომონ ცაიშვილის მეუღლე. საშუალო სკოლა დაამთავრა ჩოხატაურში, შემდეგ მუშაობდა მასწავლებლად კახეთში, სოფელ პატარძეულში. 1929 წელს ოჯახი გადმოვიდა თბილისში, სადაც განაგრძო პედაგოგიური მოღვაწეობა, პარალელურად სწავლობდა უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1936 წელს.

ბოლო დროს მუშაობდა ჰიდროლოგიის კვლევით ინსტიტუტში, ბიბლიოთეკის გამგედ. იყო პერსონალური პენსიონერი. საგულისხმოა, რომ სოლომონ და ფატი ცაიშვილების ოჯახში აღიზარდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერ-ლიტერატორი სარგის ცაიშვილი.

ჯ ო რ ჯ ა ძ ე არჩილ კონსტანტინეს ძე. 10. I. 1872, თბილისი — 21. III. 1913, ბათუმი.

პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი იდეოლოგი. დაიბადა სამხედრო პირის ოჯახში, რომელიც მალე ქუთაისში გადავიდა და არჩილმაც აქ კლასიკურ გიმნაზიაში დაიწყო სწავლა, ხოლო 1892 წელს დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია. იმავე წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, შემდეგ გადავიდა ვარშავაში, მაგრამ მალე დაბრუნდა პეტერბურგში, ამჯერად საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ცოტა ხანში საზღვარგარეთ გაემგზავრა, სადაც ლექციებს ისმენდა პარიზისა და ლონდონის უნივერსიტეტებში. ამ პერიოდში იგი სოციოლოგიით დაინტერესდა, ხოლო შემდეგ ლევ ტოლსტოის მოძღვრებამ გაიტაცა. ერთხანს ინგლისში ცხოვრობდა ტოლსტოველთა კოლონიაში, ესექსის საგრაფოს სოფელ პერლიველასში. 1897 წელს ა. ჯორჯაძემ ტოლსტოველთა თემაზე ჟურნალ „სევერნი ვესტნიკში" გამოაქვეყნა წერილი: „ზნეობრივი ცხოვრების საზოგადოებრივი ორგანიზაციის გაგოცდილება", რომელმაც ლევ ტოლსტოის ყურადღება მიიპყრო.

1901 წლის დამდეგს ღრმად განსწავლული ინტელიგენტი საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. თანამშრომლობდა გაზეთ „ცნობის ფურცლის" რედაქციაში. 1901 — 1902 წლებში გამოქვეყნებული წერილების სერიაში არჩილ ჯორჯაძემ ჩამოაყალიბა ე. წ. „საერთო მოქმედების ნიადაგის" თეორია, რომელიც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების კონსოლიდაციის თეორიულ დასაბუთებას წარმოადგენდა. 1903 წელს გამოჩენილმა მოღვაწემ გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად პარიზში გამოსცა პირველი ქართული ეროვნულ-რევოლუციური გაზეთი „საქართველო", რომელმაც წამოაყენა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა.

არჩილ ჯორჯაძე იყო 1904 წელს აპრილში, ჟენევაში მოწვეული ქართული პოლიტიკური ფრაქციების კონფერენციის ორგანიზატორთაგანი, რომელზეც შეიქმნა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — პირველი ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოში. არჩილ ჯორჯაძე იყო ფედერალისტთა პარტიის აღიარებული ლიდერი და მთავარი იდეოლოგი. მის სახელთანაა დაკავშირებული ახალი მოძღვრების — სოციალიზმ-ფედერალიზმის ჩამოყალიბება.

არჩილ ჯორჯაძემ ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე მდიდარი და ღრმად გააზრებული იდეური მემკვიდრეობა დატოვა. მან პირველმა შექმნა ქართული ინტელიგენციის ისტორია. მისი წერილები

მოიცავდა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების ყველაზე აქტუალურ საკითხებს, ხელოვნების, ფილოსოფიის, ისტორიის პრობლემებს. მართალია, ღრმა მოაზროვნისა და დიდი პატრიოტის თხზულებანი გამოცემულია ხუთ წიგნად, მაგრამ ეს მისი მდიდარი თეორიული მემკვიდრეობის მხოლოდ ნაწილია.

იმ დროისათვის განუკურნებელი სენით, ჭლექით დაავადებული არჩილ ჯორჯაძე, გარდაიცვალა 41 წლის ასაკში.

დამატება

აბაშიძე გრიგოლ გრიგოლის ძე. 1. VIII. 1914, სოფელი ზედა რგანი, ჭიათურის რაიონი, — 29. VII. 1994, თბილისი.

პოეტი, პროზაიკოსი, აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის საპატიო მოქალაქე. 1931 წელს საშუალო განათლების მიღების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1936 წელს დაამთავრა. სხვადასხვა დროს იყო ჟურნალების „მნათობის", „დროშის" და „ნიანგის" რედაქტორი. 1967 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანია, ხოლო 1973 წლიდან 1981 წლამდე თავმჯდომარე. იმავე წელს დაინიშნა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარედ, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა.

გრიგოლ აბაშიძე სამწერლო ასპარეზზე 1934 წელს გამოვიდა, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები. პოეტმა თავის ეპიკურ პოემებში „გიორგი VI", „ზარზმის ზარები", „შავი ქალაქის გაზაფხული" ახალი სახით და შინაარსით აღორძინა კლასიკური პოემის ტრადიცია მკაფიოდ ჩამოყალიბებული სიუჟეტებით და გამოკვეთილი ხასიათებით. მან დიდი ამაგი დასდო ქართულ ისტორიული რომანის განვითარების საქმეს. საქართველოს წარსულს ეხება მისი „ლაშარელა", „დიდი ღამე", „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება". მწერლის ამ ნაწარმოებებში გადმოცემულია საქართველოს ისტორიის უმძიმესი პერიოდები. ავტორი ახლებური გააზრებით აგვიწერს ჩვენი ხალხის ზნეობრივ სისპეტაკეს, სიმტკიცეს, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მის თაყდადებულ ბრძოლას. მწერალს დიდი პოპულარობა მოუპოვა მაღალი გემოვნებით დაწერილმა რომანმა „ყორნალი". ამ მეტად საინტერესო ნაწარმოებში არაერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა დასმული. მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობოდა მწერლის ყველა ნაწარმოებს, ეს იქნებოდა საბავშვო ლექსები თუ პოემები, წერილები, ესეები, თუ მეგობრული ხასიათის მისალმებები.

გრიგოლ აბაშიძე ამასთანავე ბრწყინვალე მთარგმნელი იყო. მან ქართველ საზოგადოებას გააცნო მ. მენესკუს, ა. მიცკევიჩის, ი. ვაზოვის და სხვათა ლექსები და პოემები. მთარგმნელობითი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს მის მიერ თარგმნილი შანდორ პეტეფის პოეზია.

გრიგოლ აბაშიძე დიდი საზოგადო მოღვაწე იყო. ბოლო ექვსი ათეული წლის მანძილზე არ არსებობდა ერის სულიერ ცხოვრებაში არცერთი სფერო, რომელზეც მას თავისი მართალი და პრინციპული

სიტყვა არ ეთქვას. იგი იყო ჭაშმარიტი მამულიშვილობის მაგალითის მაჩვენებელი. მწერლობაში მაღალი პროფესიონალიზმით და ცხოვრებაში დიდი მოქალაქეობრივი ღირსებით შემკული ადამიანი. ამ დიდებულ ინტელიგენტს არ დაკლებია არც პატივისცემა და არც ხალხის სიყვარული. დაჯილდოვებული იყო 3 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო“ ნიშნის ორდენებით. განსაკუთრებით გაახარა იგი ღირსების ორდენმა, რომელიც გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, 80 წლის მოლოდინში მყოფი იუბილარი დააჯილდოვა თავისუფალმა და დამოუკიდებელმა საქართველომ.

გ ა წ ე რ ე ლ ი ა აკაკი ნიკოლოზის ძე. 22. XII. 1909, ფოთი — 1. XII. 1994, თბილისი.

ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, ფილოლოგიურ მეცნ. დოქტორი, პროფესორი. 1932 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა გამომცემლობებში, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, თეატრალურ ინსტიტუტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც 1957 წლიდან ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთული ლიტერატურის კათედრას. ლიტერატურულ სარბიელზე გამოვიდა 1927 წელს და, აქედან მოყოლებული, თითქმის შვიდი ათეული წელი თავდაუზოგავად ემსახურა მშობლიურ მწერლობასა და მეცნიერებას. ა. გაწერელიამ გაამდიდრა ქართული ფილოლოგია ისეთი ნაშრომებით როგორიცაა მონოგრაფიები ნ. ბარათაშვილზე, გრ. ორბელიანზე, ვაჟა ფშაველაზე, ტექსტოლოგიაში; ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული კლასიკური ლექსი“, მრავალი ნარკვევი და ესე ქართველ და უცხოელ მწერლებსა და მოღვაწეებზე. ა. გაწერელია ავტორია აგრეთვე მხატვრული ნაწარმოებებისა: „იმამი ლოყაში“, „ბოსკოს შეგირდი“; „შამილი და მისი ნაიბი“ და სხვ. ა. გაწერელიას მრავალი თხზულება ნათარგმნია ფრანგულ და სხვა ენებზე. სამწუხაროდ მხცოვან მეცნიერს არ ეღირსა აკადემიკოსობა, რომელსაც იგი უდაოდ იმსახურებდა.

ვ ა ჩ ნ ა ძ ე — ა ს ა თ ი ა ნ ი ანა (ანიკო) ნიკოლოზის ასული. 3. II. 1914, თბილისი — 13. XII. 1994, თბილისი.

პოეტ ლადო ასათიანის მეუღლე. სწავლობდა ბოდბის გიმნაზიაში, შემდეგ თბილისში წმ. ნინოს სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო თსუ ეკონომიკის ფაკულტეტზე. ერთ ხანს ნაყოფიერად იღვაწა საქართველოს მწერალთა კავშირში, (სწორედ აქ გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე). შემ-

დეგ ერთ ხანს მუშაობდა დამზადების სამინისტროში. მოგვიანებით ეკ ფინანსთა სამინისტროში, საიდანაც გავიდა პენსიაში 1965 წელს.

იშხნელი — დეისაძე თამარ ალექსანდრეს ასული. ს. V. 1900, ქუთაისი —23. X. 1994, თბილისი.

მომღერალი. ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი.

დაიბადა არქიელის გორაზე სტუმართმოყვარე ქუთათურ მრავალშვილიან ოჯახში სადაც სიმღერა განსაკუთრებულ პატივში იყო. აქ მღეროდა დედ-მამა, 10 და-ძმა — შვიდი და, სამი ძმა. მათი სიმღერა მაგნიტივით იზიდავდა ყველას და მალე იშხნელების ოჯახის პოპულარობა მთელს ქუთაისს მოედო. ბავშვებს ხშირად იწვევდნენ საქველმოქმედო კონცერტებზე. პირველად ასეთ ღონისძიებაზე ბავშვები გამოვიდნენ 1900 წელს და დიდი წარმატებით ჩაიარა. ამ დღიდან იშვიათი იყო საქალაქო ღონისძიება, რომ და-ძმა იშხნელები არ მოეწვიათ. 1914 წელს ახალგაზრდა გალაკტიონის საღამოზე გამოსულ ხუთ ღას ბადლიერების ნიშნად პოეტმა თავისი წიგნიც უსახსოვრა. მოგვიანებით იშხნელებმა ჩამოაყალიბეს კვარტეტი, რომელშიც შედიოდნენ ნინო, თამარ, ზინაიდა და ალექსანდრა. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ დებს „შეეხიდა" დებში უფროსი მარიამი. ღებრა იშხნელებმა ერთ-ერთმა პირველებმა შემოიტანეს ქართულ ესტრადაზე ქალაქური ფოლკლორი, ძველი თბილისური სიმღერა. ისინი დედაქალაქში 1933 წელს გადმოვიდნენ. 1940 წელს პირველად გამოვიდნენ საქართველოს რადიოთი. 1949 წელს მიენიჭათ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების წოდება, ხოლო 1963 წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

1968 წელს რვა თვის განმავლობაში ქალბატონმა თამარმა ზედიზედ დაჰკარგა სამი და, და დაობლდა მისი ხავერდოვანი კონტრალტო, რომელიც მრავალი ათეული წლის მანძილზე ალამაზებდა თავისი დების საამურად შეწყობილ ხმებს. დიდი ხანი არ გამოსულა ქ-ნი თამარი თავისი თაყვანისმცემლების წინაშე, მაგრამ ცხოვრებამ თავისი გაიტანა და კვლავ გამოჩნდა იგი ტელევიზიაში თუ კონცერტებზე, ოღონდ, ამჯერად თავის შვილიშვილთან, ნიჭიერ ხელოვანთან და მომღერალთან მანანა მენაბდესთან ერთად. თითქმის სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგია მხცოვან მომღერალს სიმღერის ხალისი და არც მსმენელი აკლდა. ისე მოხდა, რომ დები იშხნელების სხვა წარმომადგენლებმა ირჩიეს თავთავიანთ ახლობლებთან დასაფლავება, მხოლოდ ქალბატონ თამარს ხვდა წილად პატივი „წარმოდგინა" თავისი დები დიდების პანთეონში.

ძ ი ძ ი გ უ ლ ი შოთა ვარლამის ძე. 15. VIII. 1911, სოფ. მათხოხონის რ-ნი, — 13. XII. 1994, თბილისი.

ენათმეცნიერი. აკადემიკოსი. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გაემგზავრა ლენინგრადში, სადაც ასპირანტურის კურსი გაიარა ისეთ აღიარებულ მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები: ნ. მარი, ი. მეშჩანინოვი, ლ. შჩერბა. პროფ. კ. დონდუა. 1935 წელს ლენინგრადშივე დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული ენის კილოების კლასიფიკაციის ცდა". სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაიწყო სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის, ქუთაისის და თელავის უმაღლეს სასწავლებლებში. 1967—1984 წწ. იყო თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგე. ხოლო 1974 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი და აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. პარალელურად კომისიის თავმჯდომარე, ბასკური ენისა და კულტურის საზოგადოების თავმჯდომარე, ქართული ენციკლოპედიის ენათმეცნიერული საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალ „გეორგიკის" რედაქტორი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი, ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი და სხვ.

შ. ძ-ძიგურის ნაშრომებში გაშუქებულია ქართული ენის გრამატიკა, მისი ისტორიის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიალექსიკოგრაფიის, ონომასტიკის და სხვა საკითხები. მისი ნაშრომები გამოცემულია ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, გერმანულ, ესპანურ ენებზე. დიდი ღვაწლისა და მეცნიერულ მიღწევებისათვის შოთა ძიძიგურს მიღებული აქვს ს. ვავილოვისა და ი. ჯავახიშვილის მედლები, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ჭ ი ბ ი ნ ა ძ ე ნიკოლოზ (პარმენ) გაბრიელის ძე. 1873, სოფ. გოდოგანი. ქუთაისის მაზრა, — 30. IX. 1921, თბილისი.

ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ მისი პოლიტიკური აქტივობის გამო ხელისუფლებამ იგი გააძევა სამშობლოდან. თავისუფალ გასახლებაში ცხოვრობდა და მუშაობდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მოიწვიეს. დაბრუნდა 1920 წელს და დანიშნეს სამხედრო მინისტრის პოსტზე. ის იყო უკანასკნელი (სულ რამოდენიმე კვირა) სამხედრო მინისტრი დამოუკიდებელი საქართველოსი. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ

პარმენ ჭიჭინაძე დააპატიმრეს და სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად ჩასვეს მეტეხის ციხეში, სადაც საშინელ პირობებში ჰყავდათ. ციხეშივე გარდაიცვალა მენინგიტით. მისი დასაფლავება გადაწყვეტილი იყო რუსთაველის პროსპექტზე დიდების ტაძართან (გათხრილიც კი იყო საფლავი), მაგრამ ხელისუფლებას შეეშინდა ხალხის მასობრივი თავშეყრისა და უკანასკნელ მომენტში უარი უთხრეს ჭირისუფალს აქ დასაფლავებაზე. საზოგადოების დიდის ძალისხმევით შეიღწიეს იმას, რომ პ. ჭიჭინაძე დაესაფლავებინათ დიდუბის სასაფლაოზე. საფლავთან გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზედაც გამოვიდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები (იხილეთ ვლასი მგელაძის მოგონებები). პ. ჭიჭინაძის საფლავი დღეს დაფიქსირებული არაა, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ მის გვერდით ერთი წლის შემდეგ დამარხეს მისი ქვისლი ლევან იასონის ძე ნათაძე. პ. ჭიჭინაძის საფლავი კი უნდა იყოს ლ. ნათაძისა და მწერალ დავით ყასრაძის საფლავებს შორის, რისი დაფიქსირებაც საშურ საქმედ მიგვაჩნია.

ᲛᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

წინათქმა	3
1. აბაკელია თამარ გრიგოლის ასული	16
2. აბაშელი ალექსანდრე ბესარიონის ძე	17
3. აბაშიძე — ამირაჯიბი ქეთევან ჯიბრაილის ასული	18
4. აბაშიძე გრიგოლ გრიგოლის ძე	433
5. აბაშიძე დავით (დოდო) იოანეს ძე	18
6. აბაშიძე ირაკლი ბესარიონის ძე	19
7. აბაშიძე კიტა გიორგის ძე	21
8. აბაშიძე ლევან გიორგის ძე	22
9. აბაშიძე ტასო ვასილის ასული	23
10. აბაშიძე ჰაიდარ ალის ძე	23
11. აბდუშელიშვილი — ვირსალაძე ანასტასია დავითის ასული	25
12. აბულაძე ბიძინა ვლადიმერის ძე	25
13. აბულაძე თენგიზ ევგენის ძე	26
14. აბულაე ილია ვლადიმერის ძე	27
15. აბულაძე იესტინე ირაკლის ძე	28
16. აგაბაბიანი რუბენ იაკობის ძე	29
17. აგაბეკოვა — გოძიაშვილი ევგენია სამსონის ასული	30
18. აგიაშვილი ნიკოლოზ დიმიტრის ძე	30
19. აგლაძე ილია სიმონის ძე	31
20. აგლაძე რაფიელ ილიას ძე	32
21. ადამია ალიო კონსტანტინეს ძე	33
22. ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე	33
23. აზმაიფარაშვილი შალვა ილიას ძე	35
24. ალექსი — მესხიშვილი ვლადიმერ (ლადო) სარდიონის ძე	36
25. ალექსიძე დიმიტრი (დოდო) ალექსანდრეს ძე	38
26. ალექსიშვილი ბათე მიხეილის ძე	39
27. ამილახვარი — ეაჩეიშვილი მარიამ გიორგის ასული	40
28. ამირანაშვილი პეტრე ეარლამის ძე	40
29. ამირანაშვილი შალვა იასონის ძე	41
30. ამირაჯიბი ბარბარე კონსტანტინეს ასული	42
31. ამირაჯიბი ბარბარე მიხეილის ასული	42
32. ამირაჯიბი კონსტანტინე მიხეილის ძე	43
33. ამირეჯიბი რიჩარდ ოლივერის ძე	44
34. ამირეჯიბი ეკატერინე (ცაცა) გიორგის ასული	44
35. ამირეჯიბი — ქიქოძე ანასტასია გიორგის ასული	45
36. ამისულაშვილი შალვა ზაქარიას ძე	45
37. ანანიაშვილი — შაეიშვილი ეთერი ეპატეს ასული	46
38. ანდრონიკაშვილი — აბაშიძე ნინო დავითის ასული	46
39. ანდრონიკაშვილი ელეფთერ ლუარსაბის ძე	47
40. ანდრონიკაშვილი ლუარსაბ ნიკოლოზის ძე	48
41. ანდღულაძე დავით იასონის ძე	50
42. ანთაძე დოდო კონსტანტინეს ძე	51
43. ანთაძე — ნაკაშიძე ნინო იოსების ასული	52
44. ანთელავა ნიკოლოზ ეარდენის ძე	53
45. ანთელავა ჯიმშერ ნიკოლოზის ძე	54

46. ანთიძე — მელიავა მანანა ვასილის ასული 54
47. ანფიმოვი იაკობ ათანასეს ძე 54
48. არაბიძე ვასილ (ვასო) ოქროპირის ძე 56
49. არაგვისპირელი შიო ზაქარიას ძე 56
50. არაყიშვილი დიმიტრი ეგნატეს ძე 57
51. არღუთინსკაია — დოლგორუკოვა — ამირაჯიბი სოფიო ვასილის ასული 58
52. არსენიშვილი კონსტანტინე იერონიმის ძე 60
53. ასათიანი გურამ ლევანის ძე 61
54. ასათიანი ლადო მელქისედეკის ძე 62
55. ასათიანი ლევან ნიკიფორეს ძე 63
56. ასათიანი მამია ვასილის ძე 64
57. აფხაიძე ემანუილ ელისეს ძე 64
58. აფხაიძე შალვა ნიკოლოზის ძე 65
59. აღსაბაძე შოთა რევაზის ძე 66
60. ახალაძე — ბახტურიძე ელენე სიმონის ასული 67
61. ახელედიანი ელენე დიმიტრის ასული 67
62. ახელედიანი ქეთევან 69
63. ახობაძე ვლადიმერ ბესარიონის ძე 69
64. ბაირამაშვილი — ვასილიევა ვარვარა აბელის ასული 69
65. ბალანჩივაძე ანდრია მელიტონის ძე 70
66. ბარბაქაძე — ჯაფარიძე ევგენია პეტრეს ასული 71
67. ბარდაველიძე ვერა ვარდენის ძე 72
68. ბაქრაძე — ბოცვაძე ნინო იოსების ასული 72
69. ბაქრაძე — ბურჯანაძე ეკატერინე იოსების ასული 73
70. ბაქრაძე დიმიტრი ზაქარიას ძე 74
71. ბაქრაძე კონსტანტინე სპირიდონის ძე 76
72. ბალაშვილი სპარტაკ ლევანის ძე 77
73. ბალდავაძე ეკატერინე ნიკოლოზის ასული 78
74. ბარნა 79
75. ბახტურიძე პეტრე ბესარიონის ძე 79
76. ბეშურიშვილი — ერიცთავი ოლღა გიორგის ასული 80
77. ბეგოიძე — ფირცხელავა ანა ვასილის ასული 81
78. ბეზარაშვილი — მთვარაძე ნინო ზაქარიას ასული 81
79. ბელიაშვილი აკაკი იონას ძე 81
80. ბენაშვილი დიმიტრი გიორგის ძე 82
81. ბეჟანიშვილი — აგლაძე ოლღა ნიკოლოზის ასული 83
82. ბერიძე ეუკოლ მიხეილის ძე 83
83. ბერიძე ფილიპე ევსევის ძე 85
84. ბერძენიშვილი გრიგოლ ალექსანდრეს ძე 85
85. ბეწუკელი ვახტანგ პაველის ძე 86
86. ბიბილური თამაზ ალექსანდრეს ძე 86
87. ბობოხიძე კალისტრატე (კალე) ფირანის ძე 87
88. ბოცვაძე ლეონიდან გერასიმეს ძე 89
89. ბრალოვსკაია — აბაშელი ეკატერინე ისაის ასული 89
90. ბუაჩიძე თენგიზ პაველეს ძე 89
91. ბუკია ალექსანდრე იონას ძე 90
92. ბურთიკაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე 91
93. ბურჯანაძე ვარლამ ამირანის ძე 91

94. ბუტულაშვილი — გრიგოლაშვილი ელენე გრიგოლის ასული 92
95. ბუშინსკაია — თაყაიშვილი ვლადისლავა კონსტანტინეს ასული 92
96. გაბაშვილი იოსებ (სოსო) ილიას ძე 93
97. გაბაშვილი — მაყაშვილი თამარ ალექსანდრეს ასული 93
98. გაბესკირია ვიქტორ იპატის ძე 94
99. გამრეკელი ბარბარე (ბაბო) ალექსანდრეს ასული 95
100. გამრეკელი დავით ალექსანდრეს ძე 95
101. გამყრელიძე — ბელიაშვილი თინათინ მიხეილის ასული 97
102. განდეგილი (ერისთავი) დომენიკა ზურაბის ასული 97
103. გარიყული მარიამ ლუკას ასული 98
104. გაფრინდაშვილი ვალერიან ივანეს ძე 98
105. გაფრინდაშვილი ნანა ვალერიანის ასული 99
106. გაჩეჩილაძე გივი რაჟდენის ძე 99
107. გაჩეჩილაძე — მშვენიერაძე ოლღა ვიქტორის ასული 100
108. გაწერელია აკაკი კონსტანტინეს ძე 434
109. გედევანიშვილი დიმიტრი მიხეილის ძე 101
110. გვახარია — ინაშვილი თამარ ბესარიონის ასული 101
111. გველესიანი გრიგოლ ივანეს ძე 102
112. გვერდწითელი რუსუდან გრიგოლის ასული 103
113. გვეტაძე რაჟდენ მათეს ძე 104
114. გვრიტიშვილი დავით ვლადიმერის ძე 105
115. გოგელია კომანდო ილიას ძე 106
116. გოგოძე — შენგელაია ქეთევან პლატონის ასული 107
117. გოკიელი ივანე (ვანო) რაფიელის ძე 107
118. გოკიელი ჯემალ ივანეს ძე 107
119. გოკიელი — ანთაძე ფატი (ფატმან) გაბრიელის ასული 108
120. გომელაური ალექსანდრე გიორგის ძე 109
121. გომელაური ზაქარია ნიკოლოზის ძე 110
122. გორგაძე ანთიმოზ (ალიკო) მიხეილის ძე 111
123. გორგაძე სერგი რომანოზის ძე 112
124. გოცირიძე ნიკოლოზ (ნიკო) სიმონის ძე 112
125. გოძიაშვილი ვასილ (ვასო) დავითის ძე 113
126. გრანელი ტერენტი სიმონის ძე 114
127. გრიგალაშვილი — ფაღავა ტერეზა ფარნაოზის ასული 115
128. გრიგორაშვილი გრიგოლ მაქსიმეს ძე 115
129. გრძელიშვილი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე 115
130. გულისაშვილი არჩილ ალექსის ძე 116
131. გურამიშვილი დავით ალექსანდრეს ძე 118
132. დავითაშვილი გიორგი მიხეილის ძე 119
133. დავითაშვილი მარიამ (მერი) პეტრეს ასული 120
134. დავითაშვილი ნინო შიოს ასული 120
135. დანელია სერგი იოსების ძე 121
136. დარასელი ვანიონ ალექსის ძე 122
137. დგებუაძე ორდე სოლომონის ძე 123
138. დეკანოიძე შალვა ივანეს ძე 123
139. დემეროვა — ვეფხვაძე ელისაბედ გიორგის ასული 124
140. დიასამიძე — ბაკრაძე ნინო ალექსანდრეს ასული 124
141. დიდებაშვილი — რაზიკაშვილი თამარ გიორგის ასული 124

142. დიდებულიძე ზაირა შალვას ასული 125
143. დოლიძე ვიქტორ ისიდორეს ძე 125
144. დოლიძე სიმონ (სიკო) ბესარიონის ძე 126
145. დონდუა ეარლამ დარისპანის ძე . . 127
146. დონეანელი (დონეაშვილი) — ღამბაშიძე ანა ((ანეტა) 128
147. დუმბაძე დავით ვარდენის ძე 129
148. დურმიშიძე სერგი ვასილის ძე . . 129
149. ეგაძე — ყიფშიძე ევგენია კონსტანტინეს ასული 130
150. ეგნატაშვილი გიორგი სიმონის ძე 131
151. ეედოშვილი ირეოდიონ ისაკის ძე 132
152. ელიაშვილი არჩილ ივანეს ძე . . . 133
153. ერისთავი — გორდეზიანი მარიკა კონსტანტინეს ასული 134
154. ერისთავი დავით კონსტანტინეს ძე 134
155. ერისთავი კონსტანტინე დავითის ძე . 135
156. ერისთაეეი (სოდამონ — ერისთავი) დმიტრი იოსების ძე 136
157. ერისთავი — ხოშტარია ანასტასია გიორგის ასული 137
158. ერქომაიშვილი — ამირანაშვილი ქეთევან ნიკოლოზის ასული 138
159. ესაკია ლეონარდ (ლეო) დმიტრის ძე 138
160. ესაძე სიმონ სპირიდონის ძე 133
161. ეული სანდრო ქიშვარდის ძე 140
162. ვაკელი ირინა ლუკას ძე 140
163. ვარდოშვილი ხარიტონ ივანეს ძე 141
164. ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე . 142
165. ვარსიმაშვილი — სულიაშვილი თამარ ზაალის ასული 143
166. ვასაძე აკაკი ალექსის ძე 143
167. ვასაძე გიორგი აკაკის ძე . 144
168. ვასილიეეი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე 143
169. ვაჩეიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე 145
170. ვაჩეიშვილი გივი ალექსანდრეს ძე . 146
171. ვაჩეიშვილი კონსტანტინე (კოტე) ალექსანდრეს ძე 147
172. ვაჩნაძე — ასათიანი ანა ნიკოლოზის ასული 434
173. ვაჩნაძე ნატო გიორგის ასული . 148
174. ვაჩნაძე — ქავთარაძე სოფიო აბრამის ასული 149
175. ვახვახიშვილი თამარ ნიკოლოზის ასული 149
176. ვენაძე გრიგოლ იობის ძე 150
177. ვეფხვაძე ივანე ალექსის ძე 151
178. ვირსალაძე სიმონ (სოლიკო) ბაგრატის ძე 151
179. ვირსალაძე სპირიდონ სიმონის ძე . 152
180. ვოზდვიეენსკაია — ხარაძე ელისაბედ ერმის ასული 153
181. ზაალიშვილი მიხეილ ყარამანის ძე 154
182. ზაალიშვილი ნინო მიხეილის ასული 154
183. ზამბახიძე ვლადიმერ ნიკიფორეს ძე 155
184. ზანდუკელი მიხეილ ზურაბის ძე 155
185. ზედგინიძე ელიზბარ კონსტანტინეს ძე 156
186. ზდანევიჩი კირილე მიხეილის ძე . 157
187. ზუმბულიძე — კაკაბაძე მარიამ ნიკოლოზის ასული 158
188. ზურაბაშვილი აკლიპ დავითის ძე 158
189. ზურაბიშვილი ილია ელეფთერის ძე 160

190. ზურაბუტაშვილი — კანდელაკი მელიტა გიორგის ასული 160
191. თაბუკაშვილი რევაზ შალვას ძე 161
192. თაბუკაშვილი შალვა ტრიფონის ძე 162
193. თავაძე აგრაფინა . 163
194. თავაძე აკაკი სოლომონის ძე 163
195. თავაძე სოლომონ ეგნატეს ძე 163
196. თავზიშვილი გიორგი იასონის ძე 164
197. თამარაშვილი მიხეილი . . . 164
198. თარხნიშვილი — გაბაშვილი ეკატერინე რევაზის ასული 166
199. თარხნიშვილი მარიამ (მარო) ესტატეს ასული 167
200. თარხნიშვილი — კვალიაშვილი თამარ დიმიტრის ასული 168
201. თაქთაქიშვილი ოთარ ვასილის ძე 168
202. თაქთაქიშვილი შალვა მიხეილის ძე 169
203. თაყაიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე 170
204. თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე 171
205. თევზაძე ანდრო რაფაელის ძე 173
206. თოიძე ალექსანდრა (შურა) მოსეს ასული 173
207. თოიძე — აფხაიძე ნინო ალექსანდრეს ასული 174
208. თოიძე ირაკლი მოსეს ძე 175
209. თოიძე მოსე ივანეს ძე . . . 176
210. თორაძე დავით (გუგული) ალექსანდრეს ძე 177
211. თოფაძე — ჭილაძე ნანა ლევანის ასული 179
212. თოფურია ვარლამ ტრიფონის ძე 179
213. თოფურიძე ვალენტინ ბაგრატის ძე 180
214. თულაშვილი იოანე ნიკოლოზის ძე 180
215. იაშვილი პაოლო ჯიბრაილის ძე 181
216. იეთიმ გურჯი . 182
217. იმედაშვილი იოსებ ზაქარიას ძე 183
218. ინანიშვილი რევაზ კონსტანტინეს ძე 184
219. ინაშვილი ალექსანდრე (სანდრო) იობის ძე 185
220. ინგოროყვა პაველ იესეს ძე 187
221. იოსელიანი დავით გიორგის ძე 188
222. იოსელიანი ეგნატე ონისიმეს ძე 189
223. იოსელიანი ნიკოლოზ (ჯვებე) პავლეს ძე 190
224. იოსელიანი პლატონ ეგნატეს ძე . 191
225. ირემაძე — ჩაჩავა ნინო ნიკოლოზის ასული 192
226. ირემაძე ქეთევან ნიკოლოზის ასული 192
227. იშხნელი — დეისაძე თამარ ალექსანდრეს ასული 435
228. იშხნელი — ყაუჩიშვილი თამარ ნიკოლოზის ასული 193
229. კაკაბაძე ვლადიმერ (ლადო) ლონგინოზის ძე 193
230. კაკაბაძე დავით ნესტორის ძე 194
231. კაკაბაძე ვასილ მიხეილის ძე 196
232. კაკაბაძე პოლიკარპე მალხაზის ძე 197
233. კაკაბაძე სარგის ნესტორის ძე 198
234. კაკაბაძე საურმაგ სარგისის ძე 199
235. კალანდაძე ლავროსი გიგილოს ძე 200
236. კალაძე გულდა კარლოს ძე 200
237. კალაძე კარლო რადენის ძე 201

238. კანდელაკი ბიძინა სიმონის ძე 202
239. კანდელაკი ვალერიან ლაზარეს ძე 202
240. კანდელაკი ირაკლი ისაკის ძე 203
241. კანდელაკი ნიკოლოზ ილიას ძე 204
242. კანდელაკი ნიკოლოზ პორფილეს ძე 204
243. კანდელაკი პავლე ბამბანტის ძე 205
244. კაპანაძე დავით გიორგის ძე 206
245. კარგარეთელი — ქართველიშვილი ალექსანდრე მიხეილის ასული 207
246. კარიჭაშვილი დავით გიორგის ძე 207
247. კარსანიძე ვლადიმერ დავითის ძე 208
248. კასრაძე დავით ილარიონის ძე 209
249. კასრაძე — შანშიაშვილი მარიამ იოსების ასული 210
250. კაშიბაძე — მშველიძე თინა ვასილის ასული 210
251. კაჭახიძე გიორგი ფარლამის ძე 210
252. კახიანი ნიკოლოზ საულის ძე 211
253. კელენჯერიძე — ფოცხვერაშვილი ალექსანდრა მელიტონის ასული 212
254. კერესელიძე არჩილ პავლეს ძე 212
255. კერესელიძე ივანე ივანეს ძე 213
256. კეშელავა პლატონ გიორგის ძე 214
257. კეცხოველი ნიკოლოზ (ნიკო) ნიკოლოზის ძე 215
258. კეცხოველი — მამასახლისოვი ნინო (ნუნუ) ნიკოლოზის ასული 216
259. კვანტალიანი აკაკი (კაკო) ლუკას ძე 217
260. კვერნაძე — ხუნდაძე თამარ ივლიანეს ასული 218
261. კვესელავა მიხეილ ალექსანდრეს ძე 218
262. კიკნაძე — თავზიშვილი ანა 219
263. კიკნაძე — შენგელია თამარ ბენედიქტეს ასული 219
264. კილაძე გრიგოლ ბათლომეს ძე 219
265. კილაძე ლილე გრიგოლის ძე 220
266. კლდიაშვილი სერგო დავითის ძე 220
267. კლდიაშვილი სიმონ გრიგოლის ძე 221
268. კლდიაშვილი ნინო (ნუცა) გრიგოლის ასული 222
269. კობახიძე ბადრი პეტრეს ძე 222
270. კობახიძე პეტრე (პიერ) კალისტრატეს ძე 223
271. კოზმინსკაია — ჩიგოგიძე ნინო თეოდორეს ასული 224
272. კორძახია გურამ ვლადიმერის ძე 224
273. კოჩინაშვილი — გელისაშვილი ლიდა ვლადიმერის ასული 224
274. კრავეიშვილი ბათუ ირაკლის ძე 225
275. კუპრაშვილი ნინო (გოგეცა) ნიკოლოზის ასული 226
276. კუპრიანოვა — არაყიშვილი მატრონა გერასიმეს ასული 227
277. კუხლანიძე თეიმურაზ მაქსიმეს ძე 227
278. ლაისტი არტურ ადოლფის ძე 228
279. ლალიონი (მაშელაშვილი არსენ ანტონის ძე) 229
280. ლაპიაშვილი ფარნაოზ გიორგის ძე 230
281. ლასხიშვილი გიორგი მიხეილის ძე 231
282. ლაღიძე რევაზ ილიას ძე 232
283. ლეჟავა გიორგი ილიას ძე 234
284. ლეჟავა — თოფურია თამარ ანგიას ასული 234
285. ლეჟავა ნიკოლოზ რომანის ძე 235

296. ლესელიძე კონსტანტინე ნიკოლოზის ძე 236
297. ლესაშვილი იაკინთე ბარნაბის ძე 337
298. ლომთათიძე გიორგი ალექსანდრეს ძე 237
299. ლომთათიძე პოლა ბიბონის ძე 238
300. ლომოური იულონ ნიკოლოზის ძე 239
301. ლორთქიფანიძე ბექან ვლადიმერის ძე 240
302. ლორთქიფანიძე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე 241
303. ლორთქიფანიძე ნიკო მერაბის ძე 242
304. მაკროპულო — ტატიშვილი სოფიო ლევანის ასული 244
305. მამალაძე შალვა პეტრეს ძე 244
306. მაპასახლისოვი ვაგან ივანეს ძე 244
307. მამაცაშვილი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე 245
308. მანთაშვილა — კლდიაშვილი სოფიო გრიგოლის ასული 247
309. მანკგალაძე ეროსი აკაკის ძე 247
310. მარგიანი რევაზ აკაკის ძე 248
311. მარიკანი 249
312. მარშაკი ნიკოლოზ იაკობის ძე 250
313. მარკანიშვილი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე 251
314. მაღლაშვილი ქეთევან კონსტანტინეს ასული 251
315. მაყაშვილი კონსტანტინე (კოტე) ზაქარიას ძე 252
316. მაყაშვილი — ტაბიძე ნინო ალექსანდრეს ასული 254
317. მაყაშვილი შალვა კონსტანტინეს ძე 255
318. მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე 256
319. მაკაკარიანი გივი ირაკლის ძე 256
320. მაკაკარიანი გიორგი ალექსანდრეს ძე 257
321. მაკაკარიანი ვლადიმერ გიორგის ძე 258
322. მაკაკარიანი — აგლაძე მარიამ ილიას ასული 259
323. მაკაკარიანი — კახიანი ტერეზა ნიკოლოზის ასული 259
324. მახარაძე — დგებუაძე პოლინა ანთიმოზის ასული 260
325. მგალობლიშვილი (მგალობელი) მიხეილ ფილიპეს ძე 260
326. მგალობლიშვილი მ. დ. 261
327. მგალობლიშვილი სოფრომ ზაქარიას ძე 261
328. მდივანი გიორგი დავითის ძე 262
329. მდივანი — ტუსკია ირინე ნიკოლოზის ასული 263
330. მეგრელი დუტუ (ხოშტარია დიმიტრი თომას ძე) 263
331. მეგრელიძე (მამულაშვილი) ლიდია ისმაილის ასული 264
332. მეზერიშვილი — ჯაბუშანური სარა სანდროს ასული 265
333. მელიავა თამაზ გიორგის ძე 265
334. მელიქსეთ-ბეგი ლეონ მელიქსეთის ძე 265
335. მესტიაშვილი — მოსაშვილი თამარ ვლადიმერის ასული 266
336. მესხია ზოთა ამბაკოს ძე 267
337. მესხი გრიგოლ პართენის ძე 267
338. მეღვინეთუხუცესი კონსტანტინე ვასილის ძე 268
339. მეძმარიაშვილი — გველესიანი მელანია ლუარსაბის ასული 269
340. მეძმარიაშვილი დავით ჯუმბერის ძე 270
341. მეძმარიაშვილი ჯუმბერ ალექსანდრეს ძე 270
342. მთვარაე სიმონ ვასილის ძე 271
343. მიზანდარი ალოიზ იოსების ძე 271

334. მილაძე — ფერიტიშვილი ნინო ვასილის ასული 273
335. მილორავა შოთა ერმილეს ძე 273
336. მიმინოშვილი აღექსი იაკობის ძე 274
337. მირიანაშვილი აღექსი ივანეს ძე 274
338. მირცხულავა (მაშაშვილი) ალიო ანდრიას ძე . 275
339. მიხაილიდი — კაკაბაძე ლუდმილა (მილა) ნიკოლოზის ასული 276
340. მოსაშვილი ილო ონისიმეს ძე 276
341. მოსაშვილი მინდია ილიას ძე 277
342. მრეველიშვილი მალიკო ნიკოლოზის ასული 278
343. მრეველიშვილი მაყვალა აღექსანდრეს ასული 278
344. მურღულია პოლიკარპე (პოკო) ღევანის ძე 279
345. მუსხელიშვილი ვახტანგ სოლომონის ძე 280
346. მუსხელიშვილი — შარლემანი მარიამ გიორგის ასული 281
347. მღვიმელი შიო ილარიონის ძე 281
348. მშველიძე შალვა მიხეილის ძე 282
349. მშვენიერაძე დომენტი მელიტონის ძე 283
350. მკედლიშვილი — კანდელაკი მარიამ ზაქარიას ასული 284
351. ნადირაძე გიორგი აღექსანდრეს ძე 284
352. ნადირაძე კოლაუ გალაქტიონის ძე 285
353. ნაზარაშვილი — ომიაძე დარიკო გაბრიელის ასული 286
354. ნათაძე ღევან ღევანის ძე 286
355. ნათაძე ღევან (ღეო) იასონის ძე 287
356. ნაკაშიძე ილია პეტრეს ძე 287
357. ნატრიძე — აღექსიძე თამარ ლუკას ასული 288
358. ნატროშვილი ანტონ ივანეს ძე 289
359. ნემსიწვერიძე თამარ ელიზბარის ასული 290
360. ნიკოლაიშვილი — იოსელიანი ელენე იასონის ასული 290
361. ნიკოლაძე გიორგი ნიკოლოზის ძე . . 290
362. ნიკოლაძე — პოლიექტოვი რუსუდან ნიკოლოზის ასული 292
363. ნიკარაძე — ღორთქიფანიძე მერი სპირიდონის ასული 293
364. ნონეშვილი იოსებ ელიოზის ძე . 293
365. ომიაძე აღექსანდრე (ალე) ასლანის ძე 294
366. ონიაშვილი ოთარ დავითის ძე 295
367. ორბელიანი ნინო . . 296
368. ორლოვა — ციმაკურიძე ეკგენია ნიკოლოზის ასული . 296
369. ოქრომჭედლიშვილი — სერებრიაკოვი — იაშვილი თამარ გიორგის ასული 296
370. ოქრომჭედლიშვილი — სერებრიაკოვი ილია ლაზარეს ძე 296
371. პატარაია ფურამ ვასილის ძე 298
372. პატარაია ვასო ბართლომეს ძე 298
373. პატარიძე მიქელ აბესალომის ძე 299
374. პაჭკორია ოტია მიხეილის ძე 300
375. პეტროვა — ზდანევიჩი ოლგა გრიგოლის ასული 301
376. პიპინაშვილი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე 301
377. პოლტორაცკაია — თაყაიშვილი ნინო ივანეს ასული 302
378. ყორდანია თედო დავითის ძე 303
379. ყორდანია იოსებ თევდორეს ძე . . 304
380. ყორჯოლიანი აღექსანდრე (სანდრო) მაქსიმეს ძე 305
381. ყურული გიორგი ბაგრატის ძე 306

382. ეურული ვარლამ ნიკოლოზის ძე . 307
383. ეურული — იმედაშვილი ანა ნიკოლოზის ასული 307
384. ელენტი ბესარიონ (ბესო) დავითის ძე 308
385. ელენტი ვლადიმერ ყაფლანის ძე . 309
386. ელენტი — მარგიანი ნინო ალექსანდრეს ასული 310
387. რადიანი შალვა დიმიტრის ძე 311
388. რაზიკაშვილი თედო პაველეს ძე . 312
389. რაჰიშვილი — ჩხეიძე ვასასი ონისიმეს ასული 312
390. როინაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე 312
391. როსტომაშვილი — ახმეტელი ანასტასია ივანეს ასული 312
392. როსტომაშვილი ივანე პაველეს ძე 314
393. რცხილაძე გიორგი ((გულო) ვასილის ძე 315
394. რცხილაძე გრიგოლ (გიგო) სვიმონის ძე 316
395. რცხილაძე ვასილ ილიას ძე 317
296. სავვა ტაისია ალექსანდრეს ასული . 318
397. საზონოვა — მეღვინეთუხუცესი ლიდა ივანეს ასული 318
398. სალია კალისტრატე (კალე) ზოსიმეს ძე . 318
399. სამუკაშვილი — ჩიქოვანი ნინო სიმონის ასული 320
400. სანაძე კორნელი ბარნაბის ძე 320
401. საღარაძე გიორგი ილარიონის ძე 321
402. სახოკია თედო ტიმოთეს ძე 322
403. სიხარულიძე ილია ლუკას ძე 323
404. სიხარულიძე რევაზ ილიას ძე 324
405. სტურუა რობერტ ივანეს ძე 324
406. სულავა — ქაშაკაშვილი ბარბარე გრიგოლის ასული 325
407. სულიაშვილი დავით სოკრატეს ძე 325
408. სულხანიშვილი ნიკო პაატას ძე . 326
409. სულხანიშვილი — პატარაია ქეთევან გაბრიელის ასული 327
410. სურგულაძე — ზამბახიძე ელენე პარმენის ასული 327
411. სურგულაძე — სიხარულიძე მარიამ მიხეილის ასული 327
412. სუხიშვილი ილია ილიას ძე 327
413. ტატიშვილი იოსებ გრიგოლის ძე 329
414. ტელიჩკო ფილიპე მარკიანის ძე 329
415. ტუსკია ირონა ირაკლის ძე .. 329
416. უგრელიძე მარიამ ქრისტეფორეს ასული 330
417. უიარაღო ((თათარაშვილი) კონდრატე დავითის ძე 331
418. უმიკაშვილი პეტრე იოსების ძე 332
419. ურჯუმელაშვილი ივანე გიორგის ძე 333
420. ფალიაშვილი ვახტანგ ლევანის ძე 334
421. ფარეიშვილი — ელენტი ქეთევან კონსტანტინეს ასული 335
422. ფაღავა აკაკი ნესტორის ძე 335
423. ფაშალიშვილი სვიმონ (სიკო) ილიას ძე 336
424. ფერაძე კონსტანტინე ნოშრევანის ძე . . 337
425. ფოცხვერაშვილი კონსტანტინე (კოტე) გიორგის ძე 337
426. ფოცხვერაშვილი — ბერიძე ნათელა კონსტანტინეს ასული 339
427. ფურცელაძე დიმიტრი პეტრეს ძე . 339
428. ქადეიშვილი — ვასაძე ანა მიხეილის ასული . 340
429. ქავთარაძე — ანთელავა აგრაფინა ილიანეს ასული 340

430. ქავთარაძე სერგო ივანეს ძე . . 340
431. ქართველიშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე 342
432. ქაშაკაშვილი ვალერიან სარდიონის ძე . 342
433. ქაჯაია — მელიქსეთ-ბეგი ვერა ალექსანდრეს ასული 343
434. ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე 343
435. ქობულაძე სერგო სოლომონის ძე 344
436. ქორელი (ქორიძე) მიხეილ ფილიმონის ძე 346
437. ქორქია როდიონ კალენიკეს ძე . 346
438. ქოჩიაშვილი — თაბუკაშვილი ნინო ისიდორეს ასული 347
439. ქუთათელაძე აპოლონ ყარამანის ძე 347
440. ქუთათელაძე დავით ექვთიმეს ძე 348
441. ქუთათელი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე 349
442. ქუჩიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე 350
443. ღამბაშიძე შალვა ქსენოფონტეს ძე 350
444. ღლონტი შალვა იოსების ძე . . 351
445. ღოღობერიძე ნიკოლოზ ბესარიონის ძე 352
446. ყანჩელი სალომე ალექსანდრეს ასული 353
447. ყარალაშვილი კოხტა გიორგის ძე 354
448. ყარაშვილი ანდრია ნიკოლოზის ძე 354
449. ყაუჩიშვილი სიმონ გიორგის ძე 355
450. ყიფიანი ედიშერ ლავრენტის ძე . . 357
451. ყიფიანი კონსტანტინე (კოტე) დიმიტრის ძე 357
452. ყიფიანი მიხეილ ზაალის ძე . . 358
453. ყიფშიძე (ფრონელი) ალექსანდრე თეოდორეს ძე 359
454. ყიფშიძე დავით ალექსის ძე 360
455. ყიფშიძე იოსებ ალექსის ძე 361
456. ყუშიტაშვილი ვასილ პავლეს ძე 362
457. შაგულიძე გიორგი ვლადიმერის ძე 363
458. შავიშვილი მიხეილ კალისტრატეს ძე 364
459. შანშიაშვილი სანდრო ილიას ძე 365
460. შარლემანი იოსებ ადოლფის ძე 366
461. შატბერაშვილი გიორგი ივანეს ძე 367
462. შაშიკაშვილი ნევრესტან რევაზის ასული 368
463. შენგელაია გოჩა დემნას ძე . 369
464. შენგელაია დემნა კონსტანტინეს ძე 369
465. შენგელაია ნიკოლოზ მიხეილის ძე 370
466. შენგელია ალეკო პეტრეს ძე 371
467. შენგელია პავლე გიორგის ძე . 372
468. შეფირული — ლესელიძე ნინო ივანეს ასული 373
469. შონია — ალექსიშვილი ქეთევან ალექსანდრეს ასული 373
470. შუბლაძე — ბობოხიძე ვერა ამბროსის ასული 373
471. შუშანია პლატონ გიორგის ძე 374
472. ჩაჩავა კონსტანტინე ვლადიმერის ძე 375
473. ჩაჩავა მიხეილ კონსტანტინეს ძე 376
474. ჩაჩავა ნიკოლოზ ვლადიმერის ძე . 377
475. ჩერქეზიშვილი ელისაბედ ალექსანდრეს ასული 378
476. ჩერქეზიშვილი ვასილ ნიკოლოზის ძე 379
477. ჩეჩელაშვილი — ზედგენიძე თინათინ დავითის ასულის 380

478. ჩიგოგიძე ნიკოლოზ სპირიდონის ძე 380
479. ჩიკაძე — ქუჩუკაშვილი ანა ივანეს ასული 380
480. ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძე 380
481. ჩიქოვანი გრიგოლ სამსონის ძე 382
482. ჩიქოვანი მიხეილ იასონის ძე 382
483. ჩიჭაკაძე ალექსანდრე ირაკლის ძე 382
484. ჩილობარგია — ბერძენიშვილი ქეთევან გაბრიელის ასული 384
485. ჩოლოყაშვილი — როსტომაშვილი ელისაბედ (ლიზა) დავითის ასული 384
486. ჩოფიკაშვილი — ბენაშვილი ვერა აბრამის ასულ 385
487. ჩარტიშვილი არჩილ ესტატეს ძე 385
488. ჩხეიძე — ბერიძე ელისაბედ (ლიზიკო) კონსტანტინეს ასული 386
489. ჩხეიძე — ლორთქიფანიძე თამარ გიორგის ასული 386
490. ჩხეიძე ნინო (ნუცა) პლატონის ასული 386
491. ჩხეიძე ნოდარ ბარნაბის ძე 387
492. ჩხეიძე ნოდარ (ბიჭიკო) გიორგის ძე 388
493. ჩხეიძე უშანგი ვიქტორის ძე 388
494. ჩხენკელი ივანე ნოეს ძე 390
495. ჩიკვაძე ნოე ალექსის ძე 391
496. ცაბაძე გიორგი გაბრიელის ძე 391
497. ცაიშვილი სარგის სოლომონის ძე 392
498. ცაიშვილი სოლომონ მაქსიმეს ძე 393
499. ცეცხლაძე ვლადიმერ ყარამანის ძე 394
500. ცომაკურიძე ალექსანდრე გრიგოლის ძე 394
501. ცინცაძე სულხან თეოდორეს ძე 395
502. ცაცაშვილი დავით (დიმიტრი) ნიკოლოზის ძე 396
503. ცაცაშვილი თამარ იოსების ძე 397
504. ცაცაშვილი — კობახიძე ელენე შალვას ასული 398
505. ცომაია ნადეჟდა ათანასეს ასული 398
506. ცქეტი (ხახუტაშვილი) ანა ანტონის ასული 399
507. ცქიფურიშვილი მელიტონ სტეფანეს ძე 400
508. ცხვედაძე ნიკო ზებედეს ძე 400
509. ძაგნიძე ვარლამ (ვალიკო) დავითის ძე 401
510. ძიძიგური შოთა ვარლამის ძე 435
511. ძნელაძე დავით (დუდე) ყარამანის ძე 401
512. წერეთელი — აბაშიძე მარგალიტა ყაფლანის ასული 402
513. წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე 402
514. წერეთელი ალექსანდრე (ალიოშა) იოსების ძე 403
515. წერეთელი თამარ სიმონის ასული 404
516. წერეთელი სავლე ბენედიქტეს ძე 405
517. წულუკიძე მეგი სიმონის ასული 406
518. წუწუნავა ალექსანდრე რაფდენის ძე 407
519. წუწუნავა ცეცილია რაფდენის ასული 408
520. ჭაბუკაძე — გაფრინდაშვილი ირინა ირაკლის ასული 409
521. ჭაბუკაძე თამარ ირაკლის ასული 409
522. ჭავჭანიძე — კერესელიძე ნაზი კონსტანტინეს ასული 410
523. ჭიჭინაძე — ასათიანი თინა კალისტრატეს ასული 410
524. ჭიჭინაძე კონსტანტინე არჩილის ძე 410

525. ჭიჭინაძე ნიკოლოზ (პარშენ) გაბრიელის ძე 436
526. ჭრელაშვილი სტეფანე თევდორეს ძე 411
527. ჭუმბაძე არისტო მაქსიმეს ძე 412
528. ჭყონია ილია მირიანის ძე 413
529. ხარაძე არჩილ კირილეს ძე 413
530. ხახანაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე 414
531. ხიზანიშვილი (ურბნელი) ნიკოლოზ თადეოზის ძე 415
532. ხომერიკი ვიქტორ ნოეს ძე . 416
533. ხომიზურაშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე 417
534. ხომლელი (ფანცხავა რომანოზ სპირიდონის ძე) 418
535. ხუნდაძე სიმონ ირაკლის ძე . 419
536. ჯაბადარი ირაკლი ალექსანდრეს ძე 420
537. ჯაბუშანური გაბრიელ ლუკას ძე 421
538. ჯავრიშვილი დავით ლავრენტის ძე 422
539. ჯამბაკურ — ორბელიანი — ბაშიძე თეკლე ნიკოლოზის ასული 423
540. ჯამბაკურ — ორბელიანი — ჯავახიშვილი ანასტასია ნიკოლოზის ასული 423
541. ჯანდიერი — ლეონავა მარია ილიას ასული 424
542. ჯანდიერი — შაქარიანი ეკატერინე ლევანის ასული 424
543. ჯანელიძე ალექსანდრე ილარიონის ძე . 425
544. ჯაოშვილი — ხომიზურაშვილი ნინო ეპიფანეს ასული 426
545. ჯაფარიძე ანტონ (ტუტუშა) ქაიხოსროს ძე 426
546. ჯაფარიძე — აფხაიძე თინა კონსტანტინეს ასული 426
547. ჯაფარიძე გულნარა დავითის ასული 426
548. ჯაფარიძე ლევან ივანეს ძე 427
549. ჯაფარიძე მედეა ვალერიანის ასული 428
550. ჯაფარიძე მიხეილ ვიქტორის ძე 429
551. ჯაფარიძე ქეთევან კონსტანტინეს ასული . 430
552. ჯაველი — ცაიშვილი ფატი გრიგოლის ასული 430
553. ჯორჯაძე არჩილ კონსტანტინეს ძე 431

ასლან აბაშიძის ფონდმა, სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირმა (თავმჯდომარე ასლან აბაშიძე), სერვანტესის საზოგადოებამ (თავმჯდომარე შადიმან ბიწაძე), გამომცემლობა „ირმისა“-მ (დირექტორი ვაჟა შუბითიძე) ერთობლივად დააარსეს საგამომცემლო სერია

„ელიტარული წიგნი“

ამ სერიით მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე უკვე გამოიცა შემდეგი წიგნები, რომლებიც უკვე იყიდება წიგნის მაღაზიებში:

პლატონი ტიმეოსი 1994 წ.

(თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები ბაჩანა ბრეგვაძის)

ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი — ასე უწოდებენ პლატონის გვიანდელი შემოქმედების ამ შედევრს.

ჰენრიკ იბსენი
დრამები

(ორ ტომად. 1994-1995 წ.)
თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ
ორტომეულში შესულია იბსენის ყველაზე ცნობილი 12 დრამა.

სერვანტესი დონ-კიხოტი

(ორ ტომად. 1994-1995 წ.)
თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის
წიგნი პირველად ითარგმნა ორიგინალიდან (ესპანურიდან) და დიდი შენაძენია ქართული კულტურისათვის.

ვაჟა შუბითიძე

საქართველოს დიდი მეფეები 1994 წ.
წიგნი ლაკონურად და სხარტად მოგვითხრობს 12 დიდი ქართველი მეფის ღვაწლზე ფარნავაზ მეფიდან ერეკლე მეორის ჩათვლით.